აჭარა
ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი
რესურსები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

აჭარა

ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი - 2016

UDC (უაკ) 338.48(476.223)+796.5(479.223+908(479.223)
ა-971

წიგნი – **„აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“** – წარმოადგენს სახელმძღვანელოს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი საშუალებას მისცემს მათ საფუძვლიანად გაეცნონ აჭარის, მისი ცალკეული მუნიციპალიტეტის ისტორიას, ეკონომიკას, ბუნებას, მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიურ სტრუქტურას, ტრადიციულ მატერიალურ და სულიერ საუნჯეს, ფოლკლორს, მეცნიერებას, ხელოვნებასა და კულტურას, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ბუნების დაცულ ტერიტორიებს.

სახელმძღვანელოს ბაზაზე მომზადდებიან ტურიზმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ სათანადო მომსახურება გაუწიონ სტუმრად ჩამოსულ ტურისტებს და მიაწოდონ მათ საჭირო ინფორმაცია აჭარის შესახებ.

წიგნი ასევე მოემსახურება ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

სარედაქციო კოლეგია: რუსლან ბარამიძე, სიმონ გოგიტიძე, ჯემალ ვარშალომიძე, შოთა ზოიძე, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, თამილა ლომთათიძე, როინ მალაყმაძე (თავმჯდომარე), ციალა ნარაკიძე, გივი ნახუცრიშვილი, ნანული ნოღაიდელი, უჩა ოქროპირიძე, ნაილა ჩელებაძე, მაია ჭიჭილეიშვილი

რედაქტორები: ბიჭიკო დიასამიძე
შუშანა ფუტკარაძე
ნოდარ კახიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: ოლეგ ჯიბაშვილი

რეცენზენტები: ამირან კახიძე
როსტომ ბერიძე
ემენ დავითაძე

ISBN 978-9941-462-28-3
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2016

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 5

თავი I. აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება **(რუსლან ბარამიძე)** 8

- რელიეფი 8
- კლიმატი 9
- გეოლოგია და სასარგებლო წიაღისეული 10
- შიდა წყლები 11
- ნიადაგები და მცენარეული საფარი 12
- ცხოველთა სამყარო 14
- რეკრეაციული რესურსები 15

თავი II. ისტორია 22

აჭარა უძველესი დროიდან ახ. წ. VI საუკუნემდე **(სიმონ გოგიტიძე)** 22

აჭარა VI-XIX საუკუნეებში **(ბიჭიკო დიასამიძე, ოლეგ ჯიბაშვილი)** 29

აჭარა 1878-2010 წლებში **(უჩა ოქროპირიძე)** 38

თავი III. აჭარის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება **(ოთარ თურმანიძე)** 49

ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვა 49

ტურიზმი 59

თავი IV. მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სტრუქტურა 63

ეთნიკური სტრუქტურა 63

- ქართველები **(ნაილა ჩელებაძე)** 63
- აფხაზები **(ნაილა ჩელებაძე)** 65
- ბერძნები **(ჯემალ ვარშალომიძე)** 66
- სომხები **(თამილა ლომთათიძე)** 68
- რუსები **(თამილა ლომთათიძე)** 70
- უკრაინელები **(თამილა ლომთათიძე)** 71
- ებრაელები **(ჯემალ ვარშალომიძე)** 72

კონფესიური სტრუქტურა 73

- მართლმადიდებელი ქრისტიანები **(ნაილა ჩელებაძე)** 73
- სომეხი გრიგორიანელები **(ნაილა ჩელებაძე)** 76
- კათოლიკები **(ნაილა ჩელებაძე)** 76
- მუსლიმები **(რუსლან ბარამიძე)** 77
- იუდეველები **(ჯემალ ვარშალომიძე)** 78
- სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრები **(ნაილა ჩელებაძე)** 80

დემოგრაფიულ-მიგრაციული პროცესები **(რუსლან ბარამიძე)** 82

თავი V. მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა **(ნოდარ კახიძე)** 86

მიწათმოქმედება-მემინდვრეობა 86

მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა 93

მესაქონლეობა 100

მეფუტკრეობა 104

მეთევზეობა და მონადირეობა 107

ხელოსნობა და შინამრეწველობა 111

თავი VI. ტრადიციული მატერიალური კულტურა 125

გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი **(ნოდარ კახიძე)** 125

დასახლების სტრუქტურა **(თამილა ლომთათიძე)** 133

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები **(ჯემალ ვარშალომიძე)** 136

საკულტო ნაგებობები 140

- ეკლესია-მონასტრები **(მაია ჭიჭილეიშვილი)** 140
- მეჩეთები **(რუსლან ბარამიძე)** 146

ხალხური ტრანსპორტი **(ნოდარ კახიძე)** 148
ტანსაცმელი და ჩაცმულობა **(ნაილა ჩელებაძე)** 153
ხალხური სამზარეულო **(ნანული ნოღაიდელი, თამილა ლომთათიძე)** 157
სახვითი და დეკორატიული ხელოვნება აჭარაში 161
• სახვითი ხელოვნება **(მაია ჭიჭილეიშვილი)** 161
• დეკორატიული ხელოვნება **(ჯემალ ვარშალომიძე)** 166
თავი VII. ტრადიციული სულიერი კულტურა 175
ხალხური დღესასწაულები **(ნოდარ კახიძე)** 175
ხალხური მუსიკალური კულტურა **(თამილა ლომთათიძე)** 187
ხალხური ქორეოგრაფია **(თამილა ლომთათიძე)** 191
ხალხური გართობა-თამაშობანი **(თამილა ლომთათიძე)** 195
ხალხური მედიცინა **(ნანული ნოღაიდელი, თამილა ლომთათიძე)** 197
თავი VIII. ფოლკლორი 201
აჭარული ფოლკლორი **(ემენ დავითაძე)** 201
სახალხო მელექსეობის ტრადიცია აჭარაში **(ემენ დავითაძე)** 206
ლაზური ფოლკლორი **(ციალა ნარაკიძე)** 214
თავი. IX. განათლება და მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება 222
განათლება **(შუშანა ფუტკარაძე)** 222
მეცნიერება **(შუშანა ფუტკარაძე)** 231
მწერლობა **(შუშანა ფუტკარაძე)** 234
ხელოვნება **(მაია ჭიჭილეიშვილი)** 236
თავი X. აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები 244
აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა **(ოთარ თურმანიძე)** 244
ქალაქი ბათუმი 248
• ისტორია **(სიმონ გოგიტიძე)** 248
• ბათუმის განაშენიანება **(რუსლან ბარამიძე)** 254
• მოსახლეობა **(რუსლან ბარამიძე)** 257
• ქალაქის ეკონომიკა **(რუსლან ბარამიძე)** 261
• ჯანმრთელობის დაცვა **(რუსლან ბარამიძე)** 268
• განათლება და კულტურა **(რუსლან ბარამიძე)** 269
• კურორტები და ტურიზმი **(რუსლან ბარამიძე)** 272
• ბათუმის საკულტო არქიტექტურის ძეგლები **(მაია ჭიჭილეიშვილი)** 275
ქობულეთის მუნიციპალიტეტი **(უჩა ოქროპირიძე)** 281
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი **(უჩა ოქროპირიძე)** 298
ქედის მუნიციპალიტეტი **(ოლეგ ჯიბაშვილი)** 317
შუახევის მუნიციპალიტეტი **(ოლეგ ჯიბაშვილი)** 340
ხულოს მუნიციპალიტეტი (**უჩა ოქროპირიძე)** 369
დანართი 387
პეტრა-ციხისძირი **(ნინო ინაიშვილი)** 387
გონიოს ციხე **(გიორგი თავამაიშვილი)** 392
სხალთა 397
• სხალთის ეპარქიის ისტორიიდან **(ბიჭიკო დიასამიძე)** 397
• სხალთის საეკლესიო კომპლექსი **(მაია ჭიჭილეიშვილი)** 400

წინასიტყვაობა

ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ისტორიულ აბრეშუმის გზაზე მდებარეობა, მოხერხებული და ღრმა ნავსაყუდელი, ზომიერი კლიმატი, მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა, კონტრასტული რელიეფი, ქარებისგან ბუნებრივი დაცულობა ბათუმს და მის შემოგარენს, მთლიანად აჭარას, უძველესი დროიდან უცხოელთათვის თუ მეზობელი ხალხებისთვის საინტერესოს და მიმზიდველს ხდიდა. ამიტომ, ყველა დროში ჰყავდა მას სტუმარი და დამთვალიერებელი. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდა თბილისს და გაიყვანეს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, რამაც ბათუმსა და მის პორტს საერთაშორისო მნიშვნელობა შესძინა. მაშინდელ ბათუმს ბევრი სტუმარი ჰყავდა. ამიტომაა, რომ XX საუკუნის დასაწყისის ბათუმში ოცდაათამდე სასტუმრო იყო. ბათუმს უცხოელი მოგზაური-მკვლევრები თავისი ბუნებრივი პირობებით რივიერას ადარებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ცნობილი მკვლევარი და მოგზაური ნიკოლოზ ვერუ წერდა: „ბათუმში ერთმანეთს ერწყმიან რივიერას ბრწყინვალება და შვეიცარიის დიდებული მთები, რომლებიც ჰარმონიას ქმნიან. აქ ნაკლებად ქრის ძლიერი ქარი. წყნარი დღეები ორჯერ მეტია, ვიდრე სოხუმსა და სოჭში“.

რივიერაში მხოლოდ ქალაქი ბათუმი როდი მოიაზრებოდა, მასში იგულისხმებოდა რეგიონი ზღვით, მთებით, ირგვლივ არსებული მომხიბვლელი ლანდშაფტებით და, რაც მთავარია, ზომიერი სუბტროპიკული ჰავით, როგორც ეს იყო იტალიის რივიერაში, პროვინცია ლიგურიის ზღვისპირეთში. მიუხედავად ამისა, ტურიზმს ბათუმსა და საერთოდ, აჭარაში ორგანიზებული სახე მიეცა მხოლოდ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა, 1928 წელს, ბათუმი გამოცხადდა სახელმწიფო კურორტად.

თანამედროვე პირობებში, როცა ტურიზმი ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკის ერთ-ერთ შემოსავლიან დარგად იქცა და მასში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია დასაქმებული, ჯეროვანი ყურადღება დაეთმო მის განვითარებას ჩვენთანაც. უახლეს სახელმძღვანელო ლიტერატურაში (ჩარლზ რ. გელდნერი, ჯ. რ. ბრენტ ლითჩი, „ტურიზმი“, 2013) ტურიზმი განმარტებულია, როგორც „პროცესი, საქმიანობა და შედეგები, რომლებიც წარმოქმნილია ვიზიტიორების მოზიდვასა და მასპინძლობაში ჩართული მონაწილეების – ტურისტების, ტურიზმის დარგის მომწოდებლების, მიმღები ქვეყნის მთავრობის, მასპინძელი მოსახლეობისა და გარემოს ურთიერთობებითა და ურთიერთქმედებებით”. საქმიანობის ამ სფეროში ადამიანების ასეთი ფართო ჩართულობის შედეგია ის, რომ მსოფლიოში ამ დარგში მოსახლეობის 9%-ია დასაქმებული. საქართველოში 2012 წელს განხორციელებული ინვესტიციების 32% ტურიზმზე მოდიოდა. მარტო 6 წელიწადში (2005-2011 წწ.) ბათუმში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა 20-ჯერ გაიზარდა (39 800-დან 840 847-მდე). ამიტომ განსაკუთრებით საჭირო გახდა ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებითი გაუმჯობესება, მასპინძელ მოსახლეობასთან საჭირო მუშაობა და ჩვენი უხვნალექიანი კლიმატის პირობების შესაბამისი ტურისტთა კულტურული დასვენების გარემოს შექმნა. ამათგან უმთავრესია მაინც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება, რადგან მნიშვნელოვანწილად მათზეა დამოკიდებული იმ პრობლემების გადაწყვეტა, რაც ამ დარგის გან-

ვითარებას შეუწყობს ხელს. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და, მათ შორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტის შექმნა, სადაც, სხვა აუცილებელ დისციპლინებთან ერთად, ისწავლება აჭარის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები. ეს მისასალმებელი ინიციატივა და მოთხოვნაა, რადგან აჭარაში ჩამოსულ სტუმარს ჩვენი მხარის ისტორიის, ყოფის, კულტურისა და სხვა ღირსშესანიშნაობათა შესახებ უნდა მოუთხროს ტურიზმის მუშაკმა.

ტურიზმის ცნობილი სპეციალისტი ვალენ ლ. სმიტი, ტურისტული მოტივაციების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ტურიზმის ექვს კატეგორიას: ეთნო, კულტურული, ისტორიული, ეკოლოგიური, რეკრეაციული და ბიზნესტურიზმი.

აჭარის და მისი ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრის – ბათუმის მოსახლეობის მრავალეროვნულობა, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი ფაუნა და ფლორა, კონტრასტული რელიეფი, აქაური კლიმატისა და სამკურნალო წყლების თვისებები, მეურნეობის მრავალდარგობრიობა და მათი განვითარების თანამედროვე ტენდენციები ტურიზმის ყველა კატეგორიის განვითარების პირობებს ქმნის.

წიგნი („აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“), რომელიც შეიქმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ, სახელმძღვანელოს ფუნქციას შეასრულებს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და ხელს შეუწყობს მათ და ყველა დაინტერესებულ პირს, საფუძვლიანად გაეცნონ აჭარის, მისი ცალკეული მუნიციპალიტეტის ისტორიასა და ეკონომიკას, მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიურ სტრუქტურას, ტრადიციულ მატერიალურ და სულიერ საუნჯეს, ფოლკლორს, მეცნიერებას, ხელოვნებასა და კულტურას, ბათუმისა და ცალკეული მუნიციპალიტეტის ისტორიისა და კულტურის ობიექტებს, დაცულ ტერიტორიებს, რაც მათ საშუალებას მისცემს მაღალკვალიფიციური მომსახურება გაუწიონ სტუმრად ჩამოსულ ტურისტებს და სამუდამოდ დაამახსოვრონ აქ გატარებული დღეები.

წიგნი შედგება 10 თავისგან, რომლებშიც გაერთიანებულია 42 პარაგრაფი შესაბამისი ილუსტრაციებით, რომელთა შესახებ მინიშნებაა ტექსტში გამუქებული შრიფტით.

ნაშრომის შექმნისას ვისარგებლეთ მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული და ინტერნეტში განთავსებული მასალებითაც, რის გამოც გულწრფელ მადლობას ვუხდით მათ ავტორებს თანადგომისთვის.

ამ ხასიათის სახელმძღვანელო აჭარის მაგალითზე პირველად იქმნება, ამიტომ იგი ვერ იქნება დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. სარედაქციო კოლეგია მადლიერების მიიღებს ყველა საქმიან რჩევას მისი სრულყოფა-გაუმჯობესების მიზნით.

აჭარის ფიზიკური რუკა



თავი I – აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იგი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია აჭარა-გურიის, სამხრეთიდან – შავშეთის, აღმოსავლეთიდან – არსიანის ქედებით, ხოლო დასავლეთით ეკვრის შავი ზღვა. მისი უკიდურესი წერტილებია: ჩრდილოეთით – მდინარე ჩოლოქი-ნატანების შესართავი (ჩ.გ. $41^0$53'), სამხრეთით – ხებას მთა (ჩ.გ. $41^0$26'), აღმოსავლეთით – ღრმანის მწვერვალი (2547 მ., ა.გ. $42^0$35'), დასავლეთით – სოფელი სარფი (ა.გ. $41^0$33'). აჭარის ფართობი 2990 კვ.კმ-ია (საქართველოს ტერიტორიის 4,3%). მის უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ წერტილებს შორის მანძილი 54,4 კმ, ხოლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ წერტილებს შორის – 89,2 კმ-ია. ტერიტორიის ორთოგრაფიას მაღალი ქედები და მათი მძლავრი განშტოებები ქმნიან. მათგან აჭარა-გურიისა (ჩრდილოეთი მხარე) და შავშეთის ქედები (სამხრეთი მხარე) თითქმის განედობრივი მიმართულებისაა. მათი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 2000-2500 მ-ია, ხოლო ცალკეული მწვერვალები 3000 მ-ს უახლოვდება. უმაღლესი წერტილია ყანლის მთა (კენჭიანის მთა) – ზღვის დონიდან 2992 მ (სხვა ვერსიით – ზღვის დონიდან 3007 მ).

აჭარა გეოგრაფიულად მდებარეობს დედამიწის სუბტროპიკული ზონის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ძირითადად, ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული ჰავით, რაც ხელს უწყობს შესაბამისი სოფლის მეურნეობის განვითარებას. გააჩნია პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე და მოხერხებული მდებარეობა ევროპისა და აზიის გზასაყარზე. ჩართულია ტრანსევრაზიის საერთაშორისო სატრანსპორტო კომუნიკაციებში. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის როგორც ტურიზმის, ისე ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის.

აჭარის საზღვრების საერთო სიგრძე 304,6 კმ-ია. მათ შორის 251,1 კმ (82,4%) სახმელეთოა, ხოლო 53,5 კმ (17,6%) – საზღვაო.

რელიეფი

აჭარა გეომორფოლოგიურად მრავალფეროვანი რეგიონია. მისი რელიეფის ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორებია ენდოგენურ-ტექტონიკური პროცესები (ზღვის დახევა, რელიეფის ფორმირება) და ეგზოგენურ-დენუდაციური პროცესები და გამოფიტვა (დაშლა, ეროზია, გამოფიტვა).

ტერიტორია უმეტესად გორაკ-ბორცვიანია: ტერიტორიის 5,3% უჭირავს დაბლობებს, 9,3% გორაკ-ბორცვებს და 85,4% – მთისწინეთებსა და მთებს. აჭარაში ყველაზე დაბალი ადგილია ისპანის დაბლობი (ზღვის დონიდან 8 მ.), ხოლო უმაღლესი – ყანლის მთა (ზღვის დონიდან 2992 მ). ზღვის დონიდან 200 მ-მდე მდებარეობს მთელი ტერიტორიის 12,9%; 201 მ-დან 500 მ-მდე – 12,2%; 501 მ-დან 1000 მ-მდე – 17,3%; 1001 მ-დან 2000 მ-მდე – 43,4%; 2000 მ-ზე მაღლა – 12,2%.

აჭარის რელიეფის მთავარი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ რელიეფი ზღვიდან მთებისკენ ამფითეატრისებურად მაღლდება, რომლის ძირითად ხეობებს შიდა განშტოებები გააჩნია.

რელიეფის ფორმებითა და ბუნების სხვა ძირითადი ნიშნებით აჭარაში გამოიყოფა ხუთი გეომორფოლოგიური ერთეული. ესენია: ზღვის სანაპირო დაბლობი გორაკ-ბორცვიანი ზონით, აჭარა-გურიის ქედი, შავშეთის ქედი, არსიანის ქედი და აჭარის ქვაბული.

რელიეფის რთული ხასიათი, ფერდობების დახრილობისა და დანაწევრების მაღალი დონე აფერხებს მეურნეობის განვითარებას შიდა რაიონებში, თუმცა ზღვისპირა რაიონებში რელიეფის თავისებურებას გააჩნია მოსახლეობის განსახლებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობები.

აჭარის ტერიტორიის ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხი, ფერდობების ათვისება, ხის ჭრა, ზღვის ნაპირების გარეცხვა (აბრაზია), ჩამონატანების გადატანა-დაგროვება განაპირობებს სტიქიური მოვლენების განვითარებას. მათგან აღსანიშნავია მეწყრული პროცესები (2000 წლისათვის დაფიქსირებულია 2000-ზე მეტი მეწყერი ან ღვარცოფი), თოვლის ზვავები, კლდეზვავები, ქვაცვენა, ნიადაგის ეროზია.

კლიმატი

რელიეფის ძლიერი დანაწევრებისა და სიმაღლითი სარტყლურობის გამო, აჭარის ჰავას ახასიათებს ნათლად გამოხატული ვერტიკალური ზონალურობა, რომელსაც მნიშვნელოვნად არბილებს დასავლეთიდან მოსული ზღვიური ჰაერის მასები. ამ თავისებურებების შედეგად, ჰავის ძირითადი ელემენტების – ღრუბლიანობის, ქარების, სინოტივის, ტემპერატურისა და ნალექების განაწილება საკმაოდ არათანაბარია.

ღრუბლიანობა, ანუ ცის თაღის დაფარვის რაოდენობა აჭარაში საშუალოდ 64% (აღმოსავლეთ საქართველოში 50-60%, დასავლეთში 55-64%), ანუ ამ მაჩვენებლით საქართველოს მასშტაბით აჭარა გამოირჩევა. მზის ნათების ხანგრძლივობა 1900-2000 საათს შეადგენს წელიწადში (ბათუმში 2200 საათი, მწვანე კონცხზე 1930 საათი). საშუალო მაჩვენებლით მზის ნათება ზაფხულში 8-9 საათია, ხოლო ზამთარში 3,5-4 საათი.

შიდა აჭარა, სამი მხრიდან ჩაკეტილობის გამო, სეზონების მიხედვით ჰაერის მასების მოძრაობის მიუხედავად, შედარებით თბილი ზამთრით და გრილი ზაფხულით ხასიათდება.

რელიეფის თავისებურება ასევე აისახება იმაშიც, რომ სიმაღლის ყოველ 100 მეტრზე ტემპერატურა საშუალოდ ეცემა 0,5-0,6 გრადუსით, ხოლო ტენიანობა ჯერ მატულობს, ხოლო შემდეგ ეცემა.

აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება ორი კლიმატური ნაწილის არსებობას განაპირობებს – აჭარის ზღვისპირა მხარე და შიდა აჭარა.

ზღვისპირა მხარეში ჰავა ტენიანი სუბტროპიკულია. საშუალო ტემპერატურა იანვარში არის +4,5+7,1 გრადუსი, ხოლო აგვისტოში – +21,1+23,2 გრადუსი. შემოდგომა-გაზაფხული თბილია. უყინვო დღეების რაოდენობა 260-300 დღეა. ტემპერატურის მინიმუმი ფიქსირდება ცეცხლაურსა და ოჩხამურში – -17 გრადუსი, ხოლო მაქსიმუმი ჭარნალში – +43 გრადუსი. ნალექების რაოდენობა მატულობს სიმაღლის მატებასთან ერთად. ბათუმში (ზღვის დონიდან 5 მ) საშუალო ტენიანობა 2560 მმ, მტირალაზე (ზღვის დონიდან 1210 მ) 3898 მმ. წლის თბილ სეზონზე მოდის ნალექების 54,7%. ნალექების მაქსიმუმი შემოდგომაზე მოდის (სექტემბერი), მინიმუმი აპრილ-მაისში. ნალექიანი დღეების რაოდენობა 170 შეადგენს. საშუალოდ დღეში მოსული ნალექის ოდენობა 5 მმ შეადგენს. ნალექის მაქსიმუმი 12 საათის განმავლობაში 133,7 მმ შეადგინა (1970 წელი). წუთში ნალექის მაქსიმუმი 1,95 მმ მოსულა. თოვლი ნოემბრიდან-აპრილამდე მოდის. თოვლიანი დღეების რაოდენობა 15-17 დღეს, ხოლო თოვლის საშუალო სიმაღლე 35 სმ შეადგენს.

შიდა აჭარის მხარე უფრო მშრალი და ცივი კლიმატით გამოირჩევა. ყველაზე ცივი თვე იანვარია. საშუალო ტემპერატურაა 0+3 გრადუსი; თბილი თვეები აგვისტო-სექტემბერია. საშუალო ტემპერატურაა +20+23 გრადუსი. ტემპერატურა კლებულობს სიმაღლის მატებასთან ერთად – საშუალოდ 100 მეტრზე 0,7-ით (ძირითადად ზაფხულში). შემოდგომა გაზაფხულზე თბილია. ტემპერატურის მაქსიმუმი დაფიქსირებულია შუახევში – +43 გრადუსი, ხოლო მინიმუმი გოდერძის უღელტეხილზე – -22 გრადუსი. თბილ პერიოდში ტემპერატურა შიდა აჭარაში +24+42, ხოლო მინიმალური – -15-24 გრადუსებს შორის მერყეობს (შესაბამისად – ქედაში (ზღვის დონიდან 256 მ) და გოდერძის უღელტეხილზე (ზღვის დონიდან 2025 მ)). ყინვა შიდა აჭარის ქვედა ნაწილში 40 დღემდე გრძელდება, ხოლო ზედა ნაწილში 80-120 დღეა. სავეგეტაციო პერიოდი ქვედა ნაწილში 7-8 თვეა, ზოლო ზედა ნაწილში – 6 თვე. ნალექების რაოდენობა კლებულობს სანაპიროდან დაშორებასა და სიმაღლის მატებასთან ერთად. ყველაზე მცირე ნალექი შუახევში მოდის – 950-958 მმ. საშუალო წლიური ნალექიანობა ხიხაძირში (ზღვის დონიდან 1300 მ) – 1290 მმ, ხოლო სინდიეთში (ზღვის დონიდან 70 მ) 1989 მმ-ია.

გეოლოგია და სასარგებლო წიაღისეული

გეოლოგიური თვალსაზრისით, დღევანდელი აჭარის ტერიტორია ოლიგოცენის პერიოდის მეორე ნაწილში (45 მლნ წლის წინ), აღმოსავლეთი სექტორის გარდა, ზღვით იყო დაფარული. თუმცა, სხვადასხვა სახის გეოლოგიური აქტივობა ამ ტერიტორიაზე უფრო ადრეც მიმდინარეობდა. სარმატული პერიოდის ბოლოდან (11 მლნ წელი) ხდება ხმელეთის ფორმირება, რომელიც შემდგომ პერიოდებში აქტიურად განიცდიდა რელიეფის აწევ-დაწევას, ვულკანურ პროცესებს, ეროზიას და ნაშალის დაგროვებას, გამყინვარებას, დათბობას და ა.შ. სხვადასხვა სახის ნეოტექტონიკური პროცესები რეგიონში ახლაც მიმდინარეობს (საინტერესოა 15 მლნ წლის ასაკის გაქვავებული ტყე გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, სადაც გიგანტური ვაზის ნამარხიც ფიქსირდება).

მინერალური რესურსების თვალსაზრისით აჭარა ბოლომდე შესწავლილი არ არის. აჭარის ტერიტორიაზე წარმოებული კვლევების შედეგად გამოვლენილია შემდეგი სასარგებლო წიაღისეული: სპილენძი, ოქრო, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები (გაბრო--დიაბაზი, სიენიტ-დიორიტი, ანდეზიტი, ბაზალტი), სხვადასხვა სახის თიხები (სააგურე, ცეცხლგამძლე, ბენტონიტური, ფერალიტური, საღებავი და სხვ.), ტორფი, ტყვია, რკინა, პოლიმეტალები (ტელური, სელენი, კადმიუმი, გალიუმი), მაგნეტიტური ქვიშა, ალუნიტი, საიუველირო ქვები (იასპი, ოპალი, ქალცედონი, გაქვავებული ხე, დოლერიტი).

აჭარა განსაკუთრებით მდიდარია მინერალური წყლებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ჭახათის, ხუცუბნის, კვირიკეს, შუაღელეს, გორგაძეების, ჩაქვისთავის, აგარას, ზვარეს, ზენდიდის, ცხმორისის, უჩამბის, დანისპარაულის, ბეშუმის, ნამონასტრევის წყაროები. ამ ეტაპზე განსაკუთრებით გამოიყენება **კოკოტაურის** მინერალური წყალი. თერმული წყლებიდან აღსანიშნავია **მახინჯაურის წყალი** (დებეტი 400000 ლიტრი, შემცველობა: ქლორ-ნატრიუმი 44%, სოდა 30%, გოგირდწყალბადი 6%, ნახშირმჟავა სულფიდები 20% და სხვა ნაერთები); **შუახევის გოგირდწყალბადოვანი წყარო** (ტემპერატურა 30^{0}C); **ტომაშეთის წყარო** (დებეტი 100000 ლიტრი, ტემპ. 30,5^{0}C); შუბანი (დებეტი 10000 ლიტრი, ტემპ. 31^{0}C).

შიდა წყლები

აჭარის შიდა წყლები საკმაოდ მრავალფეროვანია.

მდინარეები. განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარეები, რომლებიც რელიეფის თავისებურებების გამო ჩანჩქერებით, ჭორომებით და დინების სხვადასხვა სიჩქარით ხასიათდება. აჭარაში 5 კილომეტრზე მეტი სიგრძის 1564 დიდი თუ პატარა მდინარეა. მათი საერთო სიგრძეა 8600 კმ. მდინარეთა დიდი ნაწილი შავი ზღვის აუზს, ხოლო ქვაბლიანა, ძინძისუ და ბეშუმი – კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება.

ჭოროხი მოედინება თანამედროვე თურქეთში მდებარე მთიანეთიდან. მისი სიგრძე 438 კმ-ია, საქართველოში ის მარადიდთან შემოდის და 26 კმ-იან მონაკვეთზე მიედინება. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულსა და შემოდგმაზე. მისი შენაკადებია აჭარისწყალი, მაჭახლისწყალი, მახოსწყალი, ჭარნალი, ჯოჭოსწყალი და სხვა. ადრე ჭოროხი სანაოსნოდ გამოიყენებოდა.

აჭარისწყალი იწყება არსიანის ქედიდან, მწვანე ტბის მიდამოებში. მისი სიგრძე 90 კმ-ია. მდინარეს აქვს რამდენიმე კანიონი (თაგო-განახლებასთან, ზამლეთ-ნიგაზეულსა და ბუთურაულს შორის, კლდისუბან-ახალდაბას შორის, გუნდაურ-კოკოტაურს შორის, მახუნცეთ-აწჰესს შორის). მისი შენაკადებია: მარცხნიდან – ტაბახმელასწყალი, სხალთისწყალი, ჩირუხისწყალი, აკავრეთა, ხოხნისწყალი, ბზუბზუ და სხვ. მარჯვნიდან – ღორჯომი, დიაკონიძეები, ჭვანისწყალი და სხვ.

სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია: ტიბაში, ბარცხანა, ყოროლისწყალი, ჩაქვისწყალი, აჭყვისწყალი, დეხვა, კინტრიში, ჩოლოქი.

ტბები. აჭარა ტბებით არცთუ ისე მდიდარია. პატარ-პატარა ტბები გვხვდება როგორც დაბლობ, ისე მთიან ზონაში. ყველა ტბა მტკნარია. მთიან აჭარაში ტბები ნეოტექტონიკური პროცესების შედეგადაა გაჩენილი. აღსანიშნავია დიდი და პატარა მწვანე ტბები (4 ტბა) დიდაჭარის იაილასთან (ზღვის დონიდან 2040 მ.). სხვა ტბებს მიეკუთვნება სარიჩაირის, ბოძაურის, ბეშუმის, თეთრობის და სხვა. ზღვისპირა ზონაში გამოიყოფა რელიქტური ნურიგელის ტბა, უსახელო და სხვა ტბები.

ჭაობები. აჭარაში ჭაობები ძირითადად სანაპირო დაბლობებზეა გავრცელებული. აღსანიშნავია ქობულეთის ანუ ისპანის ჭაობი. ჭაობის დიდი ნაწილი (200 ჰა-მდე) დაშრობილი იქნა, ამჟამად საერთო ფართობი არის 766 ჰა. ქობულეთის ჭაობი მდიდარია ტორფით. ისპანის ჭაობი მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური პერკოლაციური გუმბათისებური ჭაობია და იგი შედის ქობულეთის დაცულ ტერიტორიაში აღკვეთილის სახით.

მიწისქვეშა წყლები. აჭარა მიწისქვეშა წყლებით მდიდარია, რაც განპირობებულია რეგიონის გეომორფოლოგიური და ჰიდროგრაფიული თავისებურებებით. გრუნტის წყლები მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ყველგან, მათ შორის აღსანიშნავია კახაბერი, სადაც სასმელი წყლის დიდი მარაგია. მთიან აჭარაში უხვადაა მიწისქვეშა წყლები, რომლებიც წყაროების სახით გამოედინებიან (დეტალურად იხილეთ გეოლოგია და სასარგებლო წიაღისეული).

შავი ზღვა აჭარის ჰიდროგრაფიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ისტორიულად შავი ზღვა მნიშვნელოვან სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებდა. მას დიდი სარეწაო დანიშნულებაც აქვს. მდიდარია ზუთხით, ქაშაყით, კეფალით, სტავრიდით, შპროტით, კატრანით, ქაფშიით, სხვადასხვა მოლუსკებით, განსაკუთრებით, რაპანით. შავი ზღვა ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

ნიადაგები და მცენარეული საფარი

რელიეფის, კლიმატის და ბიოეკოლოგიური თავისებურებების გავლენით, აჭარაში წარმოდგენილია ალპური, სუბალპური, მთა-ტყის და ტენიანი სუბტროპიკების, ანუ ბარის ოლქის ნიადაგები.

აქ გავრცელებული ნიადაგების ძირითადი ტიპებიდან ყველაზე მეტად გამოყენებულია წითელმიწა, ალუვიური და ყომრალი ნიადაგები.

სხვადასხვა გეოგრაფიული ფაქტორის გავლენით (გეოლოგიური ისტორია, ტემპერატურა, ტენიანობა, რელიეფი, ნიადაგები და სხვა) აჭარაში მრავალფეროვანი მცენარეული საფარია წარმოდგენილი. მასზე მნიშვნელოვანი გავლენა ანთროპოგენურმა ფაქტორმაც იქონია (წარმოდგენილია დიდი რაოდენობით ინტროდუცირებული, ანუ შემოტანილი სახეობები – ციტრუსები, სხვადასხვა კულტურული მცენარე). აჭარაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილია რელიქტური (უძველეს სახეობათა ნაშთები) და ენდემური, ანუ ადგილობრივი წარმოშობის სახეობა. აქვე ხარობს 439 ადვენტური (ახალი ჯიშების გადმოტანისას გადმოყოლილი ან გაკულტურების შემდეგ გაველურებული) მცენარის სახეობა. ტყისათვის დამახასიათებელია იარუსიანობა (ტყე, ქვეტყე, ბუჩქნარები, ბალახები, ხავსები).

აჭარის ფლორისტულ რაიონში ველურად მოზარდი 1837 სახეობა აღირიცხება, რომლებიც 159 ოჯახსა და 742 გვარში ერთიანდება.

ველურად მოზარდ მცენარეთაგან 20 სახეობა „საქართველოს წითელი ნუსხით“ არის დაცული.

აჭარაში ფართოდ არის გავრცელებული: **კოლხური მუხა (Quercus hartwissiana), პონტოს მუხა (Quercus ponticum), პონტოს შქერი (Rhododendron ponticum), ძმერხლი (Ruscus colchicus), მელიქაური (Daphne pontica), ჩვეულებრივი ჯონჯოლი (Staphylea pinnata), კოლხური ბზა (Buxus colchica), მედვედევის არყი (Betula medwedewii)** და სხვა. მათი ძირითადი ნაწილი ენდემურია. უიშვიათეს რელიქტებს მიეკუთვნება: **სმირნოვის შქერი (Rhododendron smirnowii)** და **ეპიგეა (Epigaea gaultherioides).** ეს სახეობები მხოლოდ აჭარასა და ლაზეთში გვხვდება. აჭარის ფლორის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აქ დომინირებს ენდემური სახეობები.

აჭარის ფლორისტულ რაიონში სულ 172 ენდემური სახეობაა დაფიქსირებული, რომლებიც 40 ოჯახსა და 107 გვარში ერთიანდებიან, რაც აჭარის მთელი ფლორისტული შემადგენლობის დაახლოებით 11%-ს წარმოადგენს.

179 ენდემური სახეობიდან კავკასიის ენდემია – 72, კოლხეთის – 40, საქართველოს – 25, აჭარა-ლაზეთის – 25, აჭარის – 10 სახეობა.

აჭარის ველურ მცენარეთა ნაწილი საკვებად გამოიყენება. მაგ., ველური ხილი (ხურმა, ქაცვი, ლეღვი, ბალი, ტყემალი და სხვ.), ველური თხილი, წაბლი, კენკრა (მოცვი, მაყვალი, ანწლი და სხვ.). ასევე საკვებად ვარგისია აქ გავრცელებულ სოკოს სახეობათა ნაწილი (სულ წარმოდგენილია 2109 სახეობის სოკო).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აჭარის მცენარეულობა სამკურნალო თვალსაზრისით. აღსანიშნავია აქ გავრცელებული ბაღის პიტნა, კატაბალახა, კუნელი, მჟაველა, ომბალო, სვია, ქაცვი, მოცხარი, ღვედკეცი, შქერი, კოლხური ჯონჯოლი, ძმერხლი, ხარისშუბლა, ხეჭრელი, ჭინჭარი და სხვ.

აჭარის ტყეები იძლევა ძვირფას მერქანს სამშენებლო და საავეჯო მრეწველობისათვის, ფართოდ ხდება მათი გამოყენება შეშის დასამზადებლადაც. თუმცა, გარემოსდამცველების შეფასებით, აქაურ ტყეებს, ძირითადად, დაცვითი ფუნქციები აქვს (ზვავსაწინააღმდეგო, ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, ქარსაცავი), ამდენად, მერქნის ჭრა მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. აჭარის ტყეებს საკურორტო მნიშვნელობაც გააჩნია.

ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, მცენარეების ბევრი სახეობა გადაშენების გზაზეა და შეტანილია წითელ წიგნში: ურთხმელი, არყი, შქერი, ლაფანი, ეპიგეა, ჭოროხის და კოლხეთის მუხა, კოლხური ჯონჯოლი და სხვა მრავალი.

ცხოველთა სამყარო

ეკოლოგიური პირობების, კლიმატის, მცენარეულობის ცვლილებამ და ანთროპოგენურმა ფაქტორმა შეცვალა აჭარის ფაუნა, მაგალითად, მინიმუმამდე შემცირდა ან გადაშენდა

მგელი, გარეული ღორი, კვერნა, წავი და სხვა. აჭარა ფაუნის თვალსაზრისით შედის კოლხეთის მხარეში, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ანთროპოგენულ ლანდშაფტებს. გავრცელებულია კავკასიური და ჭანური მურა დათვი, მგელი, მთის მელა, ტურა, ტყის კატა, კავკასიური ფოცხვერი, მაჩვი, ტყის კვერნა, გარეული ღორი, ევროპული შველი, არჩვი, კოლხური თხუნელა, პონტური ზღარბი, ხმელთაშუაზღვის და ჩვეულებრივი ღამურა. აჭარაში მრავალფეროვანი ფრინველთა სახეობებია, რომელთა რაოდენობა იზრდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე მიმოფრენის პერიოდში. მათ მიეკუთვნება: ოფოფი, მწყერი, ტყის ქათამი, გარეული იხვი, გარეული ბატი, ზღვის მექვიშიაქორი, კოდალა, როჭო, მიმინო, მტრედი, გუგული, გვრიტი, ბუ, თოლია, მერცხალი, შაშვი, ჩხიკვი, შოშია, მოლაღური, სკვინჩა და სხვა მრავალი. აჭარაში მცირე რაოდე-

ნობითაა ქვეწარმავლები: ანკარა, გველხოკერა, კუ, ქამელეონი, ტრიტონი, ჩვეულებრივი და მწვანე გომბეშო, ტყის და მცირეაზიული ბაყაყი. ზღვის ცხოველებიდან და თევზებიდან აღსანიშნავია ზღვის ღორი, ზღვის ორაგული, ქაშაყი, ქაფშია, სკუმბრია, კატრანი, მიდიები, რაპანა და სხვა. 1880 წელს შავ ზღვაში, ქობულეთის სანაპიროსთან, დაფიქსირებულია ვეშაპი, რომელიც მოკლული იქნა რუსი კაზაკების მიერ. მდინარეებში მრავლადაა კალმახი, კოლხური წვერა, ღორჯო და სხვა.

რეკრეაციული რესურსები

აჭარა რეკრეაციული რესურსებით მრავალფეროვანი რეგიონია. ძირითადი რესურსია ზღვის სანაპირო, რომელზეც მოდის აჭარაში შემოსულ დამსვენებელთა 80%-ზე მეტი. ტურისტებს იზიდავს ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები. აქ, 100 კმ-ის ფარგლებში შერწყმულია ზღვის სანაპიროსა და მთის ლანდშაფტები. სიმაღლის მატებასთან ერთად, დაბალი ზონის ლანდშაფტები თანდათანობით გადადის მთის ეგზოტიკურ ლანდშაფტებში, რომელიც განსაკუთრებულ ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. აჭარაში მრავლადაა უძველესი და თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობანი. საკურორტო-ტურისტულ მეურნეობაში ფართოდაა ჩართული ბუნებრივი ლანდშაფტები დაცული ტერიტორიების სახით.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები. ქობულეთის დაცული ტერიტორიები 1999 წელს შეიქმნა და მოიცავს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალსა (331 ჰა) და ქობულეთის აღკვეთილს (439 ჰა), რომლებიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შავი ზღვის გასწვრივ, ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით მდებარეობს.

გეოლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორია აგებულია თანამედროვე (მეოთხეულ პერიოდში) ზღვიურ-მდინარეული და ტბიურ-ჭაობის ნალექებით. ქობულეთის დაცული ტერიტორია მოიცავს ისპანას ტორფის საბადოს. რელიეფი ბრტყელია და ოდნავ ეროზირებულია მდინარეების შავი ღელესა და ტოგონის მიერ. აქ ტიპიური ზღვის, ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატია. წლიური ნალექიანობა 1500-2500 მმ-ია, რის უმეტესობაც წვიმის სახით შემოდგომისა და ზამთრის სეზონებზე მოდის. ეს ადგილები გადამფრენი წყლის ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თუმცა ეს ადგილები განსაკუთრებულად მდიდარია მცენარეთა სახეობებით. ისპანი I-ზე დღევანდელი მდგომარეობით წარმოდგენილია ნახევრად დეგრადირებული, მეორადი მცენარეული დაჯგუფებები. ისპანი II (ქობულეთის აღკვეთილი) მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური პერკოლაციური გუმბათისებრი ჭაობია, რომელიც მხოლოდ წვიმის წყლით საზრდოობს. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ტორფიანი ჭაობის საერთო ფონს ტორფის ხავსები – სფაგნუმის სახეობები, ე.წ. „იმერული ისლი“, თეთრი რინხოსპორა, კავკასიური რინხოსპორა, ტორფის ისლი, წყლის სამყურა და მრგვალფოთოლა დროზერა და ზოგიერთი სხვა ქმნიან. ამ მცენარეთა უმეტესობა ჩრდილოური (ბორეალური) წარმოშობისაა, მათ კოლხეთში მეოთხეული პერიოდის გამყინვარების ეპოქაში შემოაღწიეს. აქაურ ტორფიან ჭაობებში იზრდებიან კოლხური მცენარეე-

ბიც: შქერი, იელი, ეკალღიჭი და სხვ. ქობულეთის აღკვეთილში გვხვდება იშვიათი და გადაშენების პირას მისული სამეფო გვიმრაც.

ძუძუმწოვრებიდან აქ ბინადრობენ: ტურა, წავი, მაჩვი, ნუტრია, კურდღელი, ბუჩქნარის მემინდვრია, მინდვრის თაგვი და სხვა. აღსანიშნავია, რომ წავი საქართველოს „წითელ ნუსხაშია" შეტანილი. ამფიბიებიდან გვხვდება: კასპიისა და ჭაობის კუ, ჩვეულებრივი გომბეშო, მწვანე ბაყაყი, ჩვეულებრივი ვასაკა და სხვა, რეპტილიებიდან კი – წყლის ანკარა, ჩვეულებრივი ანკარა, ბოხმეწა, გველხოკერა, ზოლიანი ხვლიკი, ჩვეულებრივი ტრიტონი და სხვა. თევზებიდან არხებში ქარიყლაპია, კარასი, ქორჭილა და მდინარის გველთევზა გვხვდება.

კინტრიშის დაცული ტერიტორიები. კინტრიშის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედის 1959 წელს დაარსებული კინტრიშის ნაკრძალი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი, რომელიც 2007 წელს დაარსდა. კინტრიშის დაცული ტერიტორიები მდებარეობს აჭარაში, ქობულეთის რაიონში, მდინარე კინტრიშის ხეობაში სოფელ ცხემლოვანსა და ხინოს მთას შორის. მისი ტერიტორიები შავ ზღვას და აჭარა-იმერეთის მთათა სისტემას შორის არის მოქცეული. ეს მთები ზღვის ტენიან ჰაერს აკავებს და კინტრიშის უაღრესად ტენიან ჰავას განსაზღვრავს. მთელი წლის მანძილზე აქ თითქმის იმდენივე ნალექი მოდის (3000 მმ), რამდენიც აჭარის ზღვის სანაპიროზე. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +24 გრადუსი, ხოლო იანვრის +4 გრადუსია. ნაკრძალის მთიანი რელიეფი ღრმა ხეობებითაა დასერილი. ნაკრძალის წყლის მთავარი არტერია – მდინარე კინტრიში სათავეს ხინოს მთიდან იღებს და კურორტ ქობულეთის სიახლოვეს შავ ზღვაში ჩაედინება. მისი საერთო სიგრძე 45 კილომეტრია. ნაკრძალის დანარჩენი მდინარეები და ღელეებია: ხეკნარა, პერანგა, მამედაღი, დიდღელე, მისანათის ღელე, რომელზეც 30-მეტრიანი თვალწარმტაცი ჩანჩქერია. ბოლქვაძეების ღელე და ჩრდილა – ორსაფეხურიანი 70 მეტრის სიმაღლე წყალვარდნილით, სწორედ კინტრიშის შენაკადებს წარმოადგენს. მაღლა მთებში 2200 მეტრის სიმაღლეზე განლაგებულია ორი პატარა ტბა, რომელთა ფართობი 1,5 ჰექტარს არ აღემატება. აქედან პირველი ტბა უშუალოდ ნაკრძალის ტერიტორიაზეა განლაგებული, მეორე კი – მის საზღვრებს გარეთ.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორისთვის აჭარული ენდემების, მდიდარი მარადმწვანე ქვეტყის, გვიმრების და ლიანების სიმრავლეა დამახასიათებელი. ნაკრძალის დენდროფლორა 102 სახეობას ითვლის. აქ 46 სახეობის ხის, 4 სახეობის ბუჩქის და ლიანების 8 სახეობის ნახვაა შესაძლებელი. აქაური რელიქტებია: პონტოური მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, უთხოვარი, კოლხური ჯონჯოლი, თაგვისარა, კავკასიური ხურმა, ჩვეულებრივი წაბლი.

კინტრიშის ტერიტორიაზე მრავალი საინტერესო მცენარე იზრდება: შქერი, პონტოს როდოდენდრონი, კავკასიური დეკა, მოცვი, წყავი, იელი, არყი და პონტოს მუხა.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების მდინარეები და ხევები მდიდარია კალმახით. მდინარე კინტრიშის ქვემო დინებაში ხშირად შეხვდებით შამაიას და საზანს. ამბობენ, რომ

ადრე კინტრიშს შავი ზღვიდან საქვირითოდ ხშირად სტუმრობდა ორაგული. კინტრიშში გვხვდება სამი სახის ხვლიკი და გველის რამდენიმე სახეობა. ამფიბიებიდან ნაკრძალში მცირეაზიური ტრიტონი, ჩვეულებრივი გომბეშო, ვასაკა, მცირეაზიური და ტბის ბაყაყები, აგრეთვე, ჩვეულებრივი და წყლის ანკარები, სპილენძა გველი და კავკასიური გველგესლა გვხვდება.

ნაკრძალის ორნითოფაუნა საკმაოდ მდიდარია მტაცებელი ფრინველებით. აქ აღრიცხულია ჩია არწივი, კაკაჩა, ქორი, მიმინო, მარჯანი, ჩვეულებრივი კირკიტა; აგრეთვე, ღამის

მტაცებლები: ზარნაშო, წყრომი და ჭოტი. სხვა ფრინველებიდან კინტრიშში ბუდობს ოფოფი, კოდალა, ყორანი, შაშვი, მოლაღური და აგრეთვე ისეთი იშვიათი ფრინველები, როგორებიცაა: კავკასიური როჭო და კასპიური შურთხი.

მცირე ძუძუმწოვრებიდან კინტრიშის ხეობის მკვიდრები არიან: თხუნელა, სინდიოფალა, კავკასიური (სპარსული) ციყვი, კურდღელი, მელა, მაჩვი, ტყის კატა, წავი.

ჩლიქოსნებიდან ნაკრძალის ტყეებში ბინადრობს შველი, უფრო მაღლა კი, ალპური და სუბალპური სარტყლების საზღვარზე, არჩვი და გარეული ღორი. მტაცებლებიდან ნაკრძალში მურა დათვი ბინადრობს, რომლის პოპულაცია საკმაოდ სტაბილურია.

აქ საქართველოს „წითელი ნუსხის“ შემდეგი სახეობებია გავრცელებული: კალმახი, კავკასიური სალამანდრა, მურა დათვი, წავი, კავკასიური როჭო, კასპიური შურთხი, ბექობის არწივი, შავარდენი, მცირეაზიური ტრიტონი.

მდინარე კინტრიშზე შემორჩენილია შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდების ნანგრევები, ხოლო მის უშუალო სიახლოვეს მყოფი ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია: ნინოწმინდის ეკლესია სოფელ დიდვაკის მახლობლად, ელიას ციხე სოფელ აჭყვისთავთან და მამუკას ციხე სოფელ ალამბარის მახლობლად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ ტერი-

ტორიაზე კიდევ უფრო ძველი – ქრისტიანობამდელი ძეგლებიცაა აღმოჩენილი. მიკვლეულია ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულების კოლხური ნამოსახლარები და რკინის საბადოების ნაშთები. მდინარე კინტრიშის მარჯვენა ტერასაზე, სოფლების – ხუცუბნისა და ქობულეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადრინდელი ნეოლითის კაჟისა და ობსიდიანის იარაღი.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ის სულ რაღაც ოციოდე კილომეტრზეა განლაგებული კურორტ ქობულეთიდან, სადაც მრავალრიცხოვანი სასტუმროები, რესტორნები და ოჯახური სასტუმროები არსებობს. დაცულ ტერიტორიებზე შესაძლებელია საწყალოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა. დაცულ ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში გაიხსნება ტურისტული მარშრუტები.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი. გაშენებულია ბათუმის ტერიტორიაზე – მწვანე კონცხზე, 108,7 ჰა ფართობზე.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის რელიეფი მთაგორიანია, ნიადაგი – წითელმიწა, ყომრალი და ალუვიური. ბოტანიკური ბაღის და სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მწვანე კონცხზე შექმნის იდეა, მიხეილ დ'ალფონსისა და პავლე ტატარინოვის მიერ უკვე შექმნილი ბაღის მონახულების შემდეგ, გასჩენია ცნობილ გეოგრაფსა და ბოტანიკოსს, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორ ანდრეი კრასნოვს. ამის საფუძველზე 1912 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით გადაწყდა ბოტანიკური ბაღის დაფუძნება და შესაბამისი მიწის გამოყოფა. ბოტანიკური ბაღი წლების განმავლობაში ივსებოდა და მდიდრდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეების მცენარეებით. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ბუნებათმცოდნემ და დეკორატორმა იასონ გორდეზიანმა, რომელიც 1914 წლიდან, ა. კრასნოვის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ფაქტობრივად, განაგებდა ბოტანიკურ ბაღს ბაღში სამი დენდროპარკი, კოლხეთის ტყის ნაკრძალი და ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პრინციპით შექმნილი 9 ფიტოგეოგრაფიული განყოფილებაა: **ამიერკავკასიის ტენიანი სუბტროპიკების, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ჰიმალაის, აღმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, მექსიკისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისა**. მცენარეთა კოლექცია მოიცავს დაახლოებით 1600 ტაქსონს. ბაღში კარგად ხარობს უნიკალური მცენარეები: პოდოკარპუსი ტოტარა, სამხრეთ კორდილინე, ჰიმალაური შქერი, ნეპალის მარადმწვანე მურყანი, მარადმწვანე მუხები, იაპონური კამელიის 70-მდე ჯიში, პალმისებრი ნეკერჩხლის 20 ფორმა, მაგნოლიის 22 სახეობა და ფორმა, იელების მდიდარი კოლექცია, საპნის ხე, ქონის ხე, ბამბუკის მრავალი სამრეწველო ჯიში, მამონტის ხე, მარადმწვანე

სექვოია, მეტასექვოია, სწრაფმზარდი ფოთოლმცვივანი მუხები, მექსიკური ფიჭვები, ჩრდილოეთ ამერიკული და მექსიკური ტაქსოდიუმი, მრავალი სახეობის კაქტუსი, სამხრეთ ამერიკის მანიჰოტი და სხვა. აქვეა კავკასიური, კერძოდ, კოლხეთის მესამეული პერიოდის რელიქტები: უნგერნის შქერი, პონტოური შქერი, წყავი, წყავმაზა, პონტოური მუხა და სხვა. კარგად არის დაცული უძველესი პერიოდის კოლხური ტიპის ტყე.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა **მცენარეთა ინტროდუქციის, ადგილობრივი ფლორის და კონსერვაციის, მცენარეთა დაცვის და მეყვავილეობის** განყოფილებები. ბაღიდან გავრცელდა ევკალიპტი, ქაფურის ხე, ევკომია, ტუნგი, ფორთოხალი („ვაშინგტონ-ნაველი“), ფეიჰოა, აღმოსავლური ხურმა, ახალზელანდიური სელი.

დეკორატიულ მებაღეობაში დაინერგა მრავალი მცენარე. 1972 წლიდან შესწავლილია დაყვავილებული და გამხმარი ბამბუკის პლანტაციის აღდგენის საკითხები, გამოყვანილია ფორთოხლისა და მანდარინის ჰიბრიდები. გაცვლის წესით სუბტროპიკულ მცენარეთა თესლები, კალმები და ბოლქვ-გორგლები ეგზავნება უცხოეთის სხვადასხვა ბოტანიკურ დაწესებულებას, გამომცდელ მოყვარულებს. ბაღს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა (დაახლოებით 23.000 ერთეული) და 42000 ფურცელზე მეტი ჰერბარიუმი.

მტირალას ეროვნული პარკი. მტირალას ეროვნული პარკი 2007 წლის 27 ივნისს გაიხსნა. პარკის ფართობია 15804 ჰექტარი. მდებარეობს შავ ზღვას და აჭარის მთათა სისტემას ჩაქვის წყლისა და ყოროლისწყლის შორის, წყალგასაყარზე. აქაური მთები ზღვის ტენიან ჰაერს აკავებენ, რაც აჭარის ტენიან ჰავას განსაზღვრავს. მტირალას მთა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1381 მეტრია, ყველაზე ნალექიანი ადგილია – მთელი წლის მანძილზე აქ 4520 მმ ნალექი მოდის, რაც მტირალას არათუ აჭარის, ჩვენი ქვეყნის ყველაზე სველ ადგილად აქცევს. ტოპონიმი „მტირალაც“ ამ მთას სწორედ უხვნალექიანობის გამო შეერქვა.

მდიდარი და მრავალფეროვანია მტირალას ფლორა. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია ტყის მცენარეულობა, რომელიც წაბლნარებით, წიფლნარებით და კოლხური ტიპის შერეული ტყით არის წარმოდგენილი. კოლხური ტიპის ტყეში გვხვდება წიფელი, ცაცხვი, წაბლი, ჩვეულებრივი მურყანი, რცხილა. ქვეტყეს ქმნის შქერი, წყავი, კოლხური ჭყორი, კოლხური ბზა და რამდენიმე ტიპის ლიანა. მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია რიგი იშვიათი და ენდემური სახეობები, როგორებიცაა გაულთერიასმაგვარი ეპიგეა, ფურისულა, მედვედევის არყი და სხვა. ასევე მდიდარია მტირალას ფაუნა: გვხვდება კავკასიური სალამანდრა, მცირეაზიური ტრიტონი, ჩვეულებრივი გომბეშო, ვასაკა, მცირეაზიური და ტბის ბაყაყები, სპილენძა გველი, კავკასიური გველგესლა, ჩია არწივი, კაკაჩა, ქორი, მიმინო, მარჯანი, ჩვეულებრივი კირკიტა, ზარნაშო, წყრომი, ოფოფი, კოდალა, ყორანი, შაშვი, მოლაღური, მურა დათვი, ფოცხვერი, მგელი, სინდიოფალა, კავკასიური ციყვი, კურდღელი, მელა, მაჩვი, ტყის კატა, შველი, გარეული ღორი.

მტრალას (ან ცისკარას) მთის სიახლოვეს მრავლად გვხვდება ადრე და გვიანი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეების და ხიდების ნაშთები. მტირალას პარკთან ახლოს მდებარე სოფლებში შემონახულია უძველესი ხის სახლების უნიკალური ნიმუშები.

მტირალას ეროვნულ პარკში მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა მარშრუტებითა და საპიკნიკე ადგილებით.

მაჭახლის ეროვნული პარკი. მაჭახლის ეროვნული პარკი მდებარეობს მდ. მაჭახლის ხეობაში, რომლის ზემო წელი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ამიტომაც, მისი შექმნის დროს გათვალისწინებული იყო თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან ჯამილის ბიოსფერული რეზერვის არსებობა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითრების შესაძლებლობები. ის შეიქმნა 2012 წლის 15 მაისს.

მაჭახლის ხეობა ხასიათდება ენდემური და რელიქტური სახეობების მრავალფეროვნებით. ტერიტორიის საერთო ფართობი 8733 ჰექტარს შეადგენს. იგი მთლიანად დაფარულია ტყით და მისი ძირითადი ნაწილი ხელუხლებელია. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს კოლხური ტიპის შერეული ფოთლოვანი ტყის ფიტოცენოზს წიფლის დომინირებით. ტყეებში ასევე გვხვდება წაბლი, მუხა და სხვა. მერქნიანი სახეობებიდან 13 შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში. ტერიტორია ასევე მდიდარია ფაუნის თვალსაზრისითაც. უხვადაა ტურისტთათვის საინტერესო და თვალწარმტაცი ადგილები.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებგვერდი http://garemo-adjara.gov.ge/ge/

2. ბათუმის ბოტანიკური ბაღი – 100, თბილისი, 2012.

3. გაგუა ო., დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი, ჟურნ. „ჭოროხი“, №5, ბათუმი, 2012.

4. გორდელაძე ა., აჭარის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ნაკრძალის შესახებ, ბათუმი, 1970.

5. გულისაშვილი ვ., საქართველოს ბუნება და ბუნებრივი ზონები, თბილისი, 1977; მტირალას ეროვნული პარკი და მისი დამხმარე ზონა, თბილისი, 2008.

6. ნიჟარაძე ნ., ჯიბუტი ნ., აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957.

7. პაპუნიძე ვ., ბაგრატიშვილი ნ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი (ისტორიული ნარკვევი, მეგზური), "მეცნიერება", ბათუმი, 1998.

8. ფალავანდიშვილი შ., აჭარის ბუნება და სოფლის მეურნეობა, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2005.

9. საქართველოს დაცული ტერიტორიები, თბილისი, 2007.

10. საქართველოს ზღვისპირეთის დაცული ტერიტორიები, თბილისი, 1999;

11. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდი http://www.apa.gov.ge

12. Шарашидзе Н., Багратишвили Н., Батумский Ботанический сад Академии Наук Грузинской ССР. Издательство «Сабчота Аджара». Батуми. 1988 г.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. დაასახელეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი და უკიდურესი სასაზღვრო ადგილები ჰორიზონტის მხარეების მიხედვით.

2. რას გვეტყვით აჭარის რელიეფსა და კლიმატზე?

3. რა იცით აჭარის მდინარეების, ტბებისა და ჭაობების შესახებ?

4. რომელი მინერალური წყლების შესახებ იცით აჭარის ტერიტორიაზე?

5. ფლორისა და ფაუნის რომელი სახეობებია დამახასიათებელი აჭარისათვის?

6. გვესაუბრეთ აჭარის რეკრეაციული რესურსების (დაცული ტერიტორიები, პარკები) შესახებ.

7. რამდენად საინტერესოდ მიგაჩნიათ აჭარა ტურიზმის თვალსაზრისით და რატომ?

თავი II – ისტორია

აჭარა უძველესი დროიდან ახ. წ. VI საუკუნემდე

უძველესი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ აჭარა განეკუთვნება უძველეს განსახლებათა არეალს. ხულოს მუნიციპალიტეტის ალპურ მდელოებზე (ადგილი ბულულა), არსიანის ქედის დავაკებულ ადგილზე, მიკვლეულია ძველი ქვის ხანის სადგომი (ნუკლეუსები, ანატკეცები, საჩეხი იარაღი და სხვა), რომელიც ე.წ. აშელის ეპოქის, 400-300 ათასი წლის წინა ეპოქებით თარიღდება.

აჭარის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ახალი ქვის ხანა (ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულები). ზღვისპირეთსა თუ მთიანეთში აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით (კვირიკე, ჯიხანჯურ-ჩოლოქი, ჩოლოქ-მაკვანეთი, ბეშუმი, ხუცუბანი, სოფ. ქობულეთი, მაწყვალთა, მახვილაური და სხვა) დასტურდება, რომ მსოფლიო ცივილიზაციის სხვა ადრე დაწინაურებული კერების მსგავსად, თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე ნეოლითური საფეხურიდან დაწყებულა არამწარმოებლური, მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ, კულტურულ მეურნეობაზე გადასვლა. ჩაისახა და თანდათანობით განვითარდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ფეიქრობა და მეთუნეობა, დაწინაურდა თევზჭერა. ამავე დროს, მითვისებითი მეურნეობის წიაღში განვითარებული მონადირეობის ბაზაზე, საფუძველი ჩაეყარა ცხოველთა მოშინაურებასა და მესაქონლეობაზე გადასვლას, შემგროვებლობა ნიადაგს უმზადებდა მიწათმოქმედების ადრეული ფორმების ჩასახვასა და განვითარებას.

რიგი ნოვაციებით აღინიშნა ენეოლით-ბრინჯაოს ხანა აჭარის ტერიტორიაზე (ძვ. წ. V-III ათასწლეულები). აჭარის მთიანეთში, კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტის იაილებ "ჯანჯღარში" ენეოლითური ხანის მასალების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ამიერკავკასიის საყოველთაოდ ცნობილ შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურების ლოკალურ ვარიანტთან. იგი ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებებითა და თვითმყოფადობით. იგივე ითქმის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლოტაურის ადრებრინჯაოს ხანის მონაპოვრების მიხედვითაც. განსაკუთრებით მდიდარი მასალაა მოპოვებული კურორტ ქობულეთთან არსებულ ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარზე.



ენეოლითის ხანის შესანიშნავად დამუშავებული კაჟის ისრისა და შუბის პირები აღმოჩენილია ერგეს თავში (ადგილი ტალახნარა) და სოფელ კვირიკეში. აჭარის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის, კერძოდ, ძვ. წ. III ათასწლეულის ლითონის ნაწარმის უძველესი ნიმუში აღმოჩენილია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაომარში. ესაა ყუადაქანებული ცული. მისი ნაირსახეობა სოფელ აჭყვისთავშიცაა მოპოვებული.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის ათვისებული ჩანს აჭარის როგორც მთიანეთი, ასევე ზღვისპირა ზოლი. მეურნეობრივად ბარი დაკავშირებული იყო მთასთან. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ძვ. წ. V-III ათასწლეულებში უმნიშვნელოვანესი რგოლი ჩანს ძველაღმოსავლურ, ანატოლიურ და კავკასიურ კულტურათა წრეში.

შუაბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) ისპანის დაჭაობებისა და სამოსახლოს თითქმის 2 მ. სისქის ფენით დაფარვის გამო, აყრილი მოსახლეობა ინაცვლებს ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისისაკენ. ამ პერიოდის ბრინჯაოს ორფერდა ყუამილიანი ცული აღმოჩენილია ხელვაჩაურში, მახუნცეთში. მახუნცეთშია მოპოვებული ბრინჯაოს თოხის უძველესი ნიმუშიც.

ბრინჯაოს ცულების ნაირსახეობანი ცნობილია ქობულეთიდან, სახალვაშოდან, ერგედან, ზემო ჯოჭოდან, ნიკიტაურიდან, მახოდან, თხილნარიდან, ხერთვისიდან, კირნათიდან, ზუნდაგიდან, საღორეთიდან, სიხალიძეებიდან, დიდაჭარიდან, ფუშრუკაულიდან, მარადიდიდან და სხვა, რაც იმის დასტურია, რომ ეს მხარე წარმოადგენდა მაღალგანვითარებული, თვითმყოფადი კოლხური კულტურის უძველეს კერას. ამასთან, ჭოროხის აუზის ქვემო წელშია საძებარი კოლხური კულტურის უმთავრესი საწარმოო რაიონი. ადრეული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები დაიაენი (დიაოხი) და კულხა (კოლხა, კოლხახალი) ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის წარმონაქმნები იყო. ამავე ადგილებს შეიძლება უკავშირდებოდეს მითი არგონავტების შესახებ.

ამ პერიოდის აჭარის მოსახლეობას რა ურთიერთობა ჰქონდა ანატოლიის ცენტრალურ რაიონებში არსებული უძლიერესი და უდიდესი სამეფოების მოსახლეობასთან – ხათებთან და ნესიტ ხეთებთან – ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეთნიკურ კავშირსა და პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას აუცილებლად განიცდიდა. ამ სამეფოებში დომინირებადი ტომების კავშირი და ურთიერთობა აჭარის უძველეს მოსახლეობასთან უეჭველია ტოპონიმიკური და ანთროპონიმური მასალების ფონზე. ასევე, საინტერესოა ხეთების სამეფოს პარალელურად (ძვ. წ. XVII-XII სს.), მათ ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით არსებული მეგრული ტომების ძლიერი გაერთიანების ქაშქა-აბეშლას ტერიტორია ხომ არ მოიცავდა აჭარის ტერიტორიასაც. ხათურ-ქაშქური ტოპონიმიკური და ონომასტიკური მასალები სრულ თანხმობაშია ისტორიული ეგრისისა და დღევანდელი სამეგრელოს შესაბამის მასალებთან.

ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემებისა და აჭარის არქეოლოგიური მასალების მიხედვითაც დასტურდება აჭარის ტერიტორიისა და ხეთების სამეფოს ურთიერთობა ბრინჯაოს ხანის გარკვეულ ეტაპზე. ხატუსილ III-ის მიერ ასურეთის მეფისადმი მიწერილ წერილში აღნიშნულია: „მე მივწერე, რომ შესდგომოდნენ კარგი რკინის დამზადებას“. წერილის თანახმად, რკინის წარმოება სადღაც შორს იყო. ასეთ ადგილად მკვლევრები აჭარის ტერიტორიას მოიაზრებენ, სადაც ამავე პერიოდში არსებობდა მეტალურგიის სამი მძლავრი კერა. მათ შორის გამოირჩეოდა ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში მოქმედი ახალსოფლისა და გონიო-კვარიათის რკინის სადნობი სახელოსნოები.

აჭარა ერთ-ერთი დაწინაურებული მხარეა მომდევნო ეპოქებშიც. ეს განსაკუთრებით ითქმის ანტიკური ხანის შესახებ (ძვ. წ. VI – ახ. წ. IV საუკუნეები). ძვ. წ. VII ს. ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისში იწყება პონტოსპირეთის დიდი ბერძნული კოლონიზაცია. ბერძნული დასახლებები ჩნდება საქართველოს ზღვისპირეთშიც. წარმოიქმნა კოლხეთის სამეფო, რომელიც წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. ქვეყნის ეკონომიურსა და კულტურულ აღორძინებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარამ. შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ კოლხეთის სხვა სკეპტუხიების მსგავსად, აქაც განვითარდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ეკონომიკა, კულტურა, საშინაო და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები. ამ მიმართე-

ბით განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი კულტურის ძეგლებია მოპოვებული ფიჭვნარის ნაქალაქარისა და სამაროვნების, ციხისძირის ნამოსახლარისა და სამაროვნის, ურბანიზებული გორასამოსახლოების, ბათუმისციხის და მახვილაურის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად. კლასიკურ ხანაში (ძვ. წ. VI-IV სს.) ეკონომიკის საფუძველს კვლავაც მიწათმოქმედება შეადგენდა. მოჰყავდათ სხვადასხვა სახის პურეული, გამოკვეთილი დარგია მევენახეობა-მეღვინეობა, განვითარებული იყო მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ნადირობა, თევზჭერა. კიდევ უფრო დაწინაურდა რკინის მეტალურგია, აყვავებას განიცდიდა ოქრომჭედლობა. მოქმედებდა კერამიკული წარმოების მძლავრი კერები. ტრადიციული დარგია ფეიქრობა. კოლხური სელის საუკეთესო თვისებები კარგადაა ასახული ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი და სხვები). იგი ექსპორტის საგანიც ყოფილა. სტრაბონის გადმოცემით, „მიწა ზღვის სანაპიროზე შლამიანია და მდინარეთა შეერთების ადგილებში ჭორომიანი (ჭაობიანი). ქვეყანა განთქმულია არა მხოლოდ ნაყოფით (თაფლის გარდა, რომლის დიდი ნაწილი მწარეა), არამედ გემთმშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალით. აქ აწარმოებენ ბევრ ხე-ტყეს და აცურებენ მდინარეებით. მოსახლეობა ამზადებს ბევრ სელს, ტილოს, საბაწრე მასალას. ამუშავებენ თაფლის სანთელს და ფისს. ადგილობრივი წარმოების სელის ქსოვილი სარგებლობს აგრეთვე ფართო მოთხოვნილებით. ნამდვილად, მათ გაჰქონდათ სელის ქსოვილები სხვა ქვეყნებში“.

ძვ. წ. VI საუკუნეში აჭარის ტერიტორია შევიდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, რომლის საზღვრები სხვადასხვა პერიოდების მიხედვით ვრცელდებოდა ძველი ლაზიკიდან (ნიკოფსიის მიდამოები), ხან ბიჭვინთის მიდამოებიდან სამხრეთისაკენ ოფიუნტის წყლამდე (ჰეროდოტეს მონაცემების გათვალისწინებით), მდ. ჭოროხამდე (ფსევდოსკილაქსი), ტრაპეზუნტამდე (სტრაბონი), კერასუნტამდე (ქსენოფონტი), თერმოდონტამდე და არქეოლოგიური მონაპოვრების (კოლხური ცულები) მიხედვით, კოლხური კულტურის გავრცელების არეალი ქალაქ ორდუმდე (ძველი კოტიორა) გადიოდა.



ჰეროდოტეს ცნობით, კოლხები წინა აზიის ოთხ დიდ ხალხთა სიაში შედიოდნენ სპარსელებთან, მიდიელებთან და სასპერ-იბერებთან ერთად. ძვ. წ. XIII საუკუნიდან, აიეტის სამეფოდან მოყოლებული ძვ. წ. IV-III საუკუნეებამდე კოლხეთი წარმოადგენდა წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. ამ დროის კოლხეთი წარმოადგენდა ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებულ მხარეს. განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება, ჰქონდა საკუთარი ფული (კოლხური თეთრი) და სხვა.



ბერძნული და რომაული წყაროების მიხედვით, აჭარისა და შესაძლებელია სამცხე-გურიის მნიშვნელოვან ნაწილზეც მოსახლეობდნენ ბიძერები (ვიზარები), რომლებიც სამხრეთის მიმართულებით ვიწემდე (ძველი ბიზერ) ვრცელდებოდნენ. ამ დროის აჭარაში ცხოვრება ჩქეფდა: ქობულეთ-ფიჭვნარი (ანტიკური კიკნოსი), ჩაქვი-ციხისძირი (ანტიკური სებასტოპოლისი) და ბათუმის ციხის მიდამოები (ანტიკური ბათისი) ამის დასტურია. **ფიჭვნარის ანტიკური** ხანის ნაქალაქარი, სავარაუდოა, მოიხსენიება კიკნოსის (გედი) ფორმით პომპონიუს მელას (I ს.) თხზულებაში „ქრონოგრაფიაში". ფიჭვნარის ნაქალაქარის გვერდით მდებარეობდა ბრინჯაოს სამივე პერიოდის, ადრერკინის, ანტიკური ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. მას, არქაული ხანიდან მოკიდებული, მჭიდრო კონტაქტები ჰქონია საბერძნეთის როგორც მატერიკულ ნაწილთან, ისე კუნძულებთან და მცირე აზიის საქალაქო ცენტრებთან (მილეტი, ქიოსი, ათენი, სინოპე, ლესბოსი, ჰერაკლია, პანტიკაპეიონი და ა.შ.). ადგილობრივი და უცხოური მონეტები ადასტურებენ, რომ აქ კარგად იყო განვითარებული ვაჭრობა, და, საერთოდ, ეკონომიკა, არსებობდა საქალაქო ცხოვრების მაღალი დონე. მიკვლეულია ადგილობრივი და უცხოური კერამიკული ნაწარმი, კოლხური თუ სინოპური მონეტები, ფერადი მინები, მძივები (მინის, ოქროს, გიშერის, სარდიონის, ქარვის, ტყვიის, ბრინჯაოს, თიხის) და სხვადასხვა სახის ნაწარმის მაღალმხატვრული ნიმუშები. სხვა სახის სამკაულთაგან მნიშვნელოვანია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის რგოლსაკიდები, საყურეები, საკისრე რგოლები, სამაჯურები, ბეჭდები და ა.შ.

ციხისძირის დასახლება საისტორიო წყაროებში პირველად ჩანს კლავდიუს პტოლემაიოსთან (90-178 წწ.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში", სებასტოპოლისის ფორმით. შესაძლებელია ეს იგივე ქალაქი იყოს, რაც „ტაბულა პევტინგერიანასა" (IV ს.) და „ნოტაცია დიგნატატუმის" (415 წ.) ქალაქი სებასტოპოლისი. სებასტოპოლისი ციხისძირის ადგილას დატანილია გვიან შუა საუკუნეების ერთ-ერთ ევროპულ რუკაზეც, რომელიც სულხან-საბა ორბელიანმა ევროპიდან მოიტანა.

ციხისძირი-ბობოყვათი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ საქალაქო ცენტრს. III-IV საუკუნეებში ის შედიოდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გამაგრებული ქალაქების სისტემაში.

ციხისძირი და მისი შემოგარენი უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული, რისი მოწმობაა კოლხური ბრინჯაოს ცულების, თოხების, წალდისა და სხვა სახის იარაღთა რამდენიმე განძის აღმოჩენა. აქვეა მიგნებული ძვ. წ. I ათასწლეულის (წინაანტიკური, კლასიკუ-

რი, ელინისტური ხანის) ნამოსახლარი, ხოლო ქალაქის გარე ტერიტორიაზე – გვიანარქაული, კლასიკური, ელინისტური და ადრეშუასაუკუნეების ვრცელი სამაროვანი.

ზოგიერთი ავტორის მიხედვით, **ბათუმი,** როგორც დასახლებული პუნქტი, პირველად მოიხსენიება არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) „მეტეოროლოგიაში". პლინიუსის (23-79 წწ.) „ბუნების ისტორიაში" კი იგი დაფიქსირებულია „მატიუმის" ფორმით. იქვე დასახელებულია მდ. ბათისიც, რომელიც ფლავიუს არიანეს (95-175 წწ.) ბათუსს შეესატყვისება. პლანიუსის მატიუმის შესაბამისი შეიძლება იყოს კლავდიუს პტოლემაიოსთან (90-170 წწ.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" დასახელებული მადია. ბათუმი დატანილია კასტორიუსის რუკაზე, ე.წ. „ტაბულა პევტინგერიანაზე", პორტუს ალტუსის სახელწოდებით, რაც თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბათუმი იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო საზღვაო გზის მონაკვეთში იყო ჩართული. ბათუმი ანტიკურ ხანაში კიდევ ერთხელ ჩანს ევსები კესარიელის თხზულებაში მენტეს ფორმით.

ბათუმის მოსახლეობას ამ პერიოდში ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა იონურ ქალაქებთან და ეგეოსის ზღვის კუნძულებთან. მის მიდამოებში განვითარებული ჩანს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, დაწინაურებულია ხელოსნური წარმოებაც. აქ იყო კერამიკული წარმოების ლოკალური კერაც. ამ დროის ბათუმი კვლავ რჩებოდა მსხვილ ადგილობრივ სამეურნეო, სახელოსნო, პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად.

ბათუმის გორის პარალელურად, ძვ. წ. V საუკუნეში აჭარის ტერიტორიაზე სოფელ კვაშტაში (ქედის მუნიციპალიტეტი) არსებობდა დასახლება. სოფელ კაპნისთავსა და ბერაძეებს შორის გამოვლენილ იქნა ანტიკური ხანის დასახლების ნაშთები, სოფელ პაქსაძეებში (ხულოს მუნიციპალიტეტი) მიკვლეულია ძვ. წ. V-IV საუკუნეების ნამოსახლარი. ამათგან სოფელ კვაშტის დასახლება წარმოადგენდა აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთ უძველეს საფორტიფიკაციო სისტემაში შემავალ პუნქტს. გათხრების შედეგად აქ გამოვლინდა კერამიკული ნაწარმის (ქვევრის, ქოთანის, დერგის, კეცის, ლანგრის, სასმისის, ჯამების და სხვა სახის ჭურჭლის) ნატეხები. მცირე რაოდენობით აღმოჩნდა იმპორტული კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებიც. მოპოვებული იქნა რკინის წალდი, ბრინჯაოს სამაჯური, რკინის შუბის ფრაგმენტები, თიხის საბეჭდავები, სალესები, ხელსაფქვავები, შურდულის ქვები, სარდიონის მძივები და ა.შ.

ძვ. წ. VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ქართველები ქართლის სამეფოს, ხოლო უცხოელები (ბერძნები, რომაელები, სომხები) იბერიას, ივერიას უწოდებდნენ. „მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით, ამ სამეფოს სათავეში ჩასდგომია აზო (აზონი), ხოლო „ქართლის ცხოვრების" ცნობით – ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი ფარნავაზი. ფარნავაზს აჭარა სამცხესთან ერთად ქართლის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოში – ოძრხეში გაუერთიანებია. „ფარნავაზიანის"

ავტორის ცნობით, ამ საერისთავოს (თუ საერისთავთერისთავოს) საზღვრები ნოსტეს თავიდან (მდ. ნოსტი, სამცხე-ჯავახეთის გამყოფი საზღვარი) ზღვამდე ვრცელდებოდა (ამ უკანასკნელში, უეჭველია, აჭარის დასავლეთი მიჯნები იგულისხმება). აჭარის საზღვრების ასეთ განვრცობას, არსიანის მთიდან დასავლეთისაკენ შავ ზღვამდე, მკვლევრები უფრო ადრეული ხანებიდან გულისხმობენ.

ქართლის სამეფო ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან სუსტდება. კოლხეთის სამეფოც ჯერ სკეპტუხიებად დაიშალა, ხოლო შემდეგ ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში მცირეაზიაში მოსახლე ქართველ ტომთა მიერ შექმნილმა პონტოს სამეფომ დაიპყრო. ამ მოვლენებს თან დაერთო რომაელების შემოსვლა (ძვ. წ. 66-65 წლები) კოლხეთსა და იბერიაში. აჭარა, შესაბამისად, ჯერ პონტოს მეფის – მითრიდატეს ხელში, მოგვიანებით – პალემონისა და ბოლოს – კაპადოკიის დაქვემდებრებაში აღმოჩნდა.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის პირველივე წლეებიდან ქართლის სამეფო ისევ ძლიერდება. მისმა მეფემ ფარსმან I-მა ახ. წ. 35 წელს სომხეთიდან გააძევა პართელები (სპარსელები) და სომხეთის სამეფო ჯერ მის ძმას მითრიდატეს, ხოლო შემდეგ თავის ვაჟიშვილს – რადამისტს გადასცა.

ამ დროიდან მოყოლებული, ქართლის სამეფო აჭარისწყლის ხეობის გზით შავ ზღვაზე გასვლას ცდილობს. პლინიუს უფროსის ცნობით, ახ. წ. 78 წლისათვის იბერიას უკვე აჭარის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნებული აქვს. რომაელი მწერლის ცნობით, „ტრაპეზუნტიდან 140 000 ნაბიჯზე მდინარე აფსაროსია, იმავე სახელის ციხესიმაგრით შესართავთან. იმ ადგილებში მთებს გადაღმა იბერიაა, სანაპიროზე კი – ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები, მდინარე აკამფსეონი, ისისი, მოგრისი, ბათისი, კოლხთა ტომები, ქალაქი მატიუმი“.

ქართლის სამეფოს, ფლავიუს არიანეს ცნობით, ახ. წ. 131 წლისათვის აჭარის ზღვის სანაპირო ზოლიც აქვს დაკავებული და აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ძიდრიტები (ძარიტები, ჭარიტები) ფარსმანის ვასალები არიან. რომაელი მწერლის გადმოცემით, „მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან“. საერთოდ ფლავიუს არიანე აჭარის ზღვის სანაპიროს შემდეგნაირად ახასიათებს: „არქაბედან აფსაროსამდე – სამოცი სტადიონია[1]. აფსაროსიდან გავიარეთ მდინარე აკამფსისი ღამით, იგი აფსაროსს დაშორებულია 15 სტადიონით. აკამფსისიდან მდინარე ბათისამდე 75 სტადიონია. მდინარე აკინასე ბათისიდან 90 სტადიონითაა დაშორებული, აკინასიდან ისისი 90 სტადიონით. აკამფსისი და ისისი სანაოსნო მდინარეები არიან და მათგან დილაობით ძლიერი ქარი უბერავს“.

აკამფსისი ჭოროხის რომაული სახელწოდებაა, ბათისი – ყოროლისწყლის, აკინასე – კინტრიშის, ისისი – ნატანების და ა.შ. არიანეს მიერ მოხსენიებული ფარსმანი ქართლის ძლევამოსილი მეფე ფარსმან ქველია (დაახლ. 120-165 წწ.).

ციხესიმაგრე აფსარუნტი იმ დროისათვის რომაელების მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა იყო. იგი მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ აქცია სამხედრო ბანაკად და სახელოვან ქალაქად, ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე. სახელწოდება აფსაროსი პირველად გვხვდება ძვ.წ. IV საუკუნის პერიპლუსის ბერძენ ავტორთან, სკილაქს კარიანდელთან, მაგრამ, არა როგორც დასახლებული პუნქტისა, არამედ მდინარისა („აფსაროს პოტამოს“), რომელიც გაიგივებულია მდინარე ჭოროხთან. თავად დასახლებული პუნქტის სახე-

[1] ერთი სტადიონი დაახლოებით 180 მ-ს შეეფარდება.

ლად აფსაროსი პირველად მოხსენიებული აქვს პლინიუს უფროსს (ცნობა 78 წლისაა), მაგრამ, ეს არაა მოწმობა იმისა, რომ ასეთი სახელის მქონე პუნქტი მანამდე არ არსებობდა. ანტიკური წყაროების მიხედვით, მისი სახელი უკავშირდება კოლხეთის მეფის აიეტის (ძვ. წ. XIII ს.) ვაჟის აბსირტეს (იგივე არპაგა, ფაეტონტი, აიგიალევსი) სახელს, რომელიც ამ პუნქტის სიახლოვეს ველზე თუ ზღვაში მოკლეს ბერძნებმა. ფლავიუს არიანეს დროს (ახ. წ. 131 წ.) ადგილობრივები აჩვენებდნენ აფსირტეს საფლავს. პროკოპი კესარიელის (VI ს.) ცნობით, აფსირტეს საფლავი ქალაქის აღმოსავლეთით არის.

არიანეს გადმოცემით, აფსაროსში იდგა 5 კოჰორტა, ე.ი. 2-3 ათასი ჯარისკაცი. მას აქ დაურიგებია ხელფასი, დაუთვალიერებია იარაღი, კედელი, თხრილები, ავადმყოფები და პურის მარაგი. პროკოპი კესარიელის ცნობით, ქალაქი აფსარუნტი „მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა შენობათა საძირკველებისა“. აფსაროსი სქემატური გამოსახულებითაა დატანილი რომაულ საგზაო რუკაზე, ე.წ. „ტაბულა პევტინგერიანა“-ზე. აფსაროსი არაერთხელაა მოხსენიებული ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. ციხესიმაგრე მოგვიანო პერიოდში არაერთხელ გამოუყენებიათ ბიზანტიელებს, თურქ-ოსმალებს და თავად ქართველებსაც. მოკლე დროით – სავრომატებს, გენუელებს, კაზაკებსა და სხვებს. ციხესიმაგრე თავისი მოყვანილობითა და ფორმით თითქმის სწორკუთხედია. სიგრძე – 222 მ-ია, ხოლო სიგანე – 195. ფართობი შეადგენს 4,4 ჰექტარს.



ქართლის სამეფომ მეფე მირიანის (307–361 წწ.) დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა – 326 წლის მიწურულში. ამავე ხანებში ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად მიიღეს კოლხეთის მესვეურებმაც. პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) ლაზეთის მხრიდან მონაწილეობა მიიღო ბიჭვინთის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ. მოვსეს ხორენაცის (V ს.) გადმოცემით, წმინდა ნინომ იქადაგა ქრისტეს რჯული კლარჯეთიდან მოყოლებული დარიალანის კარამდე. თუმცა ყოველივე ამას წინ უძღოდა ქრისტეს რჩეულ მოწაფეთა აჭარაში მოღვაწეობა, როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მაღალმთიან რაიონებში. ბერძენ-რომაელ ავტორებს (დოროთეოს ტვირელი, სოფრონი, ეპიფანე კვიპრელი, პასქალური ქრონიკა, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, ნიკოლოზ პაფლაგონიელი, ბასილ კეისარი და სხვა) დაუცავთ არაერთი გადმოცემა **წმ. ანდრია პირველწოდებულის**, მატათასა და სიმონ კანანელის მოღვაწეობის შესახებ აჭარაში. მათი ქადაგების ადგილად დასახელებულია მდინარეები ფასისი და აფსაროსი, ქალაქები: აფსაროსი, ჰისოსი (სურმენე) და დიდი სებასტოპოლისი. მატათა აქვე გარდაიცვალა და იგი აფსაროსში დაუმარხავთ. „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, ანდრიას ქვეყანა დიდ-აჭარაც მოუნახულებია: „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა“. ანდრიას აჭარაში დაუნიშნავს მღვდლები და დიაკვნები, ღვთისმშობლის მარიამის სახელზე ეკლესიაც აუგია. წასვლის წინ ფიცარზე გამოუსახავს ღვთისმშობლის სახე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას სიხარულითა და პატივით დაუსვენებია მის მიერვე აშენებულ ეკლესიაში.



პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის – მირიანის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის სამეფოს ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. რომაული წყაროს (ამიანუს მარცელინუსი) ცნობით, 368 წელს ქართლი რომისა და სპარსეთის იმპერიებმა გაიყვეს, რომის მოსაზღვრე, დასავლეთი ქართლი რომის სახელმწიფოს ერგო. „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ გადმოცემით, რომის კუთვნილ ქართლში შედიოდა ყოველი კლარჯეთი, წუნდა და ოძრხის საერისთავო. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, სამცხესთან ერთად აჭარაც შედიოდა. ასეთი ვითარება გაგრძელდა 464 წლამდე, ვიდრე ვახტანგ გორგასალმა (457-502 წწ.) არ გარეკა ბიზანტიელი დამპყრობლები ჭოროხისა და აჭარის მხარეებიდან.

აჭარა VI-XIX საუკუნეებში

ახ. წ. V საუკუნიდან იწყება ფეოდალური ხანა, რომელიც პირობითად რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე გრძელდება. ეს პერიოდი შეიძლება დაიყოს სამ ქვეპერიოდად. პირველი მოიცავს V-X საუკუნეებს (ადრეფეოდალური ხანა), მეორე – XI საუკუნის

დასაწყისიდან XVI საუკუნის შუახანებამდე მონაკვეთს, ანუ ოსმალთა მიერ აჭარის ინკორპორაციამდე ხანას. მესამე ქვეპერიოდი გრძელდება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე და იგი ოსმალთა ბატონობის ხანად იწოდება.

აჭარა ადრეფეოდალურ ხანაშიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაწინაურებული რეგიონი იყო და ყოველთვის აქტიურ როლს თამაშობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, 464 წლიდან, ვახტანგ გორგასლის მიერ ბიზანტიელებზე გამარჯვების შემდეგ, ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილია.

ამ გამარჯვების საფასურად ქართლის მეფემ მიიღო „ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ზღუითგან ვიდრე არსიანთამდე, და ჯევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა...“ რა თქმა უნდა, ვახტანგ მეფის მიერ განთავისუფლებულ ტერიტორიებში აჭარაც მოიაზრება.

VI საუკუნეში თანამედროვე აჭარის ნაწილი (ზღვისპირა მხარე ჭოროხამდე) შედიოდა ეგრის-ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში და ეგრისისათვის გამართულ ბიზანტია-ირანის ომების დროს მძაფრი შეტაკებების ასპარეზს წარმოადგენდა. ქალაქმა აფსაროსმა (გონიო) ამ პერიოდში დაკარგა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა და მისი ფუნქციები ნაწილობრივ გადავიდა **პეტრა-ციხისძირზე**, ლაზიკის ამ მეტად დაწინაურებულ პუნქტზე. პეტრას როლი კარგად შეაფასა ს. ჯანაშიამ. პეტრამ, – წერდა იგი, – იმდროინდელ დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში ისეთივე დიდი როლი ითამაშა, როგორსაც თბილისი ასრულებდა აღმოსავლეთ საქართველოსათვის. იგი თავისი დედაციხით, გარე დასახლებული უბნებით ამ პერიოდის ციხე-ქალაქის კლასიკური ნიმუში იყო.

ბიზანტია-ირანის ოცწლიანი ომის დროს (542-562 წწ.) პეტრას ციხე-ქალაქმა განსაკუთრებული სტრატეგიული დატვირთვა შეიძინა და ხელიდან ხელში გადადიოდა, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა მის საფორტიფიკაციო ნაგებობებს. მიუხედავად ამისა, VI-IX საუკუ-

ნეებში იგი კვლავ ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციას რეგიონში, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი საეპისკოპოსო-საკათედრო და საქალაქო ცენტრი.

VI საუკუნის ბოლოდან გამოცოცხლების გზაზეა გონიო-აფსაროსი, ამავე ხანაში მოზრდილი დასახლება არსებობდა ფიჭვნარშიც.

პეტრა-ციხისძირში, გონიო-აფსაროსსა და ფიჭვნარში გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის გზები, რომლებითაც, წინა პერიოდების მსგავსად, მყარდებოდა მჭიდრო კონტაქტები როგორც ხმელთაშუა, ისე აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან.

აღსანიშნავია, რომ წერილობით წყაროებში სახელწოდება **„აჭარა“** პირველად სომეხი სწავლულის, ანანია შირაკაცის „სომხურ გეოგრაფიაში” გვხვდება. „სომხური გეოგრაფია“ VII საუკუნის ძეგლია, მაგრამ ცნობილია, რომ ანანია რამდენიმე საუკუნით უადრეს წყაროებს ეყრდნობოდა. ამდენად, სრულიად დასაშვებია, რომ აღნიშნული სახელწოდება უფრო ადრეულ ხანაში წარმოქმნილიყო.

VII საუკუნის I ნახევარში ისტორიის ასპარეზზე არაბები გამოვიდნენ. 654 წელს მათ ქართლის საერისმთავრო დაიმორჩილეს და დახარკეს. რაც შეეხება აჭარას, დ. მუსხელიშვილის აზრით, იგი ამ პერიოდისათვის ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ არაბთა სტაბილური ხელისუფლება მყარდება, დასავლეთ საქართველოში დამკვიდრება არაბებმა ვერ შესძლეს. თუმცა, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, დასავლეთ საქართველოს დარბევის შემდეგ მურვან ყრუ გურიიდან სპერის მიმართულებით გაემართა. გზად იგი აუცილებლად გაივლიდა აჭარას, რაც ამ კუთხის სასტიკ აოხრებას ნიშნავდა.

VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ანტიარაბული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აქტიურდება. საქართველოს განაპირა მხარეებში ჩამოყალიბებას იწყებს ახალი სამეფო-სამთავროები. 809 წლიდან, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პროვინციების გაერთიანების შედეგად, აშოტ ბაგრატიონმა საფუძველი ჩაუყარა ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) სამეფოს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აჭარაც. ფართოდ გაშლილი სამონასტრო მშენებლობა, რომელიც VIII საუკუნის ბოლოს იწყება, ამ კუთხესაც მოიცავდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის საფუძველზე (IX საუკუნის 80-90-იანი წლები), რომელშიც ჩამოთვლილია იბერიის კურაპალატისადმი დაქვემდებარებული ერთეულები საერისთავოებისა და მათი მმართველების სახით, მათ შორისაა აჭარის ერისთავიც. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ამ დროისათვის აჭარის ცალკე საერისთავოდ არსებობის ფაქტი ტაო-კლარჯეთის სამეფოს შემადგენლობაში. ეს ცნობა აჭარის ერისთავის მოხსენიების პირველი შემთხვევაა.

XI საუკუნიდან XIII საუკუნის 60-იან წლებამდე აჭარა ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია საერისთავოს სტატუსით და მას აბუსერისძეთა გვარი განაგებს. 1046-47 წლებში აჭარის ერისთავად აბუსერ იოანეს ძე აბუსერისძე გვევლინება, რომელიც ამავდროულად შავშეთ-კლარჯეთსა და სამცხის დიდ ნაწილსაც მართავდა. მთავარი რეზიდენცია მას ხიხანის ციხეში ჰქონდა („დიდი თურქობის“ დროს სელჩუკებმა შინაგამცემლების წყალობით შესძლეს ხიხანის ციხის აღება და დარბევა). მოგვიანებით, აბუსერისძეები თანდათან კარგავენ სამფლობელოებს და მხოლოდ საკუთრივ ზემო აჭარის მმართველები არიან.

XII-XIII საუკუნეებში აბუსერისძეები ერისთავთერისთავებად იწოდებიან. აჭარა ამ დროისთვისაც საქართველოს ერთიანი მონარქიის შემადგენლობაში არის მოქცეული და მისი მმართველები მეფის ერთგულებით გამოირჩევიან.

აბუსერისძეთა სამფლობელო ანუ სააბუსერისძეო ტერიტორიულად უშუალოდ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა და გააჩნდა სათავადოებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ატრიბუტები – მონასტერი, კარის ეკლესია, ციხე, სასახლე, საგვარეულო სასაფლაო. აქ გადიოდა საგზაო მაგისტრალი, რომელიც უძველესი დროიდან აჭარისწყლის ხეობას მიუყვება და ზღვისპირეთიდან სამცხეში გადადის. იგი ითვლება მსოფლიო მნიშვნელობის მქონე „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ განშტოებად, რაც უდაოდ მრავლისმეტყველი ფაქტია.

აბუსერისძეთა საგვარეულოს ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია XIII საუკუნის პირველი ნახევრის ენციკლოპედიური განათლების მწერალი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე **აბუსერისძეტბელი**. მის თხზულებებში ძვირფასი ცნობებია დაცული იმდროინდელი საქართველოს (მათ შორის აჭარის) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისმა ასტრონომიულ-კალენდარულმა ნაშრომმა „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“ (1233 წელი), რომელშიც ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი ასტრონომიული მიგნებაა გაკეთებული.

XIII საუკუნის II მეოთხედში საქართველოს ჯერ ხვარაზმელები შემოესიენ ჯალალედინის მეთაურობით, შემდეგ – მონღოლები. მონღოლთა ბატონობის ხანაში, 1268 წელს (მეორე ვერსიით – 1269 წელს), აჭარის საზღვართან, ჯნალისთავს (არსიანის ქედი) შეტაკება მომხდარა ურთიერთდაპირისპირებულ მონღოლებს – უფლისწულ თეგუდარსა და აბაღა ყაენს შორის. ბრძოლაში დამარცხებული თეგუდარის ჯარის ერთი ნაწილი სწორედ აჭარის გავლით გადასულა დასავლეთ საქართველოში.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილია, მაგრამ, როგორც ჩანს, XIV საუკუნის შუა ხანებისათვის, გიორგი ბრწყინვალის მიერ სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობის გაუქმებით, აჭარა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია და აბუსერისძეთა გვარის ცნობილი წარმომადგენელი ივანე აბუსერისძე ქვეყნის სამხედრო უწყებას ხელმძღვანელობს, ამირსპასალარია.

XV საუკუნის შუა ხანებში ყვარყვარე II ათაბაგმა გააუქმა აჭარის საერისთავო და იგი გურიელს გადასცა საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული დახმარებისათვის. XVI საუკუნის დამდეგს მზეჭაბუკ ათაბაგმა უკანვე წაართვა ეს კუთხე გურიელებს. ამ ხანებში აბუსერისძენი თავიანთი „სასაფლაოითა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ მოხსენიებულნი არიან სამცხე-საათაბაგოს „საეპისკოპოსოთა და სათავადოთა“ სიაში. თუმცა, ამავე დროს, აჭარა ეკლესიურად ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მი-

სი ზედა ნაწილი, ანუ „აჭარა დანდალოს ზეითი“ ტბეთის საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა, ხოლო ქვემო ნაწილი, ანუ „დანდალოს ქვეითი აჭარა“, ქუთათლის სამწყსო იყო.

1535 წლიდან აჭარა კვლავ გურიელის ხელში აღმოჩნდა, მაგრამ მალე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ისიც ოსმალების მფლობელობაში მოექცა.

შუა საუკუნეებში, ვიდრე ოსმალთა დაპყრობამდე, აჭარა საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მთისა და ბარის ტიპის მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა.

მაღალ დონეზე იყო აყვანილი მრავალდარგოვანი ხელოსნობა (მეტალურგია და მჭედლობა, ხითხუროობა, ქვითხუროობა, მეთუნეობა, ფეიქრობა, რთვა-ქსოვა), რომელთა ნაწილმა ოსმალთა მფლობელობის ხანასაც გაუძლო. მაჭახლის ხეობაში მზადდებოდა ამავე სახელწოდების კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩები, აგრეთვე, ცივი საბრძოლო იარაღები (დანები, ხანჯლები, ხმლები). ისინი გასაყიდად გაჰქონდათ სხვადასხვა მხარეში. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა თოფი „მაჭახელა“, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდნენ სტამბოლური და ყირიმული წარმოების იარაღთან შედარებით. ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღის დამზადებით ცნობილი იყვნენ ნაგერვაძეები (სოფ. ჩხუტუნეთი), ქავთარაძეები (სოფ. ქავთარეთი), გვიანიძეები და გორგაძეები (სოფ. გორგაძეთი). ვერცხლით მოსევადებული თოფები და დამბაჩები მზადდებოდა აგრეთვე აჭარის სხვა სოფლებშიც (ახო, ცხმორისი, საღორეთი).

აჭარაში თითქმის მთელი შუასაუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა ძველი მეტალურგიული ტრადიციები. ამაზე მიუთითებს მეტწილად აჭარის მთის ზონაში (თაგო, ყინჩაური, ფაჩხა, წაბლანა და სხვ.) ხალხური მეტალურგიის მრავლად მიმოფანტული ნაშთები რკინის წიდების სახით.

აჭარის წარსული დიდების, მისი ეკონომიკური ძლიერებისა და განვითარებული კულტურის მაჩვენებელია ეკლესიები, ციხე-კოშკები, ქვის თაღოვანი ხიდები, რომლებიც, ნანგრევებისა თუ თითქმის მთელი სახით, დღემდე შემორჩა.

იშვიათია კუთხე საქართველოში, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე ამდენი ციხესიმაგრე თუ სხვა სახის **თავდაცვითი ნაგებობანი** არსებობდეს. ამათგან ზოგი უძველესია, ზოგის მშენებლობის თარიღი კი ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანას ემთხვევა. ესენია: გონიოს, პეტრას, ხიხანის, **დარჩიძეების,** ჭვანის, ზენდიდის, ციხისყელის, ოქროპილაურის, ვარდციხის, ცივასულას, ძენწმანის, ზესოფლის, ზვარეს, ჩხუტუნეთის და სხვა ციხეები.

მრავლად არის აჭარაში **მართლმადიდებლური ეკლესიების** ნაშთებიც. ფაქტობრივად, არ არის სოფელი, რომლის მიდამოებშიც, მეტ-ნაკლებად შემოჩენილი სახით, სხვა სახის



ძეგლებთან ერთად საყდარი, ეკლესია ან ტაძარი არ ფიქსირდებოდეს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია **სხალთის**, აჭყვის, ჩაიხედანას, ვერნების, თხილვანის, თიკანაურის, კალოთის, ხიხაძირის, კვატიის და სხვ. ეკლესიები. მათი მშენებლობა, საფორტიფიკაციო, საგზაო და სხვა ნაგებობების მსგავსად, ძირითადად განვითარებულ შუასაუკუნეებზე (IX- XIII სს) მოდის. ეს კანონზომიერიცაა, რადგან საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მისი ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური დაწინაურება სწორედ ამ ეპოქაში ხდება. ბუნებრივია, ქვეყნის დაწინაურებას თან მოჰყვა მისი ცალკეული კუთხეების აყვავებაც.

აჭარაში დღეისათვის შემორჩენილ არქიტექტურულ სიძველეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ქვის თაღოვან ხიდებს,** რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ღირსეულად უდგანან გვერდში ციხეკოშკებსა და საკულტო ძეგლებს. თაღიანი ხიდების მშენელობის სათავე IV-V საუკუნეებიდან უნდა მომდინარეობდეს. მთელ საქართველოში და, მათ შორის, აჭარაში ქვის თაღოვანი ხიდების მშენებლობას განსაკუთრებული მნიშვნლობა ენიჭებოდა აქ გამავალი დიდი აბრეშუმის გზის გამო. ასეთი ხიდები აჭარაში უმთავრესად მდინარეების – აჭარისწყლისა და კინტრიშის ხეობებშია შემორჩენილი. დღეისათვის დაფიქსირებულია 35-მდე დიდი და პატარა ქვის თაღოვანი ხიდი. მეცნიერები განსაკუთრებით გამოარჩევენ **დანდალოს ხიდს**, ასევე მნიშვნელოვანია მახოს, მახუნცეთის, ფურტიოს, მირვეთის, საღორეთის და სხვა ხიდები.

XV საუკუნის II ნახევრიდან აჭარას ოსმალეთი დაუმეზობლდა. 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი აიღეს. მალე იგი გახდა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი საქართველოზე თავდასასხმელად. საქართველოზე შეტევის მეორე ასეთ ბურჯად არზრუმის საბეგლარბეგო (საფაშო) იქცა, რომელიც 1535 წელს დააარსეს. 1555 წლის ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით, აჭარა, სხვა მეზობელ ქართულ კუთხეებთან ერთად, ოსმალეთს ერგო.

ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობა ერთბაშად არ მომხდარა. ეს ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობით იყო გამოწვეული.

ოსმალური წერილობითი წყაროების მიხედვით, აჭარისწყლის ხეობაში ოსმალეთის დამკვიდრება 1552 წლიდან იწყება. ადგილობრივი ქართველი ფეოდალი ბეჟანი კიდევ 10 წელზე მეტხანს იბრძოდა მომხვდურთა წინააღმდეგ. საბოლოოდ იგი იძულებული გახდა

უხეშ ძალას დამორჩილებოდა. 1563 წელს იგი სტამბოლში ჩავიდა, ისლამი მიიღო და მეჰმედად იწოდა. იმავე წლის 15 დეკემბრის ბრძანებით სულთანმა აჭარის ტერიტორიაზე სანჯაყი დააარსა და სანჯაყბეგად გამაჰმადიანებული ბეჟანი (მეჰმედი) დანიშნა. სანჯაყი ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებად (რაიონებად) დაიყო და მალე ახალციხის (ჩილდირის) საფაშოში გაერთიანდა, რომელიც სულთნის განკარგულებით 1579 წლის 25 ივნისს შეიქმნა.

ამავე ხანებში გაბატონდნენ ოსმალები გონიოს მხარესა და მაჭახელში. თანამედროვე ზღვისპირა აჭარის დანარჩენი კუთხეები ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავისუფლებას.

1550-იანი წლების დასაწყისში ოსმალებმა ბათუმს შემოუტიეს, რომელიც ამ დროს გურიელს ემორჩილებოდა და აქ ციხის შენება დაიწყეს. გურიელმა სწრაფი „თავდასხმით აოტნა ოსმალნი ხმელეთსა ზედა და მოსრა ისინი“. დამარცხებულმა ოსმალებმა „დაუტევეს ბათომი“.

1647 წელს ბათუმი ჯერ კიდევ ქართველთა ხელშია. ეს დასტურდება თურქი მოგზაურისა და ისტორიკოსის ევლია ჩელების ცნობით, რომლის მიხედვით საქართველო-ოსმალეთის საზღვარი ამ დროს მდინარე ჭოროხზე გადიოდა და გონიოში საბაჟო პუნქტი იყო მოწყობილი. ამასვე ადასტურებს ფრანგი ნეგოციანტი ჟან შარდენი, რომელმაც 1673 წელს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში და ქალაქი გონიოც მოინახულა.

ბათუმისა და ჩაქვის მხარეების დაპყრობა ოსმალეთმა 1703 წლის შემდეგ შესძლო. 1712 წელს სულთნის ბრძანებით ეს მხარეები ტრაპიზონის ვილაიეთს შეუერთეს და სახელმწიფო დავთრებში გაატარეს. უფრო გვიან ეს ბედი გაიზიარა ქობულეთის მხარემაც – იგი 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მოექცა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.

ოსმალთა გაბატონება უარყოფითად აისახა აჭარის მოსახლეობის ბედზე როგორც კულტურული, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. დამპყრობელი თავისი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობდა და დაუნდობლად ებრძოდა ყოველივე ქართულს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო მიზნის მიღწევა. ოსმალებმა ვერც მიწისმფლობელობის თავიანთი წესები დაამკვიდრეს ბოლომდე და ადმინისტრაციულადაც აჭარის მოსახლეობა მთლიანად ადგილობრივ ქართველ ბეგებს ემორჩილებოდა. მიზეზი ამისა იყო ის შეურიგებელი წინააღმდეგობა, რასაც აჭარის ქართველობა უწევდა მტერს. ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აქ არასდროს შეწყვეტილა. აჭარლებმა, სხვა სამხრელ ქართველებთან ერთად, მრავალჯერ მოაწყვეს დიდი აჯანყება სულთნის წინააღმდეგ (მაგ.: 1660-იან, 1690, 1737, 1774, 1815, 1840, 1843-44, 1846, 1855-56, 1859, 1875 და სხვა წლებში) და არ მისცეს მას მათი ეროვნული გადაგვარების საშუალება.

ასიმილატორულმა პოლიტიკამ XIX საუკუნის დასაწყისამდე ფაქტობრივად ვერც აჭარელთა რელიგიურ მრწამსზე მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ერთი უდავოდ საინტერესო დოკუმენტი.

1774 წლის 5 ივლისით დათარიღებულ მოხსენებაში გრაფ ნ. პანინისადმი, რუსეთის რწმუნებული ქართლ-კახეთის სამეფოში – კაპიტანი ი. ლვოვი, ეხება რა იმავე წელს აჭარაში მომხდარ ანტიოსმალურ აჯანყებას, აღნიშნავს: „მებრძოლი ქრისტიანი ხალხი, აჭარლებად სახელდებული, მცხოვრები მთებში გურიასა და თურქეთს შორის, შავი ზღვიდან აღმოსავლეთით, თურქთა ქვეშევრდომობიდან სრულიად განდგა; ასე რომ, როცა ახალციხის ფაშა თურქთა გარკვეული რიცხვით ამ ხალხის დასამორჩილებლად აჭარაში შევიდა, მათ იგი დაამარცხეს და აჭარიდან განდევნეს”.

ანუ ამ დროისათვის აჭარაში ჯერ კიდევ იმდენად მტკიცე ყოფილა ქრისტიანული სარწმუნოება და იმდენად აშკარა ანტიოსმალური განწყობილება, რომ ეს ფაქტი გარეშე თვალისთვისაც კი ადვილი შესამჩნევი გამხდარა. აქ საუბარია მოსახლეობის ფართო მასებზე, რაც შეეხება არისტოკრატიულ ელიტას, ის, როგორც ყველგან, აქაც სხვებზე ადრე გადავიდა სახელმწიფოში გაბატონებულ რელიგიაზე.

აღნიშნული ვითარების გამო აჭარელი გამუსლიმანებული ბეგები საშინაო პოლიტიკაში ერთგვარი შეუვალობითა და დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ამავე დროს სულთნის ხელისუფლებისაგან მთელ რიგ შეღავათებსა და პრივილეგიებს იღებდნენ. ისინი XVIII საუკუნის ბოლოსთვისაც კი მთელი სისრულით არ სცნობდნენ სულთნის უზენაესობას და XIX საუკუნის 40-იან წლებამდე, ე.ი. თანზიმათამდე, ვასალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ. ამის გამო ოსმალებმა ვერ მოახერხეს სრულად დაემკვიდრებინათ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. სულთნის ძალაუფლებამ აჭარაში შედარებით თანზიმათის რეფორმების შემდგომ იწყო განმტკიცება.

XIX საუკუნეში ოსმალთა წინააღმდეგ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან განსაკუთრებით ზემო აჭარის მმართველის – **სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის** მოღვაწეობაა აღსანიშნავი. საუკუნის დასაწყისში იგი სერიოზულ ანტიოსმალურ მოძრაობას ედგა სათავეში და მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერიის გამოყენებასაც ცდილობდა. სამწუხაროდ, იგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდნილს, 1815 წლის 3 ივნისს, სოფ. ბაკოში, არზრუმის სერასკირ ფეხლევან-ბაბა-ფაშას ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. სიკვდილის წინ სელიმს განუცხადებია: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამ ხსოვნას მე ჩემს შვილებს ვუტოვებ“. სელიმის საქმე მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს.

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ახალციხის საფაშო გაუქმდა (მისი დიდი ნაწილი ახალციხითურთ გადაეცა რუსეთს). ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი აჭარა ტრაპიზონის ვილაეთს (შედგებოდა ლაზისტანის, ტრაპიზონის, ჯანიკის, გიუმიშ-ხანეს სანჯაყებისაგან) შეუერთეს. 1870-იანი წლებისათვის, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, თანამედროვე აჭარის ტერიტორია შედიოდა ლაზისტანის სანჯაყში (ცენტრით ბათუმში) და შედგებოდა ბათუმის, ჩურუქ-სუს, გონიოს, მაჭახლის, ქვემო აჭარისა და ზემო აჭარის კაზებისაგან.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს აჭარა, განსაკუთრებით, ციხისძირის მიდამოები, მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების არენად გადაიქცა. აჭარით რუსეთის დაინტერესების უმთავრეს ფაქტორს ბათუმის პორტი წარმოადგენდა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და არის დღესაც შავი ზღვის აკვატორიაში თავისი ბუნებრივი მონაცემებით.

ამ ომში, ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ გამოსახსნელად, რუსეთის არმიის რიგებში 30-ათასზე მეტი ქართველი იბრძოდა. ამ საქმეს გულშემატკივარი და ხელშემწყობი აჭარაშიც მრავლად ჰყავდა. ასეთ პატრიოტებად წარმოგვიდგებიან შერიფ ხიმშიაშვილი, იბრაჰიმ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, დედე ნიჟარაძე, ახმედ ხალიფაშვილი (სურმანიძე) და სხვ.



განსაკუთრებით დიდია **შერიფ ხიმშიაშვილის** დამსახურება. ოსმალეთის მთავარსარდლობის სურვილი, გამოეყენებინა შერიფის 8000-კაციანი რაზმი რუსეთის ჯარის წინააღმდეგ, წარუმატებელი აღმოჩნდა. პირიქით, მან აჭარის გათავისუფლებისა და დედასამშობლო-საქართველოსთან დაბრუნების მიზნით, კავშირი დაამყარა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და მათი მეშვეობით – რუსეთის არმიის სარდლობასთან. მონაწილეობას იღებდა ერთობლივი სამოქმედო გეგმების შედგენაში. შერიფ ხიმშიაშვილის პოზიციამ თავისი გავლენა იქონია აჭარის მოსახლეობის ორიენტაციაზე.

საინტერესოა, რომ ბრწყინვალე პორტაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აჭარას და კარგად ჰქონდა იგი გამაგრებული. ამიტომ რუსეთმა მისი ბრძოლით დაუფლება ვერ შესძლო. საბოლოოდ, ანატოლიასა და ბალკანეთში განცდილი დამარცხების შემდეგ, ოსმალეთმა საომარი მოქმედების გაგრძელების უნარი დაკარგა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19(31) იანვარს მათ შორის დროებითი შეთანხმება დაიდო. 9(21) თებერვალს ოსმალეთმა დათმო ერზერუმიც, რომელიც რუსეთის ჯარის მიერ ალყაშემორტყმული იყო. მოლაპარაკება სან-სტეფანოში გაგრძელდა და 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტს) ორივე მხარემ ზავს ხელი მოაწერა. ამ ხელშეკრულებით აღიარეს სერბიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობა. ბულგარეთის ნაწილს ავტონომია ეძლეოდა ოსმალეთის მფლობელობაში, ხოლო მეორე ნაწილში დამოუკიდებელი სამთავრო იქმნებოდა.

ოსმალეთს რუსეთის სასარგებლოდ დიდი კონტრიბუციაც დაეკისრა – 1 410 მლნ. რუბლი. მაგრამ, ვინაიდან ბრწყინვალე პორტას, ფინანსური სიძნელეების გამო, ამ თანხის სრულად გადახდა არ შეეძლო, იგი, ნაწილობრივ, ტერიტორიული დათმობებით შეიცვალა. აზიაში რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ყარსი, ბაიაზეთი, ერზერუმი, ალაშქერტი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმ-ქობულეთი, ხოლო ევროპაში – ბესარაბიის ნაწილი, რომელიც მან ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) შედეგად დაკარგა.

რაც მთავარია, რუსეთმა მოიპოვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფლი მიმოსვლის უფლება. სან-სტეფანოს ხელშეკრულებით დადგინდა, აგრეთვე, რუსეთის მფლობელობაში გადასული მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლის სამწლიანი ვადაც.

რუსეთის ამ მიღწევებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ამით წაქეზებული ოსმალეთი ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ასეთ ვითარებაში

რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადსინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ. 1 (13) ივნისი – 1 (13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ბერლინის ტრაქტატით, რუსეთი ოსმალეთს უბრუნებდა ბაიაზეთს, ერზერუმს, ალაშქერტს; სამაგიეროდ, კონგრესმა დაადასტურა რუსეთის შემადგენლობაში ყარსის, კოლა-არტაანის, აჭარა-ტაო-კლარჯეთის, შავშეთ-იმერხევის, ლაზისტანის ნაწილის, აგრეთვე, ბესარაბიის გადასვლა. ბათუმიც რუსეთს რჩებოდა, მაგრამ **პორტო-ფრანკოდ,** ე.ი. თავისუფალ სავაჭრო ქალაქად ცხადდებოდა.

მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ოსმალეთი აჭიანურებდა რუსეთისათვის აჭარისა და ბათუმის გადაცემას. ამ საკითხზე ქუთაისში 1878 წ. აგვისტოში რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლობას შორის მოლაპარაკებაც გაიმართა. რუსეთის სარდლობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად, ოსმალები იძულებულნი გახდნენ 25 აგვისტოდან აჭარა დაეტოვებინათ.

ქობულეთში რუსეთის არმია 17 (29) აგვისტოს შემოვიდა. წინ მოუძღოდა გურიის სახალხო ლაშქარი, რომელსაც, ადგილობრივი მოსახლეობის სახელით, მგზნებარე სიტყვით მიმართა გულო კაიკაციშვილმა. „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები ... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა" – აღფრთოვანებული წარმოთქვამდა იგი და ამით მთელი სამუსლიმანო საქართველოს აზრს გამოხატავდა.

ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შემოვიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით, 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) – ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით, გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2 (14) სექტემბერს ზემო აჭარიდან – გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით.

აჭარა ბათუმითურთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა. ამ მოვლენის უმთავრესი დადებითი მხარე ის იყო, რომ საქართველოს ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი.

აჭარა 1878-2010 წლებში

რუსეთ-საქართველოს 1877-1878 წლების ომის შედეგად შემოერთებულ ქართულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ყარსისა და ბათუმის ოლქები. ბათუმის ოლქში შედიოდა – აჭარა, მაჭახელი, ბათუმ-ქობულეთი, ლივანა, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ლაზისტანის ნაწილი (გონიო, სარფი, მაკრიალი, ლიმანი).

ბათუმის ოლქში შემოიღეს სამხედრო-საპოლიციო მმართველობა, სადაც ოლქის გუბერნატორი, ოკრუგის უფროსები და მათი თანაშემწეები მხოლოდ კადრის სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ.

1883 წელს გაუქმდა ბათუმის ოლქი და მის ნაცვლად შეიქმნა ორი – ბათუმისა და ართვინის ოკრუგები, რომლებიც ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს 1903 წ. 17 მარტის დადგენილებით, ამავე წლის 1 ივლისიდან აღადგინეს ბათუმის ოლქი – ამჯერად ორი ოკრუგითა და შვიდი სა-

პოლიციო უბნით. 1903-1905 წლებში ბათუმის სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალ-ლეიტენანტი ფონ-პარკაუ, 1906 წ. ეს თანამდებობა ეკავა გენერალ-ლეიტენანტ მიხეევს, ხოლო 1907-1917 წლებში – რომანოვსკი-რომანკოს.

ბათუმის მხარის მმართველობაში მონაწილეობდა თითო-ოროლა ქართველი. მის პირველ უფროსად დაინიშნა გრიგოლ გურიელი, რომელიც 1880 წლის აპრილში სამსონ ლორთქიფანიძემ შეცვალა და ამ თანამდებობაზე 15 წელი მსახურებდა. 1879-1900 წლებში ქვემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსი იყო თუფან-ბეგ შერვაშიძე. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად მსახურობდნენ: გ. ბერიძე, ს. ჯაფარიძე და მეფისაშვილი, 1910-1912 წლებში – ჯემალ შერიფისძე ხიმშიაშვილი. ართვინის საპოლიციო უბნების უფროსებად იყვნენ ახმედ ხალვაში და იასონ აბაშიძე, გონიოს უბნისა – ივანე მახვილაძე.

რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ამ მხარის პოლიტიკური დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსული სახელმწიფოს ორგანიზმთან მის საბოლოო მიერთებას და ეს ამოცანა მაშინ გადაწყდებოდა, როდესაც მას სოციალ-ეკონომიკურად და დემოგრაფიულად აითვისებდა, ადგილზე მოხდებოდა რუსული ენის, ფსიქოლოგიის, წესების დამკვიდრება და რუსული ახალშენების მოწყობით მკვეთრად შეიცვლებოდა დემოგრაფიული სურათი საქართველოში.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ გაიზარდა რუსეთის საკოლონიზაციო მიწის ფონდი საქართველოში. რუსეთის მთავრობა მაშინვე შეუდგა ადგილ-მამულების სახაზინო საკუთრებაში გადარიცხვას და რუსული ახალშენების მოწყობას.

მცირემიწიანობის მიუხედავად, ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების მოსაწყობად სავარგულები მაინც გამონახეს და აქ რუსული ახალშენი 1881 წელს გაშენდა ქობულეთის მახლობლად, ფიჭვნარში. მისთვის შერჩეულ 2400 დესეტინა მიწაზე შექმნილ დასახლებას, ბათუმის სამხედრო გუბერნატორის სმეკალოვის საპატივცემულოდ, **სმეკალოვკა** უწოდეს. აქ მოახალშენეთა 114-ოჯახიანი პირველი ჯგუფი 1881 წელს ჩამოასახლეს და თვითეულ კომლს 14 დესეტინა სავარგული გადასცეს, გამოუყვეს საერთო სარგებლობის საძოვრები და სათიბები, დაეხმარნენ მნიშვნელოვანი კრედიტით (1917 წ. აქ 234 კომლი, 1031 სული სახლობდა).

აჭარაში მეორე რუსულ ახალშენს 1892 წელს ჩაეყარა საფუძველი ბათუმის შემოგარენში (ბარცხანა). მას **„ხოლოდნაია სლობოდა"** შეარქვეს. აქ დასახლებულ რუს მოახალშენეებს მუჰაჯირებისა და სახაზინო მიწები გადასცეს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მთავრობის მოხელეებმა დეტალურად შეისწავლეს ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების შექმნის შესაძლებლობანი, მაგრამ კოლონიზაციისათვის თავისუფალი მიწები ვერ გამონახეს, რაც მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულის კავკასიის მთავარმმართებლისადმი 1898 წლის 21 ოქტომბრის მოხსენებაში აისახა.

რუსული კოლონიური ახალშენების ნაირსახეობას წარმოადგენდა **საუფლისწულო მამულები**. რუსეთის საიმპერატორო კარის საუფლისწულო მამულები იყო მსხვილი მეურნეობები, რომელთა სამმართველო აპარატის მოსამსახურენი და მუდმივი მუშახელის ძირითადი ნაწილი რუსები იყვნენ. მარტო ჩაქვის საუფლისწულო მამულში 100-მდე რუსი ეროვნების ოჯახი ჩამოასახლეს. რუსული ახალშენების მოწყობის სპეციალური დებულებაც კი

შეიმუშავეს, რომელსაც საფუძვლად დაედო კავკასიის მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის 1907 წლის 13 თებერვლის ცირკულარი.

საკოლონიზაციო მიწები ბათუმის ოლქშიც გამონახეს. მიუხედავად მისი განსაკუთრებული მცირემიწიანობისა, 1909 წ. აქ 2485 დესეტინა საკოლონიზაციო ნაკვეთები შეარჩიეს. მდინარე კინტრიშის დაბლობში, ყოროლისწყლის ხეობაში, ჭოროხის ორივე ნაპირზე ერგედან დაწყებული ზღვის შესართავამდე განლაგებულ სოფლებში (თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო) კოლონისტების ჩასახლებისათვის საკმარისი მიწები გამოყვეს. ახალსოფელსა და დონღუზადეში (მდ. ჭოროხის შესართავის მარცხენა სანაპირო) რუსული ახალშენების მოწყობის მიზნით ჯერ კიდევ 1899 წ. 580 დესეტინა მიწა შეარჩიეს და 69 არაქართველი კოლონისტის ოჯახი ჩამოასახლეს. 1914 წ. კი აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითადად სექტანტები და ბაპტისტები მოსახლეობდნენ.

ყოროლისწყლის ხუთ სოფელში – ყოროლისთავი, ორთაბათუმი, აგარა, კაპრეშუმი, ყარადერე – ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე 567 კოლონისტს გადასცეს 1151 დესეტინა მიწა. 900-იან წლებში ბათუმის შემოგარენშივე, მდ. ჭოროხის მარჯვენა მხარეს, შეიქმნა ახალშენი **ალექსეევკა**, სადაც 1917 წ. 46 კომლი (117 სული) ცხოვრობდა, ხოლო ქობულეთის მახლობლად ზღვისპირა ზოლში ახალშენ **კომაროვკაში** 106 კომლი 362 სულით. ქობულეთის მახლობლადვე, 1912 წელს შექმნილი რუსული ახალშენი რომანოვკაც მსხვილი კოლონიური დასახლება იყო.

აჭარაში, რუს კოლონიზატორ მოახალშენეების გარდა, ვაჭარ-მრეწველების, ცარიზმის ჩინოვნიკების, კადრის თადარიგის სამხედროთა აგარაკები ვრცელი ბაღ-პარკებით მოეწყო მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ჩაქვში, კაპრეშუმში, სალიბაურში, ყარადერეში (განთიადი), ახალშენში, ანგისაში და სხვა. 1905 წ. ციხისძირში მოახალშენეების 85, მახინჯაურში – 70 ოჯახი ცხოვრობდა. 1914 წ. მწვანე კონცხზე – 195, ჩაქვში – 840 მოახალშენე აღირიცხა, რაც აღნიშნული სოფლების მკვიდრ მოსახლეობას საგრძნობლად აღემატებოდა.

საქართველოში კოლონიზაციის შედეგად დიდძალი ადგილ-მამულები არამკვიდრი მოსახლეობის ხელში მოექცა. მარტო აჭარის ზღვისპირა ზოლში კოლონისტებმა 70000 დესეტინა მიწა დაისაკუთრეს. ამან საგრძნობლად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში. თუ 1800 წ. საქართველოს საერთო მოსახლეობის 80% ქართველი იყო, 1865 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 73,8%, 1897 წ. – 69,4%, ხოლო 1926 წ. – 66,9%. რაც შეეხება აჭარას, მისი მოსახლეობა 1914 წ. 1 იანვრის მონაცემებით 134926 სულს ითვლიდა. აქედან 46589, ე.ი. საერთო რაოდენობის 35%-მდე არაქართველი იყო: მათ შორის რუსები – 22383 (17%), სომხები– 18853(14%), და სხვები – 5353 (4%).

ამის შედეგად, ბათუმი ტიპურ კოლონიურ ქალაქად გადაიქცა. 1878-1914 წლებში მისი მოსახლეობა თითქმის თერთმეტჯერ (3 ათასიდან 32038 სულამდე) გაიზარდა, მაგრამ ქართველები მხოლოდ 9919 სულს (მოსახლეობის საერთო რიცხვის მესამედზე ნაკლებს) შეადგენდა. მოსახლეობის 2/3 (20048 სული) რუსები და სომხები იყვნენ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1878 წლიდან 1917 წლამდე ბათუმის მოსახლეობამ თორმეტჯერ მოიმატა, თუმცა 1918 წლისათვის მისი რაოდენობა 35048-დან 15 375-მდე შემცირდა (1917 წ.), რაც აქ თურქების ოკუპაციის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ; 1920 წელს ბათუმში, საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, მოსახლეობა 1918 წელთან შედარებით გასამმაგდა და 45446 მიაღწია, ხოლო 1922 წელს 60810 შეადგინა. რაც შეეხება ქ.

ბათუმის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მისი დინამიკა 1897 წლიდან 1922 წლამდე ასე განვითარდა: ქართველების რაოდენობა გასამმაგდა და 1897 წლის 6087-დან 1922 წელს 18252 მცხოვრები შეადგინა (მთლიანი მოსახლეობის დაახლ. 29%), სომხების – 6839-დან 14969-მდე გაიზარდა (დაახლ. 24,5%) რუსების – 7144-დან 10720-მდე (დაახლ. 17,6%), ებრაელების – 1064-დან 3699-მდე (დაახლ. 2,9%), ბერძნების – 2764-დან 7629-მდე (დაახლ. 12%), დანარჩენების კი – 4610-დან 5514-მდე (დაახლ. 9%).

აჭარის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ამ რეგიონის უდიდეს უბედურებას წარმოადგენდა მუჰაჯირობა – მოსახლეობის ნაწილის გადასახლება ოსმალეთში. ომის დამთავრებას თითქოს ეს პროცესი უნდა შეეჩერებინა, მაგრამ ამის მაგიერ მან ახლა ოფიციალური სახე მიიღო და თან მისი ქრონოლოგიური ჩარჩოებიც განისაზღვრა (1879 წლის 3 თებერვლიდან 1883 წლის 3 თებერვლამდე) სამი წლით.

1878 წლის 15 ოქტომბერს, თავის მიმართვაში ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი, დ. სვიატოპოლკ-მირსკი მოითხოვდა შემოერთებული მოსახლეობის დაუყოვნებლივ ასიმილაციას და მისი აზრით, უმჯობესი იყო „ადგილობრივი მოსახლეობის მოცილება".

მაშასადამე, ცარიზმი ისევ აგრძელებდა კავკასიის ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობისადმი მტრულ დამოკიდებულებას და ახლად დაპყრობილი რეგიონიდან კვლავ მათ გასახლებას გეგმავდა. ეს პასუხობდა ოსმალეთის ინტერესებსაც. ამიტომაც ოსმალეთმაც ყველაფერი გააკეთა საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობის აყრისათვის. შემდეგ კი რუსეთმაც თავისი მიზანდასახული პოლიტიკით ცეცხლზე ნავთი დაასხა და ისედაც გაურკვევლობით აღელვებულ ხალხს პირი ოსმალეთისკენ აქნევინა.

ბათუმის ოლქიდან მუჰაჯირობის დროს გასახლებულთა რიცხვს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად მიუთითებს. ამ ციფრთა კრიტიკული შეჯერებით პროფ. შ. მეგრელიძე

მივიდა დასკვნამდე, რომ ბათუმის ოლქიდან, კერძოდ აჭარიდან გასახლებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა 10 ათას სულს. მკვლევარი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ ციფრს და აღნიშნავს, რომ ამ გასახლებულთა რიცხვში, სავარაუდოდ, 2-3 ათასი აფხაზი და ათასზე მეტი ლაზი ლტოლვილიცაა საგულვებელი. აქვე გასათვალისწინებელია უკან მობრუნებული მრავალი მუჰაჯირიც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მკვლევარი აჭარიდან გასახლებულ ქართველთა რიცხვს 5 ათასი სულით განსაზღვრავს. ბოლო გამოკვლევების მიხედვითაც, აჭარიდან წასულთა რიცხვი მართლაც არ უნდა აღემატებოდეს 7-8 ათას კაცს.

საქართველოსთან დაბრუნებამდე ბათუმი ოსმალეთის იმპერიის განაპირა, პატარა ქალაქი იყო, სადაც 1872 წლისათვის ითვლებოდა 5 ათასამდე მცხოვრები. აქედან 4500 მუსლიმანი (ქართველი და თურქი), 350 ბერძენი და 120 სომეხი იყო. იქვე ცხოვრობდა რამდენიმე ათეული ჩერქეზი და აფხაზი. 1878 წელს, როცა მუსლიმანი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ბათუმი დატოვა, იქ აღირიცხა 3 ათასამდე მცხოვრები. 1882 წლისათვის ბათუმში აღირიცხა 8671 მცხოვრები, ხოლო 1890 წელს უკვე 18123 სული.

რუსეთის იმპერიის 1897 წლის საყოველთაო აღწერამ ბათუმში დააფიქსირა 28508 მუდმივი და 2 ათასამდე დროებითი მცხოვრები; აქედან 7154 იყო რუსი, უკრაინელი და ბელორუსი, 6687 – ქართველი, 6839 – სომეხი, 2762 – ბერძენი, 1654 – თურქი, 1064 – ებრაელი, 722 – პოლონელი, 299 – გერმანელი, ხოლო 1934 კაცი – სხვა დანარჩენი.

ბათუმელთა უმრავლესობა იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი (15495), 6150 – გრიგორიანელი, 2007 – კათოლიკე, 334 – სხვადასხვა მიმართულების პროტესტანტი, 3156 – მაჰმადიანი და 1179 – იუდეველი.

ბათუმი ოციოდე წელიწადში საშუალო სიდიდის სამრეწველო ქალაქად გადაიქცა, ხოლო მის მახლობლად აღმოცენდა საგარეუბნო მეურნეობები. სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებები მომრავლდა ჩაქვში, სალიბაურში, ფერიასა და სოუქსუში. კურორტები და სუბტროპიკული მეურნეობები გაჩნდა ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, მახინჯაურში. ფერადი მეტალურგიის განვითარების შედეგად სამრეწველო დაბა-სოფლებად გადაიქცა ჭინკათხევი, ერგე, ხოდი, კვარცხანა.

1897 წელს ქალაქ ართვინში აღირიცხა 7061 მცხოვრები, ხოლო 1910-1914 წლებში მისი მოსახლეობა 8-დან 10 ათასამდე მერყეობდა. მნიშვნელოვანი დასახლებები იყო აგრეთვე დაბა არტაანი და არტანუჯი.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში აჭარის დღევანდელი დედაქალაქი ბათუმი იქცა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად ამიერკავკასიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1902 წლის 9 მარტის ბათუმის ამბები, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ ევროპაშიც (გამოსვლას ხელმძღვანელობდა იოსებ ჯუღაშვილი).

ფართო გაქანება მიიღო რევოლუციურმა გამოსვლებმა ბათუმსა და ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდში. ბათუმის მუშათა გამოსვლების შეუპოვრობით დაშინებული ბევრი უცხოელი მეწარმე ბათუმს გაეცალა და თავისი საწარმოები სხვა ქვეყნებში გაიტანა; ამის გამო ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ – ნიკო ნიკოლაძემ თქვა, რომ ბათუმში სოციალ-დემოკრატიამ მოკლა ის ქათამი, რომელიც ბათუმის მუშებისათვის ოქროს კვერცხს დებდაო.

მეტად რთული და მტკივნეული აღმოჩნდა სამუსლიმანო საქართველოს და, კერძოდ, აჭარისათვის პირველი მსოფლიო ომის დროს აქ განვითარებული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქის გუბერნატორი 1914 წლის 12 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალს აცნობებდა: „საეჭვოდ მიმაჩნია ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსახლეობა ომის შემოხვევაში მტრის მხარეზე აღმოჩნდება... ჩემმა მოგზაურობამ ამაში დამარწმუნა“, რუსეთის ცარიზმმა, უმთავრესად თურქეთიდან ლტოლვილ სომეხთა ერთი ნაწილის მიზანმიმართული პროვოკაციული დასმენების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა მოღალატეებად გამოაცხადა, რამაც ქართული საზოგადოების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

აჭარის მოსახლეობის ღალატში ეჭვის შეტანა ყოვლად უსაფუძვლო და დანაშაულებრივი იყო, რაც სულ მალე რუსეთის სახელმწიფოს დიდმოხელეებმაც აღიარეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთის ტერიტორიაზე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ეგიდით შექმნილ „ქართულ ლეგიონში“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის იბრძოდა (ამისთვის გერმანიის ბლოკთან სათანადო ხელშეკრულებაც ჰქონდა გაფორმებული), აჭარაში საბრძოლო მოქმედების გაჩაღებისთანავე, აღნიშნული კომიტეტის მოწოდებით, ჩაეწერა ამ კუთხის ათობით პატრიოტი. ესენია: ზია აბაშიძე, მემედ, ოსმან და ყადირ თავდგირიძეები, სულეიმან ირემაძე, ფეიზულ სურმანიძე, შუქრი ხალვაში, ოსმან გვარიშვილი და სხვა.

ქართველ მუსლიმანთა დასაცავად დაირაზმა მთელი ქართული საზოგადოება. IV სათათბიროს დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა პირადად რამდენიმეჯერ მოიარა მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და 1916 წლის 14 თებერვალს, რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – დუმაში, შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა თანამოძმეთა დასაცავად და თავად რუსეთის ხელისუფლებას დასდო ბრალი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში, უნდობლობა გამოუცხადა მას და მოითხოვა მისი გადადგომა, „რომ ხალხმა თვითონ აიღოს ხელში ქვეყნის მართვა და თავად გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი“. მთავრობის აღნიშნული ქმედებანი დაგმო დეპუტატმა კარლო ჩხეიძემაც.

ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საქმეში წვლილი მიუძღვით, აგრეთვე, არჩილ აბაშიძეს, სტეფანე ქემხაძეს. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატივით, აჭარელ ბრალდებულთ იცავდნენ ცნობილი იურისტები: მ. ფაღავა, ი. მაჭავარიანი, ა საყვარელიძე, ა. მუატი, გ. ანჯაფარიძე და გ. სახნოვსკი; ნაფიცი ვექილები თბილისიდან: ს მესხიშვილი, ო. ბარათაშვილი, პ. გედევანიშვილი, ნ. ქარცივაძე, გ. ანდრეევი. სასამართლო პროცესს სისტემატურად აშუქებდა ქართული პრესა.

უსამართლოდ დასჯილ თანამემამულეთა დახსნაში აქტიურობდა ქართული სამღვდელოებაც, რომლის ინიციატივითაც არა მარტო შემოწირულობები გროვდებოდა, არამედ 1915 წ. თებერვალში, მოხერხდა საქართველოს რუსი ეგზარხოსის პიტირიმის ბათუმში ჩამოყვანა და მასთან აჭარელთა დეპუტაციის შეხვედრა, რამაც გარკვეული როლი შეასრულა „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდების მოხსნაში.

აჭარაში სპეციფიკური პირობები შეიქმნა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. აქ ისე სწრაფად გაიზარდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომ 1917 წლის სექტემბრისათვის მის წევრთა რაოდენობამ 8 ათასს მიაღწია. 1917 წლის ივნისში ბათუმელი ბოლშევიკები გამოეყვნენ მენშევიკებს და დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე განსაკუთრებული ეტაპი იყო საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა 1917 წლის ნოემბერში, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო და მასთან შექმნა სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექცია; მასში თანამშრომლობდნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ ვეშაპელი, პართენ გოთუა და სხვები.

1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტის საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლით, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები თვითგამორკვევის საფუძველზე შეიძლებოდა ოსმალეთის ფარგლებში მოქცეულიყო, რითაც დაუყოვნებლივ სცადა ოსმალეთმა სარგებლობა და დაიწყო აშკარა ინტერვენცია ქართული მიწების მიტაცების მიზნით.

ჯერ კიდევ 1918 წლის 12 თებერვალს ოსმალეთმა დაარღვია დროებითი ზავი და განაახლა სამხედრო მოქმედებანი ამიერკავკასიაში, რამაც ამიერკავკასიის სეიმი აიძულა დამოუკიდებლად ეწარმოებინა საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან. აღნიშნული მოლაპარაკება დაიწყო 1918 წლის 14 მარტს, მაგრამ ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ ბრესტის ზავის პირობების არცნობის შემდეგ, ოსმალები აშკარა აგრესიაზე გადავიდნენ და აპრილის დასაწყისში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გადმოლახეს ბათუმის ოლქის საზღვრები. 14 აპრილს დაიკავეს ბათუმი, შემდეგ კი მოახდინეს მთელი ოლქის ოკუპაცია ოზურგეთამდე. 14 აპრილს ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპიზონი დატოვა. საზავო მოლაპარაკების ახალი რაუნდი ბათუმში 1918 წლის 11 მაისიდან 4 ივნისამდე გაგრძელდა. ბათუმის კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში, 1918 წლის 26 მაისს მოხდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადება, ხოლო 4 ივნისს ოსმალეთთან გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც (13 მუხლი), ოსმალეთის ხელში, გარდა ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებისა, გადადიოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. ამასთან, მას შეუფერხებლად უნდა ესარგებლა ამიერკავკასიის რკინიგზით. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1918 წლის ნოემბრამდე, როცა ანტანტის გამარჯვების გამო ოსმალთა საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა და იგი ბათუმის ოლქში ბრიტანეთის ოკუპაციამ შეცვალა.

ჯერ კიდევ ოსმალების მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის პერიოდში, მისი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების მიზნით, 1818 წლის მაისში, თბილისში შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელსაც **მემედ აბაშიძე** ჩაუდგა სათავეში.

მსოფლიო ომში ანტანტის გამარჯვების შემდეგ, საქართველოს მთავრობა ვარაუდობდა ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების, მათ შორის, აჭარის ბათუმითურთ დაბრუნებას, მაგრამ მისი ეს ვარაუდი არ გამართლდა, რადგან დიდი ბრიტანეთი ანგარიშს უწევდა ამ რეგიონზე რუსეთის პრეტენზიებს, ხოლო გარკვეულ დრომდე თვითონ გა-

ნაგრძობდა ბათუმის ოლქის ოკუპაციას. აქ მან მხარის მმართველობისათვის შექმნა „რუსული ნაციონალური საბჭო“ 9 კაცის შემადგენლობით კადეტ მასლოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც ჰქონდა საკუთარი გაზეთი „ნაშ კრაი“. აღნიშნულ საბჭოში შედიოდა ორი რუსი, ორი ქართველი ქრისტიანი და თითო-თითო ქართველი მაჰმადიანი, ბერძენი, პოლონელი, ებრაელი და სომეხი. მხარის ფაქტობრივ გამგებელს კი ინგლისელი სამხედრო გუბერნატორი კუკ-კოლისი წარმოადგენდა.

ბრიტანული ოკუპაციის პერიოდში ქართული სახელმწიფოს გარშემო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციების გაერთიანება შეაფერხა სომხეთ-საქართველოს ომმა და ყარსში ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის” შექმნამ. სომხეთიცა და „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობაც“ ცდილობდა ესარგებლა მომენტით და დაუფლებოდა ბათუმს აჭარითურთ, რითაც მოიპოვებდა გასასვლელს შავ ზღვაზე. აჭარასა და ბათუმს, მათ გარდა, სხვებიც წაეპოტინენ და იმ დროს მეტად პოპულარული მხარისათვის ავტონომიის მინიჭების შეპირებით ცდილობდნენ აქ თავიანთი გავლენის განმტკიცებას, რასაც დაუპირისპირდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდნენ პატრიოტი მამულიშვილები: მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, სულეიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე, იუსუფ ქათამაძე, ქემალ ნოდაიდელი და სხვები. ორგანიზაციას გააჩნდა საკუთარი გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. მათ აჭარის და, საერთოდ, სამუსლიმანო საქართველოს სამშობლოს ფარგლებში დაბრუნების მიზნით შეიმუშავეს „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ (1919 წლის მაისი), რომლის საპროგრამო დებულებათა განხორციელების შედეგი იყო 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში ქართველ მუსლიმანთა პირველ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული რეგიონის „ამიერიდან და სამარადისოდ დედა--სამშობლო საქართველოს ფარგლებში დაბრუნების“ შესახებ.

მთელი ქართველი ხალხის უდიდესი ძალისხმევის შედეგად ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა ეცნო მისი კანონიერი უფლებები ბათუმსა და ბათუმის ოლქზე, 1920 წლის ზაფხულში აქედან ჯარები გაეყვანა და აჭარა ბათუმითურთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დაეთმო. 1920 წლის 7 ივლისს ბათუმში საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდა და აქ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია. ამავე დღეს საგანგებო კომისართან ერთად ბათუმში ჩამოვიდნენ ცენტრალური უწყებების წარმომადგენლები და გადაიბარეს მათ დაქვემდებარებაში ასაყვანი ორგანიზაცია-დაწესებულებანი. ამ ამბებს ხელი შეუწყო იმანაც, რომ ჯერ კიდევ 1919 წლის 14 მარტს საქართველოს დელეგაციამ პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე დიდ სახელმწიფოთა მეთაურებს წარუდგინა ვრცელი მემორანდუმი საქართველოს იურისდიქციის გავრცელების მოთხოვნით თბილისის, ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმის, ზაქათალის და ყარსის ოლქების და ტრაპიზონის ვილაეთის გარკვეული ნაწილის ტერიტორიებზე. მართალია, ამის „დე იურედ“ ცნობა გაჭიანურდა (1921 წლის იანვარი), მაგრამ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რუსეთმა საქართველო ამ საზღვრებში ცნო. ამ საზღვრებში აღიარა საქართველო ერთა ლიგამაც.

დაიწყო ბათუმის ოლქის სოფლების ადმინისტრაციული მოწყობა. პირველ რიგში შეიქმნა მილიციის უბნები. თურქეთთან სუსტად დაცული საზღვარი გზას უხსნიდა თურქული აგიტაციის წარმოებას, რაც აღვივებდა უკმაყოფილებას.

უკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის საკითხის მოუგვარებლობა. ამიტომ, მემედ აბაშიძის მეთაურობით, 1920 წლის 26 ივლისს თბილისში ჩავიდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის დელეგაცია. დელეგაციას მიაჩნდა, რომ მთავრობის მიერ ავტონომიის გამოცხადების გადავადება ბათუმის ოლქის მოსახლეობაში აღიქმებოდა მასზე უარის თქმად, რაც ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ავტონომიის ლოზუნგით აქ მოქმედი ოსმალური, რუსული თუ აზერბაიჯანული ანტიქართული ძალების საქმიანობას.

1920 წლის 21 სექტემბერს დამფუძნებელმა კრებამ მდგომარეობის გასარკვევად ბათუმში მოავლინა თავისი წევრი პეტრე გელეიშვილი, რომელმაც აქ 12 დღიანი მუშაობის შემდეგ გააკეთა შემდეგი დასკვნა: „მთავრობას ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ აქ სრულიად არაფერი გაუკეთებია... არცერთი მომხრე და მოყვარე ჩვენი ქვეყნისა არ შეგვიძენია და რაც გვყავდა სულ ერთიანად მოგვიმდურებია“...

მდგომარეობის გამოსასწორებლად პ. გელეიშვილს აუცილებლად მიაჩნდა ეროვნულ-კულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა, „უვარგისი ჩინოვნიკების“ აქედან გაწვევა, სამსახურში ადგილობრივი ინტელიგენციის ჩაბმა და მათზე დაყრდნობა. ქართული პრესაც აკრიტიკებდა და მიუთითებდა მთავრობის „სოციალისტური ექსპერიმენტების“ უარყოფით როლზე ამ ახალ შემოერთებულ რეგიონში.

ნოემბერ-დეკემბერში აჭარის სოფლებში გაიმართა სახალხო კრებები, რომლებმაც მთავრობას აღუთქვა თანადგომა და გამოთქვა მზადყოფნა, რომ არ მისცემდნენ ასპარეზს საქართველოს ერთიანობის მტრებს.

ასეთ ვითარებაში, 1921 წლის იანვარში, პრესაში გამოქვეყნდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ძირითადი მუხლები „ბათუმისა და მისი ოლქის ავტონომიის ფორმის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია, რომ „სამუსლიმანო საქართველო შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს ფართო ავტონომიური მართვა-გამგეობით“, რაც აისახა კიდეც 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლში.

დამოუკიდებლობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა – მალე საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო. 1921 წლის 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აჭარაშიც. იმავე წლის 16 ივლისის დეკრეტით კი შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. განვითარდა მრეწველობა. შეიქმნა ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, საკონსერვო, სამკერვალო და მრეწველობის სხვა დარგები. განხორციელდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ბარის რაიონებში მოეწყო ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები. ჩამოყალიბდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო. თავისი წვლილი შეიტანა აჭარამ მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის განადგურებაშიც.

XX საუკუნის 80-იან წლებში სსრ კავშირში უაღრესად გამწვავდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინააღმდეგობები, რამაც გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და საბჭოთა კავშირის დაშლა.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებით სახელმწიფოს სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. თანდათან დაიწყო ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პროცესი.

დამოუკიდებლობის პირველი წლები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. საქართველო სამოქალაქო ომმა და გარე ძალების მიერ მართულმა სეპარატისტულმა მოძრაობამ მოიცვა, რასაც ეთნოკონფლიქტები მოჰყვა. ამ ხანებში აჭარა, ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობით, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო ცენტრისაგან და ნაკლებად იღებდა მონაწილეობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში განხორციელდა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, რასაც შევარდნაძის ხელისუფლების გადადგომა მოჰყვა. მოვლენათა ტალღამ აჭარაშიც შემოაღწია. 2004 წლის მაისში ადგილობრივი მთავრობის ლიდერმა ა. აბაშიძემ ძალაუფლება დაკარგა და ქვეყანა დატოვა.

დღეისათვის აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონია. მას გააჩნია საკმაო პოტენციალი სერიოზული კაპიტალის მისაზიდად და მისი ბრუნვაში მოსაყვანად. მნიშვნელოვანია აქაური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიც.

2005 წლიდან ბათუმი შავი ზღვის ნამდვილ ტურისტულ ცენტრად იქცა. დაიწყო შემოსვლა და დამკვიდრება მსოფლიოში ცნობილი ისეთი ბრენდებისა, როგორებიცაა „შერატონი“, „ჰაიატი“, „რედისონი“ და „ჰილტონი“. აქტიურად წარიმართა ქალაქის ძველი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი. ვითარდება ტურიზმის სხვადასხვა მიმართულება. გაიზარდა ბათუმის ცნობილი ზღვისპირა პარკი, რომლის სიგრძეც ამჟამად უკვე 7 კმ-ია.

2006 წლიდან, თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, რაიონები გადაკეთდა მუნიციპალიტეტებად.

აღსანიშნავია, რომ როგორც ზღვისპირა, ისე მაღალმთიან აჭარაში ხალხი მასობრივად ინათლება. ამან განაპირობა ის, რომ წმინდა სინოდის 2006 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სხალთის ეპარქია, რომელშიც გაერთიანდა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები. 2008 წლის 10 ივნისს ეპარქიას ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელმაც ხიჭაურის ყოფილი სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაც მოინახულა. გადაწყდა, საპატრიარქოს პატრონაჟით, აქ ამოქმედებულიყო უმაღლესი სასწავლებელი. მალე, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი თანადგომითა და ხელშეწყობით, ხიჭაურის სასაზღვრო ბაზაზე გაიხსნა საპატრიარქოსთან არსებული, ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი დღეს ქართული სულიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრად არის ქცეული შიდამთიან აჭარაში. რეგიონისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

2009 წლიდან დაიწყო ძველი ბათუმის რეაბილიტაციის პროექტი. რეაბილიტირებული იქნა მრავალი ისტორიული შენობა და ქუჩა. ისტორიული წინსვლა და აღმშენებლობა რეგიონში სამომავლოდაც გაგრძელდება.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. გოგიტიძე ს., აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათუმი, 2002.

2. გოგიტიძე ს., ძიებანი ვახტანგ გორგასალის დროინდელი ქართლის სამეფოს ისტორიიდან, ბათუმი, 1998.

3. დიასამიძე ბ., ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები), ბათუმი, 2001.

4. თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წ.წ.), ბათუმი, 2005.

5. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.

6. სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი, 2002.

7. სიჭინავა ვლ., ბათუმის საქალაქო მმართველობის სამეურნეო საქმიანობა 1888-1917 წწ. მოკლე მიმოხილვა, ბათუმი, 1966.

8. Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906.

9. Ломоури Н.Ю., Грузино-Римские взаимоотношения, Тбилиси, 1981.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის

1. რომელ ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში შედიოდა აჭარის ტერიტორია?

2. რა იცით ანტიკურ ხანაში აჭარის ტერიტორიაზე არსებული ქალაქების შესახებ?

3. ქრისტეს რომელმა მოციქულებმა იქადაგეს ქრისტიანობა აჭარაში და შემდგომში რომელ ეპარქიებს ექვემდებარებოდა იგი?

4. რა შეგიძლიათ თქვათ VI-IX საუკუნეების პეტრა-ციხისძირის ციხე-ქალაქსა და საეპისკოპოზე?

5. როდიდან ჩნდება წერილობით წყაროებში სახელწოდება „აჭარა“ და რომელი ავტორის ნაშრომში იხსენიება პირველად აჭარის ერისთავი, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი?

6. რა შეგიძლიათ თქვათ აბუსერიძეთა საგვარეულოსა და მათი საგამგეო ერთეულის შესახებ?

7. რა იცით ტბელ აბუსერისძის შესახებ?

8. როგორ აისახა აჭარის ცხოვრებაზე ოსმალთა ბატონობა?

9. გვესაუბრეთ 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის მნიშვნელობაზე აჭარისათვის.

10. რა იცით ბათუმის „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადების შესახებ და რომელ წლებში მოქმედებდა იგი?

11. რა იცით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის მუჰაჯირობასა და რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკაზე აჭარაში?

12. რა იცით აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ?

13. რა იცით XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის აჭარაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შესახებ?

თავი III – აჭარის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება

ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვა

მრეწველობა. მრეწველობა აჭარის ეკონომიკის წამყვანი დარგი იყო. მისი დაჩქარებული განვითარება დაიწყო XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც აჭარა ოსმალთა მფლობელობისაგან განთავისუფლდა და დედასამშობლო საქართველოს დაუბრუნდა. მრეწველობის ძირითად ცენტრად ბათუმი გადაიქცა, სადაც არაერთი მსხვილი სამრეწველო საწარმო გაიხსნა. ბათუმის სამრეწველო განვითარება განაპირობა ორმა ძირითადმა ფაქტორმა: გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ. ბათუმმა მრეწველ-საქმოსანთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია და XIX საუკუნის 80-იან წლებში მათ აქ დააარსეს ნავთის გადასასხმელი საწარმოები, ხისა და ლითონის ყუთების, თუჯის საჩამომსხმელო, მომთუთიებელი, ტყავის, თამბაქოს, ქიმიური და სხვა დარგის ქარხანა-ფაბრიკები. სამრეწველო-სამეწარმეო საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნობელი, როტშილდი, მანთაშევი, ხაჩატურიანი, ბინიათ-ოღლი და სხვები.

მრეწველობის განვითარების დონით ქ.ბათუმს XX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში მესამე ადგილი ეკავა. იგი მხოლოდ ბაქოსა და თბილისს ჩამორჩებოდა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმის მრეწველობა, როგორც ეკონომიკის სხვა დარგები, მნიშვნელოვნად დაზიანდა. ბათუმის გარდა, სამრეწველო საწარმოები გაიხსნა ქობულეთის მაზრაშიც (სალიბაური, განთიადი, ჩაქვი, ქობულეთი).

ართვინის ოკრუგში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვითარდება სამთამადნო მრეწველობა, სადაც შეიქმნა წიაღისეულის გამამდიდრებელი ფაბრიკები (კვარცხანა, ძანსული), სპილენძის გადამამუშავებელი მცირე სიმძლავრის ქარხანა სოფელ ერგეშიც დაარსდა, რომელიც მრეწველ რიხნერს ეკუთვნოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, ქ. ბათუმში 600-ზე მეტი სამრეწველო საწარმო აღირიცხა (სახელოსნოების ჩათვლით). უმრავლესობა საშუალო და მცირე სიმძლავრისა იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ 1921-1922 წლებში განახორციელა სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაცია, რის შედეგად ისინი სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1927 წლისათვის მრეწველობაში სახელმწიფო სექტორი განუყოფლად გაბატონდა.

აჭარაში 1927 წლიდან იწყება ინდუსტრიული განვითარება, რომლის განხორციელების შედეგად შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათსაშენი, ჰიდროენერგეტიკული, კოფეინის, ელექტროტექნიკური, საშენი მასალების, ტყავ-ფეხსაცმლის, ჩაის, ციტრუსების გადამმუშავებელი, საკონდიტრო, თევზის, საფეიქრო, სამკერვალო და სხვა.

სამრეწველო საწარმოთა შორის მნიშვნელოვანი იყო ბათუმის ***ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა,*** რომელიც ექსპლოატაციაში 1929 წელს შევიდა. ქარხნის ნედლეული აზერბაიჯანის ნავთობი იყო, რომელსაც ნავთობმილსადენით იღებდა. პირველი ნავთობსადენი მილი, რომელიც 883 კმ-ს შეადგენდა, 1900 წელს გაიყვანეს. მაგრამ იგი არასაკმარისი აღმოჩნდა. ამიტომ 1930 წელს გაიყვანეს მეორე ნავთობსადენი მილი „ბაქო-ბათუმი“, რომლის სიგრძე 822 კმ-ს უდრიდა. ომისშემდგომ წლებში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარ-

ხანა ნედლეულს იღებდა კრასნოდარიდან, სარატოვიდან, სუფსიდან (გურია) და სხვა რეგიონებიდან. ქარხანამ 1937 წელს 21, ხოლო 1944 წელს 44 სახეობის პროდუქცია გამოუშვა. ქარხნის ძირითადი პროდუქცია იყო ბენზინი, ნავთი, ზეთი, ნავთობბითუმი, ფლოტის საწვავი და სხვა. მათ შორის დიდად ჭარბობდა ბენზინი და ნავთი.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას მაღალკვალიფიციური სამრეწველო პერსონალი ჰყავდა. 1940 წელს ქარხანაში მუშაობდა 1433 კაცი (974 მუშა, 203 ინჟინერი და ტექნიკოსი). 1932 წლის ცნობით, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ გადაამუშავა ამიერკავკასიაში გადამუშავებული ნავთობის 25,2%, ხოლო სსრ კავშირში გადამუშავებული ნავთობის 14,3%. ამ ერთ ქარხანაზე მოდიოდა ამიერკავკასიაში წარმოებული ბენზინის 41,3% და სსრ კავშირში წარმოებული მთელი ბენზინის 10,9%.

ნავთობის მრეწველობის მეორე უმნიშვნელოვანესი საწარმო იყო ***ბათუმის ნავთობპროდუქტების გასაღები მთავარი ბაზა,*** რომელიც ექსპლოატაციაში 1930 წელს შევიდა. მის სისტემაში შედიოდა ცისტერნები, გემებზე ნავთობპროდუქტების გადასხმის მოწყობილობა-დანადგარები და სხვა მექანიზმები. ბაზის ძირითადი დანიშნულება იყო ნავთობპროდუქტების ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1931 წელს ნავთობპროდუქტების მთავარი ბაზის პერსონალი 734 მუშა-მოსამსახურეს ითვლიდა (582 მუშა და 152 მოსამსახურე).

აჭარა მდიდარია ***ჰიდროენერგეტიკული რესურსებით,*** მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი შესაბამისად არ ყოფილა გამოყენებული. პირველი ჰიდროელეტროსადგური მდინარე ჩაქვისწყალზე ააგეს 1915 წელს, რომელიც ჩაქვის საუფლისწულო მამულს აწვდიდა ელექტროენერგიას. 1933 წელს ექსპლოატაციაში შევიდა 80 კილოვატი სიმძლავრის ხულოს რაიონული ჰიდროელექტროსადგური. შედარებით მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო აჭარისწყალზე (აწჰესი) 1924 წელს. მისი მშენებლობა რთულ გეოლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა და ამიტომ დიდხანს გაგრძელდა. ძირითადად დამთავრდა 1937 წელს, ხოლო დასრულებული სახით ექსპლოატაციაში გადაეცა 1940 წელს. აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის თავდაპირველი სიმძლავრე 16000 კილოვატს შეადგენდა და იგი ყველაზე მძლავრია აჭარაში ამ დარგის საწარმოთა შორის.

ომისშემდგომ წლებში განახლდა მცირე სიმძლავრის საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, საწარმოებში დაიდგა ელექტროგენერატორები. ამის შედეგად 1950 წელს აჭარაში 73 ელექტროსადგური და ელექტროგენერატორი ითვლებოდა. მათ შორის 29 იყო ჰიდროენერგეტიკული. საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ენერგეტიკულ საწარმოებს შორის შედარებით მძლავრი იყო მაჭახელჰესი, რომელიც ექსპლოატაციაში 1957 წელს შევიდა. მისი სიმძლავრე 1430 კილოვატს შეადგენდა. XX საუკუნის 60-იან წლებში საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურები დაიხურა. აჭარა გადავიდა ცენტრალურ ელექტრომომარაგებაზე. 70-80-იან წლებში აჭარაში მოქმედებდა მხოლოდ ოთხი ჰიდროელექტროსადგური: ***აწჰესი, მაჭახელჰესი, კინკიშჰესი*** და ***აჭჰესი,*** რომელთა საერთო სიმძლავრე 17-18 მეგავატს შეადგენდა.

აჭარის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ჰქონდა ლითონდამუშავებით, მანქანათსაშენ, გემთსაშენ და ელექტროტექნიკურ მრეწველობას. ლითონდამუშავებითი საწარმოები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შეიქმნა. მათგან აღსანიშნავია ბიდონების, თუჯის საჩამომსხმელო, მექანიკური და მომთუთიებელი ქარხნები.

მანქანათსაშენი ქარხანა 1936 წელს დაარსდა. მომდევნო წელს მას შეუერთდა თუჯის საჩამომსხმელო ქარხანა. ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა აწარმოებდა ჩაის, ღვინის, თამბაქოს, საკონდიტრო მრეწველობის დანადგარებს, მანქანა-მოწყობილობას, მათ სათადარიგო ნაწილებს და სხვა. ქარხანამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის დროს საბრძოლო იარაღის წარმოებაში. ომისშემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი XX საუკუნის 80-იან წლებში, მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა მანქანათსაშენი ქარხნის ტექნიკური რეკონსტრუქციისა და გადაიარაღებისათვის. საწარმოში შეიქმნა ახალი საამქროები და უბნები, გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა ხარისხი. 1951-1981 წლებში ქარხნის პროდუქციის ასორტიმენტი 20-დან 80-მდე გაიზარდა. ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის პროდუქცია იგზავნებოდა ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

ბათუმში გემთმშენებლობას საფუძველი 1941-1945 წლებში ჩაეყარა და ამ დარგმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აჭარის ეკონომიკაში. ***გემთსაშენი ქარხანა*** ბათუმში დაარსდა 1943 წელს. მისი დაარსება განაპირობა მეორე მსოფლიო ომის დროს განვითარებულმა მოვლენებმა. ფაშისტურმა გერმანიამ დაიკავა სსრ კავშირის მნიშვნელოვანი ნაწილი და სერიოზული საფრთხე შეექმნა შავი ზღვის აკვატორიის პორტების უმრავლესობას. ამიტომ სევასტოპოლიდან გემთსაშენი საწარმოები გადმოიტანეს ტუაფსეში, ფოთსა და ბათუმში. მათ თან გადმოყვა სამრეწველო პერსონალი და მათი ოჯახის წევრების დიდი ნაწილი.

ბათუმის გემთმშენებელ ქარხანას თავდაპირველად ეწოდა გემთშემკეთებელი, რომელიც გემების მიმდინარე, საშუალო და კაპიტალურ რემონტს ეწეოდა. 1957 წლიდან იგი ცნობილია გემთმშენებელი ქარხნის სახელწოდებით. ქარხანა დასპეციალდა პატარა გემების წარმოებაზე.

1953 წლიდან ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა ამზადებდა კატარღებს, სასეირნო და სამუშაო ნავებს. 60-იან წლებში ქარხანაში აითვისეს წყალქვეშაფრთიანი კატარღების, საბუქსირო ძრავიანი და მაშველი ნავების წარმოება.

ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის პროდუქციას დიდი გასავალი ჰქონდა. სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო პორტების გარდა იგზავნებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. 1966 წელს ბათუმური წარმოების გემები შეისყიდა 46 ქვეყანამ. XX საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის გემთსაშენი ქარხანა სამხედრო პროგრამაზე გადაიყვანეს და წარმოებაც გასაიდუმლოებული გახდა. ამიერიდან ქარხანა შეუდგა სასაზღვრო დაცვის სამხედრო-სადესანტო ნავების გამოშვებას. 2004 წლის შემდეგ ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის დემონტაჟი განხორციელდა.

XX საუკუნის 50-იან წლებში აჭარაში შეიქმნა მანქანათმშენებლობის ახალი დარგი – ***ელექტროტექნიკური მრეწველობა.*** 1958 წელს ბათუმში დაარსდა ელექტრომექანიკური მრეწველობის საკავშირო მნიშვნელობის სამი საწარმო: ***საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი, ელექტრომექანიკური*** და ***ტრანსფორმატორების.*** მათი ბათუმში დაფუძნება განაპირობა მრავალმა ფაქტორმა. მათ შორის ძირითადი იყო სსრ კავშირის ერთიანი ეკონომიკური სივრცის გაფართოება-გაძლიერება და ამ რეგიონის ჭარბი მოსახლეობის დასაქმება. 1960-1980 წლებში ტრანსფორმატორების ქარხნის საერთო პერსონალი 246-დან 982-მდე, ელექტრომექანიკური ქარხნის – 322-დან 817-მდე, ხოლო საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნისა – 171-დან 930 კაცამდე გაიზარდა.

ტრანსფორმატორების ქარხანა ამზადებდა სხვადასხვა სიმძლავრის ავტომატიზებულ ტრანსფორმატორებს, ელექტრონათურებს და სხვა პროდუქციას. პირველი პროდუქცია მომხმარებელს 1959 წელს მიაწოდა. თუ 1967 წელს ბათუმური წარმოების ტრანსფორმატორები მსოფლიოს 24 ქვეყანამ შეისყიდა, 1984 წელს 40-მდე სახელმწიფოში გაიგზავნა. ელექტრომექანიკური ქარხანა აწარმოებდა ელექტროამწეებსა და ელექტროურიკებს. ქარხანამ პირველი პროდუქცია 1958 წლის ნოემბერში გამოუშვა და აქედან მოყოლებული წარმოება განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1980 წელს ქარხანა აწარმოებდა 8 სახეობის ელექტროურიკას, რომლებიც მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების დონეზე იყო.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა ამზადებდა სარეცხ მანქანებს, გაზქურებს, მტვერსასრუტებს და გოფრირებულ შლანგებს. 1972 წლიდან ქარხნის ძირითად პროდუქციად იქცა გაზქურები და გოფრირებული მილები. ამ უკანასკნელი პროდუქციით მთლიანად სსრ კავშირს ამარაგებდა. ომისშემდგომ წლებში ერთ საწარმოდ გაერთიანდა მოსათუთიებელი და თუჯის საჩამომსხმელო ქარხნები. ამის შემდეგ მას ეწოდა მექანიკური ქარხანა. XX საუკუნის 50-80-იან წლებში ბათუმის მექანიკური ქარხანა 15–მდე პროდუქციას აწარმოებდა. მათგან აღსანიშნავია მოთუთიებული ჭურჭელი, შენობების ლითონის სახურავები და ფართო მოხმარების საქონელი.

აჭარაში მნიშვნელოვნად განვითარდა ***ქიმიური*** და ***ნავთობქიმიური მრეწველობა.*** XX საუკუნის 60-იან წლებში ითვლებოდა ამ დარგის 4 მსხვილი საწარმო: ქიმიურ-ფარმაცევტული (კოფეინის), ქიმიური, ტუნგის ზეთსახდელი და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნები. მათ შორის ფლაგმანი იყო ***ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა,*** რომელიც 1937 წელს დაარსდა. იგი სამკურნალო ბალახებისა და უხეში ჩაის ფოთლისაგან სამედიცინო პრეპარატებს ამზადებდა. 1974 წ. ქარხანა ამზადებდა 21 სახეობის სამედიცინო პრეპარატებს. ისინი წარმატებით გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქიმიურმა ქარხანამ. 1970 წელს 11 სახეობის პროდუქციას ამზადებდა. მათგან აღსანიშნავია ალიფა, ზეთოვანი საღებავები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები, ბროლის ჭურჭელი და სხვა. რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა 1960 წელს ამოქმედდა. იგი აწარმოებდა დერმატინს, საგალანტერიო და საავეჯო გარნიტოლს, რეზინის ფეხსაცმელს. 70-იან წლებში რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო კალათებისა და პარკების გამოშვება. ოჩხამურის (ქობულეთის რაიონი) ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა ერთადერთი იყო სსრ კავშირში, რომელიც ძვირფასს საღებავებს აწარმოებდა. ქარხნის პროდუქციას დიდი გამოყენება ჰქონდა გემთმშენებლობაში, სამედიცინო და სამხედრო-თავდაცვით მრეწველობაში. მართალია, ომისშემდგომ წლებში ქარხნის პროდუქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ სსრ კავშირის მოთხოვნილებას 7-8%-ით აკმაყოფილებდა.

აჭარაში საშენი მასალების ქარხნულ დონეზე წარმოება XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. 1930 წელს დაარსდა ოჩხამურის აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელსაც 1933 წელს ეწოდა კერამიკული საწარმო. იგი აწარმოებდა აგურს, კრამიტს, თიხის მილებსა და ჭურჭელს. 1931 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ბათუმის ბეტონისა და აგურის ქარხნები. 1937 წელს ქობულეთში დაარსდა სსრ კავშირში პირველი ელექტროცემენტის ქარხანა. 1940 წელს ურეხის აგურ-კრამიტის საწარმოსა და ბათუმის კერამიკული სახელოსნოს გაერთიანების შედეგად შეიქმნა ურეხის საშენი მასალების ქარხანა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საშენი მასალების წარმოება.

საშენი მასალების წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა XX საუკუნის 50-80-იან წლებში. 1961 წელს აჭარაში საშენი მასალებს აწარმოებდა 26 საწარმო. ამდენივე იყო 1986 წელსაც. აღსანიშნავია ჭოროხის ინერტიული მასალების ქარხანა, საწარმოო წარმოების კომბინატი. ისინი ამზადებდნენ ხრეშს, სილა-ღორღს, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, საკედლე და წვრილ ბლოკებს, ბეტონს და სხვა.

ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობა აჭარაში წარმოდგენილი იყო ***ფირფიცრისა*** და ***სახერხი ქარხნებით, საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკით*** და სხვა საწარმოებით. 1927 წელს ბათუმში დაარსდა ხისდამუშავებელი მსხვილი საწარმო. 30-იან წლებში გაიხსნა ბათუმის საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკა. ომისშემდგომ წლებში შეიქმნა გრეხილი ავეჯის ქარხანა, ტაბახმელასა და წელათის სახერხი ქარხნები. ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი საწარმოები ამზადებდნენ ფირფიცარს, დიქტას, ავეჯს, დახერხილ მასალას, ფანერს და სხვა.

აჭარის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსუბუქ მრეწველობას. 1986 წელს ამ დარგის 12 საწარმო აღირიცხა. მათ შორის აღსანიშნავია ბათუმის სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკები, ტყავ-ნედლეულის ქარხანა, ქობულეთის საფეიქრო საწარმო და სხვა. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები აწარმოებდნენ მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ტყავის ნაწარმს, ბამბის ქსოვილებს და სხვ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ეკავა კვების მრეწველობას. 1986 წელს აქ კვების მრეწველობის 243 საწარმო ითვლებოდა, რომელთაგან 18 დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებოდა. აჭარაში მოქმედებდა 18 ჩაის ფაბრიკა, ხილის გადამუშავების ხუთი საწარმო, ხორცისა და პურფუნთუშეულის კომბინატები, თამბაქოს, საკონდიტრო, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, რძის, თევზის ქარხანა-ფაბრიკები და სხვა. ისინი აწარმოებდნენ ჩაის მზა პროდუქციას, პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტრო და რძის ნაწარმს, ხორცს, ძეხვეულს, ფერმენტირებულ თამბაქოს, პაპიროსს, კონსერვებს, ღვინოს, არაყს, ლუდს, უალკოჰოლო სასმელებს და სხვ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც, სამრეწველო საწარმოებმა ვეღარ შეძლეს დამოუკიდებლად ფუნქციონირება. თანდათანობით განხორციელდა მათი დემონტაჟი. ქარხანა-ფაბრიკების დანადგარები ჯართად გაიყიდა. სამრეწველო საწარმოთა მხოლოდ მცირე ნაწილი უცხოელმა ბიზნესმენებმა შეისყიდეს და ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდა მათი სამრეწველო საქმიანობა. ასეთი საწარმოებია ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა და აწჰესის ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც ამჟამად წარმატებით მუშაობენ.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. აჭარაში განვითარებული იყო საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო, მილსადენი და ელექტროტრანსპორტი. თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა სამდინარო და საჭაპანო ტრანსპორტმა, რომლის ისტორია ცივილიზაციის დროიდან იწყება. 1878 წელს აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ დაწინაურდა საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საზღვაო ტრანსპორტმა, რომელიც წარმოდგენილია ბათუმის ნავსადგურით. მას პირველი ადგილი ეკავა საქართველოს საზღვაო ნავსადგურებს შორის.

XX საუკუნის 30-იან წლებში ეტაპობრივად განხორციელდა ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქცია. ამის შედეგად ბათუმის ნავსადგურიდან ტვირთზიდვამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1913 წლის დონეს. 1932 წელს შავი ზღვის ნავსადგურებს შორის ბათუმის პორტმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 1933 წელს სსრ კავშირის მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ბათუმის ნავსადგურში ფუნქციონირებდა 18 განყოფილება, უბანი და საამქრო. ნავსადგურის საერთო ფართობი 1973 წელს 73,7 ჰექტარიდან 400 ჰექტრამდე გაიზარდა; ნავსადგურის საერთო სიგრძე 2,1 კმ-ს აღწევდა. ნავსადგურში შეიქმნა შიდამომსახურების ფლოტი და ავტომეურნეობა, ექსპლოატაციაში შევიდა საზღვაო ვაგზალი. 90-იან წლებში ნავსადგურს შეეძლო 10,5 მლნ ტონა ტვირთის გადამუშავება (2,5 მლნ ტონა მშრალი და 8 მლნ ტონა თხევადი).

1967 წელს ბათუმში დაარსდა ***საქართველოს საზღვაო სანაოსნო,*** რომელსაც თავდაპირველად 13 გემი ჰქონდა. 1990 წელს მათი რაოდენობა 53-მდე გაიზარდა (36 ტანკერი და 17 სამშრალტვირთო), რომელთა ტვირთამწეობა მილიონ ტონამდე გაიზარდა. საზღვაო სანაოსნოს გემები 55 ქვეყნის 130 ნავსადგურში შედიოდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სანაოსნო ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. პოლიტიკური კრიზისის პირობებში იგი ფაქტობრივად დაიშალა.

საქართველოში ***სარკინიგზო ტრანსპორტის*** ისტორია XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს იწყება. 1882 წელს გაიყვანეს სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ლიანდაგი, რის შედეგად აჭარა მთლიანად ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელში ჩაერთო.

ბათუმში შეიქმნა რკინიგზის ტრანსპორტის სახელოსნოები, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები, სალიანდაგო დისტანცია და სატვირთო სადგური. XX საუკუნის 50-80-იან წლებში განხორციელდა მათი რეკონსტრუქცია.

აჭარაში ***საავტომობილო ტრანსპორტი*** XX საუკუნის 20-იან წლებში ინერგება. ბათუმში ავტომობილი პირველად 1911 წელს სტამბოლის გავლით შემოიყვანა ნობელის პრემიის ლაურეატმა, რუსმა მწერალმა ივან ბუნინმა, ხოლო პირველმა სამგზავრო ავტომობილმა მოძრაობა დაიწყო 1925 წელს. 1931 წელს აჭარაში აღირიცხა 91 ავტომობილი. 1935 წელს მათი რაოდენობა 250-მდე გაიზარდა. მათ შორის იყო: 145 სატვირთო, 70 სამგზავრო და 24 სპეციალური. მათ გადაიტანეს 83168 ტონა ტვირთი და გადაიყვანეს 112 ათასზე მეტი მგზავრი.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებაში არსებითი გარდატეხა მოხდა XX საუკუნის 60-80-იან წლებში. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა სახის საავტომობილო მეურნეობა, გაიხსნა სამარშრუტო ხაზები, ჩამოყალიბდა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს №4 ტრესტი, რომელიც აერთიანებდა აჭარის, გურიისა და ფოთის სატრანსპორტო საწარმოებს. 1990 წლისათვის აჭარაში ითვლებოდა საერთო სარგებლობის 11 ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელიც 2036 ავტომობილს აერთიანებდა. აჭარის ყველა საშუალო და მსხვილ დასახლებაში საავტომობილო სამარშრუტო ხაზი გაიხსნა, სადაც რეგულარულად მოძრაობდა ავტობუსები.

XX საუკუნის 80-იან წლებში საავტომობილო ტრანსპორტს პირველი ადგილი ეკავა შიდასაქალაქო, საგარეუბნო, სასოფლო და საქალაქთაშორისო მიმოსვლაში. ელექტროტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობის – ტროლეიბუსის მოძრაობა აჭარაში დაიწყო 1978 წელს. მისი თავდაპირველი ხაზის სიგრძე 25 კმ-ს შეადგენდა (ბათუმი-ხელვაჩაური). 1980 წელს

გაიყვანეს ბათუმი-მახინჯაურის ტროლეიბუსის ხაზი და საერთო სიგრძე 38,5 კმ-მდე გაიზარდა. 1990 წელს აჭარაში 48 ტროლეიბუსი მოძრაობდა. სამწუხაროდ, XX საუკუნის დამლევს ამ სახეობის ტრანსპორტის ლიკვიდაცია მოხდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მნიშვნელოვნად განვითარდა კერძო ავტოტრანსპორტი. ამის შედეგად მგზავრთა გადაადგილება XXI საუკუნის დასაწყისიდან შესამჩნევად გაიზარდა.

1941 წელს ბათუმში გაიხსნა აეროპორტი, რომელიც სამხედრო-თავდაცვით საქმეს ემსახურებოდა. 1946 წლიდან იგი გადავიდა სამოქალაქო ავიაციის დაქვემდებარებაში. ომისშემდგომ პერიოდში კეთილმოეწყო ბათუმის აეროპორტი, რეგულარულად დაიწყო თვითმფრინავების ფრენა. მაგრამ საჰაერო ტრანსპორტის ხვედრითი წილი ტვირთზიდვაში უმნიშვნელო იყო. მგზავრთა გადაადგილებაში საჰაერო ტრანსპორტის მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგალითად 1955 წელს მგზავრთა გადაადგილება 12 ათასი კაციდან 1990 წელს 246 ათასამდე გადიდდა.

კავშირგაბმულობის ისტორია აჭარაში ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ იწყება. XIX საუკუნის 80-იან წლებში ბათუმში შეიქმნა ***ფოსტა-ტელეგრაფი.*** მაგრამ მაზრებსა და სოფლებს შორის სატელეფონო ხაზი საერთოდ არ არსებობდა. XX საუკუნის 20-იან წლებში ინფორმაციის მიწოდება და ამანათის გაგზავნა სპეციალური პუნქტების მეშვეობით ხორციელდებოდა. სატელეფონო კავშირურთიერთობის განვითარება 30-იანი წლებიდან იწყება. 1940 წლამდე ამოქმედდა 51 ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და 17 სატელეფონო სადგური. 1950 წელს ფოსტა-ტელეგრაფის რაოდენობა 68-მდე, ხოლო სატელეფონო სადგურებისა – 21-მდე გაიზარდა. 1950 წლისათვის აჭარის ყველა სასოფლო საბჭო სატელეფონო ხაზით იყო დაკავშირებული რაიონულ ცენტრთან. მაგრამ სატელეფონო კავშირი სოფლების მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა.

XX საუკუნის 50-80-იან წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კავშირგაბმულობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1978 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა საქალაქთშორისო სატელეფონო ხაზი ბათუმი-სამტრედია. 1976-1978 წლებში ავტომატური სატელეფონო სადგურები და ქვესადგურები მოეწყო ხულოს რაიონულ ცენტრში, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების მთელ რიგ სოფლებში. XX საუკუნის 80-იან წლებში დამთავრდა ბათუმ-ახალციხის სატელეფონო ხაზის მშენებლობა. XXI საუკუნის დასაწყისიდან აჭარაში, როგორც მთლიანად საქართველოში, ახალი ეტაპი დაიწყო კავშირგაბმულობის ისტორიაში.

სოფლის მეურნეობა. აჭარაში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებია მარცვლეული და ბაღჩეული კულტურები, მებოსტნეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ვითარდება მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები.

მარცვლეული კულტურებიდან აჭარაში მოჰყავდათ სიმინდი, ბრინჯი, ღომი, ფეტვი, ხორბლეული. სიმინდის კულტურა XVII საუკუნიდან გავრცელდა და წამყვანი მდგომარეობა დაიკავა, ბრინჯი, ღომი და ფეტვი თანდათანობით შემცირდა და ეს კულტუ-

რები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღარ მოჰყავდათ. სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმინდის კულტურა და მან გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მარცვლეულის მეურნეობაში, მაგრამ მცირემიწიანობის გამო მოსახლეობას საკუთარი წარმოების მარცვლეული საკმარისი არასოდეს არ ჰქონდა.

ჩაის კულტურის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება. აქედან იგი გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც ამისათვის შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა. საქართველოში ჩაის მცენარე XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოიტანეს. კერძოდ, 1825 წელს ჩაის ბუჩქები არსებობდა სოხუმის ბოტანიკურ ბაღში. მომდევნო წლებში იგი გააშენა მიხეილ ერისთავმა თავის მამულში, რომელიც ჩოხატაურში მდებარეობდა.

აჭარაში ჩაის კულტურის ისტორია 1882 წლიდან იწყება. მისი გაშენების ინიციატორია რუსეთის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი ალექსანდრე სოლოვცოვი, რომელმაც 300 დესეტინამდე მიწა შეისყიდა ბათუმის ოლქის ზღვისპირეთში. XIX საუკუნის 90-იან წლებში მსხვილი სუბტროპიკული კულტურების მეურნეობები მოაწყვეს კ. პოპოვმა, საუფლისწულო უწყებამ და სხვა მეწარმეებმა. 1915 წელს მეჩაიეობას ეწეოდა 194 მეურნე. იგი გაშენებული იყო აჭარის ზღვისპირეთის 20 სოფელში. ჩაის კულტურის საერთო ფართობი 1917 წელს 914 ჰექტარს შეადგენდა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა და უცხოელთა ინტერვენციის დროს სოფლის მეურნეობამ, კერძოდ, ჩაის კულტურამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა.

XX საუკუნის 20-იან წლებში მოხდა კაპიტალისტური მეურნეობებისა და მემამულე თავადაზნაურების მიწისმფლობელობის ლიკვიდაცია, დაიწყო საბჭოთა (სახელმწიფო) მეურნეობების მშენებლობა და გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია. 1940 წელს აჭარაში დამთავრდა გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომლის ძირითად ფორმას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო არტელი. მეორე მსოფლიო ომამდე აჭარაში 20-მდე საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. უმეტეს მათგანში გაშენებული იყო ჩაი და სუბტროპიკული კულტურები.

ჩაის კულტურა აჭარის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგად გადაიქცა. 1986 წელს მისი ფართობი 8270 ჰექტრამდე გაიზარდა. საგულისხმოა, რომ XX საუკუნის 50-80-იან წლებში აჭარაზე მოდიოდა საქართველოს ჩაის კულტურის საერთო ფართობის 13-17%. აჭარაში ჩაის კულტურა გაშენებული იყო სამ რაიონში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა).

აჭარის სოფლის მეურნეობის მეორე დარგი, რომელსაც დიდი სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდა ***მეციტრუსეობა*** იყო. იგი განვითარდა როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებში, ისე საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე. ციტრუსოვანი კულტურებიდან აჭარაში მოჰყავდათ მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი. ძირითადი იყო მანდარინი. მისი პირველი ნერგები

იაპონიიდან და იტალიიდან შემოიტანეს XIX საუკუნის 90-იან წლებში. აქაურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა იაპონური მანდარინი ***უნშიუ,*** რომელიც მეციტრუსეობის ძირითად კულტურად იქცა. ფორთოხლის კულტურა აჭარაში ცნობილი იყო შუა საუკუნეებში. ამან ათქმევინა ვახუშტი ბატონიშვილს შემდეგი სიტყვები: "...და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი." მაგრამ მაშინ მას სასაქონლო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ციტრუსოვანი კულტურების გავრცელებაში საგრძნობი დამსახურება აქვთ უცხოელ მოახალშენეებს დალფონსს, სტოიანოვს, სობეცკის, დიადიუშს, ტატარინოვს, საუფლისწულო უწყების მოხელეებს და სხვებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოახალშენეთა მამულების ნაციონალიზაცია განხორციელდა და მათ ბაზაზე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები შეიქმნა. მეციტრუსების სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები მოეწყო ალამბარში, კვირიკეში, მახინჯაურში, ახალშენში, მუხაესტატეში, მახვილაურში, გონიოში, ჭარნალში, თხილნარში და სხვაგან.

1941-1945 წლებში ციტრუსოვან კულტურათა ფართობი მნიშვნელოვნად დაზარალდა. ომის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ღონისძიებები, რის შედეგად მეციტრუსეობის აღმავლობა დაიწყო.

მართალია, ციტრუსოვან კულტურათა ბაღების ფართობის ორი მესამედი სახელმწიფო მეურნეობებსა და საკოლმეურნეო სექტორზე მოდიოდა, მაგრამ მოსავლის დიდი ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთებზე მოჰყავდათ. მაგალითად, 1951 წელს კერძო სექტორის ხვედრითი წილი ციტრუსების საერთო მოსავალში 54,5%-დან 1979 წელს 80%-მდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად განვითარდა ტუნგის კულტურა. 30-იან წლებში შეიქმნა ტუნგის კულტურის სპეციალიზებული ორი საბჭოთა მეურნეობა (ჯიხანჯურისა და კოხის). აღნიშნული კულტურა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშიც გააშენეს. ომისშემდგომ წლებში ტუნგის კულტურას საჭირო ყურადღება არ მიექცა. ამიტომ მისი ფართობი 1955 წელს 2415 ჰექტრამდე, ხოლო 1980 წელს 1541 ჰექტრამდე შემცირდა.

აჭარაში შესამჩნევად განვითარდა თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი. მათგან აღსანიშნავია ვაშლი, მსხალი, ტყემალი, ქლიავი, ატამი, ბალი და სხვა. მაგრამ მათ დაბალი სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდათ.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მიხედვით ***თამბაქოს*** კულტურას მესამე ადგილი ეკავა. მართალია, აჭარაში თამბაქოს კულტურა ოსმალთა მფლობელობის დროს გავრცელდა, მაგრამ სასაქონლო მნიშვნელობა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში შეიძინა, როდესაც რეგიონში კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდება. XX საუკუნის 30-იან წლებში მეთამბაქოება მნიშვნელოვნად დაწინაურდა. იგი ძირითადად კოლმეურნეობებში განვითარდა. 1939 წელს თამბაქოს კულტურის ფართობი 808 ჰექტარს უდრიდა, ხოლო მოსავალმა 533 ტონას გადააჭარბა. კიდევ უფრო დიდი მიღწევები იყო 50-80-იან წლებში. 1955 წელს თამბაქოს კულტურის ფართობი 1100 ჰექტარს, ხოლო 1987 წელს 2153 ჰექტარს უდრიდა. მოსავალი 1299 ტონიდან 5400 ტონამდე გაიზარდა. მაგრამ კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ აჭარის მოსახლეობა მეთამბაქოეობას აღარ მისდევს.

მევენახეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. მაგრამ ოსმალებმა დაბლარი ვენახი და მეღვინეობა მოსპეს. დაბლარი ვენახის აღორძინება XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. იგი მოაშენეს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების კოლმეურნეობებში. 1952-1980 წლებში ვენახის ფართობი 225 ჰექტრიდან 1074 ჰექტრამდე, ხოლო მოსავალი 570 ტონიდან 1957 ტონამდე გაიზარდა.

აჭარის სოფლის მეურნეობის უძველესი ტრადიციული დარგია ***მეცხოველეობა***. რეგიონში ძირითადად განვითარდა მესაქონლეობა, მეცხვარეობა და მეთხეობა. წამყვანია მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი). მაგრამ მცირემიწიანობის პირობებში საჭირო დონით ვერ განვითარდა. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ჩამოყალიბების შედეგად ისედაც მცირე სათიბები, საძოვრები კიდევ მეტად შეიზღუდა. კოლმეურნეობებში მეცხოველეობა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარდება. 60-იან წლებში ბათუმის შე-

მოგარენში მოეწყო მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობა, ხოლო ქობულეთში მეღორეობის საკოლმეურნეობათაშორისი ფერმა. მაგრამ პირუტყვის საკვები სსრ კავშირის სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდათ, რისთვისაც დიდძალი ფულადი სახსრები იხარჯებოდა. ამიტომ **მეცხოველეობიდან** მიღებული შემოსავალი ვერ ფარავდა გასავალს.



მეფრინველეობა დაწინაურდა XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც დარგი სამრეწველო რელსებზე გადაიყვანეს. 1963 წელს ბათუმის შემოგარენში (ადლია) გაიხსნა მეფრინველეობის ფაბრიკა, ქაქუთში, ციხისძირსა (ქობულეთის რაიონი) და მახუნცეთში (ქედის რაიონი) მოეწყო მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები. ანალოგიური საწარმოები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიხსნა და მოსახლეობა კვერცხითა და ქათმის ხორცით უზრუნველყოფილი გახდა. 90-იანი წლების ბოლოს გაუქმდა მეფრინველეობის საწარმოები.

ტურიზმი

აჭარის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ტურიზმი. მისი განვითარებისათვის აქ საუცხოო პირობებია: შავი ზღვის სანაპირო თბილი ჰავითა და საუკეთესო პლაჟით, მთის ანკარა მდინარეები, ერთმანეთთან შეხამებული მთა და ბარი, მრავალფეროვანი მცენარეულობა და ჰავა. აჭარა მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით, მოსახლეობის სამეურნეო-სამიწათმოქმედო ყოფით და სხვა. სწორედ ამ და მრავალი სხვა ფაქტორით იყო განპირობებული, რომ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ტურიზმს საფუძველი ჩაეყარა შორეულ წარსულში.

აჭარაში ტურისტული და საქმიანი ვიზიტით არაერთხელ ყოფილან ენთუზიასისტები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ისინი ინტერესით ეცნობოდნენ რეგიონს, რასაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. მაგრამ წარსულში ტურისტული მოგზაურების შედეგები ცნობისმოყვარეობას არ გასცილებია.

XX საუკუნის 30-იან წლებამდე აჭარაში ტურიზმის მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ არსებობდა. ტურიზმი შემოსავლის წყარო და მასობრივი არ გამხდარა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები 20-იან წლებში გადაიდგა. 1928 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ზღვის სანაპირო კურორტები საკავშირო მნიშვნელობის კურორტებად იქნა გამოცხადებული. ტურისტების მომსახურებისათვის ბათუმში 1927 წელს დაარსდა „ინტურისტის“ სააგენტო, რომელიც 1930 წელს განყოფილებად გარდაიქმნა. ტურისტებისათვის 1930 წელს მწვანე კონცხზე გაიხსნა პირველი სასტუმრო. მოგვიანებით ბათუმში დაარსდა სასტუმრო „ინტურისტი”, რომელიც მომსახურებას უწევდა საზღვარგარეთის ტურისტებს.

1956 წელს ციხისძირში გაიხსნა რიგით მეორე, ხოლო 1959 წელს ბათუმში მესამე სასტუმრო ტურისტებისათვის, მაგრამ ამით ტურიზმის განვითარებაში არსებითი გარდატეხა არ მომხდარა. ტურიზმი არ იყო მასობრივი, შემოსავალიც უმნიშვნელო იყო.

ტურიზმის განვითარებისათვის სახელმწიფო ხელისუფლების ყურადღება შედარებით გაძლიერდა XX საუკუნის 60-იან წლებიდან. 1963 წელს ბათუმში დაარსდა საექსკურსიო ბიურო, რომლის ამოცანას შეადგენდა ტურისტებისა და ექსკურსანტების მიღება-მომსახურება. 1968 წელს იგი სამოგზაურო და საექსკურსიო ბიუროდ გარდაიქმნა. 1963 წელს შეიქმნა ტურიზმის საოლქო საბჭო, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. 1965 წელს ტურიზმის საოლქო საბჭო სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაიყვანეს. აპარატში სულ სამი კაცი მუშაობდა (თავმჯდომარე, ბუღალტერი და ინსტრუქტორი).

ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნელი ტემპით იქმნებოდა. 1970 წელს ჩაქვში გაიხსნა მეოთხე ტურისტული ბაზა, მაგრამ ტურისტების ნაკადიც იზრდებოდა და ბაზები არ კმაროდა. ამიტომ ტურიზმის საოლქო საბჭო იძულებული გახდა კერძო სახლები დაექირავებია ტურისტული ბაზების მოსაწყობად. 1973 წელს ოთხი არენდირებული ტურბაზა მუშაობდა. 1979 წელს მათი როდენობა 9-მდე გაიზარდა.

1982 წელს ბათუმში ექსპლოატაციაში შევიდა 20 სართულიანი ტურისტული სასტუმრო „მედეა“, რომელსაც 1559 საწოლ-ადგილი ჰქონდა. ამის შედეგად ტურისტულ ბაზებში საწოლთა რაოდენობა 6825-მდე გაიზარდა. 1986 წელს ექსპლოატაციაში შევიდა 18 სართულიანი სასტუმრო „მესხეთი“, 1990 წლისათვის აჭარის ტურიზმის სისტემაში 7000 საწოლ-ადგილი ითვლებოდა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ტურისტების ნაკადი უკიდურესად შემცირდა.

საქართველოს ხელისუფლება ტურიზმის განვითარებით დაინტერესდა 1999 წლიდან. აჭარაში გაიხსნა კერძო სასტუმროები, კაფე-რესტორნები და მომსახურების სხვა ობიექტები. უკვე 2000 წელს აჭარაში ითვლებოდა ტურისტების განთავსების 50 ობიექტი. მათ შორის, ბათუმში იყო 20, ქობულეთში – 17, ხელვაჩაურის რაიონში – 10, ხოლო ხულოს რაიონში – 1 ობიექტი. საწოლთა რაოდენობა 8,0 ათასამდე გაიზარდა. 2006 წელს აჭარაში აღირიცხა 66 სასტუმრო 27,3 ათასი საწოლით.

აჭარაში შეიქმნა ტურისტული სააგენტოები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ტურისტებს. 2007 წელს აქ 18 ტურისტული სააგენტო მუშაობდა. 2011 წელს მათი რაოდენობა 25-მდე გაიზარდა. ტურისტული სააგენტოების ძირითადი ამოცანა არის ტურისტების მიღება-დაბინავება და სხვა სახის მომსახურება. ტურიზმის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ტურიზმი პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა და მისდამი მზრუნველობაც გაიზარდა.

აჭარაში 2001 წელს ვიზიტიორთა საერთო რაოდენობა 17,5 ათასს შეადგენდა, 2005 წელს – 147000, 2010 წელს – 974563, ხოლო 2011 წელს – 1319513-მდე, ე.ი. 9,1-ჯერ და მეტად გაიზარდა. ვიზიტიორების დიდი ნაკადი ბათუმზე მოდიოდა. აჭარაში განვითარებულია ტურიზმის ორი სახეობა: შიდა ტურიზმი და უცხოელთა ტურიზმი. 2012 წლამდე პირველი ადგილი უკავია შიდა ტურიზმს. მაგალითად, 2011 წელს საერთო ვიზიტიორებიდან შიდა ვიზიტიორებზე მოდიოდა 838661 კაცი, უცხოელ ვიზიტიორებზე – 480852. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საქართველოში შემოსულ ვიზიტიორთა 17,1% აჭარას ეწვია.

აჭარაში ტურიზმი განვითარების რესურსები დიდია. ამ რესურსების გამოყენება აუცილებელია ქვეყნის ფინანსური ძლიერებისათვის. პერსპექტივაში გათვალისწინებულია ვიზიტიორთა მნიშვნელოვანი ზრდა. ამჟამად მიმდინარეობს ტურიზმის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საინფორმაციო ცენტრების განვითარება და მომსახურების კულტურის გაუმჯობესება.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. თურმანიძე ო., აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940), ბათუმი, 2012

2. თურმანიძე ო., ტურიზმის ისტორია და განვითარების პერსპექტივები აჭარაში. კრ. ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ბათუმი, 2007

3. მიქაშავიძე ვ., ბათუმი – ტურისტული ქალაქი (წარსული და თანამედროვეობა), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, II, ბათუმი, 2012

4. მიქაშავიძე ჟ., აჭარის ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, I, თბილისი, 2010

5. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი, 2008

6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, IV, ბათუმი, 2012

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. რა ფაქტორებმა განაპირობა ბათუმის მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქად გადაქცევა?

2. მრეწველობის რომელი დარგები განვითარდა ბათუმში ცარიზმის მფლობელობის დროს?

3. რომელი ძირითადი დარგები განვითარდა აჭარაში საბჭოთა პერიოდში?

4. ტრანსპორტის რომელი დარგები განვითარდა XX საუკუნის აჭარაში და როდის გამოჩნდა პირველი ავტომობილი ბათუმში?

5. რამ განაპირობა ბათუმში საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს დაარსება და რა როლი ითამაშა მან ქვეყნის ცხოვრებაში?

6. რა დროიდან იწყება აჭარაში კავშირგაბმულობის განვითარება და როდის დასრულდა სოფლის ტელეფონიზაცია?

7. რომელი იყო აჭარაში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები, რომლებიც დღესაც რჩება მნიშვნელოვნად?

8. რამ განაპირობა აჭარაში სოფლის მეურნეობის არატრადიციული დარგების (მეჩაიეობის, მეციტრუსეობის და მეთამბაქოების) განვითარება?

9. რამდენად ხელსაყრელია აჭარის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის?

10. ტურიზმის რომელი სახეების განვითარების მეტი პირობებია აჭარაში?

11. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებანი – რა არის საჭირო აჭარაში ტურიზმის განვითარების უზრუნველსაყოფად.

თავი IV – მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სტრუქტურა

ეთნიკური სტრუქტურა

ქართველები. აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველებია, რომელთა დიდი ნაწილი აჭარელთა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები – აჭარლები არიან. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) წერდა: "აჭარლები აგებულებითა, ენითა და ჩვეულებით ნამდვილი ქართველები არიან".

ქართველთა ეთნოგენეზი დღევანდელ საქართველოსა და მის სამხრეთით მდებარე, ისტორიულად ქართველთა კუთვნილ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. ეს პროცესი საუკუნეთა სიღრმიდან იღებს სათავეს.

ქართული ტომების თავდაპირველი განსახლების არეალი სამი მდინარის – მტკვრის, რიონის და ჭოროხის აუზიები იყო. აქედან დაიწყო ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და ქართველი ერის ფორმირების პროცესი, აქვე მოხდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება და ერთიანი ქართული მონარქიის შექმნა. ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული აჭარა – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარე, რომელიც, მსგავსად საქართველოს სხვა ისტორიული კუთხეებისა, წარმოადგენდა ქართველთა ერთ-ერთ პირველსაცხოვრისს. აჭარაში დროთა ვითარებაში ადგილი ჰქონდა არა მარტო შიგამიგრაციულ პროცესებს, არამედ სხვა ეთნიკურ უმცირესობათა შემოსვლა-დამკვიდრებას ან მათ ინფილტრაციას ქართულ ეთნოსში. ისტორიულ წყაროებში მრავალი ქართველური ტომისა და მათში მეტნაკლებად ნატურალიზებული, თუმცა ჯერაც გაურკვეველი წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფის სახელწოდებაა დაცული, რომლებიც ისტორიულ საქართველოსა და მის მომიჯნავე რეგიონებში მკვიდრობდნენ და რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქართველი ერის წარმოქმნის პროცესში: ქაშქები, თუბალები (თაბალები), დაიანელები (დიაოხები, ტაოხები), სასპეიერები (ჰესპერიტები), მესხები (მუშქები, მოშქები), კარდუხები, კოლხები (კოლები), იბერები (ივერები), მაკრონები, სანები (ჭანები, ლაზები), ხალიბები, ხალდები (ქალდები), ბიძერები, ბეხირები, ზიდრიტები (ძიდრიტები), სკვითინები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული ტომების ისტორიის შესწავლისას დღეისათვის უკვე დამტკიცებულად ითვლება: თობელისაგან წარმოიშვნენ იბერები – „ქართები", „ეგრისელები" და „სვანები", ანუ ქართველები, ხოლო „მოშქები"//„მუშქები" იგივე მესხები არიან.

ქართული ეთნოსი, სხვა ეთნოსების მსგავსად, მუდმივ განვითარებას განიცდიდა. ეს პროცესი გაგრძელდა გვიან შუა საუკუნეებშიც. მეზობელ ეთნოსთა ქართულ ეთნოსში შემოდინება, ანუ მათი ინფილტრაცია ცალმხრივი არ ყოფილა. ქართველებიც, თავის მხრივ სხვა ეთნოსში შედიოდნენ, რაც მათ ასიმილაციას იწვევდა.

უძველესი ხანიდან ქართველურ ტომებს სხვა ტომთა მსგავსად, ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა და ერთიანი ფუძე ენა ჰქონდათ – დაახლოებით II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის I ნახევრის დასასრულამდე.

დღეისათვის გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ქართველების საერთო-ეროვნული და სამწერლობო ენა არის ქართული, რომელიც მსოფლიო ენათა შორის ცალკე ენათა ოჯახის სახითაა წარმოდგენილი.

ქართველთა აღმნიშვნელი თვითსახელწოდებაა ***ქართველი*** (მხ. რ.) და ***ქართველები*** (მრ.რ.), საიდანაც წარმოიშვა ქვეყნის ახალი სახელწოდება – ***საქართველო.*** ამ ეთნონიმით ქართველ ხალხს, აფხაზებს გარდა, სხვა არავინ არ იცნობს. აფხაზები ქართველებს „აქართუას" უწოდებენ. ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმი საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესთან – ქართლთანაა დაკავშირებული. ქართული საისტორიო ტრადიციით ქართლის სახელწოდება კი ქართველთა ლეგენდარული მამამთავრის – ქართლოსის სახელიდან წარმოსდგება.

აჭარის მკვიდრი მოსახლეობის – ქართველების შესახებ საკმაოდ მდიდარი მასალები არსებობს, რომლებშიც ავტორები სანიმუშო და ფრიად საინტერესო დახასიათებას იძლევიან როგორც მათი სიმამაცისა და მაღალი ზნეობრივი თვისებების, ისე ანთროპოლოგიური ტიპის შესახებ.

„მამაკაცები და ქალები ძალიან ლამაზები, მხიარული და დაუმორჩილებელნი არიან, უყვართ გართობა, ადვილად ამყარებენ ურთიერთობას სხვასთან, რელიგიის მხრივ ისინი უფრო თავისუფალნი არიან ფანატიზმისაგან, ვიდრე სხვა ხალხები. მათი ფანატიზმი თავსმოხვეულია და მისი არსისა არაფერი გაეგებათ" – ასე წერდა მთავრობისადმი წარდგენილ 1867 წლის ანგარიშში ინგლისის კონსული ტრაპიზონში ჯიფორდ პალგრევი, ხოლო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც 1872 წელს იმოგზაურა აჭარაში, ასე ახასიათებდა აჭარლებს: "აჭარლები ცოცხალი, ძალითა და სიმრთელით სავსე, თადივით მაგარი, ლომური აგებულების არიან. მათთვის დამახასიათებელია გონიერი და სავსე თვალები, მშვენიერი შუბლი, მარჯვეთ მოთლილი ყბა, ფართო მხარბეჭი, წერწეტა წელი, გაპარული მუცელი, მარჯვე წვივები, ერთი სიტყვით, კაცი გრძნობს, რომ ეს ბრძოლაში გამოქნილი და გამარჯვებისათვის გამოჭრილი ხალხია."

აჭარის მოსახლეობა ანთროპოლოგიურად ძირითადად მიეკუთვნება შავიზღვისპირულ ქვესახეობასა და დასავლურ-ქართულს, ანუ მთლიანობაში – კოლხურ ტიპს.

აჭარაში XIX საუკუნის 80-იან წლებამდე უმთავრესად ქართველები სახლობდნენ. რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ, რასაც მოჰყვა მუჰაჯირობა, ქ. ბათუმის მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევა და რეგიონის ინტეგრირება იმპერიის დანარჩენ მხარეებთან, არსებითად შეიცვალა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. უკვე 1887 წლისათვის აჭარის მოსახლეობა შეადგენდა 56 716 სულს, საიდანაც 37 802 (66,65%) იყო ქართველი, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნებების წარმომადგენლები – 18 914 (33,35%). აქედან, ბათუმში ცხოვრობდა 18 945 სული (ქართველი – 1996 (10,54%), არაქართველი – 16 949 (89,46%)), ხოლო სოფლად – 37 771 (ქართველი – 35 806 (94,8%), არაქართველი – 1965 (5,2%)). მიუხედავად აღნიშნულისა, ადგილობრივი ქართველობის მაღალი ნაყოფიერებისა და რიგი სხვა მიზეზების გამო, დემოგრაფიული მაჩვენებლები თანდათან შეიცვალა და მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქართველთა წილი გაიზარდა. 1926 წელს ქართველები აჭარის მოსახლეობის 68,4%-ს (90 300 სული) შეადგენდნენ, 1959 წელს – 72,8%-ს

(178 700 სული), 1989 წელს – 82,8%-ს (324 900 სული), 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით კი 93,38%-ს (351 132 სული). 1990-2000-იან წლებში ქართველების ხვედრითი წილის ასეთი თვალშისაცემი ზრდა, სხვა მოვლენებთან ერთად, განაპირობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით არაქართული ეროვნების პირთა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში მასობრივმა დაბრუნებამ.

აფხაზები. აფხაზები ძირითადად ცხოვრობენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დამკვიდრებულია აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში. აფხაზთა აჭარაში დასახლება პირველად XIX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა. აჭარაში მცხოვრებ აფხაზებსა და აქაურ ქართველებს შორის დამყარდა მჭიდრო ნათესაური ურთიერთობები. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით, აჭარაში სულ 1650 აფხაზი სახლობდა. ისინი ინტეგრირებულნი არიან რეგიონის ქართულ მოსახლეობასთან.

აჭარაში აფხაზთა განსახლების ძირითად არეალს თავდაპირველად ქალაქი ბათუმი და მხარის ზღვისპირა ზოლი წარმოადგენდა. აფხაზთა პირველი მიგრაციული ტალღა აქ 1862-1864 წლებში შემოვიდა, ხოლო მათი მასობრივი დასახლება დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ჩაახშო აფხაზი ხალხის 1866 წლის ანტირუსული აჯანყება და მოსახლეობა აიძულა აყრილიყო და წასულიყო ოსმალეთში. მშობლიური საცხოვრისიდან გამოძევებული აფხაზების ნაწილი დასახლდა აჭარაში.

აფხაზ მიგრანტთა მეორე დიდი ჯგუფი აჭარაში რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომისა და მის შემდგომ პერიოდში (1880 წელი) დასახლდა. მომდევნო წლებში მათი ნაწილი აფხაზეთში დაბრუნდა, ნაწილი კი ოსმალეთში მუჰაჯირად გაასახლეს. აჭარაში დარჩენილი აფხაზთა ჯგუფი დამკვიდრდა ბათუმის სხვადასხვა უბანში და ქალაქის ახლომახლო მდებარე ქართულ სოფლებში. მათ დროდადრო ემატებოდნენ აფხაზეთში დაბრუნების მოსურნე, ოსმალეთიდან წამოსული აფხაზებიც. ისინი თურქებმა თავისი ტერიტორიის სიღრმეში არ შეუშვეს და აჭარაში შეაჩერეს.

აჭარაში მცხოვრები ფერიელი და ანგისელი აფხაზები თავიანთი მეტყველებით ემსგავსებიან **აბჟუელ** და **ბზიფელ** აფხაზებს. ბზიფელ აფხაზებს განეკუთვნებიან ფერიელი აფხაზები, თუმცა, ანგისელი აფხაზები მათ ჩერქეზ აფხაზებს უწოდებენ. მკვლევრები არ გამორიცხავენ იმ გარემოებასაც, რომ ჩერქეზი აფხაზები შესაძლოა საკუთრივ ჩერქეზეთიდან გადმოსახლებული აბაზებიც ყოფილიყვნენ. გამუდმებული მიგრაციის გამო, აფხაზთა ეთნონიმის არაერთგვაროვანი გაგების ტენდენცია დაფიქსირდა როგორც აჭარის, ისე თურქეთის არააფხაზურ მოსახლეობაშიც, რომლებიც აფხაზებს მოიხსენებენ როგორც ჩერქეზებს და როგორც „ადიგებს" (ადიღეელებს). თუმცა, მათი განმარტებით, ჩერქეზების სახელწოდების ქვეშ იგულისხმება როგორც საკუთრივ ჩერქეზი, ისე აფხაზი და „ადიგე"

ანუ ადიღეელი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ მრავალგზის ტანჯვა-წამება გამოვლილი აფხაზები, შესაძლოა, ინიღბებოდნენ კიდეც ამ ეთნონიმის ქვეშ, ანდა მაშინდელი ხელისუფლება მათ ერთმანეთისაგან დიდად არ განასხვავებდა და ამკვიდრებდა მათ საერთო ეთნონიმს – ჩერქეზს. ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის ადიღეელებსა და უბიხებთან მათი ნათესაობის მიუხედავად, აფხაზებს კულტურული და საყოფაცხოვრებო, ასევე ანთროპოლოგიური თვალსაზრისით უფრო მეტი საერთო ქართველებთან აქვთ, რადგანაც ეს ორი ხალხი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. განსაკუთრებით თვალშისაცემია ეს კავშირი დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან და, მათ შორის, აჭარლებთან.

XIX საუკუნის ბათუმის ოლქში დასტურდება ნეგროიდული რასის წარმომადგენელთა მიგრაციაც, რომელსაც სპორადული ხასიათი ჰქონდა. აჭარაში მათი გამოჩენა დაკავშირებულია აფხაზთა ჩამოსახლებასთან – ისინი აფხაზეთში ცხოვრობდნენ და იქედან შემოჰყვნენ მუჰაჯირთა ტალღას. გადმოცემის თანახმად, მათი წინაპრები XVII საუკუნეში შერვაშიძეებს შეუძენიათ როგორც მონები და დაუსახლებიათ აფხაზეთში.. ცალკეული ცნობის მიხედვით, ბათუმის ოლქში ნეგროიდების რიცხვი საკმაოდ მცირე იყო და იგი რამდენიმე ოჯახით თუ ასამდე ადამიანით განისაზღვრებოდა. აქ მათ არაბების სახელით მოიხსენიებდნენ, რადგან წარმოშობით სუდანელებად ითვლებოდნენ. ახალ გარემოში აფხაზებსა და სუდანის მოდგმის არაბებს შორის ადგილი ჰქონდა საკმაოდ ღრმა ეთნოკულტურულ ცვლილებებს, მაგრამ წამყვან ადგილს კვლავ აფხაზური ტრადიციები ინარჩუნებდა.

აჭარის აფხაზობას დღეს მკაფიოდ გამოხატული მკვიდრობის შეგრძნება ახასიათებს, თუმცა, მათი პირადი იდენტობის დამახასიათებელი ყველაზე მთავარი ნიშანი აფხაზობაა, რაც ეთნიკური თვითშეგნების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

ბერძნები. ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ამსახველი უძველესი ცნობები არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის თქმულებაში გვხვდება (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი). მასში ოქროს საწმისის მოპოვებისათვის თავდადებული ბერძენი იაზონის, კოლხეთის მეფე აიეტის, უბადლო ჯადოქრის, გრძნეულ მედეას, მოტყუებულ მსხვერპლად ქცეულ აფსირტეს, ასევე ფაზისში მშვენიერი სამეფო სასახლის, საზღვაო ფლოტის და სხვა მითოლოგიური ბურუსით მოცული ამბები და ტრაგიკული მოვლენებია აღწერილი.

ძველი ბერძნების მიერ კოლხეთის კოლონიზაციის ეპოქის შესახებ წერილობით წყაროებთან ერთად უტყუარ მონაცემებს გვაძლევს არქეოლოგიური მასალები. ცნობილია, რომ ძველი ბერძნების ერთი ნაწილი, პოლისების (ქალაქ სახელმწიფოების) ფორმირებასთან დაკავშირებით უმიწაწყლოთა ზრდამ, აიძულა მათთვის ხელსაყრელ ადგილებში ახალშენები დაეარსებინათ. ასე მოხ-

ვდნენ ძველი ბერძნები შავიზღვისპირეთში, მათ შორის, კოლხეთშიც. კოლხეთის მოსახლეობა უცხო ეთნიკური ელემენტის მოძალებას, ბერძნულ კოლონიზაციას თავდაპირველად მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, რომლის კვალი ბათუმის ციხის მაგალითზეც დადასტურდა არქეოლოგიური გათხრების დროს. იმ ფენაში, რომელიც ძვ.წ. VII საუკუნეს განეკუთვნებოდა ბრძოლების, წვა-ნგრევის ამსახველი ნივთიერი მასალა აღმოჩნდა. ბერძნებმა აჭარის ტერიტორიაზე ვერ შეიქმნეს პოლისური თვითმართვადი ერთეულები. მათ მიაღწიეს იმას, რომ ადგილობრივ მკვიდრთა სამოსახლოების გვერდით მოეწყოთ დასახლებები ბათუმში, ციხისძირში, ფიჭვნარში და სხვაგან.

საქართველოს ზღვისპირეთში დამკვიდრებული ბერძნების ყოფა-ცხოვრების, ვაჭრობის, ხელოსნობის წარმატებით წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველკოლხურმა ტრადიციებმა: ოქროს, ბრინჯაოს, რკინის მოპოვება-დამუშავებამ, მიწათმოქმედებამ (მარცვლეული კულტურები, მევენახეობა-მეღვინეობა), მესაქონლეობამ, კერამიკისა და საფეიქრო წარმოებამ, აგრეთვე, სამშენებლო ხე-ტყის სიუხვის ფაქტორმა და სხვა.

ქართველთა და ბერძენთა ურთიერთობამ განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია ანტიკურ ხანაში. აღსანიშნავია, რომ ქობულეთ-ფიჭვნარს მშვიდობიანი თანაარსებობა ჰქონდა ბერძნულ თემებთან. უფრო მეტიც, ბერძნები შუამავლის როლს ასრულებდნენ როგორც კოლხეთისა და იბერიის ქალაქებთან, ასევე მცირე აზიის, ბალკანეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებთან. ბერძნული იმპორტული კერამიკის უძველესი ნაშთები შიდამთიან აჭარაში, სოფ. კვაშტის (ქედის რ-ნი) ტერიტორიაზეც იქნა გამოვლენილი.

დადასტურებულია საპირისპირო ვითარებაც. ასე, მაგალითად, ათენში აღმოჩენილ, ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ, უხვად ორნამენტირებულ ჭურჭელზე – შავფიგურიან ჰიდრიაზე ბერძნულად იკითხება: „კოლხმა გამაკეთა“. იქვე ნაპოვნ მეორე ჭურჭელზე, ამფორაზე აწერია: „ექვსითეოსმა გააკეთა, კოლხმა მოხატა“. როგორც ჩანს, კოლხი მეთუნეები ოსტატობით გამოირჩეოდნენ, რის გამოც მათ თავიანთი ეთნიკური სადაურობის გამომჟღავნება მიზანშეწონილად მიუჩნევიათ.

ადგილობრივ კოლხთა და ბერძენ მეთემეთა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები წარმატებით გაგრძელდა ელინისტურ ხანაში.

ქართულ-ბერძნულ ურთიერთობებს განსაკუთრებული იმპულსი მისცა ქრისტიანობის გავრცელებამ. მართლმადიდებლური ერთმორწმუნეობა გარკვეულად აისახა ეკლესია-ტაძრების არქიტექტურასა და კედლის ფერწერაში, გაჩნდა მსგავსი დეკორატიული ელემენტები.

ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის (XV ს.) შემდეგ, მცირე აზიაში მცხოვრებ ბერძენთა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების ახალი ტალღა დაიძრა (XVIII-XIX სს.). ამ მიგრაციით ბერძნები, ისევე როგორც სხვა არათურქი მოსახლეობა (სლავები, სომხები, ებრაელები, ლაზები და სხვა) ცდილობდნენ ოსმალთა ძალადობისაგან თავი დაეღწიათ, შეკედლებოდნენ ერთმორწმუნე ქართველ ქრისტიანებს.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებამდე (1878 წ.) ბერძნები მცირე რაოდენობით ძირითადად ბათუმში ცხოვრობდნენ, ხოლო მიმდებარე სოფლებში მხოლოდ ერთეული ოჯახები მოსახლეობდნენ. 1872 წელს ბათუმში 350 ბერძენი ყოფილა. ისინი კომპაქტურად სახლობდნენ ე.წ. ურუმ-მეჰელეში (ბერძენთა უბანში). მათ 1861 წელს გაუხსნიათ ბერძნული სკოლა, ხოლო 1867 წელს მართლმადიდებლური ეკლესიის აგება დაუწყიათ.

გ. ყაზბეგი, 1874 წელს, ხულოში ბერძენ ვაჭართა სამ დუქანს ასახელებს.

1878 წლის შემდეგ ბათუმის ოლქში ბერძენთა რაოდენობა გაიზარდა. ოსმალეთში მოსახლე ბერძნების პირველი ნაკადი 253 ოჯახი (2107 სული) ბათუმის ოლქში 1881 წელს მოსულა. როგორც ჩანს, ჩამოსახლებულთაგან საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს სოფლებში ცხოვრება გადაუწყვეტია.

ბათუმში ჩამოსახლებულ ბერძენთა შორის ძირითადად ხელოსნები, მეთევზეები და ვაჭრები იყვნენ. ხელოსნებიდან გამოირჩეოდნენ კალატოზები, რომლებიც არა მარტო სახლებს, არამედ ხიდებსაც აშენებდნენ, რაც თ. სახოკიასაც შეუნიშნავს, როცა 1896 წელს ხულოდან ბათუმისაკენ მოდიოდა. მოგზაური გვამცნობს, რომ ბერძენ კალატოზებთან ერთად აჭარლებიც მუშაობდნენ. მას სოფ. კაპანდიბში გზის პირას ბერძნების რამდენიმე დუქანიც უნახავს.

ცნობილია, რომ ბათუმის მახლობლად, სოფ. ახალშენი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ჩამოსახლებული ბერძნები მიიღო, რაზედაც სოფლის მოსახლეობამ წინასწარ თანხმობა განაცხადა. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ზოგიერთ სოფელში მუჰაჯირების მიწებზე ჩასახლებულმა ბერძნებმა თანდათან გაიფართოვეს მიწები ადგილობრივი მოსახლეობის იმ მიწების ხარჯზე, რომლებიც „გამოუყენებული“ იყო. ეს გარემოება მრავალი დავის საგანი გამხდარა.

1914 წლის დასასრულიდან მძიმე საომარი ვითარების გამო, „ოსმალებს გამოქცეული სომეხ და ბერძენ ხიზანთა მრავალათასიანი მასა ომის დასაწყისშივე მძიმე ტვირთად დააწვა მთელ საქართველოს და განსაკუთრებით ბათუმს“.

ისტორიული ავბედითობით გამოწვეული ეპიზოდური სიძნელეების დაძლევის შემდეგ, აჭარაში მცხოვრებ ბერძნებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობა მალე გაჯანსაღდა, დასრულდა ადაპტაციის პერიოდი. ბერძნებმა შეინარჩუნეს თვითმყოფადი კულტურა, ენა, სარწმუნოება. მაგრამ ისინი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ყოფითი კულტურის მრავალი ელემენტის თანაზიარნი გახდნენ. ეს კარგად ვლინდება საქორწინო წეს-ჩვეულებებში, ბავშვის დაბადების რიტუალებში და საოჯახო ურთიერთობის ცალკეულ ასპექტებში.

აღსანიშნავია, რომ არაერთმა ბერძენმა ნაყოფიერი შრომით თუ შემოქმედებითი მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეიტანა აჭარის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგების ფუნქციონირებაში, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილი ეკონომიური სიძნელეების გამო ბერძნების უმრავლესობა რეპატრირებული იქნენ. მაგალითად, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, 1989 წელს აჭარაში მცხოვრები 7400 ბერძენიდან 2200 სული დარჩა.

აჭარაში დარჩენილ და რეპატრირებულ ბერძნებს შორის აქტიური კავშირურთიერთობა გრძელდება.

სომხები. 1877-89 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ინტენსიური ხასიათი მიიღო სომხურმა მიგრაციამ თურქეთიდან საქართველოში. იმ ხანებში საქართველოში უამრავი სომეხი ჩამოვიდა, და ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში დამკვიდრდა. სომეხთა ნაწილი გრიგორიანულ, ნაწილი კი კათოლიკურ სარწმუნოებას მისდევდა. მათ ჰქონდათ როგორც გრიგორიანული (დღევანდელი გამსახურდიას ქუჩაზე), ასევე, სომეხ-კათოლიკეთა ეკლესია. ჩამოსახლებულთა შორის ბევრი იყო გამაჰმადიანებული სომეხი, რომლებსაც

„ჰემშილებს“ ეძახდნენ. ჰემშილები ცხოვრობდნენ როგორც ზღვის სანაპირო ზოლში, ისე მთიან ადგილებშიც.

1895-1896 წლებში თურქეთში სომხების დევნამ ლტოლვილთა ახალი ნაკადი გამოიწვია. თურქეთიდან, იქ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად, მრავალი სომეხი ჩამოსახლდა 1915 წლის შემდგომაც. ბათუმი გადაიქცა სომეხ ლტოლვილთა მიმღებ-გამანაწილებელ პუნქტად, საიდანაც მოხდა სომეხთა განსახლება რუსეთის იმპერიაში.

ფართო მიგრაციის შემდეგ სომეხი მოსახლეობა სწრაფად ჩაება ახალადმოცენებულ კაპიტალისტურ ურთიერთობებში და განსახლდნენ ქალაქებსა თუ სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობის დაბებში. ლტოლვილი სომხების დიდი ნაწილი ბათუმში დასახლდა. სომხები დასაქმებული იყვნენ სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობასა და ვაჭრობაში. მისდევდნენ მევახშეობას.

ბათუმთან სავაჭრო ურთიერთობები სომეხ ვაჭრებს აჭარის თურქეთის შემადგენლობაში ყოფნის დროსაც ჰქონდათ. ჯერ კიდევ 1873 წელს ბათუმში არსებობდა ართვინელი სომხების რამდენიმე სავაჭრო. ასეთივე სავაჭრო დუქნები ჰქონდათ არდაგანელ და ტრაპიზონელ სომხებს ხულოში. თუმცა აჭარის საქართველოსთან შემოერთებამდე ბათუმში არ არსებობდა სომეხთა კომპაქტური დასახლება.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქართველ მუსლიმანთა დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. მუჰაჯირობამ გაზარდა სახაზინო მიწის ფონდი და საშუალება მისცა რუსეთის მთავრობას ამ მიწებზე რუსი კოლონისტები და სომეხი ლტოლვილები ჩაესახლებინა. ბათუმის სახაზინო მიწების ნაწილი დაურიგდათ სომეხ ლტოლვილებსა და ვაჭრებს. თუ 1892 წელს აჭარაში მიწათმფლობელთა სიაში ირიცხებოდა ორი სომეხი, მომდევნო წლებში ეს რიცხვი 42-მდე გაიზარდა. სომეხ ლტოლვილთა მდიდარი ნაწილი საუკეთესო მიწის ნაკვეთებს იძენდა ბათუმში, მახინჯაურსა და ჩაქვში, ჩაქვისთავსა და აჭყვაში. ბათუმში 1889 წელს სომხებს შეძენილი ქონდათ 21 320 კვ.საჟენი მიწა. ამასთან, ადგილი ქონდა შიგარეგიონალურ მიგრაციებსაც. ბათუმსა და მის შემოგარენში მიწები შეიძინეს სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში (ბაქო, თბილისი, სიღნაღი, ხაშური, ახალციხე და სხვ.) მცხოვრებმა სომხებმა.

სომხები, ძირითადად, ცხოვრობენ ბათუმში, თუმცა არა კომპაქტურად. სოფლად სომეხთა ძალზე მცირე რაოდენობა ცხოვრობდა. საბჭოთა პერიოდში მათი უმრავლესობა მუშაობდა ჩაქვის მეურნეობასა და ჩაის ფაბრიკაში. ქალაქში სომხები დაკავებული იყვნენ ხელოსნობითა და ვაჭრობით. ზოგიერთმა სომეხმა წარმატებას მიაღწია საგარეო ვაჭრობაშიც. სომხები აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

1922 წლისათვის ბათუმში ცხოვრობდა 14969 სომეხი. 1979 წლამდე სომეხთა რიცხვი აჭარაში იზრდებოდა, ხოლო 1989-2002 წლებში, წინა წლებთან შედარებით, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო, სომხუ-

რი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ძირითადად, სომხეთსა და რუსეთის ფედერაციაში. ამავე დროს, ადგილი ჰქონდა სომხების ნაწილობრივ ასიმილაციას ქართველებთან, რასაც ხელს უწყობდა შერეული ქორწინებანი. 1989 წელს აჭარაში ცხოვრობდა 13394, ხოლო 2002 წელს 7517 სომეხი (აჭარის მოსახლეობის 0,2%).

აჭარაში მცხოვრებმა სომხებმა ასწლეულების მანძილზე შეინარჩუნეს საკუთარი ეთნოკულტურული ტრადიციები. მათთვის ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სომხურენოვანი სკოლა, კულტურული ცენტრები და საკვირაო სკოლა. დღეისათვის აჭარაში ფუნქციონირებს ბათუმისა და ქობულეთის სომხური სათვისტომოები, ბათუმში არის წმ. ქრისტეს სომხური ეკლესია. თანამედროვე სომეხთა საოჯახო ყოფაში შეინიშნება პირვანდელი სამშობლოს წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების ზეგავლენა, შენარჩუნებულია ზოგადსომხური ტრადიციული კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ეთნიკური თვითშეგნება და ეროვნული კულტურის თვითმყოფადობა.

რუსები. 1878 წლამდე აჭარაში რუსული მოსახლეობის არსებობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს. მაგრამ უკვე 1883 წლისათვის აჭარაში 980 რუსი ცხოვრობდა. ისინი ქალაქის მოსახლეობის 11,3%-ზე მეტს შეადგენდნენ. ბათუმში არაქართული ელემენტების მომრავლებას ხელი შეუწყო ბერლინის ტარქტატით ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ და მუჰაჯირობამ, რის შედეგადაც აჭარა დატოვა ათასობით ადგილობრივმა მკვიდრმა და რუსეთის მთავრობამ დაიწყო დაცარიელებულ ადგილებში რუსეთის შიგა გუბერნიებიდან რუსების ჩამოსახლება. ბათუმში, ძირითადად, სახლდებოდნენ რუსი სამხედროები და ადმინისტრაციის წევრები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რუსები ჩაასახლეს ჩურუქ-სუსა (ქობულეთი) და ბათუმის მიდამოებში. 1884 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-ლეიტენანტ სმეკალოვის ბრძანებით, ჩურუქ-სუს მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის სანაპიროზე შეიქმნა რუსი კოლონისტების დასახლებული პუნქტი „სმეკალოვკა“. მეორე ასეთი დასახლება იყო „ხოლოდნაია სლობოდა“ ბათუმის შემოგარენში.

აქედან მოყოლებული, რუსული მოსახლეობის რაოდენობა მატულობდა, რაც ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო პოტენციალის ზრდას, რკინიგზის გაყვანას, ნავთობისა და მრეწველობის სხვა დარგების აღმავლობას უკავშირდება. XIX ს-ის 80-იან წლებში ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით ბათუმში რუსები ცხოვრობდნენ. 1882-1890 წლებში მათი რიცხვი ბათუმში 4-ჯერ გაიზარდა და ქალაქის მცხოვრებთა 22,9%-ს შეადგენდა. შემდგომ პერიოდში რუსული მოსახლეობის ზრდა შეიმჩნევა ქალაქიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. რუსმა კოლონისტებმა აითვისეს ზღვისპირა ზოლი: ორთაბათუმი, მახინჯაური, მწვანე კონცხი. რუსი კოლონისტები სარგებლობდნენ დიდი შეღავათებით მიწების გამოყოფის დროს და მალე მათი რიცხვი გაიზარდა მდ. აჭყვასა და ოჩხამურს შორის ტერიტორიაზეც, რომელიც ნაკლებად იყო დასახლებული და ადგილობრივი მოსახლეობა მას სათიბსაძოვრებად იყენებდა. რამდენიმე ოჯახი მდ. კინტრიშის დაბლობში, ბათუმის შემოგარენში (გოროდოკი) დასახლდა, ნაწილი კი – მდინარე ჭოროხის დელტაში (სოფლებში:

თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო; ზღვის შესართავთან გაჩნდა დასახლება ალექსეევკა). რუსული ახალშენის თავისებურ ნაირსახეობას წარმოადგენდა ჩაქვის საუფლისწულო მამული, მისი ადმინისტრაციული აპარატის და მუდმივი მუშახელის მნიშვნელოვან ნაწილს რუსები შეადგენდნენ.

1922 წელს – ბათუმის მაზრაში – 9 190, ქობულეთის მაზრაში – 295, ხულოს მაზრაში – 117, ქედის მაზრაში – 54 რუსი ცხოვრობდა, მაგრამ 30-იან წლებში რუსი მოსახლეობა 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. 1939 წლის აღწერით, ბათუმის რაიონში – 21 786, ქობულეთის რაიონში – 8 096, ხულოს რაიონში – 397, ქედის რაიონში – 256 რუსი ცხოვრობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიმჩნევა რუსული მოსახლეობის ზრდის ტენდენცია, რაც გამოწვეული იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის სწრაფი ტემპით, ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის მნიშვნელობის ზრდით, დიდი მოთხოვნილებით სამუშაო ძალაზე. 1970-1979 წწ. აღწერებით შეიმჩნევა ამ პროცესის შეჩერება. ხოლო, XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან რუსების რიცხვი მნიშვნელოვნად კლებულობს, რაც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით და საბჭოთა კავშირის დაშლით იყო გამოწვეული. ბოლო პერიოდში რუსების რაოდენობის კიდევ უფრო შემცირება რუსეთის სამხედრო ბაზების თანამშრომელთა მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების პროცესთან არის დაკავშირებული.

მოსახლეობის ბოლო – 2002 წლის აღწერის მიხედვით, რუსები შეადგენდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 0,5%-ს. ბათუმში ცხოვრობდა 6300 რუსი მოქალაქე.

უკრაინელები. აჭარაში უკრაინელთა პირველი ჩამოსახლება მოხდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მიგრაცია უმეტესად ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა და უმთავრესად მიმართული იყო ქალაქისაკენ. უკრაინელები ძირითადად დასაქმებული იყვნენ ქალაქ ბათუმის სამრეწველო საწარმოებში. 1918 წელს უკრაინამ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ბათუმში, ისევე, როგორც თბილისში, სოხუმსა და ფოთში, შეიქმნა უკრაინული საზოგადოება, რომელიც უკრაინული ენისა და კულტურის გადასარჩენად იღვწოდა. ამ საზოგადოების წევრები ბათუმის დუმაშიც კი აირჩიეს.

აჭარაში უკრაინელთა ჩამოსახლების მეორე ტალღა უკავშირდება ფაშისტური გერმანიის მიერ უკრაინის ოკუპაციას. ამ დროს აჭარამ შეიფარა მრავალი უკრაინული ოჯახი, რომლებიც შემდგომ დარჩნენ საქართველოში. 1979 წლის აღწერით ბათუმში ცხოვრობდა 3600 უკრაინელი, თუმცა XX ს-ის 90-იანი წლებიდან მოხდა უკრაინელთა გადინება, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში 90-იანი წლებში შექმნილ ვითარებასთან.

ამჟამად აჭარაში მოქმედებს უკრაინის საკონსულო. შექმნილია უკრაინული დიასპორა – ლესია უკრაინკას სახელობის ქართულ-უკრაინული კულტურულ-საგანმანათლებლო სა-

ზოგადოება. აჭარაში მცხოვრები უკრაინელები მშობლიურ ენად უკრაინულს მიიჩნევენ. აჭარის უკრაინულ დიასპორასა და ქართულ საზოგადოებას შორის ჩამოყალიბდა ნაყოფიერი და მჭიდრო კავშირები კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროში. ამავე დროს, მიმდინარეობს ნაყოფიერი თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში. ქართულ-უკრაინული თანამეგობრობის განვითარების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა ბათუმში მოქმედი უკრაინული საკვირაო სკოლა. ტარდება მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ქართველ და უკრაინელ ფოლკლორისტთა ერთობლივი კონცერტები და სხვ.

ებრაელები. უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ებრაელთა გაერთიანება – ისრაელის სახელმწიფო ძვ. წ. X საუკუნეში, მეფე სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ორად გაიყო: ისრაელისა და იუდეის სამეფოებად. ისრაელის სამეფო ძვ.წ. 722 წელს ასურეთმა, ხოლო იუდეველთა სახელმწიფო ძვ.წ. 586 წელს ბაბილონმა დაიპყრო. ამ პერიოდიდან დაიწყო მათი სხვადასხვა ქვეყანაში მიგრაცია.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელების პირველი ნაკადის საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლას ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობას უკავშირებს (ძვ.წ. VI ს.). მრავალი ისტორიული ფაქტი ადასტურებს ელინისტურ ხანაში ქართლის ზოგიერთ ქალაქში „უბანი ურიათა“-ს არსებობას.

აღნიშნული ცნობების საფუძველზე, არაა გამორიცხული, რომ ებრაელების თავდაპირველი მიგრაცია მომხდარიყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. შემდგომში მათი რამდენიმე ტალღა მოსულა. ცნობილია, რომ ბათუმში ყველაზე ძველი ებრაული საფლავის ქვა დათარიღებულია 1877 წლით. ამასთან დაკავშირებით, დავით იცხაკმა კავკასიის ებრაელების ისტორიაზე მიძღვნილ ნაშრომში გამოთქვა მოსაზრება, რომ ოსმალური მმართველობის დროს აჭარაში ებრაელების მცირე ჯგუფი უნდა ყოფილიყო, რომელიც ებრაელების სათვისტომოს „სეფარდი“-ს განეკუთვნებოდა.

აჭარის დედასამშობლოს შემადგენლობაში დაბრუნების (1878 წ.) შემდეგ, სამცხიდან, კულაშიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან და თბილისიდან ჩამოსულებმა შექმნეს „ქართველ ებრაელთა“ სათვისტომო; ხოლო ოდესიდან, კიევიდან, ვარშავიდან, თბილისიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან მიგრანტებმა – „აშქენაზი“.

ებრაელებმა ქართველებთან 26 საუკუნოვანი თანაცხოვრების პირობებში მტკიცედ შეინარჩუნეს იუდაიზმი, მაგრამ კულტურული კონტაქტების მეშვეობით ქართველების მსგავსად გააფორმეს გვარები. ისინი იწოდებიან ქართველ ებრაელებად და ქართულს მიიჩნევენ მშობლიურ ენად. ზ.ჭიჭინაძე ქართველ ებრაელებზე მიძღვნილ, 1904 წელს გამოცემულ წიგნში წერდა: „ენას გარდა ესენი ითვისებენ ქართულ ტანსაცმელს“. უფრო მეტიც საქართველოდან წასული „...ებრაელნი საცა კი სახლდებოდნენ, ყველგან თან მიჰქონდათ ქართული ენა, ქართველი ერის ტანსაცმელი და თვით წერილების წერასაც კი ქართულად ეწეოდნენ“. აღნიშნული გარემოება ანალოგიას ვერ პოულობს სხვა ეთნიკურ წარმომად-

გენლებთან. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველი ებრაელების გარდა აშქენაზები და სეფარდები ძირითადად რუსულ ენაზე ლაპარაკობენ და სინაგოგებიც ცალკე-ცალკე ჰქონდათ. დადგენილია, რომ ქართველი ებრაელობა საკუთრივ ქართველებთან უფრო მეტ სიახლოვეს იჩენდა, ვიდრე თანატომელ ებრაელებთან.

ბათუმში ებრაელთა რაოდენობრივი მატება ხდებოდა ქალაქის სავაჭრო, სამრეწველო და კულტურულ განვითარებასთან ერთად. თუ 1872 წ. პალგრევს ებრაელები ბათუმის მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობაში, ალბათ მცირე ოდენობის გამო არ ჰყავს დასახელებული, 1882 წლის აღწერის მონაცემებით, მათი რიცხვა 179 სული ყოფილა, ხოლო 1897 წელს 1064-მდე გაზრდილა. ებრაელთა საოჯახო ურთიერთობა გაჯერებული იყო რელიგიური დოგმებით. თორა და მოსეს კანონები წარმოადგენდა ცხოვრების წესს და განსაზღვრავდა მათ ეროვნულ თავისებურებებს.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ებრაელებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კულტურის, განათლების და ჯანდაცვის განვითარებაში.

XX საუკუნის 70 წლებიდან დაიწყო ებრაელთა რეპატრიაცია: თუ 1959 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით აჭარაში 1600 ებრაელი ცხოვრობდა, 1970 წელს მათი რაოდენობრივი კლება შეიმჩნევა და 1500-მდე ჩამოვიდა, 1979 წელს 1000-მდე შემცირდა, 1989 წელს კი 800 კაცამდე აღწევდა. 2002 წლისათვის აჭარაში 161 ებრაელი ცხოვრობდა.

ქართულ-ებრაული კავშირ-ურთიერთობის ასოციაცია, ბათუმის ებრაელთა თემი, ებრაული საკვირაო სკოლები და სხვა მოქმედი ორგანიზაციები დღენიადაგ ზრუნავენ ებრაული ტრადიციული კულტურის შენარჩუნება-განვითარების, ეთნიკური თვითშეგნების გაძლიერებისა და მათი ისრაელში რეპატრიაციისათვის.

კონფესიური სტრუქტურა

მართლმადიდებელი ქრისტიანები. ქართველები მოციქულთა ხანიდან ეზიარნენ ქრისტიანულ რელიგიას. ისტორიული ტრადიციით, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლა და გავრცელება აჭარიდან, კერძოდ, დიდაჭარიდან იწყება და ის ქრისტეს პირველი მოციქულის – ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირდება. ამ დროიდან მოყოლებული, აჭარაში აიგო პირველი ეკლესია, აქ იკურთხა პირველი მღვდელი და დიაკვანი.

ისტორიული ავბედითობის გამო, XVI საუკუნიდან ისლამის მოძალებამ აჭარაში მძიმე განსაცდელი მოუვლინა მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის მრევლს. ასიათასობით ადამიანი შეეწირა ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის ბრძოლას. 1878 წელს აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ დაწყებული ქრისტიანობის აღდგენა კვლავ შეწყდა. საბჭოთა ეპოქის არსებობის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და რელიგიური ცხოვრება მძიმედ და არათანმიმდევრულად წარიმართა.

საბჭოთა იმპერიის რელიგიური პოლიტიკა ყველა რელიგიისა და რწმენისადმი, განსაკუთრებით კი მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისშივე ეკლესიამ დაკარგა იურიდიული სტატუსი. საბჭოთა რეჟიმმა თავისი ანტირელიგიური კამპანიით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მიიყვანა.

1921 წლის 15 აპრილის დეკრეტის საფუძველზე მოხდა ძველი სკოლის ახალ სისტემაზე გადასვლა, რომელიც აჭარაში შედარებით გვიან – 1924 წლიდან განხორციელდა. გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება.

ხელისუფლება სწრაფად მოქმედებდა, დაუნდობლად ახორციელებდა რელიგიური დაწესებულებების მოშლა-განადგურების პროცესს. 1922 წლის თებერვალში გამოიცა საგანგებო ბრძანება ეკლესიებიდან ძვირფასეულობის ამოღების შესახებ. საგანძურის მცირედი ნაწილი სამუზეუმო ექსპონატებად გადააქციეს, რითაც მას ისტორიული დატვირთვა მიენიჭა, ხოლო უდიდესი "არაისტორიული მნიშვნელობის" განძი ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცა "კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის". სინამდვილეში კი, ეკლესიის მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვები დაიტაცეს. მიწის საყოველთაო ნაციონალიზაციაზე დაყრდნობით, ეკლესიას დიდძალი ქონება ჩამოერთვა.

1923 წელს საეკლესიო ინვენტარი და ზარები კონფისკაციას დაექვემდებარა და მძიმე მრეწველობის დარგების განვითარებას მოხმარდა. აჭარაში 1923 წლის 13 იანვრიდან დაილუქა ან სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაეცა ტაძრები: სობორო, სამხედრო ჰოსპიტლის ეკლესია, გორდოკის ალ.ნეველისა და მიხეილის სამხედრო ეკლესიები, ბათუმის მთავარანგელოზის ქართული ტაძარი. იმავე წელს ჩამოერთვათ ეკლესია სომეხ-გრიგორიანელებს, ხოლო ებრაელებს – სინაგოგა, "საზეიმო" ვითარებაში მოხდა ალ.ნეველისა და ბათუმის საკათედრო ტაძრებიდან ჯვრის ჩამოხსნა. 1923 წლისათვის ბათუმში დარჩა საკათედრო, იგივე ყოფილი სამხედრო, მთავარანგელოზისა და სასაფლაოს ეკლესიების სამი ქართული მრევლი.

ანტისაეკლესიო პოლიტიკის გატარების შედეგად, საქართველოში 1932 წლისთვის 15 ეპარქიიდან მოქმედებდა მხოლოდ 4 ეპარქია. ამათგან, ერთ-ერთი იყო ბათუმ-შემოქმედის ეპარქია, რომელშიც შედიოდა აჭარა. საზოგადოება თანდათან გაუუცხოვდა რელიგიურ ფასეულობებს, თუმცა ასეთი პოლიტიკა მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ამის გათვალისწინებით, 1935 წელს სობოროში დაიწყო ყოველდღიური წირვა. პარალელურად, უფრო გაძლიერდა ათეისტური საქმიანობაც. ამ მოთხოვნებით წარიმართა **1936 წლის კონსტიტუციის** პროექტის საჯარო განხილვის კამპანია, რის შედეგი იყო ის, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაგმო პროექტით დაშვებული უფლება არჩევნებში სასულიერო პირთა მონაწილეობის თაობაზე. ანალოგიური დამოკიდებულება გამოვლინდა აჭარაშიც.

30-იანი წლების რეპრესიებს ქვეყანაში კოლოსალური მსხვერპლი მოჰყვა. ამ პერიოდში აჭარაში სიკვდილით დაისაჯა არაერთი სასულიერო პირი.

ანტირელიგიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას აკონტროლებდა რელიგიური საბჭო, რომელიც 1944 წლიდან ფუნქციონირებდა და 1990 წლამდე იარსება. რელიგიურ საბჭოს თავისი რწმუნებულები ჰყავდა აჭარაშიც, რომელიც უხეშად ერეოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, მორწმუნეები

ათეული წლების მანძილზე ითხოვდნენ ეკლესიათა გახსნას. 50-იანი წლების დასასრულს ბათუმში მოქმედებდა ორი ეკლესია: წმ. ნიკოლოზისა და სასაფლაოს სამების. მაგრამ ამ დროისათვის ტაძარში გალობა და ლოცვა სლავურ ენაზე ტარდებოდა. 1982-83 წლებში ეპარქიის მაშინდელ მმართველს, მიტროპოლიტ შიოს (ავალიშვილი) დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ჩამოყალიბებულიყო ქართული საეკლესიო გუნდი რუსული გუნდის პარალელურად.

აჭარის ასს რესპუბლიკის მოსახლეობაში 90-იან წლებამდე დაიწყო რელიგიური რწმენის გაძლიერება. მორწმუნეთა მოთხოვნები უმთავრესად გამოწვეული იყო ბათუმის კათოლიკური ეკლესიის გამო შექმნილი სერიოზული უთანხმოების საფუძველზე. საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნით 1989 წლის 19 აპრილს აღნიშნული ტაძარი გადაეცა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების რელიგიურ საზოგადოებას.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ძალისხმევით, ძალზე მოკლე პერიოდში, 1989 წლის 19 აპრილიდან 30 აგვისტომდე, აჭარაში მოქმედ ორ მართლმადიდებლურ ეკლესიას კიდევ სამი დაემატა: ღვთისმშობლის საკათედრო მართლმადიდებლური ტაძარი ბათუმში, ხულოში – ღვთისმშობლის ტაძარი, ქობულეთში – კონსტანტინესა და ელენეს ტაძარი. 1989 წელს ახალი ეკლესიის მშენებლობა დაიწყო ქობულეთში.

დამოუკიდებელ საქართველოში, როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მოხდა რელიგიურობისაკენ შემობრუნება. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობდა. საქართველოში პირველად 2002 წელს დადგინდა მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურა. აღწერით მთლიანი მოსახლეობის 88,6 პროცენტი ქრისტიანული აღმსარებლობისაა. ამავე აღწერით აჭარაში 240 552 მართლმადიდებელი ქრისტიანია.

მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების შედეგად ამჟამად აჭარაში ბევრი ძველი ტაძარი თუ ნატაძრალი ადგილი დაუბრუნდა ეკლესიას. 2004 წელს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთში. ამის შემდეგ შეიქმნა ლაზეთ-ტაო-კლარჯეთის ეპარქია და 2005 წლის შემდეგ აჭარაში მოქმედებს ბათუმ-ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქია (მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი) და სხალთის ეპარქია (მთავარეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე). დაიწყო სემინარიების, სასულიერო სასწავლებლებისა და მონასტრების გახსნა. ეპარქიებში გაიზარდა სასწავლებლების რიცხვი. საპატრიარქოს პატრონაჟით 1991 წელს ეპარქიაში გაიხსნა სემინარია. 2009 წლიდან სხალთის ეპარქიაში დაარსდა წმ. აბუსერისძე ტბელის სახელობის უნივერსიტეტი. ორივე ეპარქიაში მოქმედებს რამდენიმე გიმნაზია და ბაგა-ბაღი. ბათუმში გაიხსნა მოხუცებულთა და უმწეოთა თავშესაფარი.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებებით, რამდენიმე საერო და სასულიერო პირი აჭარაში წმიდანად იქნა შერაცხული. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა ქრისტიანობის დაცვისათვის აჭარაში მოწყვეტილი დედები და მამები. 2002 წლის 17 ოქტომბერს წმიდანად შერაცხეს აბუსერისძე ტბელი. 2003 წელს წმიდანებად შერაცხეს ლაზი საერო და სასულიერო პირები, რომლებიც XVI–XVIII საუკუნეებში აწამეს. 2011 წლის 21 მაისს კი წმიდანად შერაცხეს ღირსმოწამე თევდორე აჭარელი. ეპარქიებმა გააფართოვეს საერთაშორისო და მართლმადიდებელ სამყაროსთან კავშირი. გააქტიურებულია თანამშრომლობა უცხოეთთან. ტარდება საერთაშორისო კონფერენციები დიდაჭარობასთან, ტბელობასთან, აგრეთვე კოლხურ (ლაზურ) კულტურასთან და-

კავშირებით. რადიო „ივერიამ“ დაიწყო ლაზური მაუწყებლობა და ინტერნეტის საშუალებით „ივერიის” მოსმენა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გახდა შესაძლებელი.

სომეხი გრიგორიანელები. აჭარაში სომხების, ისევე როგორც სხვა ეთნიკურ უმცირესობათა დამკვიდრება ძირითადად რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომსა და ომის შემდგომ პერიოდთან არის დაკავშირებული. თუმცა, ზოგი ცნობით, მათი მცირე ნაწილი ომამდეც დასახლებულა. ამას უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ სომხებს ბათუმში ჰქონდათ საკუთარი სომხურ-გრიგორიანული სალოცავი, რომელიც 1873 წელს აშენდა.



საბჭოთა ხელისუფლების ათეისტური პოლიტიკის შედეგად, აჭარაში 1923 წლის 13 იანვრიდან ფუნქციონირება შეწყვიტა არაერთმა ტაძარმა და შენობები სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაეცა. იმავე წელს ჩამოერთვათ ეკლესია სომეხ-გრიგორიანელებს და გადაეცა პროფკავშირებს, შემდეგ კი კომუნალური მეურნეობის გამგეობას. მოგვიანებით ამ ტაძრის შენობაში პლანეტარიუმი ფუნქციონირებდა.

სომხები ძირითადად ცხოვრობდნენ ბათუმსა და მის შემოგარენში. მათი უმრავლესობა გრიგორიანელთა რელიგიურ საზოგადოებას შეადგენდა და ამიტომ მათ სომეხი გრიგორიანელები ეწოდათ. აჭარაში სომხური მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებათა პარალელურად, ოსმალეთის იმპერიაში სომხებსა და თურქებს შორის არსებული კონფლიქტების გამო, იცვლებოდა მორწმუნეთა რიცხვი და ეს დინამიკა სტატისტიკაშიც აისახა: 1887 წელს სომეხი გრიგორიანელების საერთო რაოდენობა 1265-ს შეადგენდა, 1916 წელს – 4026-ს, ხოლო უკანასკნელი 2002 წლის საყოველთაო აღწერის საფუძველზე ირკვევა, რომ მათი საერთო რიცხვი 3162 იყო.

დღეს აჭარაში მოქმედებს ერთი სომხური გრიგორიანული სამოციქულო ეკლესია, რომელიც ექვემდებარება თბილისში მოქმედ სომხური ეკლესიის ეპარქიას და მას სომეხი ეპისკოპოსი მართავს. მისი კათედრა თბილისში, წმ. გიორგის ეკლესიაში ფუნქციონირებს.

კათოლიკეები. საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა XVII საუკუნიდან აღინიშნება. აჭარაში კი ეს პროცესი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ დაიწყო. ბათუმისა და მისი შემოგარენის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდის შედეგად ეთნიკურ უმცირესობათა მიზიდვის პარალელურად აქ ეთნოკონფესიური ჯგუფებიც მომრავლდა. ამის შედეგად გავ-

რცელდა ქრისტიანული რელიგიის სხვა მიმდინარეობაც, კერძოდ, კათოლიციზმი, რომელიც წარმოდგენილი იყო რომაულ-კათოლიკური და სომხურ-კათოლიკური ეკლესიებით. მათ შერეულ სამრევლოებში მორწმუნეთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

საბჭოთა პერიოდში საკმაოდ რთული რელიგიური ვითარება შეიქმნა აჭარაში. აქ კათოლიკური ტაძრები, სხვა რელიგიური ტაძრების მსგავსად, 1923 წლის 13 იანვრიდან უქმდება და ისინი სხვადასხვა ორგანიზაციას გადაეცა. ამის შედეგად, დაიწყო მორწმუნე კათოლიკეთა რიცხვის შემცირება. 80-იან წლებში აჭარაში არსებულ შვიდ რელიგიურ გაერთიანებას შორის არ დაფიქსირებულა კათოლიკური საზოგადოება.

აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის სწრაფვა რწმენისადმი გამოიხატა საკავშირო და რესპუბლიკური ხელისუფლების მისამართით გაგზავნილ კოლექტიურ განცხადებებში, რომლებშიც საზოგადოების უმრავლესობა კათოლიკურ ნაგებობაში (აიგო 1902 წელს) მართლმადიდებელი ეკლესიის ამოქმედებას ითხოვდა. გარკვეული ღონისძიებების შემდეგ აღნიშნული ტაძარი 1989 წლის 19 აპრილს გადაეცა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების რელიგიურ საზოგადოებას. ბათუმში მცხოვრებმა კათოლიკეებმა ახალი ეკლესიის აშენების საკითხი დააყენეს მთავრობისა და კათოლიკური ცენტრის წინაშე და ბათუმში აიგო კათოლიკური ეკლესია, რომელმაც 2000 წელს დაიწყო ფუნქციონირება. აჭარაში 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით 683 კათოლიკე ქრისტიანი ითვლებოდა.

მუსლიმები. აჭარაში ისლამის გავრცელება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ოსმალეთის მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ იწყება და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებით, არათანაბარი ინტენსიობით ვითარდებოდა.

1563 წლიდან, როცა ადგილობრივმა მმართველებმა მიიღეს ისლამი, აჭარა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად შევიდა ოსმალეთის იმპერიაში.

ისლამის გავრცელებას აჭარაში ხელს უწყობდა მიწათმფლობელობის ფორმების, სოციალური და საგადასახადო სისტემის, სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის თავისებურებანი. აჭარაში ისლამი ეტაპობრივად ვრცელდებოდა – იგი ჯერ ლაზეთში, შემდეგ ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებში, ბოლოს კი ქობულეთში გავრცელდა. ეს პროცესი განსაკუთრებით XIX საუკუნიდან ღებულობს ინტენსიურ ხასიათს. ამ პერიოდში აჭარაში შენდება მეჩეთები და სასულიერო სასწავლებლები. ოსმალეთის მმართველობის ბოლო წლებში ადგილობრივ მუსლიმთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სხვადასხვა მიზეზით მშობლიური მხარე დატოვა და საცხოვრებლად ოსმალეთის იმპერიის სხვადსხვა კუთხეში გადასახლდა. ეს პროცესი მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი. ამ პერიოდში მუსლიმების ერთი ნაწილი აჭარის მეზობელ რეგიონებში გადასახლდა (განსაკუთრებით, გურიაში).

1878 წლიდან, რუსეთის მმართველობის პერიოდში, აჭარაში მუსლიმებს და ორგანიზაციულ სტრუქტურას მხოლოდ რიგი ცვლილება შეეხო – შეიქმნა სპეციალური სამმართვე-

ლო, ჩამოყალიბდა მუსლიმური სამმართველოს ერთიანი სისტემა, მოწესრიგდა ადგილზე მუსლიმური სასულიერო პირებისათვის განათლების მიღების საშუალებები და ფორმები, შეიზღუდა უცხოურ მუსლიმურ ცენტრებთან სასულირო პირების ურთიერთობა. ამავდროულად დიდი რაოდენობით აიგო მეჩეთები და სასწავლებლები. ამის შედეგად, აჭარის სინამდვილეში ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა და განსხვავებული რელიგიური მრწამსის თავისებური ფორმა.

ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსის ხელშეკრულების მიხედვით, აჭარისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთ მიზეზად ადგილობრივი მოსახლეობის განსხვავებული რელიგია დასახელდა. საბჭოთა პოლიტიკა საერო და სასულიერო სფეროების გამიჯვნას (ქორწინება, განათლება, სოციალური ურთიერთობები, რელიგიური სამართლი, ქონებრივი ურთიერთობები და ა.შ.) და სასულიეროს თანდათანობით შეზღუდვას ითვალისწინებდა. ამ პროცესის პარალელურად ხელისუფლება აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებას (ქალთა სექციების გახსნა, მმაჩის ბიუროს გახსნა, ჩადრის ახდის კამპანია, ანტირელიგიური პროპაგანდა, ადმინისტრაციული ჩარევა), რომელთა გავლენით 1924 წელს გაუქმდა შარიათის სასამართლო, ხოლო 1926 წელს სამუფთო და სასწავლო კურსებიდან ამოიღეს რელიგიური საგნები, 1929 წელს დაიკეტა ყველა მედრესე და შემოღებული იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება, 1935-1939 წლებში დაიხურა ყველა მეჩეთი. ხორციელდებოდა რეპრესიები როგორც მულისმი სასულიერო პირების, ისე მორწმუნეების წინააღმდეგ. თუმცა 1940-იან წლებში, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ისევ აღადგინეს ბათუმის მეჩეთი. ამ პროცესების გავლენით ისლამი თანდათან ფარულ სახეს ღებულობს და ოჯახებში შემდგომ თაობას ძირითადად ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა.

1980-იანი წლების დემოკრატიზაციის პროცესებს ადგილობრივი მორწმუნეების გააქტიურება მოყვა. რელიგიის თავისუფლებამ და რწმენა-წარმოდგენების საჯაროობამ აჭარაში განაპირობა როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის მიმდევრების მატება.

1990-იან წლებში ბათუმში ყალიბდება აჭარის სასულიერო სამმართველო – სამუფთო, რომელიც მანამდე არსებული სტრუქტურის მიხედვით დაექვემდებარა ამიერკავკასიის სამუსლიმანო სამმართველოს. წლების განმავლობაში სამუფთო მოქმედებდა არაოფიციალური სტატუსით. 2011 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, აჭარის სამუფთომ და თბილისში მოქმედმა შიიტურმა სამმართველომ დააფუძნეს „სრულიად საქართველოს სამუსლიმანო სამმართველო“, როგორც დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი მუსლიმური გაერთიანება საქართველოს ტერიტორიაზე. მის ხელმძღვანელობას ახორციელებენ მუფთი (სუნიტი მუსლიმები) და შეიხი (შიიტი მუსლიმები). 2002 წლის მოსახლეობის საყოველთო აღწერით აჭარაში მოსახლეობის 30.6%, ანუ 115161 ადამიანი ისლამის მიმდევარია. აჭარაში 2010 წლის მონაცემებით მოქმედებს 184 სხვადასხვა ტიპის მუსლიმური ნაგებობა, მათ შორის 119 მეჩეთი.

იუდეველები. იუდაიზმის წარმოშობა უშუალოდაა დაკავშირებული ებრაელი ხალხის ისტორიასთან, უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან და მითიურ გადმოცემებთან, რომელიც ამ რელიგიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

ებრაელი ტომების შესახებ პირველი ცნობები ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV საუკუნეს განეკუთვნება. ბიბლიური ტრადიციით, დასავლეთ სემიტური ტომები – ებრაელები, ძვ. წ.XIII საუკუნეში ეგვიპტიდან არაბეთის უდაბნოში გაიქცნენ და მომთაბარე მესაქონლეობას ეწეოდნენ. მათ ადრეულ რწმენა-წარმოდგენებსა და კულტებში ფეტიშიზმის, ტოტემიზმის, ანიმიზმისა და მაგიის ელემენტებს დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი.

იუდაიზმისათვის დამახასიათებელია: ერთადერთი ღმერთის იაჰვეს რწმენა, იუდეველთა ღვთისმიერი გამორჩეულობა და მესიის რწმენა, რომელიც მათ მიიყვანს აღთქმულ მიწამდე, ასევე სპეციფიკური კულტი. გამორჩეულობის მიზნით უფალი აბრამისა და მისი შთამომავლებისაგან, ე.ი. ებრაელთაგან, მოითხოვდა წინდაცვეთის წესის აუცილებელ შესრულებას.

აღნიშნულ დოგმათა ჩამოყალიბებამდე ებრაელებმა რთული და ხანგრძლივი გზა განვლეს.

ებრაელებმა პალესტინის დაპყრობისა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ მრავალღმერთიანობა აღიარეს, ხოლო ისრაელის სახელმწიფოს შექმნით (ძვ. წ. XI ს.) საფუძველი ჩაუყარეს იუდეას ტომის ღმერთის – იაჰვეს ირგვლივ რელიგიურ გაერთიანებას. ამ ცენტრალიზაციის მიუხედავად, მონოთეიზმის სრული დაფუძნების მიზნით, ბრძოლა შემდგომშიც მიმდინარეობდა, ვიდრე ძვ.წ. 662 წელს, მეფე იოსიამ რეფორმები არ გაატარა იაჰვეს კულტის გასაძლიერებლად. მან აკრძალა სხვა სატომო ღვთაებათა მიმართ კულტმსახურება. იუდაიზმის სრულყოფა-ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ბაბილონის მიერ იუდეის სახელმწიფოს განადგურებამ – „ბაბილონის ტყვეობამ“. ამ რთულ ვითარებაში მყოფმა ებრაელებმა მწიგნობართაგან შეკრებილი ტექსტები გააერთიანეს, რომლის ძირითად ნაწილს მოსესეული თორას 5 წიგნი დაუდეს საფუძვლად. მასში ძირითადად გადმოიცა იუდაიზმის, ზემოთ აღნიშნული, მთავარი რელიგიური დოგმატები.

ბაბილონის დამხობის (ძვ.წ. 538 წ.) შემდეგ, ებრაელებმა იერუსალიმში დაბრუნებისა და ტაძრის აშენების უფლება მიიღეს. მათ სულიერ კონსოლიდაციას აძლიერებდა წინასწარმეტყველთა და ქურუმთა დღენიადაგ ქადაგება იმისა, რომ ყოვლისშემძლე იაჰვე ღმერთმა მხოლოდ აბრამი და მისი შთამომავალნი აირჩია, რათა ყოვლად ჭეშმარიტი, სულის გადამრჩენი მოძღვრება მიეცა მათთვის.

ებრაელებში ღვთაებრივ მხსნელზე ოცნება, მესიანიზმი განსაკუთრებით გაძლიერდა და ფართოდ გავრცელდა I საუკუნეში, მას შემდეგ რაც რომაელებთან ბრძოლაში იუდეის სახელმწიფო დაეცა, განადგურებული იქნა იერუსალიმის ტაძარი. აჯანყებაში დამარცხებულებს გონება და ოცნება ცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ღვთაებრივ შველას მოელოდნენ. დათრგუნულ და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მიმოფანტულ ებრაელებს ისღა დარჩენოდათ, რომ ადგილობრივ სინაგოგებში მსხვერპლშეწირვასა და სხვა რელიგიურ რიტუალებთან ერთად აღევლინათ ლოცვები, შეესრულებინათ სახოტბო ჰიმნები, თორიდან წაეკითხათ სხვადასხვა თავები, რასაც თან ახლდა წიგნიერი და ზეპირი კომენტარები. აუცილებელი გახდა სხვადასხვა

დროს გამოთქმული ზეპირი განმარტებებისა და შეხედულებების ერთიან რელიგიურ-ლიტერატურულ ძეგლად, ე.წ. თალმუდად გაერთიანება. იგი იქცა ებრაელთა რელიგიურ, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებულად, რომლის საფუძველსაც ძირითადად ბიბლიის წიგნების განმარტებები შეადგენდა.

თალმუდისეული წარმოდგენები ღმერთზე, სამოთხესა და ჯოჯოხეთზე, სამყაროს შექმნასა და ადამიანის წარმოშობაზე, დასჯასა თუ დასაჩუქრებაზე ჩვეულებრივ მომაკვდავთა რეალური ცხოვრების ფანტასტიკური ასახვა იყო.

იუდეის სახელმწიფოს განადგურებას მოჰყვა ებრაელთა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიგრაციის ახალი ტალღა. რომლის ერთი ნაკადი საქართველოს მიწა-წყალზე მეორედ დამკვიდრებულა. ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან, საუკუნეების განმავლობაში, სავაჭრო, სამეურნეო-კულტურულ ურთიერთობაში იყვნენ. ამ კონტაქტის შედეგად განიცადეს ენობრივი ასიმილაცია, მაგრამ მტკიცედ შეინარჩუნეს რელიგიური თვითმყოფადობა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში იუდაიზმის ცალკეული დოგმების ახლებურად ინტერპრეტაციის ცდები იყო.

იუდაიზმის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა ელინიზმის, ნეოპლატონიზმისა და არისტოტელეს იდეებმა, თავის მხრივ, ამ რელიგიამ დიდი გავლენა იქონია ქრისტიანობასა და ისლამზე.

1948 წელს ასრულდა ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება, შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის 90% იუდაიზმის მიმდევარია.

სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრები. აჭარის ეთნოკონფესიური შემადგენლობის მოზაიკაში ძირითად რელიგიურ მიმდინარეობებს წარმოადგენენ მსოფლიოს უდიდესი რელიგიები – ქრისტიანობა, უმთავრესად, მართლმადიდებლობით, და ისლამი – სუნიტური მიმართულებით. ისლამის გავრცელება აჭარაში XVII საუკუნის მიწურულიდან დაიწყო, ხოლო ყველა დანარჩენი რელიგია თუ სექტა აქ XIX საუკუნეში ან მომდევნო პერიოდიდან იწყებს გავრცელებას. აღნიშნულ პერიოდში რელიგიური მრავალფეროვნება ძირითადად ბათუმსა და მის შემოგარენში შეინიშნება. ხოლო სოფლად კი მოსახლეობა ძირითადად მაჰმადიანური იყო (გარდა ბერძნებით დასახლებული რამდენიმე სოფლისა). როგორც ცნობილია, ანალოგიური კონფესიური სტრუქტურა შენარჩუნდა XX საუკუნის 20-იან წლებში და შემდგომ პერიოდშიც.

აჭარაში გავრცელებული იყო აგრეთვე ქრისტიანული რელიგიის სხვა მიმდინარეობები: **კათოლიციზმი,** რომელიც წარმოდგენილი იყო **რომაულ-კათოლიკური** და **სომხურ-კათოლიკური** ეკლესიებით. ცალკე არსებობდა **სომხურ-გრიგორიანული** სალოცავი. აჭარაში მცირედ იყო გავრცელებული **პროტესტანტიზმის** თავდაპირველი და გვიანდელი მიმდინარეობები: ლუთერანობა და ბაპტიზმი. ლუთერანები საქართველოში XIX საუკუნიდან გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლების შემდეგ გაჩნდნენ, ხოლო ბაპტისტების საზოგადოება XX საუკუნიდან. მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ ქრისტიანული სექტის – **მოლოკნების მიმდევრებიც**. ქართველ და რუს ებრაელებს – სიონისტებს ორი სინაგოგა ჰქონდათ. ბათუმში არსებულ უმრავლესობას წარმოადგენდა ებრაელთა აშქენაზური, იგივე ევროპული სათვისტომო.

ცალკეულ რელიგიურ საზოგადოებაში არსებობდა შერეული სამრევლოებიც. ამათგან საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში და მაჰმადიან მორწმუნეებში უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ძირეულად შეიცვალა ხელისუფლების იდეოლოგია, რომლის უმთავრესი მიზანი იყო მოსახლეობაში კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირება, რისთვისაც მოხდა სასულიერო სასწავლებლების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების გარდაქმნა, ანდა მათი ლიკვიდაცია. ამ ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის რელიგიური მორალი შეიცვალა ახალი საბჭოთა მორალით, რის შედეგადაც ისინი პოლიტიკური სისტემის აღმსრულებელ ადამიანებად გადაიქცნენ.

40-იანი წლებიდან რელიგიური კონფესიების მიმართ ათეისტური პოლიტიკის შენელების პროცესი გაგრძელდა 60-იან წლებამდე. ამ პერიოდში დაიწყო რელიგიური საზოგადოებების ლეგალიზაცია და სულიერი ცხოვრების გამოცოცხლება. 70-იანი წლებიდან კი შეინიშნება ცალკეული რელიგიური საზოგადოების დაახლოების ტენდენცია, რაც უმთავრესად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა მასობრივი ემიგრაციის შედეგს წარმოადგენდა.

XXს-ის 70-80-იანი წლებიდან აჭარაში დაიწყო რელიგიურ გაერთიანებათა ზრდის პროცესი და ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობების გვერდით გაჩნდა ე.წ. არატრადიციული რელიგიური ჯგუფების გარკვეული რაოდენობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ახალი, ძირითადად ქრისტიანული ორიენტაციის ჯგუფები და სექტები, თუმცა ამას აჭარაში საზოგადოების შიგნით გამოკვეთილი წინააღმდეგობები არ გამოუწვევია. ამ პერიოდში რელიგიურ გაერთიანებათა რაოდენობამ შვიდს მიაღწია: მუსლიმები – 1, მართლმადიდებლები – 2, იუდეიზმი – 1, ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტები – 2, ევანგელისტ ქრისტიანები – 1. აჭარაში მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ გრიგორიანი სომხები და კათოლიკები. ასევე ფუნქციონირებდა სუბოტნიკების არარეგისტრირებული ჯგუფი. 1984 წლიდან გაიზარდა 50-იანელების რიცხვი და მათმა საერთო რაოდენობამ 135-ს მიაღწია.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ათეისტური ღონისძიებების მიუხედავად მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ეროვნული ტრადიციები, მშობლიური ენა, ყოფისა და კულტურის ძირძველი ელემენტები. ამის შედეგი იყო ის, რომ ათეული წლების მანძილზე მალულად ინათლებოდა ჩვილები, მალულად უგებდნენ წესს მიცვალებულებს, მალულად იწერდნენ ჯვარს.

1991 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, აჭარაში რელიგიური საზოგადოებების საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც საქართველოში პირველად ჩატარებული 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებმა დაადასტურა. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებელი ქრისტიანი შეადგენდა. მათ მოყვება მუსლიმი მორწმუნეები, ე.წ. არატრადიციული რელიგიური ჯგუფების გარკვეული რაოდენობა და სხვ.

2002 წლის საყოველთაო აღწერით, მთლიანი მოსახლეობის 88,6 პროცენტი ქრისტიანული აღმსარებლობისაა. აჭარაში 2002 წლის აღწერით 240552 არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, 115161 – მუსლიმი, 683 – კათოლიკე, 3162 – სომეხ-გრიგორიანელი, 161 – იუდეველი.

2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მართლმადიდებლობასთან სხვა რელიგიების გათანაბრებას. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არაერთგვაროვნად გამოხატა თავისი დამოკიდებულება.

სრულიად საქართველოს მსგავსად, აჭარა მის გარშემო საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე რელიგიური ხასიათის ომების მიუხედავად, განსხვავებული კონფესიური ჯგუფების თანაცხოვრების მაგალითად იქცა.

დემოგრაფიულ-მიგრაციული პროცესები

აჭარის რეგიონი ოსმალეთის მმართველობის პერიოდამდე (XVII საუკუნემდე) ძირითადად ხასიათდებოდა შიდა რეგიონალური მიგრაციებით, რაზეც გავლენას საომარი მოქმედებები და სხვადასხვა ავადმყოფობა ახდენდა. ამიტომ ბარის მოსახლეობა ცდილობდა მთაში დროებით თავი შეეფარებინა ან საერთოდ მუდმივ საცხოვრებლად გადასულიყო. თუმცა მთის მოსახლეობაც პერიოდულად ხდებოდა საომარი მოქმედებების ან დარბევების მსხვერპლი. ამგვარი ფაქტორების გავლენით, მაღალმთიან აჭარაში მეზობელი რეგიონებიდან მიგრირებულმა მოსახლეობამ იმატა. ამავე პერიოდში ხდებოდა არაქართული მოსახლეობის შემოსვლაც – განსაკუთრებით, ქურთების, ჩერქეზების და თათრების სახით.

წყაროების მიხედვით, ოსმალეთის ბატონობის პერიოდში, მიგრაციის სალდო დადებითი იყო. რეგიონის დაცულობა და ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობები მოსახლეობის მატებას უწყობდა ხელს. მოსახლეობის გასვლა ამ პერიოდში არ ატარებდა ფართო ხასიათს და განსახლება ან ოსმალეთის შიდა რაიონებში ჩასახლება ოსმალეთის ხელისუფლების ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

აქტიური მიგრაციული პროცესები აჭარაში XIX საუკუნიდან იწყება. ამ პერიოდში აჭარაში ჩამოსახლებულა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა შავშეთიდან, ტაო-კლარჯეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, ლაზეთიდან, გურიდან, იმერეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, ქართლიდან და სხვა რეგიონებიდან. თუმცა მათი საერთო ოდენობა რამდენიმე ასეულ ოჯახს შეადგენდა. ოსმალეთის ხელისუფლება სამხედრო მიზნებით ზღვისპირა ზონაში ჩრდილოკავკასიელებს იზიდავდა. ამის პარალელურად, ოსმალეთის ხელისუფლებამ აჭარიდან იმპერიის შიდა რეგიონებში გადაასახლა რამდენიმე სოფლის მოსახლეობა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი გურიის მეზობელ სოფლებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე დასახლდა.

დემოგრაფიული ვითარების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია მუჰაჯირობამ, რასაც პირველ ეტაპზე აჭარაში აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელების შემოსვლა მოყვა. მეორე ეტაპზე, 1878 წლის შემდეგ, აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა, რასაც სოფლების დიდი ნაწილის დაცლა მოჰყვა. სხვადასხვა მონაცემით, აჭარიდან გადასახლდა დაახლოებით 10000-მდე კაცი, მათ შორის, 4000 აფხაზი და ლაზი. მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებული სოფლები მაღალმთიანი აჭარიდან ან მეზობელი რეგიონებიდან შიდა მიგრაციით და რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული საკოლონიზაციო პოლიტიკის შესაბამისად გადმოსახლებული რუსი ეროვნების მოსახლეობით შეივსო.

სტატისტიკის თვალსაზრისით, ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდში შემდეგი სუ-

რათი გვაქვს: 1872 წელს მთელ აჭარაში 44824 სული ცხოვრობდა, რომლებიც 1871-1873 წლების მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდებოდა კაზების (ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები) მიხედვით: ბათუმის კაზაში ცხოვრობდა 8327 ადგილობრივი მოსახლე, 3324 ჩერქეზი (აფხაზი), 186 ბერძენი-მართმადიდებელი, 11 სომეხი-კათოლიკე; ჩურუქსუს კაზაში (დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია) – 3592 ადგილობრივი მოსახლე და 538 სხვა ეროვნების პირი; ზემო აჭარის კაზაში (დღევანდელი ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორია) – 5819 ადგილობრივი მოსახლე; ქვემო აჭარის კაზაში (დღვანდელი ქედისა მუნიციპალიტეტი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილი) – 9670 კაცი; გონიოს კაზაში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილი) – 3806 ადგილობრივი და 1469 ჩერქეზი.

1874 წლისათვის ბათუმში 8730 მოსახლე იყო (მათ შორის, 7200 ქართველი, 120 სომეხი, 210 ბერძენი, 600 ქურთი, 600 ჩერქეზი), ხოლო ჩურუქსუში – 9600 კაცი (მათ შორის 8800 ქართველი, 800 ჩერქეზი). 1878 წლისათვის ბათუმის ოლქში ომის შედეგად მოსახლეობა შემცირებულა და აქ სულ 10405 სული კაცი ცხოვრობდა.

რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში მიგრაცია ზღვისპირა ტერიტორიებისა და ქალაქების ინტენსიური განვითარებით იყო განპირობებული, როცა სხვადასხვა ოდენობით მუჰაჯირების რამდენიმე ტალღის როგორც მიგრაცია, ასევე უკან დაბრუნება ხდებოდა. ამ პერიოდში აჭარაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის მატება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთა ხარჯზე. ამის პარალელურად ქალაქსა და მიმდებარე ტერიტორიებზე მატულობდა არაქართველი მოსახლეობის წილი.

1882 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა უკვე 18671 სულს შეადგენდა, მათგან 11562 ქართველი, 980 რუსი, 6037 თურქი, 377 აფხაზი, 908 სპარსელი, 1106 ბერძენი, 145 გერმანელი, 24 ფრანგი, 13 იტალიელი, 10 ინგლისელი, 179 ებრაელი იყო. ქვემო აჭარაში ამ დროისათვის 13135 სული ცხოვრობდა, ხოლო ზემო აჭარაში 19465 სული.

ბათუმის მოსახლეობის შემდგომი წლების ზოგადი დინამიკა ასეთია: 1882 წელს – 8671 სული იყო, 1889 წელს – 12000, 1890 წელს – 18123, 1897 წელს კი 28512 სული. 1903 წლისათვის ბათუმის ოლქის მოსახლეობა 144322 სულს შეადგენდა. მოსახლეობა ძირითადად ახალმოსახლეების ხარჯზე გაიზარდა. მოსახლეობის მატება ქალაქის განვითარებით იყო განპირობებული, რაც დამატებით მუშახელს მოითხოვდა, ამიტომ ახალმოსახლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდიოდა შიდა აჭარიდან და მეზობელი რეგიონებიდან (ლაზისტანი, გურია, იმერეთი). ასევე მატულობდა არაქართველი მოსახლეობის წილიც.

საბჭოთა პერიოდში მიგრაციას ძირითადად გეგმაზომიერი ხასიათი ჰქონდა, თუმცა ასევე ადგილი ჰქონდა არაორგანიზებულ და ინდივიდუალურ მიგრაციებსა და გადასახლებებს. საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პირველი წლები (1921-1940-იანი წლების ჩათვლით) ხასიათდება მეურნეობის დარგების ინტენსიური განვითარებით, კოლექტივიზაციით და რეპრესიებით. ამას შესაბამისად მოსახლეობის ორგანიზებული და არაორგანიზებული ჩასახლებაც მოყვა. რეპრესიების შიშით ამ წლებში მოსახლეობა საცხოვრებელ ადგილებს ინდივიდუალურად ტოვებდა და ძირითადად თურქეთში გადადიოდა. მოსახლეობის რაოდენობაზე გაცილებით მეტი გავლენა რეპრესიებს ჰქონდა. სხვადასხვა ტიპის რეპრესიების გავლენით აჭარიდან 40-იან წლებში გაასახლეს თურქები (მათ შორის, მუსლიმური რელიგიის მიმდევარი ეთნიკურად ქართული მოსახლეობა) და ჰემშილები. 1950-იან წლებ-

ში შუა აზიაში ასევე გადაასახლეს 3000-დან 3500-მდე ადგილობრივი ოჯახი, რომელთა უმრავლესობა მოგვიანებით უკან დაბრუნდა.

1940-80-იან წლებში ორგანიზებული მიგრაციების ძირითადი მიმართულება იყო ჭარბმოსახლეობიანი მაღალმთიანი აჭარის განტვირთვა და შედარებით სუსტად დასახლებული შავიზღვისპირეთის ზონასა და ადიგენის რაიონში ჩასახლება. ასე, 1921-1960 წლებში მთიანი ზონიდან აჭარის ბარში ჩამოასახლეს 15000-მდე კაცი, ხოლო 1960-იან წლებში გურიისა და ადიგენის რაიონებში – 7500-8000 კაცი. 1955-1980 წლებში მარტო ადიგენში 189 კომლი ჩაასახლეს.

ორგანიზებულ ჩასახლებასთან ერთად, 1921-1950-იან წლებში 12000 კაცი სტიქიურად ჩასახლდა ძირითადად ხელვაჩურის და ნაკლებად ქობულეთის რაიონში. გურიისა და ადიგენის მხარეში ამ პერიოდში სტიქიურად დაახლოებით 100-100 კაცი ჩასახლდა. არაორგანიზებული მიგრაცია 1951-1989 წლებში გაიზარდა. ამ პერიოდში ოზურგეთსა და ლანჩხუთში ჩასახლდა 7500 კაცი, ხოლო ადიგენში 3200 კაცი.

1971-1975 წლებში განხორციელდა კიდევ ერთი, ორგანიზებული ჩასახლება. გურიაში 2126 კაცი ჩასახლდა, ხოლო 1976-80 წლებში – 1528 კაცი. ქართლში 1976 წლიდან ჩასახლდა 204 კაცი, სამცხეში – 573 კაცი.

მოგვიანო პერიოდში (1980-იანი წლები) განხორციელებული ორგანიზებული მიგრაციის სახით, ზღვისპირა ზონაში ჩასახლდა 6698 სული, გურიაში 9494 სული, ქართლში 872 სული, კახეთში 1052 სული, ქვემო ქართლში 1935 სული, კრასნოდარში 250 სული. ასევე, 1194 სული ინდივიდუალურად გადასახლდა ზღვისპირა ზონაში ან კრასნოდარში. 1986-1987 წლებში კრასნოდარში ჩასახლებულები უკან დაბრუნებას იწყებენ და 90-იანი წლებისათვის იქ თითქმის არცერთი ჩასახლებული აღარ დარჩენილა.

მოსახლეობის გადაადგილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს სტიქიური მოვლენები წარმოადგენდა. ამ მიზეზით 1991 წლიდან 18709 სული განსახლდა, მათგან, ხულოს რაიონიდან ორგანიზებულად 1247 ოჯახი, ხოლო ინდივიდუალურად – 1223 ოჯახი; შუახევის რაიონიდან – გეგმიურად 654 ოჯახი, ხოლო ინდივიდუალურად – 801 ოჯახი; ქედის რაიონიდან გეგმიურად 91 ოჯახი, ხოლო ინდივიდუალურად – 105 ოჯახი. 1997 წლიდან ინდივიდუალურად წალკაში ჩასახლდა 100-ზე მეტი ოჯახი.

აშკარად ჩანს, რომ თუ აჭარის მთიანი რაიონების მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესდა, სამწუხაროდ, აქაურ სოფლებსაც ისევე ემუქრება დაცარიელება, როგორც ეს მოხდა საქართველოს სხვა მთიან რაიონებში.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. აჩუგბა თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი, 1988.

2. გვანცელაძე თ., ტაბიძე მ., აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობა, I, თბილისი, 2011.

3. დემუროვა ლ., ბერძენთა დასახლების ისტორიიდან აჭარაში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, X, თბილისი, 1983.

4. ელიზბარაშვილი კ., აჭარის ასსრ მოსახლეობა, ბათუმი, 1974.

5. თურმანიძე ო., პოლიტიკური რეპრესიები აჭარაში 1946-1950 წლებში – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), VIII, ბათუმი, 2005.

6. ლორია მ., საქართველოს შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ებრაელთა ეთნორელიგიური მოზაიკა, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, I, ბათუმი, 2007.

7. ლორია მ., საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ისტორიიდან, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, II, ბათუმი, 2008.

8. ლორია მ., საქართველოს შავიზღვისპირეთის ებრაელები, ბათუმი, 2009.

9. მამისთვალაშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995.

10. მგელაძე ნ., ლორია მ., ბათუმის თანამედროვე რელიგიური პორტრეტი (კათოლიკები, გრიგორიანელები, მუსლიმები, იუდეველები, მართლმადიდებელი ბერძნები), – კრ.: ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.

11. პალგრევი ჯ. ვ., ტრაპიზონის პროვინცია, ლაზისტანის სანჯაყი (1867-69 და 1872 წლის ანგარიშები), თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, კომენტარები და საძიებელი დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი, 2012.

12. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.

13. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა, I, თბილისი, 2003.

14. სტატისტიკური კრებული – საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, თბილისი, 1991.

15. ფუტკარაძე თ., აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ–ეთნოლოგიური პრობლემები, ბათუმი, 2006.

16. ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010.

17. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბილისი, 1984.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. თავდაპირველად აჭარის რომელ დასახლებაში ჰქონდა ადგილი ეთნიკურ უმცირესობათა ყველაზე ინტენსიურ დასახლებას და როდის?

2. ჩამოთვალეთ აჭარაში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობანი, მათი აქ დასახლების მიზეზთა ჩვენებით.

3. აჭარაში არსებული საკულტო ძეგლების მიხედვით დაახასიათეთ ჩვენი მხარის რელიგიური წარსული.

4. რა როლს ასრულებს რელიგია ქვეყანაში და, ზოგადად, თანამედროვე მსოფლიოში.

5. გვესაუბრეთ აჭარაში მოსახლეობის შიგამიგრაციული პროცესების ძირითად მიზეზებსა და მიმართულებებზე.

თავი V – მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა



მიწათმოქმედება-მემინდვრეობა

ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების გამო (მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგებისა და მცენარეულის საფარი, მორწყვის სისტემა, რელიეფური და კლიმატური პირობები) აჭარაში ჩამოყალიბდა მიწათმოქმედების ორი ძირითადი ტიპი: ბარული და მთური (ალპური მეურნეობის ჩათვლით).

მთიანი აჭარა სამეურნეო პროფილით საქართველოს მთიანეთის საერთო ტიპობრივი ნიშნებით ხასიათდება და ალპური მეურნეობის ერთ-ერთ განვითარებულ მხარედ ითვლება. მეორე მხრივ, მთიანი აჭარის საშუალო სიმაღლეთა მაჩვენებლები რამდენადმე დაბალია საქართველოს მთიანეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით და ბუნებრივ-კლიმატური პირობებითაც განსხვავდება. ამ ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი მიწათმოქმედების და, საერთოდ, ალპური მეურნეობის უფრო მეტად დაწინაურებას აჭარაში.

სამიწათმოქმედო სისტემის ისეთი კომპონენტების არსებობა, როგორიცაა ახოობა, სარწყავი და ტერასული მეურნეობა, სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღები, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, მიგვითითებენ, რომ მეურნეობის ეს დარგი შუასაუკუნეების აჭარაში არა თუ სიძველით, არამედ მთელი რიგი ლოკალური თავისებურებებითაც გამოირჩეოდა.

ახოობა მიჩნეულია მიწათმოქმედების ისეთ არქაულ ფორმად, რომელიც ყველა ბინადარ ხალხში იყო გავრცელებული. ამ სისტემას კარგად იცნობდა ძველი კოლხეთის მოსახლეობა, რომელმაც მიწათმოქმედებაში განსაკუთრებულ დაწინაურებას მიაღწია.

აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით ახოობა მიზნად ისახავდა არა მარტო სახნავ-სათესი მიწების, არამედ სათიბ-საძოვრებისა და მეფუტკრეობისათვის გამოსადეგი ფართობების ათვისებას. ამდენად, ახოობა მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის ინტერესებითაც იყო განპირობებული, მაგრამ, ძირითადად, იგი მემინდვრეობის ინტერესებს ემსახურებოდა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ახო განმარტებულია, როგორც „საყანური გაკაფული“.

ახოობამ აჭარის ტოპონომიკაშიც ფართო კვალი დატოვა (ახოთი, ახოთი ვაკე, ახობოლო, ახომინდორი, ახოსერი, ახოჭალა და სხვ.) ახოობასთანაა დაკავშირებული სოფლების – ახოს (ქედის მუნიციპალიტეტი) და გუდასახოს (ხულოს მუნიციპალიტეტი) სახელწოდებებიც.

ახოობის, ტყის და კორდი მიწების ათვისების ხარჯზე იქმნებოდა ყანები და ბაღჩები, როგორც სახნავ-სათესი სავარგულები.

აჭარაში სათესი ნაკვეთები გაფანტული იყო სოფლის შიგნით და მის სანახებში, მახლობელ ფერდობებზე და ტყის ზოლში. მიწების ასეთი დანაწევრება-გაფანტულობა, რაც გამოწვეული იყო ტოპოგრაფიული თავისებურებებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული დასახლების ტიპით და სხვა მიზეზებით, აჭარის მთური მიწათმოქმედების არსებით თავისებურებას შეადგენს. თუმცა იგი საქართველოს სხვა მთიანი კუთხეებისთვისაც იყო დამახასიათებელი. გამონაკლისს შეადგენდა აჭარის ბარის ზონა, კერძოდ, კახაბრის ვრცელი ველი, რომელიც სიმინდით მთელ ქვემო აჭარას კვებავდა.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით აჭარაში უძველესი დროიდან მოჰყავდათ **ფეტვი, პური, ქერი, ჭვავი და ღომი**. მათი კულტივაცია ადამიანმა უხსოვარ დროში ისწავლა. **ფეტვის კულტურას** ძველი კოლხეთის მოსახლეობა ენეოლითში გაცნობია. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით შეიძლება მსჯელობა, რომ X საუკუნეში აჭარაში მეზობელ შავშეთ-კლარჯეთის მსგავსად ფეტვი მხალთან ერთად მოსახლეობის მთავარი საკვები უნდა ყოფილიყო. მოგვიანო პირდაპირი მონაცემები აჭარის შესახებაც გვაქვს: სოფელ პაპოშვილებში (შუახევის მუნიციპალიტეტი) ჩაწერილი მასალებით XIX საუკუნის ბოლომდე სოფელში, ძირითადად, ფეტვი ითესებოდა. ხოლო სოფელ ხინოს (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებთა გადმოცემით, XX საუკუნის 30-იან წლებში გაველურებული ფეტვი მინდვრად ჯერ კიდევ ხარობდა. მაჭახლის ხეობაში ფეტვისაგან აცხობდნენ კვერებს, ამზადებდნენ ფლავსა და ფაფას (რძით). ფეტვის ჩალა კი საქონლის ყუათიანი საკვები ყოფილა, რომელიც რძის ცხიმიანობასაც ზრდიდა.

არქეოლოგიური მონაცემებით, ძვ. წ. XII-XI საუკუნეებს განეკუთვნება ნამჭედურის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) ნამოსახლარზე ნაპოვნი ხორბლის ერთი სახეობის – **სპელტას და ღომის** კარბონირებული მარცვლები. ხოლო შუა საუკუნეების (XII–XIII სს.) ჭვანის ციხეზე (ზემო აჭარა) ნაპოვნი მასალების ლაბორატორიული ანალიზით გაირკვა, რომ აქ ამ დროს ხორბლის ჯიშებიდან მოჰყავდათ დოლის პური, დიკა, ასლი და სხვ. აჭარის ბარისა და მთის ზონაში, ჩამოთვლილი პურეულის გარდა, XX საუკუნის დამდეგამდე ითესებოდა პურეულის სხვა ისეთი ჯიშებიც, როგორიცაა **ნიქსარულა,** წითელი და თეთრი **პური, ზვინა, შავშურა, ტრედისფეხა,** თეთრი და წითელი **შავფხა, დიკა, ჭვავი,** აგრეთვე **ბრინჯი**. მაჭახლის ხეობის მასალებით დასტურდება, აგრეთვე, **ხასი პურისა** და **ხარმანი პურის** მოყვანა, რომლებიც, ხალხური ბოტანიკური დახასიათებით დასავლეთ საქართველოში (რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო) გავრცელებული ენდემური პურეულების – მახასა და ზანდურის სახეობებს განეკუთვნება. ამდენად, ენდუმური პურეულების (ასლი, დიკა, მახა, ზანდური) გავრცელების ერთ-ერთ ლოკალურ კერად აჭარაც შეიძლება ჩაითვალოს.

დასავლეთ საქართველოში **ბრინჯიც** მოჰყავდათ. ივ.ჯავახიშვილის აზრით, ბრინჯი საქართველოში რომის ან ბიზანტიის ბატონობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო. XIX საუკუნის მონაცემებით აჭარაში ორი სახეობის ბრინჯი (ჭაობის ანუ სარწყავი ბრინჯი და ხმელეთის ანუ მშრალი ბრინჯი) მოჰყავდათ. მაგრამ ბრინჯის კულტურა აქ ისე ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული, როგორც სხვა მარცვლეული კულტურები.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე ბრინჯის იმდენი მოსავალი მოდიოდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა და ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა. დ.ბაქრაძის ცნობით ბათუმიდან ყოველწლიურად 18 ათასი ოყა ბრინჯი გაჰქონდათ გასაყიდად.

აჭარისა და მთლიანად საქართველოს მემინდვრეობაში მოგვიანებით ფეხს იკიდებს **სიმინდის კულტურა**. მის შემოტანას დასავლეთ საქართველოში, საიდანაც იგი შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელდა, ლაზების სახელს უკავშირებენ. უშუალოდ ლაზების მეშვეობით შეიძლებოდა გავრცელებულიყო სიმინდი აჭარის დაბლობ ზონაში, რასაც ლაზეთსა და აჭარას შორის არსებული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობაც განაპირობებდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სიმინდის აღმნიშვნელი ტერმინი „ლაზუთი" აჭარაში მოსახლეობის სამეურნეო ლექსიკაშიც დასტურდება, რაც, უეჭველია, ამ მცენარის ლაზეთიდან თუ ლაზების მიერ შემოტანაზე მიუთითებს. შემომტანი კი ხის სახლებისა და ქვის ბუხრების მშენებელი ის ლაზი ოსტატებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მათ შორის აჭარაში) მიმოდიოდნენ. ამიტომ ბუნებრივია ის ფაქტი, რომ „ხის მუშაკობით" ცნობილი ლაზი ოსტატები მათ მიერ აჭარაში აშენებულ ხის მეჩეთების კედლებზე გემთან ერთად სიმინდსაც გამოსახავდნენ.

XIX საუკუნის 70-იან წლებიდან სიმინდის კულტურა აჭარაში ფართოდ ვრცელდება და მონოკულტურად იქცა. იგი მოსახლეობის ძირითადი პურეული გახდა. წინანდელი ტრადიციული მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ჭვავი, ქერი, ღომი, ფეტვი) მოვლა-მოყვანის მასშტაბები შემცირდა.

აჭარის მთისა და ბარის ზონაში სხვადასხვა ჯიშის სიმინდი მოჰყავდათ (შვიდკვირა, წვიტა, იერლი, ჯორიელა, შოდრა, გოდორა, ბროლა, წითელი ალთუნა, თეთრი ალთუნა, ჩხალურა, ქორიბუდა, მისირულა, ალაზანა, ბოლოყურა, წონიარისულა, რომანულა და ა.შ.). მათგან დღეს ზოგიერთი შემორჩა. ვ.ლისოვსკი XIX საუკუნის 80-იან წლებში წერდა, რომ ჭოროხის მხარეში პირველად მხოლოდ წვრილი სიმინდი მოჰყავდათ, შემდეგ, ოსმალეთის მთავრობას ბულგარეთიდან შემოუტანია უხვმოსავლიანი სიმინდი, რომელიც პირველად დაბლობში დაუთესიათ, შემდეგ კი მთიან ზონაშიც გავრცელებულა.

პარკოსანი კულტურებიდან აჭარაში შედარებით ადრე ჩანს გავრცელებული **ოსპი** და **ცულისპირა,** რომელთა ნაშთები მარცვლების სახით მთიან აჭარაში, კერძოდ, ჭვანის ციხის (XII-XIII სს.) ტერიტორიაზე არქეოლოგიურადაა დადასტურებული. ბუნებრივია, ამ სა-

მეურნეო კულტურების მოშენება აჭარის მოსახლეობას უფრო ადრე უნდა სცოდნოდა. ზემო აჭარაში ოსპის კულტურის ფართო სამეურნეო მნიშვნელობის მაჩვენებელია მასთან დაკავშირებული ტოპონიმები ნაოსპარის სახელწოდებით. მოგვიანებით გავრცელდა აჭარაში **ლობიოს კულტურა,** რომელიც ხალხური სელექციის შედეგად ახალი ჯიშებით გამდიდრდა.



აჭარისათვის შედარებით ახალია **კარტოფილის კულტურა**. იგი აქ XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ვრცელდება. კარტოფილი ამჟამად ალპურ და სუბალპურ ზონაშიც ითესება და მთიანი აჭარის მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდაც იქცა. ამავე პერიოდიდან მკვიდრდება აჭარაში **პომიდვრის** კულტურაც, რომელსაც თავდაპირველად დაუმწიფებელს იყენებდნენ სამწნილედ და სხვადასხვა კერძის დასამზადებლად.

აჭარის სამიწათმოქმედო ყოფისათვისაც ტრადიციულად დამახასიათებელი ჩანს მინდვრის კულტურათა (სიმინდი, ლობიო, მხალი, სოიო, ჭარხალი, კვახი, კიტრი და სხვ.) შერევით თესვის პრაქტიკა, რაც ფართოდ გავრცელებული წესი ყოფილა მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. მთისძირა და მთის ზოლში შერეული ნათესები დღესაც არ არის იშვიათი და მას, ხალხური წარმოდგენითაც, რიგი აგროტექნიკური უპირატესობანი გააჩნია.

აჭარის სამიწათმოქმედო ყოფის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა ფერდობების დატერასება და მიწების მორწყვა, რასაც ძველი ტრადიციები გააჩნია.

აჭარელი მიწათმოქმედი, გამოფიტული ნიადაგების გაუმჯობესებისა და ნაყოფიერება-მოსავლიანობის გადიდების მიზნით, ინტენსიურად მიმართავდა საქონლის პატივით განოყიერებასა და მორწყვას. მიწების ნაწილი მორწყვისა და პატივის გარეშეც მუშავდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში დაცული იყო დასვენება--მონაცვლეობის წესი.

სარწყავად წყაროს, ნაკადულებისა და ხევის წყლებს იყენებდნენ. აჭარაში დღემდე დაცულია ცნობები ქრისტიანობის დროინდელი სარწყავი არხის შესახებ, რომლითაც ზემო აჭარის ორი სოფელი – კორტოხი და პაქსაძეები სარგებლობდა. XIX საუკუნის ბოლოს სოფელ დიდაჭარის ალპური საძოვრებიდან სამი სოფლის (კორტოხი, პაქსაძეები, ბეღლეთი) მოსახლეობას 25 კმ სარწყავი არხი გაუყვანია, რომელიც ქართული სარწყავი სისტემის რთულ ტექნიკურ ნაგებობას განეკუთვნება. არხის მთელი ტრასა რთულ რელიეფზე, მათ შორის, კლდეებზე გადიოდა. 30 კმ სიგრძის არხით სარგებლობდა სოფელ დიდაჭარის მოსახლეობა. არხი ბოდიშის მთიდან (ღორჯომი) გაუყვანით. ასეთი არხები ზემო აჭარის სხვა სოფლებსაც ჰქონდათ.

აჭარაში არხები ძირითადად სათიბ-საძოვრების მოსარწყავად იყო გამოყენებული, რასაც **გაჭალავება** ეწოდებოდა. აქედან ჩანს მიღებული ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: ჭალები, ჭალები ტყე, ჭალი ყანა, ჭალაბულა და ა.შ. აღსანიშნავია, სოფლის სახელი ჭალა (ჭვანის ხეობა). ამ სოფელში, გადმოცემით, ძველი რუების ნაშთებიც ყოფილა ქვისკედლიანი წყობით.

აჭარის მთიანეთში ირიგაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ნაკელნარევი წყლით მორწყვა, რაც ბარის ზონაში არ დასტურდება. ეს წესი გულისხმობს გამდინარე წყალში გახსნილი ნაკელით სახლსწინა ნაკვეთის ანუ ნაფუძარის მორწყვას. ამ წესმა გარკვეული კორექტივი შეიტანა ზემო აჭარული სახლის დაგეგმარება-განლაგებაში.

აჭარა სამიწათმოქმედო იარაღების ნაირსახეობითაც გამოირჩეოდა.

ახოს ასაღებად, ანუ საკაფავად გამოიყენებოდა სხვადასხვა ცულ-ნაჯახები და წალდები. ახოს, კორდისა და მაგარი მიწების პირველადი და მეორადი დამუშავებისათვის გამოიყენებოდა – ვიწრო და სქელპირიანი მაღალი თოხები. სახნავად – ჯილდა და კავის ტიპის სხვა სახვნელები; ნათესების გასათოხნად – ფართოპირიანი თოხები; მინდვრად ნაკელის გასატანად – მარხილი, ციგა, ხის ჯარები; პურეულის თავთავის სამკელად – შნაკვი და ნამგალი; სიმინდისა და სხვა მარცვლეულის მოსავლის ასაღებად – ხის გოდრები და კალათები; შესანახად – ბეღელი და ნალია; მარცვლეულის (ღომი, ქერი) გასაცეხვად – ხელის, ფეხის და წყლის საცეხველები (ჩამურები); მარცვლეულის საკაზმავად – ცხავი, ცხრილი; გასანიავებლად – მერული, ფიწალი და ა.შ.

აჭარის სამიწათმოქმედო საქმიანობაში ცულების, წალდების, თოხების და სხვა იარაღების გამოყენებას შორეულ წარსულში მივყავართ. ამაზე მიუთითებს დღევანდელი აჭარის მთისა და ბარის ზონაში ერთეული ეგზემპლარებისა თუ განძებად აღმოჩენილი კაჟის ნამგლის ჩასართები, ბრინჯაოს და რკინის ცულები, თოხები, ნამგლები, წალდები. მათთან გენეტიკურ მსგავსებას ავლენს აჭარის დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღები, რომლებიც თითქმის ყოველ სოფელში მზადდებოდა.



აჭარაში ტრადიციულად წამყვანი იყო და დღესაც რჩება თოხის კულტურა, რაც მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება. ასევე ტრადიციულია ზემოთ დასახე-

ლებული სახვნელი იარაღები (არვანა//არუნა, კავი), რომელთაც ზოგადად **ჯილდა** ეწოდება. თავისი კონსტრუქციული და ფუნქციონალური თავისებურებებით ჯილდა უძველესი სახვნელი იარაღია, რომელსაც ქართული სახვნელი იარაღების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჯილდის პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ ხის უმარტივესი სახვნელი იარაღი, რომელიც მდ. ჩოლოქის ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის ერთ-ერთ ნამოსახლარზეა აღმოჩენილი.



მიწათმოქმედება, კერძოდ, მემინდვრეობა (ხვნა-თესვა, ნათესების დამუშავება, მოსავლის აღება-დაბინავება და სხვ.), ისევე, როგორც სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგების წარმართვა, ხშირად ერთი ოჯახის მატერიალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატებოდა, რაც დღის წესრიგში აყენებდა შრომითი დახმარების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას.

შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმები აჭარაში ცნობილი იყო **მოდგამის, მანიდისა** და **ნადის** სახელწოდებით. **მ ო დ გ ა მ ი,** როგორც შრომაში ურთიერთდახმარების მარტივი ფორმა, გულისხმობდა თითო ხარის მეპატრონეთა დამოდგამებას, ანუ შეამხანაგებას როგორც ერთი, ისე ორი მეზობელი სოფლის ფარგლებში. **მ ა ნ ი დ ი** ინდივიდუალური ან კოლექტიური სანაცვლო-სავალდებულო ურთიერთდახმარების ფორმას წარმოადგენდა. ამიტომ მანიდს მეორენაირად **ბედლობა** ეწოდებოდა. მანიდში (ნადში) იწვევდნენ როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს.

ნადი შრომაში ურთიერთდახმარების საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა იყო, რომელშიც იწვევდნენ ახლო თუ შორეულ ნათესავებს, მეზობლებს სოფლის შიგნით და მის ფარგლებს გარედან. ნადი ურთიერთდახმარების თავისუფალ პრინციპზე იყო აგებული ყოველგვარი საზღაურის გარეშე, მაგრამ მასში მონაწილის მიერ ნადში მონაწილეობაზე თავის არიდება საძრახისად ითვლებოდა. ნადის ყველა მონაწილე ნადში თავისი სამუშაო იარაღით მიდიოდა.

აჭარა ნადური სიმღერების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მარტო ქობულეთის მუნიციპალიტეტის გურიის მოსაზღვრე სოფლებში 30-ზე მეტი ასეთი სიმღერა სრულდებოდა. სიმინდის თოხნისას მღეროდნენ დიელოს, რაშას, ვოსას, ხელხვავს და სხვა სიმღერებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სიმღერების ერთი ნაწილი და სამკალი სიმღერების ფრაგმენტები, რომლებიც ჩაწერილია ზემო აჭარაში, სიმინდის კულტურის გავრცელებამდე, პურეულ კულტურებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ნიშანდობლივია ის ეთნოგრაფიული ფაქტიც, რომ ნადურ სამკალ სიმღერებს წარსულში შესვენების დროს გაუთხოვარი ქალებიც ასრულებდნენ. აჭარისწყლის ხეობაში ხელხვავის სიმღერა სიმინდის რჩევაშიც იცოდნენ. იგი არქაული პერიოდიდან მომდინარე უნდა იყოს, რამდენადაც მის მისამღერში ქრისტიანულ წმინდანებთან ერთად წარმართული დროის წმინდანებიც ამოიკითხება. სიმღერა თავისი საწყისებით კი პურის კალოობასთან ჩანს დაკავშირებული.

სამიწათმოქმედო კულტურის ძველი ტრადიციები აჭარაში კარგად ვლინდება მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში, რომლებიც წარმართული, ქრისტიანუ-

ლი და ისლამის რელიგიის ელემენტებს შეიცავენ. ამ წეს-ჩვეულებებიდან თავისი ლოკალური ვარიანტებით ყურადღებას იქცევს **ლაზარობა, ქაშატობა, პირველი თესლის გაღება** და სხვ., რომლებიც პარალელებს პოულობენ საქართველოს სხვა კუთხეების, მათ შორის თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ჭოროხის მხარისა და ლაზეთის მოსახლეობის შესაბამის წეს-ჩვეულებებთან.

ლ ა ზ ა რ ო ბ ა ფუნქციით ამინდის მაგიურ მართვასთან დაკავშირებული დღეობა – წეს-ჩვეულებაა, რომლის ცალკეული რიტუალების შესრულება მიზნად ისახავდა სასურველი ამინდის გამოწვევას – გვალვის დროს წვიმის მოყვანას ("ღმერთო მოგვე წვიმა, წყალი, შეგვინახე (მ)ზისა თვალი") და ხშირი წვიმებისას – გამოდარებას ("ღმერთო მოგვე ზისა თვალი, შეგვინახე წვიმა, წყალი").

ცნობილია, რომ ლაზარობა, როგორც ტაროსის ღვთაება, წმ. ლაზარეს კულტს უკავშირდება. მისი არსებობა მთიან აჭარაში არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება: სოფელ კალოთაში (ხიხაძირის ხეობა) მიკვლეულია წარმართული საკურთხეველ-სამსხვერპლო, სადაც, როგორც ჩანს, მაშინდელი მკვიდრი მოსახლეობა ლაზარესადმი მიძღვნილ რიტუალებს ასრულებდა და მისი გულის მოსაგებად და სასურველი ამინდის გამოსაწვევად მსხვერპლსაც სწირავდა. ასეთივე წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა.

ქ ა შ ა ტ ო ბ ა, მისთვის დამახასიათებელი რიტუალების მიხედვით, რომლებიც მთიან აჭარაში გადმონაშთების სახით დიდხანს იყო შემორჩენილი, მინდვრად ყველა სახის სამუშაოთა (ხვნა-თესვა, თოხნა და სხვ.) და, საერთოდ, მიწაზე რკინის საგნით (კავი, თოხი, ცული, წალდი, ნამგალი) შეხების აღკვეთის დღეობა იყო. იგი გაზაფხულზე, აპრილის პირველ შაბათზე მოდიოდა. ამ აღკვეთის დარღვევის შემთხვევაში, ხალხის რწმენით, მოსალოდნელი იყო სეტყვა და ნიაღვარი, რომელიც მოსავალს გაანადგურებდა და სახლკარსაც წალეკავდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული აგრარული ხასიათის ერთ-ერთი უძველესი წეს-ჩვეულებაა **პირველი კვალის გატანა,** ანუ პირველი თესლის გაღება, რაც აჭარაში **კანუღის//ყანუღის** სახელწოდებითაა ცნობილი.

კანუღის რიტუალებში მთვარის ფაზების (სავსე მთვარე) გათვალისწინება, ხოლო თესლში კვერცხისა და რკინეულის მოთავსება საშუალებას გვაძლევს ეს წეს-ჩვეულება ასტრალურსა და მაგიურ რწმენა-წარმოდგენებს დავუკავშიროთ და, ამდენად, არქაული (წარმართული) ხასიათის მოვლენად მივიჩნიოთ. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ **ყანუღის გაღება** თავისი რიტუალებით ჩანასახშივე ყანის მფარველ რომელიმე ღვთაებასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

უძველეს სამიწათმოქმედო წეს-ჩვეულებას მიეკუთვნება ყანა-ბაღჩებსა და საერთოდ ნათესებში გასვლის აღკვეთილი დღე **"ბახური",** რომელიც, როგორც ტერმინი, დღეისათვის ფიქსირებულია მხოლოდ მაჭახლის ხეობაში და ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხითში.

ბახურის წეს-ჩვეულების არსი აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით, მართალია, გაურკვეველი დარჩა, მაგრამ თურქეთში მცხოვრებ აჭარელ მუჰაჯირთა შორის დღემდე დაცულია წეს-ჩვეულება, რომელსაც **კვირკობა** ეწოდება და ბახურის მსგავს რიტუალებს შეიცავს. შეიძლება იგი წარმართული ხანის მიწის ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველ ღვთაებას – კვირიას და მის კულტს უკავშირდებოდეს. რამდენადაც ბახური ქართული წარმომავლობის ტერმინი არ ჩანს, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მან უცხოურის გავლე-

ნით “კვირიკობა” თუ კვირიკობის დღეობა შეცვალა, რომელიც აჭარაში ადრე უნდა არსებულიყო, მსგავსად სხვა არქაული (წარმართული) და ქრისტიანული დღეობა-დღესასწაულებისა, რომლებმაც წინანდელი მნიშვნელობები დაკარგეს.

დახასიათებული მინდვრის კულტურებიდან აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ძირითადად სიმინდი შემორჩა. მნიშვნელობა დაკარგა პურეული კულტურების (ხორბალი, ჭვავი, ქერი, ღომი) მოყვანამ. სამაგიეროდ, გაიზარდა ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, კიტრი, გოგრა, მწვანილეული, კომბოსტო და სხვ.) მოშენება, რომელმაც გაზრდილი საბაზრო დანიშნულება შეიძინა. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მკვიდრდება ბულგარული წიწაკის მოყვანა, რაც ადრე არ არსებობდა.

სახვნელი იარაღებიდან თითქმის იდევნება ძველებური ხის ჯილღა, რომელსაც რკინისგუთნიანი მინიტრაქტორები ენაცვლება.

მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის წარმოშობისა და განვითარების კლასიკური ქვეყანაა. ამის ტიპურ სურათს იძლევა აჭარა. ვახუშტი (XVIII ს.) წერდა: „და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა”. ხოლო საკუთრივ ბათუმის, გონიოსა და ერგეს აღწერაში იგი აღნიშნავდა, რომ აქ იყო „ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად”.

წერილობითი წყაროების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „დასავლეთ საქართველოში უმეტესად მაღლარი ვენახი უნდა ყოფილიყო გაბატონებული და დაბლარი შედარებით ნაკლებად იქნებოდა გავრცელებული”. XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, აჭარაში მოგზაურობის დროს, თ.სახოკიაც შენიშნავდა, რომ აქ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია-სამეგრელოში. ამ დროს, მაღლარი ვაზის ძველთაძველი ჯიშები ზემო და ქვემო აჭარაში საკმაოდ ფართოდ ყოფილა შემორჩენილი. წარსულში მაღლარი ვაზი დიდი რაოდენობით ხარობდა ეკლესია--მონასტრების მიდამოებში. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე შავშეთ-კლარჯეთსა და მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მაჭახლის ხეობის ეთნოგრაფიული მონაცემებით მაღლარი ვაზის ნაკვალევი ქვითკირით ნაშენი საწნახლების ტერიტორიაზეც დასტურდება.

XIX საუკუნის ქართველი და უცხოელი მოგზაური მკვლევრები საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ იმ ფაქტს, რომ აჭარაში ვაზი მაღალ ხეებზე იყო მიშვებული. საამისოდ ჩხავერისათვის, რომელიც მაღლარი ვაზის უძველეს ჯიშს განეკუთვნება, საუკეთესოდ ლეკის ხე ითვლებოდა, რადგან მასზე ყურძენი კარგად მწიფდებოდა და ბევრსაც ისხამდა. აჭარის გარდა ლეკის ხეზე ჩხავერის გაშენება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც (შავშეთი, იმერხევი, არტანუჯი) ნიშანდობლივი ყოფილა.

ამპელოგრაფიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით აჭარაში სულ გამოვლენილია ადგილობრივი და შემოტანილი შავ-წითელი და თეთრი მაღლარი **ვაზის 70-მდე ჯიში**. ესენია: **კოლოშა, ჩხავერი, ხარისთვალა, ცხენიძუძუ, შავშურა, კლარჯული, ხოფათური, საკმი-**

ელი, ლივანური, მისკეთი, ქვაბთური, ბურძღლა, ტყისყურძენა, დუდღო, ბოსტნური, ჩიტაყურძენა, ბუტკო, თავკვერი, მეკრენჩხი, თურვანდი, ჭეჭიბერა, ჩხუში, ჭიპაკური, პოვნილი, საწური, ქორქაული, ბროლა, მტევანდიდი, ჭოდი, მათენაური, მელისქუდა, ბათუმურა, აჭარული, საწურავი, ჯავახეთურა, ორჯოხული, ალმურა, თეთრა ადესა (იზაბელა), ტაკიძურა და ა.შ. მაჭახლის ხეობის მასალების მიხედვით, შედარებით დიდი ადგილი ეკავა ჩხავერის მოშენებას, რომლის წილი მეღვინეობაში დიდი ყოფილა. ჩხავერის ჯიშმა აქ თავისი კვალი ტოპონიმიაშიც დატოვა **ჩხავნარის** სახელწოდებით (სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი).

ვაზის ჩამოთვლილი ჯიშებიდან რამდენიმე იმ ადგილმდებარეობის სახელს ატარებს (შავშურა, ლივანურა, კლარჯული, ხოფათური, ორჯოხული), საიდანაც ისინი აჭარაში იქნა შემოტანილი. ეს არის შედეგი იმ ტრადიციული მჭიდრო კულტურულ-სამეურნეო ურთიერთობისა, რაც აჭარას ჰქონდა წარსულში მეზობელი ჭოროხის ხეობის რაიონებთან.

გამოთქმულია მოსაზრება საქართველოში გავრცელებული კულტურული მაღლარი ვაზის გენეტიკური კავშირის შესახებ ველურ ვაზთან, რომელიც საქართველოს ბევრ კუთხეშია ფიქსირებული. ველური ვაზის სახეობა ანუ ხალხური ტერმინოლოგიით, პანტა ყურძენი (ტყის ყურძენი), ძღუამლი, ბურძღლა დადასტურებულია როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარაში.

ზემო აჭარა კი იმ კულტურულ-ისტორიულ არეალში ექცევა, სადაც ველური ვაზის კვალი შორეულ გეოლოგიურ ეპოქაშია საძიებელი. მხედველობაში გვაქვს გოდერძის უღელტეხილის მახლობლად, სოფელ ძინძეს ნასოფლარზე (ადიგენის მუნიციპალიტეტი) ვულკანურ ქანებში ნაპოვნი გაქვავებული გიგანტური გარეული ვაზის ღეროს ნაშთი, რომლის ასაკი გეოლოგების აზრით 10-15 მილიონ წელს ითვლის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აქვე ნაპოვნია სუბტროპიკული ფლორის ელემენტებიც. გიგანტური ვაზის ხეები დღესაც ცოცხლობს აჭარის მეზობლად, ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (ვარძიის, ხერთვისის, ხიზაბავრას ძველი ტერასების ზონა, დიდი სმადა და სხვ.) აქაური გარემო ეჭვის გარეშე უნდა მივიჩნიოთ კულტურული ვაზის ფორმირების ერთ-ერთ უძველეს და მნიშვნელოვან ლოკალურ კერად. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მევენახეობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესწავლაში არა მარტო სამცხე-აჭარის, არამედ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მთლიანად საქართველოს მასშტაბით.

აჭარაში მევენახეობას რომ უძველესი დროიდან მისდევენ, ამის საბუთად ამპელოგრაფიულ ლიტერატურაში იმოწმებენ მაღლარის ადგილობრივი ჯიშების დიდი რაოდენობით არსებობას. აჭარის ტერიტორიაზე კი მაღლარი ჯიშები უფრო მრავლადაა წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. მაღლარი ვენახის არსებობის გამომხატველად მიგვაჩნია ტოპონიმი დობირო (სოფელი ზედა ჩხუტუნეთი), რომელიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებში მაღლარის აღმნიშვნელი "დობილოს" სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს.

აჭარის მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისას, ძირითადად, ორი პერიოდი უნდა გამოვყოთ: ერთია უძველესი დროიდან ვიდრე ოსმალთა ბატონობამდე და მეორე – ამ ბატონობის დროინდელი. მეურნეობის ეს წამყვანი დარგი აჭარაში ფართოდ ყოფილა განვითარებული სწორედ პირველ პერიოდში. ვაზის ძველი ჯიშების არსებობასთან ერთად ამის მაჩვენებელია ქვემო და ზემო აჭარაში დღევანდლამდე მოღწეული ქვითკირით ნაგები მარნები, კლდეში ნაკვეთი და კლდეებზე მიშენებული საწნახლები, მიწაში მრავლად ჩაფლული სხვადასხვა ტევადობის ქვევრები, ხალხში დაცული ზეპირსიტყვიერი ცნობები, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული უხვი ტერმინოლოგიური მონაცემები.

მარნებისა და საწნახლების, კომპაქტურად თუ ერთეულების სახით მიწაში ჩაფლული ჭურ-ქვევრების სიმრავლით განსაკუთრებით მაჭახლის ხეობა გამოირჩევა. ხეობის მარტო ერთ სოფელში – ზედა ჩხუტუნეთში ამჟამად ქვითკირით ნაშენი ხუთი საწნახელია აღრიცხული. მათი გავრცელების ადგილები (მერე, საჭინკურია, ჭონჭყო, ჯანავრა) ახლა ტყითაა დაფარული. ერთი საწნახელი 1970 წელს აღმოჩნდა, რომელიც 1850-იან წლებში მოსულ მეწყერს დაუფარავს. გადმოცემით ამ მიდამოებში ადრე ეკლესია მდგარა და საწნახელიც მისი საკუთრება უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, ისინი შუა ფეოდალური ხანის ძეგლებად შეიძლება მივიჩნიოთ.

აჭარის ტერიტორიაზე ქვის ლოდში ამოკვეთილი საწნახლებიც დასტურდება. ასეთებია ზენითის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), მახუნცეთის (ქედის მუნიციპალიტეტი) და ყოროლისთავის (ხელვაჩაურის რაიონი). პირველი ზომით დიდია და ელინისტური ხანით თარიღდება. მეორეს ადრე ფეოდალური ხანის ძეგლად მიიჩნევენ. მონოლითური ქვისაგან დამზადებული საწნახლები აღმოჩენილია, აგრეთვე, ორცვაში, აქუცაში, ახოში (ქედის მუნიციპალიტეტი). ასეთი საწნახლების არსებობა თავისთავად მიუთითებს აღნიშნულ პერიოდში ვაზის ფართო გავრცელებასა და მის დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობაზე.

ქვის საწნახლებთან ერთად, ბუნებრივია, ხის საწნახლებიც არსებობდა, რომლებიც ცაცხვის, თელისა და თხემლის ხისაგან მზადდებოდა.

აჭარაში კომპლექსური, საწნახლიანი მარანიც არსებობდა, რომელშიც არა მარტო ღვინო იწურებოდა, არამედ ინახებოდა კიდევაც. ასეთი მარან-საწნახლები, თუმცა დაზიანებული სახით, დღესაც გვხვდება სხალთაში (სხალთის ტაძართან ახლოს), ზედა ჩხუტუნეთში, ცხემლარაში, კირნათში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ბზუბზუში (ქედის მუნიციპალიტეტი). სხალთის მარან-საწნახელმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს მიიქცია მოგზაურ-მკვლევართა ყურადღება. თ.სახოკია წერდა: „ტაძრამდე ასიოდე ნაბიჯის მანძილზე, გზის პირას, ძველი შენობაა ქვითკირისა, ანუ სხალთის ტაძრის მარანი, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრებით. საკვირველია, ამდენ აოხრებასა და მუსვრას როგორღა გადარჩა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ნაშთი ძველი ქართული კულტურისა. ეტყობა, სხალთის არე-მარეში ძველად დიდძალი ღვინო მოდიოდა, რომ მის შესანახავად ასეთი ქვევრები სჭირდებოდათ". მარნის ნაშთები შემორჩენილია, აგრეთვე, აჭარისაღმართსა და ჩიქუნეთში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ვარჯანისში, ახოში, აბუქეთაში (ქედის მუნიციპალიტეტი), ჭვანაში, ტაკიძეებში (შუახევის მუნიციპალიტეტი), აჭყვისთავში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი). უეჭველია, მარნის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ამავე სახელწოდების ტოპონიმი სოფელ ვაშლოვანში (ხულოს მუნიციპალიტეტი), სადაც ძველი ქვევრებიც უნახავთ.

ამათგან ცალკე უნდა გამოვყოთ სოფელ ჯოჭოში (ხელაჩაურის მუნიციპალიტეტი) 1950–იან წლებში ნაპოვნი მარანი ქვის საწნახლებითა და ქვევრებით, რომლის მიდამოებში ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხლობდა გაველურებული ვაზი.

ჭურ-ქვევრები ნივთიერი კულტურის ის ელემენტებია, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მემინდვრეობა და მევენახეობა-მეღვინეობის გონივრული განვითარება. თ.სახოკია ასი წლის წინ წერდა: „თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმას-ღა ჰმოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა". ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ დიდი თუ მცირე ტევადობის ქვევრებით მოფენილია როგორც ქვემო (ბარის), ისე ზემო (მთის) აჭარა, მისი ძველი დასახლებული ადგილები, ნაქალაქარები და ნამოსფლარები.

საღვინე თუ სხვა დანიშნულების ქვევრები ადგილზე მზადდებოდა. თიხის სხვადასხვა ნაკეთობათა და მათ შორის ქვევრების წარმოების ლოკალური კერები არსებობდა დღევანდელი შუახევის ცენტრში, მაჭახლისა და მერისის ხეობებში. ასეთი ნაკეთობანი შემოჰქონდათ, აგრეთვე, ბორჩხის (ჭოროხის ხეობა) სამეთუნეო ცენტრიდანაც.

მევენახეობა-მეღვინეობამ აჭარაში თავისი კვალი ტოპონიმიაშიც დატოვა. ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა ვენახი, ნავენახარი, ზვარე, მარანი, ნამარნევი, ჭურათი, ნაჭურვალი, ჭურიპირი, საწნახელა ამის ნათელი დადასტურებაა. მაღლარის ძველ ჯიშებთანაა დაკავშირებული ტოპონიმები კოლოშნარი (სოფ. ვაიო), ჩხუში (სოფ. დოლოგანი), ჯინიში (სოფ. კოკოტაური), მათინაური (სოფ. ცხმორისი) და სხვ.

ქვისა და ხის მარან-საწნახელების მრავალფეროვნება, მიწაში ჯგუფად ჩაფლული ქვევრები გვაფიქრებინებს, რომ წარსულში აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული უნდა ყოფილიყო როგორც ღია, ისე დახურული ტიპის მარნები. ამათგან უპირატესობა დახურული ტიპის მარნებს უნდა ჰქონოდა.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში მევენახეობა დაკნინდა, მეღვინეობა კი თითქმის მოისპო. ლიტერატურაში ამის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვანაირადაა ახსნილი.

ზოგიერთის აზრით იმის გამო, რომ ისლამი ღვინოსა და, საერთოდ, სპირტიანი სასმელების ხმარებას კრძალავდა, ამიტომ მომხდურებმა ვაზი აქ დაპყრობისთანავე ააჭრევინეს, რის გამოც მევენახეობა ერთბაშად დაეცა, განადგურდა მარან-საწნახლები, ქვევრები, მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვა იარაღ-ინვენტარი და ა.შ. მეორეთა მტკიცებით, ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში მთლიანად აიჭრა და განადგურდა დაბლარი ვენახი, ხოლო მაღლარი ვენახი ასეთ განადგურებას შედარებით გადაურჩა. ამის საბუთად ისინი იმოწმებდნენ ქედის მუნიციპალიტეტში ჩაწერილ ლექსს „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო” და მის შექმნას დაბლარი ვენახის აჩეხვას უკავშირებდნენ.

ოსმალთა ბატონობამ აჭარასა და მთელ სამცხე-საათაბაგოში მევენახეობისა და პირველ რიგში მეღვინეობის საერთო განვითარებაზე ცხადია უარყოფითი გავლენა იქონია, მაგრამ ამ ფაქტის ახსნა იმ მოტივით, რომ დამპყრობლებმა თითქოს ერთბაშად აჭრეს ვაზი და მევენახეობა-მეღვინეობაც თავისთავად მოისპო, სწორი არ არის. აჭარაში ვაზის აჩეხვის, მარან-საწნახლებისა და მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვა იარაღ-ინვენტარის განადგურების ფაქტები, და ისიც ოსმალთა ბატონობის პირველ ხანებში, არ დასტურდება. ჯერ ერთი, ოსმალური რეჟიმი აჭარაში ნელა იკაფავდა გზას, ვიდრე სამცხე-საათაბაგოს სხვა რაიონებში, რაც მოსახლეობის შეუპოვარი ბრძოლის შედეგიც იყო. გ.ყაზბეგის ცნობით, მაჰმადიანობა აჭარაში მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულიდან ვრცელდება, ხოლო ოსმალთა ფაქტიური გავლენა XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება. მანამდე აჭარას ადგილობრივი ბეგები განაგებდნენ და ოსმალები მათ საშინაო საქმეებში ფაქტიურად ვერ ერეოდნენ. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დამპყრობელს კიდევაც რომ მოენდომებია ვაზის აჩეხვა, ამას იგი ვერ შესძლებდა. როგორც ჩანს, დასახელებულ ავტორებს აჭარის სინამდვილეში მექანიკურად გადმოაქვთ ვაზის აჩეხვის ფაქტები, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში თემურ-ლენგისა (XVI ს.) და შაჰ-აბასის (XVII ს.) შემოსევების დროს. ვაზის აჩეხვა მაშინ სწორედ საქართველოს ეკონომიკურად დაუძლურებას ისახავდა მიზნად, რამდენადაც მევენახეობა-მეღვინეობა წამყვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ოსმალები ამ შემთხვევაში აჭარის მიმართ ზემოქმედების სხვაგვარ მეთოდებსა და ხერხებს მიმართავდნენ: ისლამის სარწმუნოება კრძალავდა ღვინის დაყენებასა და მოხმარებას და არა

– მევენახეობას. ამასთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია შემდეგი ფაქტი: ზემო და ქვემო აჭარის და ბათუმის ლივების შესახებ არსებული ოსმალური საგადასახადო დავთრებით (XVI-XVIII სს.) ირკვევა, რომ სხვა გადასახადებთან ერთად აჭარის მოსახლეობა საკმაოდ დიდ გადასახადს (50 ათას ახჩზე მეტი) იხდიდა შირაზე (ყურძნის ბადაგი). მევენახეობის მოსპობით ოსმალო დამპყრობლები, ცხადია, შემოსავლის გარკვეულ წყაროსაც კარგავდნენ. ბუნებრივია, თვით მოსახლეობაც არ დაუშვებდა ხელი აეღო ამ შემოსავლიან დარგზე, რომელიც ცხოვრების ერთ-ერთ სახსარს შეადგენდა.



ღვინის მომხმარებლები იყვნენ ეკლესია-მონასტრებიც, რომლებსაც თავიანთი მარან-საწნახლებიც გააჩნდათ. ისლამის შეტევაც, ძირითადად, ქრისტიანობისა და რელიგიური დაწესებულებების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეკლესია-მონასტრების გაუქმებასთან ერთად, აქ ღვინის დაყენების ტრადიციაც ისპობოდა. ამის გამო მარან-საწნახლები, მიწაში ჩაფლული საღვინე ქვევრები, საერთოდ, მეღვინეობის ტრადიცია შეჩერდა, ისტორიის საკუთრება გახდა. მეღვინეობას თანდათან გამოეცალა საფუძველი და ბოლოს გაქრა. მევენახეობა კი, საბედნიეროდ, (ძირითადად საჭმელი ჯიშები) კი დარჩა. სპეციალისტთა აზრით, შორეულ წარსულში ვაზის საღვინე ჯიშები აჭარაში კარგად იყო განვითარებული და მევენახეობასაც, ძირითადად, საღვინე მიმართულება ჰქონდა. თუმცა, მეღვინეობის მოსპობას ამ საღვინე ჯიშების გადაშენებაც უნდა გამოეწვია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომ ადრე საღვინე ყურძენი და ღვინო ექსპორტის საგანიც იყო. შემდეგ კი იგი სასაქონლო ხასიათს ჰკარგავს. ზემო აჭარის მაგალითზე გ. ყაზბეგი 1874 წერდა: "რამდენიმე წლის წინათ აჭარაში მოდიოდნენ ახალციხის სომხები, ყიდულობდნენ ყურძენს და იქვე წურავდნენ ღვინოს, მაგრამ ახლა ამ საქმეს ადარ მისდევენ, ალბათ იმიტომ, რომ სარფიანი ვერ გამოდგა." ეს ცნობა იმითაც არის საყურადღებო, რომ ოსმალთა ბატონობის დროინდელ აჭარაში ღვინის დაყენებას არამუსლიმანი ხალხის წარმომადგენლები მაინც მისდევდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით ქვემო აჭარის, განსაკუთრებით კი ბათუმის ბაზართან ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა ყურძნითა და მისი პროდუქტებით ვაჭრობის ტრადიციას კვლავინდებურად აგრძელებდა და იგი ოჯახის შემოსავლის დამატებით წყაროდ რჩებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა დაავადების (მილდიუმი, ოიდიუმი, ფილოქსერა) გავრცელების შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა ადგილობრივი მაღლარი ვაზის ჯიშები, რომლის ადგილი თანდათანობით **იზაბელამ** (ადესა) დაიკავა. მის გვერდით დასავლეთ საქართველოში დაბლარი ვენახის გაშენებაც დაიწყო. ეს დაავადებები მოგვიანებით აჭარის მევენახეობასაც შეეხო, მაგრამ აქ იგი ისეთი კატასტროფული ხასიათისა არ უნდა ყოფილიყო, როგორც სხვაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში XX საუკუნის 30-იან წლებამდე მაღლარის ზე-

მოთ დასახელებული ძველი ჯიშები ასეთი სიმრავლით არ შემოგვრჩებოდა. თუ ამ ჯიშების დიდი ნაწილი გადაშენდა, ეს ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ შემოტანილი ახალი ჯიში (ადესა) დაავადებების მიმართ შედარებით უფრო გამძლე და უხვმოსავლიანი აღმოჩნდა, რის შედეგადაც მან გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

აჭარაში მეღვინეობის ტრადიციები ერთბაშად არ ჩამკვდარა. ხანდაზმულ პირთა გადმოცემით (ჩაწერილია მაჭახლის ხეობაში) ზოგიერთები მალულად ოსმალთა ბატონობის დროსაც აყენებდნენ ღვინოს. ესეც ნათელი დასტურია იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, პირველ რიგში კი გლეხობა, უცხოური რეჟიმის პირობებში, ხელაღებით არ თმობდა ძველ სამეურნეო ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს. მართალია, იგი ღვინის დაყენებას არ მისდევდა, მაგრამ მამა-პაპური ვაზის ჯიშებს უფრთხილდებოდა, ახარებდა, ინახავდა.

ცნობილია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მათ შორის აჭარის, მოსახლეობისათვის მეტად მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა მუჰაჯირობა, რომელმაც აქაური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყვიტა მშობლიურ მიწას და უცხო მხარეში გახიზნა. ამ მოვლენამ სამეურნეო ცხოვრებაზეც უარყოფითი გავლენა იქონია. მოიშალა და გაპარტახდა გასახლებულთა სახლ-კარი. მოუვლელობის გამო ვაზი და ხეხილიც გადაშენდა, „გატყიურდა". გაჩნდა ადგილთა სახელწოდება ნავენახარი. ასე რომ, აჭარაში მევენახეობის განვითარებას მუჰაჯირობამაც თავისებური დაღი დაასვა.

ამდენად, აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს მევენახეობა-მეღვინეობის დაცემის მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა და იგი დაკავშირებულია როგორც რელიგიურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურმა ფაქტორმა პირდაპირი გავლენა იქონია ღვინის დაყენებისა და მოხმარების, ვაზის საღვინე ჯიშების შემცირება-დაცემაზე და არა საერთოდ მევენახეობის მოსპობაზე. ამ ფაქტს აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ვაზის ძველი ჯიშები, გვიან შემოტანილი იზაბელას (ადესა) გარდა, აჭარაში დღეისათვის ერთეული ეგზემპლარების სახით შემორჩა. გამონაკლისს შეადგენს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი ჩაო, სადაც ათეულზე მეტი ჯიში შემორჩა (ჩხავერი, ცხენიძუძუ, შავშურა, ხოფათური, თავკვერი, კლარჯული, ჯავახეთურა, ქორქაულა, ჯინეში, ჭოდი, ჭეჭებერა, მტევანდიდი, საწურავი და სხვ.). **იზაბელა** საყოველთაოდ არის გავრცელებული და ერთნაირადაა შეგუებული აჭარის ბარისა და მთის პირობებს.

ძველი ჯიშების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით 1934 წელს ქედის რაიონში მოეწყო ვაზისა და ხეხილის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი, სადაც გაშენდა ვაზის ზოგიერთი ძველი მაღლარის ჯიში. საქართველოს სხვა რაიონებიდან შემოტანილი იქნა დაბლარი ჯიშები: ცოლიკაური, ციცქა, საფერავი, რქაწითელი და სხვა, რომლებიც გაშენდა ქედის, ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის რაიონების ზოგიერთ სოფელში.

დღეისათვის დაბლარ ვენახს მცირე ფართობები უკავია.

აჭარაში დღესაც დიდი ყურადღება ექცევა ვაზის ძველი ჯიშების აღდგენა-განვითარებას. განსაკუთრებული ინტერესია ჩხავერის ჯიშის მიმართ, რითაც ქედის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა. აქ დამზადებული ჩხავერისა და ცოლიკაურის ღვინოები დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ და უცხოელ მომხმარებელში, ტურისტებში, რომლებიც მრავლად სტუმრობენ აჭარას. ამ მიზანს ემსახურება „აჭარული ღვინის სახლი", რომელიც ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების საზღვარზე მდებარეობს. აქ წელიწადში

რამდენიმე ათასი ბოთლი „ჩხავერის" ჩამოსხმა ხდება. ამ საქმეში ჩართულია, აგრეთვე, საოჯახო ღვინის სახლები, რომლებიც გახსნილია ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში (საღორეთი, ვაიო, ვარჯანისი, გეგელიძეები), სადაც ჩხავერთან ერთად ცოლიკაურის ჩამოსხმა და რეალიზაცია ხდება. ღვინის სახლებს ბევრი უცხოელი ტურისტი სტუმარი ჰყავს.

მესაქონლეობა

აჭარის სამეურნეო დახიათებისათვის მიღებულია მისი ტერიტორიის ბარის, მთისწინა და მთიან ზონებად დაყოფა. ამ ზონების სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აჭარის ბარში უპირატესად განვითარებული იყო მემინდვრეობა-მებაღეობა და მებოსტნეობა. მთისწინა და მთიან ზონაში კი ისტორიულად ჩამოყალიბდა მეურნეობის სიმბიოზური ფორმა – მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სახით. მაღალმთიან ნაწილში, ხელსაყრელი კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების წყალობით, მესაქონლეობის უპირატესი განვითარება შეინიშნება.

მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური ფორმა აჭარის ალპური მესაქონლეობის თავისებურებებითაც იყო განპირობებული. ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად სახეზე გვაქვს მესაქონლეობის მთისწინა (ბარი//სოფელი), მთისა (ფერდა//ყიშლა) და მაღალმთიანი (მთა//იაილა) ფორმები შესაბამისი საცხოვრებელი და სამეურნეო-ნაგებობებით. სოფლის მიმდებარე სავარგულებზე საგაზაფხულო ხვნის დაწყებასთან და სათიბების შემოღობვასთან ერთად საქონელი ჯერ მთისწინა სოფლებიდან წინაალპურ პარალელურ სამეურნეო ბაზებზე-ფერდაზე ანუ ყიშლებზე გადაჰყავდათ, შემდეგ კი ალპური საძოვრების ზონაში, სადაც შემოდგომამდე რჩებოდნენ. ზაფხულის განმავლობაში ფერდა სათიბად იყო გამოყენებული. აქვე მოჰყავდათ ბოსტნეული. სექტემბრის დასაწყისში, როცა მთებში აცივდებოდა, საქონელს ისევ ფერდაში გადმორეკავდნენ, სადაც იგი დაახლოებით ერთ თვეს რჩებოდა. მოსავლის აღებისა და ზამთრის საკვების დამზადების დამთავრებისთანავე, საქონელს ისევ სოფელში ჩამორეკავდნენ და გაზაფხულამდე ბაგურ კვებაზე ინახავდნენ. აჭარის ზოგიერთ სოფელს მასთან ახლოს სამიწათმოქმედო-მესაქონლური კომპლექსით აღჭურვილი საზამთრო ფერდაც (ბაზა) გააჩნდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მთისწინა აჭარის სოფლის საშუალო შეძლების ოჯახი ინახავდა 5-10 სულ მეწველ და მოზარდეულ საქონელს, 1-2 უღელ ხარს, 3-5 ცხვარს, ცხენსა და ა.შ. მაღალმთიან სოფლებში კი წვრილფეხა საქონლის სულადობა 15-20 სულს არ აღემატებოდა.

მეწველი საქონელი აჭარაში, ძირითადად, ადგილობრივი ჯიშის იყო. აჭარული ძროხა თავისი წარმოშობით საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ჯიშებს (ხევსურულს, ფშაურს, რაჭულს) განეკუთვნება და რძის მაღალი ცხიმიანობითაც ხასიათდება. ამ ჯგუფიდან უპირატესობას ანიჭებენ ხევსურულ ძროხას, რომელიც გენეტიკურად უძველეს კოლხურ ჯიშს უკავშირდება.

მთიანი აჭარის ზოგიერთ ხეობაში ფართოდ იყო დანერგილი ახალი ჯიშის საქონლის სელექციის პრაქტიკა. მისი ცენტრები არსებობდა ღორჯომში, დიდაჭარაში, ძირკვაძეებში, ინწკირვეთში, ნაღვარევში, ჭვანაში, თხილვანაში და სხვა სოფლებში. აჭარელმა მესაქონლეებმა კარგად იცოდნენ ადგილობრივი და შემოყვანილი საქონლის სამეურნეო თვისებები, სამეურნეო-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან მათი შეგუების უნარი. შემოყვანილი ჯიშების აკლიმატიზაციის პირობებში მოსახლეობა მიმართავდა საქონლის შერჩევას წველადობის, ამტანობის და ნაყოფიერების მიხედვით. დასტურდება, რომ აჭარლებს ამ საქმეში საკმარისი ცოდნა-გამოცდილება გააჩნდათ საქონლის ჯიშის შერჩევასა და გამოყვანაში, რაც მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია.

აჭარაში ძირძველი ტრადიციების მატარებელია გამწევ ძალად **ხარის** გამოყენება. ისტორიულ წყაროებთან ერთად, ეს გარემოება ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული სახვნელი იარაღებისა (არვანა, ჯილდა) და გადაზიდვის საშუალებათა (არვანა, ჯილდა, მარხილი, სელი, ძიგლიგა და სხვ.) მრავალფეროვნებითაც არის განმტკიცებული.

აჭარაში მუშა პირუტყვის მოშენებასა და ხვედრითი წილის ზრდას ხელს უწყობდა მიწათმოქმედების განვითარების ინტერესებიც. სამეურნეო ყოფაში ხარის გამოყენების დიდი როლი სულიერ სფეროშიც აისახა. **ტბის ხარის** შესახებ აჭარაში გავრცელებული გადმოცემები, სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენები და რიტუალები, ასევე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები და სხვ.) ხარის კულტის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არქეოლოგების მიერ აჭარის ტერიტორიაზე მოძიებული თიხის სადგრები რქების გამოსახულებით.



რელიგიურ-საკულტო გადმონაშთებში ყურადღებას იქცევს **ბუღა ხარების** გამოზრდის პრაქტიკა. ამგვარად გამოზრდილი ხარების პატრონები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ საზოგადოებაში და ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ მათ გაზრდასა და გაწვრთნაში. ბუღების (ხარების) ბრძოლა სოფლის მთელი მოსახლეობის თანდასწრებით ეწყობოდა. მართალია, დღევანდელ აჭარაში ამ წეს-ჩვეულების რელიგიურ-რიტუალური ხასიათი თითქოს აღარ დასტურდება, მაგრამ ხარების ბრძოლის ცალკეული დეტალები სავსებით ანალოგიურია წმინდა ხარების ბრძოლის მომენტებისა, რაც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია დადგენილი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხარების ბრძოლის შემდეგ, აჭარაში მათი პატრონებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭიდაობაში, რაც სამეგრელოში კურულის (ხარების ჭიდაობის) შემდეგ გამართულ ჭიდაობას ჩამოგავს. წმინდა ხარების ბრძოლა და კურული, რომელთა ცალკეული დეტალები აჭარაშიც დასტურდება, პარალელებს პოულობს კრეტა-მიკენურ სამყაროში, სადაც ხარის კულტს დიდი ადგილი ეთმობოდა საკულტო-რიტუალური ხასიათის სანახაობებში.

ალპურ მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა **მემთევრის** ინსტიტუტს. ამ ფუნქციას ასრულებდა მეურნეობის მართვაში გამოცდილი ქალი. აჭარის საოჯახო მეურნეობაში ქალის უპირატესი როლი, ძირითადად, მესაქონლეობასთან, კერძოდ, მემთევრეობასთან იყო დაკავშირებული. მემთევრის მოვალეობანი მთაში პირუტყვის მოვლით, მოწველითა და რძის პროდუქტების დამზადებით ამოიწურებოდა. ალპურ სეზონზე იგი მენახირესთან ერთად მთელ მეურნეობას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს, ბარად საოჯახო მეურნეობის გაძღოლაში მას მზარეულის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. ამის გამო რძის პროდუქტების დამუშავება-დამზადება და განაწილება ბარშიც მემთევრის მოვალეობად ითვლებოდა. აჭარულ ოჯახში მემთევრედ უფროსი ქალი ან უფროსი რძალი ინიშნებოდა, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა საქონლის მოვლა-პატრონობა და რძის პროდუქტების დამზადება. ამიტომაც მემთევრის, ისე, როგორც მეახორის, ცოდნა-გამოცდილებას ოჯახში ბავშვობიდანვე ეყრებოდა საფუძველი.

ბარსა და ალპურ მეურნეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის სისტემა საქონლის მოვლა-პატრონობის წლიურ ციკლში ბარისა და მთის მოსახლეობას შორის ურთიერთობის თავისებურ ფორმებს წარმოშობდა. ამასთან ერთად, აჭარელი მესაქონლეები მჭიდრო სამეურნეო-კულტურულ კავშირებს ამყარებდნენ საქართველოს მეზობელი რაიონების მოსახლეობასთან. ყველაზე ხშირად ეს ალპური სეზონის დროს ვლინდებოდა. ხეტყის დამზადებასთან და მეურნეობის სხვა დარგების წარმოებასთან ერთად აჭარის სა-

ზაფხულო საძოვრებზე გურიის, შავშეთის, სამცხისა და სხვა რეგიონების მოსახლეობასთან სამეურნეო გამოცდილების გაზიარებაც ხდებოდა, რაც საჯიშე პირუტყვის შერჩევისა და გამოყვანის, გაცვლისა და შეჯვარების საერთო ღონისძიებებში ვლინდებოდა.

საქონლის საზაფხულო საძოვრებზე ყოფნის პერიოდში ხშირად ეწყობოდა **გართობა–თამაშობანი, სარძლოს დანიშვნის, მომდურავთა შერიგების, გასამართლებისა** და სხვ. ცერემონიალები. მათ შორის ცენტრალური ადგილი **შუამთობის** დღესასწაულს ეჭირა (შუამთობაზე ვრცლად იხ. თავი VII, §1).

აჭარის მთის ზონის მოსახლეობას ძველთაგანვე მდიდარი ხალხური ცოდნა გააჩნდა რძისა და რძის პროდუქტების დამზადება-შენახვის საქმეში. ვახუშტის ცნობა აჭარაში რძის პროდუქტების, კერძოდ, ყველის დამზადების მაღალი ოსტატობის შესახებ კარგად ვლინდება თანამედროვე პირობებში. ყველის სხვადასხვა სახეობის (ლავაში, გორჯოლო, ჩლეჩილი, გადაზელილი, ხელეური და ა.შ.) მიღება-გადამუშავების ხერხებში.

პირუტყვი და მესაქონლეობის პროდუქტები (კარაქი, ყველი, ნაღები, ტყავი) გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა. აჭარული ჯიშის ძროხა, რომელიც რძის მაღალი ცხიმიანობითაც გამოირჩეოდა და კავკასიური მთური ძროხის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლებოდა, საჯიშედ მიჰყავდათ გურიაში, იმერეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გასაყიდად სახორცე საქონელიც მიჰყავდათ. თ.სახოკიას ცნობით, ამ პერიოდში აჭარიდან საკლავი საქონლის გაყვანას გურიაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა. გ.ყაზბეგის მონაცემებით, მხოლოდ ღორჯომიდან ერთი წლის განმალობაში ასი სული პირუტყვი გაუყიდიათ. საკლავი პირუტყვის ერთი ნაწილი ბათუმის სასაკლაოზეც იყიდებოდა. ოზურგეთსა და ბათუმში პირუტყვი გაცილებით ძვირად ფასობდა, ვიდრე ახალციხესა და არტაანში. მესაქონლეობის

პროდუქტები ძირითადად ოზურგეთში, ახალციხეში, ბათუმში, ხულოში იყიდებოდა, ნაწილობრივ კი ფოთისა და ჭიათურის ბაზარზეც აღწევდა. პროდუქტების გაცვლა-გასაღების მიზნით ხშირად ბაზრობა იმართებოდა გურია-აჭარის მოსაზღვრე საზაფხულო საძოვრებზე (ზოტიყელი, თაგინური, ხინო, ბეშუმი). თითქმის ყველა სავაჭრო-სამიმოსვლო გზა აჭარასა და მეზობელი კუთხეების სააღებმიცემო პუნქტებს შორის დასახლებულ საზაფხულო საძოვრებზე გადიოდა.

პირუტყვითა და მესაქონლეობის პროდუქტებით ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაში მთავარ როლს თამაშობდნენ **ჩალვადრები** და **მოჯალაბეები**. ჩალვადრები მესაქონლეობის, აგრეთვე, მეხილეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ. ადგილობრივ (აჭარელ) ჩალვადრებს ამ მიზნით კავშირი ჰქონდათ დამყარებული არტაანელ მესაქონლეებთან და შუამავლის როლშიც გამოდიოდნენ. აჭარიდან გატანილ ხილს ისინი არტაანში რძის პროდუქტებზე ცვლიდნენ და შემდეგ ბათუმსა და ოზურგეთში მათთვის მომგებიან

ფასებში ასაღებდნენ. ჭვანის, ღორჯომის, სხალთის და სხვ. ხეობათა ჩალვადრებს კარგი სავაჭრო-სააღებმიცემო ურთიერთობა ჰქონდათ ჩილდირისა და სხვა კუთხეების მესაქონლეობით მდიდარ რაიონებთან.

აჭარელი და გურია-სამეგრელოდან მოსული **მოჯალაბეები** კი ძირითადად პირუტყვით ვაჭრობას ეწეოდნენ. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის აჭარაში ცნობილი ყოფილან ღორჯომელი, სხალთელი და მაჭახლელი მოჯალაბეები, რომლებიც ადგილზე შესყიდულ პირუტყვს ბათუმის, ახალციხისა და არტაანის ბაზრებზე სარფიან ფასებში ყიდდნენ. არტაანსა და შავშეთში 15 მანეთად შეძენილი საკლავი პირუტყვი გასაღების ბაზრებზე 25-30 მანეთად იყიდებოდა.

მესაქონლეობა, ძირითადად მსხვილფეხა, დღესაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთიანი აჭარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. სამაგიეროდ, ძალზე შემცირდა წვრილფეხა საქონლის (თხა, ცხვარი) მოშენება. ცხვარი, ძირითადად, გამოყენებულია მატყლის მისაღებად, რისგანაც ართავენ ძაფს და ქსოვენ სხვადასხვა შალეულს (წინდები და სხვ.). ცხვრის ხორცი გააქვთ, აგრეთვე, ბაზარზე სარეალიზაციოდ.

მესაქონლეობის პროდუქტების გასაღების უმთავრეს ბაზარს ბათუმი წარმოადგენს, თუმცა, ზემო აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი ახალციხე-ახალქალაქისა და ადიგენის ბაზრებითაც სარგებლობს.

მეფუტკრეობა

წერილობითი წყაროების, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქართველოში დადგენილია მეფუტკრეობის განვითარების სამივე ძირითადი ფორმა (ტყიური, ნახევრად შინაური და შინაური მეფუტკრეობა).

ეს ფორმები ტრადიციულად ნიშანდობლივია აჭარის მეფუტკრეობაში. პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო კომპონენტების არსებობას, როგორიცაა: უხვი თაფლოვანი მცენარეები (ცაცხვი, წაბლი, წყავი, სურო, ქაცვი, ძაღლყურძენა, თავშავა და სხვ.), ტყის ანუ ხის ფუღუროსა და კლდეში მობინადრე ფუტკარი, და რაც მთავარია, მსოფლიოში საუკეთესო ფუტკრად წოდებული ქართულ–კავკასიური გრძელხორთუმიანი ფუტკრის ადგილობრივი პოპულაციები.

მეფუტკრეობის პირველმა ფორმამ აჭარაში და საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც იგი გავრცელებული იყო, დიდი ხანია დაკარგა სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა. დანარჩენი ორი ფორმა კი მეფუტკრეობაში დღესაც შემორჩა. წამყვან როლს შინაური მეფუტკრეობა ინარჩუნებს.



ეთნოგრაფიული მონაცემებით ტყის ფუტკარი განსაკუთრებით წიფლის, ცხემლის, თელის, თხმელის მაღალ ფუღუროიან ხეებში ბინადრობდა, რითაც კინტრიშის, აჭარისწყლისა და მაჭახლის ხეობების ცალკეული სოფლის ტყეები გამოირჩეოდა. ამაზე ადგილთა სახელებიც მიუთითებს **ხეფუტკარას** სახელწოდებით, რომლებიც გვხვდება სოფლებში საფუტკრეთში, ზედა ჩხუტუნეთში, ჩიქუნეთში (მაჭახლის ხეობა), ნაღვარევში (ჭვანის ხეობა) და სხვ.

აჭარაში ძველი ტრადიცია გააჩნია შინაურ მეფუტკრეობას. ძვ. წ. IV საუკუნეში (ქსენოფონტეს „ანაბასისის" მიხედვით) ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა, რომ ძველი კოლხების სამეურნეო ყოფაში მეფუტკრეობის ამ ფორმას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ მონაცემებს მეფუტკრეობის არსებობაზე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა წლებში მცირე აზიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში, ვისთანაც ქართველ ტომებს მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჰქონდათ, მაშინ საფიქრებელია, რომ შინაური მეფუტკრეობა ამ დროს არც ქართველი ტომებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. ამავე პერიოდში შეიძლება ვივარაუდოთ შინაური მეფუტკრეობის არსებობა დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე, რომელმაც უცვლელად შეინარჩუნა თავისი ტრადიციული სახე და წამყვანი ადგილი.

შინაური საფუტკრეები აჭარაში ეზო-კარმიდამოზე განლაგებული ცალკე ნაგებობების სახით იყო და არის წარმოდგენილი. საფუტკრეებად სასიმინდეებისა და საბძლების აივნებსაც იყენებდნენ. გათვალვის საწინააღმდეგოდ შინაურ საფუტკრეებზე კიდებდნენ ცხენისა და საქონლის თავის ქალებს, მრგვალად დახვეულ ეკლის ხის გორგალს, რაც გავრცელებული წესი ჩანს საქართველოსა და კავკასიის მეფუტკრეობაში.

აჭარაში ნახევრად ტყიური (ნახევრად შინაური) თუ შინაური და, საერთოდ, მეფუტკრეობის ისტორიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ონომასტიკური მონაცემები.

უეჭველია, მეფუტკრეობას უკავშირდება სოფლის სახელწოდება **საფუტკრეთი** (მაჭახლის ხეობა), რომლის ტყეებშიც მრავლად ბინადრობდა ტყის ფუტკარი. ხალხური დახასიათებით, აქ შინაური ფუტკარიც „კარგად მუშაობდა". სოფლის ყველა მცხოვრებიც გვარად ფუტკარაძე იყო. გადმოცემით, ადრე **მეფუტკრიეთი** ეწოდებოდა ამავე ხეობის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის ერთ–ერთ დასახლებულ უბანს, რომელსაც ახლა **ჭაბუკავლი** ჰქვია. აქაც მეფუტკრეობისათვის ძალზე ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

„ტბეთის სულთა მატიანეში" (XIII-XVIII საუკუნეები) შვიდჯერ იხსენიება გვარი ფუტკარაძე – ორჯერ მეფუტკრიეთ ფორმით (მეფუტკრიეთ ივანე, მეფუტკრიეთ ნიკოლოზი) და ხუთჯერ მეფუტკრისძის ფორმით (მეფუტკრისძე გოშნა, მეფუტკრისძე იოვანე, მეფუტკრისძე

თომა, მეფუტკრისძე გიორგი, მეფუტკრისძე გუქუნა). ჩვენი აზრით, შესაძლოა ეს გვარები წარმოშობით საფუტკრეთისა თუ მეფუტკრიეთის შემწირველები უნდა ყოფილიყვნენ. მითუმეტეს, რომ მატიანეში, როგორც სულის მოსახსენებელთა ძეგლში, მოხსენიებულ გვარსახელთა და ტოპონიმთა დიდი ნაწილი ისტორიული მაჭახლის ხეობასა და ქვემო აჭარაზე მოდის. საფუტკრეთისა თუ მეფუტკრეთის სახელწოდებით სოფელი თუ უბანი, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მატიანის დროისათვის სხვაგან არ დასტურდება. ამასთან ერთად, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ონომასტიკური მონაცემები (გვარსახელები, ადგილთა სახელები) აჭარისათვის უფრო ნიშანდობლივი ჩანს, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე კუთხისათვის. ეს ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველია და მიგვანიშნებს აჭარაში მეურნეობის ამ დარგის არა მარტო სიძველეზე, არამედ მის დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობაზეც.

აჭარის მეფუტკრეობაში, ძირითადად, გავრცელებული იყო ხის ორი სახის სკა. პირველია გულამოღებული ორნაწილედი ერთმანეთზე დამხობილი გეჯა, რომელსაც ზოგადად საკუთრივ **სკა** ეწოდება (საქართველოს სხვა კუთხეებში იგი ცნობილია როფის, ბუკის, როგოს სახელწოდებით). მეორეა კასრისებური ფორმის **კოდანა, ყავრანი** (კარვანი). იგი მზადდებოდა როგორც მთლიანი, ისე ორი გულამოღებული მორისაგან ბოლოებზე მორგებული სახურავით.

აჭარული ეთნოგრაფიული მონაცემები საინტერესო სურათს იძლევა მეფუტკრეობის პროდუქტების (თაფლი, სანთელი, დინდგელი) დამუშავებისა და ყოფაში მრავალმხრივი გამოყენების შესახებ. სკიდან თაფლს წელიწადში ერთხელ-ივლის-აგვისტოში იღებდნენ, გამონაკლის შემთხვევაში (განსაკუთრებული საჭიროებისათვის) თებერვალში.

საუკეთესო კოდის ტიპის სკიდან, აჭარელი მეფუტკრე კარგი ღალიანობის პირობებში 30 ოყამდე თაფლს იღებდა. აჭარელი გლეხკაცის რაციონში თაფლს დიდი ადგილი ეჭირა. ა.წულაძე, რომელიც კარგად იცნობდა აჭარის მეფუტკრეობას, წერდა, რომ თაფლი აჭარელისათვის თითქმის პირველი საჭიროების საგანი და შეჭამადის მაგიერია, რომლითაც იგი კვერცხსა და მაწონსაც კი ატკბილებს. მისი შეფასებით ძველებური მეფუტკრეობა ისე ოსტატურად საქართველოს არცერთ კუთხეში არ იცოდნენ, როგორც აჭარაში. თაფლისაგან მზადდებოდა სხვადასხვა კერძი (თაფლის ფაფა), ნამცხვრები (ხალვა, ბაქლავა, თაფლის მჭადი), ტკბილი სასმელი (შარბათი), რომელთაც ყოველდღიურ, სადღესასწაულო და საქორწილო მენიუში საპატიო ადგილი ეჭირა.

მრავალმხრივი ხალხური სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა თაფლს, სანთელსა და დინდგელს. მაჭახლის ხეობაში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით უპირატესობა ეძლეოდა „უცეცხლოდ დაწურულ" თაფლს, რომელსაც ხმარობდნენ ჭრილობების, დამწვრობის, სხვადასხვა ჩირქოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ. თაფლისა და წყლის ნაზავით მკურნალობდნენ მუცლის ტკივილსა და კუჭის აშლილობას. ავადმყოფობის შედეგად დაუძლურებულთ და ჭლექით დასნეულებულთ ურჩევდნენ მიეღოთ თაფლის, კარაქისა და კვერცხის გულის შენარევი. მიღებული იყო თაფლის ჭამა ნიგოზთან, მაწონთან, მოხარშულ გოგრასთან და კარტოფილთან ერთად. სანთელსა და დინდგელს ხმარობდნენ ძირმაგარას სამკურნალოდ. სანთელში კვერცხსაც წვავდნენ და მას მუცლის ტკივილის დროს ჭამდნენ. ხალხურ სამკურნალო რეცეპტურაში ფუტკარიც გამოიყენებოდა. თავწაწყვეტილ შვიდ ფუტკარს დაჭყლეტდნენ და ცივ წყალში გალესილი სახით ყაბზობის დროს ასმევდნენ.

თაფლითა და სანთლით ხალხური მკურნალობის აღწერილი ხერხები ემპირიული ცოდნის იმ მარაგზე მიუთითებს, რომელიც ხალხში ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებისა და აქტიური დაკვირვების საფუძველზე შემუშავდა და სისტემად ჩამოყალიბდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მონაცემებით მეფუტკრეობით დაწინაურებულ ხინოს მხარეში თაფლის ნაწურისაგან არომატულ არაყსაც ხდიდნენ. მას საოჯახო დანიშნულება ჰქონდა და კუჭის დაავადებისას ხმარობდნენ. ამ პერიოდში არყის გამოხდის ფაქტი განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს, რამდენადაც მისი მოხმარება შარიათის კანონმდებლობით იკრძალებოდა.

მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, სანთელი) აჭარაში საექსპორტო სავაჭრო ბრუნვაშიც იყო ჩართული. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად, მის ექსპორტიორს წარმოადგენდა ბათუმი, საიდანაც დ.ბაქრაძის ცნობით, კონსტანტინოპოლის ბაზარზე გაჰქონდათ ათი ათასი ოყა თაფლი და სამასი ოყა ყვითელი სანთელი. ფუთი სანთელი თვრამეტი მანეთი ღირებულა. აღნიშნულ პერიოდში ხინოს (კინტრიშის ხეობა) მოსახლეობისათვის თაფლის გასაღების ბაზარი ყარსის ოლქი იყო, სადაც ზემო აჭარის გზით შეჰქონდათ. კინტრიშისა და აჭარისწყლის ხეობებიდან გატანილი თაფლით მარაგდებოდა ბათუმის, ქობულეთისა და ოზურგეთის ბაზრები. მ.ჯანაშვილის ცნობით, მარტო ზემო მაჭახლის სოფელ ევფრატიდან XIX საუკუნის ბოლოს გასაყიდად გადიოდა ასეულ ფუთობით თეთრი თაფლი, კრიპუჭი და სანთელი. მყიდველები ართვინელი ვაჭრები ყოფილან, რომელთაც თაფლი ცხენზე აკიდებული გუდებით გადაჰქონდათ.

მეფუტკრეობის ტრადიციული ფორმებიდან დღეს თითქმის დაკარგა მნიშვნელობა ტყის მეფუტკრეობამ. სამაგიეროდ, გაიზარდა შინაური მეურნეობის მასშტაბები და ტრადიციული ხის სკები (ბუკები) ახალი, ჩარჩოიანი სკებით შეიცვალა.

მეთევზეობა და მონადირეობა

მეთევზეობა და მონადირეობა ქართველი ხალხის უძველესი და უმთავრესი სასიცოცხლო დარგებია, რომლის საწყისები პალეოლითიდან ანუ ძველი ქვის ხანიდან იღებს სათავეს. ხოლო ნეოლითური და ანტიკური ხანიდან აჭარის მაგალითზე (მახვილაური, ფიჭვნარი, ისპანი, ციხისძირი, ბათუმის ციხის მიდამოები) სახეზე გვაქვს მეთევზეობასთან დაკავშირებული თიხის პირამიდული და რიყის ქვისაგან დამზადებული გვერდებამოღარული და გახვრეტილი ბადის საწაფები (საძირავები), ძვლისა და ლითონის ანკესები. ასევე უნდა ითქვას ქობულეთის ტერიტორიაზე მოძიებულ ნეოლითური და ანტიკური ხანის კაჟისა და ბრინჯაოს ისრისპირებზე, შურდულის ქვებზე, ოსტეოლოგიურ მასალებზე (დელფინის, გარეული ღორის, თხისა და ფრინველის ძვლები), რაც ამ ცხოველებზე ნადირობის ტრადიციების მაჩვენებელია.

თევზეულით მდიდარი მდინარეები, ღელე-ნაკადულები, ტბები, ნადირთმრავალი ტყეები, საკვებად ვარგისი ტყიური მცენარეები ის უმთავრესი პირობა იყო, რომელიც ნეოლითელ ადამიანს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისათვის უბიძგებდა. ასეთი ადგილები დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მრავლად იყო.

თევზის სიმრავლით გამოირჩეოდა ბარისა და მთის თითქმის ყველა მდინარე, მაგრამ ამ მხრივ მაინც ჭოროხი, აჭარისწყალი, მერისი, მაჭახელა და ის მდინარეები გამოირჩეოდა, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებოდა (ჩოლოქი, ოჩხამური, აჭყვა, კინტრიში, კინკიშა,

ჩაქვისწყალი, დეხვა). ამ მდინარეების ნაწილი საკალმახის სახელს ატარებს და აქ გავრცელებული თევზის (კალმახი) არსებობასთანაა დაკავშირებული. შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებს ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ ქვირითობის დროს აქ მრავლად შედიოდა ზღვის თევზი. მდინარე ოჩხამურიც, როგორც ტოპონიმისა და მდინარის სახელწოდება, მეთევზეობას უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ოჩხის სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება, რომელიც იგივე "თევზთსაბუნაგოა".

ზღვაზე თევზაობით განსაკუთრებით სარფსა და გონიოში მცხოვრები ლაზები გამოირჩეოდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ ლაზებმა მეზღვაურ-მეთევზეთა საპატიო სახელიც დაიმსახურეს. ბათუმის ციხისა და ფიჭვნარის მიდამოებში აღმოჩენილი საწაფების სიმრავლე მიჩნეულია იმის დასტურად, რომ თევზჭერას აქ ძვ.წ. პირველ ათასწლეულში სარეწაო ხასიათი უნდა ჰქონოდა. დამარილებული თევზი დელფინის ქონთან ერთად ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. ფიჭვნარში მოყავისფრო საღებავით დაფარული ანტიკურ ხანის იმპორტული სათევზე თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა. მკვლევართა ნაწილი მეთევზეობას უკავშირებს ფიჭვნარის ანტიკური ხანის ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილ თიხის სხვადასხვა ზომის აბაზანისებურ ჭურჭელს, რომელშიც, სავარაუდოდ, თევზის დამარილება ხდებოდა. ამგვარი თევზი კოლხეთიდან გასაყიდად გაჰქონდათ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით აჭარაში თევზჭერისა და მონადირეობის სხვადასხვა იარაღები, ხერხები და საშუალებები, წეს-ჩვეულებები დასტურდება.

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ამის შესახებ წერილობითი ცნობები დაგვიტოვა, იყო მოგზაური ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია. XIX საუკუნის 90-იან წლებში ზემო აჭარაში მოგზაურობიდან ბათუმში დაბრუნებისას, ქედის ქვემოთ მდ. აჭარისწყალზე მოთევზავე მებადურთაგან მან თევზის რამდენიმე სახეობა და თევზჭერის შვიდნაირი ხერხი ჩაიწერა, რომელიც თითქმის მთელ აჭარაშია გავრცელებული.

ეს და სხვა წესები დააფიქსირა და აღწერა შემდეგ მეთევზე-მებადურთა გამოკითხვის საფუძველზე მკვლევარმა ზურაბ თანდილავამ.

თედო სახოკიას ცნობით თევზით განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა მდინარე აჭარისწყალი, რომელიც კალმახის სიმრავლით გამოირჩეოდა. შემდეგ მოდის წვერა, ელვანა, ჭაფალა და სხვა სახეობები. დღეისათვის აჭარის იხტიოფაუნის შესწავლით აქაურ მდინარეებსა და შენაკადებში თევზის 40-მდე სახეობა ფიქსირდება. ამათგან აღსანიშნავია შავი ზღვის ორაგული, მდინარის კალმახი, კოლხური ხრამული, კოლხური წვერა, მურწა, ქაშაყი და ა.შ. თუმცა აქაურ თევზს ფართო სარეწაო მნიშვნელობა წარსულში არ ჰქონდა. თევზჭერა საკუთარი მოხმარების მიზნებს ემსახურებოდა. დღეისათვის სარეწაო მნიშვნელობა მხოლოდ მეთევზეობის ფერმებმა შეიძინა, სადაც ადგილობრივ კალმახთან ერთად ამერიკული კალმახის მოშენებასაც მისდევენ. მეთევზეობის ფერმები ყველაზე დიდი რაოდენობით ქედის მუნიციპალიტეტშია.

საყოველთაოდ გავრცელებული წესია თევზჭერა ბადითა და ანკესით, რასაც მეთევზეობის მიმდევარი ბევრი ხალხი იცნობს. ბადე, რომელიც პატარა მდინარეებში გამოიყენებოდა, გარგანზე (ჯოხზე) იყო დამაგრებული და მას **გარგანაი ბადე** ეწოდებოდა. დიდ მდინარეებში, ანუ დიდ წყლებში სათევზაოდ უფრო მოზრდილი ბადეები გამოიყენებოდა და იგი გამოცდილ მებადურთა პრივილეგიას შეადგენდა. ასეთ ბადეებს **მოსასროლი ბადე** ეწოდებოდა.

ქედელი მებადურეები იყენებდნენ ბადეს, რომელსაც **ხოლიხი** ეწოდებოდა. ეს იყო ნახევრად კონუსისებური ბადე, რომელიც ნახევარწრედ მოღუნული ჯოხის ბოლოებზე მაგრდებოდა.

ბადით თევზის დაჭერა ხდებოდა როგორც ბადის მოსროლით, ასევე ბადის მდინარეში ჩადგმით, ანუ ბადის მოწყობით. ამ შემთხვევაში ბადე ქვებზე მაგრდებოდა.

სარფელი მეთევზეები ორნაირ ბადეს იყენებდნენ. ერთი იყო წვრილთვალებიანი ბადე, რომლითაც პატარა თევზს იჭერდნენ და მეორე – კამბულას დასაჭერი. ლაზურად ბადეს მოსა ეწოდება.

მდინარეებში ბადით თევზჭერას მისდევდნენ ინდივიდუალურად და ჯგუფურად (ორი--სამი კაცის შემადგენლობით). ზღვაზე თევზაობისას კი ზოგჯერ ხუთი-შვიდი მებადური ერთიანდებოდა. დაჭერილი თევზი თანაბრად ნაწილდებოდა.

აჭარის მოსახლეობა ანკესით თევზჭერას მიმართავდა როგორც მდინარეებში, ისე შავ ზღვაზე (ზღვისპირეთის მოსახლეობა). პატარა მდინარეებში პატარა ზომის, ხოლო ზღვის თევზის დასაჭერად მოზრდილ ანკესებს იყენებდნენ. ზოგი მეთევზე მდინარეებსა თუ ზღვაში ანკესების მოწყობის წესსაც მიმართავდა, რაც ანკესების წყალში ჩამაგრებას გულისხმობდა (ანკესი ძაფით ქვაზე მაგრდებოდა). ანკესები, რომელსაც ჭიაყელას ან ხორცის ნაჭერს წამოაცვამდნენ, წყალში მთელი დღისა თუ ღამის განმავლობაში რჩებოდა. საანკესე ძაფი აბრეშუმისა და კანაფისაგან მზადდებოდა.

სარფის მოსახლეობა ანკესთან ერთად ხის გრძელტარიან ჭვილთებსაც იყენებდა და მას **კამანგი** ეწოდებოდა. მათ სწორი ფორმის ჩანგლის მოყვანილობა ჰქონდა, რომელსაც შუბის წვერის მსგავსი ექვსი კბილი გააჩნდა. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში სამკბილა ჭვილთებიც არსებობდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჭვილთი არის იგივე ხოჭი, ანუ "რკინის ბარჯი სათევზე". ასეთი ჭვილთებით თევზის დაჭერა მეტწილად ღამით, მაშხალის შუქზე ხდებოდა. მაშხალის შუქზე თევზის გროვა დგებოდა და ჭვილთის დაკვრით თევზს ადვილად იჭერდნენ.

სათევზაო იარაღებად მასობრივად გამოიყენებოდა **ოსარო** და **ფაცერი**. პირველი სულხან-საბა ორბელიანის მიერ განმარტებულია, როგორც „თევზის საპყრობი", მეორე კი, როგორც „თევზის მახე". ოსარო არის ხის წკნელისაგან გიდელის მსგავსად მოქსოვილი ჭურჭელი, რომელსაც წყალში ჩადგამდნენ. ზედა ფართო ნაწილი მას სამელნესავით ჩაზნექილი ჰქონდა. მასში შესული თევზი უკან გამოსვლას ვერ ახერხებდა. ამგვარ იარაღს თევზის საჭერად უძველესი ადამიანიც იყენებდა.

ფაცერი მზადდებოდა მხოლოდ თხილის ან ბამბუკის წკნელისაგან, რომელსაც ფქვილის გასაცრელი ფაცერის (საცერის) ფორმა ჰქონდა შუაზე ჩაზნექილი ხვრელით. ამგვარ ფაცერს სარფის მოსახლეობა იყენებდა. მას მდინარეში ან ზღვაში ჩასვამდნენ, დაამაგრებდნენ და თევზით სავსეს ზედაპირზე ამოიღებდნენ.

აღწერილი ფორმის ხის წკნელისაგან მოქსოვილ (მოწნულ) ჭურჭელს ზოგან გოდორას ან გორძღოს უწოდებდნენ. არქეოლოგთა აზრით, ამ სახის ხის ჭურჭელს თევზის დასაჭერად უძველესი ადამიანიც იყენებდა.

აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ უძველესი ადამიანი ბადისა და ანკესის გამოყენებამდე თევზჭერას ხელით მისდევდა, რაც მაშინდელ მეთევზეთა დიდ ცოდნა-გამოცდილებას ემყარებოდა.

ხელით თევზის ჭერაც თავის მხრივ სხვადასხვა ხერხებით ხდებოდა. ერთია მდინარის წყლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაშვება. აქ დაბინავებულ თევზს შემდეგ წყალს შეუწყვეტდნენ და მშრალ ფსკერზე დარჩენილს ხელით იჭერდნენ. მეორე ხერხია თევზის მოწამვლა. მცენარეული მწარე ნაყოფისა და წყავის კანის დანაყვის შედეგად მიღებულ წვენს მდინარის ისეთ ადგილებში ჩაასხამდნენ, სადაც თევზი ეგულებოდათ. მწარე წვენი თევზის ლაყუჩებში შედიოდა და აბრუებდა. ასეთი ხერხით თევზს ადვილად იჭერდნენ.

ხელით თევზის ჭერას განსაკუთრებით **ქოჩობის** ანუ ქვირითობის დროს მისდევდნენ, როდესაც თევზი მდინარეში ჯგუფურად მოძრაობდა. ქოჩობის იდენტურია გურია-სამეგრელოში გავრცელებული ტერმინები **ტობობა//ტოფობა.**

თევზს უმეტესად შემწვარი, ხოლო იშვიათად მოხარშული სახით მიირთმევდნენ. კალმახს ერბოშიც წვავდნენ კვერცხთან ეთად. საუკეთესოდ მიიჩნეოდა თიხის კეცებზე შქერის ფოთოლში შემწვარი თევზი.

მეთევზეობის და საერთოდ ნადირობის, როგორც ქართველი ხალხის მწარმოებლური მეურნეობის უძველესი დარგის როლმა და მნიშვნელობამ თავისებური ასახვა პოვა ხალხურ წეს-ჩვეულებებში. თევზი კულტის საგნად და აჭარული ზღაპრული ეპოსის უძველეს პერსონაჟად იქცა. სპეციალისტ-მკვლევართა აზრით, თევზის კულტი, თევზ-ღვთაების არსებობა დროში წინ უსწრებს ამირანის ეპოსის შექმნას და იგი ჩვ.წ.-დე მეორე ათასწლეულში შეიქმნა. ძვ.წ. V-IV საუკუნეებში ძველ კოლხებს თევზის დამარილება და შენახვაც სცოდნიათ. ამ დროიდან იყენებდნენ თევზის ქონსაც. ყურადღებას იქცევს ერთი მხრივ, თევზი ითვლება, როგორც ადამიანის საუკეთესო საკვები პროდუქტი, მეორე მხრივ, იკრძალება მისი დაჭერა და მოხმარება. ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ჩაწერილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭახათში, თევზის დაჭერა, დაკვლა (თავის მოჭრა) იმიტომ იკრძალება, რომ იგი ქრისტეს მიერ არის დალოცვილი და მას თავზე ჯვარი უკეთია. ამიტომ თევზის დამჭერსაც ღმერთი ბარაქას არ მისცემდა. აჭარისწყლის, კინტრიშის, ჩაქვისწყლის და სხვა ხეობებში ჩაწერილი მასალებით თევზს თავისი მფარველი პატრონი ჰყავდა, რომელიც მის სიცოცხლეს იცავდა და დაჭერის უფლებასაც არავის აძლევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში თევზის დამჭერი უბედურებას ვერ ასცდებოდა. თუ მაინცდამაინც მეთევზე შეეცდებოდა თევზის დაჭერას, დაჭერილი თევზიდან ყოველი მეათე წყალში უნდა გაეშვა, რათა თევზის მფარველისათვის გარკვეული სამსახური გაეწია.

მეთევზეობასთან დაკავშირებული სხვა წეს-ჩვეულებიდან აღსანიშნავია სარფელ და საერთოდ, ლაზ მეთევზე-მენავე მებადურთა ყოფაში გავრცელებული სიმღერა ჰელესა, რომელიც თევზით სავსე ბადის ზღვიდან გამოთრევის დროს სრულდებოდა. სიმღერის ლაზური მელოდია გარკვეულ კავშირშია მენავე-მებადურთა შრომის რიტმთან. მსგავსი რამ საქართველოს მენავე-მებადურთა ყოფისათვის დამახასიათებელი არ არის. ეს ფაქტი კი თავის მხრივ ზღვისპირა მცხოვრებ ლაზ ტომებში მეთევზეობის დარგის დიდ სამეურნეო მნიშვნელობაზე მიუთითებს.

მეთევზეობის გვერდით გარეულ ცხოველებზე ნადირობასაც აჭარის მოსახლეობაში საპატიო ადგილი ეჭირა, თუმცა მასობრივ ხასიათს იგი არ ატარებდა. ნადირობდნენ დათვზე, გარეულ თხაზე, შველზე, კურდღელზე, კვერნაზე, მელაზე, აგრეთვე გარეულ ფრინველებზე.

დათვზე ნადირობას განსაკუთრებით ძველი სტილით 9 მარტის შემდეგ მისდევდნენ. მონადირეთა გადმოცემით, დათვი ბუნაგში დეკემბერში წვებოდა და 9 მარტს აუცილებლად ტოვებდა მას. ბუნაგში დათვი უფრო სუქდებოდა და ქონის გამო ნადირობაც ამ პერიოდში უფო სასარგებლო იყო. დათვის ქონს საპნის დასამზადებლად ხმარობდნენ. ხორცს იშვიათად მიირთმევდნენ. სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ დათვის გამხმარ ნაღველს, რომელსაც კუჭის დაავადების დროს იყენებდნენ. ნაღველს მცირე ნაწილს ჩამოაჭრიდნენ, წყალში გალესავდნენ და მიირთმევდნენ.

ზოგიერთი მონადირე დათვზე ნადირობას სიმინდის შემოსვლის პერიოდში მისდევდა და ამით სიმინდის ყანას განადგურებისაგან იცავდა. დათვის მოსაკლავად ყანაში თოფის მოწყობის ხერხსაც მისდევდნენ. გამოცდილმა მოანდირემ კარგად იცოდა დათვის ყანაში შესვლის გზები და ამ ადგილებში სასხლეტზე თოკგამობმულ თოფს ისე დაამაგრებდა, რომ თოფზე შეხებისას ტყვია გულის მხარეს მოხვედროდა.

დათვზე სანადიროდ იყენებდნენ როგორც კაჟ-ჩახმახიან მაჭახელა ტიპის თოფებს, ისე ბერდენას (ბერდენკას) მსხვილი ტყვიით და სხვა საკეტიან ვაზნებიან თოფებს. დათვს სპეციალური რკინის დიდი ხაფანგებითაც იჭერდნენ. კურდღელსა და კვერნაზე სანადიროდ თოფთან ერთად პატარა ხაფანგებიც გამოიყენებოდა.

ფრინველებზე სანადიროდ მხოლოდ კაჟ-ჩახმახიან საფანტიან თოფებს იყენებდნენ. ფრინველს სხაპის (მახე) დახმარებითაც იჭერდნენ.

დათვზე ნადირობაში ორი ან სამი კაცი მონაწილეობდა. ნანადირევს თანაბრად ინაწილებდნენ.

აჭარაში მონადირეობის ტრადიციებზე, მის სიძველეზე საუბრისას ყურადღებას იქცევს სამონადირო მითოლოგიის ვარიანტები, რომლებიც ქართულ სამონადირო მითოსში საპატიო ადგილს იჭერს. ამ ვარიანტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შვლის მოკვლის ტაბუირებას, თქმულებებს ნადირთა პატრონისა და სამონადირო საქმის გამგებელ თეთრწვერა ბერზე, ტყის ნადირის მფარველ ქალ-ღვთაებაზე, სახელგანთქმულ მონადირეებზე და ა.შ.

თევზაობა და ნადირობა არა მარტო საკვების შევსებას ისახავდა მიზნად, არამედ გართობის საშუალებასაც წარმოადგენდა.

დღეისათვის ნადირობა თანდათან კარგავს თავის წინანდელ ფუნქციებს, მეთევზეობამ კი ახალი დანიშნულება შეიძინა. ადგილობრივი ჯიშების გვერდით დაიწყო შემოყვანილი ჯიშების (ამერიკული კალმახის) ხელოვნური მოშენება, რასაც სამრეწველო ფორმა მიეცა. აჭარის ბარისა და მთის სოფლებში, ბუნებრივი ჰიდრორესურსების ბაზაზე, შეიქმნა ფერმერული საკალმახე მეურნეობები, რაც თანდათან სერიოზული ფინანსური შემოსავლის წყარო ხდება. საკალმახე მეურნეობებში, გარდა თევზის პროდუქტის მიწოდებისა, ტურისტებს სთავაზობენ თევზაობას ანკესის ან ხელბადის გამოყენებით, რაც საკმაოდ მიმზიდველი გასართობია მათთვის.

ხელოსნობა და შინამრეწველობა

ხელოსნობა აჭარაში თავიდანვე მრავალდარგოვანი იყო და მოიცავდა ხისა და ქვის დამუშავებას ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, ხით და ქვითხუროობას, მეთუნეობას ანუ კერამიკულ წარმოებას, ფეიქრობას, ხალხურ მეტალურგიასა და მჭედლობას.

დღევანდელი აჭარის ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემავალი რეგიონთაგანია, სადაც ქართული ხალხური მეტალურგიისა და მჭედლობის აკვანი დაირწა. ძველი ბერძნული და აღმოსავლური წერილობითი წყაროების მიხედვით, კოლხეთის ტერიტორიაზე (რომლის არეალში აჭარაც შედიოდა) მცხოვრები ძველი ქართველი ტომები (ხალიბები, მოსინიკები და სხვები) მაღალი ხარისხის რკინისა და ფოლადის, აგრეთვე, სპილენძის წარმოების პიონერები იყვნენ. მათ საუკეთესო მეტალურგების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი და, საერთოდ, დიდი ამაგი დასდეს მეტალურგიის ჩასახვისა და მისი განვითარების საქმეს მსოფლიო მასშტაბით.

აჭარის ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ნათლად დაადასტურა ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობების სისწორე ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი ტომების მეტალურგიულ დაწინაურებაზე, მათ წვლილზე საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. აქ გამოვლინდა ძველი კოლხეთის რკინის ეტალურგიის წარმოების ისეთი მსხვილი კერები, როგორიცაა ჭოროხისა და ჩოლოქ-ოჩხამურის, ჩაქვისწყლის ხეობები. ეს კერები წარმოდგენილია კომპაქტურ ჯგუფებად თავმოყრილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოებისა და რკინის წიდების სახით. მეტალურგიული წარმოება ჩაისახა და განვითარდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე.

ჭოროხის საწარმოო კერა მოიცავს ჭოროხის ხეობის დინებას და აჭარის ტერიტორიაზე იგი მიითვლის ჭარნალის რკინის სადნობ სახელოსნოებს, რომელთა მნიშვნელობა ქართული (კოლხური) რკინის მეტალურგიის ისტორიის შესწავლისათვის მეტად დიდია. ეს ტერიტორია ნაწილია სამხრეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლისა, სადაც ძველთაგან სახლობდნენ ქართული მეტალურგიის პიონერები – მოსინიკები და ხალიბები.

ჩოლოქ-ოჩხამურის საწარმოო კერა, რომელიც ჭოროხის საწარმოო კერიდან 40-50 კმ-ით არის დაშორებული, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიითვლის ჯიხანჯურის, ცეცხლაურისა და ლეღვას რკინის სადნობ ქურა-სახელოსნოებს, რომელთა რიცხვი ათეულზე მეტია. ჩამოთვლილ კერათაგან უადრესი განეკუთვნება ძვ. წ. XI-IX, ხოლო მოგვიანო – ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებს.

ამდენად, რკინის ხალხურ მეტალურგიას, რომელიც ხელოსნური საქმიანობის სფეროს განეკუთვნება, აჭარაში უძველესი ისტორია აქვს.

ბუნებრივია, რომ ჩამოთვლილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების გვერდით არსებობდა რკინის სამჭედლო სახელოსნოებიც, სადაც მზადდებოდა სხვადასხვა სახის საოჯახო-სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღები, რასაც მოჰყვა არსებითი ხასიათის ცვლილებები მთისა და ბარის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

სამჭედლო ხელოსნობის ტრადიციების არსებობაზე მოგვიანო პერიოდის (შუა საუკუნეები) აჭარაში ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მთისა (თაგო, ყინჩაური, ფაჩხა, ჭერი, წაბლანა – ხულოს მუნიციპალიტეტი) და ბარის (ახალშენი და სხვა – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) ზონაში მრავლად მიმოფანტული რკინის ადგილობრივი გამონამუშევრები – ხალხური მეტალურგიის ნაშთები რკინის წიდების (ხალხური ტერმინოლოგიით რკინაწილაები) სახით, რომლებიც სამწუხაროდ დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. რკინის წიდების გავრცელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ისინი დიდი რაოდენობით რკინას შეიცავენ), ფეოდალურ ხანაში ხალხური მეტალურგია და მჭედლობა აჭარის მთისა და ბარის ზონაში ფართოდ ფეხმოკიდებული ყოფილა და იგი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ვითარდებოდა.

ისტორიული ლიტერატურისა და საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამჭედლო ხელოსნობა აჭარაში მხოლოდ შემოტანილი რკინისა და ფოლადის ბაზაზე ვითარდებოდა, როდესაც მისი შესყიდვა აჭარის, ისე, როგორც მთლიანად საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის, შედარებით გაადვილდა. ეს დაკავშირებული იყო აქ რკინიგზების გაყვანასთან, რის შედეგადაც რკინა შედარებით გაიაფდა და იოლი საშოვარიც იყო. სოფლად მომუშავე მჭედლები რკინას ყიდულობდნენ ქალაქ ბათუმში, სადაც სპეციალური მაღაზიებიც არსებობდა. ამ პერიოდში ბათუმი წარმოადგენდა ევროპიდან რკინის შემოტანისა და გასაღების მთავარ კავკასიურ ბაზარს. ბათუმში თავდაპირველად რკინა შემოჰქონდათ ინგლისიდან, ბელგიიდან, გერმანიიდან, შემდეგ – შვედეთიდან, ხოლო 90-იან წლებში – სამხრეთიდან. ბათუმში ყოველწლიურად 16 ათასი ფუთი რკინა შემოჰქონდათ. 1000 ფუთი საკუთრივ ბათუმში იყიდებოდა, დანარჩენი კი კავკასიის სხვადასხვა მხარეში იგზავნებოდა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით სამჭედლოები არსებობდა როგორც ცალკე ნაგებობების სახით, ასევე საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულზე. სოფლის სამჭედლოებში ჩვეულებრივ 2-3 ხელოსანი მუშაობდა, რომელთაგან ერთი უსტაბაშად (მთავარ ოსტატ-მჭედლად) ითვლებოდა. მეორე თუ მესამე პირი შეგირდის ან სხვა მოვალეობას ასრულებდა. ტრადიციით შეგირდი შეიძლება ყოფილიყო როგორც მჭედლის შვილი, ისე მისი ახლო ნათესავი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით სამჭედლო-სახელოსნო ცენტრები თავმოყრილი იყო ხულოში, დიდაჭარაში, ჭვანაში, მარითის, უჩამბის, სხალთის, მაჭახლის ხეობებში, ქალაქ ბათუმში. 10-მდე კომპაქტურად განლაგებული სამჭედლო მოქმედებდა ცხმორისში, სამი – ქედის ცენტრში, თითო – მარადიდსა და ჩურუქ-სუში. 1889 წელს მარტო ქალაქ ბათუმში იყო 14 სამჭედლო-სახელოსნო, სადაც, ძირითადად, ბერძენი დ სომეხი მჭედლები მუშაობდნენ. ბერძენი მჭედლები ხულოს ცენტრის სამჭედლოებშიც იყვნენ დასაქმებულნი.

ჩამოთვლილ სამჭედლო-სახელოსნოებში მზადდებოდა მრავალფეროვანი სამეურნეო დანიშნულების რკინისა და ფოლადის ნაწარმი: ცულ-ნაჯახები, წალდები, თოხები, სახნი-

სები, ნამგლები, ცულები, ხელეჩოები, ეჩოები, ხერხები, ბურღები, საჭრის-საჭრეთლები, დანები, კარ-ფანჯრის ჩამოსაკიდებლები და საკეტები, სამშენებლო ლურსმანი, ხაფანგები, ცხენის კეხ-უნარიგის აღკაზმულობა, ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღები და ა.შ. შედარებით ვრცლად ამ უკანასკნელზე შევჩერდებით.

ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადება. სამჭედლო ხელოსნობის ცალკე დაწინაურებული დარგი იყო ამ სახის იარაღების (თოფები, დამბაჩები, ხმალ-ხანჯლები, იათაგანი და სხვ.) დამზადება, რითაც განსაკუთრებით მაჭახლის ხეობა და ქვედა აჭარა გამოირჩეოდა.

კავკასიის კალენდრის 1867 წლის ცნობით, ლაზისტანის სანჯაყში შემავალი 11 ყაზიდან ანუ მაზრიდან (ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზედა აჭარა, ქვედა აჭარა, მაჭახელი, ლივანა, გონიო, ხოფა, არქაბე, ხემშინი, ათინა) ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღები მხოლოდ მაჭახელსა და ქვემო აჭარაში მზადდებოდა. ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის ცნობით, ქვედა აჭარაში დამზადებული თოფები, დამბაჩები, სატევრები გამოირჩეოდა კარგი ნაკეთობით და ვერცხლის ლამაზი მოჭედილობით. დ.ბაქრაძე, რომელმაც აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს (1873 წ.) იმოგზაურა, წერდა: „მე სავსებით ვიზიარებ notice sur Batoum-ის აზრს იარაღის დამზადების ადგილების შესახებ. მართლაც, თოფებს, იათაგანებსა და სხვა ცივ იარაღს... ამზადებენ მაჭახელში, ცხმორისში, საღორეთსა და ახოში. ეს იარაღი, განსაკუთრებით თოფები, ცნობილია მაჭახელას სახელით და განთქმულია არა მარტო აჭარაში, არამედ იმერეთშიც“.



XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი თუ უცხოელი მოგზაური მკვლევრები, რომლებიც ოსმალთა ბატონობის დროინდელ და მის შემდგომ აჭარას ეხებიან, განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც მაჭახლის ხეობაზე ამახვილებდნენ. ხეობისადმი ასეთი დიდი ინტერესი იმანაც განაპირობა, რომ აქ ისტორიულად მაღალ დონეზე იდგა მაჭახელად წოდებული მაღალხარისხოვანი კაჟ-ჩახმახიანი თოფებისა და დამბაჩების, აგრეთვე, ცივი საბრძოლო იარაღების (ხმალ-ხანჯლები, იათაგანი) წარმოება. მათი ცნობებით მაჭახლური იარაღი – **„მაჭახელად“** ცნობილი თოფები და დამბაჩები, ვრცელდებოდა მთელი ჭოროხის მხარეში, ახალციხისა და ყარსის ოლქებში, ოსმალეთის იმპერიის სხვა ცენტრებში. ზაქარია ჭიჭინაძის დახასიათებით, მაჭახლური თოფი და დამბაჩა შედარებულ-შეთანასწორებული ყოფილა სტამბულის თოფებთან და დამბაჩებთან. ასეთი აღიარება მათი მაღალმხატვრული დამუშავებით აიხსნებოდა. იარაღის ნაწილი ოქრო-ვერცხლითა და ძვლით იყო შემკობილი.

მაჭახლის ხეობისა და აჭარის სხვა სახელოსნო ცენტრებში ორი სახის თოფი მზადდებოდა: **თოფხანე** და **ნალფარა**. ნაკეთობის ხარისხით თოფხანე გამოირჩეოდა ხრახნილი ლულით, რომელიც მასიური რკინისაგან მზადდებოდა. ნალფარა

თოფის ლულა კი რკინის ნაჭრების შეერთება-შედუღებით მიიღებოდა და ხარისხით თოფ-ხანეს ჩამოუვარდებოდა. თოფის და დამბაჩის ფასსაც ნაკეთობის ხარისხი (ლულისა და კონდახის შემკულობა) განსაზღვრავდა. თოფის ლულა მზადდებოდა სპეციალურ დაზგაზე, რომელსაც **თოფის ჩარხი** ეწოდებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის მონაცემებით, საუკეთესო მეიარაღე-ხელოსნის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი ქავთარაძეებს, ნაგერვაძეებს, კახიძეებს, გორგაძეებს, ძნელაძეებს (მაჭახლის ხეობა), მიქელაძეებს (სოფელი ცხმორისი), ქონიაძეს (ხულო), ტაკიძეს და ქარცივაძეს (ჭვანის ხეობა), გაბიტაძეებს (სოფელი კირნათი) და სხვ.

XIX საუკუნის ბოლოს ადგილობრივი წესით იარაღების დამზადება თანდათან იზღუ-დება, რაც გამოწვეული იყო ევროპული, კერძოდ, ინგლისური, ფრანგული, ბელგიური და რუსული (ტულის) წარმოების შედარებით იაფი იარაღების გავრცელებით საქართველოსა და კავკასიაში. ხელოსნობის ამ დარგის დაცემაზე გარკვეული გავლენა იქონია, აგრეთვე, საუკეთესო მეიარაღე-ხელოსანთა მუჰაჯირად წასვლამ, რაც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის ერთ-ერთი მძიმე შედეგი იყო.

ამის შემდეგ ლითონდამამუშავებელი ხელოსნობა აჭარაში, ძირითადად, წარიმართა სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღების დამზადებით. მხოლოდ ერთეულ ხელოსნებს (მჭედლებს) შეეძლოთ დაემზადებინათ კაფსულიანი ფილთა თოფები და შეეკეთებინათ ქარხნული წარმოების თოფებიც.

ხის დამუშავება. ხელოსნობის ეს დარგი ძველ ქართულ წყაროებში ხითხუროობის თუ ხის მუშაკობის სახელწოდებითაა ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) წერდა, რომ აჭარლები არიან „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“.

ხის მუშაკობის ეს უძველესი ტრადიციები აჭარაში კარგად ვლინდება როგორც არქე-ოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიული ლიტერატურის მონაცემე-ბით. პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები სამშენებლო ხელოსნობის, კერძოდ, ხის სახლთმშენებლობის ძველი ტრადიციები, რაც საფუძვლად დაედო თანამედროვე სახ-ლთმშენებლობას.

სოფელ ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალების მიხედვით ხის გამოყენება საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაში ადრენეოლითუ-რი ხანიდან დასტურდება. ისპანის არქეოლოგიური ნივთიერი მასალები მიგვითითებენ, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულიდან არსებობდა ე.წ. ჭდობით ნაშენი ჯარგვალური ნაგებობანი, რაც იმ დროისათვის ხითხუროობის და, საერთოდ, სამშენებლო ხელოვნების მაღალი დო-ნის მაჩვენებელია. ძველი კოლხეთის მაგალითზე მშენებლობის ამგვარი წესი დამოწმებუ-ლი აქვს ძვ. წ. I საუკუნის რომაელ არქიტექტორს ვიტრუვიუსს. ჭდობის წესით შენდებოდა ჯარგვალური ნაგებობანი აჭარის სოფლებში, ალპურ ზონაში. ეს წესი დღესაც გამოიყენე-ბა აჭარაში ფიცრული სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობაში. აჭარული ფიცრული სახლი კი მიჩნეულია ქართული ხალხური ხითხუროობის, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშად. გაირკვა, რომ საუკეთესო სახლების ინტერიერი და ექსტერიერი (ძირითადად ბოძები) მოჩუქურთმებული იყო, რაც უმეტესად ძველ, 100-150 წლის წინ აშენებულ სახლებს ახასიათებდა.

ამ მხრივ საინტერესოა ლაზური სახლი, რომელშიც შერწყმულია ხისა და ქვის, ან ხისა და აგურის კონსტრუქციები. ვახუშტის დახასიათებით, აჭარლების მსგავსად ლაზე-ბიც იყვნენ „ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. საყოველთაოდაა აღიარებული ლაზ ხელოსან-

თა ხეზე კვეთილობის ნიმუშები, რომლებიც ცნობილია ლაზური ორნამენტის სახელწოდებით.

ხითხუროობის ძველი ტრადიციები კარგადაა შემონახული ხის მეჩეთებში, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ როგორც ხუროთმოძღვრულ-მხატვრული დირებულების მქონე მატერიალური კულტურის ძეგლებს. დადგენილია, რომ აჭარაში არსებული მეჩეთების არქიტექტურული ფორმები განვითარებულია ქართული ხის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საფუძველზე, რომელშიც ჩაქსოვილია არა მარტო სადურგლო ხელოვნება, არამედ ხელოსნობაც ამ ცნების ნამდვილი გაგებით. ეს კარგად ვლინდება პირველ რიგში მეჩეთების შემკულობაში, რომელშიც გამოყენებულია ქართული ორნამენტის ნაირსახეობანი, მათ შორის იმ ორნამენტისა, რომელიც ეკლესია-მონასტრებზეა გამოსახული.

ხის დამუშავებაში წამყვანი ადგილი ეჭირა მხვეწელობას, ანუ ხარატულ ნაკეთობათა დამზადებას, რასაც აჭარაში ძველი ტრადიცია გააჩნია. ამ სახის ნაკეთობის გარეშე კი ძველად საერთოდ წარმოუდგენელი იყო სამეურნეო და საოჯახო ცხოვრება.

ხარატულ ნაკეთობათა შორის დამზადების ხალხური ტექნიკის, ფუნქციონალური თუ სხვა თვალსაზრისით საინტერესოა მასიური ხისაგან (თელა, ცაცხვი, წიფელი) გამოჩარხული დაბალი მრგვალი სასადილო მაგიდები ცენტრში საყრდენი ერთი ფეხით, რომელიც

აჭარაში ცნობილია **სუფრის** სახელწოდებით. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში სუფრა მოიხსენიება ფეშხუმის, ტაბლის, ტაბაკის, ტრაპეზის სახელით. ხის სუფრების გარეშე აჭარული ოჯახი წარსულში საერთოდ წარმოუდგენელი იყო. საგანგებოდ ისეთი სუფრებიც მზადდებოდა (მათი დიამეტრი 1-1,5 მეტრის ფარგლებში მერყეობდა), რომელთა ირგვლივ 10-15 კაცი ერთად სადილობდა.

ეთნოგრაფიულ ყოფაში მსგავსი სუფრები, აჭარის გარდა, მასობრივად გავრცელებული ჩანს მეზობელ შავშეთ-იმერხევში, ლივანასა და ლაზეთში. საქართველოს სხვა კუთხეებში ასეთი სუფრები არ გვხვდება, გარდა სამცხე-ჯავახეთისა, მაგრამ ისინი აქ აჭარიდან შეჰქონდათ. ადგილზე მათი დამზადება არ ხდებოდა. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ წყლის სამხვეწლო დაზგებზე მასიური ხისაგან სუფრების დამზადების ტრადიციულ კერად სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უნდა მივიჩნიოთ, რომლის დაწინაურებულ ლოკალურ ცენტრს აჭარა წარმოადგენდა.

აჭარის სამეურნეო და საოჯახო ყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხის წნული ნაკეთობა, რომელსაც ყველა სოფელსა და ოჯახში ამზადებდნენ. ხის წნული ჭურჭლის გარეშე შეუძლებელი იყო მიწათმოქმედება-მემინდვრეობის, მევენახეობა-მეხილეობის და ზოგიერთი სხვა სამეურნეო დარგის გონივრული წარმართვა. აქაური წნული ნაკეთობის ნუსხაში შედის სხვადასხვა დანიშნულების, ზომისა და ტევადობის გოდრები, კალათები და სხვ. სოფლებში აჭარისაღმართში, კაპნისთავსა და გვარაში (ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტი) სუროს ტკეჩისაგან საგანგებოდ მზადდებოდა ისეთი მჭიდროდ მოწნული "საფქვილე გოდრები", რომლებიც წყალსაც არ ატარებდა. დანარჩენი წნული ჭურჭლის დასამზადებლად კი იყენებდნენ თხილის, ნაძვის, წაბლის, შქერის ტკეჩს. დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ქვემო აჭარაში, შავშეთ-იმერხევისა და ლაზეთის მსგავსად, ტრადიციულად კონუსისებური ორფეხიანი გოდრები მზადდებოდა, ზემო აჭარაში კი, ძირითადად – უფეხო, ბრტყელძირიანი გოდრები.

ხის დამუშავებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა რძის პროდუქტების გადამუშავება-შენახვასთან დაკავშირებული ჭურჭლის დამზადებას. ამ სახის ხის ჭურჭელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი უპირატესი მნიშვნელობა ზემო და, ნაწილობრივ, ქვემო აჭარის იმ მოსახლეობაში, რომელიც მესაქონლეობას და რძის პროდუქტების გადამუშავებას მისდევს.

ხის ნაკეთობა ჩართული იყო აღებ-მიცემობაში. იგი გასაყიდად გაჰქონდათ სამცხე-ჯავახეთში, არტაანში. ბათუმის ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობდა სუფრები, გობები, ცხავი და ცხრილი, წნული კალათები. მთის საზაფხულო საძოვრებზე (ზოტიყელი, ძელგორი, ბახმარო, გომის მთა) აჭარელ მესაქონლე-ხელოსანთა მიერ დამზადებულ გვარდებსა და კოლოფებს ყიდულობდნენ გურული და მეგრელი მესაქონლეები, რომელთაც ტრადიციულად მჭიდრო კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჰქონდათ მთიანი აჭარის მოსახლეობასთან.

კერამიკული ნაკეთობის დამზადების ტრადიციები აჭარის ტერიტორიაზე სათავეს იღებს ნეოლითური ხანიდან. ამაზე მიუთითებს მახვილაურისა და ქობულეთის ნამოსახლარებზე ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მახვილაურის ჭურჭელი დამზადებული ყოფილა სილისა და არაგონიტის მინარევებიანი თიხისაგან. ბუნებრივია, მახვილაურელი ადამიანი ჭურჭლის დასამზადებლად ახლო-მახლო არსებულ თიხას იყენებდა. საჭურჭლე თიხის მარაგი თვით მახვილაურთან ახლოს, სოფელ შარაბიძეებშიც არის მიკვლეული. XX საუკუნის 30-იან წლებში ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევებით აქაური თიხა ჭურჭლის დამზადებისათვის ვარგისად ჩაუთვლიათ. ბუნებრივია, აქაურ ადამიანს ადრე უნდა შეემჩნია და გამოეყენებია იგი თავისი მიზნებისათვის.

ადრეული სამიწათმოქმედო კულტურის მოგვიანო საფეხურზე აჭარის ტერიტორიაზე კერამიკული ნაკეთობა მრავალფეროვანი და უფრო დახვეწილი ხდება. ამის დასტურია ისპანსა და ნამჭედურზე ნაპოვნი თიხის ჭურჭელი, რომელიც დეკორის მრავალსახეობითაც გამოირჩევა. ძვ.წ. I ათასწლეულში ნამჭედურზე არსებულა კერამიკული სახელოსნოები, სადაც დიდი რაოდენობით მზადდებოდა სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელი, მეტალურგიასთან და რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ინვენტარი. კერამიკულ წარმოებაში გამოიყენებოდა სამეთუნეო მორგვიც. კერამიკული ნაწარმის დეკორში მოჭარბებულია გეომეტრიული ფორმები სამკუთხედებისა და რომბების სახით. ფიჭვნარში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენებში მოძიებულია ცალყურა ქოთნები, რომლებიც ზემოაჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე გამოიყენებოდა.

კერამიკული წარმოებით ანტიკურ ხანაში გამოირჩეოდა ფიჭვნარი. თიხის სხვა ჭურჭელთან ერთად აქ მზადდებოდა სხვადასხვა ტევადობისა და ფორმის ქვევრები (დერგები),

რაც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ინტერესებითაც იყო განპირობებული. ასეთი ქვევრები ნაპოვნია, აგრეთვე, ბათუმისა და ციხისძირის მიდამოებშიც. არსებითად საქმე გვაქვს საყოველთაოდ ცნობილ კოლხური ქვევრების სახეობასთან, რომლებიც მეთუნე ხელოსნის პროფესიული დახელოვნების შედეგია. ანტიკურ ხანაში კერამიკული წარმოებით ბარს არც აჭარის მთის ზონა ჩამორჩებოდა. ამის მაჩვენებელია კვაშტის ნამოსახლარზე (ქედის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი ორნამენტირებული ქვევრები, დოქები, ქოთნები, სასმისები, საბეჭდავები და სხვ.

ანტიკური ხანის აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული სამშენებლო კერამიკული ნაწარმის დამზადება, (კრამიტი, აგური, წყალგაყვანილობის მილები). ამ მხრივ დაწინაურებული ჩანს გონიო, ბათუმის ციხისა და ციხისძირის მიდამოები, ფიჭვნარი და სხვა საქალაქო ცენტრები.



კერამიკული ნაკეთობის დამზადება განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს ფეოდალურ ხანაში. აჭარის ბარისა და მთის ზონაში იშვიათად მოიპოვება სოფელი, ნაქალაქარი თუ ნასოფლარი, სადაც ამ პერიოდის კერამიკული ნაკეთობა არ იყოს აღმოჩენილი. არქეოლოგიური მონაპოვრებიდან აღსანიშნავია აჭარისწყლის მთის ზონაში (ჭვანის ციხე, სხალთა, თხილვანის ნაეკლესიარი და სხვ.) მოძიებული ინვენტარი, პირველ რიგში, დიდი ზომის ქვევრები (ჭვანის ციხის ტერიტორია), რომლებიც ადგილზე დამზადებული უნდა იყოს. ასევე უნდა ითქვას მიწაში დაფლულ ქვევრებზე, რომლებიც მრავლადაა ფიქსირებული მაჭახლისა და მერისის ხეობებში, ფურტიოში, გობრონეთში და სხვა სოფლებში. ასეთი ქვევრები გამოიყენებოდა მევენახეობა-მეღვინეობაში, მარცვლეულის შესანახავად.

კერამიკული წარმოების ძირძველი ტრადიციები აჭარაში ეთნოგრაფიული მასალებითაც კარგად ვლინდება. ამ რიგის მონაცემებით აჭარის ტერიტორიაზე თიხის ნაკეთობათა დამზადების რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ლოკალური კერა გამოიყოფა: დღევანდელი შუახევის მუნიციპალიტეტის ცენტრი და მისი მიმდებარე სოფლები (კოლოშნარი, გორხანაული, ორთამეელე), მაჭახლისა და მერისის ხეობები, ხუცუბანი, ჭახათი (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), დოლოგანი (ქედის მუნიციპალიტეტი).

XX საუკუნის 30-იან წლებში შუახევის კერამიკულ სახელოსნოებში, რომლებიც ადგილზე არსებული თიხით მარაგდებოდა, ათზე მეტი დასახელების თიხის ჭურჭელი (ქვევრები, დოქები, ჯამები და სხვ.) თუ სამშენებლო ნაკეთობა (ღარიანი კრამიტი, აგური, საკვამლე მილები) მზადდებოდა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, მაჭახლის ხეობიდან კერამიკული ნაწარმის დამზადებით სოფელი ცხემლარა (პირპილეთის დასახლებული უბანი) გამოირჩეოდა, სადაც კეთდებოდა კარგი ხარისხის ქვევრები, დოქები, ქოთნები, ჯამები, წყალგაყვანილობის მილები, ღარიანი კრამიტი. საუკეთესო ხელოსანთა მუჰაჯირად წასვლის გამო კერამიკული წარმოება აქ შეწყვეტილა. მოგვიანებით ღარიანი კრამიტი მზადდებოდა ამავე ხეობის სოფელ გორგაძეთში, მერისის ხეობაში სოფლები კუჭულა და ალიქაშვილები, ქედის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში. 1939-1940 წლებში კრამიტის ქარხანა აშენდა ცეცხლაურში, რომე-

ლიც ყოველწლიურად 400 ათას ღარიან კრამიტს ამზადებდა. ტრადიციულად, აჭარასა და მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, ღარიანი კრამიტი მზადდებოდა.

აჭარის ყველა სოფელში მისდევდნენ თიხის კეცების დამზადებას, რაც, ძირითადად, ქალის პრივილეგიას შეადგენდა.

ქვის დამუშავება. ქვის დამუშავება, რომელიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ცნობილია „ქვითხუროობის" სახელწოდებით, აჭარაში ხელოსნობის დაწინაურებული დარგი იყო. ამაზე მიგვითითებს როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები (ქვის საკულტო ნაგებობანი, ციხეები, ქვის თაღიანი ხიდები, ქვაში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი მარან-საწნახლები, შადრევნები, საცეხველები, ბუხრისა და წისქვილის ქვები და ა.შ.), ასევე, სახლმშენებლობის ტრადიციები, საველე ეთნოგრაფიული მასალები.

ქვითხუროობამ დიდი სამსახური გაუწია წარსულ ეპოქებს, დიდია მისი მნიშვნელობა თანამედროვე პერიოდშიც.

ქვითხუროობის (ქვის იარაღების) დამზადების საწყისებზე დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მიგვინიშნებენ ბარისა (მახვილაური, ქობულეთი, ხუცუბანი) და მთის (ბეშუმი, ხიხაძირი, კალოთა, ბაკო, ვერნები, თიკანაური) ზონაში გამოვლენილი ქვის სხვადასხვა იარაღები (მიკრო და მაკროლითები, მათ შორის გახეხილ-გაპრიალებული ქვის ცულები, ხელსაფქვავები, სანაყები, თოხები და ა.შ.). ისინი ნეოლითურ ხანას განეკუთვნება. ამავე პერიოდშია დადასტურებული ქვის რეტუშირებისა და გახვრეტის ტექნიკური ხერხების არსებობა.

ქვითხუროობის ნეოლითურმა ტრადიციებმა გარკვეული როლი ითამაშეს ხელოსნობის ამ დარგის განვითარებაში მომდევნო ეპოქებში. შუა საუკუნეების მაგალითზე ეს კარგად ჩანს ქვის ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკების, ქვის თაღიანი ხიდების, მარან-საწნახელების მშენებლობაში.

ქვის ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ტრადიციებზე შუა საუკუნეების აჭარაში საინტერესო მასალას იძლევა აბუსერისძე ტბელის თხზულება (1233 წელი). იგი შეიცავს მდიდარ ცნობებს ქვითხუროობის სხვადასხვა პროცესებზე, დაწყებული „ქვის აღმოხდა-აღმოკაფვიდან" ვიდრე შენობის "განსრულებამდე" ანუ მშენებლობის დამთავრებამდე, სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებაზე, მშენებლობასთან დაკავშირებულ მდიდარ ტერმინოლოგიაზე.

ქვის ეკლესია-მონასტრები, რომელთა სიმრავლით აჭარაც განსაკუთრებით გამოირჩევა, ქვითხუროობის ნამდვილი შედევრებია. ასეთნაირად წარმოგვიდგება სხალთის, ვერნების, აგარის და სხვა ძეგლები. ამავე რიგისაა აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ტაძრის ორნამენტიანი ქვის ფრაგმენტები დიდაჭარიდან, ეკლესიის ბარელიეფი ადამიანის, ცხოველისა და ჯვრის გამოსახულებით კალოთიდან, **ჯვრიანი ქვის ორნამენტიანი ფრაგმენტები ქართული წარწერით** თხილვანადან და ვერნებიდან.

ქვითხუროობის სანიმუშო ძეგლებია ციხე-კოშკები, თაღიანი ხიდები, საცეხველები, ბუხრის ორნამენტიანი ქვები და ა.შ.

დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე 35-ზე მეტი დიდი და პატარა ქვის თაღიანი ხიდი აღირიცხება, რომელთა ნაწილმა საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მოაღწია. ისინი დასტურია მათ მშენებელთა პროფესიული დახელოვნებისა. იმდროინდელი მშენებლები კარგად ერკვეოდნენ ხიდის კონსტრუქციებში, საშენ-მასალებში. ხიდების მოცულობას გონივრულად უფარდებდნენ ადგილმდებარეობას. ივარაუდება, რომ მაშინდელ ოსტატთა განკარგულებაში უნდა ყოფილიყო სპეციალური ხელსაწყოები ხის თაღების, კამარებისა და საყრდენი ბურჯების მოსაწყობად. თუმცა ეს საიდუმლოებანი ჩვენთვის უცნობი დარჩა. 1899 წელს ადიდებულ ჭოროხს დაუნგრევია შავი ზღვის შესართავთან ჭოროხზე არსებული ქვის ხიდი. იმდროინდელი რუსული გაზეთის ცნობით, ხიდის ბურჯების სიმტკიცე გაკვირვებას იწვევდა მის მნახველ ინჟინერთა შორის. ასეთი გამძლე ხიდების მშენებლობაში უმთავრესი პირობა იყო ადგილზე დამზადებული კირი და თვით ქვითხუროთა მაღალპროფესიული ოსტატობა.

ამგვარი ოსტატობის შედეგია კლდეში ნაკვეთი თუ კლდეზე მიშენებული მარან-საწნახლები, რომლებიც დაცულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენითში (განეკუთვნება ელინისტურ ხანას), მახუნცეთში, ძენწმანში, აქუცაში (ქედის მუნიციპალიტეტი), ზედა ჩხუტუნეთში, ცხემლარაში (მაჭახლის ხეობა), კირნათში (ჭოროხის ხეობა) და სხვაგან.

აჭარაში არსებული ქვის ბუხრები, პირველ რიგში, ბუხრის თაღედი ნაწილი, თავისი ორნამენტაციით, ქვითხუროობის ნამდვილი შედევრი, მაღალ ხელოვნებამდე ასული ხელოსნობის ნიმუშია, რომლის ავტორებად უპირატესად მოგზაური ლაზი ხელოსნები გვევლინებიან, მათგან ბევრ ადგილობრივ ქვითხუროსაც უსწავლია ჩუქურთმიანი ბუხრების კეთება. ქვაზე ჩუქურთმის უბადლო კვეთის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ზ.მარკოიძის (სოფ. აგარა, ხულოს მუნიციპალიტეტი), ს.გოგოლიშვილის (სოფ. მერისი, ქედის მუნიციპალიტეტი) და სხვათა ბუხრის ქვები, რომლებიც შემკულია გეომეტრიული, მცენარეული და ზოომორფული ორნამენტებით. მცენარეულ ორნამენტში სჭარბობს "სიცოცხლის ხის მოტივი", რომელიც ქართული (ლაზური) ორნამენტის დამახასიათებელი ნიშანია. ლაზური ორნამენტი განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ხეზე კვეთილობაშიც.

ბუხრის შემკულობის მაღალი ხარისხი უპირატესად შეძლებული ოჯახის პრივილეგიას შეადგენდა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით აჭარაში (ბეშუმის ალპური ზონა, სოფ. ქუთაური (შუახევის მუნიციპალიტეტი), სოფ. ვერნები (ხულოს მუნიციპალიტეტი) იყვნენ ხელოსნები, რომლებიც „წისქვილის ქვებსაც" (საფქვავი ქვა) ამზადებდნენ. მათი ნაწილი გასაყიდად გაჰქონდათ ახალციხის მხარეში.

ხალხური ფეიქრობა. ხელოსნობა-შინამრეწველობის დაწინაურებული დარგი იყო ხალხური ფეიქრობა. ხელოსნობის ამ დარგის კვალი, აჭარის ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიური ნივთიერი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძვ. წ. III ათასწლეულიდან ჩანს. ამაზე მიუთითებს ისპანში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი თიხის კვირისთავები, ხოლო მოგვიანო პერიოდში, ძვ.წ. II-I ათასწლეულებში, ქობულეთ-ფიჭვნარისა და ბათუმის ციხის ტერიტორიის არქეოლოგიური მასალებით, ფეიქრობა იმდროინდელი ხელოსნობის ერთ-ერთი მთავარი დაწინაურებული დარგი ყოფილა. რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული ნაკეთობანი (თიხის კვირისტავები, თიხის პირამიდები, საწაფები, ქსოვილიანი კერამიკის ფრაგმენტები) აღმოჩნდა წინაანტიკური და ანტიკური ხანის ფიჭვნარის ნაქალაქარზე. ანტიკურ ხანაში პირამიდული საწაფები მრავლად ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), რაც საფეიქრო წარმოების ფართო მასშტაბებზე მიუთითებს. საწაფები ვერტიკალურ დაზგებთანაა დაკავშირებული და ძაფის დასაჭიმავად იყო გამოყენებული. ასეთ დაზგებზე მზადდებოდა, აგრეთვე, სელის ქსოვილი. ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობით, კოლხური სელის ქსოვილები მაღალი ღირსების იყო და საექსპორტო დანიშნულებასაც იძენდა, ხოლო ქსენოფონტეს (ძვ. წ. IV ს.) მიხედვით რკინის წარმოებით ცნობილ ხალიბებს სელის ჩაჩქანი ემოსათ.



აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებით, წარსულში მხოლოდ სელის, აბრეშუმის, შალის, აგრეთვე, კანაფის ქსოვილებისაგან დამზადებული ტანისამოსით იმოსებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. სელ-კანაფის ნართს შეწყვილებით რთავდნენ და მას კედი ეწოდებოდა, ქსოვილს კი – ტილო, რომლისგანაც იკერებოდა მამაკაცისა და ქალის ჩასაცმელები, სათევზაო ბადეები და სხვ. განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებოდა სელის პერანგს, რომელიც ხელსაყრელი იყო მოხმარებით და გამძლეობითაც გამოირჩეოდა.

სელისა და კანაფის ქსოვილს მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. კანაფის ნართისაგან მზადდებოდა ტომრები, თოკები, თაფლის საწურები, სხვა დანიშნულების ნივთები. ბამბისა და აბრეშუმისაგან ქსოვდნენ სადა და ბადისებურ წინდებს, ხელთათმანებს, თორ-სარტყლებს, საფულე და ჯიბის საათის ქისებს, რომლებიც განკუთვნილი იყო სამზითვო დანიშნულებითაც. მატყლისაგან მზადდებოდა ჩოხა-შალი, წინდები და ხელთათმანები, ყაბალახები, ქალის წინსაფრები, ხურჯინი, ცხენის კეხ-უნაგირის ზოგიერთი აღკაზმულობა. წინდებისა და ხელთათმანების მოსაქსოვად თხის ბეწვსაც იყენებდნენ. აჭარლებისათვის

შალის ჩოხა წარსულში ყოველდღიური ტანსაცმელი იყო. შალის ქსოვილების დამზადებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზემო აჭარა, ხოლო ქვემო აჭარაში – მერისისა და მაჭახლის ხეობები. თ.სახოკია გასული საუკუნის ბოლოს წერდა, რომ ღორჯომში მოქსოვილი შალებით იმოსებოდა ზემო აჭარის მკვიდრთა უმეტესობა. ა.ფრენკელის ცნობით, კარგი ხარისხის შალისა და აბრეშუმის ქსოვილები მზადდებოდა ქალაქ ბათუმსა და მის ახლო-მახლო სოფლებში, აგრეთვე, ჩურუქ-სუში.

რთვა-ქსოვისათვის განკუთვნილი იყო სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობა, მათ შორის, საქსოვი დაზგები. ისინი ორი სახის იყო: ჰორიზონტალური, რომელსაც **საფეიქრო** ეწოდებოდა, და ვერტიკალური, რომელსაც **ყდა** ერქვა. პირველზე, ძირითადად, იქსოვებოდა ტილო, საჩოხე შალი, საყაბალახე ქსოვილი, ფარდაგები, უნაგირის ზოგიერთი აღკაზმულობა, წინსაფრები, მეორეზე – თორ-სარტყლები.

საგანგებო დაზგები გამოიყენებოდა შალის ქსოვილის მოსათელავად. ისინი ცნობილია შალის სათელავის სახელწოდებით. მას ორი კაცი ემსახურებოდა. მაჭახლისა და მეზობელი ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილის სოფლებში (კირნათი და სხვ.) ფიქსირებულია შალის სათელავები, რომლებიც კონსტრუქციულად განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული სათელავებისაგან. ეს არის გაუმჯობესებული სახის სათელავი, რომელიც აადვილებდა შალის თელვის პროცესს, ზრდიდა თვით ქსოვილის ხარისხს და გამძლეობას. შალს ფეხითაც თელავდნენ. ამ მიზნით სარეცხ ჯარას (ვარცლი) ან ჩელტს (მოწნული ლასტი) იყენებდნენ. შალის ქსოვილს ღებავდნენ შავად. საღებავი მზადდებოდა კაკლის, მურყანის, წყავის ნედლი ქერქისა და კაკლის მწვანე ნაყოფის წვენისაგან, რომლებიც, ერთად აღებული, წყალში იხარშებოდა. იყენებდნენ სპეციალურ საღებავსაც, რომელსაც ქალაქ ბათუმში ყიდულობდნენ.

აჭარის სოფლად და ქალაქად ფართოდ იყო გავრცელებული **ქარგვის** ტრადიცია. რთვა-ქსოვის პარალელურად, გოგონას ადრეული ასაკიდანვე ასწავლიდნენ ქარგვას. გასათხოვარ ქალს ეს საქმე აუცილებლად უნდა სცოდნოდა. ამას სარძლოს დანიშვნის დროსაც ექცეოდა ყურადღება. საქარგავად იყენებდნენ შინნაქსოვ და ფაბრიკულ ქსოვილებს, ბამბისა და აბრეშუმის ძაფს, ოქრომკერდს ანუ სირმას. მაჭახლის ხეობის მეტყველებაში ფიქსირებულია „მოსირმული“, „სირმიანი“, „მოსირმული კაბა“, „სირმით ნაკერი“, „სირმით მოქსოვილი“, „კედით ნაქსოვი“ და სხვა ტერმინები, რომლებიც ძველ ქართულ წერილობით წყაროებშიცაა მოხსენიებული. ეს ტერმინები „ოქროქსოვილის“ თუ „ოქრონემსულის“ იდენტური უნდა იყოს. სირმით ქარგავდნენ პერანგებს, ყაბალახებს, ბალიშის პირებს, თორ-სარტყლებს, საათის ქისებს, საფულეებს დ სხვა ნივთებს. მოქარგულობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა „მახარობლის ბალიში”, რომელსაც აჭარის მოსახლეობის საქორწილო ცერემონიალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მოქარგული ნივთები მზითვის აუცილებელი ელემენტიც იყო.

ქარგვითი ხელოსნობის ძველი ტრადიციები, მისი დახვეწილი სახე ამოიკითხება სარიტუალო-საეკლესიო დანიშნულების სამოსელზე, სხვა სახის ნივთებზე, რითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და, მათ შორის, აჭარა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ზ.ჭიჭინაძის ცნობა, რომელიც მას XIX საუკუნის ბოლოს ჩაუწერია აჭარაში მოგზაურობის დროს. იგი წერდა: „მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამღვდლო სამოსელი აქეთ იკერებოდა. აქედანვე იგზავნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ნაქსოვ-ნაკერი საეკლესიო სამკაული: დაფარნები, ოქრომკედი, აღსავლის კარების ფარდები, ოლარები, ხატის ფარდაგები. ამის ნიშნები დღევანდლამდე აქვთ დაშთენილი ნამეტურ იმ ოჯახებში, სადაც ძველი რომელიმე წევრი ოჯახის საეკლესიო წოდების ყოფილა. ასეთ ოჯახებში დღესაც მოკრძალებით ინახავენ ქალები ძველს საეკლესიო ნივთებს.“

აჭარა საქართველოს იმ რეგიონთაგანი იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური ხელოსნობის ჩასახვა-განვითარებაში.

ხელოსნობა-შინამრეწველობის დარგებიდან დღეს მხოლოდ ხის დამუშავება, კერამიკული და სამჭედლო ნაკეთობათა დამზადება შემორჩა. გაიზარდა მატყლის, ბამბის, ფეიქრული ნაწარმის დამზადება, რაც ოჯახის შემოსავლის ზრდის დამატებით წყაროდ იქცა.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. გოგიტიძე ს., ახალი ტიპის საწაფები მახვილაურის ნეოლითური ნასახლარიდან, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ბათუმი, 2008.

2. დავითაძე ა., ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974.

3. ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე, ბათუმი, 1979.

4. თანდილავა ზ., მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში (ლაზური და აჭარული მასალების მიხედვით), – კრ.: აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბილისი, 1966.

5. თანდილავა ზ., მეთევზეობის ლექსიკიდან, – კრ.: აჭარის დიალექტის დარგობივი ლექსიკიდან, თბილისი, 1976.

6. კახიძე ნ., მევენახეობა და მეხილეობა მაჭახლის ხეობაში, – აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბილისი, 1971.

7. კახიძე ნ., მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი, 2009.

8. კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974.

9. კახიძე ნ., მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, I, თბილისი, 1973.

10. კახიძე ნ., ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2004.

11. კვეზერელი-კოპაძე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბილისი, 1972.

12. ნოდაიდელი ჯ., ჩხეიძე ჯ., აჭარული სამიწათმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება, – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1960.

13. რამიშვილი მ., გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბილისი, 1948.

14. რობაქიძე ალ., დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ბათუმი, 1962.

15. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბილისი, 1960.

16. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი, 2009.

17. სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), ბათუმი, 1985.

18. შამილაძე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარა). თბილისი, 1969.

19. ჩიტაია გ., 1933 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია აჭარაში. – შრომები, III, თბილისი, 2001.

20. ჩიჯავაძე ნ., სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბილისი, 1971.

21. ჩიჯავაძე ნ., დასავლურ-ქართული სახვნელი იარაღები, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბილისი, 1976.

22. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960.

23. ხახუტაიშვილი დ., რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 1964.

24. ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის ქვეყანა, I, ბათუმი, 1995.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. რატომაა აუცილებელი ტურიზმის სპეციალისტისთვის მხარის ტრადიციული მეურნეობისა და სამეურნეო ყოფის ცოდნა?

2. დაასახელეთ აჭარის ტრადიციული მეურნეობის დარგები.

3. ჩამოთვალეთ სამიწათმოქმედო კომპონენტები და დაახასიათეთ ერთ-ერთი მათგანი.

4. როდის ვრცელდება აჭარაში სიმინდის კულტურა? ჩამოთვალეთ მათი ჯიშები.

5. ჩამოთვალეთ აჭარაში გავრცელებული მაღლარი ვაზის ძველი და ახალი ჯიშები.

6. რა სახის მარან-საწნახელები არსებობდა აჭარაში და სად იყო იგი გავრცელებული?

7. რა იცით ღვინის ტურების (ღვინის სახლები) შესახებ დღევანდელ აჭარაში?

8. ხეხილის რომელი ჯიშები იყო გავრცელებული აჭარაში?

9. რას ნიშნავს მთა-ბარული (მომთაბარული) მესაქონლეობა და წლიური სამეურნეო ციკლი მესაქონლეობაში?

10. რა სახის მესაქონლეობა იყო გავრცელებული აჭარაში?

11. მეფუტკრეობის რომელი ფორმები იყო გავრცელებული აჭარაში?

12. გვესაუბრეთ თევზჭერის ხერხებისა და საშუალებებზე აჭარაში.

13. რას ნიშნავს ფერმერული თევზის მეურნეობები?

14. ჩამოთვალეთ ხელოსნობის რომელი უძველესი დარგები იყო გავრცელებული აჭარაში?

15. რა იცით ცეცხლსასროლი საბრძოლო იარაღების დამზადების შესახებ აჭარაში?

თავი VI – ტრადიციული მატერიალური კულტურა

გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი

გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი ის საკომუნიკაციო საშუალებებია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ცხოვრება, ქვეყნებისა და ხალხების ყოველმხრივი ურთიერთობა. სახმელეთო და სამდინარო-საზღვაო გზებით უკავშირდება ერთმანეთს ქვეყნები და ქვეყნის შიგნით არსებული ცალკეული რეგიონები.

გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა საქართველოსა და, კერძოდ, აჭარაში განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს შუა საუკუნეებში, როდესაც ყველა სახის აღმშენებლობითი საქმიანობა დაწინაურდა. ასე იყო დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარის (1189-1213) მეფობის დროს, რასაც კარნახობდა ქვეყნის სამეურნეო, სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო, პოლიტიკური და თავდაცვითი ინტერესები. ამ საქმეს არნახული ბიძგი მისცა საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებამ, რომელიც წარმოუდგენელი იყო თუნდაც ოდნავ მოწესრიგებული საგზაო კომუნიკაციების გარეშე. ამიტომაც, გზები, საგზაო და საკომუნიკაციო საშუალებები ყოველთვის იყო ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ყურადღებისა და შესწავლის საგანი.

გზების შესწავლისას ყურადღებას იქცევს როგორც საცალფეხო მნიშვნელობის შიდა გზები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა აჭარის ცალკეულ ხეობებს, ისე მთავარი სავაჭრო-საქარავნო გზები მკვიდრად ნაშენი ქვის თაღიანი ხიდებით, მის ახლომახლო განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობებით (ციხე-კოშკებით).

სავაჭრო-საქარავნო თუ სამხედრო გზებმა მნიშვნელობა განსაკუთრებით შუა საუკუნეებიდან შეიძინა, თუმცა, როგორც ირკვევა, რომაელთა ხანაშიც, ანუ გაცილებით ადრე, დიდი იყო ინტერესი იმ გზისადმი, რომელიც ციხე-ქალაქ პეტრაზე გადიოდა. ამ გზაზე მოდიოდა ცნობილი აბრეშუმის გზის მონაკვეთიც.

ტაო-კლარჯეთის აღზევების ხანაში აჭარის ტერიტორიაზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო თუ სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის გზები, რომლებიც მიემართებოდა შავშეთ-იმერხევისა და არტანუჯისაკენ. სწორედ ამ გზებზე შენდებოდა მრავლად ქვის თაღიანი ხიდები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

აჭარისათვის ყველა დროში სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა იმ სახმელეთო გზებს, რომლებიც ბათუმიდან მიემართებოდა, ერთი მხრივ, გურიისაკენ და მისი მეშვეობით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისაკენ, მეორე მხრივ, აჭარისწყლის გაყოლებით გოდერძის უღელტეხილამდე (2022 მ ზღვის დონიდან), რომლითაც შეიძლებოდა ჩასვლა სამცხე-ჯავახეთში. ჭოროხის გაყოლებით სახმელეთო და სამდინარო გზით მოძრაობა შეიძლებოდა ართვინამდე და აქედან ტაო-კლარჯეთის რაიონებამდე. სხალთის ხეობის სოფელ ბაკოში იყრიდა თავს ახალციხესა და შავშეთ-არტანუჯში გამავალი გზები.

საგზაო კომუნიკაციებში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გოდერძის უღელტეხილს, რომელიც უხსოვარი დროიდან უნდა ყოფილიყო დამაკავშირებელი რგოლი აჭარის ბარისა და მთის მოსახლეობისა ალპურ ზონასთან, სადაც მესაქონლეთა სეზონური საზაფხულო დასახლებები არსებობდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების პროცესში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნეოლითში, აჭარის ზღვისპი-

რეთის მოსახლეობა გოდერძის უღელტეხილზე გამავალი გზით უნდა დაკავშირებოდა ობსიდიანით და კაჟით მდიდარ რაიონებს თრიალეთისა და გოდერძის შემოგარენის სახით.

ობსიდიანი და კაჟი იყო ის მთავარი ნედლეული, რომლითაც ადრესამიწათმოქმედო იარაღი მზადდებოდა. ზღვისპირეთიდან, კერძოდ, „ქობულეთის ქვეყნიდან“ ხინოზე გავლით გადიოდა გზა ზემო აჭარისაკენ და აქედან გოდერძის უღელტეხილით თრიალეთისაკენ.

ზემო აჭარის გადასასვლელებით, სახელდობრ, აჭარისწყლის, ღორჯომისა და სხალთისწყლის სათავეებზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებით მყარდებოდა უშუალო კონტაქტები აღმოსავლურ ქართულ-იბერიულ კულტურულ კერებთან (დიმიტრი ბაქრაძე).

გიორგი ყაზბეგის დახასიათებით ზემო აჭარის გზებს შორის ყველაზე საუკეთესო და ერთ-ერთი მთავარი ის გზა იყო, რომელიც სხალთიდან ბაკოზე გავლით ფოცხოვისაკენ მიემართებოდა. ეს გზა ცნობილია აჭარის გზის სახელწოდებით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სხალთიდან ხულოს გავლით ზემო აჭარის მაშინდელი მმართველის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ბრძანებით გაიყვანეს. როგორც ირკვევა, შერიფ-ბეგი განსაკუთრებით ყოფილა დაინტერესებული გზების კეთილმოწყობით, რაც მოსალოდნელი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის ინტერესებშიც შედიოდა, როგორც სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გზა. თუმცა, თურქეთის მთავრობას ყურადღებიდან არ გამორჩენია ეს ფაქტი და ბეგს გზების შემდგომი მშენებლობა აუკრძალა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოუწვევია.

სხალთის ხეობიდან, მდ. აჭარისწყლის დაყოლებით, ქედისა და სოფ. აჭარისწყლის გავლით, გზა ზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა და აჭარის მთიან ნაწილს ბათუმთან აკავშირებდა. XIX საუკუნის ბოლოს სხალთა-ბათუმის გზის მონაკვეთზე ყოველწლიურად 2 ათასი საპალნე ტრანსპორტი მოძრაობდა, რაც ამ გზის დიდ ეკონომიკურ და სავაჭრო-საკონტაქტო მნიშვნელობაზე მიუთითებს.

სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა მნიშვნელობით გამოირჩეოდა დერცელიდან ქვაბლიანის ხეობაზე და გოდერძის უღელტეხილზე გავლით ზემო აჭარაში (ხულოში) მიმავალი გზა, რომელიც შედარებით უკეთ ყოფილა მოწყობილი. ამ გზით ჩავიდა აბასთუმნიდან წამოსული გიორგი ყაზბეგი ხულოში 1874 წელს. აქედან კი სხალთის ხეობის გავლით იგი თავის ამალასთან ერთად ჯერ შავშეთში ჩავიდა, შემდეგ არტანუჯში, ართვინში და ლაზისტანში, საიდანაც ბათუმში დაბრუნდა.

სოფელ ბაკოდან ერთი გზა ჩირუხის მთისა და არსიანის ქედის გადავლით დღევანდელი თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ყვირილას ხეობაში ჩადიოდა. მეორე გზა, რომელიც უფრო ბილიკს წააგავდა, მირატის (მარეთის) ხეობიდან იმერხევში ეშვებოდა.

ზემო აჭარისა და გურიისათვის დიდი მნიშვენლობა ჰქონდა ზემო აჭარიდან გურიაში გადასასვლელ გზებს. ამ გზებით შეეძლოთ ჭვანისა და ღორჯომის ხეობათა მცხოვრებლებს პირუტყვისა და რძის ნაწარმის გაყიდვა ოზურგეთში. თავის მხრივ, ოზურგეთი ზემო აჭარას ამარაგებდა აუცილებელი მანუფაქტურული ნაწარმით. ღორჯომიდან გურიაში გადასასვლელი გზებიდან თედო სახოკია გამოყოფდა **ჩრდილას გზას**, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და დიდი უპირატესობაც გააჩნდა მთა ბადიშიდან გადასასვლელ გზასთან შედარებით.

მნიშვნელოვანი საქარავნო გზა გადიოდა მაჭახლის ხეობაზე. ეს იყო უმოკლესი სახმელეთო გზა, რომელიც შავშეთის მხარეს ზღვისპირეთთან (ბათუმთან) აკავშირებდა. შემოხვევითი როდია, რომ მარტო ამ გზის მაჭახლის მონაკვეთზე ქვის თაღიანი ცხრა ხიდი

და ოთხი ციხე-კოშკი არსებობდა, რაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. მაჭახლის ხეობაზე გამავალი გზა თითქმის ორჯერ მოკლე იყო, ვიდრე შავშეთიდან ბათუმთან დამაკავშირებელი გზა, რომლის დიდი ნაწილი მდ. ჭოროხს მიუყვებოდა.

ართვინიდან ბათუმისაკენ მიემართებოდა ჭოროხის სამდინარო გზა. მიმოსვლას **ბრტყელძირიანი ნავები** ემსახურებოდა, რომელთა რიცხვი XIX საუკუნის 70-იან წლებში რამდენიმე ათეულს აღწევდა. ერთ მოზრდილ ნავს ტონამდე ტვირთის წაღება შეეძლო მგზავრებთან ერთად. ერთ-ერთი მთავარი ნავმისადგომი, როგორც მგზავრთა შესასვენებელი ადგილი, აღნიშნული წლებიდან სოფელ კაპანდიბში ფუნქციონირებდა (დღევანდელი მახოს ახალი ხიდის ახლოს), სადაც მგზავრებს საჭმელ-სასმელითაც უმასპინძლდებოდნენ. კაპანდიბიდან მდინარის საპირისპირო მიმართულებით ნავები თრევით აჰქონდათ.

ბათუმ-ართვინის ჭოროხის სამდინარო სანაოსნო გზა 1921 წლამდე ფუნქციონირებდა. ამ წელს შეწყდა მოძრაობა შავშეთიდან მაჭახლის ხეობაზე გამავალ გზაზე. საქართველო-თურქეთის საზღვრების დადგენის შემდეგ, როდესაც მაჭახლის ხეობის ზემო ნაწილი (ზედა მაჭახელი ექვსი სოფლით (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე) თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის ილჩე) მოექცა.

აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისა და დედასამშობლო საქართველოს დაბრუნების შემდეგ, რაც განხორციელდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, ყურადღება მიექცა, საერთოდ, მთავარ სამიმოსვლო და, კერძოდ, ბათუმ-ხულო--გოდერძის უღელტეხილის დამაკავშირებელ გზას, რომელიც ადიგენ-ახალციხემდე ჩადიოდა. ეს გზა დღესაც ბათუმ-ახალციხის გზად იწოდება. გზის კეთილმოწყობის სამუშაოები ომის დამთავრებისთანავე დაიწყო, მაგრამ ინტენსიურად განახლდა 1898 წლიდან, რისთვისაც 109 ათასი მანეთი გამოიყო. 1902 წელს ამ გზაზე საფოსტო მოძრაობაც გაიხსნა.

პირველი მსოფლიო ომის წინახანებში დიდი სამხედრო მნიშვნელობა შეიძინა 157 კმ სიგრძის ბათუმ-ბენარას (ადიგენის რაიონი) გზამ. XIX საუკუნის ბოლოს ამ გზის ყველაზე კეთილმოწყობილი მონაკვეთი იყო ბათუმ-აჭარისწყლის 19 კმ-იანი გზა, რომლის ერთი ხაზი ხულო-ახალციხისაკენ მიემართებოდა, მეორე კირნათზე გავლით, ართვინ-არდაგანისაკენ.

ბათუმ-ხულო-ახალციხის გზა კიდევ უფრო გაფართოვდა და კეთილმოეწყო უკანასკნელ წლებში. ამჟამად დაგებულია მთელი გზის საფარი. ფართოვდება და უმჯობესდება შიდასამიმოსვლო გზები. ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მოქმედებს საბაგირო გზა ხულოს ცენტრიდან სოფელ თაგომდე, რომელიც დროსა და სიგრძეში ამცირებს მოსახლეობის გადაადგილებას ხულოს ცენტრამდე და აქედან ბათუმისა და გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით.

გზების პარალელურად შენდებოდა ხის და ქვის თაღიანი ხიდები. მთავარ სამიმოსვლო გზებზე შედარებით ფართო ხიდებია აშენებული, რომელთა ნაწილი ქართული ურმის გაბარიტებს შეესაბამებოდა.

დღეისათვის აჭარაში 35-მდე დიდი და პატარა ქვის თაღიანი ხიდია დაფიქსირებული. მათი ერთი ნაწილი XIX საუკუნის ბოლოს მომხდარ წყალდიდობებს დაუნგრევია. 15-მდე ხიდი კი დღესაც შედარებით კარგადაა დაცული. ასეთებია **დანდალოს, ფურტიოს, ჭვანის, უჩხოს, აგარის, მახუნცეთის, ჩხერის, ჩომახისურის (ქოქოლეთის), ცხემლარას, მირვეთის, მახოს, ცხემვანის** და ა.შ. ყველა მათგანი ძირითადად ძველ სავაჭრო-საქარავნო გზებზეა აშენებული და აკავშირებდა როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს.

საქართველოს ქვის თაღიან ხიდებს შორის არქიტექტურულ-ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით საუკეთესოდაა მიჩნეული **დანდალოს ხიდი** მდინარე აჭარისწყალზე ამავე დასახელების სოფელში, რომელიც ზედა და ქვედა აჭარის საზღვარზე მდებარეობს. ხიდი აშენებულია ვულკანური წარმოშობის თლილი ქვით კირის დუღაბზე, რომლის ბურჯები კლდეზეა დაშენებული. ხიდის სიმტკიცეზე ისიც მიუთითებს, რომ მცირედი დაზიანების მიუხედავად, იგი დღემდე ფუნქციონირებს და ტურისტ-დამსვენებელთათვის მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენს.

სიდიდით მეორეა **მახუნცეთის ხიდი** ამავე დასახელების სოფელში მდ. აჭარისწყალზე (ქედის მუნიციპალიტეტი) ბათუმ-ახალციხის ცენტრალური ტრასიდან 59 მეტრის მოშორებით. ხიდის სავალი ნაწილის სიგრძე 28,7 მეტრია. ხიდის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ვულკანური წარმოშობის ქვა კირის დუღაბზე. შუა საუკუნეების აჭარის ყველა თაღიანი ხიდი კირხსნარითაა ნაშენი. კირი კი ადგილზე მზადდებოდ.

სოფელ ფურტიოში (ხულოს მუნიციპალიტეტი) სხალთისწყლის ხეობის დასაწყისში მდებარეობს **ფურტიოს ხიდი**. იგი აკავშირებდა სხალთის ხეობაში არსებულ ძველ გზებს აჭარისწყლის ხეობაში გამავალ გზებთან. ამ ხიდზე გადიოდა სხალთის ხეობიდან ზღვისპირეთისკენ (ბათუმისკენ) მიმავალი საქარავნო გზა. ხიდის ძირითადი სავალი ნაწილის სიგრძე 13,5 მეტრია, სიგანე – 2,35 მეტრი. თედო სახოკია ფურტიოს ხიდის შესახებ ასე წერდა: "ადამიანს ძალზე ანცვიფრებს ის სითამამე, რა სითამამითაც ძველი დროის ოსტატს ეს ქვის რვალი ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაუტყორცნია. მისი მშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბევრს ახლანდელ ინჟენერს აწურვინებს ოფლს". თ.სახოკიას ეს

სიტყვები აჭარაში არსებულ ყველა ქვის თაღიან ხიდზე შეიძლება ითქვას, რაც მაშინდელი ხიდმშენებლების მაღალ ოსტატობასა და დახელოვნებაზე მიუთითებს.

ფურტიოს ხიდს "დედოფლის ხიდსაც" უწოდებენ. გადმოცემით, სხალთის ეკლესიაში სალოცავად მიმავალ თამარ დედოფალს ამ ხიდზე გაუვლია.

ქვის თაღიანი ხიდების სიმრავლით განსაკუთრებით მაჭახლის ხეობა გამოირჩევა. იგი დღეს ორ ნაწილადაა გაყოფილი. მისი ერთი ნაწილი, ანუ ზედა მაჭახელი 6 სოფლით თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. მეორე ნაწილი, ანუ ქვედა მაჭახელი, ასევე 6 სოფლით საქართველოს საზღვრებშია (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, მაჭახლის თემი). ორივე ნაწილში სულ 9 ქვის თაღიანი ხიდი ფიქსირდება (ხუთი ქვედა მაჭახელში, ოთხი ზედა მაჭახელში). ხეობაში ხიდების ასეთი სიმრავლე გამოწვეული იყო არა მარტო ხეობის ღრმად ჩაჭრილი ხევებითა და მდინარეებით, არამედ ხეობის დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობით, რასაც იგი ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში.

მაჭახლის ხიდებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია **ცხემლარისა** და **ჩხერის** ხიდები. პირველი უშუალოდ მდინარე მაჭახელაზეა აშენებული. ამ ხიდზე გადიოდა საცალფეხო გზა, რომელიც სოფელს და ქვედა მაჭახლის ხეობას მეზობელ აჭარისწყლის ხეობის მარცხენა სოფლებთან აკავშირებდა. მეორე ხიდი კი მდინარე მაჭახლის მარჯვენა შენაკად ჩხერის ღელეზე მდებარეობს. ამ ხიდზე გადიოდა დასახელებული უმოკლესი სახმელეთო საქარავნო გზა.

ჭოროხის მარცხენა შენაკად მახოსწყალზეა აგებული ამავე დასახელების **მახოს** ქვის თაღიანი ხიდი, რომლის სიგრძე 6 მეტრამდე აღწევს, სიგანე შუა ნაწილში 2 მეტრია. ხიდი ნაშენია ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე.

რამდენიმე თაღიანი ხიდია დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (კინტრიშის ხეობა). ესენია **ბასრიმელეს** (სიგრძე – 22 მ, სიგანე – 2,5 მ), **ცხემვანის** (სიგრძე – 20 მეტრი, სიგანე – 2,5 მ), ვარჯანაულის (სიგრძე – 14,6 მ, სიგანე – 2,6 მ).

კინტრიშის, მერისის და ჭვანის ხეობაში **ხის დახურული ხიდებიც** არსებობდა, ზოგიერთ პატარა ღელეებზე კი დაკიდული და ძელის ხიდები.

აჭარაში არსებული ქვის თაღიანი ხიდების უმრავლესობა IX-XIII საუკუნეებში, მცირე ნაწილი კი გვიან შუა საუკუნეებშია აგებული.

აჭარის მთავარ და შიდა გზებთან დაკავშირებით საინტერესოა გზების გამოსაცნობი ნიშნების არსებობა. ისინი გამოიყენებოდა უამინდობისა და ნისლის შემთხვევებში, რასაც მთის პირობებში ხშირად ჰქონდა ადგილი. ეს ნიშნები ხალხში ცნობილია **ქვაკაცების** თუ **ქვაჯვარაების** სახელით. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მარეთისა და სხალთის ხეობების დამაკავშირებელ ერთ-ერთ ბილიკზე აღმართულ ქვაკაცებს სარიტუალო დანიშ-

ნულებაც გააჩნდა. ქვაკაცებთან სრულდებოდა ლაზარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომელთა მიზანი იყო სასურველი ამინდის გამოწვევა. ამდენად, ქვაკაცებს ორმაგი ფუნქცია გააჩნდა – პრაქტიკული, ანუ ორიენტაციაში გარკვევა, და სარიტუალო.

სოფლებისა და ხეობების დამაკავშირებელ შიდა და მთავარ მაგისტრალურ გზებზე, ასევე, გზაჯვარედინებზე წესად ყოფილა მიღებული სასმელი (მეტწილად წყაროს) წყლების გამოყვანა და შადრევნების მოწყობა მგზავრთა წყურვილის მოსაკლავად. სხალთის ხეობიდან ბაკოსაკენ მიმავალ გზაზე, სოფელ კვატიაში დღესაც ფუნქციონირებს საგანგებოდ გამოყვანილი წყაროს წყალი, რომელსაც პირველად გ. ყაზბეგმა მიაქცია საგანგებო ყურადღება. მისი თქმით, ეს იყო „კვატიის გიგანტური წყარო“. დღესაც მგზავრი აქ ისე არ გაივლის, წყაროს წყალი რომ არ დააგემოვნოს.

ასეთივე ცივი სასმელი წყლები ფიქსირდება მოგზაურთა ჩანაწერებში ქედა-ხულო-გოდერძის საგზაო მაგისტრალზე სოფელ დანდალოსა და რიყეთში.

გზების, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის ხარჯები გაიღებოდა როგორც სახელმწიფოს ან ფეოდალის მიერ, ვის მიწა-წყალზეც ასეთი ნაგებობანი არსებობდა, ისე შემოწირულობებისა და გადასახადების გაწერის გზით.

აჭარა საფორტიფიკაციო ნაგებობებითაც ანუ ციხე-კოშკებითაც გამოირჩეოდა. ასეთი ციხეები ყველა ხეობასა და თითქმის ყველა იმ სოფელში არსებობდა, რომლებიც მნიშვნელოვან სავაჭრო-საქარავნო გზებზე ან მის ახლომახლო მდებარეობდა. ეკლესია-მონასტრების, ხიდების, სარწყავი არხებისა და სხვა ნაგებობათა მსგავსად საფორტიფიკაციო ნაგებობანი სხვადასხვა პერიოდში შენდებოდა.

დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე სულ 20-ზე მეტი საფორტიფიკაციო (ციხე-კოშკი) ნაგებობა აღირიცხება. ამათგან უმრავლესობა (ხიხანის, **ციხისყელის, ბეგოშვილების, ჭვანის, კავიანის, ოქროპილაურის, მთისუბნის, ვარდციხის, ნიგაზეულის, დარჩიძეების, ცივასულას, გულების, საღორეთის, ზენდიდის, ჩხუტუნეთის)** მთიან აჭარაზე (ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტები, მაჭახლის ხეობა) მოდის, დანარჩენი დაბალი ზონის ტერიტორიაზე (გონიოს, **პეტრას, გვარას, ალამბრის, თამარის, ყოროლისწყლის)**.

ჩამოთვლილი საფორტიფიკაციო ნაგებობებიდან სიდიდითა და სტრატეგიული მნიშვნელობით გამოირჩევა ხიხანის, გონიოს, პეტრას, ჭვანის, ნიგაზეულის, ზენდიდის ციხეები.

ხიხანის ციხე მდებარეობს სხალთა-ხიხანის წყლის სათავეებში, ბათუმიდან 125 კმ-ის მოშორებით, არსიანის მთის ერთ-ერთ განშტოებაზე, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, ზღვის

დონიდან 2635 მეტრზე. ციხე ერთ ჰექტარზეა გადაჭიმული. მისი კედლების სიმაღლე ზოგან 5-6 მეტრს აღწევს, სიგანე ერთ მეტრამდეა. ციხის კომპლექსში შედის მრავალსართულიანი 4 კოშკი, ეკლესია, მიწაში ჩამარხული ქვევრები, სხვა დამხმარე ნაგებობანი.

ხიხანის ციხის მშენებლობა აჭარის ერისმთავრების – აბუსერისძეების მოღვაწეობას უკავშირდება. XI საუკუნის შუა ხანებში ციხის მფლობელად იხსენიება აბუსერ I აბუსერისძე. XI-XIII საუკუნეებში ციხე დასახელებულ ერისთავთერისთავების რეზიდენციას წარმოადგენდა.

ხიხანის ციხის ეკლესიაზე შემონახულია ცნობები, რომელიც XIII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ მწერალსა და მოაზროვნეს აბუსერისძე ტბელს ეკუთვნის. ეს იყო წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ტბელს ძმების აბუსერისა და ვარდანის დავალებით აუგიათ. ეკლესიის აშენების ინიციატორები სოფელ ბაკოს მცხოვრებნი ყოფილან. ეკლესიის მშენებლობის განსრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია აბუსერისძე ტბელის მეუღლეს ბაგულის.

ხიხანის ციხე სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზეა აღმართული. იგი წარმოადგენდა მიუვალ ციტადელს მტრების შემოსევების დროს და დარაჯივით ედგა მთელ ზემო აჭარას და აკონტროლებდა სავაჭრო-საქარავნო გზებს, რომლებიც ხიხაძირის ხეობაში ბაკოზე გავლით მიემართებოდა ახალციხისაკენ, კალოთის ხეობისა და ჩირუხის მთის გავლით შავშეთ-კლარჯეთისაკენ, ახალციხე-არტაანიდან სხალთა-აჭარსიწყლის გავლით კი ზღვისპირეთისკენ. ამიტომაც ყოველი მომხდურის პირველ დარტყმებს ხიხანის ციხე განიცდიდა.

ხიხანის ციხეს არც შემდეგ საუკუნეებში არ დაუკარგავს თავდაცვითი მნიშვნელობა. ამ ციხეს აფარებდა თავს სიცოცხლის ბოლო წლებში სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილის ბაბუა. 1815 წელს არზრუმის სერასკირმა ბაბა-ფაშამ ექვსი ათასიანი ლაშქრით და მოღალატის ხელშეწყობით შეძლო მისი შეპყრობა. სელიმს თავი მოკვეთეს. სიკვდილის წინ მას ამაყად უთქვამს: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ არ შერჩება ოსმალეთს. ამის ხსოვნას ვუტოვებ ჩემს შვილებს“.

სხალთისწყლის ხეობისა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თავდაცვით ნაგებობათა სისტემაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **ციხისყელსა** და **ვარდციხეს,** რომლებიც ერთმანეთისგან 150-180 მეტრითაა დაშორებული. ციხისყელი მდებარეობდა სოფელ ხიხაძირის დასავლეთით 1 კმ-ის მოშორებით მდინარე კალოთისა და ხიხანისწყლის შესართავთან მაღალ კლდეზე. მის გაგრძელებას წარმოადგენდა ვარდციხე. ეს ციხეები აკონტროლებდა კალოთისა და ხიხანისწყლის სათავეებისკენ მიმავალ გზას, რომელიც ხიხანს უკავშირდებოდა.

ციხისყელი და ვარდციხე XI-XIII საუკუნეებით თარიღდება. ეს ციხეები სათანადოდ ჯერ კიდევ არაა შესწავლილი.

ჭვანისწყლის ხეობაში დიდი მნიშვნელობის თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა **ჭვანის (ტაკიძეების) ციხე,** რომელიც აღმართულია მდინარე ჭვანისწყლის მარჯვენა შენაკად ოთოლთის წყლის შესართავში. ციხის კომპლექსი თითქმის ერთ ჰექტარზეა გადაჭიმული. თვით ციხის სიგრძე 52 მ-ია, სიგანე - 18 მ. იგი ციხის სათვალთვალო კოშკებიდან გადაჰყურებდა ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის შესართავთან მდებარე კავიანისა და ზედა და ქვედა აჭარის საზღვარზე მდგომ დანდალოს ციხეს. მთლიანობაში, ჩამოთვლილი ციხეები აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ერთიან სისტემას ქმნიდა. თვლიან, რომ ციხე XI-XIII საუკუნეებში უნდა იყოს აშენებული. დღემდე დაზიანებული სახით შემორჩა ორი ციხე მარეთის ხეობაში. ერთია **დარჩიძეების (გოგოლაურის)** სოფელ დარჩიძეებში, მეორე **ოქროპილაურის** (ყალაბოინის **ციხე** ჩირუხისა და უჩამბის (ღომას) წყლების შესართავში. ტბეთ-უჩამბისწყლის ხეობაშია ცინარეთის ციხეც. ისინი მარეთის ხეობაზე გამავალ გზას აკონტროლებდნენ და იცავდნენ.

ოთხი ციხესიმაგრე არსებობდა დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ერთია **ცივასულა** საღორეთისა და აგარის წყლების შესართავში, მეორე – **საღორეთის,** რომელიც ამავე სახელწოდების სოფლის მაღალ კლდოვან ბორცვზეა აგებული, მესამე – **გულების,** ამავე სახელწოდების სოფლის თავში საუმპიას მთაზე. მეოთხე – შედარებით მოზრდილი ციხე **ზენდიდისა,** ამავე სახელწოდების სოფელში.

ცივასულას ციხეს განვითარებულ შუა საუკუნეებს აკუთვნებენ. მისი ფუნქცია იყო აჭარისწყალსა და აგარის წყალზე გამავალი გზების გაკონტროლება. აგარისწყლის ხეობიდან მიმავალი გზა აჭარა-გურიის მთებზე გავლით ჩაქვისწყლის ხეობაში ჩადიოდა და უმოკლესი გზით შავიზღვისპირეთს უერთდებოდა. გადმოცემის მიხედვით, სოფლისა და ციხის სახელწოდებას მისი ადრინდელი მფლობელის – ცივაძის გვარს უკავშირდება. XII-XIII საუკუნეებით თარიღდება გულების ციხე, საიდანაც კარგად მოჩანს აჭარისწყლის ხეობის ტერიტორია დანდალოს ციხემდე.

მნიშვნელოვანია თავისი სიდიდით ზენდიდის ციხე, რომელიც ამავე დასახელების სოფელში მდებარეობს. ციხე, სავარაუდოდ, XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში უნდა აშენებულიყო. თუმცა, ციხის მახლობლად არსებული და დღემდე მოღწეული ძველი ეკლესიის ნაშთები ბადებს აზრს, რომ აქ საფორტიფიკაციო ნაგებობანი ადრეც უნდა არსებულიყო. ამას გვაფიქრებინებს ზენდიდის ციხის ხელსაყრელი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობა. მას მეთაური საფორტიფიკაციო პუნქტის როლი უნდა შეესრულებინა მეზობელ საღორეთის, ზესოფლის, ზვარეს, კვაშტის, ძენწმანის ციხეთა

სისტემაში, რომელიც აჭარისწყლის ხეობიდან გოდერძი-ახალციხისა და ჭოროხისაკენ მიმავალ გზებს აკონტროლებდა.

VI-VII საუკუნეებიდან იწყება **გვარას ციხის** ისტორია. XI-XIII საუკუნეებში კი მისი განახლება უნდა მომხდარიყო. ამის თქმის საშუალებას იძლევა დაზვერვითი ხასიათის გათხრების შედეგად მოძიებული არქეოლოგიური ნივთიერი მასალები. ციხეს 150 კვ.მ. ტერიტორია უჭირავს. მდებარეობს მდ. ჭოროხისა და მისი მარჯვენა შენაკადის მაჭახელას შესართავთან ახლოს 300 მეტრის მოშორებით, ზღვის დონიდან 30 მეტრის სიმაღლეზე. გვარას ციხე ყველა საუკუნეში აქტიურ როლს თამაშობდა ჭოროხისა და მაჭახლის ხეობებზე გამავალი გზების გაკონტროლებაში, რომლებითაც ჭოროხის მხარე და მაჭახლის ხეობა ზღვისპირეთს, აგრეთვე, კლარჯეთსა და არტანუჯს უკავშირდებოდა.

ასეთივე ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული აგრეთვე **ჩხუტუნეთის ციხეს,** რომელიც მდ. მაჭახელასა და დავითეთის ღელის შესართავში მდებარეობდა. ციხეს გააჩნდა გვირაბი, რომლითაც მეციხოვნენი სასმელი წყლით მარაგდებოდნენ და მარანი, სადაც სხვადასხვა ზომისა და ტევადობის ქვევრები იყო ჩამარხული. ზოგიერთ ქვევრში ყურძნის წიპწებიც აღმოჩნდა. ციხე თავისი კომპლექსით XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

მკვლევართა და მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **გონიოსა** და **პეტრა-ციხისძირის** საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ორივე ციხე თავისი კომპლექსებით რთულ არქიტექტურულ-ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს წარმოადგენს.

გონიო-აფსაროსი, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ციხესიმაგრე, მდებარეობს ქალაქ ბათუმიდან 12 კმ-ის მოშორებით მდ. ჭოროხის მარცხენა ნაწილში. იგი თავისი კომპლექსებით გადაჭიმულია 4,75 ჰექტარზე, რომლის სიგრძე 222 მეტრია, სიგანე 195 მეტრი. ციხის კედლების სიმაღლე 5 მეტრია, კუთხეებში აღმართული კოშკების სიმაღლე კი 7 მეტრი. თავდაპირველად ციხეს 22 კოშკი ჰქონია, რომელთაგან დღევანდლამდე 18 შემორჩა.

პეტრას ციხე, რომელიც პეტრა-ციხისძირის სახელწოდებითაც მოიხსენიება, მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ქობულეთიდან 7 კმ-ის მოშორებით. პეტრას ისტორია მოიცავს ვრცელ პერიოდს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით (ვრცლად იხ. დანართი, გვ. 387-396).

დასახლების სტრუქტურა

დასახლების ძირითადი ერთეული აჭარაში ისტორიულად ორი ტიპის იყო: უძველესი ფორმა – მცირე დასახლებული პუნქტების ჯგუფი ხევის//თემის სახით და უფრო გვიანდელი ფორმა – უკვე დამოუკიდებელ სოფლად ჩამოყალიბებული ხევის//თემის უბნები. თემი იყო გეოგრაფიულად მტკიცედ ლოკალიზებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული გაერთიანება, რომლის შემდგომი განვითარების შედეგად იქნა მიღებული თანამედროვე დასახლებული პუნქტების ქსელი. აჭარის მთიანეთში დასახლების შიგნით უბნების გაჩენა და მათი ახალ სოფლებად ჩამოყალიბება სამი გზით შეიძლება მომხდარიყო: ახოს აღებითა და სათემო მიწების ათვისებით; ყიშლური მეურნეობის საცხოვრებელ პუნქტად გადაქცევით და სოფლის ფარგლებში უკვე შექმნილი უბნის შემდგომი განვითარებით. სამოსახლო უბანს ქმნიდა ზოგჯერ ერთი წარმომავლობის რამდენიმე ნოგრო (ნათესაური ჯგუფი) და, შესაბამისად, დიდი სახლობიდან გამოყოფილი ოჯახების ფუძე-სახლის ირგვლივ ლოკალური დაჯგუფება. შემდგომში ასეთი უბნების გაერთიანებით იქმნებოდა ახალი სტრუქტურული ერთეული – სოფელი. უბანი პირველად ჩასახლებულთა წინაპრის სა-

ხელს იღებდა. ამავე გზით იქმნებოდა სოფლის სახელწოდებაც, რადგან ზოგჯერ უბნის ზრდით ჩამოყალიბებული სოფელი სახელწოდებასაც მემკვიდრეობით ღებულობდა უბნისაგან, განსაკუთრებით მაშინ, თუ სოფელი ერთი გვარით იყო დასახლებული.

აჭარის დასახლებული უბნებისა და სოფლების მონოგენურობა ხშირად მოჩვენებითი იყო და არ გამორიცხავდა ფიქტიურ მონოგენურობასაც. ჩასიძების შემთხვევაში ხშირად ჩასიძებული პირი სიმამრის გვარს იღებდა და ასე იქმნებოდა ფიქტიური მონოგენურობა, ხოლო შემდგომ, დიდი სახლობიდან გამოყოფილი ოჯახები ფუძე-სახლის ირგვლივ ლოკალური ჯგუფის სამოსახლო უბანს ქმნიდა. რამდენიმე უბნისა და მონათესავე თუ არამონათესავე ლოკალური ჯგუფის გაერთიანება საფუძვლად დაედო სოფლის პოლიგენური დასახლების გაჩენას, რომელთა ზრდა-განვითარებით დასახლების სისტემაში ყალიბდებოდა ახალი სტრუქტურული ერთეულები.

აჭარული დასახლების ტოპოგრაფიისათვის დამახასიათებელია ორი ნიშანი: ერთი – თემის შიგნით მოქცეულ საცხოვრებელ და სამეურნეო პირობათა ერთობლიობა, რითაც აჭარული დასახლება საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონების დასახლების ფორმებს განეკუთვნება და მეორე – დასახლებული პუნქტების და სავარგულების დაქანებულ ფერდობებზე განლაგება და მათი ტერასისებური ხასიათი, რითაც ენათესავება ამ ფორმებს.

აჭარის მთიანეთში უძველესი იყო მთა-გორაკების კალთებზე დასახლება გვერდიგვერდ განლაგებული ნაგებობებით. მონათესავე სახლეულები მკვიდრდებოდნენ სერებზე, რის გამოც დასახლების ამგვარ ფორმას **„სერული“//„სერისპირული“** ეწოდა. ზოგიერთ ხეობისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ სერულობა, არამედ **ხაზოვანი** განსახლებაც. ამ შემთხვევაში სერზე სახლდებოდა არა მთელი სოფელი, არამედ მონათესავე განაყოფები. მათი დასახლება სერზე ერთმანეთის გვერდით მწკრივად იყო განლაგებული, ამიტომ

ასეთ დასახლებას **სერულ-მწკრივული** დასახლება უწოდეს. ერთი ძირიდან განაყოფ სახლეულთა გარკვეული ჯგუფის სერზე ერთ რიგში განსახლება საუბნო დასახლების სახეს ღებულობდა, თუმცა, რელიეფის თავისებურებების გამო, უბნებში სახლთა მწკრივად განლაგება ყოველთვის არ იყო დაცული. ოჯახთა ერთ ნაწილს ახალი საცხოვრებელი შესაძლოა სერისპირზე არსებული მამისეული სახლის ქვემოთ ან ზემოთ აეგო, რის გამოც ხშირად დასახლება ქედებზე ასიმეტრიულად, სხვადასხვა დონეზე ვითარდებოდა. აჭარის მთიანეთის ასეთ დასახლებას **„ამფითეატრულს“** უწოდებენ. დასახლების ამ ფორმის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა აჭარული სამოსახლო კომპლექსის თავისებურებამ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს კომპლექსი განლაგებულია დაფერდებული საყანეს თავში და ფასადით მიმართულია გზისაკენ. ამიტომაც, საკარმიდამო ნაკვეთის ნაგებობები სწორედ სერების გასწვრივაა განლაგებული. სერული დასახლების ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა სამეურნეო პირობები (მიწის ნაკვეთების განლაგება საცხოვრებელი სახლის მახლობლად და მიწის გასანოყიერებლად წყალნარევი პატივის გამოყენება) და ქონებრივი ფაქტორი (მაგალითად, ერთმანეთის გვერდით მოსახლე ოჯახების მიერ წყლით საერთო სარგებლობა).

მთური დასახლების სერული ფორმებისაგან განსხვავდება ბარული დასახლება, რომელიც უფრო მეტად სწორხაზოვანია. აქ სახლდებოდნენ ბუდობრივად ან ქუჩებად. ქუჩური დასახლებაც ორგვარი იყო: ქუჩისპირულ-ხაზოვანი და ქუჩისპირული. ქობულეთისა და ბათუმის სანახების დასახლებათა ნაგებობები ქუჩებს მისდევს და დასავლეთ საქართველოს ბარის დასახლებების მსგავსად ქუჩისპირულია, ზოგან კი ბუდობრივი.

სოფლის სტრუქტურასა და მოსახლეობის ურთიერთობის ნორმებზე გავლენას ახდენდა აჭარის სოფლის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა და დიფერენცირება. ძველ აჭარაში ფეოდალური ურთიერთობის ნორმები ხელს უწყობდა სხვადასხვა წარმომავლობის ოჯახთა მეზობლად დასახლებას. მოგვიანებით, მოსახლეობის მატების გამო, დასახლების სიმჭიდროვემ იმატა, რის გამოც სამოსახლო ადგილებისა და სავარგულების სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა ერთი-ორად გაიზარდა. ასე რომ, განსახლების პროცესი მიმდინარეობდა როგორც საგვარეულო, ასევე სათემო მიწების ათვისების ხარჯზე. აჭარის მთიანეთში უბანი ზოგჯერ მოცილებული იყო სოფელს, მაგრამ იგი მაინც მის შემადგენელ სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა. სოფლისა და უბნის სამეურნეო ერთობა და ტერიტორიული მთლიანობა უპირველესად გამოიხატებოდა საძოვრების, ტყეების, სათიბებისა და სახნავი მიწების კოლექტიურ და ინდივიდუალურ სარგებლობაში, სოფლის შიგნით უბნებად დასახლებულ ლოკალურ-პატრონიმიულ ჯგუფთა ურთიერთობაში. უბანში ნათესავთა და, საერთოდ, ლოკალური ჯგუფის წევრთა საცხოვრისები და სავარგულები წინაპართა კუთვნილებად მიიჩნეოდა. მასში ფაქტობრივად ყველა ჩამომავალს მემკვიდრეობით ედო წილი. პოლიგენური სოფლები ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მეურნეობითა და მმართველობით და ერთიან თემად ფორმირდებოდნენ. ასეთ თემის საკულტო და სამოქალაქო საკითხები წყდებოდა სათემო ცენტრში. მთლიანობაში, როგორც საუბნო, ისე სასოფლო და სათემო ნაგებობანი, სამეურნეო სავარგულები თუ სამოსახლო ადგილები ურთიერთკავშირში ქმნიდა ერთიან ლოკალიზებულ სამეურნეო, სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოს.

ამგვარად, აჭარაში დასახლების ძირითად ერთეულს თემი (ტერიტორიული გაერთიანება) წარმოადგენდა. დასტურდება დასახლების ორი ძირითადი ფორმა: სერული ანუ სერისპირული (სერულ-ამფითეატრული და სერულ-მწკრივული) – მთაში და ქუჩური (ქუჩისპირულ-ხაზოვანი და ქუჩისპირული) – ბარში. დასახლების სტრუქტურას, გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად, დასახლების სამეურნეო და სოციალური პირობებიც განსაზღვრავდა. თანამედროვე დასახლებაც დიდ კავშირს ავლენს შუა საუკუნეების დასახლებასთან, რაც ერთი მხრივ, ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო ყოფის სიცოცხლისუნარიანობით, ხოლო მეორე მხრივ კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობითაა განპირობებული.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები

აჭარის ტერიტორიაზე დღემდეა მოღწეული უძველესი დროიდან მომდინარე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მარტივი ფორმები და ამ არქაული ნიმუშების განვითარების შედეგი რთული ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული კომპლექსები. ეს კომპლექსები გამოირჩევიან სამშენებლო კულტურის მაღალი დონით და ტექნიკური ხერხების გამოყენების მრავალფეროვნებით.

ზემო აჭარის მოსახლეობისათვის, სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობის გამო, მეტად პერსპექტიული იყო ხით ხუროობა. ოსტატები სოფლის, თემის, ხეობის ფარგლებსაც სცილდებოდნენ. ეს ხელობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ხე-ტყით მდიდარ აჭარაში ხის სამშენებლოდ გამოყენების მაღალ კულტურაზე მოგზაურ-მკვლევარი თედო სახოკია მიგვანიშნებს სოფელ ღორჯომის მაგალითზე: „ტყის სიაფის გამო ყველას მშვენიერი სახლები აქვთ გადაჭიმულიო“. აჭარის მთა-ბარში გავრცელებული საცხოვრებელი სახლები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ XIX საუკუნის მეორე ნახე-

ვარში ამ კუთხის მოსახლეობის ყოფისა და კულტურით, ისტორიული წარსულით დაინტერესებულ ქართველ (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, თ. სახოკია, ზ.ჭიჭინაძე) და უცხოელ (ჯ. პალგრევი, ა, ფრენკელი, ვ. ლისოვსკი, ე. ლიოზენი, ჟ. მურიე) მოგზაურ-მკვლევრებს.

აჭარული სახლი, როგორც ქართული ხალხური ხით ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუში, თავისი საკმაოდ დიდი გაბარიტებით, ვერტიკალურად განვითარებული – ორ, ხშირად, – სამ, იშვიათად, ოთხსართულიანობით, სრულიად აკმაყოფილებდა შიგ მცხოვრებ საქორწინო წყვილთა და მათ მემკვიდრეთა აუცილებელ მოთხოვნებს. პროფ. ალ. რობაქიძის აზრით: „აჭარული სახლის ეს ფორმა უპასუხებდა მრავალრიცხოვანი ოჯახის ინტერესებს, რომელიც გადმონაშთის სახით ჯერ კიდევ ატარებდა საოჯახო თემის ტრადიციებს და ამდენად დიდ ოჯახს წარმოადგენდა“.



ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია, რომ ტრადიციულად მთიანი აჭარის სოფლებში, დაფერდებულ რელიეფზე, თითოეული კომლის სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთის, ზემო ნაწილში განლაგებული იყო, ძირითადად, ხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. როგორც წესი, აქაური სახლების პირველი სართული საქონლის სადგომს – ახორს ეკავა. ზოგიერთი სახლის „ახორქვეშა“ – წვრილფეხა საქონლის სათავსოდ ან სამეურნეო იარაღ-ინვენტარის (სელი, ციგა, ჯილღა, არვანა და სხ.) შესანახად გამოიყენებოდა. გარკვეულია, რომ ცალკეული სახლის ახორში ფიცრული ჭერ-თავანის აკვრით საცხოვრებელი სივრცის უსიამოვნო სუნისა და ორთქლისაგან დაცვას ახერხებდნენ. ამგვარ იზოლაციას ქვემო აჭარაშიც ითვალისწინებდნენ სახლების მშენებლობისას.

საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულში ახორის გამართვის წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც სცოდნიათ, მაგრამ იგი აჭარის მცირემიწიან მთიანეთისათვის ოპტიმალური არჩევანი იყო არა მარტო იმის გამო, რომ უხვთოვლიან, ხანგრძლივ ზამთარში საქონლის მოვლა-პატრონობა შემსუბუქებოდათ, არამედ იმიტომაც, რომ ახორს გარეთ ზამთარში დაგროვილი ნაკელი, წყალში გაზავებული, ანოყიერებდა დაფერდებულ საკარმიდამო ნიადაგს.

აჭარული სახლის გარე ხედისათვის დამახასიათებელი იყო სამ ან ოთხფერდა სახურავის კარნიზის კედლიდან მომეტებულად დაცილება-„გადმოშვერა“, რაც ხის შენობის კედლებს იცავდა წვიმა-თოვლისაგან, ისევე როგორც ნაგებობის გარედან ორ ან სამ მხარეს გამართული მოაჯირიანი, გადახურული, ვიწრო აივნები.

თ. სახოკიას, ღორჯომში, თავისი მასპინძლის ს. ბერიძის ორსართულიანი სახლი ზემო აჭარისათვის ტიპიურ ნაგებობად მიუჩნევია. მისი ცნობით: შენობის პირველ სართულზე, შესასვლელში – ოთახის მსგავს განყოფილებაში, რომლის იქით ბოსელი ყოფილა, ხის კიბე ჰქონიათ მეორე სართულის დერეფანში ასასვლელად. დერეფნის ორთავე მხარეს

განლაგებულ სამ თუ ოთხ ოთახიდან პირველში, საჯალაბო-სამზარეულოში, ერთ კედელში დატანებულ ბუხარში საჭმელი მზადდებოდა. ბუხარი მეორე ოთახსაც ჰქონია, რომლის გარდი-გარდმო განიერი ტახტები იყო განლაგებული, ხოლო ერთ-ერთ კედელზე, კაცის სიმაღლეზე, უმინო, პატარა სარკმელი ყოფილა გამოჭრილი გასაწევ-გამოსაწევი დარაბით. ასევე, კედელში გამართულ „მუსანდარაში“ ლეიბ-საბანი ინახებოდა. იქვე იდგა ხის სკივრი. ეს ოთახი მასპინძლის საძინებელი ყოფილა. მესამე ოთახი სტუმრისათვის ყოფილა განკუთვნილი, სადაც თავს იყრიდნენ ქორწილის ან სხვა წვეულების დროს. მეოთხე – ნახევარ ოთახს, საზაფხულო აივნის მსგავს, კოშკი ეწოდებოდა. კოშკის გვერდით ფეხისალაგი ჰქონიათ. ზემოთ, ჭერ-სახურავის სივრცეში, ხულა-ბეღელის ხაროებში, სიმინდს, ხორბალს, ლობიოს ინახავდნენ.

თ. სახოკია ზოტიყელის მემთევრეთა სეზონურ საცხოვრებელ – იაილასაც გვაცნობს: ხის ორსართულიან ნაგებობაში პირველი სართული, ძირითადად, პირუტყვის სადგომს ეჭირა, რომლის წინ, მეორე სართულზე კიბით ასასვლელი ჰქონიათ. მეორე სართულზე სასტუმრო საძინებელი, საჯალაბო და „სარძიე“ ოთახები ყოფილა.

აღნიშნული აღწერილობა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი პირველი ეთნოგრაფიული დაკვირვების შედეგია. მაგრამ ამ ინდივიდუალური ოჯახის, ტიპიური სახლის გარდა მთის სოფლებში შემორჩენილი ყოფილა, ე.წ. „დიდი ოჯახები“ რომელთა შესახებაც XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან მოპოვებულია მეტად საინტერესო საველე ეთნოგრაფიული მასალები.

„დიდი ოჯახის“ გადმონაშთური სახით შემონახულობა საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებისათვისაც ყოფილა დამახასიათებელი. მკვლევარ ვლ. მგელაძის ცნობით: „აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ერთიანობის სახლში“ მცხოვრები კოლექტივი 25-50 და ზოგჯერ მეტ სულს მოითვლიდა“.

დიდ ოჯახში სულადობის მატება ხდებოდა თანდათანობით, სიმრავლით შექმნილ სიმჭიდროვეს ზოგან დროებით შველოდნენ იმით, რომ სახლის ჭერში ანუ თავანში არსებულ ხილისა და მარცვლეულის შესანახ ხულა-ბეღელსა თუ ე.წ. „კიდობანს“ იყენებდნენ ახალგაზრდა ცოლ-ქმრისათვის საძინებელ ოთახად, ბუნებრივია, სათანადოდ მორთვა-მოწესრიგების შემდეგ. ასეთი გარემოება ერთ-ერთი წინაპირობა იყო ახალი საცხოვრებლის ასაშენებლად. შემთხვევითი არაა, რომ აჭარაში ვაჟის „დაქორწინების“ სინონიმად „დასახლებას“ ამბობენ. დიდი ოჯახის არსებობას ძირძველი ტრადიციები და მოსახლეობაში გარკვეული გამართლებაც ჰქონდა: „უწინ ვინც ერთად იცხოვრებდა, იმათ ხალხი აფასებდა, იტყოდნენ: უფროს-უმცროსობა იციან, ერთმანეთს პატივს სცემენ და ამიტომ ძლიერი ოჯახები აქვთო“.

აჭარის მთიანეთისაგან განსხვავებით, ქვემო აჭარის მთისწინეთის მოსახლეობას ალპური იალაღებისა და სათიბების გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდული ჰქონდა, რამაც სამეურნეო ყოფაში მესაქონლეობის ხვედრითი წილი შეასუსტა. მთისწინეთში მესაქონლეობა, ძირითადად, საოჯახო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, რომ მოსახლეობას მარცვლეულის მოყვანა რთულ პირობებში უხდებოდა მიწათმოქმედება თავისი შემადგენელი სხვადასხვა დარგით მთისწინეთისათვის მაინც პრიორიტეტული იყო. მარცვლეულის სიუხვით ცნობილი იყო აჭარის დაბლობი – ზღვისპირეთი, სადაც მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ბრინჯი. სხვა კულტურები. ა. ფრენკელი, 1879 წელს, შენიშნავდა, რომ „მიწის ნაკვეთი მდინარე ჭოროხიდან მდინარე ჩოლოქამდე ითვლება ერთ-

ერთ საუკეთესოდ მთელ ბათუმის ოლქში“. სიმინდისა და ბრინჯის მოსავალი აკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს და კიდევაც ჰყიდდნენ. ბრინჯი მოჰყავდათ მაკრიალის ხეობიდან დაწყებული ქობულეთის მიდამოების ვრცელი დაბლობის ჩათვლით. წარმოუდგენელი იყო კარ-მიდამო, ოჯახი ბრინჯის საცეხველი ქვის ჩამურის, ნალია-სასიმინდეს, ჩალა-ბალახისათვის საბძელ-მერეგის გარეშე.

როგორც ითქვა, ტრადიციულმა მეურნეობრივმა თავისებურებებმა, ზემო აჭარაში მესაქონლეობის უპირატესობამ, ხოლო ქვემო აჭარაში დაწინაურებულმა მიწათმოქმედებამ, გარკვეული ასახვა ჰპოვა ამა თუ იმ ტიპის საცხოვრებლის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ მკვეთრად გამოხატულ განსხვავებებს შორის გამოიკვეთა გარდამავალი ზოლის არსებობა. ამდენად საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპების მორგება ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის სქემასთან მეტად პირობითია, რადგან რიგ შემთხვევაში, მხედველობის გარეშე რჩება მომიჯნავე რაიონებში წარმოქმნილი გარდამავალი ზონის არსებობა, სადაც ორივე ზონისათვის დამახასიათებელი სახლის ტიპებია გავრცელებული მეტ-ნაკლები ოდენობით. უფრო მეტიც, ცნობილია ფაქტები, როცა ზოგიერთი საცხოვრებელი ნაგებობის პირველი სართული ლაზური სახლის დაგეგმარების მქონეა, ხოლო მეორე სართული ზემო აჭარულისა – დერეფნის ორივე მხარეს ოთახები აქვს განლაგებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში, რომლის აგების თარიღად 1790 წელია დადგენილი. ეს სახლი ოდნავ დაფერდებულ ადგილზე მდებარეობს იმ უბანში, რომელსაც ვაკე ჰქვია. ნაგებობის პირველ სართულზე ორ განყოფილებიანი ბოსელი თლილი ქვითაა აგებული. მეორე სართული წაბლის ხის ფიცრებითაა აშენებული და კრამიტით სამფერდადაა გადახურული. სახლის მეორე სართული დაყოფილი იყო სათავსოებად, როგორიცაა: სამზადი, გვერდითი ანუ სასტუმრო ოდა, დიდი ოდა, ორი პატარა ოდა, „აბდეს ხანა“, ქოშკი და საპირფარეშო. ამ სახლის ბოსელის, კარაპანისა და ოთახების ფუნქციური დატვირთვა, ე.წ. ქოშკის//კოშკის არსებობა და სხვა შიდა მოწყობილობა, ანალოგიას ავლენს თ. სახოკიას მიერ ღორჯომში აღწერილ სახლთან.

როგორც ჩანს, აჭარული და ლაზური საცხოვრებლების ცალკეული ელემენტების შერწყმა კომბინირება, ანუ მათ შორის გარდამავალი საფეხურის ჩამოყალიბება, განპირობებული იყო როგორც ძველი კოლხეთის მრავალსაუკუნოვანი მატერიალურ და სულიერ ფასეულობების მემკვიდრეობითობის უწყვეტი, აქტიური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შედეგად, ასევე, სამეურნეო ყოფის, საოჯახო ურთიერთობის ნორმებისა განსაკუთრებით კი სამშენებლო ხელოვნების ტრადიციების მსგავსებითა და სიახლოვით.* მიუხედავად ამისა, ქვემო აჭარაში გავრცელებული ლაზური სახლის ტიპი, ისევე როგორც ლაზეთში, მოიცავს რამდენიმე ქვეტიპს, ანუ მოდიფიცირებულ სახესხვაობას. ამათგან გამოვყოვთ ვიზუალურად განსხვავებულ სახლებს, ე.წ. „დოლმიანს“//“ტოლმიანს“, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ფასადის, იშვიათად გვერდითი ხედის, დეკორატიული

გაფორმებით გამოირჩევა. იგი ხის კონსტრუქციების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჭდობით შექმნილ უჯრებში, რიყის ქვის კვადრატულად ჩამომტვრეული ბლოკების კირით ჩადუღებებით ან მშრალად ჩაწყობითაა მიღებული. ამ წესით დოლმიანი სახლები აუგიათ: მახუნცეთში, ზუნდაგაში, ვაიოში, ჭინკაძეებში (ქედის მუნიციპალიტეტი), კიბეში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ფურტიოში (შუახევის მუნიციპალიტეტი). კედლის კვადრატულ უჯრებად დაყოფის გარდა ცნობილია სამკუთხედებად და მართკუთხედებად ხის კარკასით დანაწევრებული კედლის ქვის ნამტვრევებით ან აგურით ამოშენების შემთხვევები, რაც ლაზეთში შედარებით მომეტებული რაოდენობით ყოფილა. „დოლმიანი“ სახლის მეპატრონეები აჭარაში ეკონომიური შეძლებულობით გამოირჩეოდნენ.

აჭარაში ლაზური სახლის ტიპი ყველაზე მეტად ლაზებით დასახლებულ სოფ. სარფისათვის იყო დამახასიათებელი. გამოკვლეულია, რომ სარფში, ტიპიური ორსართულიანი სახლები ძველი, ადრეული საცხოვრებლების განვითარების შედეგია, რომელთა წინამორბედი ერთსათავსოიანი ყოფილა – მიწური იატაკითა და შუაცეცხლით. ამ შენობას ლაზები „ოხორს“ უწოდებდნენ. იგი ქართული ტერმინების: სამყოფი, სამზარეულო, სახლი, შინა და სხვათა შესატყვისია. ცნობილია მისი თურქულ ენოვანი სახელწოდება „მუთვაღი“.

დადგენილია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მთიან ზონაში აჭარული ტიპის სახლი ყოფილა გავრცელებული, ბარში – ლაზური და ოდა-სახლი. ოდა-სახლისათვის დამახასიათებელი ყოფილა ბუხრის „მრავალპირიანობა“, რაც ნიშნავს, რომ თითოეულ მომიჯნავე ოთახის ბუხრიდან ამომავალი კვამლი ერთ „ყელში,“ ანუ „საკვამლეში“ ადიოდა, რაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მეზობელი გურიის ოდა-სახლებისათვის ნიშანდობლივი იყო. წარმოდგენილი ბუხრის კონსტრუქცია გურიიდან არის გადმოღებული, რითაც გარკვეულად შეცვალა ოთახების განლაგების გეგმა და ფუნქცია.

ამრიგად, აჭარის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი განპირობებული ვერტიკალურ-ზონალობა, კულტურულ-ისტორიული ტრადიციები, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მეურნეობის დარგების (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა) მეტ-ნაკლები ინტენსივობით განვითარებისა, რამაც თავისებური ასახვა ჰპოვა საცხოვრებლის რამდენიმე ტიპად ჩამოყალიბების პროცესში.

საკულტო ნაგებობები

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, წერილობითი წყაროები, ზეპირი გადმოცემები და არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აჭარა, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეები, მაღალი სამშენებლო ტრადიციებით გამოირჩეოდა. ხანგრძლივი ისტორიული კატაკლიზმების გამო საეკლესიო არქიტექტურის დიდი ნაწილი მხოლოდ ნანგრევების სახით შემოგვრჩა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის გამოვლენილი.

ეკლესია-მონასტრები. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, განვითარებული შუა საუკუნეების ერთ-ერთი ად-

რეული ნიმუში უნდა იყოს **ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია,** რომელიც მდინარე კინტრიშის შენაკადის – საკირისღელის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სოფლის სახელწოდების შესახებ არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომლის თანახმად ამ სოფელში ერთხელ თამარ მეფეს თავისი დიდებულებით მოულხენია და სოფელსაც „სალხინო“ დარქმევია. დროთა განმავლობაში „სალხინო“ შეცვლილა და საბოლოოდ „ხინო“ დამკვიდრებულა. ცნობილია, რომ ხინოში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. აქ იჯდა „ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთით ჭოროხამდე“. ხინოწმინდის ეპარქიის ჩამოყალიბება მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, რაც ლაზიკის ძველმა საეკლესიო ცენტრებმა (ფაზისი, პეტრა, სებასტოპოლისი...), მათ შორის პეტრას საეპისკოპოსომ, არსებობა შეწყვიტა. ეს პროცესი ზოგადად IX-X საუკუნეებიდან ივარაუდება. ხინოწმინდის საეპისკოპოსო XVIII საუკუნემდე ფუნქციონირებდა.

XIX საუკუნის მკვლევარ-მოგზაუთა ცნობებისა და ტაძრის დღევანდელი მდგომარეობის შეჯერებით ჩანს, რომ სალოცავს, საუკუნეების განმავლობაში, არაერთი გადაკეთება განუცდია. ეკლესია დანგრეულია, ალაგ-ალაგ კედლების სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს. მას არ შერჩენია კამარები და გადახურვის სხვა ელემენტები. ზომების მიხედვით (18 x 10 მ) იგი შედარებით მოზრდილ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც სამხრეთის მხრიდან გვიანი მინაშენი ეკვროდა. ეკლესიას ორი შესასვლელი ჰქონდა – სამხრეთიდან და დასავლეთიდან. „დიდ დარბაზს“ აღმოსავლეთით ერთვოდა საკურთხეველი ღრმა ბემით, რომლის ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ფორმის სადიაკვნე და სამკვეთლო იყო მოწყობილი. უცნაურია დარბაზის დასავლეთით არსებული „ჯიბეების“ მსგავსი სადგომები, რაც გვიანდელი, უხეში გადაკეთების შედეგი უნდა იყოს. შესაძლოა თავდაპირველად ტაძარი წარმოადგენდა სამნავიან ბაზილიკას, რომლის ნავებს ერთმანეთისაგან სამი წყვილი სვეტი ჰყოფდა. გარედან შუა ნავი ორფერდა, ხოლო გვერდითი ნავები ცალქანობა სახურავით იქნებოდა დაბურული. ხინოწმინდის ეკლესიის არქიტექტურა შედარებით გვიანი ხანის ქართული ბაზილიკების ნიშნებს ავლენს. გრძივი ღერძის დამოკლების, ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენცია, ბოძების „თავისუფალი“ განლაგების პრინციპი, მშენებლობის შერეული ტექნიკა და ქვის წყობის ხასიათი ხინოწმინდის ეკლესიას გარდამავალი პერიოდის – VIII-IX საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიმუშებთან აახლოებს. 1989 წელს სამხრეთი მინაშენის გაწმენდისას აღმოჩნდა მამაკაცის თავის ორი სკულპტურული გამოსახულება, რაც X-XI საუკუნეების მიჯნაზე წარმოებული განახლების მაუწყებელია. სკულპტურები ამჟამად ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული (მათ შესახებ უფრო ქვემოთ იქნება საუბარი).

შუა საუკუნეების აჭარაში საეკლესიო აღმშენებლობის უფრო სრულ სურათს აჭარისწყლის ხეობაში შემორჩენილი და არქეოლოგიური გათხრების შედაგად გამოვლენილი ძეგლები გვაძლევს.

ხულოს რაიონში მდებარეობდა **თხილვანის** იოანე მახარობლის ეკლესია, რომელიც განვითარებულ შუა სუკუნეებში აჭარის ერისთავების – აბუსერისძეების სამკვიდრებელს, საძვალეს წარმოადგენდა. ტაძარი სხალთისწყლის ხეობის სათავეებთან, ხიხანის ციხიდან 5 კმ-ის დაშორებით იდგა. ტიმპანის წარწერა, რომელიც ახლა ბათუმის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, გვამცნობს, რომ ეკლესია აუგია ერისთავთერისთავ აბუსერს და დედოფალ ვანენს. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ აბუსერ ერისთავი XI საუკუნეში არტანუჯის, ხიხანის, ციხისჯვარისა და აწყურის ციხეების პატრონი იყო. იოანე მახა-

რობლის ეკლესიის შემდგომი აღმშენებლობის პერიოდი XIII საუკუნეს უკავშირდება. აბუსერისძე ტბელის თხზულების მიხედვით იოანე მახარობლის ეკლესია XIII საუკუნის პირველ ნახევარში, ტბელის დას – დედოფალთ-დედოფალ ვანენს აღუდგენია.

თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია წარმოადგენდა ე.წ. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობას. ასეთ შენობებში ერთმანეთისაგან კედლებით იზოლირებული სამი დამოუკიდებელი სამლოცველოა გაერთიანებული. სამეკლესიანი ბაზილიკის ორიგინალური ტიპი საქართველოში შეიქმნა და ბიზანტიური სამყაროს სხვა ქვეყნებში არ გვხვდება. ეს თემა ქართულ არქიტექტურაში, ძირითადად, XI საუკუნემდეა პოპულარული. ლაპიდარული წარწერებითა და ჩუქურთმით შემკული ასეთი ტიმპანები, უმეტესად, X-XI საუკუნეებში გვხვდება. თხილვანის ტაძრის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები მიუთითებენ, რომ ეკლესია X–XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.

შუა საუკუნეებში აჭარისწყლის ხეობა ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ გამოვლენილი სალოცავების ძირითად ნაწილი დარბაზული – ერთნავიანი ეკლესიების ტიპს მიეკუთვნება. ასეთი ტაძრები ქართულ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება, ისინი არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპზე უწყვეტად გვხვდება.დღესათვის არსებული მასალებით, დარბაზული ეკლესიები აჭარისწყლის ხეობაში, ინტენსიურად, IX-X საუკუნეებიდან იგება.

სალოცავები, ძირითადად, მდინარე აჭარისწყლის შენაკადების – სხალთისა და ღორჯომის წყლის ხეობებში, მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ ქედებზეა აგებული.

ღორჯომისწყლის ხეობაში ეკლესიებისათვის ადგილის შერჩევის გარკვეული ტრადიცია იკვეთება. აქ გამოვლენილი სალოცავების უმეტესობა – ქურდული, ვანაძეები, გელაური, საციხური, ნამონასტრევი და სხვა, მთის ქედების ყველაზე მაღალ ადგილებზეა აგებული. ისინი, როგორც ციხესიმაგრეები, ერთმანეთთან გადაბმულ ჯაჭვს ქმნიან, ზევიდან გადმოჰყურებენ ფერდობებზე შეფენილ სოფლებს და თითქოს აკონტროლებენ ხობაში გამავალ გზებს.

ქრონოლოგიურად, ღორჯომისწყლის ხეობის ერთ-ერთ ადრეულ სალოცავს საციხურის ეკლესია წარმოადგენს. სალოცავი დაბა ხულოდან 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ბორცვს, სადაც ეკლესია იდგა, მოსახლეობა „ჯვართანს“ უწოდებს. სალოცავი პერანგშემოცლილი კედლებისამარაა დარჩენილი. დარბაზის ნავს აღმოსავლეთით ნახევარწრიული საკურთხეველი ერთვის, რომლის ცენტრში ერთი სარკმელია გაჭრილი, ხოლო გვერდებზე მცირე ნიშებია მოწყობილი. ინტერიერში გამოვლენილია მოხატულობის ნაშთები. ეკლესიის გარე მოხაზულობა სწორკუთხაა. ორსაფეხურიანი ცოკოლი სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული ქვებითაა ნაგები, ცოკოლი და კედლები მოწითალო ტუფის კვადრებით იყო მოპირკეთებული. საციხურის ეკლესია IX-X საუკუნეებით თარიღდება.

ღორჯომისწყლის ხეობის ეკლესიებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ვანაძეების (აგარის) ტაძარი**. **სალოცავი** XIX საუკუნის წყაროებში აგარის სახელით მოიხსენიება, რადგან ძველად ეს სოფელი ღორჯომისწყლის ხეობის აგარის თემში შედიოდა. ამჟამად აგარის ეკლესის ნაშთები სოფ. ვანაძეების სამხრეთით საყდრიქედის ბორცვზეა გამოვლენილი. ამ ადგილს დღეს „ნასაყდრალი“ ეწოდება. ვანაძეების (აგარის) ეკლესია წარმოადგენდა საშუალო ზომის ნაგებობას (ზომით 10 x 8 მ)გარედან სწორკუთხედში ჩაწერილი

საკურთხევლითა და უფრო გვიან აგებული სამხრეთის მინაშენით. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების საფუძველზე ვანაძეების საყდარი XII-XIII საუკუნეების მიჯნით თარიღდება. ეკლესიის გაწმენდისას აღმოჩენილი პილასტრების, კაპიტელების, საგულდაგულოდ დამუშავებული ქვის ლორფინების, იატაკის ფილების დეტალები, კარ-სარკმელთა მორთულობისა და ჩუქურთმის ფრაგმენტები მიუთითებენ, რომ ტაძარი მტკიცე სამშენებლო ტრადიციებითა და მდიდარი დეკორატიული შემკულობით ხასიათდებოდა. დეკორატიული ტენდენციების გამომხატველია ორმაგი ლილვით შემკული ცოკოლიც, რომელიც ფართოდაა გავრცელებული თამარ მეფისა და მისი მემკვიდრეების ეპოქის – XII-XIII საუკუნეების მიჯნის არქიტექტურაში (ფიტარეთი, წუდრუღაშენი, ლამაზი საყდარი, მაღაალაანთ ეკლესია და სხვ.).

განვითარებული შუა საუკუნეების საეკლესიო ნაგებობებით მდიდარია სხალთისწყლის ხეობა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით შედარებით ადრეული უნდა იყოს **თიკანაურის ეკლესია,** რომელიც სოფ. ხიხაძირთან ახლოს, მდ. სხალთისწყლის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ეკლესიისათვის შერჩეულ მაღალ ადგილს მოსახლეობა „ნასაყდრალს“ უწოდებს. საყდარი საძირკვლის დონემდეა დანგრეული, თუმცა კედლებს აქა-იქ მაინც ემჩნევა მოსაპირკეთებელი კვადრების წყობის რიგები. იგი წარმოადგენდა მცირე ზომის „უაფსიდო“ ნაგებობას (ზომით 7,7 x 5,1 მ.) შესასვლელით სამხრეთიდან. ეკლესია, სავარაუდოდ, არქეოლოგიური მასალებისა და სამშენებლო ტექნიკის გათვალისწინებით, IX-X საუკუნეების მიჯნაზეა აგებული.

კალოთის ეკლესია სხალთისწყლის ხეობის სოფელ კალოთაში მდებარეობს. მისგან ამჟამად მხოლოდ საკურთხევლის კედლისა და კონქის ნაწილია დარჩენილი. კლესიის მხატვრული თავისებურებანი X-XI საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიშნებს ავლენს. კალოთის ეკლესიის რელიეფი ჯვრის წინაშე ხელაპყრობილი ოსტატის გამოსახულებით, ბათუმის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

XI საუკუნის შუა ხანებით თარიღდება **ვერნების ეკლესია,** რომელიც მდინარე სხალთისწყლის მარცხენა მხარეს, სოფლის ცენტრში „მადიძირის“ ბორცვზე იდგა. მისგან შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი, საფეხურებიანი ცოკოლი და კედლების წყობის რამდენიმე რიგი. ამ ეტაპის დარბაზული ძეგლების მსგავსად ტაძრის სიგრძე სიგანეს თითქმის ორჯერ აღემატება (ზომები: 13,5 x 7,5 მ). სამხრეთის ფასადს გასდევს სტოა. ტაძარს ორი შესასვლელი ჰქონდა – სამხრეთისა და დასავლეთის. დარბაზის კამარა პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღებით სამ მონაკვეთად იყოფოდა. გრძივი კედლებიც ნახევარსვეტებითა და თაღოვანი ნიშებით იყო დანაწევრებული. სივრცისა და კედლების ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეების დარბაზული ტაძრებისათვის. გარედან ეკლესია სწორკუთხედშია ჩაწერილი. მოგრძო ზომის კარგად დამუშავებული ქვებითაა ნაგები ცოკოლი, თლილი ქვის კვადრებით მოპირკეთებული კედლების წესიერი წყობა მაღალი სამშენებლო ოსტატობის მაჩვენებელია. კარნიზების, კარ-სარკმელთა მორთულობის ორნამენტული დეტალები მოწმობენ, რომ ვერნების ეკლესიას მდიდარი დეკორატიული შემკულობა ჰქონდა. ყურადღებას იქცევს ვერნების ტაძრის ბალავრის ქვა, რომლის მარცხენა თაღოვან არეზე გამოსახული ასომთავრული წარწერის მიხედვით სალოცავი აჭარის ერისთავებს – გრიგოლს, აბუსერს, გიორგის და მათ მემკვიდრეებს აუგიათ.

ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ XIII საუკუნის 30-იან წლებშია აგებული **ხიხანის ციხის წმ. გიორგის ეკლესია**. საყდრის მშენებლობის შესახებ ცნობებს XII-XIII საუკუნეების მოღვაწე – აბუსერისძე ტბელი გვაწვდის. მისი ცნობით, ამ ადგილას უკვე დაშლილი „ძველი სახლოვანი“ მდგარა. „ეკლესიის მცირობამ და ერისა ვერდატევამან“ აიძულა აბუსერისძენი აქ ახალი ქვის ტაძარი აეშენებინათ. საყდრის მშენებლობას ტბელი ძმების „ბრძანებით“ შეუდგა. იგი უშუალოდ მეთვალყურეობდა ტაძრის მშენებლობას და შესთხოვდა უფალს მიენიჭებინა მისთვის ეკლესიის „სრულქმნის“ უნარი. ხატოვანია ავტორის თხრობა საყდრის აგებასთან დაკავშირებული სასწაულების, ფათერაკებისა და სირთულეების შესახებ, რაც უმთავრესად, ციხის მდებარეობის, მიუვალობის, მასალის გადატანასთან დაკავშირებული სიძნელეებით იყო გამოწვეული. ეკლესიის მშენებლობაში დიდი წვლილი სოფელ ბაკოს მცხოვრებლებს გაუღიათ. ავტორის თქმით, მათ „მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზიროობითა და შემოხუეწითა ჭელვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენება-...“. 1233 წლისათვის, როდესაც აბუსერისძე ტბელის თხზულება დაიწერა, ტაძრის მშენებლობა დასრულებული არ იყო. ხიხანის ციხის ეკლესია ზომებით (ზომები: 4,5 x 3,8 მ) ბევრად ჩამოუვარდება აჭარისწყლის ხეობის სხვა დარბაზულ ტაძრებს. იგი, ძირითადად, მძლავრი თავდაცვითი კომპლექსის აუცილებელ დანამატს წარმოადგენდა და მცირე სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა. ეკლესია ამჟამად საძირკვლის დონემდეა დანგრეული.

სხალთისწყლის ხეობაში თავდაპირველი სახით მხოლოდ **სხალთის მონასტერი** შემორჩა. სხალთის კომპლექსის შემადგენლობაში შედის დიდი დარბაზული ტაძარი, სხალთის მცირე ეკლესია, რომელიც ნანგრევების სახითაა მოღწეული, მარანი-სატრაპეზო და ეზოს გალავანი. კომპლექსი ხულოს რაიონში, დღევანდელ სოფ. ყინჩაურში, ბათუმიდან 100 კმ დაშორებით მდებარეობს.

სხალთის მცირე ეკლესია X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აშენებული. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ერთნავიან ნაგებობას სამხრეთის მინაშენით.

სხალთის დიდი დარბაზული ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. მისი აშენების შესახებ ისტორიულ წყაროებსა და ფრესკებზე დაცულ წარწერებში ცნობები არ მოიპოვება. ხალხში დარჩენილი ზეპირთქმულებები სხალთის აგებას თამარ მეფის სახელს უკავშირებს. მხატვრულ-სტილისტური ნიშნები მოწმობს, რომ ტაძარი XIII საუკუნის შუა ხანებშია აგებული. აჭარისწყლის ხეობაში გამოვლენილი დარბაზული ეკლესიებისაგან განსხვავებით სხალთის თავისებურებას შვერილი შვიდწახნაგოვანი აფსიდი და სამხრეთის თაღოვანი კარიბჭე წარმოადგენს. სამხრეთის სამნაწილიანი კარიბჭე უფრო გვიანაა აგებული, თუმცა, კომპოზიციური გადაწყვეტა ცხადყოფს, რომ მისი მშენებლობის ხანა საგრძნობლად არ უნდა შორდებოდეს ტაძრის აგების პერიოდს.

სხალთის ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთისა და დასავლეთის. ეკლესიის შიდა სივრცე საზეიმო და დიდებულია. ფართო განიერი ნავისა და აფსიდის სივრცული მონაკვეთების დაკავშირება, არქიტექტურული მასების განაწილება სიმსუბუქესა და სიხალვათეს ანიჭებს ინტერიერს. კამარის საბჯენი თაღები, გრძივი კედლების დამანაწევრებელი ნახევარსვეტები და თაღოვანი ნიშები დარბაზულ ნაწილს სამ მონაკვეთად ყოფენ. ტაძარი თანაბრადაა განათებული 9 მაღალი თაღოვანი და ორი წრიული სარკმლით. კედლები მოპირკეთებულია თლილი ქვის კვადრებით, რიყის ქვები მხოლოდ კამარის შუაგულშია გამოყენებული. დახვეწილი ხუროთმოძღვრული ფორმები და კონსტრუქციები მაღალი სამშენებლო ოსტატობის მაჩვენებელია. ინტერიერის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა XIII საუკუნის ნიშნებს ავლენს. ამ პერიოდის ხუროთმოძღვრული თავისებურებანი უფრო მეტად შეიგრძნობა ექსტერიერის გადაწყვეტაში. ეკლესიის გარეგნული ფორმები მასიური და მძიმეა. ტაძრის დარბაზული ნაწილი გადახურულია ორქანობა, ხოლო აფსიდი კონუსური ფორმის სახურავით. მონაცრისფრო-თეთრი ქვის პერანგი გამომსახველობას ანიჭებს ტაძარს. ძირითადად მორთულია აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები, რომელთა შემკულობას კარ-სარკმელთა ორნამენტული დეკორი შეადგენს. შენობის მხატვრულ სახეში დიდი როლი ენიჭება თლილი ქვის კედელს, გლუვ ზედაპირს, დეკორატიული ელემენტების „ფერადოვან აქცენტებს“. წახნაგოვანი აფსიდი ტაძრის ყველაზე პლასტიკური ელემენტია. სხალთის ეკლესიის მორთულობის სისტემა, კარ-სარკმელთა ტიპები, მცენარეული, გეომეტრიული თუ შერეული ორნამენტები ანალოგიებს XIII საუკუნის შუა წლების ნიმუშებში პოვებს. სხალთის ჩუქურთმა, ადრეულ ძეგლებთან შედარებით, უფრო მშრალი და დაქუცმაცებულია, ჩუქურთმის შესრულების ხარისხი კი რამდენადმე ხელოსნური, რაც ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია. თამარისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ხანაში დასრულდა ქართული არქიტექტურის მეორედ აყვავების პერიოდი (XI-XIII ს.-ის პირველი ნახევარი). XIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავს იჩენს ზოგი ახალი თავისებურება: ეკლექტიზმი, მხატვრული მთლიანობის რღვევა, პროფესიული დონის დაქვეითება, მასშტაბების შემცირება, ფორმათა მასიურობა და სიმძიმე, დეკორატიული შემკულობის სისადავე, ორნამენტის ხელოსნური ხასიათი და სხვ. სხალთაში სამშენებლო ოსტატობის ტრადიციები ჯერ კიდევ მყარია. გვიანდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნები, უმთავრესად, ძეგლის პროპორციების ხასიათსა და ორნამენტული დეკორის შესრულებაში ვლინდება. XIII საუკუნის აჭარის ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე სხალთის ეკლესიის დამკვეთნი უთუოდ აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ. ძეგლის სტილისტური ანალიზი მოწმობს, რომ მისი მშენებლობა აბუსერისძე ტბელის თხზულების დაწერის შემდგომ ხანას, კერძოდ კი XIII საუკუნის 40-70 წწ. უკავშირდება. სამშენებლო



კულტურის მაღალ დონეს აჭარაში ხელოსნობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები განსაზღვრავდა. ცნობილია, რომ ხელოსნები აჭარიდან სხვადასხვა კუთხეებში მიეშურებოდნენ სამუშაოდ, რაც მათ თანადროული მხატვრული სიახლეების გაცნობის საშუალებასაც აძლევდა. სხალთის ხუროთმოძღვრებაც თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელოვანის შემოქმედებითი ნიჭისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების გამოხატულებაა. მოგვიანებით (XVI-XVII სს.) სხალთის ტაძარი სხალთის საეპარქიო ცენტრი ყოფილა.

გვიანი შუა საუკუნეების პერიოდი აჭარაში შედარებით მწირადაა წარმოდგნილი, თუმცა ჩანს, რომ ბათუმ-ქობულეთის მიდამოებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობა XVII საუკუნემდე არ წყდება. გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ცხრაფონას** ეკლესია, რომელიც აჭარის მთისწინეთში, მდ. ჩოლოქის აუზის შენაკადის ცხრაფონას ხეობაში მდებარეობს. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით შედის ლეღვას სასოფლო თემში. ქობულეთიდან დაშორებულია 15 კმ-ით, ხოლო ოჩხამურის რკინიგზის სადგურიდან 9 კმ-ით. ტოპონიმიკური და გურიის სამთავროს საბუთთა მონაცემების საფუძველზე ცხრაფონას ეკლესია „წმ. გიორგის ამაღლების“ სახელზეა აგებული, თუმცა, ამავე წერილობით წყაროებში ეკლესიის აშენების შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ცხრაფონას ეკლესია წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას, რომლის თავისებურებას სწორკუთხა ფორმის საკურთხეველი განაპირობებდა, რაც ქართულ ძეგლებში იშვიათია. ინტერიერში სამხრეთის კედელთან, გამოვლინდა სამარხი-აკლდამა, რაც მოწმობს, რომ სალოცავს ეკვდერის ფუნქციაც ჰქონდა. ეკლესიაში შემორჩენილი იყო მოხატულობის ფრაგმენტები, რომელთა თარიღი XVI-XVII საუკუნეებით შეიძლება განისაღვროს. გვიანი პერიოდის მხატვრულ თავისებურებებს ავლენს ცხრაფონას ეკლესიის რელიფური ფილა წმინდა გიორგის გამოსახულებით. ცხრაფონას ეკლესიის ორნამენტული დეტალები, სკულპტურა, მოხატულობის ფრაგმენტები ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ამჟამად საყდარი განახლებულია.

ისტორიული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანული სალოცავები XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი ქობულეთ-ბათუმის მიდამოებში. ძველი ეკლესიების ნაშთები გამოვლინდა სარფში, ბათუმის მახლობლად სამების მთაზე და სხვა.

ამდენად, საეკლესიო არქიტეტურის ნიმუშები ავლენენ ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპობრივ ნიშნებს და მოწმობენ, რომ აჭარას, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, შეჰქონდა თავისი წვლილი ქართული ქრისტიანული კულტურის საგანძურში.

მეჩეთები. ისლამის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს პროცესი XVI საუკუნეში დაიწყო და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებათა გავლენით არათანაბარი ინტენსიურობით ხასიათდებოდა ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების, საქართველოს პირველი რესპუბლიკის, საბჭოური და დამოუკიდებლობის პერიოდებში. ეს ისტორია ძირძველი ქართული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური კულტურისა და ისლამის ურთიერთობათა ხანგრძლივი პროცესიცაა, რომელსაც ყველა ეტაპზე თავისებური ხასიათი ჰქონდა. თუ ისლამის გავრცელების საწყის ეტაპზე ეს ურთიერთობები გამოიხატებოდა ახალი რელიგიის აქტიური ექსპანსიით წინარექრისტიანულსა თუ ქრისტიანულ კულტურაზე, შემდგომში მისი გავლენით ერთიან ქართულ სინამდვილეში ჩამოყალიბდა ბირელიგიური გარემო ერთიანი ეთნიკური, ეროვნული ცნობიერებითა და განსხვავებული რელიგიური მრწამსით.

აჭარა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება ოსმალეთის იმპერიის ნაწილი, თუმცა აჭარისათვის ბრძოლა ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი პროცესი იყო, რამაც რეგიონი ხშირი ბრძოლების არეალად აქცია. თანდათანობით აჭარაში ოსმალეთისადმი ლოიალური მმართველობის სისტემა ჩამოყალიბდა.

ისლამი ეტაპობრივად ჯერ ლაზისტანში, შემდეგ ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებში, ხოლო ბოლოს ქობულეთში გავრცელდა. ისლამის თანდათანობით გავრცელებას მეჩეთების არააქტიური მშენებლობაც განაპირობებდა, რადგან, მიწათმფლობელობის წესებიდან გამომდინარე, მეჩეთის აგებამდე საჭირო იყო შესაბამისი ნებართვის (ფირმანი) მიღება.

სტატისტიკური თვალსაზრისით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარაში მოსახლეობის უმრავლესობა უკვე გამუსლიმებული იყო. 1871-1873 წლებში ბათუმის, ჩურუქსუს, ზემო და ქვემო აჭარისა და გონიოს კაზებში 141 მეჩეთი და 206 სასულიერო სასწავლებელი ფუნქციონირებდა.

აჭარის სხვადასხვა ნაწილში მეჩეთები სხვდასხვა პერიოდში შენდებოდა. ასე, ხულოს მუნიციპალიტეტში უძველესია სოფელ **დიდაჭარის მეჩეთი,** რომელიც 1831-1832 წლებში აუგიათ. მანამდე იგი სოფელ პაქსაძეების მეჩეთის ნაწილი იყო; ამ პერიოდში **ხულოში** უკვე არსებობდა ძველი ხის მეჩეთი, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს გადამწვარა. ამასთან, აჭარისწყლის ხეობის ამ ნაწილში ცენტრალურ მეჩეთად ითვლებოდა **ბეღლეთის მეჩეთი,** სადაც მოსახლეობა დადიოდა სალოცავად როგორც პაქსაძეებიდან, ისე დანისპარაულიდან. საკუთრივ ბეღლეთის მეჩეთი 1920-1921 წლებში შეუმკიათ ლაზ ოსტატებს. როგორც ჩანს მეჩეთების დიდი ნაწილი ჯერ აუგიათ, ხოლო მოგვიანებით შეუმკიათ, გადაუკეთებიათ ან განუახლებიათ, რის გამოც ზოგიერთი მეჩეთის აგების თარიღის გარკვევა შეუძლებელია. ასევე საყურადღებოა, რომ მეჩეთების ერთი ნაწილი ქვის საძირკველზეა დადგმული, რომელიც ქრისტიანული სალოცავების შენობებიდანაა აღებული, ან მეჩეთის შენობები ეკლესიათა საძირკვლებზე დაიდგა. დადგენილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს აშენებული თხილვანას, ხიხაძირისა და ფუშრუკაულის მეჩეთები, რომლებიც ერთმანეთის თანმიმდევრობით აუგიათ. საყურადღებოა, რომ ამჟამად მოხატულობით ყველაზე მეტად გამოირჩევა ფუშრუკაულის მეჩეთი. გადმოცემის თანახმად, ის აგებისთანავე მოუჩუქურთმებიათ, რაც, ალბათ, მისი შედარებით გვიანდელობით უნდა იყოს განპირობებული.

შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელ **მაწყვალთაში** მეჩეთი 1842-1843 წლებში აუგიათ. მანამდე კი სოფლის მაცხოვრებლები ლოცულობდნენ თემის ცენტრალურ მეჩეთში – **მახალაკიძეებში,** რომლის აგების თარიღიც უცნობია. ამ პერიოდში მეჩეთები ძირითადად თემების ცენტრალურ დასახლებებში შენდებოდა.

ასეთივე სიტუაციაა სხვა სოფლებშიც. გადმოცემის თანახმად, შუბნის თემში პირველი მეჩეთი **შუბანში** აუგიათ, რომელიც დამწვარა და მის ადგილზე

1887-1888 წლებში ახალი მეჩეთი დაუდგამთ. მეზობელი სოფლის მაცხოვრებლებს შორის უთანხმოების გამო, დარჩიძეებში მეჩეთის ასაგებად მოუწვევიათ მანამდე ნენიის მეჩეთის ოსტატი – ლაზი ხასან უსტა, რომელსაც ეს მეჩეთი 1908 წელს აუშენებია.

მეჩეთების აქტიური მშენებლობა რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში და აჭარის რუსეთის იმპერიის შემადაგენლობაში შესვლის შემდეგაც გრძელდება და მეჩეთები უკვე ყველა სოფელში შენდება. მაგალითად, შუახევის მუნიციპალიტეტში, მარეთის ხეობაში, ერთმანეთის თანმიმდევრობით ყველა სოფელში ააგეს მეჩეთები: ქიძინიძეებში – 1867 წელს, კვიახიძეებში – 1890-1891 წლებში, ჯაბნიძეებში – 1892-1893 წლებში, ხოლო დღვანში – 1907-1908 წლებში.

ამჟამად შესწავლილი მეჩეთებიდან უძველესია **ახოს** (აგებულია 1817-1818 წლებში) და **დაგვისთავის** (აგებულია 1826 წელს) მეჩეთები. არქიტექტურული და მხატვრულ-დეკორატიული თვალსაზრისით, ყველაზე უკეთ მოუჩუქურთმებიათ და მოხატული მეჩეთები გაუახლებიათ ან გადაუკეთებიათ აჭარაში ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით. აღნიშნული მეჩეთების ანუ ჯამეების უმეტესობა, თავისი მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტით, წარმოადგენს ქართული კულტურული მემკვიდრეობის, ხალხური ხელოსნობისა და ხითხუროობის საინტერესო ნიმუშს, რომელიც აღმოცენებულია უძველესი კოლხური ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე.

ხალხური ტრანსპორტი

ხალხური ტრანსპორტი, ანუ ხალხური საზიდი საშუალებანი, საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი უძველესი მონაპოვარია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოების ცხოვრებაში.

არქეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით ხალხურ ტრანსპორტს საქართველოში და, მათ შორის აჭარაში, საკმაოდ ძველი ისტორია აქვს. აქ ტრადიციულად სახმელეთო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის სხვადასხვა კონსტრუქციული სახეობა შეიქმნა, რასაც განაპირობებდა სპეციფიკური ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო ყოფითი თავისებურებანი.

საქართველოში ისტორიულად გავრცელებული იყო სამი სახის სატრანსპორტო საშუალება: უბორბლო, რომელიც მიწაზე გადაადგილდება თრევა-სრიალით; ბორბლიანი; შერეული ტიპის, რომელიც გორვა-სრიალის პრინციპზეა აგებული. აჭარაში სამივე ტიპის ხალხური სახმელეთო ტრანსპორტია ცნობილი.



უბორბლო ტიპის საზიდ საშუალებებს აჭარაში განეკუთვნება **მარხილი, ციგა, სათრიელა, ცალუღელა, ხიზეკი; ბორბლიანს – ურემი. შერეულ სახეობას – სელი და ძიგლიგა.**

მარხილი უბორბლო ტრანსპორტის ძირითადი სახეობაა, რომელიც, აჭარის გარდა, გავრცელებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიო-

ნის სამხრეთ კალთებზე და სამცხე-თრიალეთის მთიანეთში. მასში გამწევ ძალად ხარი ან კამეჩია გამოყენებული. წარსულში მარხილი მთელ აჭარაში იყო გავრცელებული. ამჟამად მხოლოდ მთიან ზოლში შემორჩა და მას თივის, შეშის, სამშენებლო მასალის გადასატანად იყენებენ.

მარხილის სახეობაა **ხიზეკი,** რომელიც, ძირითადად, გავრცელებულია მაჭახლის ხეობასა და აჭარისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში (ქედის რაიონი). იგი მარხილთან შედარებით პატარაა და უმთავრესად გამოიყენებოდა მინდვრად ნაკელის გასატანად და სხვ. დანიშნულებით. თ.სახოკიას ამ ტიპის საზიდი აჭარაში მოხსენიებული აქვს **ჯინის** ანუ **გოდორ-მარხილის** სახელწოდებით.

მარხილს და ხიზეკს აჭარაში სამშენებლო ქვების გადასატანადაც იყენებდნენ. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის XIII საუკუნის ცნობილი მწერალი და მოაზროვნე აბუსერისძე ტბელი ქვითხურო ბასილის სამშენებლო საქმიანობის დახასიათებისას.

მარხილის სახესხვაობაა **ცალმარხილა** (ცალუღელი) და **ციგა**. ისინი კონსტრუქციულად ერთმანეთის იდენტურია. ორივე ზამთრის სეზონში გამოიყენებოდა (და იყენებენ დღესაც) შეშის, თივის, თუ სხვა სახის ტვირთის მოსატანად. ცალმარხილაში ერთი ხარია შებმული და აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. მარხილი, ძირითადად, მარითის, სხალთის, ღორჯომისა და აჭარისწყლის ხეობებშია გავრცელებული.

თრევა-სრიალის პრინციპზე მოწყობილ უმარტივეს ხალხურ საზიდ საშუალებას ეკუთვნის **თუში,** რომელიც სამშენებლო მასალის, აგრეთვე, შეშის თუ თივის გადასატანად გამოიყენებოდა. იგი ზემო აჭარაში დღესაც სარგებლობაშია.

თუში უძველეს და უმარტივეს საზიდ საშუალებას ეკუთვნის. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თრევა-სრიალის პრინციპზე შექმნილი ხალხური საზიდი საშუალებანი, მათ შორის თუში, უფრო ძველია, ვიდრე ბორბლიანი საზიდი.



აჭარის ბარისა და მთის მთელ რიგ სოფლებსა თუ ხეობებში გავრცელებული იყო **ორბორბლიანი ურემი**. ურმის ამ სახეობას იცნობდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და ყველგან სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება: **საბარო ურემი** და **საძნე ურემი** (აღმოსავლეთ საქართველო), **ხელნა ურემი** (დასავლეთ საქართველო – იმერეთი, გურია, რაჭა), **ქართული ურემი** (იმერეთი, რაჭა), **ბჯის ურემი** (სამხრეთ საქართველო), რომელიც საძნე ურმის შესატყვისია.

აჭარის ბარის ზონაში, უპირატესად ზღვისპირა ადგილებში, მეორე მსოფლიო ომამდე ორბორბლიანი ურემი თითქმის ერთადერთ სახმელეთო საზიდი საშუალება იყო. ასეთი ურმები წარსულში მზადდებოდა ბათუმის შემოგარენის სოფლებში (ორთაბათუმი, გონიო, ახალშენი), აგრეთვე, ჩურუქ-სუში ანუ ქობულეთის მხარეში (ბობოყვათი, ხუცუბანი, აჭყვისთავი და სხვა).

ქართული ხალხური სახმელეთო ტრანსპორტის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა **აჭარული სელი**. ეს მჟღავნდება როგორც მის კონსტრუქციაში, ისე ფუნქციონალურ გამოყენებაში და მასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში. სელის გავრცელების

არე სამხრეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილი იყო. აჭარის გარდა იგი გვხვდება სამცხეში, სადაც ურმის სახელწოდებასაც ატარებს. ამავე დროს, სელი განეკუთვნება შერეული ტიპის ხალხურ საზიდ საშუალებას, რომელშიც შეერთებულია გორვა-სრიალის პრინციპი, რითაც იგი ახლოს დგას დასავლეთ საქართველოს მთაგორიან ადგილებში (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელოს მთიანი ნაწილი) გავრცელებულ აჩაჩა ურემთან.

სელის დამზადების მაღალი ოსტატობით განთქმულნი იყვნენ სოფელ დიდაჭარის, ღორჯომისა და სხალთის ხეობათა ხელოსნები. სელს ამზადებდნენ და იყენებდნენ ჭვანის ხეობაშიც (ნაღვარევი, ბრილი, ინწკირვეთი), მაგრამ მზა თვლები აქ მეზობელი სოფლებიდან შემოჰქონდათ. სელის მკეთებელ ოსტატთაგან ბევრი გოგრების (ბორბლების) დამზადებაშიც იყო გაწაფული და მათ მეგოგრეთა სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. გოგრები მზადდებოდა მუხის, ლეკის, უხრავის, ნეკერჩხლის ხისაგან.



სახმელეთო საზიდ საშუალებათა ნაირსახეობა და მისი დამზადება აჭარაში განპირობებული იყო მთისა და ბარის ბუნებრივ-გეოგრაფიული და მეურნეობრივი თავისებურებებით და, ძირითადად, აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას. ამავე დროს, აჭარაში გავრცელებული სახმელეთო ბორბლიანი, უბორბლო და შერეული ტიპის ტრანსპორტის ნაირსახეობა კარგად ასახავს ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიული განვითარების აღმავალ გზას და კუთვნილ ადგილს იჭერს ტრანსპორტის გენეზისის ზოგადი საკითხების კვლევაში.

საქართველოს მოსახლეობა უხსოვარი დროიდან იყენებს სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტს. ამ მიზნით თავდაპირველად ერთ ხეში გამოთლილი, ხოლო მოგვიანებით ფიცრული ნავები გამოიყენებოდა.

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი დიდი სანაოსნო მდინარე ჭოროხი იყო თავისი შენაკადებით. ჭოროხის სამდინარო გზით მთელი ჭოროხის მხარის ანუ ყოფილი ბათუმის ოლქის მოსახლეობა სარგებლობდა. მდინარე ჭოროხის ეს უპირატესობა მისი ჰიდროგრაფიული თავისებურებებით აიხსნებოდა. ჭოროხი სანაოსნოდ თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა.

XVIII-XIX საუკუნეების მონაცემებით მდინარე ჭოროხზე და შავ ზღვაზე სანაოსნოდ იყენებდნენ **ბრტყელძირიან ნავებს**. ასეთი ნავები კონსტრუქციულად განსხვავდებოდა ე.წ. **მენექსილა** (მონოქსილა) ანუ ერთ ხეში გამოთლილი ნავებისაგან, რომლებიც ანტიკური ხანის ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობებით საყოველთაოდ იყო გავრცელებული კოლხებში და, ბუნებრივია, იმ მოსახლეობაშიც, რომელიც დღევანდელი აჭარის ჭოროხისპირა და, საერთოდ, ზღვისპირა ზოლში ცხოვრობდა. მკვლევრები სათანადო მონაცემების საფუძველზე ასკვნიან, რომ ერთ ხეში გამოთლილი ნავები მსოფლიოს ყველა ზღვაოსან ხალხში იყო გავრცელებული და მათ შორის ქართველებშიც. ოღონდ, განსხვავება შეინიშნება ნავის კონსტრუქციაში, მერქნის სახეობაში, მოხმარების ფუნქციებში და, ბუნებრივია, ზღვაოსნობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში.

ჭოროხის ხეობაში ბრტყელძირიანი ნავების დამზადების სამი ცენტრი არსებობდა: ქვედა მარადიდი, ბორჩხა და ხება. XIX საუკუნის ბოლოს მარადიდში 14 ნავსაშენი სახე-

ლოსნო ყოფილა, სადაც ბრტყელძირიან ნავებს აკეთებდნენ. ქვედა მარადიდელები უშუალოდ ნაოსნობას იშვიათად მისდევდნენ და მათი ძირითადი საქმიანობა ნავების მშენებლობა იყო. მარადიდში დამზადებული ნავები ბათუმის ოლქში საუკეთესოდ ითვლებოდა. სამაგიეროდ, საუკეთესო მენავეებად ბორჩხელებს მიიჩნევდნენ.

ჭოროხული ბრტყელძირიანი ნავის ეკიპაჟი 3-4 მენავისაგან შედგებოდა. ეკიპაჟის მეთაური იყო **რეიზი,** რომელსაც მესაჭის ფუნქცია ეკისრებოდა. რეიზის თანამდებობა არჩევითი იყო და მას მენავეთა ამხანაგობის უხუცესი წევრები ირჩევდნენ ნაოსნობაში ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ. ნავს ემსახურებოდა, აგრეთვე, ორი ან სამი მენიჩბე, რომელთაც **ტაიფა** ეწოდებოდათ. ერთი მათგანი უფროს ტაიფად ითვლებოდა.

სამდინარო და საზღვაო ნავების აღმნიშვნელად აჭარასა და ლაზეთში იხმარება ტერმინი **კაიდი,** რომელიც თურქულიდან მომდინარეობს და ნავს ნიშნავს. როგორც ირკვევა, ამის გავლენით დამკვიდრდა XIX საუკუნის რუსულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ტერმინი **კაიუკ**. აჭარულ და ლაზურ სალაპარაკო ლექსიკაში ნავის აღმნიშვნელად გვხვდება, აგრეთვე, თურქულიდან შემოსული ტერმინი **ფელუკა,** რომელიც ყოველგვარი ტიპის ევროპული ნავის ან პატარა ხომალდის აღმნიშვნელია. მიიჩნევენ, რომ თურქულში ეს ტერმინი იტალიურიდანაა შესული.

სანაოსნოდ გამოიყენებოდა არა მარტო საკუთრივ ჭოროხი, არამედ მისი შენაკადებიც. რუსეთის იმპერიის საგანგებო მოხელის ვ.მასალსკის ცნობით, წყალუხვობის დროს მდინარე აჭარისწყლით, რომელიც ჭოროხს სოფელ აჭარისწყალთან ერთვის, გამოცდილ მენავეებს ნავი დღევანდელ შუახევამდე აჰყავდათ, ხოლო არტანუჯის წყლით – არტანუჯამდე, იმერხევით – ქართისწყლის შესარვათამდე, მურღულის წყლით – სოფელ აზუამდე, ოლთისისწყლით – ოლთისამდე. ხოლო მდინარე მაჭახელათი – სოფელ სინდიეთამდე. ნაოსნობა აჭარის სხვა მდინარეებზეც დასტურდება.

ნაოსნობა ჭოროხზე ართვინიდან იწყებოდა და ბათუმში მთავრდებოდა. საერთოდ, ნაოსნობა ჭოროხზე მთელი წლის განმავლობაში წარმოებდა, გარდა მაის-ივნისის თვისა, როდესაც მდინარე ჭოროხში წყლის დონე და სიჩქარე საგრძნობლად მატულობდა.

ართვინიდან შავი ზღვის შესართავამდე ჭოროხის სამდინარო გზის მონაკვეთი დაახლოებით ორმოცდაათ კილომეტრს შეადგენდა, რასაც ნავი ხუთ-ექვს საათში ფარავდა, უკან სვლას კი სამჯერ მეტი დრო სჭირდებოდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ უკან, მდინარის აღმა, ნავი სპეციალური თოკების დახმარებით თრევით მიჰქონდათ. შესართავიდან ბათუმამდე მანძილს (ათი კილომეტრი) ნავი კარგ ამინდში ორ-სამ საათს ანდომებდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მდინარე ჭოროხზე ნაოსნობას მისდევდა ბათუმის ოკრუგის 14 და ართვინის ოკრუგის 9 სოფელი. მენავეობა ემსახურებოდა როგორც ტვირთის გადაზიდვას, ისე მგზავრთა გადაყვანას. დ.ბაქრაძის ცნობით, 1873 წელს მდინარე ჭოროხზე 200 ნავი მოძრაობდა, ხოლო მოგვიანებით ვ.ლისოვსკის მონაცემებით – 80 ნავი. სიდიდისა და წყალუხვობის შესაბამისად ნავის ტვირთმზიდაობა შეადგენდა 100-150 ფუთს. სხვა ცნობით მდინარის მიმართულებით წყალუხვობის დროს ერთ დიდ ნავს 300 ფუთის წაღებაც შეეძლო. ტვირთთან ერთად ნავით 5-10 კაცი მგზავრობდა.

ნაოსნობა ჭოროხზე ართვინიდან ქვედა მარადიდამდე 1921 წელს შეწყდა, როდესაც ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილი, ისე როგორც ყოფილი ბათუმის ოლქის სხვა ტერიტორიები, თურქეთის ხელში გადავიდა და ჭოროხის ხეობის მონაკვეთზე სახელმწიფო საზღვარი ზედა და ქვედა მარადიდს შორის დაწესდა. ქვედა მარადიდ-კაპანდიბამდე ნაოსნობამ საავტომობილო მიმოსვლის განვითარების შედეგად საერთოდ დაკარგა მნიშვნელობა. 1960-იან წლებამდე თითო-ოროლა ნავი მხოლოდ ჭოროხისპირა ქვედა მარადიდსა და მირვეთის სოფლებს შემორჩა და შიდა სამიმოსვლოდ გამოიყენებოდა.

საზღვაო ნავებითა და ნაოსნობით, ძირითადად, სარგებლობდა ჭარნალ-გონიოს, სარფის, ბათუმისა და პეტრა-ქობულეთის ზონის მოსახლეობა. საზღვაო ნაოსნობაში პრიორიტეტი უფრო ლაზებს ეკუთვნოდათ. ნავებით აწარმოებდნენ ლაზები მიმოსვლას ბათუმთან, ფოთთან, ტრაპიზონთან, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს პუნქტებთან. ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით საუკეთესო ნავმისადგომები ყოფილა ბათუმში, სარფთან, პეტრა-ციხისძირთან, გონიოს ციხე-ქალაქთან.

პეტრა-ციხისძირისა და გონიოს მიდამოებში ძველი საზღვაო ნავსადგურების არსებობაზე მიუთითებს აქაური ადგილმდებარეობის სახელწოდებანი **პანტურა,** რომელიც ნავსადგურის აღმნიშვნელი ტერმინია. ერთი პანტურა პეტრას ახლოს მდინარე დეხვას შესართავთან ყოფილა, მეორე – გონიო-სარფის გზის იმ მონაკვეთზე, საიდანაც სარფის კლდიანი სანაპირო იწყება.

ლაზები აგებდნენ ორი ტიპის საზღვაო ნავს (ფელუკას), რომლებიც გამოიყენებოდა სათევზაოდ და სავაჭრო მიმოსვლისათვის. მათი ტვირთმზიდაობა, შესაბამისად, შეადგენდა 200 და 500–600 ფუთს. ნავები უპირატესად გამძლე წაბლის ხისაგან მზადდებოდა. გადმოცემით, სარფსა და მის მიმდებარე ადგილებში ადრე უფრო მომცრო საზღვაო ნავებს აგებდნენ, რომლებიც "ფათალია ნავის" სახელითაა ცნობილი. ასეთი ნავების მშენებლობაში მეტალის სამაგრეებს არ ხმარობდნენ. ყველაზე გავრცელებული საზღვაო ტრანსპორტი კი იყო აფრიანი ფელუკა.

პატარა თუ დიდი მოცულობის საზღვაო ნავები თითქმის ყველა სარფელს გააჩნდა. საერთოდ, საზღვაო ნავების მშენებლობით ლაზეთში რიზე, ხოფა და სურმენე გამოირჩეოდა. ყველაზე მეტი ნავი რიზეში შენდებოდა. ნავმშენებლობის და ნაოსნობის ტრადიციები ლაზებში ხშირ შემთხვევაში მემკვიდრეობით გადადიოდა. ეს საქმიანობა აქ მაღალ პროფესიულ დონეზე იდგა, რამაც ზეპირსიტყვიერებაშიც ჰპოვა ასახვა.

აჭარაში დადასტურებული ხალხური ტრანსპორტის ნაირსახეობა კარგად ასახავს საერთოდ ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიული განვითარების თანმიმდევრულ საფეხურებს და კუთვნილ ადგილს იჭერს ზოგადად ტრანსპორტის გენეზისის საკითხების კვლევაში საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით.

ტანსაცმელი და ჩაცმულობა

ქართული ხალხური ტანსაცმელი კულტურის სხვა ელემენტების მსგავსად საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა. კოსტუმის ძირითადი ტიპები იქმნებოდა სამეურნეო-ყოფითი, კლიმატურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, სქესობრივ-ასაკობრივი პირობებით.

ტანსაცმლის კომპლექსს ბარში ჩასაცმელ-დასახურავს უწოდებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა კი მას ტალავრის სახელით აღნიშნავს. ძველ ქართულ წყაროებში ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინი იყო სამოსელი.

აჭარული ჩაცმულობა შეიცავს ტრადიციული ქართული სამოსისათვის დამახასიათებელ ბევრ ძირძველ ელემენტს და იგი ქართული ჩაცმულობის მეტად საინტერესო და ორიგინალურ სახეობას განეკუთვნება. ეს შეეხება როგორც ქალის, ისე მამაკაცის ჩაცმულობას.აჭარელი ქალის ტანსაცმელი, განსაკუთრებით ზემო აჭარაში, ფერთა შეხამებითაც გამოირჩევა, რაც საქართველოს ზოგიერთი კუთხის მთაში მცხოვრებ ქალთა ტანსაცმელსაც ახასიათებდა.



წარსულში ქალის სამოსის ძირითადი ელემენტები იყო: ზუბუნ-ფარაგა, დატეხილი და ფორკა კაბა, სიხმა, ჩათაკა, იჩლუღი, სალტა, ხირხა, სარტყელი, ფეშტემალი, ლეჩაქი, თავსაკრავი, ფესი თეფელუღით, ჩადრი, დუვალი, ვალლა და სხვ.

ქალის ტანსაცმლის კომპლექტში შედიოდა აგრეთვე **თათმანები//ხელთათმანები,** სარტყელი,

ნაქარგობა, ფეხსაცმელი, ხის ქოშები.

მამაკაცის სამოსის შემადგენელი ელემენტებია: ჩოხა-შალი, ზუბუნი, ქურთუკი, წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ქალამანი, აზიაცკები(ჩექმა). შალის ქსოვილისაგან იკერებოდა ჩაქურა, რომელსაც ზოგჯერ მხოლოდ შალს უწოდებდნენ. იგი იყო ნაოჭიანი და შედგებოდა სირმით და მასრებით გაწყობილი ზედა და ქვედა ჩასაცმელისგან. ჩაქურას ამშვენებდა სარტყელში გარჭობილი დამბაჩა და სატევარი, სარტყელზე ჩამოკიდებული თოფის წამლის(დენთის) და ქონის შესანახი მათარა და საქონე. ჩაქურა იყო ქართული კოსტუმის ორიგინალური სახეობა, რომელიც შემუშავებული და გავრცელებული იყო აჭარის, გურიის, ლაზეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. მისი ნაირსახეობა დღეს შემორჩა ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეთა ჩაცმულობაში. ჩაქურას თარგზე იყო გამოჭრილი აჭარული ჩოხა-შალი. ჩაქურასა და ჩოხა-სალის დამამშვენებელი იყო თეთრი და შავი ფერის ყაბალახები, რომლებსაც სირმით ამკობდნენ. მამაკაცის თავსახურავად უცნაური წარმოშობის ფესიც იხმარებოდა.



აჭარული ჩაცმულობის ნაწილმა ოსმალეთის ბატონობის პერიოდში გარკვეული ცვლილებები განიცადა. ეს განსაკუთრებით ქალის ჩაცმულობაში აისახა (ჩადრი, ჩერჩები).

თვალსაჩინოა თავსაბურავების მრავალფეროვნებაში (ჩადრი, ფესი, თეფეული, დუვაღი და ვალლა, ჩერჩები) და ჩოხა-შალის ძლიერ დანაოჭებული შარვლის მიხედვით. საგულისხმოა, რომ ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობაში არსებული უცხოური გავლენის ელემენტები ერთგვარად სახეცვლილია და მორგებულია ადგილობრივთა გემოვნებას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა არატრადიციული ქარგით აჭრილი სამოსის ქართული ტიპის ორნამენტირებასა და ქარგულობაში, რომლებშიც ჭარბობს ჯვრის გამოსახულებიანი ორნამენტები.

ტანსაცმლის პოპულარობასა და სიძველეს მოწმობს ქართული ტერმინების შემონახულობა, ქარგა, აჭარის ბუნებრივი გარემოს – მთა-ბარისა და ზღვისპირეთის კონტრასტული შესატყვისი ჩასაცმლის პრაქტიკული გამოყენება და ეს ყველაფერი შეიქმნა ეროვნული ხასიათის, ცხოვრების წესისა და ბიოგეოგრაფიული გარემო-პირობების საფუძველზე. მასში გათვალისწინებული იქნა ეკონომიკური და სოციალური ვითარებაც.

აჭარული ტანსაცმლის ესთეტიკურმა მხარემ განაპირობა მისი ფართოდ გავრცელება აჭარის მეზობელ კუთხეებში, კერძოდ, ისტორიული ლაზეთის ვრცელ ტერიტორიაზე.

ტანსაცმელი მზადდებოდა როგორც ადგილზე წარმოებული, ისე შემოსული ქსოვილისგან. მასალად გამოიყენებოდა ცხვრის მატყლი, თხის ბეწვი, სელი, კანაფი, ლერწამი, აბრეშუმი, სელ-კანაფი//კედი, ბამბა, ბამბანარევი კანაფი, ცხოველის ტყავი და ხის ქერქი.

გარდა შეკერილი ტანსაცმლისა, დიდი ადგილი ეკავა ნაქსოვ-ნაქარგ ჩასაცმელს. აჭარაში რთვა-ქსოვა საოჯახო ხელოსნობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. ქსოვის შემსრულებელ ხელოსანს **მქსოველი** ეწოდებოდა. დამოწმებულია აგრეთვე ტერმინი **მოხელაქმე**. ქსოვდნენ ქვედაკაბებსა და ჯემპრეებს, ფეშტემლებს, თავშლებს, ხელთათმანებს, ქუდებს, სარტყელს, ბაიღებს, **თათმანებს//ხელთათმანებს,** სასარჩულეს, **ბაიღებს,** თავსაფრებს, სადედოფლო **ვადას,** ჩოხის გასაწყობს, თორებს//ქამრებს, ცხვირსახოცებს. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ნაქსოვი წინდების სახეები: წინდიყელი, **პრუნჭულა,** მაღალყელიანი და დაბალყელიანი წინდა, უყელო წინდა – **ჩაფულია**.

სელისა და კანაფისაგან ქალები ქსოვდნენ ტილოს, რომლისგან იკერებოდა ტანსაცმელი, საცვლები. აბრეშუმის უხარისხო პარკისაგან მიღებული ძაფის ქსოვილით ღილებს ამზადებდნენ.

საქართველოში ქარგვა ძველთაგანვე ძალზე პოპულარულ ხელსაქმეს წარმოადგენდა. ძაფებით გაქარგვას – **გაქარგვა, ქარგვასაკეთი** ეწოდება, ნაქარგს კი **ნაკეთს** ეძახიან. საქარგავ მასალას ადგილზე დამზადებული სელის, ბამბის, შალის, აბრეშუმის, ისე შემოტანილი ფაბრიკული ქსოვილები შეადგენდა. ქარგავდნენ ტანსაცმლის გულისპირებს, სამაჯურებსა და სარტყელს, მოსაცმელებს (სეხმას). საყურადღებოა **ხელის** ხელობის, ხელოსნობის მნიშვნელობით აღნიშვნის ფაქტი. ამ მხრივ ინტერესს იწვევს აჭარაში დამოწმებული ტერმინები: **ხელობს // მეიხელებს**. ნაქარგზე ხელის გამოქარგვაც შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო.

ქალები თავზე იკრავდნენ **ხემანდილს, პაწა მენდილს,** დედოფალს ახურავდნენ **ჯიმფულებიან** ლეჩაქს, ან ჩადრს ზემოდან ვადას. ქობულეთში დვაღი // ტვაღი წითელი ფერის ქაღალდისაგან მზადდებოდა, რომლის ზემოთაა „კოზალი იაზმა“ ან **ფეჩა** – თხელი მანდილი.

სამკაულთა სრულყოფილების ნიმუშს წარმოადგენს მოსართავები. სამოსის შესაკრავად ძველთაგანვე გამოიყენებოდა ღილები, რომელთაც შემდგომ ტანისამოსის მოსართავი ფუნქციაც შეითავსეს. ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული იყო სხვადასხვა სახიანი ნაქარგობა, მძივები, ქსოვილზე მოსაყოლებელი თენთენიები (კრუჟაო, მაქმანები). წელზე შემორტყმული ჰქონდათ სხვადასხვა ფორმის ვერცხლის ან ნაჭრის ქამრები, ნაქსოვი სარტყელი. აჭარულში განსაკუთრებით ჭარბობს ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ქამრები, საყურეები, გულსაბნევები და სხვ. ყოველივე ეს მათი სოციალური მდგომარეობის განმასხვავებელი ნიშნის ფუნქციას ატარებდა.

საერთოდ გავრცელებული იყო სამოსის შემდეგი სახეები: სამუშაო//მოქვედაო ანუ საცვეთი და “მოკარგოვო, **სანამუსო** ანუ საგარეო (სადღესასწაულო) და სამგლოვიარო ტანსაცმელი, თუმცა ეს უკანასკნელი საკმაოდ სუსტად არის შემონახული საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით.

კერვისა და რთვა-ქსოვის დროს გამოიყენებოდა შემდეგი სამუშაო იარაღები: ნემსი, საკერავი მანქანა, მაკრატელი, საჩეჩელი, ხერტალი, ჭახრაკი, დოლაბი, საქსოვი წინდის ჩხირები // ჭაღები // კინთი, ასევე ყაისნაღი // ჩენგელჭაღი // ანკისი, ჩოტი. საქსოვად გამოიყენებოდა ორი ტიპის დაზგა: ჰორიზონტალური და ვერტიკალური.

ამდენად, ჩაცმულობაში კარგად არის ასახული როგორც გეოგრაფიული გარემოს თავისებურებები, ისე სოციალურ-ეკონომიკური, წოდებრივი და ასაკობრივი იერარქია. ტანსაცმლის ხასიათს განსაზღვრავს არა მარტო მისი დანიშნულება-სად უნდა ჩაიცვას, არამედ ასაკი, ჩასაცმელის ხარისხი, სოციალური მდგომარეობა და ბუნებრივი პირობებიც. სამოსი შეესაბამებოდა ხასიათს, ასაკსა და მისი მფლობელის ადგილს საზოგადოებაში. იგი ჰარმონიაში იყო აგრეთვე მის გარეგნობასთან ფერისა თუ ფორმის მიხედვითაც. აჭარულ სამოსს ცალკეულ რაიონში გააჩნდა თავისებურებები და იგი იცვლებოდა სეზონის მიხედვით.

თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად ქართულმა ჩასაცმელმა განიცადა ტრანსფორმაცია და ბევრი სხვა ტრადიციული ჩასაცმელის მსგავსად მხოლოდ ნაციო-

ნალურ, დეკორატიულ სამოსად გადაიქცა. მათ შორის ღირსეულად იქნა შემონახული აჭარული ტანსაცმლის არაერთი ელემენტი.

ხალხური სამზარეულო

აჭარული სამზარეულო გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და თავისებურებით, კერძების ნაირგვარობითა და მომზადების ტექნოლოგიით, სუფრის გაშლის წესებითა და მასთან დაკავშირებული რიტუალებით. აჭარის მოსახლეობის საკვები ოდითგან ბოსტნეულისა და მარცვლეულის, რძისა და ხორცის პროდუქტებისაგან მზადდებოდა. ამასთან, ძირითად რაციონს ძველთაგანვე ავსებდა ხილი, მევენახეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტები, თევზეული. ადგილობრივმა მოსახლეობამ, ძირითადად, შეინახა და დაიცვა ქართული სამზარეულოს ძირძველი ტრადიციები. ამავე დროს, ოსმალთა ბატონობის პერიოდმა გარკვეული დაღი დაასვა ხალხურ სამზარეულოს: შეითვისა უცხოური ელემენტები, ზოგიერთმა ტრადიციულმა კერძმა სახელი შეიცვალა და სხვ.

აჭარაში 150-მდე დასახელების კერძი მზადდებოდა. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა რძის პროდუქტები. აჭარის მთის ზონის მოსახლეობას ოდითგან გააჩნდა მდიდარი ხალხური ცოდნა რძისა და რძის პროდუქტების დამზადება-შენახვის საქმეში. რძისგან ამზადებდნენ იაღს ანუ კარაქს, კაიმაღს (არაჟანი), დოს, ერბოს, ნადუღს, ყურუთს (ნადუღის, კარაქისა და ფქვილის შერევით დამზადებული და გამხმარი კვერები), სხვადასხვა სახის ყველს (ჩლეჩილა, დაპწნილი, გორჯოლო, ლავაში, ფუშკურო, მოშუშვილი, გადაზელილი და სხვ.). რძის პროდუქტების დამზადებითა და მოხმარებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა აჭარისწყლის, მერისის, მაჭახლის ხეობათა სოფლები. აჭარის მოსახლეობის მდიდარი გამოცდილება ყველის დამზადების საქმეში შეუმჩნევლად არ დარჩენია ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს). იგი აღნიშნავდა, რომ აქაური ყველი "არაოდესვე წახდების, არც დაობდების, რა ჟამს გნებავს შემგბარი, კეთილ სახმარ არს".

აჭარულ სამზარეულოში, განსაკუთრებით მთიან აჭარაში, მოჭარბებულად იხმარება ერბო (კარაქი), რაც, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიულ-კლიმატური გარემოთი და სამეურნეო საქმიანობითაა განპირობებული. ამაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიუთითებდა მოგზაურ-მკვლევარი თედო სახოკია. იგი წერდა: „ერბოს ჭარბად ხმარება აქაური ცივი ბუნების მოთხოვნილებაა. რაც უფრო ცივა, იმდენი უფრო მხურვალე საჭმელსა თხოულობს აგებულება ადამიანისა. აჭარა კი, როგორც მთაგორიანი ადგილი, ძალზე ცივ ადგილებს ეკუთვნის".

სიმინდის ფქვილისაგან აცხობდნენ მჭადს, თაფლის მჭადს, ნაღებიან მჭადს; ამზადებდნენ ხალვას, ხავიწს, ჭიმურს (კარაქში შერეული ცხელი მჭადის ანაზელი). ყოფაში მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა ხორბალსა და ხორბლის ფქვილს. ხორბლისგან მზადდებოდა კორკოტი, სირსვალი, აშურა და სხვა კერძები, ხოლო ფქვილისაგან – ფაფები, მაკარინა (მაკარონი), ნამცხვრები: ბაქლავა (ფენოვანი ნამცხვარი ნიგვზითა და თაფლით ან შაქრით), ბურმე (სპირალისებურად დახვეული პურის ცომის ფენები ნიგვზითა და შაქრით), ბორეგი (ფენებიანი ღვეზელი ხორცით ან ხაჭოთი), აჩმა, ერიშტა (ატრია), სინორი (კარაქით, ნადუღით და ნივრით შემზადებული კერძი).

მარცვლეულ კულტურებს შორის, სიმინდისა და პურის შემდეგ, აჭარაში ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ჭვავი. ჭვავის პური, მჭადის ნაკლებობის შემთხვევაში, მისი შემცვლელიც იყო. პური ცხვებოდა როგორც მხოლოდ ჭვავის ფქვილისაგან, ისე ქერისა და ჭვავის ფქვილის ნარევისაგან. ყოველდღიურ, სადღესასწაულო თუ საწესჩვეულებო მენიუში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ღომის, ბრინჯის კერძებს, რძით შემზადებული ფაფების და ფლავის სახით.

კვების რაციონის აუცილებელი და განუყოფელი კომპონენტია ხორცეული კერძები, რომლებიც მომზადების მაღალი კულტურითა და ფართო ასორტიმენტით გამოირჩეოდა. უპირატესობა ეძლეოდა საქონლისა და ქათმის ხორცს შემწვარი და მოხარშული სახით. საქონლის ხორცისაგან მზადდებოდა: კვერევი, ყაურმა, იახნი, მწვადი, ხორციანი სარმა, ხორციანი მხალი და სხვ. ქათმის ხორცისაგან: ქათმის ჩორბა (წვნიანი), ზირაბაჯი (ლაბა), საცივი, დედლური, აპოხტი და ა.შ. თევზეულს იყენებდნენ შემწვარი, შებოლილი, დამარილებული ან მოხარშული სახით. აჭარულ კულინარიაში გამორჩეული ადგილი ეჭირა კვერცხის კერძებს (ჩირბული, ბორეგი, ზანტაკა ანუ საცივი კვერცხით, კვერცხი ყველით და ნადუღით და სხვ.).

აჭარულ სამზარეულოს მოგვიანებით დაემატა კარტოფილის, კომბოსტოს, პომიდვრის კერძები. ყოფაში დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა ბოსტნეულისა და ტყის მცენარეულის კერძებს. სიმრავლით გამოირჩეოდა ლობიოს (მალახტო, მორეგვილი, კარაქიანი ლობიო, ხორციანი ლობიო, ამოლესილი ლობიო, ლობიოს ჩორბა, პარკი ლობიო, კერჩხი ლობიო, ფხალ-ლობიო, ლობიოს მჭადი) და მხლის (მარაგიანი, ხაპიანი, ბრინჯიანი, ჭყლინტიანი, ხორციანი მხალი, სარმა, მხლის წურვილი, მოთრეული, აჯენჯულა და სხვ.) კერძები. გან-

საკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო მხალეულის მწნილებზე, რაც აჭარაში ცნობილია მჟავეს სახელწოდებით. საუკეთესო წვნიანი კერძები მზადდებოდა ტყიური დვალურა მხლისაგან, რომელსაც სამკურნალო თვისებებსაც მიაწერდნენ.

ხალხური კულინარიის მშვენებაა თაფლი, რომელსაც, პირდაპირი მოხმარების გარდა, იყენებდნენ ტკბილი სასმელის (შარბათი), სხვადასხვა კერძის (თაფლის ფაფა), ნამცხვრების (ხალვა, ბაქლავა, თაფლის მჭადი) მოსამზადებლად. კერძად იყენებდნენ დაუწურავ თაფლს, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებაც ქონდა.

საოჯახო ყოფაში, ასევე, მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა შინაურ და ტყიურ ხილს და მისგან დამზადებულ პროდუქტებს. ყურძნის წვენისაგან მზადდებოდა ღვინო, ბაქმაზი, ლეჩერი, ფელამუში; ტყემლისაგან – საწებელი, ყორაო (კვაწარახი), ტყლაპი. როდესაც ოსმალთა ბატონობის პერიოდში აიკრძალა ღვინის დაყენება და მოხმარება, ზემო აჭარაში თითქმის მასობრივი ხასიათი ჰქონდა ყურძნის წვენისაგან ხარდლის მომზადებას.

აჭარაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში გამოიყოფა ყოველდღიური, სადღესასწაულო და რიტუალური კერძები. კერძების ნაწილი კალენდარულ ციკლს ან ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპს უკავშირდება (საქორწინო, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული, სამგლოვიარო სუფრა და სხვ.). მაგალითად, ტრადიციულად, ქორწილისათვის მზადდებოდა 10-დან 15-მდე კერძი: ასუთა, ფლავი. მაკარონი, ბაქლავა, ზირაბაჯი, ჩირბული, ყაურმა, მაწონი, ყაისაფა, ხაჭაპური, ქადა, მაჯუნი და სხვ. საქორწინო სუფრაზე იყო ტკბილი სასმელები: ხარდალი (ზემო აჭარა) და შარბათი (წყალში შეზავებული თაფლი). ქორწილში ფლავისა და შერბეთის ჩამოტარება საქორწინო ცერემონიალის დასრულების ნიშანი იყო. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ფეხი მოიკიდა სპირტიანმა სასმელებმაც. აჭარაში განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი სამკურნალო (მელოგინე ქალის, ჩვილ ბავშვთა და ხანდაზმულთა) კულინარია. განსაკუთრებული კერძები (ხავიწი, ბიჭის ფაფა, ფლავი) მზადდებოდა ბავშვის დაბადებისას მომლოცველებისათვის და სხვ.

აჭარაში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ფართოდ იყო გავრცელებული საწესო რიტუალური კერძები. მაგალითად, ახალ წელს უპირატესობა ეძლეოდა ტკბილეული კერძების (ბაქლავა, ბურმე, ბორეგი, ლუხუმი) მომზადებას, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სიმინდის მოხარშულ მარცვალს, რომელსაც ზოგან სირსვალი ეწოდებოდა. ეს კერძი ბარაქიანობის და ნაყოფიერების სიმბოლოდ აღიქმებოდა და მისი მირთმევა მხოლოდ ოჯახის წევრებს შეეძლოთ. სარიტუალო კერძი იყო აშურა. იგი მზადდებოდა ამავე სახელწოდების დღესასწაულისათვის, რომელიც ტარდებოდა აშურის მთვარის მეათე დღეს. ამ კერძის შემადგენლობაში შედიოდა 7 ინგრედიენტი (სიმინდი, ბრინჯი, ხორბალი, ქერი, ღომი, ლობიო, ნიგოზი). მას საწესო დანიშნულება ქონდა და მიცვალებულთა სულისა და მოსავლიანობის გაზრდისათვის იყო განკუთვნილი.

აჭარაში შეიმჩნევა კერძების მომზადებასთან დაკავშირებული აკრძალვებიც, რომლებიც მომდინარეობს ოსმალთა ბატონობის დროს დანერგილი ისლამისა და ყურანის დოგ-

მებიდან. ეს შეეხება, პირველ რიგში, ღორის ხორცისა და ალკოჰოლიანი სასმელების აკრძალვას. თუმცა, ამგვარი აკრძალვა ისლამამდელ ხალხებშიც იყო გავრცელებული.

აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა სამზარეულოსთან დაკავშირებული სხვა მდიდარი ხალხური წეს-ჩვეულებებიც: სასიძოს მიერ რიტუალური პურების მიტანა საცოლესთან, საქმროს ოჯახში შესვლასთან დაკავშირებით ცომში ხელის ჩაკვრა თუ კეციდან გამომცხვარი მჭადის ამოღება, პატარძლის მიერ ოჯახში მარცვლეულის მიმობნევა, მის თავზე ტკბილეულის გადაყრის რიტუალი, რძლის ოჯახიდან სიძის ოჯახში ნამცხვრების მიტანა და სხვა. ყველა ამ წესის შესრულება სავალდებულო იყო, მაგრამ შემდეგ ზოგიერთმა დაკარგა მნიშვნელობა და დღეს გადმოცემებს შემორჩა. ამ წეს-ჩვეულებათა რიტუალური დანიშნულება სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ არის შესწავლილი. მათი უმრავლესობა მიბაძვით მაგიას უკავშირდება (ქორწილისათვის განკუთვნილი ზოგიერთი ტკბილეულის მომზადება; დედოფლის თავზე ტკბილეულის გადაყრის ჩვეულება, დედოფლისათვის პირველად ხელში ტკბილეულის მიცემა; მეფე-დედოფლის მიერ ერთი ჭიქიდან შარბათის შესმა და სხვ.).

აჭარული სამზარეულოს მრავალფეროვნებაზე მეტყველებს სამზარეულოსა და სასადილო ოთახის ადგილობრივად დამზადებული დგამი და ჭურჭელი. მასალის მიხედვით ის შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს: ხის ჭურჭელი, რომელიც განკუთვნილი იყო პროდუქტების გადამუშავების, შენახვისა და მოხმარებისათვის (ვარია, ვარელა, კოდანა, საწველელა, ხელგობები, კაბიწი//გვარდა, ჯამი, კოთხო, ფქვილის შესანახი კიდობანი, საცერი, ცხრილი, ციცხვი, სხვადასხვა ზომის კოვზები); თიხის ჭურჭელი (სადღვებელი, დერგულა, სხვადასხვა ზომის დოქები, დერგები, კეცები; სპილენძის ჭურჭელი (ქვაბები, ტაფა, თასი, სურა, თუნგი). განსაკუთრებით აღსანიშნავია სუფრების მრავალფეროვნება – სასადილო მაგიდა, ცომის გასაყვანი სუფრა, ფეშხუმი, იგივე ფეხიანი ტაბლა – ხარატული სუფრა, რომელიც აჭარაში განსაკუთრებული ტექნოლოგიით მზადდებოდა მთლიანი, მასიური ხისგან.

აჭარული სამზარეულოს შესწავლით ირკვევა, რომ ტრადიციული ქართული კერძების სახელწოდებებთან ერთად ყოფაში დამკვიდრდა კერძების უცხოური სახელწოდებებიც, მაგრამ მისი დამზადების ტრადიცია და ტექნოლოგია ძველქართულია. ასეთებია: ბორანო, აჩმა, სარმა, ბორეგი, ხარდალი, ჩორბა, ფასტურმა, ყურუთი, აირანი (თურქ.), კაჰვე, იახნი (ირან.), მაკარინა (იტალ.).

აჭარის მოსახლეობამ შეინახა და დაიცვა მშობლიური ქართული სამზარეულოს სახე და ტრადიციები, მაგრამ აღმოსავლეთიდანაც გადმოიღო და შეითვისა კერძების საკმაო რაოდენობა. დღეს ეს კერძები საწესჩვეულებო-რიტუალური სუფრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, საქორწინო სუფრაზე ან ახალგათხოვილი ქალისათვის მისატანი „სადილის“ შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს ბაქლავა და შაქარლამა.

მიცვალებულის გაცილება-დაკრძალვის და სულის მოსახსენებელ მუსლიმანურ რიტუალებში აუცილებელია ხალვის „მოწვა“ და სხვ.

აჭარაში პროდუქტის ზამთრისათვის შესანახად სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ქათმისა და საქონლის ხორცს ინახავდნენ დამარილებული და გამხმარი (ფასტურმა, აპოხტი) ან კვამლში გამოყვანილი ხორცის კვერების სახით. იცოდნენ, აგრეთვე, ხორცის “დაწათხვა“ – ფენებად ჩააწყობდნენ ხორცის ნაჭრებს, მარილს მოაყრიდნენ და გასანთლული მუშამბით მოუკრავდნენ თავს, საზამთროდ ინახავდნენ ყაურმას – შეხრაკულ ხორცს, ყურუთს, დიდი რაოდენობით კარაქს, ერბოს და სხვა. ბოსტნეულს ინახავდნენ გამხმარს და მწნილის სახით. მზადდებოდა სხვადასხვაგვარი საწებელი, ყორაო და დადუღებული წვენი, ლეჩერი, ჩურჩხელა, ტყლაპი. ხილისაგან ამზადებდნენ გამხმარ ჩირს.

ამგვარად, აჭარული სამზარეულო, მიუხედავად უცხოური გავლენებისა, ხასიათდება ტრადიციული კერძების ნაირგვაროვნებით, მათი შემზადების ტექნოლოგიური და მოხმარების თავისებურებებით, სამზარეულოსთან დაკავშირებული ინვენტარითა და წეს-ჩვეულებებით, რაც კულინარული ხელოვნების მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

სახვითი და დეკორატიული ხელოვნება აჭარაში

სახვითი ხელოვნება. აჭარის შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლებიდან ჩვენამდე მხოლოდ რელიეფური ქანდაკების, მონუმენტური კედლის მხატვრობისა და ჭედური ხელოვნების ცალკეულმა ნიმუშებმა მოაღწია. ქართული ოქრომჭედლობის, მინანქრის, ხატწერისა და ხელნაწერთა მინიატურული შემკულობის ნიმუშები კი თითქმის არ მოგვეპოვება.

შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება უშუალოდაა დაკავშირებული ქრისტიანობასთან. ქართულ საეკლესიო ძეგლებში აისახა ხელოვნების თითქმის ყველა დარგის განვითარების ისტორიული ხაზი, მისი სპეციფიკური თავისებურებანი. განვითარებული ფეოდალური ხანის აჭარის სახვითი ხელოვნებაც ძირითადად რელიგიური – ქრისტიანული ხასიათის ძეგლებშია წარმოდგენილი.

განვითარებული ფეოდალური ხანის ამჟამად ცნობილ ნიმუშებს შორის ყველაზე ადრეული უნდა იყოს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული **კალოთის ეკლესიის რელიეფი**. ესაა სწორკუთხა ფორმის ფილა, რომელზეც გამოკვეთილია თაღოვან ჩარჩოში ჩასმული ჯვარი და ხელებაპყრობილი ოსტატის ფიგურა წერაქვით ხელში. სცენის მხატვრული გადაწყვეტა კალოთის რელიეფს X საუკუნის II ნახევრის ნიმუშებთან აახლოებს.

შუა საუკუნეების ქართული რელიფური ქანდაკების გამორჩეული ქმნილებებია **მამაკაცის ორი სკულპტურული თავი** ხინოწმინდის ეკლესიიდან. ეს ქანდაკებები 1969 და 1990 წლებში აღამოჩინეს ხინოწმინდის ეკლესიის ნანგრევებში მიმდინარე გათხრითი სამუშაოების დროს. სკულპტურები ამჟამად ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული. თავებს სახის ქვედა ნაწილი აქვს ჩამოტეხილი, მაგრამ რელიეფების საერთო დაცულობა ხელს არ უშლის მათი მხატვრული ღირსებების აღქმას.მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი ქანდაკებები კედლის ზედაპირზე საგანგებოდ დამუშავებული შვერილი ღერძით მაგრდებოდა. სკულპტურული სახეები თითქმის მთელი მოცულობით გამოდიან სივრცეში და ამით გამოხატავენ მრგვალი ქანდაკებისაკენ სწრაფვის ტენდენციას. ოსტატის ძირითადი ყურადღება გადატანილია სახეების „ინდივიდუალური“ ნიშნების, შინაგანი გამომსახველობისა და ფორმის რელიეფურად გადმოცემისაკენ. ხინოწმინდის ტაძრის დეკორში სკულპტურული თავების ადგილის განსაზღვრა, მათი იდეურ-სიმბოლური მნიშვნელობის დადგენა და საერო თუ სასულიერო პირებთან გაიგივება ძნელია. თუმცა უდავოა ის, რომ ამ ნიმუშებში ჩანს X საუკუნის დასასრულის ქართული პლასტიკის სტილისტური თავისებურებები. ხინოწმინდის რელიეფები თავისი გაბედული სკულპტურული ძიებებით ეპოქის იმ გამორჩეულ ნიმუშთა წრეში ექცევა (ვალეს, ოშკის, ბაგრატის ტაძრის რელიეფები), რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი მიღწევებით საფუძველი მოუმზადეს ქართული პლასტიკის შემდგომ აყვავებას.

შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ათასწლოვან პერიოდში, მხატვრული ღირსებებით გამორჩეული არაერთი ნიმუში შეიქმნა. თუმცა, ლითონპლასტიკის ძეგლები აჭარაში თითქმის არ შემორჩა. მათ შესახებ წერილობითი მონაცემებიც ძალზე მწირია. ამ მხრივ საყურადღებოა XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსი არქოლოგის – პ. უვაროვას მიერ ვანაძეების (აგარის) ეკლესიაში ნაპოვნი სპილენძის ჭედური ლორფინი რომელზეც გამოსახული იყო ღვთისმშობელი ყრმით და ჩამოსხმის წესით დამზადებული ბრინჯაოს ხატი გველეშაპის დამთრგუნველი წმ. თევდორეს გამოსახულებით (ორივე ნიმუში, ისევე როგორც პ. უვაროვას მიერ გატანილი აგარის ეკლესიის კანკელი, დაკარგულია).

ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუში – მცირე ზომის ბრინჯაოს ღვთისმშობლის ხატი ნაპოვნია ვერნების ეკლესიაში. წელამდე გამოსახული ღვთისმშობელი ყრმით ფირფიტის ცენტრში საგანგებოდ მოჩარჩოებულ სიბრტყეზეა წარმოდგენილი. ირგვლივ კი რელიეფური წერტილებია ამოტვიფრული. ღვთისმშობელს ყრმა მარცხენა ხელზე უზის, ქრისტეს მარჯვენა ხელი კურთხევის ნიშნად აქვს გაწვდილი, ხოლო მარცხენაში გრაგნილი უჭირავს.ხელოვნების ამ მცირე ნიმუშის მიმზიდველობას მისი იკონოგრაფიული თავისებურება განსაზღვრავს. ხატზე გამოსახული ღვთისმშობელი ცხოვრებისეული, ადამიანური განცდებითაა გაჯერებული – მარიამის ნაზად დახრილი თავი, ღვთისმშობლისა და ყრმის თითქმის ერთმანეთზე მიბჯენილი სახეები დედა-შვილის ალერსის მომენტს გამოხატავს და ხაზს უსვამს მოალერსე (ე.წ. „ელეუსა“) ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპისათვის დამახასიათებელ ინტიმურობას. მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით ვერნების ხატი გვიანი ხანის – XIV-XV საუკუნეების ჭედური ხელოვნების ნიმუშებს უკავშირდება.

შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშებს შორის განსაკუთრებული გამომსახველობით გამოირჩეოდა **ვანაძეების (აგარის) ეკლესიის კანკელი,** რომლის დეტალები ეკლესიის ნანგრევებში აღმოაჩინა პ. უვაროვამ. ამჟამად მისი ბედი უცნობია. კანკელი, საკურთხევლისა და ძირითადი სივრცის გამყოფი ტიხარი, ტაძრის შიდა სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი ქრისტიანულ საიდუმლოებათა აღსრულებისას მრევლისაგან მიუწვდომელს ხდიდა ტაძრის ამ უწმინდეს ადგილს. ეპოქის ანალოგიური ნიმუშების გათვალისწინებით აგარის კანკელი წარმოადგენდა დეკორატიული ნახევარსვეტებით გამოყოფილ ტიხარს ხუთმალიანი თაღედით და ცენტრში გახსნილი აღსავლის კარით. ვანაძეების (აგარის) კანკელი მდიდარი დეკორატიული შემკულობით გამოირჩევა. მისი ყოველი დეტალი მცენარეული და გეომოტრიული ორნამენტული ჩუქურთმით არის მორთული. დეკორის სისტემაში ერთადერთი სიმბოლური სახე ტოლმკლავა ჯვარია. კანკელის მხატვრული გაფორმების ხასიათი ძირითადად XII-XIII საუკუნეების ტრადიციებს ემყარება და გამოხატავს დეკორატიულობისაკენ სწრაფვას, რაც იმ პერიოდის მხატვრულ გემოვნებას შეესტყვისება. მისი თარიღი აგებულებისა და დეკორის ხასიათის მიხედვით ეკლესიის აშენების ხანას – XII-XIII საუკუნეების მიჯნას უკავშირდება.

შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებიდან აჭარაში მხოლოდ **სხალთის ეკლესიის ფრესკები** შემორჩა. თუმცა, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ, ასევე, მოხატული ყოფილა ვანაძეების, საციხურისა და ციხისყელის და სხვა ეკლესიებიც.სხალთის ტაძარი XIII საუკუნის შუა ხანებშია აგებული, ხოლო მოხატულობა XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს შესრულებული.

სხალთის მოხატულობის დიდი ნაწილი განადგურებულია. ფრესკები ძირითადად საკურთხეველში,

კამარაზე და დასავლეთ კედელზე შემორჩა. მიუხედავად ამისა, ფრაგმენტულად მოღწეული სილუეტების გამომსახველობა, ნათელი ფერთა გამა, მდიდარი კოლორიტი, შესრულების ოსტატობა მაინც შთამბეჭდავს ხდის სხალთის ფერწერულ ანსამბლს.

მოხატულობის დღევანდელი სახე სრული თეოლოგიური პროგრამის წაკითხვის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ის, რაც შემორჩა, მოწმობს, რომ მხატვრობა ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნიდა და ხასიათდებოდა გააზრებული კომპოზიციური გადაწყვეტით.

საკურთხევლის აფსიდის კონქში გამოსახულია „ვედრების“ კომპოზიცია – საყდარზე მჯდომარე მაცხოვრის, ცეცხლოვან ბორბლებზე მდგომი სერაფიმისა და ტეტრამორფის, ხოლო კიდეებში ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მავედრებელი ფიგურებით. ქრისტეს გრანდიოზული გამოსახულება არა მარტო აფსიდის, არამედ მოხატულობის მთელ სისტემაში დომინირებს და ყოვლისმპყრობელის მნიშვნელობას იძენს. „ვედრების“ სცენა უფლის დიდების, მეორედ მოსვლის, ქომაგობის იდეას გამოხატავს. იგი ქართულ ხელოვნებაში ადრეული ხანიდან გვხვდება. სხალთის საკურთხევლის აფსიდის კონქში „ვედრების“ სცენის გამოსახვა ადგილობრივი ტრადიციებისადმი ერთგულების დამადასტურებელია. საკურთხევლის მოხატულობის მეორე რეგისტრი უფლის მადიდებელ მუხლმოდრეკილ ანგელოზთა დასს ეთმობოდა, მომდევნო რეგისტრი კი მედალიონებში გამოსახულ წმინდანთა ნახევარფიგურებს. ქვემოთ წარმოდგენილი იყო „ზიარების“ სცენა, სადაც შემორჩენილია მოციქულთა რამდენიმე ფიგურა შესაბამისი ქართული ასომთავრული წარწერებით. აფსიდის ბოლო ქვედა რეგისტრში, იკონოგრაფიული ტრადიციის თანახმად, წარმოდგენილი იყვნენ მღვდელმთავრები.

დარბაზის კამარაზე მოხატულობა სამ რეგისტრად ნაწილდება. „ზეციურ ზონაში“ გამოიყოფა საუფლო დღესასწაულის ოთხი სცენა: „ხარება“, „ფერისცვალება“, „ამაღლება“, „სულიწმინდის მოფენა“. კამარის ჩრდილოეთსა და სამხრეთ კალთებზე კი გამოსახულია ისტორიული თანმიმდევრობით წარმოდგენილი ქრისტეს ცხოვრების სცენები: „შობა“, „მირქმა“, „ნათლისღება“, „ლაზარეს აღდგინება“, „იერუსალიმს შესვლა“, „საიდუმლო სერობა“, „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში“, „ოცდაათი ვერცხლი იუდასათვის“, „იუდას ამბორი“, „ქრისტე კაიაფას წინაშე“, „ჯვრის ზიდვა“, „ჯვრის აღმართვა“, „ჯვარცმა“, „გარდამოხსნა“, „დატირება“, „ჯოჯოხეთად შთასვლა“, „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“. კამარის საბჯენ თაღებზე იკითხება მამამთავართა და წინასწარმეტყველთა რამდენიმე ფიგურა. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია „ჩვილთა მოწყვეტისა“ და „ღვთისმშობლის მიძინების“ კომპოზიციათა ფრაგმენტები. სამხრეთის კედლის ნიშში გამოსახულია სცენები იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან: „ანგელოზის გამოცხადება ზაქარიასადმი“, „ანგელოზის მიერ ყრმა იოანეს უდაბნოში წაყვანა“. დასავლეთის კედელი მთლიანად „დღე განკითხვის“ გრანდიოზულ კომპოზიციას ეთმობა, რომელსაც ორგანულად ერთვის კარის თავზე გამოსახული „ვედრების“ სცენა.

იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები სხალთის მოხატულობას XIV-XV საუკუნეების პალეოლოგოსთა სტილის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებთან აკავშირებს. ბიზანტიიდან მომდინარე პალეოლოგოსთა ხელოვნების ნიშნები ქართულ მხატვრობაში XIII საუკუნის დასასრულისა და XIV-XV საუკუნეების პირველი ნახევრის ძეგლებში იჩენს თავს. თუმცა ახალი სტილის ნიშნებთან ერთად, ამ ეტაპის ქართული ფერწერის თავისებურებებს მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიციებიც განსაზღვრავს.

სხალთის მხატვრობაში წარმოდგენილი ქრისტეს ცხოვრების სცენების გარკვეული ნაწილი XI-XIII საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში გავრცელებულ იკონოგრაფიულ ვერსიებს ემყარება, ხოლო ბევრი მათგანი პალეოლოგოსთა ხელოვნების სიახლეებით საზრდოობს.

ირკვევა, რომ სხალთის ეკლესიის მომხატველი ოსტატები საზრდოობდნენ მრავალფეროვანი იკონოგრაფიული წყაროებით, კარგად იცნობდნენ იმდროინდელ ქართულ და ბიზანტიურ ნიმუშებს, მონუმენტური კედლის მხატვრობის ძეგლებს, ხელნაწერთა მინიატიურებს, იკონოგრაფიული სცენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ დედნებს, თუმცა არ ახდენდნენ მათ კოპირებას.

სხალთის მოხატულობის სისტემაში საგანგებოდ შერჩეული ყველა ელემენტი გარკვეული იდეური არსის მატარებელია. სხალთის ღვთისმშობლის ეკლესიის მხატვრობაში სამყაროს აღსასრულის იდეის განსაკუთრებული გამოყოფა შესაძლოა განპირობებული იყო არა მარტო ამ ეპოქის მსოფლმხედველობით, არამედ ამ კუთხის სულიერი შვილის, XIII საუკუნის საზოგადო მოღვაწის – აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობითაც, რადგან ესქატოლოგიური შეხედულება ნათლად ვლინდება – მის თხზულებაში „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა“.

სხალთის მოხატულობის მხატვრულ გადაწყვეტაში გამოვლინდა XIV-XV საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის თავისებურებები: მონუმენტურობის შესუსტება, სცენების, ცალკეული ფიგურებისა და ორნამენტის განთავსების „ხალიჩისებური“ პრინციპი, საერთო სტუქტურის თავისუფლება და დინამიურობა, სივრცობრივი ამოცანებისადმი ინტერესი და სხვა. ფიგურებს ახასიათებს მცირე ზომები, დაგრძელებული პროპორციები, პატარა თავები, ნაზი კიდურები, თავისუფალი, მსუბუქი მოძრაობები. სახეებისა და ტანისამოსის წერის მანერა „ფერწერულ“ ხერხებს ეფუძნება. ფერთა ლაქების დამატებითი ტონებით დამუშავება მოცულობრივ ფორმებს გამოავლენს და ფრესკებს სადაფისებურ ელვარებას ანიჭებს. მხატვრულ სახეთა ემოციურობის თავშეკავებული გადმოცემა, მოხატულობის ნათელი, მაგრამ შედარებით ცივი კოლორიტი, ნახატისა და ხაზის ხასიათი სხალთას XIV საუკუნის დასასრულისა და XV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებთან (წალენჯიხისა, ხობის ვამეყ დადიანის ეკვდერი – 1384-1396 წწ.; ნაბატევი – 1412-1431 წწ. და სხვა) აკავშირებს.

მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები და ფრესკებზე გამოსახული ქართული ასომთავრული წარწერები, თავის მხრივ, მიუთითებენ, რომ ტაძრის მომხატველი ოსტატები ნიჭიერი ქართველი მხატვრები იყვნენ, რომელთაც, შესაძლოა, გარკვეული კავშირი ჰქონდათ ბიზანტიური სამყაროს სხვა კულტურულ ცენტრებთან.

ისტორიული ვითარების მიხედვით ჩანს, რომ სხალთის ფერწერული ანსამბლის დამკვეთნი აჭარის ერისთავები – აბუსერისძეთა სახლის წევრები იყვნენ. ამის საფუძველს იძლევა თვით მხატვრობის თეოლოგიური პროგრამა, რომელშიც ჩანს არა მარტო ეპოქის (XIV-XVსს.) სულისკვეთება, არამედ აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობისა და მსოფლმხედველობის ანარეკლი.

გვიანი შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლები აჭარაში ერთეული ნიმუშების სახით შემორჩა. ამ მხრივ საყურადღებოა **ცხრაფონას** (ამჟამად ამ სოფელს ჩეხედანა ჰქვია) ეკლესიის **რელიფი** და **მოხატულობა**.

ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ცხრაფონას ეკლესიის ფილაზე გამოსახულია გველეშაპის დამთრგუნველი წმინდა გიორგი. სკულპტურული კომპოზიცია ლაკონიურობით გამოირჩევა. ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული წმინდანი, რომელსაც ორივე ხელით შუბი უპყრია განგმირავს ოთხფეხა გველეშაპს. მისი სამოსი – ქუდი, წელში გამოყვანილი კაბა, ქუსლებიანი ჩექმები გადმოცემულია XVII-XVIII საუკუნეების მოდის შესაბამისად და ამ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში მომძლავრებული საერო და ხალხური ხელოვნების გავლენებითაა გამსჭვალული. ოთხფეხა გველეშაპის ფანტასტიკური ტიპიც, ასევე, გვიანი ხანის (XV-XVIII სს.) ნიმუშებში გვხვდება. მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით წმინდა გიორგის რელიფი XVI-XVII საუკუნეების მიჯნით თარიღდება. ამ პერიოდის ნიმუშების მსგავსად, ცხრაფონა-ჩეხედანას ქანდაკება ხასიათდება ფიგურის აგების სიმარტივით, პლასტიკური და სივრცული ამოცანების უგულებელყოფით.

გვიანი შუა საუკუნეების თავისებურებებს ავლენს ცხრაფონა-ჩეხედანას მხატვრობაც, რომლის ფრაგმენტები აღმოაჩინეს გასული საუკუნის 90-იან წლებში ძეგლის გაწმენდის დროს. ამჟამად ეს ფრაგმენტები დაცულია ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში. ფრესკები საშუალებას იძლევა მხოლოდ ნაწილობრივ შევეხოთ მოხატულობის სტილის, პერიოდისა და ოსტატთა წერის მანერის საკითხებს. წმინდანთა სახეები გვიანი ხანის ქართული ფრესკული მხატვრობისათვის სახასიათო ხერხებს ეფუძნება: ერთი ჯგუფს გამოარჩევს XVI-XVII საუკუნეების პოსტპალეოლოგოსური ძეგლებისათვის დამახასიათებელი სახის მოგრძო ოვალი, ფორმების უფრო რთული ფერწერული ხერხებით გადმოცემა, მეორე ჯგუფს კი ახასიათებს წერის უფრო მარტივი მანერა, რაც, ძირითადად, ხალხური ნაკადის ძეგლებშია დადასტურებული. ფრესკის რამდენიმე ფრაგმენტის საფუძველზე ორი ოსტატის ხელწერა გაირჩევა, ერთ-ერი მათგანი პოსტპალეოლოგოსური პრინციპების ერთგულია, ხოლო მეორე ხალხური ნაკადის მხატვრობის ნიმუშებისა. სტილისტური ნიშნებით ცხრაფონას ეკლესიის მხატვრობა XVI-XVII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ამდენად, ფეოდალური საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში დადასტურებული შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშები გამოხატავენ ქართული ხელოვნების სხვადასხვა ეპოქის ზოგადქართულ მხატვრულ მიღწევებს და წარმოადგენენ მაღალი მხატვრული ღირებულებების მქონე ნიმუშებს.

დეკორატიული ხელოვნება. დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარაში ძირითადად წარმოდგენილია ხეზე (საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობანი, საოჯახო-საყოფაცხოვრებო საგნები: დგამ-ავეჯი, ჭურჭლეულობა და სხვა), ქვაზე (ბუხრები, წყარო-შადრევნები, საფლავის ქვები), ქსოვილსა და ნაქარგობაზე (ტანსაცმლის ელემენტები, ფარდაგები, ხურჯინები, მახარობლის ბალიშები, აკვნის არტახები და სხვა). მსგავსი ნიმუშები გვხვდება ლითონზე (თოფი, დამბაჩა,ხანჯალი, ცული, წალდი, ხელეჩო და სხვა), თიხის ნაკეთობებზე (კეცი, დერგი, ჯამი, ჭური, ქოთანი, კარაქის სადღვებელი).

წერილობითი ცნობების, არქეოლოგიური მასალებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ აჭარლები ოდითგანვე იყვნენ დაწინაურებული სამშენებლო ხელოვნებასა და ხის მხატვრულ დამუშავებაში. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათება: „აჭარლები არიან კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. შემდგომი პერიოდის ქართველ ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა და ხელოვნებათმცოდნეთა შრომებში საინტერესო ცნობები გვხვდება ხეზე კვეთილობის შესახებ აჭარაში. ისინი ორნა-

მენტის ამ ნიმუშებში ხედავდნენ ქართული ჩვევების, მხატვრული აზროვნების, მაღალი გემოვნებისა და ნატიფი ოსტატობის კვალს.

. აჭარაში ხეზე შესრულებული ხალხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები დამზადების ტექნიკის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: **ხეზე კვეთილობად** და **ხეზე მოხატულობად**. ხეზე კვეთილობაში წარმოდგენილია გრაფიკული, რელიეფური, წრიულ-პლასტიკური, აჟურულად ამოკვეთილი და ინკრუსტრირებული სახეები. შემკულობაში საღებავებიც არის გამოყენებული.

როგორც ცნობილია, ისლამის ძალადატანებით გავრცელების შედეგად, აჭარაში დაინგრა ზოგიერთი ქრისტიანული საკულტო ხის ნაგებობა. მის ნანგრევებზე ან მახლობლად ჯამე აუშენებიათ, რომელზედაც გამოუყენებიათ ეკლესიის ხისა თუ ქვის მასალა, ან, ზოგჯერ, ეკლესიები ინტერიერში გარკვეული ცვლილებებით გადაუკეთებიათ და პირდაპირ ჯამედ უქცევიათ, ეკლესიის ჩუქურთმა მეჩეთის შიდა და გარე შემკულობაში გამოუყენებიათ. ამ გზით ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე მოაღწია ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტის მრავალმა ნიმუშმა.



აჭარაში ხის ჯამეების დიდი უმრავლესობა გამოცდილ ლაზ ოსტატებს აუშენებიათ და მათვე შეუმკიათ მხატვრულად დახვეწილი ქართული ჩუქურთმებით. ეს გარემოება XIX საუკუნის დასასრულს არქიტექტორმა, აკადემიკოსმა ა.მ. პავლინოვმა მაჭახლისპირის, მარადიდისა და ბათუმის (ახმედიეს) ხის ჯამეების მონახულების შედეგად შენიშნა და ცნობილი ტბეთის ტაძრის ორნამენტებთან მსგავსება დაადასტურა. მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებს ტრადიციული ქართული დეკორით შემკობა უფრო მიმზიდველს ხდიდა.

აჭარაში ბევრი მეჩეთის ინტერიერის ჭერი, კედლები და რიტუალური საგნებიც ზეთის საღებავითაა მოხატული. ხშირად ხეზე კვეთილი ორნამენტებიც ლაქ-საღებავებითაა დაფარული. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გამოყენებული საღებავები ადგილობრივი ხალხური წესით იყო დამზადებული. შემდგომ წლებში უცხოეთიდან ბათუმში შემოტანილ ზეთის საღებავებს ყიდულობდნენ.

მეჩეთების ინტერიერის მოხატულობის სპექტრი, ძირითადად, წითელი, ყვითელი და მწვანე ფერებისაგან შედგება. ზოგჯერ გამოყენებულია ნარინჯის, ჩალის, იის, თეთრი, შავი და ცისფერი საღებავები. ფერების განლაგება-შეხამება პირობითია და არ ემყარება გარკვეულ კანონზომიერებას. მიუხედავად ამისა, მკვეთრი ფერებიც კი საერთო გამაში საინტერესოდ აღიქმება. ხის კვეთილი რელიეფის გადაღებვით, თუნდაც ერთ ფერში, განპირობებულია შუქჩრდილთა ნაირსახეობა, მუქი და ღია ტონების მონაცვლეობა.

აღსანიშნავია აკვნის სხვადასხვა ფერით შეღებვის ტრადიცია, რაც ხუთი-ექვსი ათეული წლის წინათ საკმაოდ გავრცელებული იყო. აკვნის შემკულობაში ფერთა ნაირსახეობის გამოყენება განპირობებული იყო ფერთა სიმბოლურ-მაგიური დატვირთვითაც.

ხალხური ხეზე კვეთილობისა და მოხატულობის ნიმუშები, რომლებიც აჭარაში გამოვლინდა, ფორმისა და შინაარსის მიხედვით იყოფა გეომეტრიულ, მცენარეულ, ასტრალურ, ზოომორფულ და საგნობრივ მოტივებად.

ჩვენამდე მოღწეული გეომეტრიული სახეები, ძირითადად, დეკორატიული ფუნქციის მატარებელია. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების შეჯერებით ირკვევა, რომ თოკისებური გრეხილი, ზიგზაგი, სპირალი, რომბი, სამკუთხედი, ტალღისებური კლაკნილი, S-seburi სახე, წრე, ნახევარწრე და სხვა გეომეტრიული კონფიგურაციის გამოსახულებები, თავდაპირველად, გარკვეულწილად, სიმბოლური დანიშნულების ყოფილა. უცილობელია, მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ მიწათმოქმედი მოსახლეობის უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან (ავი თვალის, ავი სულის, ბოროტი ძალებისაგან თავდაცვა, ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლო და სხვა).

სპირალი, ნახევარწრე, S-seburi სახე ასტრალური სიმბოლიკის შემადგენელ ელემენტებს შეიცავს. ამ სახეებმა დროთა განმავლობაში თითქმის დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა, ხოლო წრემ, ბორჩხიალა‖ბორჯღალამ და სხვა გეომეტრიული კონფიგურაციის სახეებმა ბოლო დრომდე შეინარჩუნა ასტრალურ მნათობთა აღმნიშვნელი ნიშნების შინაარსი. ასტრალურ სიმბოლოებთან კომპოზიციურად ხშირადაა დაკავშირებული ჯვრის გამოსახულება, რომელმაც უძველესი დროიდან ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე მოაღწია, თანაც სხვადასხვა სემანტიკური შინაარსით. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ საცხოვრებელ სახლებზე, ასევე, მეჩეთებზეც მრავლად გვხვდება სტილიზებური, შენიღბული ჯვრები, რომლებიც იდუმალ გარემოებაში ფარული, ჩუმი ქრისტიანების მიერ გამოიყენებოდა მაშინ, როცა ისლამისტური რეაქცია მძვინვარებდა ოსმალების დაპყრობილ აჭარაში.

ხალხურ ორნამენტში მცენარეული სახეების სიუხვე და მრავალფეროვნება ადამიანის ბუნებასთან, სამეურნეო საქმიანობასთან აქტიური ურთიერთობით არის განპირობებული. მასში ღერო-ფოთლოვან კომპონენტებთან ერთად გამოსახულია ნაყოფი ისეთი მნიშვნელოვანი სამეურნეო კულტურებისა, როგორიცაა: სიმინდი, ვაზი, ბრეწეული, ვაშლი და სხვ. ასევე, ფიგურირებს დეკორატიული ფუნქციის მქონე და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული მცენარეული სახეები: ნატურალური ფორმის ან სტილიზებური (ეგზოტიკური) იერის მქონე ყვავილი, ფოთოლი, შტო, კვირტი, შროშანის ყვავილ-ფოთლები, სიცოცხლის ხე, ალვის ხე, ურთხელის ხე და სხვ.

ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს **ვაზის** გამოსახულებათა სიმრავლეს აჭარის მეჩეთებზე. ვაზის ჩუქურთმა ქართველთა ეროვნული ცნობიერების სიმბოლოდაა გააზრებული. იგი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ძველთაგანვე ჰპოულობს საპატიო ადგილს. მისი გამოსახვის პრაქტიკა ისლამის გავლენის პირობებში ქართული უძველესი ტრადიციე-

ბის გამძლეობის თვალსაჩინო მაგალითია. მეჩეთებზე ვაზისა და ჯვრის გამოსახვის ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვიანფეოდალური ხანის აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის შესწავლისათვის.

ზოომორფული მოტივის ორნამენტი წარმოდგენილია ხარის თავის, ძაღლის, გველისა და ირმების გამოსახულებებით. ამათგან დიდი ადგილი უჭირავს გველის, როგორც ავი თვალისა და ავი სულისაგან ოჯახის მფარველის სიმბოლოს, გამოსახვას. მითოლოგიური შინაარსისაა მზის (სიკეთის) და გველის (ბოროტების) ბრძოლის სიუჟეტი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე, სხვადასხვა ხალხის ხელოვნებასა და ფოლკლორში. სხვა ზოომორფული გამოსახულებები (ხარის თავი, ირემი, ძაღლი) გამოყენებულია სახლის ფასადისა და ავეჯის შესამკობად. ამ ცხოველებს ადამიანისათვის უხსოვარი დროიდან ჰქონდა დიდი სამეურნეო მნიშვნელობა. მათთან დაკავშირებით მრავალი რწმენა-წარმოდგენაც შემუშავდა. ძაღლის, გველისა და მზის გამოსახულებები აქვს სოფ. ხიხაძირში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულებს, რაც ამ კულტების სიძლიერეზე მიგვანიშნებს.

საგნობრივი ორნამენტი (გემი, წყლის ჭურჭელი, სასწორი) ძირითადად მეჩეთებზეა გამოსახული. გემის ნახატი მეჩეთის ფასადზე ზეთის საღებავით ლაზი ოსტატების მიერაა შესრულებული. გემი ლაზების, როგორც ცნობილი ზღვაოსნების, სიმბოლოდ მოიაზრება და სიმინდის გამოსახულებასთან ერთად გვხვდება. ცნობილია, რომ საქართველოში სიმინდი ლაზების მიერაა შემოტანილი და ამიტომაც გასაგებია, რომ მათ მიერ აშენებული საკულტო ნაგებობები აღნიშნული სახეებით შეამკეს.

წყლის ჭურჭლის გამოსახულება ძირითადად მცენარეულ ორნამენტთანაა დაკავშირებული. იგი სიმბოლურად წყალს აღნიშნავს და ხაზს უსვამს მის როლს მცენარის ნაყოფიერებაში.

სასწორი რამდენიმე მეჩეთის ინტერიერში საღებავითაა გამოსახული და რელიგიური მიზნით, ცოდვა-მადლის საიქიოში განკითხვის შეხსენებას ემსახურება.

აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, მაღალ დონეზე იდგა ქვის მხატვრული დამუშავება. ამის შესანიშნავი ნიმუშები გამოვლენილია ბუხრებზე, წყარო-შადრევნებზე და საფლავის ქვებზე, ეკლესიებზე თუ დანგრეული ეკლესიების ქვებზე, დღემდე შემორჩენილი ორნამენტის სახით.

აჭარაში ტრადიციულ საცხოვრებელ სახლს რამდენიმე **ბუხარი** ჰქონდა. იგი თითქმის თითოეული საქორწინო წყვილის საძინებელ ოთახს გააჩნდა, მაგრამ განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო შემკული საუფროსო და სასტუმრო ოთახების ბუხრები, რაც კერის სასიცოცხლო დანიშნულებითა და მისი კულტის არსებობით აიხსენებოდა.

საუფროსო ოთახში კერასთან წყდებოდა ოჯახისათვის საჭირბოროტო საკითხები. ოჯახის წევრებიც აქ იყრიდნენ თავს და უმეტეს დროსაც აქ ატარებდნენ. ოჯახის უფროს წევრს სათანადო ადგილი ჰქონდა მიჩენილი ბუხართან ახლოს, მარჯვნივ. ოჯახის უფროსი მამაკაცისა და მისი მეუღლისათვის მარცხნივ განკუთვნილ ადგილზე სხვა არავინ დაჯდებოდა.

ბუხარი შედგება ცეცხლაპირის, კერიის, ზურგის, ფეხის, ქემერისა (კამარის) და საკვამლის ქვებისაგან. ცეცხლაპირის, ე.ი. ფუძის ქვაზე აღმართულია ზურგისა და ფეხის ქვები. ამ ქვების შეერთებასთან, მარჯვენა მხარეს, მოთავსებულია კერიის ქვა. ფეხის ქვებზე დაფუძნებულია ქემერი//კამარა, ანუ თაღისებური კონფიგურაციის მქონე ქვა. კამარა ხშირად მონოლითურად თაროსთან ერთადაა გამოკვეთილი, მეტწილად კი თარო ბუხრის ცალკე ელემენტს წარმოადგენს. ბუხრები თაროების გარეშეც კეთდებოდა. აჭარულის ანალოგიურია ნ. მარის მიერ იმერხევში აღწერილი ბუხრის ქვების კომპოზიციური განლაგება და ცალკეულ ელემენტთა აღმნიშვნელი ტერმინები.

ბუხრების მშენებლებად და მეჩუქურთმეებად, ძირითადად, მოგზაური ლაზი ხელოსნები ითვლებოდნენ, მაგრამ მათთან ერთად მრავალი ადგილობრივი ოსტატის სახელიცაა ცნობილი.

შეიმჩნევა, რომ შეძლებულთა ბუხრები მხატვრული დამუშავებითა და ორნამენტის კვეთილობით გამოირჩეოდა. ეს ფაქტი კარგად შენიშნა ფრანგმა ორიენტალისტმა ჟან მურიემ. იგი წერდა: „...რაც უფრო მდიდარია სახლი, მით უფრო მეტად არის მორთული ბუხარი ფაქიზი ჩუქურთმებით და ხის სამკაულით“.

მიუხედავად იმისა, რომ დანგრეული ქრისტიანული ეკლესიების ქვების ოჯახში შეტანა, მით უმეტეს, სახლის მშენებლობაში გამოყენება, ისლამის მიერ იკრძალებოდა, ასეთი ქვები მაინც გამოუყენებიათ. ამ მხრივ საინტერესოა ზ.ჭიჭინაძის ცნობაც, რომელიც ხუ-

ლოს რაიონის სოფელ ალმეს (ახლა ვაშლოვანი) შეეხება. იგი წერდა: „აქა-იქ სოფლის სახლის ბუხრებშიაც ნახავს კაცი ისეთ ქვებს, რომლებსაც ხუცური წარწერა აქვს“.

ბუხრის წარწერები საყურადღებოა დათარიღების თვალსაზრისითაც. აჭარაში გამოვლენილი უძველესი ბუხარი 1755 წ. თარიღდება.

ორნამენტით ამკობდნენ არა მარტო თვით ბუხრის თაღს, არამედ მის კამარას და საყრდენ ფეხებს. ორნამენტად გამოყენებულია სამკუთხედებისაგან შედგენილი ზიგზაგური ხაზები, თოკისებური გრეხილები, სწორი და ირიბი პარალელური ხაზები, ჯვრები, წრეები, რკალები, სამკუთხედები. ბუხრის შემკულობაში საპატიო ადგილი უჭირავს ასტრალურ გამოსახულებებს: მარადიული ნათების, მოძრაობისა და სიმხურვალის სიმბოლოს – ბორჯღალა-ბორჩხიალას, გასხივოსნებულ მზეს, ბადრ და ნამგალა მთვარეს, ვარსკვლავებს. მოგვიანო პერიოდის ბუხრებზე ხუთქიმიანი ვარსკვლავიცაა ამოკვეთილი.

ბუხრის შემკულობაში მცენარეული მოტივები წარმოდგენილია ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ხის სახით, რომლებიც, საერთოდ, ფართოდაა გავრცელებული ქართულ ხალხურ ორნამენტში. მცენარეულ სახეებში საგანგებოდ გამოიყოფა ალვის ხე. იგი მნათობებთან ერთად, კოსმიური ბუნების გადმომცემია და სიცოცხლის ხეს განასახიერებს. ორნამენტში ხშირადაა გამოსახული მზე და წყალი, როგორც მცენარის სიცოცხლისა და ნაყოფიერებისათვის აუცილებელი ატრიბუტები.

ბუხრის შემკულობა შეიცავს თოფის, ხმლის, დანის, კვერთხის და სხვა საგნების გამოსახულებებს. კვერთხი მიიჩნევა ოჯახის უფროსის უფლებრივი მდგომარეობის სიმბოლოდ, ხოლო სხვა იარაღები – ვაჟკაცობის, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის, გმირობის სიმბოლოდ. როგორც ჩანს, სახვითი ხელოვნების ძველ ქართულ ტრადიციებზე არსებითი გავლენა ვერ მოუხდენია ისლამის რელიგიურ დოგმებს, რომლებითაც იკრძალებოდა ცოცხალი არსების გამოსახვა. ბუხრის ორნამენტში ზოომორფულ სახეებსაც (არწივი, მტრედი და სხვ. ფრინველები) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

აჭარაში მხატვრულ-დეკორატიული ქსოვისა და ქარგვის ტრადიცია ძველთაგანვე იყო გავრცელებული, რაც ზემო აჭარაში დღემდე შემორჩა. ქვემო აჭარაში – ბარში იგი უფრო იშვიათად გვხვდება. მთაში კვლავ მოწონებას იმსახურებს საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ნაქარგებითა და დეკორატიული ქსოვილებით მორთვა. სასტუმრო ოთახს და საძინებელს განსაკუთრებით ამშვენებს პატარძლის ნაქარგები, როგორც მზითვის ნაწილი.

ქსოვილებისა და ნაქარგების შემკულობაში, ძირითადად, გვხვდება გეომეტრიული, მცენარეული, ზოომორფული, ასტრალური, ანთროპომორფული და საგნობრივი სახეები.

მცენარეულ სახეებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიცოცხლის ხის მოტივს. იგი გვხვდება ნაქარგებსა და აპლიკაციებშიც, რომელთა საუკეთესო ნიმუშებია კედლის ფარდაგები, სტუმრის პირსახოცი და საოჯახო დანიშნულების სხვა ქსოვილები. სიცოცხლის ხის მოტივში ანტიპოდად, ძირითადად, ირმები გვხვდება. ისინი მოცემულია სტატიკურ და მოძრავ მდგომარეობაში, პროფილით და ანფასით. ამ მოტივში, ირმების გარდა, გამოსახულია ცხენები, კურდღლები, ფრინველები (ფარშევანგი, იხვი, ჩიტი, მამალი) და სხვა.

ნაქარგებში ანთროპომორფული მოტივიდან ქალის გამოსახულებები ჭარბობს. დადასტურებულია ქალისა და ცხენის ერთად გამოსახვის მაგალითებიც. ქალი გრძელი კაბითა და მანდილითაა გამოსახული. ზოგიერთ ნაქარგში ამოქარგულია თამარ მეფე და ნესტანი.

ნაქსოვ ორნამენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეურნეო და საოჯახო იარაღების (ცული, ხერხი, ფოცხი, დაშნა, მაკრატელი), ბუნებისა და გარემოს ცალ-

კეულ სიმბოლოების (მზე, მთვარე, ვარსკვლავი, მთა, წყალი, გზა), რელიგიურ-მითოლოგიური სიუჟეტის (ჯვარი, სიცოცხლის ხე, გველი) და სხვათა გამოსახვას.

აჭარაში გამოვლენილი დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგობანი ქალთა ხელსაქმის ძირძველი ტრადიციების მაჩვენებელია. იგი, ძირითადად, დეკორატიული ფუნქციით შემორჩა. ცალკეულ მათგანში კი საწესჩვეულებო ხასიათი მჟღავნდება. ქსოვილებისა და ნაქარგების შესრულების ტექნიკა მრავალფეროვანია და მათზე მოცემული გამოსახულებები შინაარსით ბუნებრივ გარემოსა და ყოფაცხოვრებისეულ მხარეებს მოიცავს.

მხატვრული ხელოსნობის ცალკეული ნაწარმი აჭარაში შესრულების მაღალოსტატური ტექნიკით, ფორმის დეკორატიულობით და სახეების სიმბოლური გააზრებით ქართულ ხალხურ სახვით ხელოვნებაში საპატიო ადგილს ჰპოულობს. მისი საუკეთესო ნიმუშები ეთნიკური კულტურის ერთ–ერთი მახასიათებელი ფუნქციის მქონეა. ამ ფენომენის ძირძველი ტრადიციების წარმოჩენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არა მარტო ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის უკეთ შეცნობას, არამედ მისი აღორძინების საქმეს და სათანადო წვლილს შეიტანს ტურიზმის თანამედროვე პერსპექტივების განხორციელებაში.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. *ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (აჭარა), თბილისი, 1956.*
2. *აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, 1990.*
3. *ბარამიძე რ., ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010.*
4. *ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987*
5. *ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში. ბათუმი, 1974.*
6. *დავითაძე ა., ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი, 1983.*
7. *დიასამიძე ბ., სხალთის ეპარქიის ისტორია XVI-XVII საუკუნეებიდან იწყება, კრ. „ჩვენი სულიერების ბალავარი“, VII, ბათუმი, 2015.*
8. *ვანილიში გ., ლაზური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, – სდსყკ, V, თბილისი, 1978.*
9. *ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ბათუმი, 1979.*
10. *ვარშალომიძე ჯ., ბუხრის შემკულობა აჭარაში, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XI, თბილისი, 1985.*
11. *ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941*
12. *ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993.*
13. *კახიძე ნ., ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2004.*
14. *კახიძე ნ., ძვირფასი ქსოვილების დამზადებისა და მოხმარების ისტორიიდან საქართველოში.-–სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, X, ბათუმი, 1983.*
15. *კვეზერელი-კოპაძე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბილისი, 1973.*
16. *მამულაძე შ., გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, II, ბათუმი, 2009.*
17. *მამულაძე შ., კახიძე ა., კახიძე ე., გონიო-აფსაროსი, თბილისი, 2007.*
18. *მგელაძე ვლ., ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973.*
19. *მგელაძე ნ., აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004.*
20. *მიქელაძე ჯ. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1982.*

21. ნოდაიდელი ნ., ხალხური კულინარიული ტრადიცია და ლექსიკა (აჭარული მასალა). – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბ., 1987

22. ნოდაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971

23. რობაქიძე ალ., დასახლების ფორმათა საკითხისათვის აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1960.

24. სამსონია ი., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

25. სამსონია ი., ხალხური სამზარეულო აჭარაში, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XII, თბილისი, 1987.

26. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, – აჭარა, II, ბათუმი, 2009.

27. შამილაძე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა), თბილისი, 1969.

28. ჩელებაძე ნ., ქალი და ოჯახი, თბილისი, 2005.

29. ჩიტაია გ. შრომები, III, თბილისი, 2001.

30. ჩიტაია გ., შრომები, IV, თბილისი, 2000.

31. ჩიქოვანი თ., ნიკოლაიშვილი ჭ., ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან, – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, III, ბათუმი, 1958.

32. ჩიჯავაძე ნ.. სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბილისი, 1971.

33. ჭიჭილეიშვილი მ., სხალთის ეკლესიის მოხატულობა, თბ., 2010.

34. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960.

35. *Гараканидзе М., Грузинское деревянное зодчество, Тбилиси, 1959.*

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის

1.დაასახელეთ აჭარის ტერიტორიაზე არსებული ძველი და თანამედროვე სახმელეთო გზები და გადასასვლელები.

2.გვესაუბრეთ აჭარის ტერიტორიაზე არსებული სამდინარო სანაოსნო გზების შესახებ.

3.რა იცით ქვის თაღოვანი ხიდების შესახებ აჭარაში?

4.რა ტიპის დასახლებები არსებობდა ისტორიულად აჭარაში?

5.როგორ ხდებოდა აჭარაში უმეტესად სოფლების ჩამოყალიბება და სახელდება?

6.რა ფაქტორები ახდენდა გავლენას დასახლების ფორმების ჩამოყალიბებაზე?

7.რით განსხვავდება ბარული დასახლება მთური დასახლების სერული ფორმისაგან?

8.იმსჯელეთ, დასახლების ისტორიული ფორმათაგან რა ელემენტებია შენარჩუნებული თანამედროვე საქართველოში?

9.რა ფაქტორებმა განაპირობა აჭარაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ტიპების ჩამოყალიბება?

10. გვესაუბრეთ აჭარული, ლაზური და ოდა სახლის თავისებურებებზე.

11. რა ადგილი უჭირავს აჭარულ სახლს დასავლურ-ქართული ოდა-სახლის ხით ხუროთმოძღვრების განვითარების საქმეში?

12. ძირითადად როგორი ტიპის სალოცავებია გავრცელებული შუასაუკუნეების აჭარაში?

13. რომელ საგვარეულოს უკავშირდება საეკლესიო ნაგებობის მშენებლობა განვითარებული შუასაუკუნეების აჭარაში?

14. რა მხატვრული ნიშანთვისებებით ხასიათდება XI-XIII საუკუნეების დარბაზული სალოცავები?

15. რა განსაზღვრავს სხალთის ღვთისმშობლის ტაძრის მხატვრულ თავისებურებებს და მნიშვნელობას ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში?

16. რა სახის სახმელეთო ტრანსპორტი იყო გავრცელებული აჭარაში?

17. რა სახის სამდინარო ტრანსპორტი იყო გავრცელებული აჭარაში?

18. ჩამოთვალეთ ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის ელემენტები.

19. რომელ პროდუქტებს ამზადებენ რძისაგან აჭარაში?

20. რომელი სარიტუალო კერძები იყო გავრცელებული აჭარაში?

21. რამ განაპირობა აჭარაში კერძების მომზადებასთან დაკავშირებული აკრძალვები?

22. რა ხერხებს იყენებდნენ აჭარაში პროდუქტის ზამთრისათვის შესანახად?

23. რა ადგილი უჭირავს ტრადიციულ სამზარეულოს ტურიზმის განვითარების საქმეში?

24. შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია დადასტურებული აჭარაში?

25. სად არის დაცული კალოთის ეკლესიის რელიეფი ოსტატის გამოსახულებით?

26. რომელი პერიოდით თარიღდება ხინოწმინდის ტაძრის სკულპტურული თავები?

27. შუასაუკუნეების ქართული ფერწერის რომელი ეტაპის ნიმუშია სხალთის მოხატულობა?

28. დაასახელეთ გვიანი შუასაუკუნეების სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარაში.

29. როგორ შეიძლება აიხსნას არქაული სიმბოლოების, მათ შორის ვაზისა და ჯვრის სახეების, შემონახულობა აჭარის ჯამეების დეკორში?

30. რა ადგილი უჭირავს ხის, ქვის, ქსოვილის და სხვათა მხატვრულ დამუშავებას აჭარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში?

.

თავი VII – ტრადიციული სულიერი კულტურა

ხალხური დღესასწაულები

ქართველმა ხალხმა ბევრი საერთო-ეროვნული თუ რეგიონალური დღეობა-დღესასწაული შექმნა. ტრადიციულის გარდა, უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ბევრი ახალი სახალხო დღესასწაულიც დამკვიდრდა.

უძველესი ხალხური დღესასწაულებიდან აჭარაში შედარებით სრული სახით მხოლოდ **შუამთობა** შემორჩა. ზოგიერთი სხვა ძველი დღეობა-დღესასწაულის არსებობის კვალი მხოლოდ მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა და რიტუალებმა შემოგვინახა.

1970-იანი წლებიდან დაწესდა ახალი დღესასწაულები **ტბელობისა** და **კოლხობის** სახით. შემდეგი წლებიდან კი სხვა ახალი სახალხო დღესასწაულები დამკვიდრდა: **დიდაჭარობა, მაჭახლობა, მარეთობა, სელიმობა, გომარდულობა, მერისობა, ქედელობა, ჩაქვისთავობა, ქობულეთობა, ბათუმ-ქალაქობა, სერაფიმობა და სხვა**.

„შუამთობა". შუამთობა უძველესი ხალხური დღესასწაულია, რომელიც ტრადიციულად აჭარის (ხულო, შუახევი) ალპური სეზონური დასახლების ზონაში ტარდება. ის, ძირითადად, მესაქონლე-მიწათმოქმედთა ტრადიციული დღესასწაულია, რომელიც ტარდებოდა ზაფხულობით (ივლისის ბოლო-აგვისტოს დამდეგი) მინდვრის სამუშაოთა (გარდა თიბვისა) დამთავრების შემდეგ. ამ დროს ბარში, ანუ სოფლად დარჩენილი თითქმის მთელი მოსახლეობა (ღრმად მოხუცებულთა და ჩვილ ბავშვთა დედების გამოკლებით) მიდიოდა მთაში და იქ მემთევრ-მესაქონლეებთან ერთად აწყობდა გართობა-სანახაობას, რაც შუამთობის დღესასწაულის საყოველთაო ხასიათზე მიუთითებს. დღესასწაული სამი დღიდან ერთ კვირამდე გრძელდებოდა. დამთავრების შემდეგ მისი მონაწილენი ბარში ბრუნდებოდნენ და თიბვას შეუდგებოდნენ. მთაში მხოლოდ საქონლის მომვლელი-მემთევრი რჩებოდა.

აჭარის სხვა რაიონების (ხელვაჩაური, ქობულეთი) მოსახლეობაში შუამთობის ტრადიციები არ დასტურდება, გარდა დანდალოს ზონისა (ქედის რაიონი), რომელიც ისტორიულად ზემო და ქვემო აჭარის საზღვარს წარმოადგენდა. თუმცა, აქაური მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მეზობელი ზემო აჭარის ალპური საძოვრებით სარგებლობდა, ბუნებრივია, შუამთობის დღესასწაულის მონაწილე ხდებოდა.

შუამთობის დღესასწაული ზემო აჭარის უკლებლივ ყველა ხეობისა თუ სოფლის მთა-საძოვრებზე აღინიშნებოდა, მაგრამ განსაკუთრებული ტრადიციულობითა და მრავალფეროვნებით ამ მხრივ ღორჯომის, ხიხაძირის, ჭვანის, მარეთის ხეობები გამოირჩეოდა. ყველაზე ხალხმრავალი შუამთობა იმართებოდა გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მიმდებარე ალპური დასახლებისა და ღორჯომის ხეობის მთა-საძოვრების ზონაში. აჭარის მეზობელი რეგიონებიდან შუამთობის მსგავსი დღესასწაულის არსებობა დასტურდება შავშეთ-იმერხევში, სამცხეში. ამრიგად, შუამთობა ტრადიცი-

ულად ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისათვის დამახასიათებელ დღესასწაულს წარმოადგენდა, მაგრამ აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესასწაულმა მეტი მრავალფეროვნება და სპეციფიკური სახე შეინარჩუნა.

შუამთობის დღესასწაული ალპურ საძოვრებზე მესაქონლეთა ყოფნის შუა პერიოდს უკავშირდება (ივლისის დამლევი-აგვისტოს დამდეგი) და აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც. ხანდაზმულ მთხრობელთა გადმოცემით (ღორჯომი, დიაკონიძეები, რიყეთი და სხვა სოფლები) მისი თავდაპირველი სახელწოდება მემხლიანობა ყოფილა და დღესასწაულზე წასვლასაც მემ-ხლიანად წასვლას ეძახდნენ. ღორჯომის ხეობაში ჩაწერილი მასალებით, მემხლიანი დღესასწაულზე წამსვლელ ქალს ეწოდებოდა. სხვა შემთხვევაში მთაში წამსვლელ ქალს მემხლიანს არ ეტყოდნენ. არც მამაკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო მემხლიანი.

შუამთობაზე წასვლა კოლექტიურ ხასიათს ატარებდა – ერთი ან მეზობელი სოფლების, რიგ შემთხვევაში – ერთი ხეობის მოსახლეობა ერთად მიემგზავრებოდა და დღესასწაულის დამთავრების შემდეგ, ასევე, ერთად ბრუნდებოდა.

შუამთობაზე მიმავალნი წყაროს წყლებთან ისვენებდნენ, სადაც ცეკვა-თამაშითა და თოფის სროლით ერთობოდნენ. ეს პროცესი აქტიურ ხასიათს ღებულობდა იაილებთან მიახლოებისას. მოიალაღე-მემთევრებთან შეხვედრას თან ახლდა საერთო მხიარულება, რაც გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

შუამთობა გართობა-სანახაობითი დღესასწაული იყო. ცეკვა-თამაში, სიმღერები, გაშაირება, პოეტური იმპროვიზაცია, სპორტული შეჯიბრებები დღესასწაულის მთავარ და აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდა.

მრავალფეროვანი იყო დღესასწაულის მუსიკალური რეპერტუარი. სიმღერებიდან სრულდებოდა **ვოდელია, ვოსა, დედოფლის სიმღერა, შვიდკაცა, აბადელია, ჩაქურა, ხასანბეგურა** და ა.შ. საცეკვაო რეპერტუარში შედიოდა **ხორუმი, ოჰოინანა, განდაგანა, შეხდომილაი, ქალური, ლეკური, ბაღდადური, ქურთბარი, შამილი, ყარაბაღი, ყოლსამა** და სხვ. ცეკ-

ვავდა ყველა – ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ახალგაზრდა და მოხუცი. ცეკვავდნენ ჯგუფურად და ინდივიდუალურად. ცეკვა-თამაშს განსაკუთრებულ იერს აძლევდა ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ქალების მონაწილეობა.

შუამთობის მუსიკალური დამამშვენებელი დოლ-აკორდეონთან, ჩონგურთან და ქამანჩა-საზთან ერთად ჭიბონი იყო. მის ფართო პოპულარობაზე აჭარაში ისიც მიუთითებს, რომ 1960-იანი წლებისათვის ზემო აჭარაში 50-ზე მეტი მეჭიბონე ითვლებოდა. პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ცნობილი მეჭიბონეები: ედეჰემ სურმანიძე სოფელ კვატიიდან (ხიხაძირის ხეობა), შამილ გივრაძე სოფელ ქედლებიდან და სხვები, რომლებსაც ხშირად იწვევდნენ შუამთობასა თუ ქორწილებში.

ცეკვა-თამაშითა და სიმღერებით შუამთობის მონაწილეები ჯგუფ-ჯგუფად მთებს მოივლიდნენ და საღამოობით თავიანთ იაილებში ბრუნდებოდნენ. მათ ხალისიანი განწყობილება შეჰქონდათ მთის ცხოვრებაში.

შუამთობაზე პოპულარობით სარგებლობდა სახუმარო ცეკვა **ფათიკო,** რომელიც საქორწილო ცეკვებშიც შედიოდა. ეს იყო საგანგებოდ, ქალურად მორთულ-ჩაცმული და ფალოსის სიმბოლური გამოსახულებით შემკული ორი მამაკაცის ცეკვა, რომლებიც რიგრიგობით ასრულებდნენ მამაკაცურად ჩაცმული ქალის დაუფლების იმიტაციას. ზოგ შემთხვევაში ამ სახუმარო ცეკვაში ქალურად ჩაცმული მამაკაცი და კაცურად ჩაცმული ქალი მონაწილეობდა. ორივე შემთხვევაში ცეკვის პროცესი როკვა-თამაშობების ელემენტებს შეიცავდა. გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ „ფათიკო“ და მისი მსგავსი ცეკვები, რომლებიც შუამთობისას სრულდებოდა, შვილიერება-ნაყოფიერებისა და სხვა რიტუალების შემცველ დღეობა-დღესასწაულების (ბერიკაობა-ყეენობის) ელემენტებსაც შეიცავდა. ამდენად, შუამთობაზე შესრულებული ცეკვები ამ დღესასწაულის არქაულობაზე მიუთითებს და იგი მისი გენეზისის შესწავლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

შუამთობის დღესასწაულის მეორე მნიშვნელოვან მხარეს შეადგენდა შეჯიბრებები ლექსების, შაირების, გამოცანებისა და ანდაზების თქმაში. შაირებსა და ლექსებში, ცეკვების მსგავსად, უმთავრესად გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ. შეჯიბრი ხშირად მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით სრულდებოდა.

შუამთობის სხვა არსებით მხარეს შეადგენდა სპორტული სანახაობანი – ხალხური თამაშობები და ჭიდაობა, დოღი, ბუღა-ხარებისა და ხარ-კამეჩების, ყოჩებისა და, იშვიათად, ვაცების ჭიდაობა. გოდერძისა და ბეშუმის მიდამოებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აჭარელი და მეზობელი სამცხის რაიონებიდან (ახალციხე, ადიგენი) სპეციალურად მოსული მოჭიდავეები. გამარჯვებულს წინასწარ დათქმული სანაძლეო (საჩუქარი) ეძლეოდა (ფული ან ცხვარი, უმთავრესად, ყოჩი).

შუამთობის ერთ-ერთი მთავარი ტრადიციული ატრიბუტი იყო „სარძლოს გამორჩევის“, დანიშნული სარძლოს, აგრეთვე, პატარძლის ან სასიძოს მთაში (იაილებში) ურთიერთმიპატიჟება-გადაპატიჟების წესი. შუამთობა ბევრი ქალისა და ვაჟის ოჯახური ბედნიერების საფუძველი გამხდარა.

შუამთობაზე საპატარძლო საგანგებოდ მოკაზმული და აუცილებლად თეთრი ცხენით სასიძოს ოჯახის რომელიმე წევრს, პირველ რიგში, მომავალ მაზლს ან სამამამთილოს უნდა წაეყვანა. ცხენი სასიძოს ოჯახისა უნდა ყოფილიყო.

დღესასწაულის დამთავრების შემდეგ საპატარძლო და მისი თანმხლებნი ბარში (სოფლად) ისევ წამყვანს უნდა დაებრუნებინა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუამთობის დღე-

სასწაულზე საპატარძლოს მიპატიჟებისა და შინ დაბრუნების წესთან დაკავშირებული მომენტები – საპატარძლოსათვის ცხენის მიგვრა სასიძოს მხრიდან, სამამამთილოსა და მაზლის ქვეითად გაძღოლა საქორწინო წეს-ჩვეულებებს ემსგავსება და მასში ქორწილის ინსცენირების ფაქტი უნდა დავინახოთ. ეთნოგრაფიულად შუამთობაზე ანუ მთაში XX საუკუნის 80-იან წლებამდე ქორწილის გადახდის ტრადიცია არ დასტურდება. ამჟამად არც ერთი შუამთობა ისე არ ჩაივლის, რომ ახალდანიშნული წყვილის ჩვეულებრივი ქორწილი არ გაიმართოს.

შუამთობის შესახებ არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დღესასწაული თავდაპირველი ბუნებით რელიგიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს დღესასწაულის დროს გამართული გუნდური ცეკვებისა და სხვა რიტუალების ჩასატარებლად იაილების სიახლოვეს სპეციალურად გამოყოფილი ადგილების შერჩევა, რომლებიც ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით წმინდა ადგილებად მიიჩნევა. ამასთან, საყურადღებოა შუამთობასთან დაკავშირებული **ზიარეთის** მოწყობის წეს-ჩვეულებაც, რომლის დროსაც მისი მონაწილენი განკურნებისა და შვილოსნობა-განაყოფიერების მიზნით წმინდა ტბებში ბანაობდნენ. საგანგებოდ მიუთითებენ ცეკვა „განდაგანაზე“, რომელიც ზემო აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია წარმოქმნილი და პირველ რიგში საკულტო რიტუალებზე აღმოცენებული საწესო ცეკვაა. თავისი წინამორბედი როკვა-თამაშებით იგი გენეტიკურ კავშირშია ნაყოფიერების კულტთან.

შუამთობის მასობრივ სანახაობებსა და წეს-ჩვეულებებში მაგიურ ფუნქციათა სიმბოლური ნაკვალევიც ამოიკითხება. ასე, მაგალითად, მარეთის ხეობის სოფელ უჩამბაში როგორც ლაზარობის, ასევე შუამთობის დროს, ხანშიშესული სოფლის ქალები (იშვიათად – მამაკაცებიც) ღომას მთაზე ადიოდნენ, სადაც ეგულებოდათ წმინდანთა საფლავები და სათანადო ლოცვების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ. ანალოგიური წეს-ჩვეულებანი სრულდებოდა ჭვანის ხეობის სათავეებში განლაგებულ საძოვრებზე, სადაც წმინდანთა სახელთან დაკავშირებულ საფლავებთან და ტბასთან ერთად საკულტო „ქვაკაცებიც“ არსებობდა. მორწმუნენი აქ დიდი გვალვების დროსაც ადიოდნენ და წვიმის გამოწვევის მიზნით შესაწირავს (ცხვარი ან ხარი) კლავდნენ.

ამრიგად, შუამთობის ადრეულ ეტაპზე რელიგიურ-საკულტო რიტუალებიც სრულდებოდა და მისი ძირითადი არსიც ნაყოფიერების კულტს უკავშირდებოდა. დროთა განმავლობაში შუამთობას მსგავსი დანაშრევები ჩამოსცილდა და სადღეისოდ წმინდა სამოქალაქო დღესასწაულად მოგვევლინა. მან სრულიად ახლებური სახე მიიღო და აჭარის მთის მოსახლეობის გართობა-დასვენებისა და თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების საშუალებად იქცა.

შუამთობას დღეს მთელი აჭარის მოსახლეობა დღესასწაულობს. მათ დიდ ნაწილს ბეშუმის, გოდერძის უღელტეხილისა და აჭარის სხვა მთა-აგარაკების დამსვენებლები შეადგენენ. შუამთობას დიდძალი სტუმარი ჰყავს საქართველოს სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან, აგრეთვე, უცხოეთიდან, პირველ რიგში, თურქეთში მცხოვრები ქართველებიდან, რომელთა შორის არიან აჭარიდან წასულთა (მუჰაჯირთა) შთამომავლები. ადრე შუამთობის სახალხო დღესასწაულის ეპიცენტრი იყო გოდერძის უღელტეხილისა და ბეშუმის მთა-აგარაკები და საკურორტო ზონა. შემდეგ შუამთობის გავრცელების არე გაფართოვდა.

იგი დღეს ხალხმრავლობით ტარდება აჭარის ალპური ზონის თითქმის ყველა საზაფხულო დასახლებაში.

შუამთობის ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცა **ჩუდურავლობა,** რომელიც ჩუდურავლში (ღორჯომის ხეობის სოფელ მეკეიძეების ალპური დასახლება) ტარდება. აქ ადრე ნასოფლარი ყოფილა და მას თავისი ქრისტიანული სამლოცველოც ჰქონდა. ახლა ჩუდურავლში მეკეიძეებელთა ათობით მთის სახლი (იაილა) დგას. 2001 წელს ჩუდურავლებმა გადაწყვიტეს ცალკე ჩაეტარებინათ შუამთობა და დღესასწაულსაც „ჩუდურავლობა“ შეარქვეს. იგი შუამთობის საერთო სახალხო დღესასწაულზე რამდენიმე დღით ადრე ტარდება და მთლიანად შუამთობის საერთო დღესასწაულის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს.

„ტბელობა”. დღესასწაული 1979 წლიდან 2006 წლამდე დროგამოშვებით სხალთა-ხიხაძირის ხეობაში ტარდებოდა. იგი დაკავშირებულია აქაური მკვიდრის, XIII საუკუნის მწერლის, მეცნიერისა და მოაზროვნის, საერო და სასულიერო მოღვაწის, ენციკლოპედიურად განსწავლული აბუსერისძე ტბელის სახელთან.

ტბელობის პირველი დღესასწაული 1979 წლის 13 სექტემბერს ჩატარდა და ამიერიდან საყოველთაო სახალხო დღესასწაულის ხასიათს ატარებდა. მან მოიცვა არა მარტო მშობლიური სხალთა-ხიხაძირის ხეობა, არამედ მთელი აჭარა და მისი მეზობელი კუთხეები. 90-იან წლებში ტბელობისადმი ინტერესი მაშინ შექმნილი მდგომარეობის გამო რამდენადმე შენელდა. მას შემდეგ, რაც აბუსერისძე ტბელი საქართველოს სხვა სასულიერო და საერო მოღვაწეებთან ერთად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით (2002 წლის 17 ოქტომბერი) წმინდანად იქნა შერაცხული, ტბელობის დღესასწაულმა ახალი შინაარსი შეიძინა.

ტბელობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2006 წელი, როდესაც ტბელობის ჩატარება დაუკავშირდა ტბელ აბუსერისძის ხსენების დღეს. დღესასწაულმაც შემოდგომიდან ზაფხულში გადმოინაცვლა.

2008 წლის ოქტომბრიდან საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისა და სხალთის ეპარქიის თაოსნობით ტარდება ტბელობის სახალხო დღესასწაულისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“.

„კოლხობა”. 1978 წელს სოფელ სარფის მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით აღადგინა მივიწყებული დღესასწაული და მას „კოლხობა” უწოდა. მას შემდეგ იგი ყოველწლიურად იმართება სოფელ სარფში.

კოლხობა ახალი სახელწოდებაა ლაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბუნდოვნად შემონახული ერთი ძირძველი დდღესასწაულისა, რომელიც თავისი შინაარსით ზღვას, ზღვის კულტს უკავშირდება. ნ. მარი, რომელმაც ლაზური (ჭანური) ენის მეცნიერული შესწავლის მიზნით 1910 წელს სპეციალურად იმოგზაურა ლაზეთში, წერდა: წარმართობისა და ქრისტიანობის დროიდან მომდინარეობს ერთი მომაკვდავი ლაზური დღესასწაული, რომელიც ლაზეთის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს ტარდება. სოფლელი ლაზები იკრიბებიან ზღვისპირზე და ბანაობენ. ამ ჩვეულებას განსაკუთრებით ქალები იცავდნენ. მთხრობელთა ინფორმაციის საფუძველზე ნ. მარი იუწყებოდა, რომ ლაზეთის ზოგიერთ კუთხეში, კერძოდ, ხოფა-სარფის ზონაში, ეს დღეობა-დღესასწაული ძვ. სტილით 7 აგვისტოს იმართებოდა.

ზღვაში მასობრივი ბანაობის ტრადიცია სარფში XX საუკუნის 20-იან წლებშიც სრულდებოდა და აქაც განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ. მაგრამ შემდეგ იგი თანდათან დავიწყებას მიეცა და არც დღესასწაულის სახელწოდებისა და არც მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ რაიმე ცნობა არ დარჩენილა. სარფელ ლაზ ხანდაზმულთა ცნობებით მხოლოდ ის გაირკვა, რომ დღეს, რომელსაც ნ. მარი „ლაზური მომაკვდავი დღესასწაულის“ სახელწოდებით მოიხსენიებდა, ეწოდებოდა „ზღვაში ბანაობა“ თუ

„ზღვის დღე“. ეს დღე ლაზ მებადურ-მეზღვაურთა დღესასწაულიც იყო. სარფელმა ახალგაზრდობამ, ინტელიგენციამ „ზღვის დღე“ რატომღაც თანამედროვე პერიოდში გაუმართლებლად ჩათვალა და მას „ქვაომხაზობა“ („ქვამხაზი“) უწოდა. ამ სახელითაა ცნობილი სარფის შესასვლელთან ზღვის სანაპიროზე არსებული ქვის დიდი ლოდი, რომლის ზედაპირზე იკრიბებოდნენ სარფელი მებადურები, ზღვაოსნები, მოხალისეები. აქ ხდებოდა სხვადასხვა ასაკის მამაკაცთა შეკრება, მათი მამაცობის, მოხერხებულობისა და გულადობის შემოწმება. ამ ქვის ირგვლივ ეწყობოდა შეჯიბრებები ზღვაში ხტომაში, ცურაობასა და

ყვინთვაში. ამგვარი გამოცდის გამოუვლელი კაცი სარფში იშვიათად იყო. „ქვაომხაზობას“ საზეიმო ხასიათი მიეცა. მაგრამ დღესასწაულის ეს სახელწოდებაც უარყოფილი იქნა და იმისათვის, რომ დღესასწაულს ფართო შინაარსი მისცემოდა და საყოველთაო სახალხო ზეიმად ქცეულიყო, გადაწყდა დღესასწაულს დარქმეოდა „კოლხობა“. ამ იდეამ ფართო მხარდაჭერა მოიპოვა – დღესასწაულის სახელწოდებად „კოლხობა“ დამკვიდრდა.

კოლხობამ გააცოცხლა ლაზთა წარსული ყოფა-ცხოვრება, კოლხეთისა და ძველი საბერძნეთის ურთიერთობის დამახასიათებელი მომენტები, რომლებიც დაკავშირებულია არგონავტების კოლხეთში მოგზაურობასთან. კოლხობის პირველ დღესასწაულზე თეატრალიზებულად იქნა წარმოდგენილი არგონავტების მოსვლა გემ “არგოთი“, გაიმართა ოქროს საწმისისა და კოლხთა მეფის – აიეტის ასულის გრძნეული მედეას მოტაცების სცენა.

კოლხობას ახლდა სხვა ღონისძიებებიც, რომლებშიც, საკუთრივ სარფის მოსახლეობის გარდა, მთელი ხელვაჩაურის რაიონის სოფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ყველანი თავიანთი კუთხის ცხოვრების დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენდნენ. ამ აზრით კოლხობა, ისე როგორც სხვა სახალხო დღესასწაულები აჭარაში, ძველი და თანამედროვე ტრადიციების გაცნობის საუკეთესო საშუალება გახდა.

უკანასკნელი წლების კოლხობა გასცდა სარფის, ხელვაჩაურის რაიონის, აჭარის ფარგლებს და მთელი საქართველოს დღესასწაულად იქცა. კოლხობას ბევრი სტუმარი ჰყავს თურქეთში მცხოვრები ქართველების, პირველ რიგში, ლაზების სახით, რომელთა ნაწილს სარფელ ლაზებთან ახლო ნათესაური ურთიერთობაც აკავშირებს. ასეთი ურთიერთობა ხელს უწყობს საქართველო-თურქეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას.

ძველი დღესასწაულის განახლებისა და მისთვის კოლხობის სახელის მიკუთვნებით სარფის მოსახლეობა პატივს მიაგებს კოლხური კულტურის ტრადიციებს, მათ შემქმნელსა და მემკვიდრეს, ზღვაოსნობით, ხუროთმოძღვრება-ხელოსნობითა და რკინის მეტალურგიით განთქმულ ლაზი ტომის წარსულსა და თანამედროვეობას. კოლხობა ლაზურ-კოლხური კულტურის სადიდებელი უკვდავი დღესასწაულია.

„დიდაჭარობა”. ეს არის ყოველწლიური დღესასწაული, რომელიც სოფელ დიდაჭარაში ტარდება 2007 წლიდან. დღესასწაული დაკავშირებულია წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელთან, რომელიც I საუკუნეში, მაისის თვეში დიდაჭარაში მოვიდა და აქედან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება საქართველოში. სწორედ დიდაჭარიდან მოეფინა ქრისტეს ნათელი მთელ საქართველოს. წმ. ანდრიას დიდაჭარაში – იმ ადგილას, რომელსაც ახლა თარანგელო ჰქვია, ეკლესია აღუმართავს და მღვდელი და დიაკვნები დაუდგენია. დიდაჭარის ეკლესია პირველი ქრისტიანული საკულტო ნაგებობა იყო საქართველოში.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ისა და სხალთის ეპარქიის მღვდელმთავრის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით გადაწყდა, რომ ანდრია პირველწოდებულის დიდაჭარაში შემოსვლისა და აქ ქრისტიანობის ქადაგების აღსანიშნავად დაწესებულიყო დიდაჭარო-

ბის დღესასწაული. იგი ყოველი წლის 12 მაისს, წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს იმართება.

„დიდაჭარობამ“ სხვა მხრივაც დიდი სულიერი დატვირთვა შეიძინა. დღესასწაულის წინ იმართება მისდამი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. პირველი ასეთი კონფერენცია ჩატარდა 2008 წელს დევიზით „წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზით“, რომელმაც შემდეგ წლებში საერთაშორისო კონფერენციის სტატუსი შეიძინა და „დიდაჭარობის“ სახელწოდებით ტარდება. მასში მონაწილეობენ მეცნიერები, მკვლევრები, სასულიერო პირები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, სამეცნიერო ცენტრებიდან. კონფერენციების მასალები იბეჭდება ცალკე წიგნებად. „დიდაჭარობა“, როგორც დღესასწაული, და „დიდაჭარობა“, როგორც სამეცნიერო კონფერენცია – ერთმანეთს შეერწყა. ასეთივე საერთაშორისო კონფერენციები ეძღვნება „ტბელობის” ყოველწლიურ სახალხო დღესასწაულსაც და მისი მასალები ქვეყნდება სპეციალურ კრებულში „ტბელობა“.

„მარეთობა”. მარეთობა მარეთის ხეობის (შუახევის რაიონი) სახალხო დღესასწაულია, რომელიც 2005 წლის მაისში „გიორგობისას” დაფუძნდა. დღესასწაულის ყოველწლიურად აღნიშვნა გამონათლევში (სოფელი ოლადური) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კურთხევას დაუკავშირდა. ეკლესიის აშენება და მარეთობის შემოღება ხეობის ინტელიგენციის ინიციატივით განხორციელდა. დღესასწაულის გახსნას წინ უძღოდა მასობრივი ნათლობა. „მარეთობას” დიდძალი ხალხი ესწრება აჭარიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. დღესასწაულის დამამშვენებელია ხეობაში შემორჩენილი ტრადიციული ცეკვები და სიმღერები, ხალხური

თამაშობები, სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მარეთობის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობს საზოგადოება „მარეთი“.

„გომარდულობა“. გომარდულობის დღესასწაულს საფუძველი ჩაეყარა 2006 წლის ზაფხულში სოფელ გომარდულის (შუახევის რაიონი) დაარსების 350 წლისთავზე. გადმოცემით, სოფელში პირველად ცნობილი ხალხური მთქმელის, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მუჰაჯირად გადახვეწილი, რეჯებ მჟავანაძის წინაპარი დასახლებულა. გომარდულობის დაწესებით მოსახლეობამ პატივი მიაგო თავისი სოფლის წარსულსა და მომავალს. გომარდულის სახელი დღეს მტკიცედ დამკვიდრდა აჭარისა და საქართველოს რუკებზე. აქ გახსნილია ტურისტულ-სპორტული ბაზა და სასწავლო ცენტრი, საბაგირო გზა. ყოველწლიურად ტარდება სათხილამურო და სხვა სახის სპორტული ღონისძიებები.

გომარდული ზამთრის ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა გახდა. ამიერიდან სოფელს მოშლა და დაცლა არ ემუქრება. წინა წლებში კი აქედან ბევრი გადასახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

„სელიმობა“. დღესასწაულის დაწესებას წინ უსწრებდა შეკრებები ნიგაზეულში 1992 წელს საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ ხიმშიაშვილთა და 1996 წელს ნიგაზეულელ ხიმშიაშვილთა მონაწილეობით. უკანასკნელთა თავყრილობა სელიმ ხიმშიაშვილის დაბადების 240 და გარდაცვალების 190 წლისთავს მიეძღვნა.

სელიმობის პირველი დღესასწაული 2006 წლის 3 ივნისს ჩატარდა ხიხაძირის ხეობის სოფელ ბაკი-ბაკოში. იგი მიეძღვნა ოსმალთა ბატონობისაგან აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელს – სელიმ ხიმშიაშვილს. სელიმი ტრაგიკულად დაიღუპა – მას 1815 წლის 3 ივნისს ოსმალებმა სოფელ ბაკი-ბაკოში თავი მოკვეთეს. პირველი სელიმობაც ამიტომ გაიმართა ბაკი-ბაკოში სელიმის სახელის უკვდავსაყოფად. გადმოცემით, სიკვდილის წინ სელიმს ოსმალებისათვის ასე განუცხადებია: „მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვ-

ნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ.“ სელიმის ანდერძი აღსრულდა მისი შვილიშვილის, ზემო აჭარის მმართველის, შერიფ ხიმშიაშვილის დროს, როდესაც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარა დედასამშობლო საქართველოს დაუბრუნდა. ოსმალთა ბატონობის შემდეგ შერიფი პირველი მოინათლა (1880 წ.) მართლმადიდებელ ქრისტიანად.

სელიმობის მომდევნო დღესასწაულები აღინიშნება ხიმშიაშვილთა საგვარეულო სოფელ ნიგაზეულში (შუახევის რაიონი), სადაც სელიმია დაკრძალული. დღესასწაული ხიმშიაშვილთა ციხე-კოშკის ტერიტორიაზე ტარდება.

სელიმობის სახალხო დღესასწაული სელიმის მშობელი ხალხის წიაღში აღმოცენდა და ამიტომაც იგი უკვდავი იქნება, ისევე, როგორც უკვდავია სელიმ ხიმშიაშვილის სახელი. დღესასწაულის დაწესებით ნიგაზეულისა და მთელი აჭარის მოსახლეობამ პატივი მიაგო ეროვნული გმირის ღვაწლს სამშობლოსა და ერის წინაშე.

„მაჭახლობა“. მაჭახლობა, სხვა ახლად შექმნილი სახალხო დღესასწაულებისაგან განსხვავებით, ეძღვნება არა რომელიმე ღვაწლმოსილ პიროვნებას თუ დირსშესანიშნავ ისტორიულ მოვლენას, არამედ მაჭახლის ხეობის თვალსაჩინო და განსაკუთრებული როლის წარმოჩენას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში.

მაჭახლობის დღესასწაული დაწესდა ხეობის ინტელიგენციის ინიციატივით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და გადაწყვეტილებით. პირველი მაჭახლობა 2007 წლის 25 სექტემბერს გაიმართა. იგი ფართო მასშტაბით აღინიშნება. მასში მონაწილეობენ არა მარტო საკუთრივ მაჭახლის ხეობის, არამედ ხელვაჩაურისა და აჭარის სხვა რაიონების საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები, მწერლები, მასწავლებლები და მოსწავლეები, სტუდენტები, მხატვრული კოლექტივები, აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამინისტროებისა და დეპარტამენტების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. დღესასწაულზე მთელი მაჭახელი იკრიბება. სტუმრად ჩამოდიან თურქეთში მცხოვრები მაჭახლელები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქაური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „მაჭახელას” მონაწილეობა. ამავე სახელწოდების ანსამბლია თურქეთის მხარეს დარჩენილ ზედა ჩხუტუნეთშიც. ორად გაყოფილი მაჭახლის ორივე ნაწილის „მაჭახელა” დღესასწაულის დღეებში მართავს ერთობლივ კონცერტებს. დღესასწაულზე ხეობა თითქოს სულიერად ერთიანდება.

მაჭახლობას ეძღვნება ჟურნალი „მაჭახელი”, რომელიც ყოველი დღესასწაულის წინა დღეებში გამოდის. პირველი დღესასწაულის დღეს, 2007 წლის 17 სექტემბერს (2007წ.), საზეიმოდ გაიხსნა თოფი „მაჭახელას“ ძეგლი მდინარეების – ჭოროხისა და მაჭახელას შესართავთან, საიდანაც მაჭახლის ხეობა იწყება. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში, როდესაც ქართულ იარაღს ძეგლი აუგეს. ახლომდებარე გვარას ციხიდან „მეციხოვნენი“ დღესასწაულზე შეკრებილთ კოცონების დანთებით და თოფის სროლით დღესასწაულის

დაწყებას აუწყებენ. დღესასწაულის დღეს ხდება "საპატიო მაჭახლელის" სიგელების გადაცემა. დღესასწაულის ჩატარებაში მაჭახლის ხეობის მთელი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს.

„მერისობა" და **„ქედელობა"**. მერისობა 2007 წლიდან ტარდება. იგი ისტორიული მერისის ხეობის წარსულისა და თანამედროვეობის სადიდებელი დღესასწაული გახდა. „ქედელობის" დღესასწაულის შემოღებასაც თავისი ისტორია აქვს. სამი ათეული წლის წინ ქედის რაიონში აღინიშნებოდა ბარაქიანი შემოდგომის ზეიმები – „შრომის ზეიმისა" და „შემოდგომა ქედაში" – სახელწოდებით. ამ ორი მივიწყებული დღესასწაულის სანაცვლოდ დაწესდა „ქედელობა", რომელიც მთელი მუნიციპალიტეტის სახალხო დღესასწაულად იქცა.

ქედის მუნიციპალიტეტის მდიდარი წარსულის მაჩვენებელია მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის არქეოლოგიური ნივთიერი ძეგლები, რომლებიც ამდიდრებს მის შორეულ ისტორიას. მერისის ხეობა ცნობილი იყო სპილენძის მადნეულობით. ამის გამოძახილია სიხალიძეების განძი ბრინჯაოს ნივთების სახით. ცნობილია კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარიც. ასე რომ, ქედელებსა და მერისელებს ნამდვილად აქვთ საამაყო, რომ ამ წარსულსა და თანამედროვე განახლებულ ცხოვრებას დღესასწაულებში აცოცხლებენ.

„ქობულეთობა" და „ჩაქვისთავობა". ქობულეთის წარსული ძველი კოლხური კულტურის ორგანული ნაწილია. ცნობილია ხუცუბნის, კვირიკეს, სოფელ ქობულეთის ნეოლითური ნამოსახლარები. „ქობულეთობა" სოფელ ქობულეთში ნახევარი საუკუნის წინათაც ტარდებოდა, მაგრამ 2009 წლამდე იგი მივიწყებული იყო. ახლა იგი განახლებული სახით აღდგა.

ასევე უნდა ითქვას „ჩაქვისთავობაზე". ჩაქვისწყლის ხეობა და თვით ჩაქვისთავი, რომელსაც დღესასწაული ეძღვნება, ბევრი ისტორიული მოვლენის მომსწრეა. საკმარისია ითქვას, რომ **XII** საუკუნეში აქ არსებობდა ყმა-მამულები, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკუთრებად ითვლებოდა და აქაური მარცველულითა და თაფლით მარაგდებოდა. ჩაქვისწყლის ხეობა ისტორიული ძეგლებითაც გამოირჩევა.

„ბათუმქალაქობა". 1982 წლის მაისში დაწესდა და რამდენიმე წელიწადს თანმიმდევრობით ტარდებოდა სახალხო დღესასწაული „ბათუმქალაქობა". ბათუმს დაახლოებით 2500-წლოვანი ისტორია აქვს და მას გამორჩეული დღესასწაული უნდა ჰქონდეს და ფართო მასშტაბითაც ტარდებოდეს. ბოლო წლებში ეს ტრადიცია აღდგა და შინაარსობრივად გამრავალფეროვნდა მასში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" ჩართვით. „ბათუმობა" ქართული სტუმარმასპინძლობისა და მხატვრული შემოქმედების ჭეშმარიტი ზეიმია.

ჩამოთვლილი სახალხო დღესასწაულები აჭარის ძველი და თანამედროვე სულიერი ყოფის განუყრელი თანამგზავრი გახდა.

ხალხური მუსიკალური კულტურა

აჭარის მოსახლეობამ კარგად შემოინახა უძველესი ხალხური მუსიკალური კულტურა, რომელიც ქართული მუსიკალური ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია. აქ გავრცელებულია თითქმის ყველა ჟანრის სიმღერა: შრომის, საწესჩვეულებო-მაგიური (კალენდარული, სადღეობო, საწესო), საოჯახო-საყოფაცხოვრებო (საძეობო, სააკვნო, საქორწილო, სამგლოვიარო) და სხვ., თუმცა ცალკეული ციკლები მეტ-ნაკლები სიუხვითაა წარმოდგენილი.

აჭარის ხალხური მუსიკალური ხელოვნება მოიცავს როგორც მარტივ, ასევე პოლიფონიურ სიმღერებს. მათში შემონახულია ხმების აღმნიშვნელი ტერმინები, სახელწოდებები: დამწყები//მთქმელი//მელექსე, გამყივანე//მომძახნელი, მოკრიმანჭულე, შემხმობარი და ბანის მთქმელი, რომლებიც მომღერალთა ფუნქციის დადგენის საშუალებასაც იძლევიან. სახელებში მოცემულია თითოეული ხმის კლასიფიკაცია: პირველი მელექსე, მაღალი მელექსე, დაბალი მელექსე; მაღალი ბანი, დაბალი ბანი, რაც აქაურთა მუსიკალური ფოლკლორის სიძველესა და დახვეწილობაზე მიუთითებს.

აჭარის მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშთა შორის ნაწილი უმარტივესი აგებულების სიმღერაა, მაგალითად, „მასპინძლური". იგი ორხმიანია და მელექსე და მებანე ასრულებენ. გავრცელებულია სამხმიანი სიმღერებიც: „მაყრული" და „ხასანბეგურა", რომლებსაც მელექსე, მომყივანი და ბანი ასრულებენ. გვხვდება ორგუნდოვანი სიმღერებიც, რომლებსაც ორი გუნდი მონაცვლეობით ასრულებს და ამ დროს ისინი ერთმანეთს ჩამოართმევენ ხოლმე სიმღერებს, რასაც „გადაბმულ სიმღერას" ეძახიან. გარდა ადრეული ფორმებისა, რომლებმაც აჭარული ხალხური მუსიკის უძველესი ფენები შემოგვინახეს, აქ სრულდება რთული პოლიფონიური ოთხხმიანი სიმღერებიც.

სიმღერა თან ახლდა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს, შრომით საქმიანობას (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა-ხელოსნობა) ყოფითი კულტურის სხვა მხარეებს (ქორწინება, ძეობა, საოჯახო ყოფა, გარდაცვალება).

აჭარის მუსიკალურ ფოლკლორში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამიწათმოქმედო შრომის ლექს-სიმღერებს. მათი დიდი ნაწილი უშუალოდ კოლექტიური შრომის პროცესს – ნადს უკავშირდება და ნადურების სახელითაა ცნობილი. ნადის შრომას თან ახლდა მომუშავეთა გამამხნევებელი და წამახალისებელი სიმღერები. შინაარსობრივად, ნადური სიმღერები სხვადასხვაგვარი იყო: საწესჩვეულებო, საგმირო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო. ნადურში შედის არქაული ლექსიკისა და მელოდიის შემცველი ტექსტები. ნადის მოწვევა ხდებოდა არა მხოლოდ სიმინდის თესვა-მოყვანისა და მოსავლის აღების დროს, არამედ თიბვის, მკის, შეშის მოჭრის, ახოს გაღების, სახლის მშენებლობის და სხვა სამუშაოების დროსაც. სიმინდის სამუშაოებთან დაკავშირებულ ნადურებს ყანურს უწოდებენ. ასეთი სიმღერები, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში (გურია, აჭარა, იმერეთი, სამეგრელო) ყოფილა გავრცელებული. ნადური სიმღერები მეტად მრავალფეროვანია და ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება. ამიტომაც განსხვავებას ვხვდებით არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელ ნადურებში, არამედ თვით აჭარის სხვადასხვა ხეობასა თუ სოფელში შესრულებულ შრომის ლექს-სიმღერებს შორის. ქობულეთური ნადურებისაგან განსხვავებით, რომლებიც მრავალფეროვნებითა და ოთხხმიანობით ხასიათდებიან, მთიანი აჭარის ნადურები, ძირითადად, სამხმიანია. მასში მონაწილეობს დამწყები, გამყივანი და ბანი. აქ არ არის შემხმობარი ანუ მეოთხე ხმა. ქობულეთურისაგან განსხვავებით, აქაური ნადურები უსიტყვოა და იშვიათად გამოურევენ ლექსს, რომელიც სატრფიალოა. იშვიათად ვხვდებით საყოფაცხოვრებო ლექსებსაც. სიმღერის სტრუქტურა, მუსიკალური წყობა, შეძახილების მრავალრიცხოვნება წამოჭრის ვარაუდს, რომ აქაურ ნადურებში ლექსს შედარებით გვიან უნდა ეჩინა თავი. ამჟამად, შედარებით მრავალრიცხოვანია სიმინდის სამუშაოებთან დაკავშირებული ნადური სიმღერები, რომლებიც ადრე, სიმინდის კულტურის გავრცელებამდე, სხვა კულტურების (ღომი, პური) მოყვანასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ნადში სხვადასხვაგვარი ნადური და ელესა სრულდება. აჭარაში გავრცელებულია შემდეგი ნადური (უმთავრესად ყანური) ლექს-სიმღერები: „ვაი თუ დილას კურდღელმაო", „მთას ხოხობი აფრენილა", „ბერიკაცი", „გორდელა", „ჩიორაი ჩიოდაო", „ყარანაი", „საჯავახურა", „შარშანდელსა ნაყანევსა", „დიელო", „რაშა" და სხვ. ნადის დროს შესრულებულ სიმღერებს შორის ყურადღებას იქცევს „ხელხვავი". ტექსტის მონაცემებისა და მუსიკალური სპეციფიკის თანახმად, დ. არაყიშვილს "ხელხვავი" მიაჩნია წარმართული ხანის უძველეს სიმღერად.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიმინდის გარჩევასთან, ანუ ხარმანობასთან დაკავშირებული სიმღერები, რომლებსაც, ზოგჯერ, „ხარმანის რჩევის სიმღერასაც" უწოდებენ. ამ სიმღერას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ აჭარის სხვადასხვა რაიონში. ქობულეთში მას „კალოს ხელხვავი" ჰქვია, ქედის რაიონში – „ჩათხრობილი", მაჭახლის ხეობაში – „ხელთახვავი", ხოლო აჭარისწყლის ხეობის ზოგიერთ სოფელში იგი საკუთრივ „ხელხვავის" სახელწოდებითაა ცნობილი.

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ქალთა ნადურები, განსაკუთრებით, საფეიქრო ხასიათისა. მათგან აღსანიშნავია „ხერტლის ნადის სიმღერა". სიმღერის სახელწოდება მომდინარეობს ხერტლიდან (თითისტარი), რაც მატყლის მრთველ ქალთა უმთავრესი სამუშაო იარაღია. „ხერტლის ნადიც" მატყლის მრთველ ქალთა სიმღერაა, რომელსაც, ძირითადად, ღამით ნადში მოწვეული ქალები ასრულებდნენ. ეს მელოდიური და ზომიერი ტემპის სიმღერა აფხიზლებდა მონადეებს და ინარჩუნებდა შრომის რიტმს მთელი ღამის განმავ-

ლობაში. აჭარაში დასტურდება ნადურის დროს საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენების ჩვეულება. შრომის პროცესში საკრავიერი მუსიკის გამოყენების ჩვეულება უძველესია და მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაშია შემონახული. აჭარისწყლის ხეობაში ნადის დროს, ძირითადად, ჭიბონი (გუდასტვირი) გამოიყენებოდა. შრომის ტემპის შესანარჩუნებლად მთელი დღის განმავლობში ჭიბონზე რიტმულ ჰანგებს უკრავდნენ. ჭიბონს უკრავდნენ სადილობის შესვენების დროსაც, მიძინებულ მონადეთა გამოსაფხიზლებლად.

როგორც ითქვა, აჭარაში გავრცელებულია საქორწილო, საძეობო-სააკვნო, სანადიმოსუფრული, სამგლოვიარო და სხვ. ლექს-სიმღერები.

საქორწილო ლექს-სიმღერები დაკავშირებულია ქორწინების ძირითად მომენტებთან და რამდენიმე ციკლისაგან შედგება. ესაა საპატარძლოსთან გამომშვიდობება, სუფრული, მაყრული, მაყართან გამომშვიდობება, პატარძლის სამყოფ ოთახში შეყვანა. საქორწინო სიმღერების ციკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მაყრულებს. მაყრული დედოფლის სახლიდან წაყვანისა და სიძის ოჯახში მიყვანისას სრულდებოდა. აჭარაში ხეობების მიხედვით მაყრულს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: „მაყრული", „დოდოფლის სიმღერა", „ვორირამა", „დიდი ვორირამა", „ვორირა" და სხვ. სხვადასხვა ხეობაში მცირე განსხვავების მიუხედავად, მაყრულის შესრულების ერთი ზოგადი წესი არსებობდა, რაც მაყრულის თქმისას საპატარძლოსა და სასიძოს მაყრებს შორის დაპირისპირებასა და შეჯიბრში გამოიხატებოდა. აჭარაში გავრცელებული იყო მთელ საქართველოში კარგად ცნობილი მაყრულები: „ქალი მოგვყავს ნათელიო", „ადე, თამარ დედოფალო", „მოვდივართ, მოგვიხარია" და სხვ.

საქორწინო ციკლის ლექს-სიმღერებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სუფრულ სიმღერებს. აჭარული სუფრული ორხმიანია. პოეტური ტექსტები ცოტაა. მათში ძირითადი ყურადღება სუფრის სიუხვეზეა გადატანილი, ხშირად ესაა ერთგვარი რეჩიტატივი და სხვადასხვა საგნების თუ პროდუქტების მოთხოვნას შეიცავს.

აჭარის ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორში დიდი ადგილი უჭირავს საძეობო-აკვნის სიმღერებს. ძეობის ჩვეულებას უძველესი ისტორია აქვს და, ბუნებრივია, მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერებიც მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი ფენის შემცველია. ძეობის აუცილებელი ელემენტი იყო ცეკვა-სიმღერა. ძეობაზე ქალები ასრულებდნენ ცეკვას „ფათიკო" და „ნაჲ ნაჲნინაჲნა. ეს უკანასკნელი საძეობო საფერხულო სიმღერაა. მისი მელოდია მარტივია, ერთხმიანი. ფერხული წრიულია, მონაწილეთა რაოდენობა განუსაზღვრელი. საძეობო ფერხულის პოეტური ტექსტები ძალზე ღარიბია. მეორდება სიმღერის ერთი ფრაზა: „ნაჲ ნაჲნინაჲნა და „ნა ნინანაო". მიჩნეულია, რომ ეს საძეობო ფერ-

ხული ქართველთა უძველესი ქალღმერთის, ნაყოფიერების, შვილიერებისა და მზის ქალღვთაების, დიდი დედა ნანას კულტს უკავშირდება და მასში შემონახულია ქართველი ხალხის უძველესი ხანიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენების კვალი.

აჭარაში გავრცელებული ინსტრუმენტი იყო ჭიბონი//ჭიპონი, გუდასტვირი ანუ „გულის ჭიპონი", სალამური, საზი, აზიური გარმონი, ზურნა, დავლი, დიდი და პატარა დოლი, ქემენჩა, ფანდური, ჩანგური//ჩონგური, ჭიანური. მათგან ზურნა, საზი, ქემენჩა უცხოური წარმოშობის ხალხური საკრავებია, რომლებიც, ძირითადად, აღმოსავლეთიდან შემოიტანეს თურქმა, სომეხმა თუ ბერძენმა მოხეტიალე მუსიკოსებმა. თუმცა ეს საკრავებიც თავისი ბუნებით დროთა განმავლობაში შეეხამენ ქართულ ხალხურ საკრავიერ მუსიკას და სიმღერას.

აჭარაში ყველაზე პოპულარული და გავრცელებული ინსტრუმენტია ჭიბონი\\ჭიპონი. გვაქვს გუდისჭიბონი და ჭიბონი. უჭიბონოდ აჭარაში არ გაიმართებოდა არც ქორწილი, არც წვეულება, არც დღესაწაული თუ ხალხური დღეობა. ჭიბონი ბოლო დრომდე მთიანმა აჭარამ, განსაკუთრებით, ისეთმა ხეობებმა შემოგვინახა, სადაც ინტენსიურად იყო განვითარებული მესაქონლეობა, რადგან ჭიბონი განსაკუთრებული პოპულარობით მწყემსებს შორის სარგებლობდა. ჩონგური, ძირითადად, გავრცელებულია ქვემო აჭარაში და კონსტრუქციითა და ფუნქციით არ განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული შესაბამისი ინსტრუმენტისაგან. ეს საკრავი, ძირითადად, აკომპანემენტისათვის გამოიყენება. ფანდურის ტრადიცია აჭარაში 30-იანი წლებიდან ჩნდება.

თუ ჭიბონი და საზი, ძირითადად, მთიანი აჭარის კუთვნილება იყო, ჭიანური, ჩანგური, ზურნა და ქემენჩა კი, ძირითადად, ბარის აჭარისაა. ჭიანურის გავრცელების არე, ძირითა-

დად, ქობულეთის რაიონს მოიცავდა. აზიური გარმონი თანაბრად იყო გავრცელებული მთისა და ბარის აჭარაში.

აჭარაში შემონახულია მრავალი მომღერლის, მოცეკვავისა თუ სახალხო მთქმელის სახელი. ხულოში ცნობილი მეჭიბონეები იყვნენ ედეჰემ სურმანიძე (ქოჩახელა), რესულ სურმანიძე, შამილ გივრაძე; აჭარისწყლის ხეობის მკვიდრი ოსმან ანანიძე ცნობილი იყო, როგორც მელექსე-აშუღი, უკრავდა საზზე და თხზავდა სიმღერებს. ცნობილია მისი „მელავ", „ყარაბუღავ", „შენ სონავ, სონავ" და სხვა. ასევე, ცნობილი სახალხო მთქმელები იყვნენ ხასან მიქელაძე, ვეზირ გივრაძე, ქიბარ კახაძე, რეჯებ მჟავანაძე, თემიზალი მამულაძე, ჯეფერ სურმანიძე და სხვ. ქობულეთური ოთხხმიანი ნადურების საუკეთესო შემსრულებლები იყვნენ ტაკიძეები, ანანიძეები, ნოღაიდელები. სახალხო მთქმელებად, ძირითადად, მამაკაცები გვევლინებიან. სახალხო მთქმელების მიერ შექმნილ ლექს-სიმღერებში სჭარბობს საისტორიო-საგმირო, სამონადირეო და სათავგადასავლო მოტივები. მათ ძირითად თემატიკას შეადგენს მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, გმირული თავგადასავალი, ისტორიულ პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ხშირია სახუმარო სიმღერების შეთხზვის შემთხვევები.

ამგვარად, აჭარის მუსიკალური ფოლკლორი მრავალმხრივაა საინტერესო. მასში ასახულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის და საოჯახო ყოფის ყველა სფერო. მან შეინარჩუნა ქართულ ფოლკლორულ ძეგლთა დიდი უმრავლესობა, ქართული ხალხური სიმღერის საწყისები, თვითმყოფადობა და ნაკლებად დაექვემდებარა უცხო გავლენას. იგი ორგანულ კავშირშია ერთიან ქართულ მუსიკალურ ფოლკლორთან, ამ კულტურის დასავლურ-ქართულ წრეში შედის და მიუხედავად ლოკალური თავისებურებებისა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ აჭარა დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო დედასამშობლოს, აქ შემონახული ფოლკლორული ნიმუშები ეხმიანება საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ მსგავს ვარიანტებს.

ხალხური ქორეოგრაფია

აჭარის ფოლკლორში გამორჩეული ადგილი უჭირავს ხალხურ ქორეოგრაფიას. ცეკვები, ძირითადად, სრულდებოდა თავყრილობების, გართობა-სანახაობების, საოჯახო და სასოფლო დღესასწაულების დროს. აჭარულ ცეკვებში გვაქვს საბრძოლო, სატრფიალო, სახასიათო, შრომისა და, საერთოდ, სამეურნეო საქმიანობის ამსახველი როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური (ხორუმი, ოჰოინანა, განდაგანა, შეხდომილაი, ქალური, ლეკური, ბაღდადური, ქურთბარი, შამილი, ყარაბაღი, ყოლსამა და სხვ.) ცეკვები, რომლებიც ან საკრავების ან სიმღერის თანხლებით სრულდება. გვხვდება, აგრეთვე, საფერხულო ცეკვები და არქაული საწესჩვეულებო დანიშნულების ცეკვა-თამაშობანი.

აჭარული საცეკვაო ფოლკლორის უძველესი ნიმუშია ცეკვა **„ფადიკო",** რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ „ბერიკაობასთან" დაკავშირებული უძველესი ცეკვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. იგი დიონისესა და დემეტრეს კულტთან დაკავშირებულ თამაშობებსაც წააგავს. ზემო აჭარის ზოგიერთ ხეობაში (სხალთა, მარითი, დიოკნისი, რიყეთი) ამ ცეკვას „ქოჩეგურის" სახელითაც მოიხსენიებენ. „ფადიკო-ქოჩეგური" ბერიკაობის აჭარულ ნაირსახეობას წარმოადგენს. გადმოცემით, „ფადიკო" სრულდებოდა ქორწილში, შუამთობაზე, რომელიც სამეურნეო დოვლათის, ნაყოფიერების, სიუხვის, შვილიერება-გამრავლებისათვის გამრთული რელიგიურ-საკულტო ხასიათის დღესასწაული იყო.

„ფადიკო”-ს შესრულების სხვადასხვა ვარიანტია ცნობილი, მაგრამ მისი სიუჟეტური ქარგა და აზრობრივი დატვირთვა ყველგან ერთნაირია.

აჭარული „ფადიკო” დღეს ქორწილსა და ლხინში შესასრულებელ ცეკვად, გასართობ სანახაობად ქცეულა, მაგრამ მასში ბერიკაობა-ყეენობის იდენტური ელემენტების არსებობა (ფუნქციონალურად მსგავსი პერსონაჟები, საკრალური ქორწინებისა და სქესთა ურთიერთობის იმიტაცია, პრეტენდენტთა ორთაბრძოლა, ფადიკოს გატაცება, „მეფის” მიძინება--გაღვიძება და სხვ.) ადასტურებს, რომ „ფადიკო” აჭარაში ფრაგმენტების სახით შემორჩენილი ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი უძველესი მისტერიის გადმონაშთი უნდა იყოს, რომელიც ქართველი ხალხის წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს და უკავშირდება ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფას.

აჭარაში ფართოდაა გავრცელებული ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვა „განდაგანა”. მსგავსი ცეკვა აჭარული ქორწილის დროს პატარძლის მანდილის ახდის ცერემონიალის შემდეგ იმართებოდა. ქალები და მამაკაცები დერეფნის სხვადასხვა მხარეს განლაგებულ ოთახებში იყვნენ შეკრებილი. მამაკაცთა ოთახიდან რომელიმე ვაჟი იწყებდა ცეკვით სვალას ქალების ოთახისკენ. ამ დროს ქალთა ოთახიდან რომელიმე გოგონა მორიდებით გამოუცეკვებდა. ამ ცეკვას ზოგჯერ „ქალურს” ეძახდნენ. ამ ცეკვის საფუძველზე შეიქმნა ცეკვა „განდაგანა”, რომელშიც შევიდა ელემენტები ისეთი ცნობილი ცეკვებიდან, როგორიცაა „ყოლსამა”, „ქურთბარი”, „თოფალოინი”, „ჯახტანანა”//„ჯაყდანანა” და სხვ. ცეკვა ოფიციალურად პირველად შესრულდა 1946 წელს თეიმურაზ (თოფან) მელაძისა და გულნარა ნოდაიდელის მიერ ჯერ ბათუმში, საქართველოს ხალხური შემოქმედების აჭარის საოლქო დათვალიერებაზე, ხოლო შემდეგ საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ამ დღეს მაყურებელმა პირველად იხილა სცენაზე პირველი მოცეკვავე აჭარელი ქალი. ცეკვა სასცენოდ დაამუშავა ღვაწლმოსილმა ქორეოგრაფმა ენვერ ხაბაძემ. იგი სრულდებოდა ჭიბონის თანხლებით. ჭიბონის პარტიას ასრულებდა ცნობილი ხულოელი მეჭიბონე ედეჰემ სურმანიძე (ქოჩახელა). ცეკვას სახელწოდება შეურჩია ცნობილმა რეჟისორმა, საბჭოთა კავშირისა სახალხო არტისტმა არჩილ ჩხარტიშვილმა. მან ამ ცეკვაში არსებული განივი სვლებისა და ილეთის გამო უწოდა ცეკვას „განდაგანა”. შემდგომში „განდაგანა” კიდევ უფრო დაიხვეწა და სასცენო სახე მიეცა. მისი უძველე-

სი ვარიანტები, რომელშიც თავდაპირველი მოძრაობებია შენარჩუნებული, მხოლოდ აჭარის მთის სოფლებში შემოინახეს ცალკეულმა შემსრულებლებმა.

ცეკვა **„განდაგანა",** ძირითადად, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში იგი წყნარად მიმდინარეობს და „თარნანოს" ნაწილს შეიცავს, ხოლო შემდეგ სწრაფ ფორმას ღებულობს. შესრულება მოითხოვს შემსრულებელთა მოქნილობას, პლასტიკურობას. ცეკვას საფუძვლად უდევს ქალ-ვაჟს შორის გაშაირება, რომელიც ატარებს შეჯიბრის ხასიათს. „განდაგანას" რაობის, მისი წინამორბედი ფუძე-ცეკვების თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია აზრი, რომ იგი წარმოადგენს წარმართული პერიოდის საკულტო რიტუალებში აღმოცენებულ ცეკვა-თამაშობათა შერწყმის შედეგად მიღებულ და დროთა განმავლობაში დახვეწილ ქორეოგრაფიულ ნაწარმოებს. „განდაგანას" ნაწილია ცეკვა „ყოლსამა." სპეციალისტ-მკვლევართა აღწერით, „ყოლსამა" მუცლით ცეკვაა და მასში მომატებულადაა სხეულის ვნებიანი მოძრაობანი. „მუცლით ცეკვას" ნაყოფიერების კულტთან უნდა ჰქონდეს კავშირი და მაგიურ-რიტუალური ხასიათის მატარებელია.

„ყოლსამას" მოძრაობები ახლოს დგას "მხარულთან" და "თოფალოინთან". ცეკვას თან სდევს მხრებით გაცეკვების ეპიზოდები, რომლებიც "განდაგანაშიც" არის ჩართული. აჭარაში ქალთა „ყოლსამაც" იცეკვებოდა. იგი შედარებით ნელი იყო და მხარ-მკლავების მოძრაობით სრულდებოდა. ყოლსამას წყნარ ნაწილში "თარნანოს" ქალთა სიმღერაც სრულდებოდა.

აჭარის საცეკვაო ფოლკლორის მნიშვნელოვანი ელემენტია „ჯაყდანანა". იგი სრულდებოდა სხვადასხვა გასართობ თავყრილობებზე, ქორწილში, ხალხურ დღესასწაულებზე. ცეკვის თანმხლები აუცილებელი მომენტებია შაირები და მისამღერი.

აჭარულმა საცეკვაო შემოქმედებამ შემოინახა გმირულ-ჰეროიკული ხასიათის საბრძოლო ცეკვა **„ხორუმი",** რომელიც ხასიათდება ცეკვის მკვეთრი რიტმული დინამიკით. ხორუმი სრულდებოდა დოლისა და ჭიბონის თანხლებით. „ხორუმი", იგივე „ხორონი", „გადახვეული ხორუმი", „ჩამორებული" არის მტერთან ბრძოლისა და ბოლოს გამარჯვების ზეიმის ქორეოგრაფიული გადმოცემა. აჭარაში არსებობდა „ხორუმის" სხვა სახეობაც, რომელიც ცნობილი იყო „დელი ხორუმის", ანუ „გიჟური ხორუმის" სახელწოდებით. სრულდებოდა ქალთა ხორუმიც.

აჭარის ხალხურმა ქორეოგრაფიამ შემოგვინახა ხალხური დრამის ელემენტები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, შეხედულებებს გარეგანსამყაროზე, უკავშირდებიან სხვადასხვა უძველეს ღვთაებებს და ინახავენ რიტუალების სიმბოლურ მნიშვნელობას. ასეთი ხალხური დრამის ნიმუშებიდან აღსანიშნავია საწესო ფერხული „ოჰოი, ნანო", რომელიც ნაყოფიერების ღვთაების კულტთან დაკავშირებული

რიტუალის ანარეკლს წარმოადგენს. იგი მიჩნეულია სვანური "მელიაი ტულეფიაის" აჭარულ ნაირსახეობად.

„ოჰოი, ნანო" ფერხულის სახით შესრულებული სახუმარო ცეკვაა. მას დღეისათვის დაკარგული აქვს თავისი თავდაპირველი ფუნქციონალური დანიშნულება და ქორწილსა და ნადში უკვე დაღლილი ხალხის მოსაფხიზლებლად და გასამხიარულებლად სრულდება, მაგრამ მისი ჩაღრმავებული კვლევა საშუალებას იძლევა იგი მივიჩნიოთ უძველესი წარმოშობის ფერხულად, რომელიც სტრუქტურულად გუნდისა და კორიფეს დიალოგზეა აგებული. ფერხულის მსვლელობისას გუნდი ჯერ მიჰყვება წინამძღოლს, მელის კუდივით იგრიხება, მიუხვ-მოუხვევს, წრეს კრავს, შემდეგ წრე იშლება და კორიფე ჯოხით მიერეკება მეფერხულეებს. „ოჰოი ნანო" წარმოადგენს ქორეოგრაფიული დრამის ნიმუშს, სინკრეტული ხასიათის უძველეს საწესჩვეულებო რიტუალურ ქმედებას.

„ოჰოი ნანო" თავისი არსით, შესრულების წესებით, რიტუალური ატრიბუტიკით სემანტიკურ ერთობას ავლენს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში საკმაოდ კარგად ცნობილ ისეთ რიტუალებთან, როგორიცაა „მელიაი ტულეფიაი", „ბერიკაობა-ყეენობა" და სხვა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები.

აჭარის საცეკვაო ფოლკლორში შემონახულია „ლაზ მეთევზეთა", იგივე „მებადურთა" ცეკვა, რომელიც ლაზთა უძველესი შრომა-საქმიანობის ამსახველი კომპოზიციაა. **„ლაზურს",** ძირითადად, ცეკვავდნენ სარფსა და მახოში. „ლაზური" სრულდებოდა ჩასაბერი (სტვირი ანუ „ოსტვინადე", სალამური ანუ „კაკალი") და დასარტყმელი ინსტრუმენტებისა და სიმღერის თანხლებით.

„ლაზურის" („ლაზხორუმის") გარდა, ლაზებში სხვა ცეკვებიც იყო გავრცელებული: „ოთირთინანო", „მენჯელიში", „მხუჯიში" და ა.შ. „ლაზხორუმი" აჭარის სხვა სოფლებშიც სრულდებოდა.

აჭარაში გავრცელებულ ხალხურ ცეკვებს თან ახლდა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე შესრულებული აკომპანიმენტი. მელოდიები სრულდებოდა ჭიბონზე, დოლ-აკორდეონზე, ჩონგურზე, ქამანჩასა და საზზე.

ამგვარად, აჭარული ხალხური ცეკვები მრავალფეროვანია ფორმითა და შინაარსით, მუსიკალურობით. მათში მკაფიოდ იხატება ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენათა ანარეკლი და ხალხური დრამის ელემენტები. მართალია, მუსლიმანურმა სარწმუნოებამ თავისი კვალი დააჩნია ხალხურ საცეკვაო კულტურას აჭარაში, მაგრამ ვერ ჩაკლა ხალხური შემოქმედების ეროვნული სული და აქ არსებული მდიდარი ქორეოგრაფიული ტრადიციები. აჭარაში დღეს დიდი ყურადღება ექცევა თვითმყოფადი ფოლკლორული ანსამბლების განვითარებას. აჭარის ყველა რაიონში ფუნქციონირებს ფოლკლორული ანსამბლები. მათგან თვითმყოფადობით გამოირჩევა ანსამბლი „ბერმუხა" (ხიხაძირი), ფესვები (ხულო), „მაჭახელა", „ათძალი" (ხელვაჩაური), შუახევის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ელესა" და „ხარატული" (ქედა) და სხვ. მუსიკალური ფოლკლორის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოც. ამიტომაც, აჭარაში, გარდა თვითმოქმედი კოლექტივებისა, ფუნქციონირებს მელიტონ კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ბათუმის მერიასთან არსებული ანსამბლი "ბათუმი", ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "ხორუმი" და სხვ. ეს ანსამბლები ემსახურებიან მშობლიური კუთხის საცეკვაო ტრადიციების შენარჩუნებას.

ხალხური გართობა-თამაშობანი

გართობა-თამაშობანი ხალხური შემოქმედების ნაყოფია. ისინი გარკვეულ საზოგადოებრივ გარემოცვაში წარმოიქმნებიან და შემდეგ ყოფის განუყოფელ ელემენტებად იქცევიან. აჭარაში შემონახულია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი გართობა-თამაშობანი, რომლებიც ხალხის შრომისა და ყოფის გარკვეულ მხარეებს ასახავენ. ამიტომაც მათში ასახვას პოულობს ხალხური ყოფის მრავალი ელემენტი. ამავე დროს, ხალხური თამაშები ხალხური აღზრდის სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს რგოლს წარმოადგენს.

ხალხური თამაშების უმთავრესი ნაწილი თავისი ხასიათით ეროვნულია და ტრადიციულობით ხასიათდება. გარდა ტრადიციული თამაშებისა, ყოფაში დამკვიდრებულია თანამედროვე თამაშებიც.

ტრადიციულად, თამაშები დიფერენცირებული იყო ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ჩვილ ბავშვთა თამაშების („წიპო-წიპო", „აჩუ-აჩუ', „საცერგობა", „ზუკუტურა", „იწილო-ბიწილო" და სხვ.) დანიშნულებაა ბავშვის ფიზიკური და გონებრივი აღზრდა, მეტყველების განვითარება, გარესამყაროს შეცნობა. ხუთი წლის ასაკიდან ბავშვები თამაშობენ „თვალხუჭობანას", „ეწრობანას", „აფრინდა-აფრინდას" და სხვ., რომელთა დანიშნულებაც გარკვეული სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება და შრომისა და ყოფის ცალკეული მხარეების გაცნობაა. მოზარდთა თამაშებია: „ალმობია", „გაწყვედილა", „დანასობია", „ცეცხლობანა", „კენჭობილა", „დატყუპისცალება", „ვეზირობია", „ვირობია", „მამლაყინწობა", „ბილაჯოხი", „ლახტი" და სხვ. ეს თამაშები ავითარებდა საზრიანობას, გამბედაობას, ამტანობს, აქტიურობას, ნებისყოფას და სხვ.

თამაშები იყოფოდა სქესობრივი ნიშნითაც: ვაჟები, სპორტული და საბრძოლო თამაშებით (ომობანა, ლახტი, დანასობია), იწრთობოდნენ სავაჟკაცო საქმეში. ისინი უფრო მეტად თამაშობდნენ ბურთით, შურდულით, ქვებით, სათამაშო იარაღებით, გოგონებისათვის კი დამახასიათებელი იყო თამაშები თოჯინებით, საოჯახო ინვენტარით, ჭურჭლით. ისინი უფრო მეტად საოჯახო ყოფის ამსახველი თამაშებით (სახლობანა, თვალხუჭობანა...) ერთობოდნენ.

ხალხური საბავშვო თამაშები ემსახურება მეურნეობის ამა თუ იმ დარგისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების დაუფლებას, ზოგი ავარჯიშებს გონებას (გამოცანები ან გამოცნობაზე აგებული თამაშები), არის სიუჟეტურ-როლებიანი თამაშები. ჯგუფურ თამაშებში დიდი ადგილი უჭირავს გათვლებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, მარტივი ორსტრიქონიანი, ერთ ან ორსტროფიანი ლექსების, შერითმული გამონათქვამების სახითაა შემორჩენილი.

აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირებულია საბავშვო სათამაშოები: წისქვილები, ურმები, ურიკები, დედოფლები, აკვნები, საბზრიალოები, სახაჭუნოები, თოფები, ხმლები, შურდული, ბურთი და სხვ.

აჭარაში გართობა-თამაშობანი არ იყო უცხო უფროსი ასაკის ადამიანებისათვისაც. ასეთი გასართობი სანახაობანი აჭარაში იმართებოდა როგორც სახალხო დღესასწაულების, ასევე, სოფლის თავყრილობების დროსაც. განსაკუთრებით მასიური სპორტული გასართობი სანახაობები იმართებოდა შუამთობის დღესასწაულზე. ამ დროს დღესასწაულის მონაწილეთა შორის იმართებოდა შეჯიბრი ჭიდაობაში, ბუდა ხარებისა და ყოჩების შეჯიბრი, დოღი. გამარჯვებულს წინასწარ დათქმული სანაძლეო (ფული) ან საჩუქარი (ცხვარი, უმთავრესად ყოჩი) ეძლეოდა. მოზრდილი მამაკაცები თამშობდნენ „ქუმას“. ეს იყო შეჯიბრი დანის ერთი დაკვრით ჩურჩხელების შეკვრის გაჭრაში. ჩურჩხელები რჩებოდა მას, ვინც ყველაზე დიდი რაოდენობით ჩურჩხელას გაჭრიდა ერთდროულად. უფროსები თამაშობდნენ, აგრეთვე, შაშის მაგვარ თამაშს „დუზს“, მინდვრის ჰოკეის მსგავს თამაშს „კოჟოს“ და სხვ.

ხალხური თამაშები ასახავენ აჭარის მეურნეობის, ყოფისა და სულიერი კულტურის თავისებურებებს. ზოგი თამაში თავდაპირველად რიტუალურ ქმედებას წარმოადგენდა და უძველეს მსოფმხედველობას ასახავდა, მაგრამ თანდათან დაკარგეს საკულტო ხასიათი და დღეს გასართობ სანახაობად არიან ქცეული. მათ განეკუთვნება აჭარაში ფართოდ გავრცელებული თამაშები „წყვედობილა//გაგლეჯილა” და „ცეცხლობია” ანუ „ათეშოინი”. ესაა ჯგუფური თამაშები, რომლებიც სოლარულ კულტთან დაკავშირებულ გარკვეულ მითოლოგიურ სიუჟეტს განასახიერებენ და ასახავენ ქართველთა უძველეს წარმოდგენებს მზისა და ცეცხლის კულტების შესახებ.

აჭარაში ფართოდაა გავრცელებული საქორწინო გართობა-თამაშობანი „ფადიკო“ და „დათვობია”, რომლებიც დიდ შინაარსობრივ და ფუნქციონალურ მსგავსებას ავლენენ ბუნების ძალთა აღორძინების უძველეს ხალხურ დღესასწაულთან – ბერიკაობა-ყეენობასთან. ბუნების ძალთა აღორძინების უძველესი მისტერიის გადმონაშთს წარმოადგენს, ასევე, „აქლემის შეკაზმვა“, რომელიც თავდაპირველად კარდაკარ რიტუალური ჩამოვლის წესს წარმოადგენდა და შემდგომი ტრანსფორმაციის გამო შუამთობის შემადგენელ ხალხურ გართობა-სანახაობად იქცა. „ფადიკო“, „დათვობია“ და „აქლემის შეკაზმვა“ სიუჟეტურ-როლებიანი თამაშებია, რომლებიც ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფას უკავშირდებიან და ინახავენ ქართველი ხალხის წარმართულ რწმენა-წარმოდგენების კვალს.

თამაშის სახითაა შემორჩენილი აჭარაში ამინდის გამოთხოვის მაგიური წეს-ჩვეულება „ლაზარობა” და „ბოსლობის” რიტუალი. ლაზრობისათვის დამახასიათებელია ბავშვების კარდაკარ ჩამოვლა ჯვრისფორმიანი თოჯინას – „დედოფალას”//„დოდოფალას”//„ქეფჩა ხათუნის” თანხლებით და სხვადასხვაგვარი სურსათისა და პროდუქტის გამოთხოვა ამინდის ღვთაების გულის მოსაგებად გამართული ერთობლივი ტრაპეზისათვის. რაც შეეხება სამიწათმოქმედო ყოფასა და მესაქონლეობასთან დაკავშირებულ დღესასწაულს „ბოსლობა”,

დღეს იგი აჭარაში შემორჩენილია მხოლოდ საბავშვო თამაშების „მოკუჭალიების" ანუ „ბუღობიას" და „ეწრობიას" სახით. სწორედ ამ თამაშებმა შემოინახა დღეობა „ბოსლობის" ელემენტებიცა და ღვთაება ბოსლას ფონეტიკური სახეცვილილებაც „ბოლა". ბოსლობის ნაშთადაა აღიარებული აჭარაში გასართობის სახით შემორჩენილი „ბუღების ჭედობა". ეს გართობა წარმოდგენილია სპეციალურად შერჩეული, ნაპატივები ბუღების დაჭიდებისა და შეჯიბრების სახით, რაც წმ.ხარების შერკინების ინსცენირებას, კორიდას უძველეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს და დღეს სახალხო სანახაობის სახითღაა შემორჩენილი.

ამგვარად, გარკვეული ისტორიული გზის გავლის შემდეგ ხდება ბევრი რიტუალის ტრანსფორმაცია, გადააზრება. საკულტო ფუნქციის მოშლის გამო მაგიური რიტუალები ხშირად თამაშებად იქცევა, თუმცა ეს თამაშები ინახავენ უძველეს სიმბოლიკასა და ხალხური რელიგიური აზროვნების ელემენტებს. ხალხურ გართობა-თამაშობებში საკმაოდ თვალსაჩინოდაა ასახული აჭარის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური წყობისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მრავალი მომენტი, ელემენტი. ბევრი მათგანი გარკვეული კულტმსახურების გადმონაშთს წარმოადგენს და ქართველთა უძველეს მსოფლმხედველობას ასახავს. ამავე დროს, თამაშები, გარკვეული აზრით, წარმოადგენს აქაურთა ცხოვრებისა და საქმიანობის მინიატურულ მოდელს, ბავშვის აღზრდისა და ცხოვრებისათვის მომზადების, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და ხასიათის თვისებების განმტკიცების საშუალებას.

ხალხური მედიცინა

აჭარაში ხალხური მედიცინის უძველესი ტრადიციების არსებობაზე მიუთითებს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული წყაროები. არქეოლოგიური მასალები (ადრეული შუასაუკუნეების ქვაში ნაკვეთი აბაზანის ნაშთი შუახევის აბანოებზე, IV საუკუნის მინის კოლბი ციხისძირის სამაროვნიდან) ადასტურებენ ხალხური მკურნალობის სხვადასხვა წესის არსებობას აჭარის ტერიტორიაზე. ძველ კოლხეთში მედიცინის განვითარების მაღალ დონეზე უძველესი წერილობითი წყაროები (ჰიპოკრატე, პროკოპი კესარიელი) მიუთითებენ. უფრო მოგვიანებითი პერიოდის წერილობით წყაროთაგან აღსანიშნავია 1893 წელს ქედის რაიონის სოფელ აგარაში აღმოჩენილი XVIII საუკუნის მცირე ქართული სამკურნალო ხელნაწერი და 1987 წელს შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში აღმოჩენილი უფრო ვრცელი კარაბადინი. აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამაც მრავლად შემოინახა ცოდნა მცენარეული და ცხოველური სამკურნალო საშუალებების, მედიკამენტების მომზადების ტექნოლოგიის შესახებ, მკურნალობის მაგიური ხერხები, ხალხური მეთოდები.

ხალხური მედიცინა აჭარაში ემყარება ხალხის ემპირიულ გამოცდილებას. აჭარაში სამკურნალოდ, ძირითადად, იყენებდნენ ნატუროპათიურ საშუალებებს: სხვადასხვა სახის ბოსტნეულს (მხალი, კომბოსტო, ქონდარი, ქინძი, მაკიდო, ნიახური, ნიორი...), გარეულ ბალახეულს (ჯინჭარი, მრავალძარღვა, დვალურა, ინგირი, უჟმურის ბალახი, მოლოქა (ბალბა), ნეგო, სამყურა...), გარეულ ხილსა და კენკრას (მოცვი, მაყვალი, ყვავტყემალა (კოწახური), ასკილი, ანწლი...), შავ წიწაკას (ბიბერს). სამკურნალო მცენარეების შეგროვებით აჭარაში ქალები იყვნენ დაკავებული. ბალახეულს აგროვებდნენ, ძირითადად, გაზაფხულზე და ზაფხულში. საუკეთესო დროდ ითვლებოდა მაისი. გარეულ მცენარეებს აგროვებდნენ დილით ადრე, მზის ამოსვლამდე და იყენებდნენ სხვადასხვა სახით. მცენარეულისაგან ამ-

ზადებდნენ ნახარშებს, სპირტიან ნაყენებს, ფხვნილებს. გარდა მცენარეებისა, იყენებდნენ გარეული ცხოველების (მელა, ტურა, დათვი) ქონს, ნაღველს; ასევე, ყველის შრატს, რძეს, ნიგვზის გულს, კვერცხის ნაჭუჭს, ობობას ქსელს, ხვართქლის დუყებს, შაბის ნახარშს, ალიყურს (ნიჟარა) და სხვ. ფართო გამოყენება ჰქონდა თაფლსა და მის პროდუქტებს: დინდგელს, ფიჭას, სანთელს, აგრეთვე, ცოცხალ ფუტკარს. იცოდნენ წურბელების დასმა და ძარღვიდან სისხლის გამოშვება მაღალი წნევისას ან სახსრების ტკივილის დროს. მკურნალობისათვის იყენებდნენ ადგილობრივ მინერალურ წყლებსაც, რასაც აჭარაში „მჟავე წყლებს“ ეძახდნენ. ასეთი წყლები ცნობილია შუახევში, დანისპარაულში, კოკოტაურში, ხიხაძირში და სხვ. ხალხური მკურნალობისათვის აჭარაში იყენებდნენ ბუნებრივ აბანოებსაც, რომლებსაც სამკურნალო წყლებს ეძახიან. ასეთი წყლები ახლაც არის სოფლებში: ღურტაში, გელაძეებში, დიაკონიძეებში, ბეშუმში და სხვ.

მკურნალობა, ძირითადად, კომპლექსური ხასიათის იყო და, ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებთან ერთად, სხვადასხვა სახის მაგიურ-რელიგიურ საშუალებებსაც იყენებდნენ. პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენებოდა სხვადასხვაგვარი აპოტროფული საშუალებები: ასკილის ტოტი, „ხვითოს ქვები“, წერილობითი სახის ამულეტები, ავგაროზები, ნუსხა.

აჭარაში ხალხური მკურნალობის წესებში დიდი ადგილი უჭირავს შელოცვებს. შელოცვები სიტყვის მაგიური ძალის, ადამიანებზე, საგნებსა და მოვლენებზე სიტყვის მეშვეობით ზემოქმედების შესაძლებლობის რწმენას ეფუძნება. აჭარაში მრავალი სახის სამკურნალო შელოცვაა დაფიქსირებული. მაგიური შელოცვების მეშვეობით მკურნალობდნენ აჭარაში „მატაურას“ (ქუნთრუშა), „წმინდანს“//“გოჟოს“ (რაქიტი), შაკიკს, სურდოს, „ყიყვს“ (ჩიყვი), „საყვითლოს“ (ბოტკინი) და სხვ.

შელოცვასთან ერთად მიმართავდნენ სხვადასხვა საწესო ქმედებებს ე.წ. მაგიური საგნებით (შავტარიანი დანა, ნახშირი, მაკრატელი, კვირისტავი და სხვ.), იცოდნენ ნაცრის, ქარვის წყალში გალესვა; მჭადის ფქვილით, თაფლის ფიჭით და ავადმყოფის თმით, ზოგჯერ ნივრის ნარჩევით, შეფუტება//შეხრჩოლება. იყენებდნენ თვალწყალსაც – წყალში ჩაყრიდნენ ნაკვერცხალს, ნემსს, გასაღებს, ლურსმანს. ყველაფერს ერთად შვიდ ქვრივ ქალს გამოალოცინებდნენ და ავადმყოფს შიგ დაბანდნენ ან დაალევინებდნენ.

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ინფექციური დაავადებების ე.წ. ბატონების მკურნალობის წესები. ბატონებს მოსახადსაც ეძახდნენ აჭარაში. აქ ბატონები ადამიანის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი და იტყოდნენ „ბატონები გვესტუმრაო“, „ბატონები მობრძანდაო“. ბატონებიანს უფრთხილდებოდნენ და განსაკუთრებულად ემსახურებოდნენ. ერიდებოდნენ მათ „გაბრაზებას“, რომ მძიმე გართულება არ მოჰყოლოდა. ბატონებიანის სახლში მოქმედებდა ბევრი ტაბუ, ასრულებდნენ ბატონების საგალობლებს.

აჭარის სოფლებში დაავადებებს მკურნალობდნენ ხალხური მკურნალები, რომლებსაც ჰქონდათ მკურნალობის გარკვეული გამოცდილება და პრაქტიკა. ძალზე ხშირი იყო სამკურნალო ცოდნის მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტები, რამაც საფუძველი ჩაუყარა საოჯახო-საგვარეულო მედიცინის ჩამოყალიბების ტენდენციებს. აჭარაში ცნობილი იყო მკურნალთა საგვარეულოები: ხაბაზები, თურმანიძეები, გორგილაძეები, მიქელაძეები, გეგიძეები, დუაძეები, კახაძეები, ლეონიძეები.

აჭარაში მოტეხილობის მკურნალობით განთქმულია ხაბაზების გვარი. მოტეხილობას ოდითგან მკურნალობდნენ არტაშანის და სპეციალურად დამზადებული მალამოს – „ზუთხის“ საშუალებით. იცოდნენ არასწორად შეხორცებული ძვლების დაშლა ცოცხალი

კალმახის გამოყენებით. აგრეთვე, დაუეჟილის, ნაღრძობისა და ამოვარდნილობის მკურნალობა.

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ბებიაქალის ინსტიტუტიც. ბებიაქალს აქ ებეს-//ნენეს ეძახდნენ. ებე არა მხოლოდ ამშობიარებდა ქალს, არამედ შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში უვლიდა მელოგინესა და ახალშობილს. აჭარის ყველა სოფელს ჰყავდა თავისი ებე და ეს ძალზე საპატიო საქმიანობად ითვლებოდა. საოჯახო წესით დამზადებულ საპონსაც პირველად ებეს ჩუქნიდნენ.

ხალხური მკურნალობის ბევრი მეთოდი, რომელიც პრაქტიკულადაა გავრცელებული აჭარაში, ცნობილია ძველ ქართულ სამედიცინო ტრაქტატებშიც. მაგალითად, აჭარაში დაუეჟილობის სამკურნალოდ ავადმყოფს ხვევენ ახალდაკლული ცხვრის ტყავში. ძირმაგარას სამკურნალოდ იყენებენ შემწვარი ხახვის და მრავალძარღვას ნარევს, გამთბარ სანთელს. ეს მეთოდები გვხვდება „იადიგარ დაუდში". როგორც ჩანს, აჭარის ხალხური სამკურნალო ტრადიციები იცნობდა და იყენებდა ძველი სამედიცინო ტრაქტატების სამკურნალო საშუალებებს.

ამრიგად, აჭარაში იყო მაღალგანვითარებული ხალხური სამედიცინო კულტურა. აქ ხარობს მსოფლიოში ცნობილ სამკურნალო მცენარეთა უმრავლესობა, რომლებსაც დღეს უკვე ფართოდ იყენებენ ფარმაკოლოგიაში. აჭარის ხალხურ მედიცინაში გამოყენებული ბევრი მეთოდი და საშუალება ძალზე ეფექტურია და მისაღებია თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. ახობაძე ვ., ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961.
2. ბაქრაძე რ., ვანილიში გ., კოლხობა – სახალხო დღესასწაული, – გაზ. „აჭარა“, 2004, 17 აგვისტო.
3. გვარამაძე ლ., ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბილისი, 1997.
4. თათარაიძე ა., ქართული ხალხური ცეკვების მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 1974.
5. თანდილავა ზ., ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 1974.
6. თანდილავა ზ., შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბილისი, 1980.
7. ინაიშვილი ა., ნოღაიდელი ჯ., ჩხიკვაძე გ., მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბილისი, 1961.
8. მაკარაძე ე., ხიხაძირული „ოჰოი, ნანო”, – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კრებული, II, ბათუმი, 2002.
9. მინდაძე ნ., აჭარის ტრადიცული მედიცინის ისტორიიდან (დაავადებათა პრევენციის ხალხური საშუალებები), ტბელობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2008.
10. მსხალაძე ალ., ქართული საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, თბილისი, 1969.
11. მსხალაძე ალ., აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, თბილისი, 1969.
12. ნოღაიდელი ნ., საბავშვო თამაშობანი აჭარაში, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VIII, თბილისი, 1988.
13. ნოღაიდელი ჯ., ჩხეიძე ჯ., აჭარული სამიწათმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება, – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1960.
14. ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971.
15. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი, 2009.
16. სურმანიძე რ., ქართული კარაბადინი, ბათუმი, 1996.
17. შამილაძე ვ., კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში, ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფისა და კულტურის საკითხები, I, თბილისი, 1973.
18. შალიკაძე მ., ქართული მუსიკალური დიალექტები, – მსე, XX, თბილისი, 1979.
19. ჩირგაძე ნ., მკურნალობის ხალხური საშუალებები აჭარაში, ტბელობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2008.
20. ჩხიკვაძე გრ., ნოღაიდელი ჯ., ინაიშვილი ა., აჭარული ნადური სიმღერების ოთხხმიანობის თავისებურების შესახებ, – „ლიტერატურული აჭარა”, №1, თბილისი, 1960.
21. ცინარიძე ო., მარეთობის სახალხო დღესასწაული, გაზ. „აჭარა“, 2006, 12 მაისი.
22. ცინარიძე ო., სახალხო დღესასწაული ტბელობა – 2007, გაზ. „აჭარა“, 2007, №124.
23. ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938.
24. ჯიჯეიშვილი ა., აჭარული საცეკვაო ფოლკლორი და მისი მესვეურები, ბათუმი, 1995.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. დაასახელეთ ძველი და თანამედროვე ხალხური დღესასწაულები აჭარაში.
2. რასთანაა დაკავშირებული „შუამთობის”, „კოლხობისა” და „ტბელობის” დღესასწაულების დაარსება?
3. რომელი საკრავი ინსტრუმენტებია გავრცელებული ყველაზე მეტად აჭარაში და რა იცით მათ შესახებ?
4. აღწერეთ აჭარაში გავრცელებული ცეკვები „განდაგანა” და „ხორუმი”.
5. რა იცით ხალხური მედიცინის შესახებ აჭარაში?

თავი VIII – ფოლკლორი

აჭარული ფოლკლორი

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა სულიერი და ნივთიერი კულტურის მდიდარი საგანძური შექმნა. ეროვნული კულტურის ამ საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზეპირსიტყვიერ შემოქმედებას, ფოლკლორს. ქართული ფოლკლორის ბევრი ნიმუში მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებადაა აღიარებული („ამირანიანი“, „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“, ოთხხმიანი ნადური სიმღერები, ცეკვა “ხორუმი” და სხვ.).

აჭარის ფოლკლორი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების ხალხური შემოქმედება, ქართული ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც კარგადაა შემონახული როგორც მრავალფეროვანი სიტყვიერება, ასევე მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორი.

ამ რეგიონის ქართველობამ, მიუხედავად ისტორიული ავბედობისა, ქართულ ენაზე აჟღერებული ლექსებით, ზღაპრებით, თქმულება-გადმოცემებით, მუსიკით, ცეკვით შეინარჩუნა ეროვნულობა, ენა და კულტურა.

ფოლკლორული ნიმუშების შეკრება-შესწავლა აჭარაში XIX საუკუნის შუახანებიდან დაიწყო.

ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია პ. უმიკაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, აპ. წულაძის, გრ. გურიელის, ი. ჯაიანის თუ სხვა ქართველ მოღვაწეთა წვლილი, რომელთა ფოლკლორული ჩანაწერებიც დროდადრო იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში, მაშინდელ ავტორთა ნაშრომებსა და პუბლიცისტურ წერილებში. ამ საქმიანობაში დიდ როლს ასრულებდა, ასევე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

აჭარული ფოლკლორის პირველი ნიმუშები: „სოლაღას ლექსი”, „ჰაი გიდი, ჩახალოღლი”, „ფირალი” და სხვ. ჯერ კიდევ 1859 წელს ჩაუწერია ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და ქართული კულტურის დიდ მოამაგეს პ. უმიკაშვილს სოფ. მერისიდან (აჭარა, ქედა) კახეთში გადასახლებული თავდგირიძისაგან. ეს ლექსები 1877 წ. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში”. ცნობილია, ასევე, რომ პ. უმიკაშვილმა სახალხო მთქმელის ბუჰანა შავიშვილისაგან 1879 წელს, სხვა ლექსებთან ერთად ჩაიწერა „ბათომის ლექსი”.

1878 წლის ნოემბერში დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებული აჭარის დეპუტაცია თბილისში შეხვდა ქართველ ინტელიგენციას. დელეგაციაში შედიოდა აჭარის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე – ჰუსეინ ბეგ ბეჟანიძე. პ. უმიკაშვილს მისგანაც ჩაუწერია შესანიშნავი ლექსი თამარ მეფეზე – „ათასი კაბა ყმა მყავდა”.

„ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმევდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შევები
ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა“.

ეს მშვენიერი ლექსი უკვე 1883 წელს დაბეჭდილა გაზეთ „ივერიაში”.

შედარებით უფრო ინტენსიური გახდა ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა.

დიდი ღვაწლი დასდო აჭარის ხალხური სიტყვიერების შეკრება-გამოცემის საქმეს ზ. ჭიჭინაძემ. 1891 და 1900 წლებში მან გამოსცა წიგნი „ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები". 1900 წელსვე გამოსცა „ლექსები, თქმული ხუსეინ ხაბაზ ქამჯარაძისაგან", ხოლო 1911 წელს წიგნი – „თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირი ცნობებით". მასში შესულია თამარის შესახებ აჭარაში ჩაწერილი ბევრი გადმოცემა, ლეგენდა და ლექსი. რამდენიმე ლექსი ჩაუწერია ცნობილ ქართველ ეთნოგრაფს თ. სახოკიასაც.

განსაკუთრებით გაიზარდა აჭარის ზეპირსიტყვიერებისადმი ინტერესი და ფართოდ გაიშალა შემკრებლობითი მუშაობა XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიურომ.

1930 წლიდან აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიურო აჭარის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმად გადაკეთდა. მუზეუმში მომუშავე თუ სხვა მეცნიერთა და მოგზაურ-მკვლევართა მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალები მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია განთავსებული.

აჭარის ფოლკლორის შესწავლაში მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება აჭარის მკვიდრის, ამ კუთხის ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და დიალექტოლოგიის თვალსაჩინო მკვლევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ჯ. ნოღაიდელის ფოლკლორული მემკვიდრეობა. მან 1935 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი „ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან", ხოლო 1936 წ. – „აჭარა დიალექტოლოგიურად", რომელთაც დაერთოთ ვრცელი ფოლკლორული ტექსტებიც. ასევე, 1936 წ. გამოიცა „აჭარის ხალხური სიტყვიერება" – წიგნი I, ხოლო 1940 წ. – წიგნი II. მათში შეტანილია აჭარის ყველა კუთხეში ჩაწერილი პროზაული და პოეტური, ასევე, მცირე ზომის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჯ. ნოღაიდელმა, როგორც მეცნიერმა, პირველმა მიაქცია ყურადღება ოთხხმიან ნადურ სიმღერებს, ცნობები მათ შესახებ მიაწოდა ივ. ჯავახიშვილს. ივ. ჯავახიშვილმა კი ჯ. ნოღაიდელის ცნობებზე დაყრდნობით თავისი შეხედულებები ამ სიმღერების შესახებ 1938 წელს შეიტანა თავის მონოგრაფიაში „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები" (თბილისი, 1938). ჯ. ნოღაიდელმა ჩაიწერა ქართული (აჭარული) ოთხხმიანი სიმღერების რამდენიმე ათეული ტექსტი, რომლებიც შევიდა კრებულში "აჭარის ხალხური პოეზია" (თბილისი, 1969). აჭარაში გავრცელებული ნადური (ყანური) სიმღერები, ამავე ციკლის გურულ ნიმუშებთან ერთად, ქართული მუსიკის იმ უძველეს საფეხურს განეკუთვნება, რომლებიც სათავეს იღებს ხელოვნების თავდაპირველ სინკრეტიზმში. ისინი მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური კულტურის უნიკალური ნიმუშებია.

აჭარის ხალხური სიტყვიერების მასალები, ასევე, დართული აქვთ წიგნებს "აჭარის ხალხური მთქმელები" (ბათუმი, 1956), შ. ძიძიგურის „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ" (თბილისი, 1956), შ. ნიჟარაძის „ზემოაჭარულის თავისებურებანი" (ბათუმი, 1957); 1959 წელს წიგნად გამოიცა ნაზი ნოღაიდელის მიერ შეკრებილი ფოლკლორული ტექსტები (ნ. ნოღაიდელი, აჭარის ზეპირსიტყვიერება, ბათუმი, 1959 წ.).

1958 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა აჭარის მრავალმხრივი ფოლკლორული შემოქმედების შესწავლა. შეიქმნა ფოლკლორის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცნიერი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი ჯ. ნოღაიდელი. დაიწყო ინტენსიური საველე-შემკრებლობითი მუშაობა.

ათეულობით წლების განმავლობაში განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მონაწილეობით (აზ. ახვლედიანი, ნ. ცქიტიშვილი, ზ. თანდილავა, ჯ. ჩხეიძე, ალ. მსხალაძე, მ. გიორგაძე, თ. შიოშვილი, ჯ. ჯაყელი, ე. დავითაძე, ეთ. ზოიძე...). აჭარის სხვადასხვა რეგიონში ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები. მასალები იკრიბებოდა ინდივიდუალურადაც. გარდა აჭარისა, ექსპედიციები ეწყობოდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც: გურიაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, სვანეთში... ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრებასთან ერთად, 1958-1966 წლებში თხუთმეტამდე სპეციალური ექსპედიცია მიეძღვნა მუსიკალური ფოლკლორული მასალების შეკრებას. აჭარის მუსიკალური ფოლკლორისა თუ ზეპირსიტყვიერი მასალები ამჟამად განთავსებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში. მათი მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია ქართული ეროვნული კულტურის, ზეპირსიტყვიერი შემოქმედების და მუსიკალური ფოლკლორის კვლევა-ძიებისა და შენარჩუნებისათვის.

ფოლკლორულ ფონდებში დაცულ მასალებში წარმოდგენილია ზეპირსიტყვიერი ფოლკლორული შემოქმედების ყველა ჟანრი მრავალფეროვანი თემატიკით. მათ შორისაა ხალხური პროზის ნიმუშები: ზღაპრები, ბიბლიური თუ მითოლოგიური შინაარსის ლეგენდები, ისტორიული ხასიათის თქმულება-გადმოცემები. აქ წარმოდგენილია, ასევე, მდიდარი ხალხური პოეტური შემოქმედება: შრომის პოეზია, საწესჩვეულებო და საისტორიო სიტყვიერება, ხალხური ლირიკული ლექსები, შაირები. ასევე, მცირე ზომის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები: ანდაზები, გამოცანები და სხვ.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ დამუშავებულ მონოგრაფიებში, ნაშრომებსა თუ სტატიებში შესწავლილია ფოლკლორის ეროვნული ტრადიციები სამხრეთ-დაავლეთ საქართველოში, ამ კუთხის მკვიდრთა ზეპირსიტყვიერი შემოქმედებისა და მუსიკალური ფოლკლორის მთელი რიგი ჟანრები, რელიგიურ-მითოლოგიურ შეხედულებათა, ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობების, ხალხური დრამის, პოეტური ტრადიციების, თანამედროვე ხალხური პოეზიისა და სხვა საკითხები.

მეცნიერულ ნაშრომთა გარდა, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ, ინსტიტუტის ფოლკლორული ფონდის მასალების გამოყენებით, გამოსცა წიგნები: „აჭარის ხალხური პოეზია", I, (თბილისი, 1969); ქართული (აჭარული) ზღაპრები, I, (ბათუმი, 1973); „ქართული ანდაზები და გამოცანები" (ბათუმი, 1976). აჭარის ხალხური სიტყვიერების ნიმუშები გამოყენებულია, აგრეთვე, „ხალხური სიბრძნის" ხუთტომეულში (თბილისი, 1963-65), ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულში (თბილისი, 1972-1980) და სხვ. 2013 წელს განყოფილებამ გამოსცა **„აჭარული საუნჯე"** (პირველი ტომი), რომელშიც შესულია 1958 წელს ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალები. გამოსაცემად მზადაა ამ სერიის მეორე ტომი. გრძელდება მუშაობა მომდევნო ტომების გამოსაცემად.

აჭარაში შეკრებილი დიდძალი ფოლკლორული მასალა საქართველოს ამ კუთხის მკვიდრთა კოლექტიური თანაავტორობის შესანიშნავი შედეგია. ხალხის გენია მუდმივ მოქმედებაშია. ამიტომაც არ ჩაუვლია უკვალოდ ხალხის ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან არც ერთ მოვლენას და ასახვა ჰპოვა მის სულიერ სამყაროში – სიტყვიერ ხელოვნებაში, ფოლკლორში.

აჭარის ფოლკლორი ამ კუთხის ისტორიის კვალდაკვალ იქმნებოდა და ვითარდებოდა. მისი თავისებურებები ისტორიულად მრავალი კულტურისა და რელიგიის გზაჯვარედინზე აჭარის ყოფნამ განსაზღვრა. აჭარული ზეპირსიტყვიერება ერთგვარი საზომიცაა იმისა, თუ რა ძალისხმევით შეინარჩუნა აჭარის მოსახლეობამ ქართული კულტურა. აქაურ ფოლკლორში, როგორც საერთოდ, ქართულ ფოლკლორში, ზეპირსიტყვიერი შემოქმედების თითქმის ყველა ტრადიციული ჟანრია წარმოდგენილი. წამყვან ჟანრად ითვლება **ზღაპარი**. იგი ახლაც ფართოდ გავრცელებული და პოპულარულია, რადგანაც მას აღმზრდელობით-დიდაქტიკურ ფუნქციასთან ერთად აკისრია გართობის ფუნქციაც, რაც ხელს უწყობს ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრის სიცოცხლისუნარიანობას. გვაქვს ჯადოსნური, საყოფიერო, ცხოველთა თუ სხვა სახის ზღაპრები.



ზღაპრებთან ერთად ფრიად საინტერესოა **ბიბლიურ-მითოლოგიური** შინაარსის ლეგენდა-თქმულებები ამირანის, წარღვნის, ნოე წინასწარმეტყველის, წმ. ელიას, ლაზარეს, საიქიო ცხოვრების შესახებ, სამონადირეო ეპოსი.

ლამაზი, მრავალფეროვანი და მდიდარია აჭარის **ხალხური პოეზიაც**. იგი წარმოდგენილია შრომის, საგმირო-საისტორიო, საწესჩვეულებო, საყოფიერო, სატრფიალო თუ სხვა ლექსებით.

აჭარულ ხალხურ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიუჟეტური თუ თემატიკური მრავალფეროვნებით გამორჩეულ **შრომის ლექს-სიმღერებს**. მათში გადმოცემულია აჭარელთა სამეურნეო საქმიანობა: ხვნა-თესვა, ვენახის დამუშავება, ხელოსნობა, ფეიქრობა და სხვ., რაც ნათელ წარმოდგენას ქმნის აჭარელთა ყოფისა და კულტურის თავისებურებებზე.

ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ორგანული ნაწილია აჭარის **საგმირო-საისტორიო** სიტყვიერება, რომელსაც საფუძვლად ქვეყნის რეალური ისტორია უდევს და რომელშიც სამშობლის სიყვარულის, მისთვის თავდადების გარდა, კარგად ჩანს ქართველი ხალხის შეხედულებები გმირობაზე, ვაჟკაცობაზე, მეგობრობაზე. ამ პათოსითაა გაჟღენთილი საგმირო-საისტორიო სიტყვიერების ნიმუშები აჭარაშიც. მათში ასახულია თურქთა ბატონობის პერიოდი, რუსეთ-თურქეთის ომები, მუჰაჯირობა და სხვ.

აჭარის საისტორიო ფოლკლორში განსაკუთრებით გამოირჩევა თამარ მეფესთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები და ლექსები. სხვა ქართველ მეფეთა შესახებ თითქმის არაფერია შემორჩენილი.

აჭარაში ოსმალთა ბატონობისდროინდელ ფოლკლორში კარგად ჩანს ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და იკვეთება სამშობლოსათვის თავდადებულ პიროვნებათა (სოლაღა, ჩახალოღლი, სელიმ ხიმშიაშვილი, ალი-აღა სამბაშოღლი და სხვ.) სახეები. საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნი-

მუშებში შემონახულია ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა სახელებიც: ვოდელიოღლი (შარაშიძე), ილიასა ფურტიოელი (ხილაძე), მემედ დიასამიძე (ყირიმლიოღლი) და სხვ.

აჭარის მოსახლეობის ყოფითი კულტურის საკითხები ასახულია **საყოფიერო** და **საწესჩვეულებო** ფოლკლორში. აჭარული საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები მოიცავს როგორც კალენდარულ, ასევე საოჯახო ყოფის ამსახველ ლექსებს. ეს მასალა ნათლად წარმოაჩენს წარმართობის დროინდელ წეს-ჩვეულებებს და ნათლად ადასტურებს მათი შესაბამისი პოეზიის გამძლეობას. ამის ნიმუშებია: „ლაზარობა", „ცეცხლის შენახვა", „ქათმის ფერხვა", „ახალ მთვარესთან შეხვედრა", „ნისლზე შელოცვა" და სხვ. შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა (ალილო, აღდგომა და სხვ.) ამსახველი პოეტური ნიმუშები.

აჭარული საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია სამი ციკლისაგან შედგება: საძეობო, საქორწილო და სამგლოვიარო ლექსები. პოეზიის ამ ჟანრის ბევრი ნიმუში საფერხულო ლექსს უნდა წარმოადგენდეს: სააკვნო ლექსები, დედამთილის მოთქმა და სხვ.

აჭარულ ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საყოფაცხოვრებო ლექსებს, განსაკუთრებით, ოჯახურ ურთიერთობათა ამსახველ ნიმუშებს (სიმღერა ცოლზე, რძლის ნატვრა, გასათხოვარი ქალის ჩივილი, ლექსები დედამთილზე და სხვ.). მათ მჭიდრო კავშირი აქვთ კუთხის წეს-ჩვეულებებთან.

თემატურად და კომპოზიციურად განსაკუთრებით მრავალფეროვანია აჭარის **სატრფიალო პოეზია**. ვხვდებით როგორც სიუჟეტებიან, ასევე, მცირე ფორმის ლირიკულ ლექსებს, სატრფიალო გაბაასება-გაშაირებას და სხვ. ბევრი სატრფიალო ლექსი ზოგადქართული ფოლკლორის საერთო ფონდს განეკუთვნება („სებრო, სებრო", „წუხელის სიზმარში განახე" და სხვ.).

ყველაზე გავრცელებული ჟანრია **შაირი**. ისე, როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც კოლორიტული ხასიათის შაირები სატრფიალო პოეზიის თანამდევი მოვლენაა და მრავალფეროვნადაცაა წარმოდგენილი.

გამომსახველობითი ხერხებითა და კომპოზიციური აგებულებით პოეზიას უახლოვდება და ფოლკლორულ ჟანრებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **ანდაზებსა** და **გამოცანებს**. როგორც, საერთოდ, საქართველოს სხვა კუთხეებში შეკრებილ ანდაზებში, აქაც ანდაზის თემა მთელი ცხოვრებაა: შრომა და შრომისადმი სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება, ძმობა, მეგობრობა, სიყვარული, ბოროტება და სიკეთე, წოდებათა თუ კლასთა ბრძოლა, აწმყო, მომავალი, ყველა ის საკითხი, რაც ხალხს თავისი გონების სასწორით აუწონ-დაუწონია და სათანადო მორალურ კოდექსად ანდაზის სახით ჩამოუყალიბებია.

გამოცანაც ხალხის მახვილგონივრული შემოქმედებითი აზროვნების შედეგად ჩამოყალიბებული მცირე ზომის პოეტური ნაწარმოებია, სიტყვაკაზმული კითხვაა, რომელიც დაკვირვებას და შესაბამის პასუხს მოითხოვს. ამ ჟანრის თემატიკა მრავალფეროვანია: დედამიწა, ცა, ციური სხეულები, ბუნების მოვლენები, ცხოველთა თუ მცენარეული სამყარო, ადამიანი და მასთან დაკავშირებული ნივთები, სამუშაო იარაღები თუ სხვა მრავალი. გამოცანა, როგორც ფოლკლორის სხვა ჟანრის ნიმუშები, პოპულარულია და არსებობას განაგრძობს.

აჭარაში ახლაც იქმნება შესანიშნავი პოეტური თუ პროზაული ზეპირსიტყვიერი ნიმუშები, რომლებიც საინტერესოა როგორც საკუთრივ ფოლკლორის, ასევე, საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

სახალხო მელექსეობის ტრადიცია აჭარაში

მელექსეობის ტრადიცია აჭარას ძველთაგანვე მოსდგამს. ამ კუთხის მომხიბლავი ბუნება, ცად აწვდილი მთები და მწვანეში ჩაფლული ხეობები მუდამ განაწყობდა აქაურ კაცს სულიერი ამაღლებისათვის. ხალხური მელექსეობის მდიდარ ტრადიციებზე მეტყველებს აჭარის ცალკეული ხეობის მკვიდრთა შორის უხვად მიმობნეული პოეტური ქმნილებანი, რომელთა ავტორებიც უბრალო, გლეხურ ცხოვრებას ხალისით უთავსებდნენ და უთავსებენ პოეზიის სიყვარულს. ქართულმა სიტყვამ, ქართულმა ხალხურმა ლექსმა აჭარაში მრავალ განსაცდელს გაუძლო, რომელთა შორის უცხო ტომთა შემოსევები განსაკუთრებით მძიმე იყო. მიუხედავად ამისა, ქართული მელექსეობა ამ კუთხეში მტკიცედ აგრძელებდა არსებობას.

ეს სინამდვილე, ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს: „ჩვენ მკითხველებს აჭარულ ლექსებს წავაკითხებთ და ნახავენ, რომ დღევანდლამდე სახალხო არამც თუ ლაპარაკი, ლექსებიც კი დარჩა" – აღნიშნავდა გაზეთ ივერიაში ქართული კულტურისა და ხალხური სიტყვიერების მოამაგე პეტრე უმიკაშვილი.

ქართულ მელექსეობაზე მიუთითებდა თედო სახოკია, რომელიც მძიმე წარსულიდან ახლად გამოსული აჭარისა და აჭარლებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა: "...აჭარელი ლექსს ვერ იტყვის, თუ სიმღერაც არ ააყოლა. ლექსი და სიმღერა განუყრელი შექმნილა მისთვის. სოფ. ფურტიოში (ზემო აჭარა) ერთ მოხუცებულ გლეხს – „ქოსად" წოდებულს და განთქმულ მელექსეს ვთხოვე რამე ლექსი ეთქვა, ბევრი ხვეწნის შემდეგ სიმღერა დაიწყო ქართული „ოროველას" ხმაზე, თანაც ლექსი დაატანა ... ".

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ქართველ მაჰმადიანებმა ქართულ ენას გარდა თვით ქართული მეშაირეობა და მელექსეობაც არ დაივიწყეს. მაგალითებრ ასეთი არის ქობულეთი და აჭარა, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შორის თითო-ოროლა მელექსენიც კი მოიპოვებიან, დღეს, აქ, მათ შორის მელექსეთა რიცხვს მრავლად ნახავს კაცი."

აჭარის სახალხო მელექსეთა პოეტური რეპერტუარის ჩაწერა-შეკრებას ამაგი დასდეს განსაკუთრებით ახალ დროში, მას შემდეგ, რაც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ამ საშვილიშვილო საქმეში ჩაერთვნენ ადგილობრივი მეცნიერ-მკვლევარნი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჯ. ნოღაიდელი, ჯ. ჩხეიძე, ალ. მსხალაძე, ნ. ნოღაიდელი, ა. ინაიშვილი, ზ. თანდილავა, ე. ზოიძე, ა. ახვლედიანი, ნ. ნოღაიდელი, ნ. ცქიტიშვილი, ე. დავითაძე და სხვანი.



ადრე აჭარას, საქართველოს სხვა კუთხეებთან, განსაკუთრებით, მის მთიანეთთან შედარებით, „ნაკლებპოეტურ" კუთხედ მიიჩნევდნენ, განსაკუთრებით ღარიბად წარმოაჩენდნენ ინდივიდუალურ მთქმელ-შემსრულებელთა რიცხვს და რეპერტუარს. კვლევებმა – „აჭარული ფოლკლორი", „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", „აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგია" და სხვ. დაადასტურა, რომ ამ კუთხეს მრავალი სახალხო მელექსე და მათ მიერ შექმნილი და დატოვებული უმდიდრესი ხალხური პოეტური საუნჯე – გალექსების, გაშაირება-გაბაასების იშვიათი ნიმუშები გააჩნია. ამის დასტურად მხოლოდ მა-

თი, უფრო კი მათ ზეპირმთქმელ შემოქმედთა ნაწილობრივი ჩამოთვლაც კი საკმარისია. ესენი იყვნენ: ქედის რაიონის სოფ. მერისიდან ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილი, ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვისთავიდან ხუსეინ ხაბაზი, ყემბერ ხაბაზი, ქამილ ჯინჭარაძე, ქობულეთიდან მემედ ჭყონია და ხასან თხილაიშვილი, სოფ. ხუცუბნიდან ხუსეინ ბაჯელიძე, შუახევის რაიონის სოფ. გომარდულიდან რეჯებ მჟავანაძე, სოფ. ჭვანიდან აქიფ, მემედ და თოფია ქათამაძეები, სოფ. დარჩიძეებიდან ბინალ ფუტკარაძე, ხულოს რაიონის სოფ. ნადაბურიდან ედემ (ქოჩახელა) სურმანიძე, ქალი მელექსენი – ხულოს რაიონის სოფ, დიაკონიძეებიდან ელვანა სოლომონიძე, ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვისთავიდან ასიე (კულა) და ნათელა ხაბაზები. ქართულ ფოლკლორში იშვიათი მოვლენაა ცალფა შაირების დიდოსტატი, სახალხო მელექსე შაქირ (ყაჭო) ზოსიძე შუახევის რაიონის სოფ. ჯაბნიძეებიდან, რომელიც მოხეტიალე, სკომოროხულ-ტრუბადურული მელექსის სახეს განასახიერებდა ზოგადად ქართულ (აჭარულ) ხალხურ სიტყვიერებაში.

დასკვნა ერთია: ინდივიდუალური მელექსეობის ტრადიცია აჭარის წარსული სინამდვილის მამშვენებელი განუყოფელი ნაწილია, რაც ამ კუთხის მკვიდრი მოსახლეობის უმდიდრესი ზეპირხალხური სიტყვიერი კულტურისა და მაღალი სულიერ-ზნეობრივი უძველესი ქართული კრედოს ნათელი გამონაშუქია.

იმისათვის, რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ყოველივე ზემოთქმულზე, ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე შემოქმედის მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს მათივე ლექსების ნიმუშებით. ვრცლად მათ შესახებ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს მითითებულ ლიტერატურაში.

ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილი

ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილი დაიბადა 1814 წელს ქედის რაიონის სოფ. მერისში. იგი ქრონოლოგიით ერთ-ერთი პირველი აჭარელი მთქმელთაგანია, რომლის სახელიც დღემდე შემონახულა.

1879 წელს აჭარაში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, პეტრე უმიკაშვილმა. ამ დროს შეხვედრია იგი ბუჰანას, რომელიც მაშინ 65 წლისა ყოფილა. უმიკაშვილს ბუჰანასაგან ჩაუწერია რამდენიმე ლექსი. ბუჰანა შავიშვილს ეკუთვნის „ზამთრის ლექსი", რომელიც სავსეა გლეხკაცის დაკვირვებითა და ცხოვრებისეული სიბრძნით.

პეტრე უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ბუჰანას ლექსები შემდგომ გამოიყენა ზაქარია ჭიჭინაძემ და 1891 წელს დაბეჭდა წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება".

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ბუჰანა შავიშვილის გამოთქმულია „სოლოღას ლექსი", „ბათუმის ლექსი" და სხვანი.

ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილი გარდაიცვალა 1880 თუ 1879 წლის ზამთარში.

სოლადას ლექსი

სოლადა სტამბოლს წავიდა თავის სიმამრის ბარზეა,
რვა დღე და დამე იარა, ჩევდა ხონთქარის კარზეა.
რადაცა ბედმა უსაქმა, ვეზირი დახვდა კარზეა,
სოლადა კოცნის კალთასა, ვეზირი კოცნის თავზეა.
– ჩვენცა ერთი არაბი გვყავს, განთქმული გურჯისტანზეა,
შენ თუ იმას ეჯირითო, თულებ დაგადგამ თავზეა,
ფაშიობას შენ გაჩუქებ იმ ახალციხის კარზეა.
სეისები გამოცვივდნენ: რა გადახდება თავზეა?
– სეისებო, ნუ გეშინიათ, ცხენი მომგვარეთ კარზეა.
უუშვეს და გამეიყვანეს ნაბამი შვიდსა ჯაჭვზეა,
ხუთსა სეისსა უჭირავს, ვერ იმაგრებენ გზაზეა.
გეიარა და გამეიარა იმ ჯირით-მეიდანზეა,
შევარდნულებ შემოკივლა, ხონთქარი დასძრა ტანზეა.
(ტახტზეა)

ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე)

ხუსეინ სულეიმანის ძე ხაბაზი (ქამჯარაძე) ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვისთავში. როგორც ირკვევა, ხუსეინ ხაბაზს პირადად იცნობდა ზ.ჭიჭინაძე და მისგან ზეპირსიტყვიერი მასალები ჩაუწერია. მაშინ ხუსეინი სამოცდაათს მიტანებული მოხუცი ყოფილა. კარგად სცოდნია ქართული და აჭყვისთავში მას ერთს შესძლებია ქართული (დედაბრული) წერა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობებზე დაყრდნობით, ხუსეინი უნდა დაბადებულიყო 1818 წელს.

ხუსეინის მამა სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილთან, აბდულ და ახმედ ხიმშიაშვილებთან დაახლოებული პირი ყოფილა. ცხადია, ამგვარ წრეში გაზრდილ ხუსეინს სწავლა-განათლების მიღება არ გაუჭირდებოდა, რამაც შემდგომ განსაზღვრა მისი პოეტური ნიჭის განვითარებაც.

ხუსეინი თურქთა ბატონობის მოწინააღმდეგე და შეურიგებელი მეამბოხე იყო. ათი თუ ოცი წელიწადი დიარბექირსა და ქურთისტანს ყაჩაღობაში გაუტარებია. რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს გამოხსნის შემდეგ ხუსეინი მშობლიურ სოფელში დაბრუნებულა და სიცოცხლის ბოლომდე მყუდროდ უცხოვრია თავის ცოლ-შვილთან ერთად.

ხუსეინი მეტად სიტყვამოსწრებული მოშაირე იყო. იმპროვიზაციის ნიჭით იმდროისათვის აღიარებულ ხალხურ მელექსეს – ატატო გურიელსაც არ ჩამოუარდებოდა და მასთან პოეტურ პაექრობაშიც ებმებოდა. საინტერესოა აგრეთვე მის მიერ ლევან გურიელის გალექსება.

ხუსეინი პოეტურ სიტყვას ადვილად იმორჩილებდა. საკმარისი იყო მცირე რამ მიზეზი და მაშინვე კაცს სალექსოდ აქცევდა თურმე.

ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე) გარდაიცვალა 1892 წელს სოფელ აჭყვისთავში, დაკრძალულია იქვე.

ლექსი სიბერეზე

სირეგვნეს სიბრძნე მოჰყვება, როგორც რომა ძველი ჭინჭი,
ერთი დროი მეც ქე მქონდა, გიახელი კარგი ბიჭი.
ფირალობას ვამტკიცებდი და ვიცოდი საქმე მახე.
ორმოცი რომ გავიარე, შემეშალა პირზე სახე,
ორმოცდაათში შეველი, მაშინ ქე ამტკივდა თავი,
ჯამეზე მისვლა მინდოდა, ყველამ დამიყლიპა თვალი.
ზნეობა რომ შემეშალა, მგონი შინ აპირობს ქალი.
ვაჟკაცობა გამიარა, ეხლა დავრჩი ბებერია,
შნო და ლაზათი აღარ მაქვს, ჯავრმა უფრო მომერია.
მხეცები სახლზე დამეცა, აჭარლების ბეგიები,
მათთან უკაცრავად დავრჩი, მაღლა ვჯეკნე ქედიები.
ქაღალდი რომ ვერ ვიშოვე, წიგნი დავსწერე ფურცელზე,
მე თქვენ ხომ არ ჩაგბარდებით, თუ გინდა გასკდეთ
მუცელზე,
ფირალი ტყეში გახლავარ, ბორიოს ვიქრი ეწერზე.

ედემ სურმანიძე (ქოჩახელა)

ედემ მემედის ძე სურმანიძე (ქოჩახელა) დაიბადა 1874 წელს სოფ. ნადაბურში (ხულოს რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. ქოჩახელას მამა ლხინის მოყვარული და მეტად ხუმარა კაცი ყოფილა. თავისი მოარული ცხოვრებისა და ოხუნჯობის გამო ბეგებმა მემედს „ქოჩახელა" შეარქვეს, რაც შემდეგ შვილის მეტსახელადაც იქცა.

ედემ (ქოჩახელა) სურმანიძე ჯერ კიდევ პატარაობისას დაუახლოვდა ცნობილ ხიხაძირელ მეჭიბონეებს – ხულუს აბაშიძესა და საფო ხალვაშს, რომლებმაც მას ჯერ ჭიბონის დაკვრა, ხოლო შემდეგ ამ მუსიკალური ინსტრუმენტის დამზადებაც ასწავლეს. მალე ედემს თავისი ადრინდელი საქმიანობისათვის – მწყემსობისათვის თავი დაუნებებია და ხელობად მეჭიბონობა აურჩევია. მას ზეპირად სცოდნია ხალხური ლექსი და შაირი, რომელსაც მომხიბლავად ამღერებდა კიდეც. ედემი თვითონაც თხზავდა ლექსებს და ლამაზ შაირებს და თვითონვე ურჩევდა მელოდიას. ასე, თანდათან იგი ცნობილ მუსიკალურ შემსრულებლად და მელექსედ ჩამოყალიბდა.

ცხოვრებისეული სიბრძნითა და პროფესიული ოსტატობით ამაღლებულმა სახალხო ხელოვანმა მალე სოფლის ეზოებიდან თეატრების სცენებზე გადაინაცვლა. 1934 წელს ამიერკავკასიის ხალხთა პირველ ოლიმპიადაზე ხიხაძირის თვითმოქმედ გუნდთან ერთად, რომელსაც ცნობილი სახალხო მოცეკვავე – 80 წლის ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობდა, ფართო მაყურებელმა „ქოჩახელას" ოსტატობაც იხილა. 1937 წელს იგი მონაწილეობდა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა.

„ქოჩახელას” დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა შემსრულებელთა აღზრდა-დაოსტატების საქმეში. ხალხური ხელოვნების ასპარეზზე მოპოვებული წარმატებებისათვის იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ქოჩახელა გარდაიცვალა 1956 წელს, 95 წლის ასაკში. იგი დაკრძალულია ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში.

ერთი ლექსი მოგახსენო...

ერთი ლექსი მოგახსენო
მაღალ ახალ ზეგნიდანა.
გამჩენელო, შემიბრალე,
უნდა მოვკვდე დერდიდანა.
ვერცერთი დოხტური მარჩენს
ვერაფერი წამლიდანა.
შიგნით გულში დაწული ვარ
ამ ლამაზი სევდიდანა.
ქაღალდივით თეთრი შუბლი
მიანათებს წინდანა,
იმას ქვეიდან შავი თვალი
გაჩენილი ღმერთიდანა.
ზედ ნამწნები დაეყარა,
ოქრო იყო სირმიდანა.
იმის ქვეიდან თეთრი ლოყა
გადაშლილი ვარდიდანა.
ეს ქვეყანა რაღათ მინდა,
ერთი ვუკბენდე ზედანა...

ხუსეინ ბეჟანიძე

ხუსეინ ბეჟანიძე დაიბადა 1823 წელს. იგი დიდგვაროვან აჭარელ მემამულეთა შთამომავალი იყო.

ხუსეინს ბედმა არგუნა ოსმალოს ჯარის რიგითი ასკერიც ყოფილიყო და შემდგომ, როგორც მისი ერთერთი მეთაურთაგანი, ციხისძირში დაბანაკებულ თურქთა სამსახურშიც მდგარიყო. მაგრამ ეს მხოლოდ დამპყრობთა მიმართ მისი მოჩვენებითი ერთგულება იყო. სინამდვილეში, ხუსეინ ბეჟანიძე, სამშობლოს ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, დედასაქართველოს და მისი ტანჯული კუთხის – აჭარის გათავისუფლების ფიქრში ათენ-აღამებდა. საამისოდ კი თავის სამსახურსაც მოხერხებულად იყენებდა, მაგრამ მისი სახელის უკვდავყოფა მაინც დაკავშირებულია ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, მის საგმირო-საისტორიო სიტყვიერებაში გახმაურებულ პატარა ლექსთან „ათასი კაბა ყმა მყავდა...”; ლექსი თამარ

მეფისადმია მიძღვნილი, ერთ-ერთი უნიკალურია მთელ ქართულ ხალხურ პოეზიის საგანძურში და შეტანილია ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან გამოცემაში. იგი ჩაწერილია 1879 წელს პეტრე უმიკაშვილის მიერ და გამოქვეყნებულია გაზეთ "დროებაში".

სწორი უნდა იყოს გამოთქმული აზრი, რომ ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა" ხუსეინ ბეჟანიძის მიერ უნდა შექმნილიყო მაშინ, როცა სამუჰაჯიროდ აყრილი და სინამდვილისაგან გულგატეხილი თანამემამულეების დაშოშმინება-გამაგრებას ცდილობდა მისი ავტორი და საამისოდ, როგორც ჩვეულებრივ ხდება, წარსულის საგმირო ფაქტებს გამოიხმობდა ხოლმე.

ხუსეინ ბეჟანიძე 1883 წელს გარდაიცვალა. გაზეთი „დროება" ასეთი სიტყვებით გამოემშვიდობა დიდ პატრიოტს: „ვერარა სიტყვა ვერ გამოთქვამს შენს ღვაწლს, კეთილო კაცო ხუსეინ-ბეგ, რაც საშვილიშვილოდ, საუკუნოდ მოსახსენებელი, საქართველოს საისტორიოდ საღაღადებელი, ქართველთა ქვეყნისათვის ძვირფასი საქმე მოიმოქმედე – ასიათასი შვილი გადაურჩინე დედა-ქვეყანასა. იყავ უკვდავად, მაგალითად ჩვენის შთამომავლობისათვის. იყავ საუკუნოდ ხსენებული შენ პატიოსანო, ერთგულო შვილო შენის ქვეყნისაო!".

თამარ დედოფლის ლექსი
(პეტრე უმიკაშვილის ჩანაწერი)

ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შევები ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით მეფენო, ვინც დარჩით ამის იქითა.

* * *

(თედო სახოკიას ჩანაწერი)

ათასი კაბა ყმა მყავდა: ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა.
ვინცა შემება, შევები ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა.

ელვანა სოლომონიძე

ელვანა ახმედის ასული სოლომონიძე დაიბადა ხულოს რაონის სოფ. დიაკონიძეებში 1884 წელს, მთიელი აჭარელი გლეხის ოჯახში.

სოფლელ ქალებს უყვარდათ მოხდენილი, ხმატკბილი და ენამოსწრებული ელვანას „ლექსობა". მეტადრე, მისი „სასეირო შაირები" მოსწონდათ, მაგრამ მისი საყვარელი საქმე უპირველესად მაინც სატრფიალო ლირიკა იყო.

ელვანა ლექსებს საზზე ამღერებდა, უმისოდ უჭირდა კიდეც „სამღერელი ლექსის" წარმოთქმა. სამაგიეროდ, დროისა და სიტუაციის შესაფერისად, სახელდახელოდ, მარჯვედ შეთხზავდა ხოლმე შაირს და, როგორც თვითონ იცოდა

ხოლმე თქმა, ქალებს „გუუქნევდა” (ესროდა).

ელვანა სოლომონიძე ერთ-ერთი იმ აჭარელ ქალთაგანია, რომელმაც დასძლია წარსულის წეს-ჩვეულებით ფეხმოკიდებული ქალის შეზღუდვა-უუფლებობა და სოფლის ფართო სარბიელზე გამოვიდა.

ელვანას 4 შვილი და მრავალი შვილიშვილი დარჩა. მისი ლექსები თავის დროზე სრულად არავის ჩაუწერია. თუმცა, ზეპირსიტყვიერების შემკრებთა ყურადღება ადრე მიუპყრია. ახლა კი თითო-ოროლა და ისიც შაირები თუ ახსოვთ შვილიშვილებს.

ელვანა სოლომონიძე გარდაიცვალა 1978 წელს, დაკრძალულია სოფ. დიაკონიძეებში.

სატრფიალო შაირები

იას, ვარდის კუკულოო,
ახლოს მოდი, გიყუროო.
ია ვსჭარი, ვარდი ვყარე,
შენი მგონემ ვერ გევხარე,
იავ, სულო, ამოსულო.
სამოთხიდან გამოსულო,
იას ვარდი, ვარდი თუ ხარ,
მებრალები, მარტო თუ ხარ.
იას ვარდი, შემიყვარდი,
გულში ნათლად ჩამივარდი.

ხერტლის ნადური

ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, ვოდელია ნანა*
ქალი *– ვაი ნანი და ნანა, ჩემ სახლზეიდან ეწრი ფაცხა,*
ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, ნეტავ ვიყო შენი რაცხა.*
ქალი *– ვაი ნანი და ნანა, ღობეს გადუკიდე ჩათხი,*
ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, გულში დამარჩინე ხათრი.*
ქალი *– ვაი ნანი და ნანა, ცას მიწიწინებს მიმინო.*
ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, შენ წახვალ როგორ ვიძინო.*
ქალი *– ვაი ნანი და ნანა, ძიგლიგ გასწი გოგრებიო,*
ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, გაღმა სოფლის გოგვებიო,*
ქალი *– ვაი ნანი და ნანა, აწონილი ერთი ნუკი,*
ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, მაკოცნიე თეთრი ბუკი,*
ქალი *– ვაი ნანი და ნანა, ხერტალმა ხელი დამგალა,*
ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, ხერტალგასაგეხელიო,*
ქალი *– ვაი ნანი და ნანა, მამაჩემი არ მათხოვებს,*
ვაჟი *– ვაი ნანი და ნანა, კისერმოსაგეხელიო.*

შაქირ ზოსიძე (ყაჭო)

შაქირ ზოსიძე (მეტსახელად „ყაჭო”) დაიბადა 1893 წელს და ცხოვრობდა სოფელ ჯაბნიძეებში, გორას უბანში (შუახევის რაიონი). წარმოშობით ღარიბი გლეხის ოჯახიდან იყო

და ოჯახს მისთვის მწყემსობა დაუვალებია. მწყემსობაში გაიშალა და ჩამოყალიბდა ყმაწვილი ბიჭის პოეტური ნიჭი.

შაქირ ზოსიძეს აჭარის ცნობილ მელექსე-მოშაირეთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს, რაც მისი თავისებური პოეტური რეპერტუარითაა განპირობებული: იგი მხოლოდ აჭარული ცალფა შაირების მთხზველი და შემსრულებელი იყო. უმეტესად სატრფიალო ხასიათის შაირებს თხზავდა. მხიარულ, ლაღ შაირებს ეტრფოდა, ხანდაზმულობის დროს თავსაც ამით ირჩენდა. ჯოხით ხელში დადიოდა სოფელ-სოფელ, ეზოეზო და დაუზარებლად მღეროდა შაირებს. საკრავ ინსტრუმენტს საერთოდ არ ხმარობდა. როცა მღეროდა, მთელი არსებით მუსიკაში, რიტმში იყო ჩაფლული. სიმღერას აყოლებდა ხელებს, მხრებს, მუხლებს, ფეხებს, ტოკავდა მთელი სხეულით. სახის მიმიკა და გარდასახვა ხომ ნამდვილი მსახიობისა ჰქონდა.

შაქირ ზოსიძე ბოლო ხანებში მოშაირეობას თავის ერთადერთ პროფესიად თვლიდა, ამიტომ შეძლეულ გასამრჯელოზე უარს არ ამბობდა, მაგრამ მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის „საქმეს", ცა რომ ჩამონგრეულიყო, გადახდილი თანხის შესაბამის სათქმელს სტრიქონს არ მოაკლებდა, მსმენელს „კუთვნილს არ გაუქცევდა".

დღევანდელი ცალფა შაირები, ასე უხვად რომ არის გაბნეული აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში, უმეტესად სწორედ შაქირის რეპერტუარს შეადგენდა. მათი დიდი ნაწილის ავტორი თავად შაქირი იყო, ხოლო ნაწილიც ხალხისაგან ჰქონდა გაგონილი და მძივებივით "ამოკრეფილი".

გარდაიცვალა იგი 1968 წელს, დაკრძალულია თავისივე სოფელში.

შაირები

1. ხარბა ღელეს ხარი ვდენე,
ყირმიზი და რქიანიო,
მე რუმ გოგო დავაპირე,
წელმაღალი თმიანიო.

2. გოგოვ, გოგოვ, კისკისაო,
აქ ჩამოდი წყლისპირსაო.
წყალი მასვი კოკითაო,
გამაძღევი კოცნითაო.

3. ერთი ცალი ვაშლი მქონდა,
გადავცვალე ბიაშიო.
რა ლამაზი ციცაი შენ ხარ,
გენაცვალე ყიაშიო.

4. მაღლა სარზე ლალებიო,
ჩამწკრივულან ქალებიო.
ნეტაი ერთი მაცოდინა

რუმელს შევებრალებიო.

5. *მაღლა სერზე ასლა მინდა,*
კვერცხი გულის ატანაო.
ლამაზ გოგოს თხოვნა მინდა,
ყვითელ კაბის მიტანაო.

6. *გოგოვ, შენი წელი წმინდა,*
მომიქსოვე ჭრელი წინდა.
შენი ძიაი ყაინად მინდა,
შენი თავი ცოლად მინდა...

ლაზური ფოლკლორი

ლაზური (ჭანური) ზეპირსიტყვიერი შემოქმედება ქართველ ტომთა ფოლკლორული საუნჯის ორგანული ნაწილია. მისი გავრცელების ძირითად არეს წარმოადგენს ეთნოგრაფიული ლაზეთი, სადაც ლაზები კომპაქტურად ცხოვრობენ და მათი მშობლიური ენაც ლაზურია.

ლაზური ენა უმწერლობოა და, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ამ ენობრივ მასალაზე შეთხზული ყოველი ზეპირი თხზულება ფოლკლორული შემოქმედების კუთვნილებად რჩება.

ლაზები დასავლურ ქართულ (კოლხურ) ტომებს განეკუთვნებიან. ელინისტურ ხანაში ძვ. წ. V-I საუკუნეში ლაზებსა და მათ მონათესავე მეგრელებს ეჭირათ შავი ზღვის სანაპიროს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, ტრაპიზონიდან დაწყებული აფხაზეთამდე. ლაზებს ეჭირათ ჭოროხის ხეობა, მეგრელებს კი – რიონის ხეობა. თავდაპირველად მეგრელები დაწინაურდნენ და საკმაოდ ძლიერი სამეფო შექმნეს, რომელიც კოლხეთის სამეფოდ იწოდებოდა, მაგრამ რომაელების შემოსევის შემდეგ, ძვ. წ. I საუკუნეში, პოლიტიკური მესვეურობა კოლხებიდან ლაზების ხელში გადავიდა, რასაც თან მოჰყვა თვით სახელმწიფოებრივი სახელწოდების შეცვლაც. შეიქმნა ლაზიკის სამეფო, რომელმაც, როგორც მემატიანე თეოფანეს ცნობით ირკვევა, იარსება 689 წლამდე.

XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალებმა მთელი ლაზეთი ხელში ჩაიგდეს და მოწყვიტეს დედასამშობლო საქართველოს. ლაზეთის თითქმის მთლიანი ნაწილი, გარდა საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ საზღვრებში დარჩენილი სოფელ სარფის ნახევრისა, მოქცეულია თურქეთის სახელმწიფოში.

არ. ჩიქობავა მიუთითებს: „თანამედროვე ლაზები თავიანთი მშობლიური ენითა და ეთნოგრაფიული თვითმყოფადობის შეგნებით წარმოადგენენ წარსულში მრავალი, ფართო ტერიტორიისა და მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ეთნიკური მასივის უმნიშვნელო ნაწილს. ლაზური მეტყველება, ეს უძველესი და სამართლიანი მოწამე ლაზთა ისტორიისა, – და ლაზური ფოლკლორი – ეს ფასდაუდებელი საუნჯე ქართულ-მეგრული ფოლკლორისათვის დამახასიათებელი პერსონაჟებით, არქიტექტონიკითა და სტილისტური დეტალებით, ლაზებმა საუკუნეთა მანძილზე გამოატარეს, როგორც თავიანთი თვითმყოფადობის სიმბოლო და დღესაც ცოცხლობს“.

ლაზმა ხალხმა, მიუხედავად ისტორიული ავბედობისა, ფოლკლორული ნაწარმოებების წყალობით, დღემდე შემოგვინახა ენა და კულტურა.

ლაზური ფოლკლორი, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონების ხალხური შემოქმედება, ქართული ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც კარგად ჩანს ლაზი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ყველა ისტორიული თუ სოციალური მოვლენა.

პირველი მკვლევარი, რომელიც ლაზურ ზეპირსიტყვიერებას შეეხო, იყო აკადემიკოსი ნიკო მარი. მან 1910 წელს ლაზეთში ლინგვისტური მიზნით მოგზაურობის შემდეგ, გამოსცა ვრცელი ნაშრომი „თურქეთის ლაზეთში მოგზაურობიდან“. 1911 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონითურთ“. წიგნზე დართული ტექსტები წარმოდგენილია სასაუბრო მასალებისა და რამდენიმე ლექსის სახით.

უცხო ეროვნულ და პოლიტიკურ გარემოცვაში მყოფ ლაზთათვის მუდამ სანუკვარი იყო მოძმე ტომის წამომადგენლებთან შეხვედრა. ლაზეთში ჩასულ ქართველ მკვლევრებს აღფრთოვანებით ხვდებოდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1910 წელს ლაზეთში ნ. მარის ჩასვლასთან დაკავშირებით გამოთქმული ექსპრომტული ლექსი, რომელიც ლაზმა მთქმელმა უძღვნა მარს:

„ხელა დო კაობათენ, სოლე მოგალუ, მარი?
ვა ბძირი სქანისთერი იკირალი, ნოსიარი.
ნა არი იშ ხოჯა რე, ენ დიდი ჰეშო ვარი?
ჭუმანდან ლუმჯიშა-ქის ბითუმ ლაზური ჭარი.
ნამ კირალიშ კოჩი რე? არ ია გამამისვარი
დაღიში კოჩი რეი, ჲოქსე თი-მჩხუ ნოღარი?“

„სიკეთე-სიხარულით, საიდან მოსულხარ, მარი?
ვერვინ ვნახე შენსავით მოაზროვნე, ჭკვიანი,
განსწავლული ხოჯა ხარ დიდი, აგრე არ არის?
ღილიდან საღამომდის მუდამ წერე ლაზური.
რომელი მეფის კაცი ხარ, ზუსტად მითხარ ყოველი,
მთიელი კაცი ხარ, თუ მსხვილთავა ქალაქელი?“

პოეტური ტრადიციის მაღალი დონის მოწმე გახდა პროფესორი იოსებ ყიფშიძე 1917 წელს ლაზეთში მეცნიერულ მივლინებაში ყოფნის დროს.

პატრიოტიზმის ღრმა გრძნობით არის გამსჭვალული ექსპრომტული ლექსი, რომლითაც ი. ყიფშიძეს მიმართეს ლაზებმა:

„გურჯისტანის დიდო რენ არქადაშეფე ჩქინი!
გურჯისტანის რენან-ი ნოსერი ჯუმა ჩქინი?
მჯვეში გურჯიშენ მოხთეს, გიჩქინი, ჯუმა ჩქინი?
ჩქინ გოჭკონდინერი ვორეთ, მჯვეშური ჯუმა ჩქინი!
ლაზი, გურჯი, მეგრელი – თელითი ჯუმა ჩქინი!“

„საქართველოში ბევრია ჩვენი ამხანაგები!
საქართველოში არიან ჩვენი ჭკვიანი ძმები?
ძველ ქართველთა მოდგმა ვართ, თუ იცი, ჩვენო ძმაო?
დავიწყებულულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!
ლაზი, ქართველი, მეგრელი – ჩვენი ძმები ყველანი!“

ლექსში კარგად არის გამოხატული ქართული ეროვნული ერთობის ის საერთო იდეა, რომელიც ქართველმა ტომებმა თავიანთი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოიმუშავეს.

ლაზური ზეპირსიტყვიერების შეკრება-შესწავლის საქმეს ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ. 1929 წელს გამოქვეყნდა მისი „ჭანური ტექსტები“. ამ ტექსტების მეტი ნაწილი ზღაპრები და ანეგდოტებია.

წარუშლელი კვალი დატოვა ლაზური ხალხური სიტყვიერების შესწავლის საქმეში პროფესორმა ს. ჟღენტმა. აფხაზეთში მოსახლე ლაზებისაგან ჩაიწერა მრავალმხრივ საყურადღებო ფოლკლორული მასალა და ცალკე წიგნად გამოსცა 1938 წელს „ჭანური ტექსტები“ (არქაბული კილო-კავი).

ლაზური ზეპირსიტყვიერებისა და ლაზურის ლინგვისტური შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკვლევარ გურამ კარტოზიას მიერ გამოქვეყნებულ კრებულებს (I-II) „ლაზური ტექსტები“. პროზაულ მასალებში გვაქვს ზღაპრები; პოეზიის ნიმუშებში ძირითადი ადგილი სატრფიალო, ლირიკულ ლექსებს უჭირავთ. მოცემულია, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო, სააკვნო და სატირულ-იუმორისტული ლექსები. აქვეა წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის შაირები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოეტური პაექრობის რამდენიმე მოკლე ნიმუში, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს ლაზეთში პოეტური შეჯიბრების მაღალი დონის ტრადიციებს.

ლაზური ფოლკლორული შემოქმედების ძირძველ ტრადიციებსა და მშობლიურ ენას იყო ნაზიარები ლაზი პოეტი და თვითნასწავლი მხატვარი ხასან ჰელიმიში.

ხალხური შემოქმედების უსაზღვრო სიყვარულმა განაპირობა ხასან ჰელიმიშის პოეტური შემოქმედებითი გზა. ხალხური პოეზიის და პროზის, მუსიკალური ფოლკლორის მასალების შეკრებასთან ერთად, იგი ადრეული ასაკიდან თავადაც თხზავდა ლექსებს. მან ლაზური ხალხური პოეზიის ბევრი საინტერესო ნიმუში შემოგვინახა. ამ ნიმუშებს იგი ისე გადმოსცემდა, როგორც ხალხში ჰქონდა გაგონილი. ასეთებია: ნადური სიმღერა „ჰე-ამოს“ ვარიანტი, „ჭუტა ნუსა“ („პატარძალი“), „მაყარეფეშ ბირაფა“ („მაყრული“) და მრავალი სხვა.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში აჭარის მრავალმხრივი ფოლკლორული შემოქმედების შესწავლასთან ერთად დაიწყო ლაზური ფოლკლორის შესწავლაც (1958 წლიდან), რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ აწგანსვენებული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. თანდილავა. მასალებს კრებდა ინდივიდუალურად სოფელ სარფსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ ლაზ მოსახლეობაში. კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში. მისი ავტორობით გამოიცა: „ლაზური ზღაპრები“ – 1970 წ.; „ლაზური ხალხური პოეზია“ – 1972 წ.; „წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი“ – 1999 წ.

ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში დაცულ მასალებში წარმოდგენილია ზეპირსიტყვიერი ფოლ-

კლორული შემოქმედების ყველა ჟანრი: ხალხური პროზის ნიმუშები: ზღაპრები, ისტორიული ხასიათის ლეგენდა-თქმულებები, ანეკდოტები. აქვე წარმოდგენილია მდიდარი ხალხური პოეტური შემოქმედება მრავალფეროვანი თემატიკით: შრომის პოეზია, საწესჩვეულებო, სატრფიალო ხასიათის ლექსები, ხალხური ლირიკული ლექსები და შაირები. ასევე, ანდაზები და გამოცანები.

ლაზური ზღაპრული ეპოსის ძირითად ფონდში ზღაპრების უმრავლესობა ცნობილ სიუჟეტებს წარმოადგენს, რომელთაც თავისი შესატყვისი ვარიანტი მოეძებნებათ ზოგად ქართულ ფოლკლორში, მაგრამ გვხვდება იშვიათი, ნაკლებად ცნობილი სიუჟეტები და მოტივებიც.

ლაზურ ზღაპრებში წარმოჩენილია მისი შემქმნელი ხალხის სიბრძნე და ოპტიმიზმი, გაიდიალებულია ადამიანთა მაღალზნეობრივი თვისებები და დაგმობილია მანკიერებანი.

ზღაპრების პერსონაჟები, ძირითადად, ლაზეთის ყოფასთან დაკავშირებული ტრადიციული წეს-ჩვეულებების, საკუთრივ ეროვნული ხასიათის მატარებელნი არიან.

ისტორიულ გადმოცემათა შორის საინტერესოა თქმულებები თამარ მეფის შესახებ.

ხალხი ყოველთვის რეალურად აფასებს და თავის სულიერ შემოქმედებაში ქება-დიდებას ასხამს იმ სახელოვან შვილებს, ვინც მშობლიური ქვეყნის ინტერესებით არიან შთაგონებულნი. ამიტომაც თამარ მეფის სახელი ლაზთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ დაცულია. იგი გვხვდება ტოპონიმებში, ისტორიულ გადმოცემებსა და ლეგენდა-თქმულებებში.

„თამარ მეფეს ერთხელ დასჭირდა ... ნაშთების (იშხანი, ანჩა, პარხალი, ხახული) შეკეთება. ამიტომ, მას თავიდან ერთი თმა გამოუძვრია, ლაზებისათვის მიუცია, მერე ამ თმის საშუალებით ლაზებს ოქროს ხაზინა თუ მადანი უპოვნიათ და მერე ამით დაუმთავრებიათ ხსენებული ნაშთები“. ზ. ჭიჭინაძის მიერ მოძიებული ამ თქმულების მიხედვით, ლაზები ლაზეთში ხელოსნობის განვითარებას თამარის სახელს უკავშირებდნენ.

ლაზურ ფოლკლორში ფოლკლორულ ჟანრებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანდაზებსა და გამოცანებს.

ძალზე ოსტატურად ჩაუქსოვია ანდაზებში ლაზ ხალხს ის, რასაც კი განუცდევინებია მისთვის სიხარული ან მწუხარება, სასოწარკვეთილება ან აღმაფრენა, იმედი ან უიმედობა. ხალხმა თავისი აზრი და ხანგრძლივი დაკვირვების განზოგადება მოგვცა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა და მეგობრობა, სიბეჯითე და სიზარმაცე, გაუტანლობა და სიცრუე, ერთგულება და პატიოსნება, სამართალი და უსამართლობა, ბოროტება და სიკეთე...

ლაზურ გამოცანებში, ქართულის მსგავსად, დომინირებს საყოველთაოდ ცნობილი საგნები და მოვლენები: ადამიანი, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, ბუნებრივი მოვლენები, ციური სხეულები...

ლაზურ ხალხურ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზიას, რომელიც სამი ციკლისაგან შედგება: საძეობო-სააკვნო, საქორწილო და სამგლოვიარო...

ლაზურმა ფოლკლორმა, მეგრულის მსგავსად, დღემდე შემოინახა შვილის დაბადებასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ჩვეულება. შვილის დაბადება, ოჯახში ახალი წევრის გაჩენა ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში დიდ სიხარულთან და საზეიმო რიტუალთან იყო დაკავშირებული.

ვაჟიშვილის შეძენას სოფელსა და თემს თოფების სროლით ამცნობდა ოჯახი. რძლის მშობლები პირველ შვილიშვილს საჩუქრად აკვანს მიუტანდნენ და ძეობა სუფრით აღინიშნებოდა. მართალია, საძეობო ლექს-სიმღერები ფაქტობრივად ლაზურში არ შემოგვენახა, მაგრამ სააკვნო ლექს-სიმღერები შემოუნახავს ლაზურ ზეპირსიტყვიერებას. ლაზი დედა „ნანი“-ს უმღეროდა აკვანში ჩაწოლილ შვილს. ლაზური „ნანი“ გამოირჩევა თავისი მელოდიურობით. ჩვილი მას განსაკუთრებული მგრძნობიარობით აღიქვამდა და იმავდროულად დედის მშობლიურობის გამოხატულებაც იყო.

ლაზური საქორწილო-საწესჩვეულებო ლექსების ნაწილი უშუალოდ ქორწილის ცერემონიალთან არის დაკავშირებული და მაყრულ ლექს-სიმღერებს განეკუთვნება.

საქორწილო წეს-ჩვეულებათა ციკლიდან ლაზურში დასტურდება საინტერესო ტრადიცია. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროებით ირკვევა, რომ ნიშნობის შემდეგ, ოფიციალურ შეუღლებამდე, მომავალი პატარძალი და სასიძო „ფარულად“ ხვდებოდნენ. სასიძოს მიერ საპატარძლოს ოჯახში ჩუმი ვიზიტები ხუთშაბათს ხდებოდა. დასაწყისში ამას სასიძო მეგობრების დახმარებით ახერხებდა, ხოლო შემდეგ საცოლის ახლობელი ქალებიც ხელს უწყობდნენ, მათ შორის, სასიდედროც. ქალები ოჯახის მამაკაცებს უმალავდნენ სიძის ჩუმ შეხვედრას მომავალ პატარძალთან. ამ წესს იწოდებოდა „სიჯალიკობა“. „სიჯალიკობის“ დროს სასიძოს პატივისცემით ეპყრობოდნენ. პატარძლის ახლობელ ქალებს სასიძოსათვის მუდამ მზად ჰქონდათ სხვადასხვა სახის ტკბილეული.

სიძის ფარული ვიზიტები პატარძლის მამისეულ ოჯახში ლაზურმა ხალხურმა ფოლკლორმა ასე ასახა:

„ამსეი უქესეი
სიჯალეფეში სეი,
ბაშქა სეის ვა მეხთა
თის გექჩაფან ქესეი. “
“დღეს არის ხუთშაბათი
სიძეების ღამეა,
სხვა საღამოს არ მოხვიდეთ,
თავში ჩაგარტყამენ ეროს.”

სამგლოვიარო წეს-ჩვეულებათა შორის ფოლკლორული თვალსაზრისით ლაზურში ყურადღებას იქცევს მიცვალებულთა დატირება, რომელსაც სამგლოვიარო მელოდიასთან ერთად ხშირად სიტყვიერი მასალაც ახლავს. სამგლოვიარო საფუძველზე შექმნილი ლაზური სიტყვიერი მასალა საინტერესოა, როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრული თვალსაზრისითაც. მოტირალი თავის სიტყვებს პოეტურ ტრადიციებზე აგებს და ლექსის სახეს აძლევს.

მიცვალებულის „სულთან საუბრის“ დროს ლაზი მოტირალი იხსენებს წინაპრებსაც. სწამს, რომ საიქიოს მყოფი ყოველი ახლობლის სული გლოვის დროს მიცვალებულის ოჯახში იმყოფება.

შრომის პოეზია, როგორც ცნობილია, მჭიდრო კავშირშია კაცობრიობის განვითარების უძველეს საფეხურებთან. რამდენადაც ძველია ადამიანთა საზოგადოებაში შრომის ჩვევების საწყისები, იმდენად ძველია შრომის ლექსები და სიმღერები. შრომის პოეზიის წარმოშობა და განვითარება სამეურნეო მოქმედებასთან არის დაკავშირებული.

ლაზეთში მეურნეობის დარგებიდან აქ ძველთაგანვე განვითარებულია მიწათმოქმედება, ნაოსნობა და მეთევზეობა, ხელოსნობა, მეფუტკრეობა, მესაქონლეობა და მონადირეობა. მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მონადირეობისა და ხელოსნობის დარგებთან დაკავშირებული პოეზიის ნიმუშები სულ რამდენიმე მცირე ზომის ლექსს ითვლის. სამაგიეროდ კარგად არის წარმოდგენილი ყანური და სანაოსნო-სათევზაო შრომის ლექს-სიმღერები, რომლებიც მრავალფეროვანი თემატიკითა და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან უბანს ქმნის ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში.

ნადური შრომა ლაზურში თითქმის ყოველგვარ მძიმე მუშაობასთან არის დაკავშირებული. უძველეს შრომის სიმღერებს განეკუთვნება ხალხური სიმღერები „ჰე-ამო“ ანუ „ჰე-მო“ და „ჰე-ანა“, რომელსაც ლაზები ყანაში ნადური შრომის დროს მღერიან.

ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში მეთევზე-მეზღვაურთა შრომის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები მეტწილად პოეზიის სახით არის წარმოდგენილი და ხაზგასმითაა ნაჩვენები სათევზაო-სანაოსნო საქმისადმი ლაზთა დიდი ინტერესი:

„ბწინწათ ხოლო ხალადი,
ტარონი ვარ რენ პატი,
გოვუღათ პარაპათი,
გური მავან რახატი.”

„მოვწიოთ კვლავ ხალადი (მსხვილი თოკი)
კარგი ამინდი დგება,
ჩავყაროთ პარაპათი (დიდი ბადე),
გული დაგვიმშვიდდება.”

სერიოზულ ინტერესს ქმნის სიმღერა „ჰელესა“, რომელიც პოპულარულია მთელ ლაზეთში და იმღერება, როგორც ზღვიდან ნავის ღუზის თუ ბადის ამოთრევისას, ისე ხმელეთზე ტვირთის გატანის დროს და ქორწილშიც.

მეფუტკრეობას ლაზეთში თავისი მნიშვნელობა ბოლო დრომდე არ დაუკარგავს და ამიტომაც მეფუტკრეობას ლაზურ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაშიც უპოვია ასახვა. ნიკო მარს ლაზეთში ჩაუწერია საყურადღებო ლექსი, რომელშიც მხატვრულ ფორმებში კარგად არის გადმოცემული ფუტკრის „შრომა“ და მისგან ადამიანის სარგებლობა. ლექსი ლაზური ხალხური პოეტური შემოქმედების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

„ბუტკუჯიქ თოფური იქუმს, მური წკარი მოიღამს,
ბუტკუჯი უბეჯღა-ში მური თი ქოდოლიღამს.
ისინა მოთ მეოჭუმთ, ჲელიქ დადა მოიღამს,
ჩიჩეღი დოკორობუმს, წიფრის დუდის ქეიღამს,
გუერდი მუშიშენი დო გუერდი მა ოკომიღამს...”

„ფუტკარი თაფლს აკეთებს, მამალი ფუტკარი წყალს ზიდავს,
ფუტკარი თუ გაუწყრა, მამალი თავს დაღუნავს,
ტყეებს ნუღარ გადაწვავთ, იელი ყვავილს მოიტანს,
ფუტკარი მოაგროვებს, წიფლის წვერზე აიტანს,
ნახევარს მისთვის ტოვებს, ნახევარს მე გამატანს...”

სატრფიალო ლექსები იქმნებოდა, ძირითადად, კოლექტიური შრომის პროცესში. კოლექტიური შრომის საზეიმო განწყობილებას განსაკუთრებული ელფერი ეძლევა შესვენების პერიოდში. ამ დროს ადგილი ჰქონდა ქალ-ვაჟის გაშაირებას, სატრფიალო ლექს-სიმღერების ექსპრომტულ თქმას.

ლაზებს განსაკუთრებით უყვართ შაირსიტყვაობა. აკადემიკოს ნ. მარის თქმით, ლექსაობა განსაკუთრებით ქალებს ეხერხებათ და ლაზი ქალებიდან საუკეთესო პოეტები გამოდიან. შაირი იმართებოდა როგორც ქალიშვილებს შორის, ასევე ვაჟებს შორისაც. ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, სატრფიალო გაბაასება-გაშაირებას ქალ-ვაჟს შორის.

საყოფაცხოვრებო ლექსებში, ძირითადად, ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ნიმუშები გვხვდება, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ წეს-ჩვეულებებთან.

ლაზური ფოლკლორი არც უცხოელ ქართველოლოგებს დარჩენიათ ყურადღების გარეშე. ამ მხრივ საინტერესოა ფრანგი ქართველოლოგის ჟ. დიუმეზილის მიერ პარიზში 1937 წელს გამოცემული „ჭანური ტექსტები.“ მასში შეტანილია ათი ზღაპარი. 1967 წელს დიუმეზილმა კვლავ გამოაქვეყნა ლაზური ფოლკლორული მასალები ფრანგული თარგმანითა და კომენტარებით. მასში წარმოდგენილია, ძირითადად, ზღაპრები და ანეკდოტები. ეს ტექსტები დიდ ყურადღებას იმსახურებენ ფოლკლორული თვალსაზრისით და გარკვეული წვლილი შეაქვთ ლაზური ზეპირსიტყვიერების შესწავლაში.

ხუთი საუკუნეა, რაც ლაზეთი უცხო ტომთა გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ლაზურმა ზეპირსიტყვიერებამ, ლაზური მეტყველების მსგავსად, დაიცვა თვითმყოფადობა და დღემდე თითქმის წმინდად შემოინახა ლაზური ხალხური მრავალსაუკუნოვანი ნააზრევი და მისი ტრადიციები.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. აჭარის ხალხური პოეზია (ნაზი ნოდაიდელის რედაქციით), ბათუმი, 1959.
2. აჭარის ხალხური პოეზია (შემდგენლები: ა. ახვლედიანი, ე. ზოიძე, ზ. თანდილავა, ა. ინაიშვილი, ა. მსხალაძე, ჯ. ნოდაიდელი, ნ. ცქიტიშვილი), I, თბილისი, 1969.
3. ახვლედიანი ა., აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970.
4. დავითაძე ე., აჭარული ფოლკლორი (შაირები), თბილისი, 1978.
5. დავითაძე ე., ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო, ბათუმი, 1979.
6. დავითაძე ე., აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგია, ბათუმი, 1993.
7. ვანილიში მ., ა. თანდილავა, ლაზეთი, თბილისი, 1964.
8. თანდილავა ზ., ლაზური ხალხური პოეზია, ბათ., 1972.
9. თანდილავა ზ., ლაზური ზღაპრები, თბილისი, 1970.
10. მსხალაძე ა., აჭარის საოჯახო საწეწვეულებო პოეზია, თბილისი, 1969.
11. ნიჟარაძე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
12. ნოდაიდელი ნ., აჭარის ზეპირსიტყვიერება, ბათუმი, 1959.
13. ნოდაიდელი ჯ., აჭარის ხალხური სიტყვიერება, II, ბათუმი, 1940.
14. ნოდაიდელი ჯ., აჭარის ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები, თბილისი, 1967.
15. ნოდაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, ბათუმი, 1971.
16. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
17. უმიკაშვილი პ., ოსმალოს საქართველო, გაზ. "ივერია", 1887, №8.
18. ქართული ანდაზები და გამოცანები, ბათუმი, 1976.
19. ქართული (აჭარული) ზღაპრები, ბათუმი, 1973.
20. ქართული ხალხური პოეზია, 12 ტომი, თბილისი, 1972-80.
21. ჭიჭინაძე ზ., ლაზისტანი, თბილისი, 1927.
22. ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.
23. ხალხური სიბრძნე, 5 ტომი, თბილისი, 1963-65.
24. ჯღარკავა მ., კოლხური (მეგრულ-ლაზური) სააკვნო ლექს-სიმღერები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათუმი, 2002.
25. ჰელიმიში ხ., ლექსები, ბირაფაბე, ბათუმი, 2005.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის

1. რა მნიშვნელობა აქვს მხარის ტურიზმის განვითარებაში ფოლკლორული მონაცემების ჩართვას?
2. როგორ დაახასიათებთ აჭარული და ლაზური ფოლკლორის თავისებურებებს საქართველოს ამ ძირძველი კუთხის წარსულის გათვალისწინებით?
3. როგორ და როდის დაიწყო აჭარული და ლაზური ზეპირსიტყვიერების შესწავლა?
4. რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ XIX საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეები ფოკლორული მასალის მოპოვებას აჭარაში?
5. რა ადგილი უჭირავს ხალხურ მელექსეობას აჭარის ფოლკლორში?
6. რომელი ხალხური მელექსეების შემოქმედებას იცნობთ აჭარული ფოლკლორიდან. გვესაუბრეთ ერთ-ერთზე.

თავი IX – განათლება და მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება

განათლება

აჭარა, ისტორიული ზემო ქართლის მნიშვნელოვანი მხარე, საუკუნეთა განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ერის კულტურისა და განათლების ფორმირებაში. ამაზე მეტყველებს დღემდე შემონახული უძველესი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები და წინაპართა ნაანდერძევი ხალხური ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები. აჭარა, ზემო ქართლში შემავალ სხვა მხარეებთან (სამცხე-ჯავახეთი, ტაო-კლარჯეთი) ერთად, ოდითგანვე წარმოადგენდა ქართული კულტურის, განათლების აკვანს. სამართლიანად აღნიშნავდა დიდი ილია ჭავჭავაძე: „უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი, ჩვენნი ისტორიული ზემო ქართლის შვილები იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს ცხოვრებას იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღყვავებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს“.

ქართველი ერის ისტორიული სამშობლოს ამ ნაწილმა საუკუნეთა სანახებიდან თავისი მხრებით ამოზიდა ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული, რომელზედაც აღმოცენდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა. ტაო-კლარჯეთის ძლიერ საერისთავოში, რომელშიც აჭარაც შედიოდა, კულტურისა და განათლების თვალსაჩინო კერები ფუძნდებოდა და საქართველოს გაერთიანების ძალები იკრიბებოდა. დიდი ექვთიმე თაყაიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „უძველესი ტყავის ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ და რომელნიც გადაწერილნი არიან საქართველოს ყოფილ საზღვრებში და არა უცხოეთში (სინას მთაზე, პალესტინაში, ათონზე და სხვა), ყველა ეკუთვნის ტაო-კლარჯეთის მონასტრებს... უძველესი ქართული მწერლობის ძეგლები მხოლოდ ტაო-კლარჯეთმა შემოგვინახა“.

ისტორიის ბედუკუღმართობამ, ჟამთა ცვლის ქარტეხილებმა, აჭარის ბევრი საგანმანათლებლო ცენტრის კვალი წაშალა. ზოგიერთი ნანგრევების სახით შემოგვრჩა მხოლოდ. მათ შორის აღსანიშნავია ხიხანის, თხილვანის, კალოთის, ვერნების, ჯვართანის, ხინოს, თეთროსანის... ტაძრები, საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსები. ზოგიერთის ხსოვნა კი მხოლოდ გეოგრაფიულმა სახელებმა შემოგვინახა, როგორიცაა: **ნამონასტრევი, თავანგელო, ჯვარიქედი, საყდარი, გამონათლევი... სხალთის საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსი** კი ბედნიერი გამონაკლისია. XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე აშენებულმა ტაძარმა, ერთ-ერთმა საგანმანათლებლო კერამ, ჩვენამდე სრულყოფილად მოაღწია.

აჭარა, ზემო ქართლის მხარეებს შორის განათლების მხრივ დაწინაურებული, გამორჩეული კუთხე რომ იყო, ამაზე ბევრი რამ მიგვანიშნებს. მათ შორის უპირველესად აღსანიშნავია ტბელ აბუსერისძის შემოქმედება. სხალთა-ხიხანის ხეობის სათავეში მდებარე **ხიხანის ციხე-ქალაქის საგანმანათლებლო კერა** იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში გამოუზრდია დიდი სასულიერო მოღვაწე, მწერალი, სახელოვანი მეცნიერი **აბუსერისძე ტბელი**. მისი ასტრონომიული ტრაქტატი – „ქო-

რონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“, რომელიც 1233 წლისთვის უკვე დასრულებული იყო, წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებას.

ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, მრავალმხრივმა საზოგადო მოღვაწემ, ფრანგმა მარი ბროსემ ამ ნაწარმოების გაცნობის შემდეგ შენიშნა: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა საეკლესიო კალენდრის შესწორებასო“.

აჭარის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში შექმნილი მწიგნობრული საქმიანობა თითქმის მთლიანად შთანთქა, გაანადგურა ჟამთა ცვლის ქარტეხილებმა. ძველი ქრისტიანული კულტურის ნიმუშად შემოგვრჩა მხოლოდ რამდენიმე: **აბუსერისძე ტბელის შემოქმედება, ლაკლაკიძეების ჭედური ხატი, ეპიგრაფიკული ძეგლები – თხილვანისა და ვერნების ეკლესიების ქვებზე ამოჩუქურთმებული ასომთავრული, აჭარაში შემონახული ხალხური შემოქმედება და აჭარის სულიერების ბალავარი და გვირგვინი – სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია,** რომელიც სხალთის ეპარქიის საეპისკოპოსო ტაძარია.



განსაკუთრებით აღსანიშნავია მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო **„ტბეთის სულთა მატიანე“**. ეს ძვირფასი წერილობითი ძეგლი XII-XVII საუკუნეებში იწერებოდა შავშეთის მხარის დიდებულ ტბეთის ტაძარში. იგი სულთა მოსახსენებელი კრებულია; მასში უკვდავყოფილია იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე გარკვეული სამსახური გაუწიეს ტბეთის სამონასტრო კომპლექს – ტბეთის ეკლესია-მონასტერს.

საუკუნეთა მანძილზე ტბეთის ეპარქიაში – საეპისკოპოსოში, საკუთრივ შავშეთის თემის, შავშეთ-იმერხევის გარდა, ირიცხებოდა მაჭახლის (ძვ. მიჭიხიანის) მხარე და ზემო აჭარა სოფელ დანდალომდე. დანდალოს ქვემოთ-ქვემო აჭარა შედიოდა ქუთათლის სამწყსოში. ამიტომ „ტბეთის სულთა მატიანე“ მოგვითხრობს ზემო აჭარისა და მაჭახლის ხეობის მცხოვრებთა შესახებაც.

ლაკლაკიძეების ჭედური ხატი XI-XII საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების სანიმუშო ძეგლია. იგი მოოქრული ვერცხლის ხატია. ლაკლაკიძეთა ოჯახის დაკვეთით შესრულებულია ზარზმის მონასტრისათვის.

ტბელ აბუსერისძის სამშობლოში კულტურისა და განათლების კერები ჰყვაოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიული ქარტეხილების ბობოქრობას შეეწირა ეს კერებიცა და აქ

შექმნილი წერილობითი ძეგლებიც. მიუხედავად ამისა, ძველ ისტორიულ წყაროებს აქა-იქ მაინც შემორჩა აჭარელი მწიგნობრების სახელები. მათგან აღსანიშნავია: მწერალი **ნიკოლოზ კომსიძე, გრიგოლ აკრიელი** და **სვიმონ ეფრატელი** მაჭახლის ხეობიდან, ვინმე **მერისელი, ლომსიანიძე** და **მარკოზ აჭარელი...**

მარკოზ აჭარელი მოღვაწეობდა XVI საუკუნის პირველ ნახევარში დავით გარეჯის მონასტერში. იგი იყო აქ ჩამოყალიბებული ლიტერატურული სკოლის სახელოვანი წარმომადგენელი. ისტორიული წყაროების თანახმად, მარკოზ აჭარელი 1639 წელს მეფე თეიმურაზ პირველს გარეჯის უდაბნოში წინამძღვრად დაუნიშნავს. ამ დროს იგი უკვე ცნობილი მოღვაწე ყოფილა. მის მიერ გადაწერილ ერთ-ერთ ხელნაწერზე შემონახული ანდერძი გვამცნობს მწერლის ვინაობას: „დავწერე ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი მე ფრიად ცოდვილმან, სახით ოდენ მღვდელმონაზონმან, საქმისა ყოვლისა კეთილისაგან უცხომან **აჭარელმან მარკოზ...** მორჩილება აღვასრულე მეუფისა და უფლისა ჩვენისა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ელისესი“. XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უმოღვაწია პოეტსა და მწერალს **პეტრე ჩხატარაისძეს**. პლატონ იოსელიანის ცნობით, იგი ქობულეთში დაბადებულა, ტრაპეზუნტში მიუღია სასულიერო განათლება და იქვე აღკვეცილა ბერად. მას შეუსწავლია სახვითი ხელოვნებაც, კარგად ცოდნია საერო მწერლობა. ანტონ კათალიკოსი მას „მესტვირესა და მეშაირეს“ უწოდებს. მას ეკუთვნის ლექსები და შაირები, „ალექსანდრიანის“ გალექსილი ვარიანტი, „გიორგი გურიელის ჩახრუხაული ხოტბა“, „ქრისტიანობა ქობულეთსა და კერძოსა შინა“ და სხვა.

ამგვარად, ოსმალთა მფლობელობაში მოქცევამდე აჭარა აქტიურად მონაწილეობდა ერთიანი ქართული კულტურის შექმნასა და განვითარებაში. მართალია, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბევრი რამ განადგურდა, დაიკარგა, გასხვისდა, მაგრამ რაც გადარჩა, ფასდაუდებელია ქართული კულტურის ისტორიაში.

* * *

1578 წლიდან ზემო ქართლის ძირძველი ქართული მიწა მოექცა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში. ეს ბედი გაიზიარა აჭარამაც. სამეფო-სამთავროებად დაყოფილმა საქართვე-

ლომ ვეღარ შეძლო ქვეყნის განაპირა მხარეების დაცვა. შინაურმა აშლილობამ და გარეშე მტრების შემოსევებმა იმსხვერპლა საქართველოს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო. ირანისა და ოსმალეთის ძლიერმა სახელმწიფოებმა, 1555 წლის ამასიის ხელშეკრულების თანახმად, ფაქტიურად საქართველოს მხარეები გაინაწილეს. აღმოსავლეთი საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი კი ოსმალეთს.

საქართველოს განაპირა მხარეები – მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი ვეღარ გაუმკლავდა ოსმალეთის განუწყვეტელ შემოტევებს და იძულებული შეიქმნა მტერს დანებებოდა. დროთა განმავლობაში თანდათან მოიშალა ქრისტიანული კულტურისა და განათლების კერები – სახელგანთქმული ეკლესია-მონასტრები: **თეთროსანის, ხინოს, ხიხანის, ვერნების, სხალთის, თხილვანის, კალოთის, ჯვართნის, ნამონასტრევის, გამონათლევის** საგანმანათლებლო ცენტრები.

აქაური მოსახლეობის მოწინავე ნაწილი, ძველთაგანვე ცნობილი „მესხი სწავლითა ქებული“, დაუკავშირდა აღმოსავლური კულტურის სამყაროს. იგი ისწრაფოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში გამორჩეული საგანმანათლებლო ცენტრებისაკენ, როგორიც იყო: სტამბოლის, ბაღდადის, დამასკოს, კაიროს, კონიის, ბურსის, კაისერის საუნივერსიტეტო დონის სასწავლებლები. აქ, სასულიერო საგნებთან ერთად, ისწავლებოდა სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინები: ანატომია, ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ასტრონომია, მედიცინა, ისტორია, გრამატიკა, ფილოსოფია, სამართალი, ლიტერატურა, სამხედრო ხელოვნება, საჯარო მოხელის ეთიკა და ა.შ. სწორედ ასეთ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს მიაშურეს შეძლებული ოჯახების ახალგაზრდებმა.

სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული აჭარის მოსახლეობა ყოველმხრივ ცდილობდა დედაენის შენარჩუნებას, ქართულ ენაზე წერა-კითხვის ცოდნის გავრცელება-შენახვას. ამ საქმეში ფასდაუდებელი ამაგი გასწიეს ქართველმა ქალებმა, სამშობლოს ერთგულმა დედებმა. ისინი თავიანთ შვილებს აკვანშივე ჰკვებავდნენ არა მარტო დედის რძით, არამედ იავნანის მადლითაც, დედაენითაც. ისინი ოჯახებში ასწავლიდნენ ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას, ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“. გასათხოვარი ქალიშვილები თავიანთ სამზითვო მანდილებზე, პირსახოცებსა და კედლის ფარდაგებზე აქარგავდნენ ქართულ ასოებს; ასეთი ნიმუშები ჯერ კიდევაა შემორჩენილი იმერხეველთა ოჯახებში.

აჭარელმა დედებმა ოსმალობის პერიოდში, საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთგადაცემის მიზნით, შექმნეს ქართული დამწერლობის თავისებური სახე, ეგრეთ წოდებული „დედაბრული ანბანი“. ამგვარი დამწერლობის ნიმუშები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ისინი გამოგზავნილია ტრაპიზონიდან ქობულეთში. რამდენიმე ბარათი ნაპოვნია ფოცხოვშიც, აჭარიდან გაგზავნილი.

საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა, აგრეთვე, აჭარის ხალხური ზეპირსიტყვიერება. საინტერესო სიუჟეტის მქონე ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, ლექს-სიმღერები, ასევე, თაობიდან თაობაში გადადიოდა და უკვდავჰყოფდა ქართულ ენას აჭარის ხეობებში, მთასა და ბარში. თუმცა ყველაფერი ეს არაოფიციალური განათლებისა და კულტურის ნაყოფი იყო. ცხადია, ოფიციალურად ქართული სკოლები, სასწავლებლები არ არსებობდა.

ოფიციალური განათლების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ ოსმალურ და არაბულ ენებზე აჭარაში გახსნილ სასულიერო სასწავლებლებში – მედრესებში და აღმოსავლური კულტურისა და განათლების ცენტრებში. ამიტომაც აჭარის ახალგაზრდობა იძულებული

იყო ამ ცენტრებში ეძებნა განათლების კერა და დაეკმაყოფილებინა განათლების მიღების სურვილი. ასე დაუკავშირდა ოსმალეთის ფარგლებში მოქცეული ქართველობა აღმოსავლეთის კულტურის სამყაროს.



2012 წელს გამოქვეყნებულ სქელტანიან წიგნში **„ოსმალეთის ქართველები“ (ავტორი მურათ ქასაბი-ქასაყაშვილი)** მოთხრობილია ოსმალეთში მცხოვრები **ათას ორასი** ეთნიკური ქართველის ღვაწლზე, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ოსმალთა სახელმწიფოს მშენებლობაში და იმპერიის საზღვრებში მოქცეულ მრავალრიცხოვან ხალხთა შორის, თვალსაჩინო, საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს. ამით წარმოაჩინეს ქართული გენის, ჯიშის სიდიადე. სამწუხაროდ, ოსმალურ წყაროებში ამ პიროვნებების ქართული გვარი უმეტეს შემთხვევაში არაა მითითებული, თუმცა ჩანს შემდეგი გვარები: **აბაშიძე, ბეჟანიძე, თავდგირიძე, ათაბაგი, ირემაძე, ლორთქიფანიძე, მანველიშვილი, მოლოკნიძე, მაჭავარიანი, დუმბაძე, ნაგერვაძე, მენაფირე, ცივაძე, ხაჯიშვილი, ძნელაძე, ხახუტაიშვილი, ხიმშიაშვილი...** მითითებულია ზოგიერთი პიროვნების სადაურობაც. დასახელებულია ქ. ბათუმი, გონიო, მარადიდი, ქობულეთი, მერისი, ჩაქვი; ზემო აჭარიდან გვხვდება სოფლები – ღორჯომი, ჭვანა, შუახევი, ხულო, ბარათაული, ზემოხევი. განსაკუთრებით ბევრი პიროვნების ღვაწლია წარმოჩენილი მაჭახლის მხრიდან. დასახელებულია სოფლები – ჩხუტუნეთი, მინდიეთი, ზედვაკე, ხერთვისი.

ოსმალეთის იმპერიის საგანმანათლებლო ცენტრებში მიიღეს განათლება აჭარის საზოგადოების მოწინავე შვილებმა: **სელიმ ხიმშიაშვილმა და მისმა შვილებმა – ახმედ, აბდი, ჰუსეინ და დურსუნ ხიმშიაშვილებმა, შერიფ ხიმშიაშვილმა, ლომან ეფენდი ქარცივაძემ, აჰმედ ეფენდი მაკარაძემ, ისკენდერ ეფენდი ცივაძემ, ნური ეფენდი თავდგირიძემ, გაზი (უძლეველი) ოსმან ფაშა თავდგირიძემ** და იმ ეპოქის სხვა გამოჩენილმა პიროვნებებმა.

* * *

1878 წლის ბერლინის საზავო ხელშეკრულების თანახმად აჭარა, ტაო-კლარჯეთის დიდ ნაწილთან ერთად, დაუბრუნდა დედასამშობლოს. აჭარის მოსახლეობა კვლავ ეზიარა ქრისტიანულ კულტურას. ქართველთა უპირველესი ოცნება იყო აჭარაში ქართული სკოლების გახსნა; აჭარის პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილები საჯაროდ მოუწოდებდნენ დედასამშობლოს დახმარებისათვის. ამის ნათელი მაგალითია 1878 წელს თბილისში აჭარიდან მიწვეულთა პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე დელეგაციის ხელმძღვანელის ხუსეინ ბეჟანიძის თხოვნა მასპინძლებისადმი: „უფროსი ძმები ხართ, დაკარგული დაგიბრუნდით, მოგვხედეთ და გვიპატრონეთ, გვიძმეთ და სწავლა-განათლება ჩვენშიც გაავრცელეთ. ერთგულებას კი მომავალშიც დაგიმტკიცებთო“. შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა

შერიფ ხიმშიაშვილმაც: „განათლება სჭირდებათ, ბატონებო, იმათ; ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები; წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, შკოლა გამართეთ, ასწავლეთ“. სწორედ ამის გამოძახილი იყო დიდი ილია ჭავჭავაძის მოწოდება ქართველი ერისადმი, ძმებს ძმურად მხარში ამოდგომოდნენ. ილია ამბობდა: „ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს, ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყველაფერში; უნდა იმათთვის ვიზრუნოთ ისე, როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ; თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია“.

ყურადსაღებია ისიც, რომ იმხანად საქართველოში განათლების საქმე სავალალო მდგომარეობაში იყო. კერძოდ: 1879 წლის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრებ 912962 ქართველისთვის არსებობდა მხოლოდ 167 სასწავლებელი, ანუ 5460 სულზე მოდიოდა მხოლოდ ერთი სასწავლებელი. არ არსებობდა უნივერსიტეტი. უმაღლეს განათლებას ქართველები რუსეთში და ევროპის საგანმანათლებლო ცენტრებში იღებდნენ მხოლოდ. საჭირო იყო სრულიად საქართველოს მასშტაბის საგანმანათლებლო საზოგადოების დაარსება. ამ საზოგადოების საშუალებით უნდა განხორციელებულიყო მშობლიურ ენაზე სწავლება, წერა-კითხვის გავრცელება, ქართული ინტელიგენციის გამოზრდა. ამ მიზნით 1879 წლის 11 მარტს ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის, ბესარიონ ღოდობერიძისა სხვა მამულიშვილთა თაოსნობით დაფუძნდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

ამ საზოგადოების თაოსნობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იხსნებოდა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები; ისტამბებოდა სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების წიგნები, სახელმძღვანელოები და სხვა. საზოგადოების ერთ-ერთი მიზანი ახლად დაბრუნებულ აჭარისთვის საჭირო კადრების მომზადებაც იყო.

დროთა განმავლობაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დიდი სახელი და პატივისცემა დაიმკვიდრა. სხვადასხვა დროს მისი თავმჯდომარეები იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი (1879-1882), იოანე ბაგრატიონ-მუხრანსკი (1882-1885), ილია ჭავჭავაძე (1885-1907), გიორგი ყაზბეგი (1908-1921); წევრები: იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია, სერგეი მესხი, აკაკი წერეთელი, ნიკო ცხვედაძე, ანტონ ფურცელაძე, გიორგი წერეთელი, გრიგოლ ვოლსკი, ექვთიმე თაყაიშვილი, დავით ცხვედაძე და სხვები.

ამ საზოგადოებამ თავის სამოქმედო გეგმად დაისახა ბათუმში, ქობულეთსა და შავშეთში ქართული სკოლის გახსნა. სამწუხაროდ, ქობულეთსა და შავშეთში ეს შეუძლებელი გახდა. ბათუმში ქართული სკოლის დაფუძნება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ საქმეს ილია ჭავჭავაძე თავად ჩაუდგა სათავეში. ილიას დიდი ძალისხმევით 1881 წლის 13 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ საზეიმო შეკრებაზე მან შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა. სკოლაში ერთად სწავლობდნენ მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველი ბავშვები. ამ სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ ალექსანდრე ნანეიშვილი, მოსე ნათაძე, მიხაკო შარაშიძე.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ იმთავითვე დაიწყო ზრუნვა ქობულეთში ქართული სკოლის გახსნის მიზნით. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს ქობულეთელმა მამულიშვილებმა: გულო-აღა კაიკაციშვილმა, ხუსეინ ბეგ ბეჟანიძემ, ისკენდერ ცივაძემ და სხვებმა. ქობულეთის სკოლის საძირკველი ჩაიყარა 1894 წლის

აგვისტოში. 1895 წლიდან სკოლამ მუშაობა დაიწყო. გულო-აღა კაიკაციშვილის სახლში გაიხსნა ბიბლიოთეკა.

1893 წლის მარტში ბათუმის ხმოსანთა სათათბიროში დაისვა საკითხი ქალაქში **ვაჟთა გიმნაზიის** გახსნის შესახებ. ხუთი წლის მანძილზე ბრკოლდებოდა ეს საქმე. 1879 წლის სექტემბერში ბათუმის ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა. 1904 წელს მოეწყო პირველი გამოშვება. ამავე წელს აიგო ვაჟთა გიმნაზიის ახალი შენობა ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ და მას მიენიჭა დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის სახელი. გიმნაზიაში ასწავლიდა 9 მასწავლებელი. მათ შორის ქართველი იყო მხოლოდ ორი: მ. ჩოგოშვილი და ფ. ჯაყელი.

1898 წლის ოქტომბერში ქალაქის სათათბიროს წინაშე დაისვა საკითხი, ბათუმში არსებული მარინეს სახელობის ქალთა სასწავლებლის ნაცვლად გახსნილიყო **ქალთა გიმნაზია**. 1899 წლის ნოემბერში რუსეთის სახალხო განათლების მინისტრმა თანხმობა განაცხადა ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნაზე; ამავდროულად, უნდა შენარჩუნებულიყო მარინეს სახელობის ქალთა სასწავლებელიც. ბათუმის ქალთა გიმნაზია გაიხსნა 1900 წლის სექტემბერში. 1904 წელს მოეწყო I გამოშვება; გიმნაზია დაამთავრა ოცდაშვიდმა გოგონამ. 1904 წელს დამთავრდა ქალთა გიმნაზიის მშენებლობაც. აღნიშნულ შენობაში დღეისთვის განთავსებულია მეორე საჯარო სკოლა.

აჭარის განთავისუფლების შემდეგ ბათუმსა და მის შემოგარენში დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლების მშენებლობის საქმეს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მუშაობდა სხვა ტიპის სკოლებიც, როგორიც იყო: ქალთა დაწყებითი სასწავლებელი, ა. პუშკინის სახელობის ვაჟთა სკოლა, გოროდოკის სკოლა, ბარცხანის საკვირაო სკოლა და სხვ.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით დაწყებითი სკოლები გაიხსნა ბათუმში თითქმის ყველა ეროვნების მოსწავლისათვის, როგორიც იყო: სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო-სამრევლო ვაჟთა სკოლა, სომხური კათოლიკური სას-

წავლებელი, ბერძნული სამრევლო ქალთა სასწავლებლები, ებრაელთა დაწყებითი სასწავლებელი და ა.შ.

სკოლები იხსნებოდა აჭარის რაიონულ ცენტრებშიც. 1892 წელს ქართული სკოლა გაიხსნა ხულოში, 1903 წელს კი – რუსული სასწავლებელი ქედაში. 1914-1915 სასწავლო წლისთვის აჭარაში მუშაობდა 42 დაბალი ტიპის პირველდაწყებითი სკოლა, 16 მაღალი ტიპის პირველდაწყებითი სკოლა. ხუცუბანში გახსნილი იყო აგრონომიული სკოლა.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. დაიწყო ზრუნვა გაუნათლებლობის სალიკვიდაციოდ, გატარდა ღონისძიებანი საყოველთაო განათლების დასანერგავად. შეიქმნა განათლების კომისარიატი, რომელსაც გააჩნდა სკოლამდელი, სასკოლო და სკოლისგარეშე სწავლების განყოფილებები. 1927 წელს გაიხსნა ბათუმში პირველი საბავშვო ბაღი. პედაგოგთა კადრების მომზადებისათვის დააარსდა მასწავლებელთა კურსები. 1923 წლისთვის აჭარაში სულ იყო 55 სკოლა, აქედან 15 სკოლა იყო ბათუმში, 1923-1924 წლებში აჭარის რაიონებში მასობრივად დაფუძნდა დაწყებითი სკოლები, აქედან: ქობულეთში – 30, ხულოში – 25, ქედაში – 18, აჭარისწყლისა და ჭოროხის მაზრაში – 27. 1923 წელს დაფუძნდა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი ყოფილ ქალთა გიმნაზიის შენობაში. პედაგოგიური ტექნიკუმის პირველი გამოშვება შედგა 1926 წელს. 1935 წლისთვის აჭარაში არსებობდა ბათუმის პირველი, ქალთა მეორე, ქობულეთისა და ხულოს პედსასწავლებლები. 1938 წელს დაფუძნდა ხულოს ქალთა, ბათუმის რაიონის აჭარისწყლისა და ქედის პედაგოგიური სასწავლებლები.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისთვის საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მოსამზადებლად 1923 წელს ბათუმში გაიხსნა ინდუსტრიული ტექნიკუმი, 1925 წელს – მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, 1929 წელს – ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი, 1930 წელს – ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი, 1936 წელს – ბათუმის სამხედრო სასწავლებელი. 1935 წელს ბათუმში დაფუძნდა სამასწავლებლო ინსტიტუტი. 1938 წლიდან აქტიურად ტარდებოდა ღონისძიებები სოფლად – შვიდწლიანი, ქალაქად კი ათწლიანი სწავლების გასატარებლად. ამ პერიოდისათვის საკლუბო-საბიბლიოთეკო დაწესებულებათა ქსელი 63-მდე გაიზარდა. მუშაობდა 43 სასოფლო კლუბი, 17 სამკითხველო-ბიბლიოთეკა. მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად შექმნილი იყო დაუსწრებელი სწავლების პუნქტები ბათუმსა და აჭარის რაიონებში. 1943 წელს პირველად შეიქმნა წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული და სოფლის ახალგაზრდობის ღამის და დაუსწრებელი საშუალო სკოლები. 1949 წელს შემოღებულ იქნა სავალდებულო შვიდწლიანი განათლება.

აჭარაში პირველი სკოლა-ინტერნატი გაიხსნა ხულოში 1957 წელს. მომდევნო წლებში გაიხსნა ბათუმში, ქობულეთის რაიონის ჩაისუბანში, ხელვაჩაურის რაიონის კირნათში, ქედის რაიონის მახუნცეთში. ინტერნატებში ცხოვრობდნენ მთიანი სოფლებიდან განათლების ცენტრებში მოსწავლე ახალგაზრდები. 1959-1960 სასწ. წლიდან, ნაცვლად შვიდწლიანისა, შემოღებულ იქნა რვაწლიანი სავალდებულო სწავლება. თანდათანობით შემცირდა რვაწლიანი სკოლების რაოდენობა; მათ ბაზაზე გაიხსნა საშუალო სკოლები. განათლების განვითარების საქმეში გარდატეხა შეიტანა კანონმა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების შემოღების შესახებ, რომელიც ძირითადად განხორციელდა XX საუკუნის 70-იან წლებში. ამ პერიოდში აშენდა 106 საშუალო სკოლა, გაიხსნა სკოლა-ინტერნატების სასწავლო, საძინებელი კორპუსები.

1957 წელს გაიხსნა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებაში დიდი როლი შეასრულა ბათუმის (მწვანე კონცხის) სასწავლო-სამეურნეო ტექნიკუმმა. იგი დასაბამს იღებს 1925 წლიდან. პირველ წლებში აგრონომიული ტექნიკუმი ეწოდებოდა და ამზადებდა აგროტექნიკოსებს სუბტროპიკებისა და მევენახეობისათვის. 1946 წლიდან სასწავლებელი სუბტროპიკულ ტექნიკუმად გადაკეთდა. 1936-1942 წლებში ბათუმში მუშაობდა სამხატვრო სასწავლებელი. იგი აღადგინეს 1970 წელს და მიეკუთვნა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის ნიკოლოზ კანდელაკის სახელი. 1974 წელს გაიხსნა ინდუსტრიული ტექნიკუმი.

აჭარაში უმაღლესი განათლების ისტორია დაიწყო 1935 წლიდან, როდესაც ბათუმში გაიხსნა ორწლიანი **სამასწავლებლო ინსტიტუტი**, რომელიც 1945 წელს გადაკეთდა ოთხწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტად. 1990 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა უნივერსიტეტი.

1938 წელს ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმთან გაიხსნა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების საკონსულტაციო პუნქტი. 1980 წელს დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფაკულტეტებს შეუერთდა ფოთის ფაკულტეტი და მათ ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი. 1990 წელს ფილიალი გადაკეთდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტად.

მწვანე კონცხის აგრონომიული ტექნიკუმი 1991 წელს გადაკეთდა კოლეჯად, 1994 წელს იგი გახდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, შემდგომში ეწოდა აგრარული უნივერსიტეტი; ამჟამად მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის სტატუსით.

1984 წელს ბათუმში გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებს. 1990 წელს გადაკეთდა სახელმწიფო უმაღლეს პედაგოგიურ კოლეჯად.

1934-1935 წელს ჩამოყალიბდა საზღვაოსნო სწავლების ტექნიკუმი, 1939 წელს მას შეუერთდა ფოთის ტექნიკუმი. 1940 წელს აშენდა ცალკე შენობა ამ ტექნიკუმისთვის, სადაც დღეისათვის საზღვაო აკადემიის მთავარი კორპუსია. 1994 წელს ეს დაწესებულება გადაკეთდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიად.

1995 წლის ნოემბერში გაიხსნა ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი. ინსტიტუტის ბაზაზე 1996 წელს ჩამოყალიბდა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ-საბალეტო სტუდია. ინსტიტუტი ამჟამად მუშაობს **ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის** სტატუსით, მის სტრუქტურაშია კონსერვატორიაც, რომელიც დაარსდა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე.

დღეისათვის აჭარაში 59 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა (საბავშვო ბაგა-ბაღია). 2011 წლიდან ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს მუნიციპალიტეტებთან შეიქმნა „ა(ა)ი.პ. საბავშვო ბაღების გაერთიანებები", რომელთაც მართავენ დირექტორები. ხულოს რაიონში მუშაობს საპატრიარქოსთან არსებული ხულოს წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაგა-ბაღი. შუახევის რაიონში მუშაობს 5 საბავშვო ბაღი.

განათლების სისტემის გამართულობამ, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმატებულმა საქმიანობამ, საფუძველი მოამზადა სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის.

მეცნიერება

აჭარის ინტელიგენციამ თავი ისახელა **მეცნიერების** სხვადასხვა დარგში. 1930 წლის მარტში დაარსდა აჭარის სამეცნიერო მხარეთმცოდნეობის ბიურო. მისი მიზანი იყო აჭარის მეცნიერული შესწავლა. ანალოგიური ბიუროები ჩამოყალიბდა ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებშიც. ცენტრალური ბიურო იმთავითვე შეუდგა **მხარეთმცოდნეობის მუზეუმის** ჩამოყალიბებას. დაარსდა ჟურნალი „აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუ-

როს მოამბე“.

1936 წლის სექტემბერში აჭარის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო ბიურო აჭარის სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა. ინსტიტუტი 1952 წლის სექტემბერში, მისი უფლებამოსილებების აჭარის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმზე გადაცემის გამო, გაუქმდა. ამჟამად მუზეუმი ხ. ახვლედიანის სახელს ატარებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1958 წლის 23 იანვრის დადგენილებით, ინსტიტუტმა განაახლა მუშაობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელწოდებით**.

ინსტიტუტმა დაარსებიდან დღემდე დასტამბა 120ზე მეტი დარგობრივი კრებული, გამოაქვეყნა 5000-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 200 მონოგრაფია; გამოსცა აკადემიური ოთხტომიანი ფუნდამენტური ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ისტორიის ნარკვევები”. 2013 წელს გამოქვეყნდა დიალექტურ-ფოლკლორული მასალების კრებული – „აჭარული საუნჯე“, ტ. I. მალე დაისტამბება მეორე ტომიც. ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ეთნოლოგიის და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილებამ მოაწყო სამ ათეულზე მეტი ექსპედიცია, რის შედეგაც შეიქმნა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფასდაუდებელი ფონდები. 1958-1966 წლებში ინსტიტუტმა 15-მდე ექსპედიცია მოაწყო მუსიკალურ-ფოლკლორული მასალების შესაკრებად, რასაც სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნა. გონიო-აფსაროსში სისტემატიურად წარმოებს არქეოლოგიური გათხრები. არქეოლოგიური სამუშაოები ტარდებოდა, აგრეთვე, ფიჭვნარში, კირნათში, მახვილაურში, პეტრა-ციხისძირში, ზენდიდიში, ზვარეში და ა.შ. 2011 წლიდან ინსტიტუტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია და იწოდება უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტად. სერიოზული კვლევები მიმდინარეობს ქ. ბათუმის ისტორიის – წარსულისა და დღევანდელობის შესასწავლად. ყოველწლიურად ტარდება ამ თემაზე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები. უკვე გამოქვეყნდა კრებულის “ ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა” I, II, III და IV ტომები.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარეს თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიულ მხარეებში – ტაო-კლარჯეთში, ლაზეთსა და კოლა-ოლთისში, მუჰაჯირი ქართველებით დასახლებულ თურქეთის სხვადასხვა მხარეში.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი ქართველ მეცნიერ-ბოტანიკოსთა აღზრდის სამჭედლოა. იგი დაარსდა 1912 წელს. 1999 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსის მქონე საგანმანათლებ-

ლო დაწესებულებაა. 1998 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღი გახდა ბოტანიკური ბაღების მცენარეთა დაცვის მსოფლიო საბჭოს წევრი.



1926 წელს ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობაში გაიხსნა საცდელი სადგური, რომლის ბაზაზე 1930 წელს შეიქმნა **ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის (ანასეული)** ფილიალი. 1931 წ. ბათუმში დაარსდა **თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის სადგური,** რომელიც 1938 წელს გადავიდა სსრ კავშირის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის ინსტიტუტის (მოსკოვი) სისტემაში. მას ფილიალები ჰქონდა ფოთსა და ბათუმში.

1960 წელს ბათუმში დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **მეტალურგიის ინსტიტუტის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ლითონის კოროზიის ლაბორატორია.** 1968 წელს ბათუმში საფუძველი ჩაეყარა **მემბრანული ტექნოლოგიის ინსტიტუტს. მემბრანული** ტექნოლოგიების ბათუმის სამეცნიერო დაწესებულება ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში. 1981 წელს თბილისის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმისა და ქუთაისის ფილიალების ბაზაზე **გაიხსნა სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი.** ამ ინსტიტუტის ბათუმში დაარსება შემთხვევითი არ ყოფილა. აჭარას სუბტროპიკული მეხილეობის განვითარებით სსრ კავშირის მასშტაბით წამყვანი ადგილი ეკავა. ამრიგად, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აჭარაში არსებობდა 13 სამეცნიერო დაწესებულება. ომისშემდგომ პერიოდში გაუმჯობესდა ამ ინსტიტუტების სამეცნიერო--ტექნიკური ბაზა. 1966 წელს შეიქმნა აკვარიუმი. 1975 წელს გაიხსნა დელფინარიუმი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა აჭარაში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური პოტენციალი. 1960 წლის დასაწყისში აჭარაში ითვლებოდა 117 მეცნიერი, 1990 წლისთვის მისი რაოდენობა 525-მდე გაიზარდა. ამჟამად, ცხადია, რამდენადმე მეტია. აჭარაში მომუშავე მეცნიერებმა მნიშვნელოვანი გამოკვლევები შექმნეს, რითაც გაამდიდრეს სამამულო და მსოფლიო მეცნიერული აზროვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს **ქსენია ბახტაძის** ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის შედეგები. 1941 წელს მან გამოიყვანა ჩაის კულ-

ტურის ახალი ჯიშები, რომლებიც გამოირჩეოდა ყინვაგამძლეობითა და სწრაფი ზრდა-განვითარებით. ქ. ბახტაძის მეცნიერული ღვაწლის შედეგია, რომ ჩაის კულტურა გავრცელდა აჭარის მაღალმთიან ქედის რაიონში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კრასნოდარის მხარესა და აზერბაიჯანში. **ვ. შანიძემ** გამოიყვანა ყინვაგამძლე და უხვმოსავლიანი ლიმონისა და ფორთოხლის ჯიშები. მეცნიერებმა შეისწავლეს თევზის მორფოლოგია, ქიმიურ-ბიოლოგიური თავისებურებები, დაავადებათა წარმოშობის მიზეზები და მკურნალობის მეთოდები. **ვ. ქემხაძემ** მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა ლითონთა კოროზიის შესწავლის დარგში. აჭარაში მომუშავე მეცნიერებმა შექმნეს მიკროფილტრაციული, ულტრაფილტრაციული, უკუოსმოსური მემბრანები, აპარატები და დანადგარები, რომლებსაც დიდი გამოყენება აქვთ კვების, ელექტრონიკის, სამთო-ქიმიურ, სამედიცინო-ფარმაცევტულ მრეწველობაში, გემებზე, წყალსადენებზე და სხვა. დაადგინეს ტენიანი სუბტროპიკების პირობებში ლაქსაღებავებისა და პოლიმერული მასალების გამძლეობის ქმედუნარიანობა. ამ მიღწევების გამო მკვლევრებმა 26 საავტორო მოწმობა მიიღეს გამოგონებაზე.

მემბრანული ტექნოლოგიის ბათუმის განყოფილებაში შექმნილი აპარატები 1988 წელს გამოიყენეს უნგრეთის ერთ-ერთ ქარხანაში ჩამდინარე წყლის გასაწმენდად. ამ დაწესებულების მეცნიერების დიდმნიშვნელოვან მიღწევებს ისიც მოწმობს, რომ 90-იან წლებში სსრ კავშირის უწყლო რეგიონებში ოთხ მილიონამდე ადამიანი სვამდა მემბრანული დანადგარებით გამტკნარებულ წყალს.

ქიმიის მეცნიერების განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარაში გაზრდილმა **ასლან ცივაძემ**. ამჟამად იგი მოსკოვში მოღვაწეობს, არის 300-ზე მეტი ნაშრომისა და 30-მდე გამოგონების ავტორი. იგი არჩეულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. იგი წლების მანძილზე იყო მენდელეევის საერთაშორისო საზოგადოების მთავარი სწავლული მდივანი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

საყურადღებო ნაშრომები შექმნეს მეცნიერებმა: ნადიმ ნიჟარაძემ, მამია კომახიძემ, ნევრესტან შაშიკაშვილმა, ლ.ჩარკვიანმა, აკ. ბერიძემ, თევრათ გორგილაძემ, მამია გოგოლიშვილმა, ჯემალ ნოღაიდელმა, ზურაბ თანდილავამ, ნოდარ კახიძემ, ამირან კახიძემ, ალი მსხალაძემ, დურსუნ ბალაძემ, ვახტანგ შამილაძემ, ნოდარ ამაღლობელმა, ჯემალ ბერიძემ, ხარიტონ ახვლედიანმა, დავით ხახუტაიშვილმა, ალ. დავითაძემ, ი.სიხარულიძემ, ო. თურმანიძემ, შოთა ნიჟარაძემ, ა. ახვლედიანმა, მიხეილ მახარაძემ, ა. დიასამიძემ, რ. ზოსიძემ, ნოდარ ჩხეიძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, რამაზ სურმანიძემ, სერგო დუმბაძემ, მიხეილ ქამადაძემ, შუშანა ფუტკარაძემ, ალ. გობრონიძემ, ი. ბიბილეიშვილმა, გ. ჩაგანავამ, რ. მალაყმაძემ, ნ. გუგუნავამ, ჯ. ვარშალომიძემ, მ. ფაღავამ, რ. ხალვაშმა და სხვებმა.

მწერლობა

აჭარაში **მხატვრული ლიტერატურის** განვითარების ახალი ეტაპი XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. შეიქმნა მწერალთა ვიწრო ჯგუფი, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს ძირითადად ბეჭდავდნენ გაზეთში „ფუხარა“. 1924 წელს გამოვიდა პირველი მხატვრულ-ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალი „ისპირი“ (რედაქტორი ვიქტორ გაბესკირია). მოგვიანებით ბათუმში ჩამოყალიბდა პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი. მათი ორგანო იყო ჟურნალი „აჭარისტანი“. 1927 წლის აგვისტოში აჭარაში პირველად შეიქმნა მწერალთა ორგანიზაციული გაერთიანება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭა-

რის განყოფილების სახით. აქედან დაიწყო ახალი ეტაპი აჭარაში ქართული მხატვრული სიტყვის განვითარების ისტორიაში. მხატვრული სიტყვის ნოყიერი ნიადაგი აჭარაში ოდითგანვე იყო ენატკბილი დედაენის – ძარღვიანი ქართულის წყალობით. ასეთ ნიადაგზე ამოიზარდა XII-XIII საუკუნეებში დიდი მწერალი და ასტროლოგი ტბელ აბუსერისძისძე. აჭარა ისტორიული მესხეთის გამორჩეული მხარე იყო, სადაც ცხოვრობდა და ქართულ კულტურას ქმნიდა „მესხი სწავლითა ქებული“. ტბელ აბუსერისძის „გალობანი სამთა იოანეთა“ ნიმუშია მაღალმხატვრული სიტყვის ოსტატის ნაღვაწისა. მისი ყოველი ფრაზა დახვეწილი და ხატოვანია. ამიტომ როცა საუბარია აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარების ისტორიაზე, ათვლა XII საუკუნიდან უნდა დავიწყოთ. აჭარის თვალწარმტაცი ბუნება ყოველთვის განაწყობდა აქაურ კაცს სულიერი ამაღლებისათვის, პოეტური აზროვნებისათვის. მართლაც, საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ხალხში შემონახული პოეტური ქმნილებები, ლეგენდები, ზღაპრები აჭარელთა ენობრივი საუნჯის სიმდიდრისა და მელექსეობის ტრადიციის მაღალი დონის მაჩვენებელია.

1928 წელს პროლეტარულ **მწერალთა აჭარის განყოფილებამ** გამოსცა თავისი პირველი ალმანახი „სიტყვა ტრიბუნიდან“, სადაც 30-მდე ავტორი იყო წარმოდგენილი: მათ შორის იყვნენ: ხ. კომახიძე, ჯ. ნოღაიდელი, ნ. მალაზონია.

თანდათან იხვეწებოდა მხატვრული აზროვნების დონე, გემოვნება და ყალიბდებოდა ახალი ქართული მხატვრული სიტყვა. ამ პერიოდში დაიწერა აჭარისა და აჭარელთა ცხოვრების ამსახველი რომანები, დრამები, კომედიები; ვითარდებოდა პოეზია, ლირიკასთან ერთად, იქმნებოდა პოეტური ეპოსის ნიმუშები; საფუძველი ეყრებოდა მთარგმნელობით ჟანრს, რომლის ფუძემდებლად აჭარაში ითვლება მემედ აბაშიძე.

მწერლობაში გამოჩნდნენ ქალებიც. 1936 წელს გამოვიდა ალმანახი „საბჭოთა აჭარა“, სადაც დაიბეჭდა აჭარელი ქალბატონების – სურიე პაპუნაიშვილისა და ფატყუმე დადიანის ლექსები. მალევე გამოქვეყნდა ნანა გვარიშვილის ლექსებიც.

1934 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრად აჭარიდან აირჩიეს შვიდი კაცი: მემედ აბაშიძე, ნესტორ მალაზონია, პარმენ ლორია, დავით დუმბაძე, მემედ მეგრელიძე, ერმილე შარაშიძე და მამია ვარშანიძე.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში ხალხური პოეტური აზროვნება არ შეწყვეტილა. იქმნებოდა ხალხური პოეზიის ნიმუშები. იყვნენ ხალხური მთქმელებიც – პოეტები. მათგან აღსანიშნავია – მემედ ჭყონია, ხასან თხილაიშვილი, ხასან კომახიძე, ელვანა სოლომონიძე, ზეირალი ბახუნტარიძე, ბინალი ფუტკარაძე, თოფია ქათამაძე.

აჭარის ბუნების მშვენიერებასა და ამ მხარეში მოსახლე ძირძველ ქართველობას უმღეროდნენ პოეტები: რ. რურუა, ნ. მალაზონია, მ. ვარშანიძე, ა. თევზაძე, ნ. გვარიშვილი,

ფრ. ხალვაში, ჯ. ჯაყელი, ლ. სეიდიშვილი, ჯ. ქათამაძე, ზ. გორგილაძე, ლ. გელაძე, ვ. ახვლედიანი, პოეტთა ახალი თაობის წარმომადგენლებმაც მოიპოვეს მკითხველთა პატივისცემა და სიყვარული. მათგან გამორჩეული არიან: შ. ზოიძე, ნ. ჯალაღონია, გ. სალუქვაძე, ც. ანთაძე, ჟ. შაინიძე, ს. ბერიძე, ჟ. ხაჯიშვილი, ე. დავითაძე, ა. ხაბაზი, ბ. ქებურია, დ. თედორაძე, ვ. ღლონტი, გ. ქუთათელაძე, ა. დუნდუა. ამ ბოლო დროს თავი ისახელა მეშვიდე კლასის მოსწავლემ ნიკა ფუტკარაძემ. იგი უკვე სამი წიგნის ავტორია. მისი ლექსების კრებულები „ნატვრებიდან წვეთავს პოეზია“ და „ჩირუხის ყვავილები“ მკითხველმა დიდი სიყვარულით მიიღო.

მწერალთა შორის დიდი აღიარება მოიპოვა პროზაიკოსმა პარმენ ლორიამ. მისი რომანები: „ჩაი“, „განთიადი ხევში“, „მევლუდი“, „ალიფესრი ღილა“... დღევანდელ მკითხველსაც იზიდავს და ემსახურება ადამიანთა სულიერების ამაღლებას. დიდი სიყვარულითაა დაწერილი, აგრეთვე, პროზაიკოს იუსუფ ფაღავას რომანები „ჩაუმქრალი კერა“, „ქედუხრელნი“, „წინაპართა აჩრდილები“, „სუსხი ავბედობისა“. საინტერესოდ იკითხება ფრიდონ ხალვაშის პროზაული ნაწარმოებები: „საყვედური“, „ომრი“, „შეიძლება თუ არა მუსლიმანი ქართველი იყოს“, „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“. აღნიშნულ ნაწარმოებებში გაცოცხლებულია აჭარის წარსული, დახატულია აჭარის მოსახლეობის ყოფა და ტრადიციები.

აჭარაში შემონახული დარბაისლური ქართული გახმოვანებულია ფრიდონ ხალვაშის, მამია ვარშანიძის, ზურაბ გორგილაძის. ემენ დავითაძის, ვახტანგ ახვლედიანის, ლევან გელაძის, შოთა ზოიძის, დავით თედორაძის და სხვათა ლექსებში. ლაზი პოეტის იაშა თანდილავას ლექსების კრებული „მუზათა საუფლოში“ მკითხველს აზიარებს ორად გაყოფილი ლაზეთის სევდას, განაცდევინებს ლაზეთის ტკივილს და ცოცხლად წარმოუსახავს ამ მხარის მშვენიერ ბუნებას, ხმატკბილ ლაზურ ენობრივ სამყაროს.

ხელოვნება

სამუსიკო ხელოვნება. მსოფლიო კლასიკური მუსიკით დაინტერესება აჭარაში XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება. აღსანიშნავია თ. შალიაპინის, მ. ფიგნერის, ფ. ქორიძის, ე. ჯირალდონის გასტროლები ბათუმის „რკინის თეატრში”.

1889 წელს ბათუმში გაიხსნა მუსიკოსთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა კაპელმეისტერი ალექსანდრე ვეტეშნიკოვი. მუსიკოსთა ამ საზოგადოების მიზანს ქართული, ევროპული და რუსული მუსიკის პოპულარიზაცია წარმოადგენდა. XX საუკუნის 20-იან წლებში ბათუმში ჩამოყალიბდა რამდენიმე კამერული ჯგუფი. 1921 წელს აჭარაში მოქმედი მუსიკალური წრეების ბაზაზე შეიქმნა „აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოება”, რომლის დამფუძნებლები იყვნენ ცნობილი ლოტბარები მელიტონ კუხიანიძე და დიმიტრი ყუბანეიშვილი. ამ საზოგადოებამ ხელი შეუწყო აჭარაში მუსიკალური კულტურის, სასცენო ხელოვნების, მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას, ქართველ მომღერალთა გუნდების ჩამოყალიბებას, ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შესწავლას.

1921-1937 წლებში მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბდა აჭარის აკადემიური გუნდი.

რეგიონის საგუნდო ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მ. ჩხიკვიშვილს, ა. ერქომაიშვილს, ალ. მსხალაძეს. სიმღერების მელოდიური და ჰარმონიული, პოლიფონიური წყობის, მრავალხმიანობის, ინტონირების, მუსიკალური აზროვნების მხრივ აჭარული მუსიკალური ფოლკლორი განუყოფელია გურული მუსიკალური ფოლკლორისა-

გან. აჭარული სასიმღერო ნიმუშები ხასიათდება მდიდარი თემატიკით. მუსიკალური საკრავებიდან აღსანიშნავია ჩონგური, ჭიბონი, გუდის ჭიბონი, დიდი დოლი. გამორჩეული ნიმუშია ოთხხმიანი ნადური, რომელსაც ასრულებს „გადაბმული" ანუ ორპირი გუნდი. სამხმიანი სიმღერებიდან აღსანიშნავია „ძველი აბადელია", „ტბეთური", „ჟამიელი", „მაყრული", „საფერხულო", „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო", გურულ-აჭარული შედევრები: „შავი შაშვი", „შვიდკაცა", „ხასანბეგურა", „ალი-ფაშა" და სხვა.

1929 წელს შ. თაქთაქიშვილის თაოსნობით ბათუმში დაარსდა **სამუსიკო სასწავლებელი**, რომელსაც შემდეგ ზაქარია ფალიაშვილის სახელი ეწოდა. სასწავლებელშივე შეიქმნა სიმფომიური ორკესტრი მისივე დირიჟორობით. ბათუმში 1930-1959 წლებში ნაყოფიერ შემოქმედებით პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა კომპოზიტორი ა. ფარცხალაძე. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშავია „აჭარული სუიტა", „ორი აჭარული ცეკვა" და სხვა.

1993-1996 წლებში ბათუმში ჩამოყალიბდა საოპერო დასი, დაიდგა ოპერები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", რ. ლაღიძის „ლელა", ჯუზეპე ვერდის „აიდა", „ოტელო". საოპერო ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის მომღერალ ალ. ხომერიკს.

ამჟამად აჭარის სამუსიკო ტრადიციებს აგრძელებს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი და კაპელა.

ქორეოგრაფია. 1928 წელს, დავით ჯავრიშვილის თაოსნობით, ბათუმში დაარსდა ქორეოგრაფიული ექსპერიმენტული სტუდია, რომლის მიზანს ქართული ცეკვების ეროვნული ხასიათის შენარჩუნება და მათი უცხო ელემენტებისაგან გათავისუფლება წარმოადგენდა. 1928 წელს დ. ჯავრიშვილისა და მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით აჭარაში შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის პირველი ანსამბლი, რომელიც სიმღერისა და ცეკვის სინთეზის თვალსაზრისით ახალი სიტყვა იყო ხელოვნებაში. 1938 წლიდან აჭარაში ქორეოგრაფიულ ხელოვნებას სა-

თავეში ჩაუდგა ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, რომლის შემოქმედება გამოირჩეოდა საინტერესო ქორეოგრაფიული გადაწყვეტით, მრავალფეროვნებით, მოხდენილი პლასტიკით. 1944 წლიდან აჭარის ქორეოგრაფიულ ანსამბლს ხელმძღვანელობდა ენევრ ხაბაძე, რომლის მიერ დაიდგა ქორეოგრაფიული ხელოვნების ისეთი ნიმუშები როგორიცაა ლაზური ცეკვა „ობირუში", „მეთევზეთა ცეკვა", „მასობრივი განდაგანა" და სხვა. ე. ხაბაძის მიერ დადგმული ცეკვების სიახლეს წარმოადგენდა ისიც, რომ მათი გარკვეული ნაწილი, ხალხური ნიმუშების მსგავსად, სრულდებოდა სიმღერის აკომპანემენტით.

აჭარაში საცეკვაო ხელოვნების პოპულარული ნიმუშებია ცეკვა „ხორუმი" და „განდაგანა". „ხორუმი" საბრძოლო ცეკვების ნაირსახეობას მიეკუთვნება. იგი, ძირითადად, ბრძოლას ასახავს, თუმცა, ამ ცეკვის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც „გადახვეული ხორუმის" სახელწოდებითაა ცნობილი, გამოხატავს გამარჯვებულ მებრძოლთა ზეიმს. აჭარული საცეკვაო ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია ცეკვა „განდაგანა", რომელშიც ერთმანეთს შეერწყა ჭიბონის და კაფია-შაირის სიმღერების თანხლებით შესრულებული ცეკვების („ყოლსამა", „ჯაყდადანა", „თარნანინო") ელემენტები. „განდაგანას" ქორეოგრაფიულ დახვეწაში დიდი წვლილი შეიტანა მოცეკვავე თეიმურაზ (თოფან) მელაძემ, რომელმაც ჭიბონების თანხლებითა და ინდივიდუალური ხელწერით განდაგანა საცეკვაო სანახაობად აქცია. „განდაგანას" სასცენო გადაწყვეტის მხატვრული სრულყოფა მნიშვნელოვნად განაპირობა მხატვარ სოლიკო ვირსალაძის ორიგინალურმა კოსტიუმებმა. „განდაგანას" სასცენო ნიმუშების განვითარებში მნიშვნელოვანია ქორეოგრაფების – ე. ხაბაძის, ზ. ლაზიშვილის, რ. ჭანიშვილის, თ. ბიბილეიშვილს და სხვათა წვლილი. ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას და ახალი თაობების აღზრდას ხელს უწობს ბავშვთა სახელმწიფო ქორეოგრაფიული სკოლა, რომელიც ბათუმში 1989 წლიდან მოქმედებს.

აჭარაში საბალეტო ხელოვნებას XX საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. 1998 წელს სახელმწიფო თეატრში გაიმართა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო სპექტაკლის პრემიერა „ქორეოგრაფიული ნოველები". საბალეტო ხელოვნების განვითრების საქმეს აგრძელებს ბათუმში არსებული საბალეტო სტუდია.

თეატრალური ხელოვნება. ბათუმში პირველი ქართული თეატრალური წარმოდგენა 1879 წლის 8 ივლისს გაიმართა. ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ზ. ანტონოვის კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?". ამით საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს აჭარაში. წარმოდგენის ინიციატორი იყო ბათუმის პოლიცმეისტერის მეუღლე ქეთევან ჟურული. 1882 წელს ქეთევან ჟურულის ინიციატივით, ბათუმში ჩამოყალიბდა სცენისმოყვარულთა წრე, რომელიც შემდეგ, ბათუმში სამხედრო სამსახურში მყოფი ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – დავით კლდიაშვილის ინიციატივით გადაკეთდა დრამატულ თეატრად.

თავდაპირველად, თეატრისათვის ხის პატარა შენობა 1884 წელს ააგეს, რომელიც 450-მდე მაყურებელს იტევდა. იგი მდებარეობდა ახლანდელი კ. გამსახურდიას ქუჩაზე. შემდეგში თეატრი განთავსდა ე.წ. „რკინის თეატრში", რომელიც დღევანდელი ცირკის შენობის ადგილას მდებარეობდა, 900 მაყურებელს იტევდა და იმ დროისათვის სათანადოდ იყო მოწყობილი. XX საუკუნის 20-იან წლებში, ა. შმაევსკის ინიციატივით, თეატრის შენობა აიგო დღევანდელი ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ადგილას. 1933 წელს ეს ნაგებობა დაანგრიეს და მის მაგივრად ააგეს ახლანდელი **დრამატული თეატრის**

შენობა, რომელიც აშენდა არქიტექტორ ლ. ს. ტეპლიცკის პროექტით და გაიხსნა 1952 წლის 19 მარტს.

თავდაპირველად სცენისმოყვარეები წარმოდგენებს მართავდნენ საქველმოქმედო მიზნით – ქართული სკოლის შენობის ასაგებად, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ქართული წიგნთსაცავისა და ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. 1912 წელს ბათუმში ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი თეატრალური ჯგუფი, რომელსაც "მოგზაურთა დასი" ეწოდა. 1913 წელს ბათუმში დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე მესხი. დრამატული საზოგადოების გამგეობამ შალვა დადიანის რეჟისორობით შეადგინა პროფესიონალთა დასი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული მსახიობები.

1929 წელს კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისში გაიხსნა სახელმწიფო თეატრი, რომელსაც ქუთაის-ბათუმის თეატრი ეწოდა. 1928-1930 წლებში თეატრი წარმოდგენებს მართავდა როგორც ქუთაისში, ასევე ბათუმში. დასს ხელმძღვანელობდა კოტე მარჯანიშვილი. 1932 წელს რუსთაველის თეატრში შეიქმნა სტუდია ბათუმის თეატრისათვის მსახიობთა ჯგუფის მოსამზადებლად. სტუდიისათვის შერჩეული იქნა 22 ახალგაზრდა. ჯგუფის პედაგოგები იყვნენ ქართული თეატრის კორიფეები – სანდრო ახმეტელი, აკაკი ვასაძე, კოტე პატარიძე, დიმიტრი ალექსიძე და სხვები. 1937 წლის 18 მარტს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი პროფესიული სახელმწიფო თეატრი, რომლის დასი შედგებოდა რუსთაველის დრამატულ თეატრში დაოსტატებული ახალგაზრდებისაგან. მათ წარმოადგინეს გ. მდივანის დრამა „ბრმა". სპექტაკლის რეჟისორი იყო დიმიტრი ალექსიძე. დასში შედიოდნენ – ლილი აფხაზავა, ალექსანდრა გორნელი (დარჩია), ნუნუ თეთრაძე, ნინო ფხაკაძე, გიორგი ახვლედიანი, ხასან ბაბუჩოღლი, ბუხუტი ზაქარიაძე, ისკანდერ კაიკაციშვილი, იუსუფ კობალაძე, მურად ხინიკაძე და სხვები. სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა არჩილ ჩხარტიშვილი, დამდგმელ რეჟისორად – შალვა ინასარიძე. XX ს-ის 30-40-იან წლების სათეატრო სეზონები ნაყოფიერი, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. თეატრმა განახორციელა მრავალი დადგმა, რომელთა შორის აღსანიშნავია კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი" (რეჟისორი – დ. ალექსიძე), გ. მდივნის „ალკაზარი" (რეჟისორი – შ. ინასარიძე), შ. დადიანის „გუშინდელნი" (რეჟისორი – შ. ინასარიძე), ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" (რეჟისორი – ა. ჩხარტიშვილი), ვ. დარასელის „კიკვიძე" (რეჟისორი – რ. ჩომახიძე), ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი" (რეჟისორი – ა. ჩხარტიშვილი) და სხვა. 1946 წლის 27 ივლისს ბათუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" (რეჟისორები – ა. ჩხარტიშვილი, შ. ინასარიძე). სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ცნობილი დრამტურგი ლ. მალიუგინი წერდა: „რამდენიმე თვის წინათ ბათუმში, ქარ-

თულ თეატრში ვნახე „ოიდიპოს მეფის” ბრწყინვალე დადგმა. ჩემთან ერთად ამერიკელი მწერალი სტეინბეკი აღრთოვანებული იყო სპექტაკლით და მე ვამაყობდი იმით, რომ ამერიკელმა მწერალმა ვერ იხილა სოფოკლე ვერც თავის ქვეყანაში, ვერც დიდი დრამატურგის სამშობლოში – საბერძნეთში და ნახა იგი ჩვენთან, არა მარტო დედაქალაქის ვახტანგოვის თეატრის სცენაზე, არამედ პატარა სანავსადგურო ქალაქში, რომელიც ამერიკული წესების მიხედვით, განთქმული უნდა ყოფილიყო არა თეატრით, არამედ დანსინგებითა და ლუდხანებით”.

1959 წელს ბათუმის თეატრს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელი. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, თბილისის თეატრების მსგავსად, დგება თეატრის განახლების პერიოდი. 60-70-იან წლებში ბათუმის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი შეივსო ახალგაზრდა რეჟისორებითა და მსახიობებით, რომლებმაც მნიშვნლოვანი წვლილი შეიტანეს ბათუმის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ესენი იყვნენ რეჟისორები – გიზო ჟორდანია, გოგი ქავთარაძე, ენვერ ჩაიძე, თემო აბაშიძე, გურამ აბესაძე, დათო ხინიკაძე, მსახიობები – იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე, ნინო საკანდელიძე, ლევან ღლონტი, ამირან ტაკიძე, ნუნუ ხინიკაძე, ბერდია ინწკირველი, ცირა აბზიანიძე, ლუიზა ჯიბლაძე და სხვები. 60-70-იანი წლების რეპერტუარში შედის მსოფლიო და ქართული კლასიკური ნაწარმოებები (კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი”, ა. ოსტროვსკის „უმზითვო”, გილიერმოს „მელია და ყურძენი”, მოლიერის „ძალად ექიმი”, შექსპირის „მეთორმეტე ღამე”, ნ. გოგოლის „რევიზორი”, ჰაშეკის „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი”, ვაჟა-ფშაველას „მინდია”, „ალუდა ქეთელაური”, „სტუმარ-მასპინძელი” და სხვა).

70-80-იან წლებში თეატრში მოდის მსახიობების ახალი თაობა (ა. ქარჩავა, კ. კობალაძე, ბ. მიქაუტაძე, ლ. აბულაძე, ნ. გოგიტაური და სხვები, რეჟისორები – ზ. სიხარულიძე, მ. ლებანიძე). 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყანაში მიმიდინარე პროცესებმა, არასტაბილურმა ვითარებამ ხელისშემშლელი როლი შეასრულა თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკასა და ესთეტიკაზე. გასული საუკუნის 90-იან წლებში ლევან მირცხულავას მიერ დადგმული სპექტაკლები – ჟან ანუის „ტოროლა”, გრიგოლ რობაქიძის „ლამარა” – არსებითად ვერ ცვლის სურათს თეატრის კრიზისისადან გამოსვლის თვალსაზრისით.

2005 წლიდან ბათუმის თეატრში რეჟისორების – რობერტ სტურუასა და გიორგი თავაძის მოწვევის შემდეგ დგება შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდი. რობერტ სტურუას მიერ დადგმული „დარისპანის გასაჭირი” თეატრის განახლების საფუძვლად იქცა, ხოლო გ. თავაძის სპექტაკლებმა (ლ. ბუღაძის „ნუგზარი და მეფისტოფელი”, ი. სამსონაძის „საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში”, კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური”, ი. სამსონაძის „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით”) თეატრს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. ბათუმის თეატრი გახდა ევროპის თეატრების არაფორმალური ორგანიზაციის წევრი. 2006 წლიდან თეატრმა მონაწილეობა მიიღო არაერთ თეატრალურ ფესტივალში, რომელთა შორის აღსანიშნავია მიხეილ თუმანიშვილის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი” (2006 წ.), ლვოვის საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ლომი” (2008 წ.), ტრაპიზონის მე-10 საერთაშორისო ფესტივალი (2009 წ.) და სხვა.

თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ბათუმის თოჯინების თეატრმა, რომელიც 1936 წელს გაიხსნა „ტიკინების თეატრის” სახელწოდებით. პირველი სპექტაკლი „კაკოს ოინები” დადგა ცნობილმა რეჟისორმა გრიგოლ კოსტავამ. ბათუმის თოჯინების თეატრს დიდ დახმარებას უწევდა „სამუსლიმანო საქართველოს საქველ-

მოქმედო საზოგადოება”, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე. სწორედ ეს ფაქტი გახდა „ტიკინების თეატრის” მალე დახურვის მიზეზი. 1980 წელს ბათუმში ფუნქციონირებას იწყებს მუდმივმოქმედი თოჯინების სახელმწიფო თეატრი. თეატრში იდგმებოდა კლასიკოსი მწერლების და დრამატურგების, ასევე თანამედროვე ავტორების პიესები: შ. პეროს „წითელქუდა”, გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია”, ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი”, ეგზიუპერის „პატარა უფლისწული” და სხვა.

1991 წელს ბათუმში შეიქმნა ახალგაზრდული ექსპერიმენტული თეატრალური სტუდია, რომელმაც კოსტიუმირებული თითების საშუალებით წარმოადგინა სპექტაკლი „ექსტრავაგანსა”. მიუხედავად შემდეგ განხორციელებული სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების წარმოდგენებისა, ამ სტუდიას „თითების თეატრი” ეწოდა. 90-იანი წლებიდან თეატრს ხელმძღვანელობს რეჟისორი ბ. კუპრეიშვილი.

არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. XIX საუკუნის დასასრულს სწრაფად დაიწყო ზრდა ბათუმმა, განსაკუთრებით, რკინიგზისა (1883 წ.) და ნავთსადენის (1906 წ.) გაყვანის შემდეგ. ამ დროიდან ქალაქის გეგმარება ეფუძნება პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩების ქსელის პრინციპს. 1881 წელს გაშენდა ქალაქის ბაღი (დღევანდელი 6 მაისის პარკი), 1884 წელს – ბათუმის ზღვისპირა ბულვარი, 1912 წელს საფუძველი ჩაეყარა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უკვე ჩამოყალიბებულია ძველი ქალაქის მხატვრული სახე, რომლიც წარმოდგენილია ეკლექტური (ფსევდო კლასიცისტური, ბაროკული, გოთური, მავრული და სხვა), მოდერნის, კონსტრუქტივიზმის სტილის ნიმუშებით.

ქალაქის შემდგომი განაშენიანება საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფართოვდება ბულვარი. საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშებიდან აღსანიშნავია სასტუმრო „ინტურისტი”, რომელიც აშენდა ცნობილი არქიტექტორის ა. შჩუსევის პროექტით 1939 წელს, 1948 წელს აიგო საზაფხულო თეატრი არქიტექტორების კ. ჯავახიშვილისა და ბ. კირაკოსიანის პროექტით, 1952 წელს დასრულდა დრამატული თეატრის მშენებლობა (არქიტექტორი ლ. ტეპლიცკი); 1959 წელს აშენდა **ხელოვნების მუზეუმის** შენობა (არქ. კ. ჯავახიშვილი), 1959 წელს აიგო კულტურის სახლი თამარის დასახლებაში, რომელიც 2011-2012 წლებში რეკონსტრუირებულ იქნა ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრად (არქ. გ. ერქომაიშვილი, ვლ. ხმალაძე, გ. ხმალაძე).

პროფესიული სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანია მხატვრების - ვ. ილიუშინის, ფ. ეგოროვის, ი. სოკოლოვის, გ. სეჩენიანის, ი. ზაგოსკინის, ნ. პილიპენკოს წვლილი, რომელთაც განათლება მოსკოვსა და პეტერბურგში ჰქონდათ მიღებული. 1941 წელს მოეწყო აჭარის მხატვართა პირველი გამოფენა. 1970 წელს ბათუმში გაიხსნა საგამოფენო დარბაზი. თავისი ტრადიციებით

გამორჩეული აჭარის მხატვრობა ძირითადად რეალისტურ საფუძვლებს ემყარება. აჭარის მხატვართა საყვარელი თემა პეიზაჟის ჟანრს უკავშირდება. სწორედ ამ ჟანრში ვლინდება „კლასიკოს" ფერმწერთა ნიჭი, მხატვრული ხერხების თავისებურებანი. კლასიკური ფერწერის ტრადიციებს ემყარება სიმონ ართმელაძის, გივი ართმელაძის მთიანი აჭარის პეიზაჟები. ემოციურობა, ლირიკულობა, გრძნობის გამომჟღავნების სიღრმე ახასიათებს ვ. ბესელიას შემოქმედებას. დიდი პროფესიონალიზმი, ჰარმონიულობა გამოარჩევს შ. ზამთარაძის ფერწერას. იგი დიდი სიყვარულით გადმოსცემს საქართველოს კუთხეების პეიზაჟებს. ხასან ინაიშვილის მიერ შექმნილი ნატურმორტების გამართული კომპოზიციური წყობა, აკადემიზმი, დახვეწილობა მაგალითის მიმცემია ახალგაზრდა თაობებისათვის.

შ. ხოლუაშვილის შემოქმედების მთავარი თემაა აჭარის მოსახლეობის ცხოვრება. მის მიერ შექმნილი „განდაგანა", „ხორუმი", „ცეკვა ლაზური" სახვითი ხელოვნების საინტერესო ქმნილებებია. ინტენსიური ფერების ჰარმონია, სივრცის მოცულობითი გადმოცემა, განზოგადება ახასიათებს გ. ფუტკარაძის პეიზაჟებს. იგი მასშტაბურად, დინამიკურად, ტემპერამენტით გადმოგვცემს ბუნების სილამაზეს. მის ნაწარმოებებში ზეიმობს „ფერი".

XX საუკუნის დასასრულიდან თავს იჩენს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ნეორეალიზმი, ექსპრესიონიზმი, ჰიპერრეალიზმი, აბსტრაქტული ხედვა, ნეომოდერნიზმი და სხვა თანამედროვე მიმართულებები. ფილიგრანული ტექნიკითაა შესრულებული გელა გორგილაძის ჰიპერრეალისტური პეიზაჟები. ინდივიდუალური სტილისტური თავისებურებების ხასიათდება ვლ. შარაშიძის, ალ. ჩიტიშვილის, ზ. წულაძის, ზ. ხაბაძის ნამუშევრები. შემდეგი თაობების მხატვართა შემოქმედებაც (ნ. კვირკველია, ბ. კალანდაძე, ი. მარტინოვი, კ. ხოფერია და სხვა) ხასიათდება სტილისტური მრავალფეროვნებით, ინდივიდუალიზმითა და სითამამით.

ბათუმს ამშვენებს ცნობილ მოქანდაკეთა ქმნილებები – ილია ჭავჭავაძის ძეგლი, რომლის ავტორია ელ. ამაშუკელი, მოქანდაკე დ. ხმალაძის „მედეას" სკულპტურა, თამარ კვესიტაძის კინეტიკური ქანდაკება „ალი და ნინო", ბათუმის სკვერებსა და ბულვარს ამკობს დ. ბოლქვაძის, ვლ.ინაიშვილის საპარკო ქანდაკებები.

აჭარას თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1988.
1. კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, II, ბათუმი, 2011.
2. კომახიძე თ., აჭარის კულტურის ისტორია, ბათუმი, 1999.
3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.
4. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
5. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბილისი, 1991.
7. ქასაბი მ., ოსმალეთის ქართველები, სტამბოლი, 2012.
8. ჯანბერიძე გ., აჭარის თანამედროვე მხატვრობა, ბათუმი, 2012.
9. Acar Ahmet, Tarihte Hamsioglulari, Ankara, 1995.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. განსაზღვრეთ აჭარის და საერთოდ, სამხრეთ საქართველოს ადგილი ძველი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში.
2. დაასახელეთ საეკლესიო-სამონასტრო და საგანმანათლებლო ცენტრები შუა საუკუნეების აჭარაში.
3. შუა საუკუნეების აჭარის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის რომელ ნიმუშებს დაასახელებთ?
4. რა სახით შემოინახა ქართველობა (ენა, ცხოვრების წესი) აჭარის მოსახლეობამ ოსმალთა ბატონობის ხანაში და იმ დროის რომელი ცნობილი მოღვაწეების შესახებ შეგიძლიათ მოგვითხროთ?
5. გთხოვთ მოგვითხროთ ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის გათავისუფლების შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნის შესახებ.
6. გვესაუბრეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაზე.
7. გვესაუბრეთ აჭარაში სამეცნიერო დაწესებულებების ჩამოყალიბებასა და მათ მიღწევებზე.
8. რა იცით აჭარის კულტურის სფეროს ცნობილ მოღვაწეებზე (მწერლობა, მხატვრობა, თეატრი, მუსიკალური ხელოვნება)?
9. ვის სახელთან არის დაკავშირებული პროფესიული საგუნდო მუსიკის განვითარება აჭარის რეგიონში?
10. რა თავისებურებები ახასიათებს აჭარული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებს?
11. ჩამოთვალეთ საცეკვაო ხელოვნების პოპულარული ნიმუშები აჭარაში.
12. როდის გაიმართა პირველი ქართული თეატრალური წარმოდგენა ბათუმში?
13. როგორ განვითარდა ბათუმის დრამატული თეატრის ისტორია?
14. წარმოაჩინეთ თოჯინების თეატრის როლი სათეატრო ხელოვნების განვითარებაში.
15. რომელ პერიოდს უკავშირდება ბათუმის ურბანული სახის ჩამოყალიბება?
16. წარმოაჩინეთ პროფესიული სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბების, განვითარების ძირითადი მიმართულებები.

თავი X — აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები

აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

ფეოდალურ საქართველოში აჭარა (აჭარისწყლის ხეობა, ბათუმ-ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიები) საერისთავოს წარმოადგენდა და ადმინისტრაციულად იგი ჯერ ტაო--კლარჯეთის სამეფოში (Xს.), შემდეგ – საქართველოს ერთიან ფეოდალური სახელმწიფოში, ხოლო XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან – სამცხე-საათაბაგოში შედიოდა. ოსმალეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ზემო და ქვემო აჭარა ჩილდირის ვილაიეთში გაერთიანდა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად ერთ სანჯაყს წარმოადგენდა. ბათუმი შემოგარენით, ქობულეთის მხარე და ლაზეთი ტრაპიზონის ვილაიეთს ექვემდებარებოდა. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ჩილდირის ვილაეთის გაუქმების გამო, ზემო და ქვემო აჭარა ჯერ ერზერუმის ვილაეთში შევიდა, ხოლო 1844 წლიდან ტრაპიზონის ვილაიეთში გაერთიანდა. XIX საუკუნის 70-იან წლებისათვის როგორც ზღვისპირა, ისე შიდამთიანი აჭარა ტრაპიზონის ვილაეთის ფარგლებში იყო მოქცეული. ტრაპიზონის ვილაიეთი ოთხი სანჯაყისაგან (ლაზისტანის, ტრაპიზონის, გიუმიშხანესა და ჯანიკის) შედგებოდა. აჭარა ლაზისტანის სანჯაყში იყო გაერთიანებული და ადმინისტრაციულად იყოფოდა ორ მაზრად (ყაზა) და 7 რაიონად (ნაჰიე).

აჭარის მაზრა აერთიანებდა ქვემო და ზემო აჭარის, მაჭახლის, ლივანას რაიონებს. ბათუმ-ჩურუქსუს მაზრაში გაერთიანებული იყო ბათუმის, კინტრიშის, გონიოს რაიონები. ოსმალთა ბატონობის დროს სოფელი ადმინისტრაციულ ერთეულად არ ითვლებოდა და სასოფლო მმართველობა არ არსებობდა. სოფლის მამასახლისი, რომელიც ოსმალეთში ცნობილი იყო მუხტარის სახელით, მხოლოდ გადასახადების აკრეფას ეწეოდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ რუსული მმართველობა დამყარდა. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ორი ადმინისტრაციული ოლქი – ყარსისა და ბათუმის. თავდაპირველად ბათუმის ოლქი იყოფოდა სამ ოკრუგად (ბათუმის, აჭარისა და ართვინის) და 9 საპოლიციო უბნად. ბათუმის ოკრუგში შედიოდა ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს საპოლიციო უბნები. აჭარის ოკრუგში – ზემო აჭარის, ქვემო აჭარისა და მაჭახლის, ართვინის ოკრუგში – შავშეთ-იმერხევის, ართვინისა და არტანუჯის საპოლიციო უბნები. რუსეთის ხელისუფლებამ 900-იან წლებამდე შეინარჩუნა ოსმალური სასოფლო მმართველობა.

1883 წელს ბათუმის ოლქი გაუქმდა. ამის შემდეგ სამი ოკრუგის ნაცვლად შეიქმნა ორი (ბათუმისა და ართვინის). აჭარის ოკრუგი ბათუმის ოკრუგთან გაერთიანდა. 1903 წელს აღადგინეს ბათუმის ოლქი, რომელიც ართვინისა და ბათუმის ოკრუგებს აერთიანებდა. სასოფლო მმართველობის რეფორმა 1900 წელს განხორციელდა. შეიქმნა სასოფლო მმართველობის ორსაფეხურიანი სისტემა. პირველ საფეხურს შეადგენდა სასოფლო საზოგადოება, რომელიც ერთ მსხვილ ან რამდენიმე საშუალო და პატარა სოფელს აერთიანებდა. მმართველობის მეორე საფეხური იყო სასოფლო ოკრუგი, რომელშიც რამდენიმე სოფლის საზოგადოება შედიოდა. ბათუმის ოლქი ადმინისტრაციულად 22 სასოფლო ოკრუგად და 108 საზოგადოებად დაიყო. ოლქში შედიოდა ქალაქი ბათუმი, დაბა ართვინი და 487 სოფელი.

ქალაქი ბათუმი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც 1888 წლამდე პოლიცმაისტერი მართავდა. ამის შემდეგ ბათუმში შემოიღეს თვითმმართველობა: შეიქმნა არჩევითი ორგანო სათათბირო, რომლის წევრად არჩევა დამოკიდებული იყო ქონებრივ ცენზზე. სათათბირო ირჩევდა მუდმივმოქმედ ორგანოს – გამგეობას, რომელსაც სათავეში ედგა ქალაქისთავი. საერთოდ, ბათუმის ოლქის სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისას გათვალისწინებული არ ყოფილა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები (ჩაკეტილი ვიწრო ხეობები, ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული სოფლები, კომუნიკაციების განუვითარებლობა), რაც მოსახლეობისათვის სიძნელეებს ქმნიდა. მაგალითად, ზემო აჭარაში, რომელიც დღევანდელ ხულოსა და შუახევის რაიონებს მოიცავდა, მხოლოდ 4 სასოფლო ოკრუგი შედიოდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის (1921წ.) შემდეგ შეიცვალა აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ბათუმის ოლქის დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს. საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა დღევანდელი აჭარა, რომლის ფართობი 2900 კმ^2-ს შეადგენს. 1921 წლის 17 ივლისს გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ამის შემდეგ მნიშვნლოვანი ცვლილებები განიცადა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა მოწყობამ. პირველ რიგში შეიცვალა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელწოდება: საპოლიციო უბანს ეწოდა მაზრა, ხოლო სასოფლო ოკრუგს – სასოფლო თემი, თუმცა მათი საზღვრები არ შეცვლილა. ამ მიმართულებით პირველი ცვლილება განხორციელდა წითელი მეჯლისის 1921 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით, რომელიც მიღებული იყო საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით.

ამ დადგენილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სისტემაში შედიოდა ქალაქი ბათუმი და ხუთი მაზრა: ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, აჭარისწყალი, ბათუმი და ქობულეთი. უცვლელი დარჩა ცარიზმის დროინდელი სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში ახალი ცვლილებები მოხდა XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ მიმართულებით რეფორმა გატარდა 1923-1924 წლებში. ამის შემდეგ შეიცვალა მაზრებისა და სასოფლო ოკრუგების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები და მოსახლეობის რიცხოვნობა. ძველი საპოლიციო უბნების გადანაწილების შედეგად შეიქმნა ჭოროხისა და აჭარისწყლის მაზრები. ზემო აჭარას ეწოდა ხულოს მაზრა, ქვემო აჭარას – ქედის, კინტრიშის მაზრას – ქობულეთის. სასოფლო ოკრუგები სასოფლო თემებად დანაწილდა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1929-1930 წლებში განხორციელდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი რეფორმა. გაუქმდა მაზრები და მათ ნაცვლად შეიქმნა რაიონები. ქალაქი ბათუმი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გახდა, როგორც 1926 წლამდე იყო. ქალაქის დაქვემდებარებიდან გამოიყო სოფლები და მათ ბაზაზე შეიქმნა ბათუმის რაიონი. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, აჭარაში ითვლებოდა ერთი ქალაქი (ბათუმი), ერთიც დაბა (ქობულეთი) და ოთხი რაიონი: ქობულეთის, ბათუმის, ქედისა და ხულოს. 1971 წელს ბათუმის რაიონს ეწოდა ხელვაჩაურის რაიონი.

ყველაზე დიდი ტერიტორია ეკავა ხულოს რაიონს (1298 კმ^2). იგი აჭარის საერთო ტერიტორიის 44,8%-ს უდრიდა. 1952 წელს ხულოს რაიონს გამოეყო 588 კმ^2 ტერიტორია და მის ბაზაზე შეიქმნა შუახევის რაიონი. ქობულეთის რაიონის ტერიტორია 720 კმ^2 შეადგენ-

და, ქედის – 452 კმ^2. 1952 წლის შემდეგ აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა რაიონულ დონეზე აღარ შეცვლილა. ცვლილებები განიცადა საქალაქო და სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა მოწყობამ. 1944 წ. დაბა ქობულეთი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად. ბათუმის ტერიტორია გაფართოვდა ხელვაჩაურის რაიონის სოფლების ხარჯზე. 2010-2011 წლებში ხელვაჩაურის რაიონის სოფლები – კახაბერი, ადლია, ასევე შარაბიძეების, ხელვაჩაურის და მახინჯაურის ერთი ნაწილი ქალაქ ბათუმის დაქვემდებარებაში გადავიდა. ტერიტორიულად ქალაქი დაიყო მიკრორაიონებად და შეიქმნა შესაბამისი მართვის ორგანოები. 1954 წელს ქალაქის ტიპის დასახლებად (დაბა) გარდაიქმნა ჩაქვი და ოჩხამური, 1959 წელს – მახინჯაური, 1964 წელს – ხულო, 1966 წელს – ქედა, 1968 წელს – ხელვაჩაური, 1974 წელს – შუახევი.

1930 წლის რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. 1924 წელს არსებული 20 თემის ნაცვლად 50 სასოფლო საბჭო შეიქმნა. ქობულეთის რაიონში იყო 13 სასოფლო საბჭო, რომელშიც 85 სოფელი შედიოდა 5574 კომლით, ბათუმის რაიონში ამდენივე სასოფლო საბჭოში 95 სოფელი ითვლებოდა 6713 კომლით. ქედის რაიონში იყო 7 სასოფლო საბჭო (47 სოფელი 3174 კომლით), ხულოს რაიონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად დაიყო 17 სასოფლო საბჭოდ (127 სოფელი 6013 კომლით).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1991 წლის მარტში შეიცვალა რაიონული მმართველობის სტრუქტურები – გაუქმდა რაიონული საბჭოს აღმასკომი და მის ნაცვლად შემოღებული იქნა რაიონის პრეფექტურა. ცოტა მოგვიანებით, 1991 წ.-ის აგვისტოში, გაუქმდა პარტიის რაიონული კომიტეტებიც. ამავე დროს სასოფლო საბჭოებს ეწოდათ საკრებულოები.

2006 წლიდან, თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, რაიონებს ეწოდათ მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტი არის თვითმმართველი ერთეული.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა. საკრებულო არჩევითი ორგანოა, რომელიც შედგება ათი პროპორციული სისტემით და ყოველი სასოფლო თემიდან არჩეული ერთი მაჟორიტარი წევრისაგან. მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქმიანობას თავისი სამსახურების საშუალებით. საკრებულოს თავმჯდომარე არის თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი.

იმჟამად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით) შედის ორი ქალაქი (თვითმმართველი ქალაქი ბათუმი და ქობულეთი), ხუთი მუნიციპალიტეტი (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო), შვიდი დაბა, 56 სოფლის საკრებულო (თემი) და 333 სოფლის დასახლებული პუნქტი.


აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკა
ბ ა თ უ მ ი
ს ა მ ც ხ ე - ჯ ა ვ ა ხ ე თ ი
შ ა ვ ი
ზ ღ ვ ა
ო ზ ურ გ ე თ ი

ქალაქი ბათუმი

ისტორია

ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის მეტად მოხერხებულ ყურესთან, რომელიც საკმაოდ ღრმა და კარგად დაცულია ქარებისგან. ამის გათვალისწინებით, იგი მოხერხებულ სანავსადგურო ადგილს წარმოადგენს. აქ თანამედროვე ქალაქ-ნავსადგურის შექმნამ ბათუმი გადააქცია უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების საკვანძო პუნქტად, რომელმაც საქართველო და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნები დაუკავშირა როგორც ერთმანეთს, ისე სხვა რეგიონებს.

ბათუმის ტერიტორია ვაკე ადგილს წარმოადგენს. იგი გაშენებულია კახაბრის დაბლობზე. ეს ადგილი ოდესღაც ზღვის ფსკერს წარმოადგენდა, შემდეგ კი მდინარე ჭოროხის მიერ მოტანილი მასალით დაიფარა.

ბათუმში ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. მისთვის დამახასიათებელია ტემპერატურის მცირე ამპლიტუდა, თბილი ზამთარი, ჰაერის მაღალი სინოტივე და ნალექების დიდი რაოდენობა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა ბათუმში 2412 მმ-ს შეადგენს; მათი უდიდესი ნაწილი შემოდგომასა და ზამთარში მოდის. წვიმები ხშირად თავსხმა ხასიათისაა. თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება. დიდია ღრუბლიანობა.

ბათუმის მიდამოებში ზღვას რამდენიმე მდინარე ერთვის. მათგან სიდიდით გამოირჩევა ჭოროხი. ქალაქს ჩრდილო-დასავლეთით ჩამოუდის მდინარე ყოროლისწყალი, რომელიც ბათუმს ამარაგებს სასმელი წყლით. იქვე, გვერდით, მოედინება ბარცხანის წყალი.

ბათუმის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კულტურულ ნაყოფიან და დეკორატიულ მცენარეებს უკავია. აქ შეხვდებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მცენარეულობის წარმომადგენლებს. ქალაქის მიმდებარე მაღლობები და თვით პარკები ათასგვარი დეკორატიული ხეებითა და ბუჩქებით არის დამშვენებული. ეს მეტად უხვი და მარადმწვანე სამოსელი დიდ სილამაზეს აძლევს ბათუმს.

მდ. ყოროლისწყლის შესართავთან, **ბათუმის ციხის** მიდამოებში, პირველი დასახლება ძვ. წ. II ათასწლეულში გაჩენილა. ამავე პერიოდში ათვისებული ჩანს ბათუმის გორას მიმდებარე სხვა სოფლებიც – განთიადი, ურეხი, მახვილაური და ა.შ. სულ მალე ბათუმი ამ რეგიონის ეკონომიურ და კულტურულ ცენტრად იქცა. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ პირველ ხანებში გორასამოსახლოზე უცხოვრიათ თიხით შელესილ ხის ნაგებობებში. ბორცვს გარს უვლიდა ხისმესერიანი დამცველი თხრილი.

სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთევზეობა და ხელოსნური წარმოება. გავრცელებული ჩანს ხარისა და ცხვრის კულტი.

ძველი ბათუმის მოსახლეობა ადრეული ეპოქიდან ებმება საგარეო ვაჭრობის ურთიერთობაში. აქ მოპოვებული იონური და ეგეოსის ზღვის კუნძულების სახელოსნო ცენტრების ნაწარმის ერთი ნაწილი ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დამდეგს მიეკუთვნება. კოლხეთის ტერიტორიაზე ადრეული თეთრანგრებიანი ქიოსური ამფორები ჯერჯერობით მხოლოდ ბათუმის ციხეზეა დადასტურებული. მკვლევართა (დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე) აზრით, ბათუმის მიდამოები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წარმოადგენდა კოლხებისა და ბერძენი მოახალშენეების პირველი შეხვედრების ადგილს, რომელსაც დასაწყისში მშვიდობიანი ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. მომდევნო ეპოქებში გორასამოსახლო ადგილობრივი დასახლების სტატუსს ინარჩუნებდა და ძვ. წ. VI საუკუნიდან მას განსაკუთრებული აღმავლობა ემჩნევა. ელინურ სამყაროსთან რეგულარული კონტაქტების დამყარებამ ხელი შეუწყო ზოგიერთი ხელოსნური დარგის გაფართოებასა და სასაქონლო წარმოების ზრდას. ბათუმის დასახლება იქცა ურბანიზებულ სამოსახლოდ, რომლის საშუალებითაც ძვ. წ. VI საუკუნეში ხორციელდება კონტაქტები ანტიკურ სამყაროს სხვადასხვა საწარმოო ცენტრთან (ქიოსი, ლესბოსი, სამოსი, საბერძნეთის იონური ცენტრები და ა.შ.).

ადრეელინისტური ხანისათვის გაუკეთებიათ ბორცვის თხემის ნიველირება. ახალ შენობათა ერთი ნაწილი ქვისაგან უნდა ყოფილიყო ნაგები; გამოიყენებოდა კრამიტიც. როგორც ჩანს, გვიანანტიკურსა და შუა საუკუნეების სხვადასხვა მონაკვეთზე სამოსახლო ფართოვდებოდა, მისი საზღვრები მიიწევდა სამხრეთისკენ.

ბათუმის თანამედროვე რელიეფის საბოლოო ფორმირებამ და მოხერხებული ნავმისადგომის წარმოქმნამ ხელი შეუწყო ახალი დასახლებების გაჩენას საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიიდან ბათუს-სებასტოპოლისის (ციხისძირი) უბანზე გავლით დიოსკურია-სებასტოპოლისაკენ (სოხუმი) მიემართებოდა. იგი რომის სახელმწიფოს აღმოსავლეთ პროვინციებს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა. ჯერ რომაელებს, ხოლო შემდეგ ბიზანტიელებს ამ გზით გაჰქონდათ სხვადასხვა ნედლეული. ამავე გზას უკავშირდებოდა აგრეთვე ინდოეთიდან მომავალი კასპიის ზღვა-მტკვარ-რიონის საქარავნო-სანაოსნო არტერიაც, რომელზეც დიდი სავაჭრო მიმოსვლა წარმოებდა. ამ გზებს, თავიანთი მნიშვნელობის გამო, უნდა დაეჩქარებინა ქალაქ ბათუმის განვითარება. მართალია, ეს გზა უშუალოდ ბათუმზე არ გადიოდა, მაგრამ ეკონომიკურად ხელსაყრელ რაიონში მდებარეობას გავლენა უნდა მოეხდინა მის ფორმირებაზე. ამის მიუხედავად, ბათუმი მსხვილ ქალაქ-ნავსადგურად მაინც ვერ განვითარდა. მოგვიანებით თბილისი-ახალციხე-ბათუმზე გადიოდა სავაჭრო არტერია, რომელსაც უერთდებოდა სომხეთიდან და არტანუჯიდან მომავალი გზები. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში მრავალჯერაა მოხსენიებული. აქვე ზოგჯერ დასახელებულია რომელიღაც დასახლებული პუნქტები, ფონეტიკურად ახლოს მდგომი თანამედროვე ბათუმის სახელთან, მაგრამ მათი ლოკალიზაცია დღესაც დაუდგენელია.

თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, ბათუმის შესახებ უძველესი ცნობა არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) უნდა ეკუთვნოდეს. მასთან მოხსენიებული „ბათეა“ (ბერძნულად – „სიღრმეები“) მეცნიერს ბათუმის აღმნიშვნელად მიაჩნია. ბათუმი, როგორც ქალაქი, უკვე ძვ. წ. 400 წელს რომ იყო ცნობილი, თავის დროზე ჟან მურიეც მიუთითებდა.

ბათუმს იხსენიებს პლინიუსიც (23-79 წწ.) „ბატა“-„მატიუმი“-ს ფორმებით. მასთან ციხე-ქალაქ აფსაროსისა (გონიო) და მდ. აფსაროსის (ჭოროხის) შემდეგ, სადღაც ახლოს, დასახელებულია მდ. ბატა. იქვე მოიხსენიება ქალაქი მატიუმიც. ამ პუნქტის ზუსტი ლოკალიზაცია ჯერ არ მოუხდენიათ, მხოლოდ არის ცდა მისი კლავდიოს პტოლემაიოსის „მადია“-სთან გაიგივებისა.

მეორე რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე – არიანე, რომელმაც პლინიუსის მსგავსად, კოლხეთისა და ქართლის სანაპიროები მოიარა, აფსარუნტს გარდა არც ერთ დასახლებულ პუნქტს არ ასახელებს აჭარის ტერიტორიაზე. მასთან მოიხსენიება მდინარე სახელით ბათისი (ყოროლისწყალი), რომელიც ფონეტიკურად ახლოს დგას ბათუმის თანამედროვე სახელთან. შესაძლებელია, არიანე იმიტომ არ დაინტერესდა ბათუმით, რომ იქ მაშინ რომაელთა სამხედრო გარნიზონი არ იდგა.

რომაულ საგზაო რუკაზე, ე.წ. „ტაბულა პევტინგერია“-ზე (IV ს.), დაახლოებით თანამედროვე ბათუმის ადგილას, დატანილია გეოგრაფიული პუნქტი „პორტუს ალტუს“. ანტიკური წყაროების ანალიზის საფუძველზე ს. ყაუხჩიშვილი ასკვნიდა, რომ მსოფლიო რუკაზე ბათუმის შეტანა ნიშნავდა, რომ იმ დროს, II საუკუნეში, იგი მნიშვნელოვანი ქალაქი და ნავსადგური იყო.

პასქალურ ქრონიკაში (VII ს.) მოხსენიებულია „მეგალე პოლისი“ („დიდი ქალაქი“). მას ს. ყაუხჩიშვილი ბათუმთან აიგივებს, ი. სიხარულიძე და დ. ხახუტაიშვილი კი აფსაროსთან (გონია).

სახელწოდება „ბათუმის“ წარმომავლობის შესახებ არსებობს რამდენიმე შეხედულება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ტერმინში „ბათ“ ძირი უკავშირდება ფრინველის სახელს – ბატი, მეორენი – ფლორონიმის სახელს – ბათურა, მესამენი – ჭაობიან ადგილს. გვაქვს განსხვავებული შეხედულებებიც: ტერმინში გამოყოფილი „ბა“ ისეთივე პრეფიქსი უნდა იყოს, როგო-

რიც არსებობს ძველქართულ სიტყვებში – ბალღი, ბავშვი და ა.შ., ხოლო „თომი“ უნდა უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას ტომბა, ტობა; ან კიდევ, შესაძლებელია „ბათ“ ძირი იყოს სვანური წარმომავლობის და ნიშნავდეს ქვას. ასევე არის შეხედულება, რომ ბათ//ბატა ადამიანის საკუთარი სახელია (სიტყვა მეგრულია და ქართულად ნიშნავს „ნაზი“), რასაც თითქოს აჭარაში შემონახული თქმულებაც უნდა ამაგრებდეს. ამ გადმოცემის მიხედვით ქალაქი დაუარსებია ვინმე ბათუ//ბატას.

ფეოდალურ საქართველოში ბათუმის ნავსადგურის როლისა და მნიშვნელობის შესახებ წყაროები ძალზე ძუნწია, თუმცა ამ მხრივ იგი არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს. საერთოდ, შავიზღვისპირა ქართული ქალაქების შესახებ ცნობები მცირეა. საშუალო საუკუნეებში შავი ზღვისპირა ქალაქების აღწერილობის შემცველი ცნობების უქონლობა ან ნაკლებობა არავითარ უფლებას არ იძლევა მათი არსებობის შესახებ უარყოფითი დასკვნების გამოსატანად.

მრავალრიცხოვანი საბუთებიდან ჩანს, რომ ფეოდალურ საქართველოს (განსაკუთრებით, XI-XIII საუკუნეებში) უაღრესად დიდი, იმდროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაცხოველებული ჩანს ირანთან, ინდოეთთან, შუა აზიის ქვეყნებთან (განსაკუთრებით, ხვარაზმთან), რუსეთთან, ბიზანტიასთან და საერთოდ, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან.

ფეოდალური საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, ცხადია, საზღვაო ტრანსპორტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა, რომელი უნდა ყოფილიყო ის მნიშვნელოვანი ნავსადგური, რომელიც XII-XIII საუკუნეების მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი, ეკონომიკურად დაწინაურებული და მეურნეობის თვალსაზრისით მრავალდარგოვან საქართველოს სახელმწიფოს ექსპორტისა და იმპორტის ყველა მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა?

XII-XIII საუკუნეების საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ნავსადგური შავ ზღვაზე შეიძლებოდა ყოფილიყო ბათუმი. მხოლოდ ბათუმს გააჩნდა ისეთი ყურე, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ სავაჭრო გზაჯვარედინზე იყო და იგი საუცხოო ბუნებრივ ნავსადგურს წარმოადგენდა გემებისათვის.

XIV საუკუნის შუა წლებში ბათუმი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ დაცემასთან დაკავშირებით დაკნინებული ჩანს, მაგრამ მაინც ისეთი პუნქტია, რომ დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად აქ ერთმანეთს ხვდებიან მეფეები და სხვა სახელმწიფო მოღვაწეები. ბიზანტიელი ისტორიკოსი მიხეილ პანარეტი მოგვითხრობს, რომ 1372 წელს ბაგრატ მეფის სანახავად ტრაპიზონის მეფე ლაზიკაში მისულა. აქ მას მოლაპარაკება ჰქონია გურიელთან, რომელიც აქვე კეისართან მოსულა თაყვანის საცემად.

ბათუმის შესახებ ახალი ცნობები ეკუთვნით ვენეციელ დესპანებს იოსიფა ბარბაროსა და ამბროზიო კონტარინის, რომლებმაც ბათუმი 1470-1475 წლებში მოინახულეს. მათი სიტყვით, ბათუმი (ვატი) მაშინ პატარა ციხე-ქალაქი ყოფილა, რომელიც გორბოლას (ყუარყვარე – სამცხის ათაბაგი) ჰკუთვნებია. მასვე ჰქონია კიდევ ერთი ქალაქი ქალტიხეა (ციხისძირი ან ქობულეთი) შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც აბრეშუმით, ტილოს ქსოვილით, თაფლითა და სხვა საქონელით ვაჭრობდნენ.

დაახლოებით ამავე პერიოდში (1420-1426 წწ.) ბათუმში ყოფილა გერმანელი იოჰან შილტბერგერი. იგი მოგვითხრობს, რომ ბათუმის მოსახლეობა ქრისტიანობის მიმდევარია,

ლაპარაკობს განსაკუთრებულ ენაზე და არის მებრძოლი ხალხი. აქედან ხომალდები მიცურავენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნისაკენ, მათ შორის, იტალიისა და ბიზანტიის მიმართულებით. შავ ზღვას ფლობენ თურქები. საერთოდ, ბათუმი ხშირადაა მოხსენიებული ამავე პერიოდის (XIV-XV საუკუნეები) იტალიურ რუკებზე, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ პერიოდში აღნიშნული ქალაქი საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგური და ერთ-ერთი ცნობილი სავაჭრო ცენტრი იყო საქართველოში და, საერთოდ, შავ ზღვაზე; იგი მოიხსენიება ვესკონტესთან, ბენიკაზასთან, პიციგანისთან, ანკონელისთან, ლუქსოროსთან, ხანკონდილესთან და სხვებთან შემდეგი სახელებით – ვატი, ვარუ, ლოვარ, ლოვატი და ა.შ.

ამრიგად, XIV-XV საუკუნეებში ბათუმი პატარა ქალაქი და ნავსადგურია, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წარმოიშვა ქვეყნის ეკონომიკური დაცემის პერიოდში, როცა ხალხს თავის რჩენა უძნელდებოდა. ცხადია, ასეთი ვარაუდი არ იქნებოდა გონივრული.

მასალების გაცნობამ მკვლევრები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ XI-XIII საუკუნეებში საქართველოს ცხოვრებაში ბათუმი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც სავაჭრო ნავსაყუდელი და სატრანსპორტო პუნქტი. მომდევნო ეპოქაში მას განვითარება არ ღირსებია, პირიქით, თანდათან უფრო კნინდებოდა და ეცემოდა. ბოლოს იგი მეკობრეთა თავშესაფარი გახდა. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებს ერთგვარ გამოცოცხლებას აქ ცხოვრება.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმი და მისი ნავსადგური ოსმალეთის სახელწიფოს გავლენის სფეროშია მოქცეული. მათ 1547 წელს გონიას ციხესიმაგრე განაახლეს, მაღალი გალავანი შემოარტყეს და შიგ სამხედრო გარნიზონი ჩააყენეს. აქედან მოყოლებული, სისტემატურად ახორციელებენ ბათუმზე თავდასხმებს. 1704 წელს ოსმალეთის სულთანმა ვეზირი ხასან-ფაშა გამოგზავნა ბათუმში ნავსადგურის სიახლოვეს, ბურუნ-თაბიეს კონცხთან, მძლავრი ციხესიმაგრის ასაგებად. აქ თურქთა 40 საბრძოლო ქვემეხი განალაგეს. მსგავსი ციხესიმაგრე აიგო მდინარე სარი-სუს, ანუ ყვითელი წყლის შესართავთან, ახლანდელი საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე, რომელსაც სარი-სუს სიმაგრე უწოდეს. ამ ორი ციხესიმაგრის აგების, ასევე, საზღვაო მიმოსვლისა და აღებმიცემობის ინტენსიური გაჩაღების შემდეგ, იწყება ქალაქის თანდათანობითი გადმონაცვლება მის ახლანდელ ტერიტორიაზე, რაც განაპირობა ბათუმის მოხერხებული და ღრმა ყურის არსებობამ, სადაც დიდი წყალწყვის გემების გაჩერების კარგი პირობები იყო. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ბათუმში დამპყრობლებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამ მხარის გამგებელი მუთესარიფია, რომლის კონტროლის ქვეშაა მოქცეული ბათუმის ნავსადგური. იგი

აწესრიგებდა ვაჭრობის საქმესაც, რომელიც, უმთავრესად, უცხო სახელმწიფოთა ხელში იყო.

ბათუმისა და მისი ნავსადგურის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველო შეიერთა რუსეთმა. ეს უკანასკნელი იბრძოდა შავ ზღვაზე გაბატონებისათვის, რაშიც ბათუმის პორტის ადგილი მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფოთს, ყულევსა და სოხუმს არ გააჩნდათ სათანადო ბუნებრივი მონაცემები. ბათუმის ნავსადგურის დიდ სავაჭრო ეკონომიურ და სამხედრო მნიშვნელობას აღიარებდნენ რუსეთის მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირებიც და მისი დაუფლებისათვის ენერგიული ბრძოლის გაჩაღებასაც მოითხოვდნენ. რუსეთ-საქართველოდან მოსალოდნელ საფრთხეს კარგად ითვალისწინებდა თურქეთის მთავრობა და მან ის როგორც ზღვიდან, აგრეთვე ხმელეთიდან ყოველმხრივ გაამაგრა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან „ახალი ბათომის“ მშენებლობა დაიწყო. ქალაქმშენებლობა გავრცელდა სამხრეთით და 70-იან წლებში დასრულდა ე.წ. „აზიზიეს” უბნის შექმნით.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწების რუსეთის ხელში გადასვლით, აჭარა დედასაქართველოსთან დაბრუნდა. ბერლინის კონგრესის დადგენილებით, ბათუმი რუსეთის მფლობელობაში პორტო-ფრანკოს უფლებით შევიდა. იგი მსოფლიო სავაჭრო მიმოქცევაში ჩაება, რამაც განაპირობა მსხვილ ქალაქ-ნავსადგურად მისი გადაქცევა. ბათუმის საპორტო მონაცემებს სათანადოდ აფასებდა რუსეთის კავკასიური ხელისუფლება, რომელმაც ოლქის შექმნის შესახებ 1878 წლის 20 სექტემბრის დებულების მეშვიდე მუხლით, ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრს – ბათუმს ოფიციალურად მიაკუთვნა „ქალაქ-ნავსადგურის“ სტატუსი. ამის მიუხედავად, მას მაინც არ შეუქმნეს თვითმმართველობის ორგანო. შესაძლებელია, ეს იმიტომ, რომ მთავრობა აქ სამხედრო ციხესიმაგრის მშენებლობას გეგმავდა. ბათუმს განაგებდა პოლიცმეისტერი და მხოლოდ 1888 წელს, საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით, დაფუძნდა აქ საქალაქო თვითმმართველობა. ამით საბოლოოდ დასრულდა ბათუმის, როგორც ქალაქის, ჩამოყალიბება.

ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღებამ, რკინიგზით გარე სამყაროსთან დაკავშირებამ და ბაქო-ბათუმს შორის ნავთობსადენის ამოქმედებამ საგრძნობლად გაზარდა და გააფართოვა ქალაქის ტერიტორია. ბიძგი მიეცა ვაჭრობისა და კუსტარული მეურნეობის განვითარებას. შენდებოდა ბიბლიოთეკები, სკოლები, გიმნაზიები, ფაბრიკა-ქარხნები და ა.შ. 1881 წლიდან დაიწყო ნური-გელის ტბის მიდამოების ათვისება საქალაქო ბაღის მოწყობის მიზნით. 1884-1885 წლებში მიმდინარეობდა ნავსადგურის მშენებლობა. დაინერგა კავშირგაბმულობის უახლესი საშუალებები, კერძოდ, 1885 წლის 1 აპრილს ბათუმში პირველი სატელეფონო ზარი გაისმა. თანდათანობით იზრდებოდა ბათუმის მოსახლეობაც. თუ 1872 წელს ქალაქში მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 3000 კაცს, 1882 წლისათვის მათი რიცხვი 8671-მდე გაიზარდა. პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ (1886 წ.) ბათუმი კიდევ უფრო განვითარდა. იგი გადაიქცა ბაქოს ნავთობის ექსპორტის მსხვილ ცენტრად. 1902 წელს აქ 22 სამრეწველო ფირმა და სავაჭრო დაწესებულება არსებობდა. XX საუკუნის დამდეგისათვის ბათუმი სამართლიანად ითვლებოდა მესამე ქალაქად ამიერკავკასიაში ბაქოსა და თბილისის შემდეგ. მრეწველობის განვითარებასთან ერთად ხდებოდა მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა.

XIX საუკუნის ბოლო მესამედის ბათუმის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ქართველი და უცხოელი მკვლევრები და მოგზაურები, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები (ჯიფორდ პალგრევი, დ. ბაქრაძე, ალ. ფრენკელი, ს. მესხი, ნ. დაკიშევიჩი, ჟ. მურიე, ე. ერიქსონი, მ. დერჟავინი, ვ. ლისოვსკი, ნ. შავროვი, ნ. ვერუ და სხვ.). ისინი, მეტნაკლები სიზუსტით, თითქმის ერთნაირად გვაცნობენ ამ პერიოდის ბათუმის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას.

ქალაქის ტერიტორიულმა გაფართოებამ, ბინათმშენებლობისა და ახალ საწარმოთა ინტენსიურმა განვითარებამ აუცილებელი გახადა ქ. ბათუმის ახლებურად დაგეგმარება.

ბათუმის განაშენიანება

1863 წელს, სულთან აბდულ-აზიზის მმართველობის დროს გაიცა ფირმანი, რომლის მიხედვით, ტრაპიზონის ვილაეთის ვალის ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქი უნდა აეშენებინა, რომელიც ლაზისტანის საფაშოს ცენტრი გახდებოდა.

გეგმა ითვალისწინებდა ქუჩების დაგეგმარებას გეომეტრიული წესით და დადგენილი სიფართით. ქალაქი უბნებად უნდა დაყოფილიყო, რომლის ცენტრში მეჩეთი უნდა აგებულიყო. 1860-ანი წლების ბოლოსთვის ახალი ქალაქის მშენებლობა ძირითადად დასრულებული იყო. ქალაქი ხუთ უბნად გაიყო – ***აზიზიე,*** ცენტრში სულთან აზიზის სახელობის მეჩეთით (მოიცავდა ტერიტორიას დღევანდელი რუსთაველის, გორგასლის და კ. გამსახურდიას ქუჩებს შორის და წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ უბანს); ***ახმედიე,*** ცენტრში ახმედ ხიმშიაშვილის მიერ აგებული მეჩეთი, დღევანდელი ორთაჯამე (მოიცავდა ტერიტორიას დღევანდელი ვ. გორგასლის, კ. გამსახურდიას და ი. ჭავჭავაძის ქუჩებს შორის, თბილისის მოედანსა და ყოფილი ცენტრალურ ბაზარს შორის უბნებს); ***მუფთიე,*** იგივე ლიმან მეჰელე, ცენტრში ვიღაც მუფთის სახელობის მეჩეთით (მდებარეობდა ყურის სამხრეთით და მოიცავდა ი.გოგებაშვილისა და ა.წერეთლის ქუჩებს შორის ტერიტორიას); ***ნურიე*** (მოი-

ცავდა ტერიტორიას ნ.ბარათაშვილის ქუჩიდან ნურიეს ტბის მიდამოების ჩათვლით); ***სარი-სუს უბანი*** (რუსეთის იმპერიის პერიოდიდან გოროდოკი, მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ბარცხანას სამხრეთით, რომელსაც ესაზღვრებოდა მუფთიეს უბანი, ხოლო სამხრეთით გა-უვალი ჭაობები). 1864-1866 წლებში კონცხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ოსმალებმა აა-გეს ქვის, ზარბაზნებით გამაგრებული სიმაგრე „ბურუნ თაბიე“.

ქალაქში ძირითადად ორსართულიანი სახლები იყო გაშენებული, სადაც ლაზისტანის საფაშოს გუბერნატორის რეზიდენცია, სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული დაწესე-ბულებები იყო განლაგებული. ქალაქში არსებობდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის მარ-თლმადიდებლური ეკლესია, სომხურ-კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიები. ცენ-ტრალური ბაზარი თანამედროვე გოგებაშვილის, მაზნიაშვილის და ჭავჭავაძის ქუჩებს შო-რის მდებარეობდა.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის მიხედვით, ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა პორტო-ფრანკოს, ანუ თავისუფალი სავაჭრო პორტისა და ქალაქის სტატუსით. 1886 წლამდე ქალაქი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა (შემდგომში ის ბათუმის ოკრუგის ნაწილია), საკუთარი ბიუჯე-ტით და პოლიცმეისტერის ხელმძღვანელობით. 1888 წლიდან ბათუმში საქალაქო მმართვე-ლობა შემოდის, რომლის არჩევნებიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა.

1880-იანი წლებიდან ბათუმი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ამ პერიოდში ქა-ლაქის მნიშვნელობას ძირითადად პორტი განაპირობებდა, მაგრამ მისი მოუწესრიგებლობა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს. ამიტომ, 1878 წლიდან პორტის გაფართოებისა და მოწესრიგებისათვის სამუშაოები დაიწყო. 1879 წელს დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის განკარგულებით შეიქმნა განსაკუთრე-ბული კომისია, რო-მელმაც 1885 წელს გზათა სამინისტროს მიერ შედგენილი პრო-ექტი დაამტკიცა. პრო-ექტი კონტრადმირალ ა. გრევეს ადრეულ პროექტს ეყრდნობოდა. საპროექტო სამუშაოე-ბი 1885 წელს დაიწყო და 1889 წლისათვის გაკეთდა ნავთობის ნავსადგური ჩამოსასხმელი ხაზებით, სანაპირო კედელი, შუქურა. 1893 წელს ნავსადგური კვლავ გააფართოეს და დამატებით გაკეთდა ნავსადგურები, ნავმისადგომები, ზვირთსაქცე-ვი. ამის შემდეგ პორტის დატვირთვის გამო მისი გაფართოება ეტაპობრივად მიმდინარეობ-და – ემატებოდა ნაწილები, უმჯობესდებოდა ინფრასტრუქტურა. ნავთობის ექსპორტი ბა-



თუმის პორტის ძირითად მიმართულებად იქცა.

ბათუმის განვითარებას ხელი შეუწყო რკინიგზამ. 1878 წლიდან უკვე არსებულ თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზზე ბათუმის მიმართულებით ხაზის გაყვანის სამუშაოები დაიწყო. შესაბამისი პროექტი (სამტრედია-ბათუმის ხაზი) 1880 წელს დამტკიცდა, ხოლო მშენებლობა 1883 წელს დასრულდა. რკინიგზის ტვირთბრუნვაში დიდი იყო ნავთობის წილი.

ქალაქის აქტიურმა ზრდამ ძველი დაგეგმარებისა და საზღვრების ცვლილების საჭიროება გამოიწვია. პირველი გეგმა, რომელიც ქალაქის უბნების, საზღვრების და ნაწილების ცვლილებას ითვალისწინებდა, 1878 წლის ინსტრუმენტალურად გადაღებული საყრდენი გეგმა იყო (სამხრეთით და დასავლეთით განვითარება, ტბის ამოშრობა, სასაფლაოების გადატანა, სამხედრო ზონის გამოყოფა და ა.შ.). 1887-1893 წლებში დაკიშევიჩის გეგმის მიხედვით ხდება ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით განვითარება, ფართობის ზრდა, ქალაქის ინფრასტრუქტურისა და იერსახის გაუმჯობესება. ამ პერიოდში ბათუმის საზღვრები პორტო ფრანკოს საზღვრებში მოიაზრებოდა. შემდგომ ეტაპს წარმოადგენს უზენაესად დამტკიცებული 1898-1899 წლების ბათუმის ოლქის საპორტო ქალაქ ბათუმის მდებარეობის საპროექტო გეგმა (1902 წლის 14 იანვარი), სადაც მითითებული იყო ბათუმის ნავთობის უბნის საზღვრები. იგი დეტალურად აღწერდა ბათუმში არსებულ ვითარებას. ამ პერიოდში ბათუმის საზღვრებს წარმოადგენდა მდინარე ბარცხანა, მთისძირის სამხედრო შოსე (დღევანდელი მთისძირის ქუჩა) და მდინარე მეჯინა. ქალაქის დაგეგმარებაში მნიშვნელობა ენიჭება სადრენაჟო არხებს (ჟილინსკის არხი, პავლეს არხი და სხვა), სარკინიგზო ინფრასტრუქტურას და სამხედრო უწყების ინტერესებს. ახალი გეგმა ასევე ითვალისწინებდა ქალაქის განაშენიანებას ოთხკუთხა, გეომეტრიულად მოწყობილი კვარტლების მიხედვით. საზოგადოებრივ ფუნქციას ნიკოლოზის ბულვარი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა ემსახურებოდა (ბუფეტ-რესტორნები, მუსიკალური როტონდა, სამკითხველო, ველოტრეკი, კორტები და სხვა).

ბათუმის ქალაქგანვითარება საბჭოთა კავშირის პერიოდში შესაბამისი გეგმების ფარგლებში ხდებოდა, თუმცა მათ ახასიათებდა ადგილობრივი პირობების, ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფა. ბათუმის განვითარების პირველი საბჭოური გეგმა 1927 წელს შემუშავდა ინჟინერ დ. სვიშჩევსკის ხელმძღვანელობით, რომელიც ქალაქის შემდგომი 25-წლიანი განვითარების ასპექტებს ითვალისწინებდა. ქალაქის განვითარება მოსახლეობის 150.000-მდე და ფართობის 700 ჰა-მდე გაზრდას ითვალისწინებდა (ბორცვებისა და მდინარეების ბარცხანა-მეჯინისწყლის ხეობების ათვისებას). გეგმა ქალაქში მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებდა. პროექტი რამდენიმე წლის შემდეგ შეჩერდა. 1933 წელს ქალაქის რეკონსტრუქციისა და განვითარების 15-წლიანი სოციალისტური გეგმის მომზადება დაიწყო. გეგმა ქალაქის ზრდას ითვალისწინებდა 100.000 მოსახლემდე და ფართობის ცვლილებას სამხრეთ-დასავლეთით 1.835 ჰა-მდე. პროექტი ითვალისწინებდა ცვლილებებს დასვენებისა და რეკრეაციის მიმართულებით, ძველი ქალაქის და არსებული დასახლების მხრივ. გეგმის კორექტირება 1935 წელს შეწყდა და 1938 წელს შემუშავდა მოკრძალებული გეგმა, რომელიც ბულვარის გაფართოებას და განსახლების ახალ მიდგომებს ითვალისწინებდა. ამ პროექტზე დაყრდნობით 1947 წელს ქალაქის ახალი გენერალური გეგმა შემუშავდა. შემდგომი ცვლილებები 1978 წლის საქქალაქმშენსახპროექტში დამუ-

შავებული ქალაქის ცენტრის დაგეგმარების პროექტის ფარგლებში ხდებოდა. ის ქალაქის ცენტრის გამოყოფას და განვითარებას გულისხმობდა.

1990-იანი წლებიდან ქალაქში ცვლილებები ძირითადად ეხება ძველი შენობებისა და უბნების რეკონსტრუქციას. ამ წლებში ქალაქში გადაკეთდა ან განადგურდა ძველი შენობების ნაწილი (ბურუნ-თაბიე, სამხედრო ჰოსპიტალი და ა.შ.). ქალაქში შეიცვლა ბულვარის მიმდებარე ტერიტორია.

2004 წლის შემდეგ ქალაქის განვითარებამ და მეზობელი მუნიციპალიტეტების ცალკეული მჭიდრო დასახლებების ბათუმთან სიახლოვემ, მათი შემდგომი და სწრაფი განვითარების მიზნით, ქალაქის ტერიტორიაზე მიერთების იდეა წარმოშვა. ქალაქის საზღვრები რამდენჯერმე შეიცვალა. თუ 2009 წლამდე ქალაქის ფართობი 19,5 კვ.კმ.-ს შეადგენდა, 2011 წელს ის 25 კვ.კმ.-მდე გაიზარდა. ქალაქის საზღვრების ბოლო ცლილება, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე, საქართველოს პარლამენტისათვის მიმართვის საფუძველზე მოხდა, რასაც ბათუმისათვის ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების ნაწილის მიერთება მოყვა. ქალაქის ფართობმა 2011 წლის ივლისიდან 64,94 კვ.კმ. შეადგინა. ბათუმის შემადგენლობაში შედის მერიის 13 ტერიტორიული ორგანო: აეროპორტის, კახაბრის, სამრეწველო, გონიო-კვარიათის, მწვანე კონცხის, ძველი ბათუმის, რუსთაველის, აღმაშენებლის, ჯავახიშვილის, თამარის, ბაგრატიონის, ხიმშიაშვილის, ბონი-გოროდოკის უბნები.

მოსახლეობა

სტატისტიკა. პირველი მონაცემები ბათუმის მოსახლეობის შესახებ 1807 წელს ფრანგი მოგზაურის ადრიან დიუპრეს ცნობით დასტურდება. ბათუმი ამ დროს 2000-სულიან ზღვისპირა სოფელს წააგავდა. 1872 წლისათვის ჯილფორდ პალგრევის ცნობით ქალაქის მოსახლეობა 4970 კაცს შეადგენდა. ბათუმის, როგორც ქალაქის ზრდა და განვითარება აშკარად შეიმჩნევა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა დაიწყო ღრმა და დაცული ნავმისადგომის მიდამოების დასახლება, ე.წ. „აზიზიეს უბნის“ ათვისება, ხოლო ქალაქის მოსახლეობის ინტენსიური ზრდა დაიწყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, როცა რუსეთის ხელისუფლებამ აქ რკინიგზის ხაზი შემოიყვანა და ბაქოს ნავთობის ბათუმის პორტიდან გატანა დაიწყო.

ბათუმის მოსახლეობის დემოგრაფიული სიტუაცია და ეთნიკური შემადგენლობა მომდევნო ათწლეულებში დამოკიდებული იყო ქვეყანაში განვითრებულ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან, რაც კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, რომელშიც მოცემულია ქ. ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა ცალკეული წლების მიხედვით:

ინფორმაციის წყარო																			
	ფრანგი მოგზაური ადრიან დიუპრე	ინგლისელი კონსული ჯილფორდ ბალგრეივი	ვიორგი ყაზბეგი	ა. ფრენკელი	1882 წლის 19 მარტის ერთდღიანი აღწერა	1890 წლის 17 ივნისის ერთდღიანი აღწერა	1897 წლის 28 იანვრის ერთდღიანი არწერა	ერთდღიანი აღწერა	მოსახლეობის აღწერის მასალები	1922 წლის აღწერის მასალები	1939 წლის აღწერის მასალები	1959 წლის აღწერის მასალები	1970 წლის აღწერის მასალები	1979 წლის აღწერის მასალები	1989 წლის აღწერის მასალები	2002 წლის აღწერის მასალები	2012 წლის მონაცემები
წლები	1807	1872	1874	1878	1882	1890	1897	1903	1913	1922	1939	1959	1970	1979	1989	2002	
საერთო რაოდენობა	**2000**	**4970**	**8730**	**3320**	**8671**	**14674**	**28508**	**29543**	**35633**	**42552**	**70019**	**82300**	**100600**	**122800**	**136960**	**121806**	**175606**
ქართველი			7200		1562	3574	6087	6684		8252	28724				90250	104313	158113
რუსი					980	4161	7144	7244		10720	17686				21050	6300	6300
აფხაზი					377					225	507					800	800
სომეხი			120		908	3128	6893	5182		14969	12052				13420	7515	7917
ბერძენი			210		1106	1995	2762			7629	3803				2740	587	587
თურქი					603	1171	1654				375						
სპარსელი					112					1756							
გერმანელი					145		299				224						
ფრანგი					24												
ებრაელი					179	862	1064			3699	1778						
ინგლისელი					10												
იტალიელი					13												
ქურთი			600								348						
ჩერქეზი			600				65										
პოლონელი							722										
უკრაინელი											2710				3970	770	770

ოსი																142	142
აზერბაიჯანელი																301	301
ქისტი																	8
იეზიდი																	69
სხვა ეროვნება							1870								5530	77	999

სტატისტიკის მიხედვით, ქალაქში აჭარის ა.რ. მოსახლეობის 55.8% ცხოვრობდა. ქალაქ ბათუმში საშუალო სიმჭიდროვეა 2704 კაცი/კმ^2, რის მიხედვითაც ის გამოირჩევა საქართველოში. ბათუმი, ისევე როგორც ზოგადად აჭარა, გამოირჩევა მოსახლეობის ზრდის მაღალი მაჩვენებლით, საშუალოდ (2009 წლის მონაცემებით, 6322 დაბადებული და 2950 გარდაცვლილი), თუმცა ასევე მაღალია ემიგრაციის მაჩვენებელი და ის დაახლოებით 13,1% შეადგენს. მოსახლეობის 24% ახალგაზრდაა (I ადგილზეა საქართველოში). ამიტომ აჭარაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი 65.4% შეადგენს, საპენსიო 10.6% (ამ ორივე მაჩვენებლითაც აჭარა გამოირჩევა საქართველოში). შესაბამისად, აჭარაში საშუალო ასაკი 32.8 წელია, მაშინ როცა საქართველოში – 36.1 წელი.

სქესის მიხედვით მაქსიმალური დისპროპორციით ბათუმი გამოირჩევა და აქ 56.171 კაცი და 65.635 ქალი ცხოვრობს ანუ 11.3% მეტი ქალი ცხოვრობს.

რელიგია. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჭარაში კონფესიურ ჭრილში შემდეგი სურათი დააფიქსირა: მოსახლეობის 64% ანუ 240552 ადამიანი მართლმადიდებელია, 30.6% ანუ 115161 ადამიანი მუსლიმი, 0.8% ანუ 3162 ადამიანი სომეხ–გრიგორიანელი, 0.2% ანუ 683 ადამიანი კათოლიკე და 161 ადამიანი იუდეველი. ამასთანავე, კონფესიური მრავალფეროვნება, ძირითადად, საქალაქო დასახლებებში, უფრო მეტად, ბათუმში აღინიშნება.

ბათუმის მართლმადიდებელი მრევლი ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიას მიეკუთვნება. 2006 წლამდე ეპარქია მოიცავდა დღევანდელ სხალთის ეპარქიასაც და მას ბათუმისა და სხალთის ეპარქია ეწოდებოდა. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მმართველია მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი). ეპარქიაში მსახურობს 9 დეკანოზი, 11 მღვდელი, 3 დიაკონი, 1 ბერმონაზონი და მონაზონი. 1989 წლამდე ბათუმისა და სხალთის ეპარქიებში იყო 2 მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარი. დღეისათვის ეპარქიაში 30 მოქმედი და 11 მშენებარე ტაძარია. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის დაწესებულებებია – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია, წმ.მატათა მოციქულის სახელობის მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა გიმნაზია-პანსიონი, წმ. კეთილმორწმუნე მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის გიმნაზია, ქობულეთის წმ.გიორგის სახელობის გიმნაზია, საერთაშორისო მართლმადიდებლური ბანაკი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის, წმ. ილია მართლის სახელობის საბავშვო ბაღი, წმ. კეთილმორწმუნე მეფე თამარის სახელობის საბავშვო ბაღი, წმ. ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე (მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლი), ნარკომანიის სარეაბილიტაციო ცენტრი, სმენადაქვეითებულ (ინკლუზიური სწავლების) ბავშვთა

ბაღი. ეპარქია პერიოდულად გამოსცემს ჟურნალ-გაზეთებს.

ბათუმში ასევე მოქმედებს შემდეგი ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციები:

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, რომელიც 2011 წელს შეიქმნა. მის ხელმძღვანელობას სუნიტი მუსლიმებისათვის ახორციელებს მუფთი, ხოლო შიიტი მუსლიმებისათვის – შეიხი. მუფთის რეზიდენცია განალგებულია ბათუმის მეჩეთში. ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედებს ბათუმის ცენტრალური, ანგისის, გონიოს, ფერიის, ჩაქვის მეჩეთები. ასევე, 3 ვაჟთა და 2 ქალთა სასულიერო სასწავლებელი, ბავშვთა ბაღი. სამმართველო პერიოდულად გამოსცემს ჟურნალ-გაზეთებს.

ამიერკავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია ბათუმის სულიწმინდის სახელობის კათოლიკურ ეკლესიაშია.

საქართველოში სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის ეპარქია ბათუმში წარმოდგენილია სუბრ ფრქიჩის სახელობის სომხური ეკლესიით.

განსახლება. ოსმალური იმპერიის პერიოდში ბათუმის დასახლების თავისებურებას მისი საპორტო და სამხედრო დანიშნულება განაპირობებდა, ამიტომ ის მცირერიცხოვან დასახლებას წარმოადგენდა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბათუმის განვითარება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა (ამ თვალსაზრისით ის კავკასიის ცენტრს – ტფილისსაც უსწრებდა და ამ რეგიონში მხოლოდ ბაქოს უთმობდა პირველობას). დაიწყო შავი ზღვის სანაპიროს მელიორაცია და სამოსახლოდ ათვისება. ბათუმის მნიშვნელობა იზრდებოდა რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმი განიხილებოდა როგორც რუსეთ-თურქეთის ფრონტზე საჯარისო ნაწილების გადასროლის კვანძი. ამასვე ემსახურებოდა „ტრაპიზონის სამხედრო რკინიგზის“ გაყვანის იდეაც.

ბათუმის განვითარების საფუძველს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აგება და ბათუმის პორტისთვის საექსპორტო ფუნქციის დაკისრება წარმოადგენდა. 1902 წელს აქედან რუსეთის იმპერიის მთლიანი ნავთობის 70%-მდე გადიოდა. ქალაქის მიდამოებში თანდათან ჩნდება სააგარაკე დასახლებები, ინიშნება საგარეუბნო მატარებელი. ქალაქი ზღვით უკავშირდება რუსეთის იმპერიის და ევროპის პორტებს. ინიშნება საკაბოტაჟო ნაოსნობაც. ამან ხელი შეუწყო საკმაოდ ურბანიზებული ზღვისპირა დასახლებების ჯაჭვის წარმოშობას. გარკვეული ცვლილებები ქალაქსა და მის ცხოვრებაზე პორტო ფრანკოს პერიოდმაც მოახდინა (1878-1886 წ.წ.). 1921 წლიდან ქალაქის სტატუსი იცვლება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ექსპანსიის შედეგად. ის თანდათან დახურულ ქალაქად იქცა. გასაბჭოებას აჭარაში მოყვა საკურორტო-ტურისტული ობიექტების მშენებლობა და საკავშირო ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება (ჩაი, ციტრუსები და სხვა სუბტროპიკული კულტურები).

დამოუკიდებლობის პერიოდიდან ბათუმი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის როლის შესრულებას იწყებს. ეს გამოიხატება როგორც რიგი ცენტრალური უწყებადაწესებულებების თბილისიდან ბათუმში გადატანაში, ისე ბათუმის მზარდი მშენებლობისა და მისთვის სპეციალური როლების განსაზღვრაში. თანდათან ზღვისპირა ზონა ქობულეთიდან სარფამდე ერთიანი ფუნქციური კავშირების სისტემაში ექცევა. ამ სისტემაში წამყვან როლს ბათუმი თამაშობს. ქალაქში საკურორტო-რეკრეაციულ ფუნქციებთან ერთად, ყურადღება ექცევა კულტურულ და საკონფერენციო ტურიზმს. ამ პირობებში საკურორტო-რეკრეაციული დატვირთვა თანდათან სანაპიროს სხვა დასახლებებზე ინაცვლებს.

ქალაქის ეკონომიკა

შუა საუკუნეებში ბათუმის სტატუსსა და განვითარებას განაპირობებდა ის ფაქტორი, რომ ის აბრეშუმის გზის ერთ-ერთი პუნქტი იყო, რაც აქ ვაჭრობის განვითარებას განაპირობებდა. ქალაქის სიმდიდრემ 1445 წელს ბურგუნდიელებს მისი გაძარცვის სურვილი გაუჩინა. 1807 წელს ბათუმი ძირითადად სავაჭრო დანიშნულების ქალაქს წარმოადგენს, სადაც ადგილობრივი წარმოების სასოფლო პროდუქცია იყიდებოდა, ხოლო პორტის მეშვეობით შემოჰქონდათ რკინა, მარილი, საპონი და ქსოვილები. 1864-1878 წლებში ბათუმი ნელნელა ვითარდება. ის ლაზისტანის საფაშოს ცენტრი ხდება, მისდამი დიდ ინტერესს ევროპული სახელმწიფოები იჩენენ, ქალაქში მატულობს საკონსულოების რიცხვი. 1872 წლისათვის ბათუმის საბაზრო მოედანზე 385 დუქანი იყო.

1878-1886 წლებში ბათუმი პორტო-ფრანკო, ანუ თავისუფალი სავაჭრო ქალაქი იყო. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ადგილობრივი წარმოების დაქვეითება და მოსახლეობის მიგრაცია. 1886 წლიდან ბათუმმა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიიღო, რამაც მისი განვითარება განაპირობა.

1921 წლიდან ბათუმი საბჭოთა კავშირის ნაწილი ხდება. ამას საწარმოებისა და რესურსების ნაციონალიზაცია მოყვა. გასაბჭოების შემდეგ შეიცვალა ბათუმის სტატუსიც. იგი გახსნილი, ინტენსიურად მზარდი, რეგიონული მნიშვნელობის ქალაქის მაგივრად ჩაკეტილი, სასაზღვრო ქალაქი ხდება. ბათუმში მრეწველობისა და მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულება სხვადასხვა ტიპის სამრეწველო საწარმოების შექმნაში, ძირითადად მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებაში გამოიხატებოდა. ასევე ყურადღება ექცეოდა პორტის განვითარებას, ნავთობის გადამუშავებას და სხვა დარგებს.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საწარმოების ძირითადი ნაწილი დაიხურა. ქალაქის განვითარების ახალ ტენდენციებს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები, კერძო საკუთრების ხელშეწყობა და სხვადასხვა ბიზნესჯგუფების ინტერესების გათვალისწინება წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება. ქალაქი ბათუმი ახლადშემოერთებულ ტერიტორიებთან ერთად სურსათის წარმოებით გამოირჩევა და ეს ეხება როგორც პროდუქციის მოყვანას, ასევე მის გადამუშავებასა და რეალიზაციას.

ბათუმში სუბტროპიკული მეურნეობის მოწყობა რუსეთის იმპერიის პერიოდიდან იწყება. ქალაქის მიდამოებში მეჩაიეობის განვითარება 1880-იან წლებიდან დაიწყო. 1898 წელს შვიდი მოახალშენის მამულში დაიწყო ჩაის გაშენება. სუბტროპიკული მიმართულებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩაქვის საუფლისწულო მამული. 1908 წლიდან სოფლის მეურნეობის სფეროში აქტიურ მუშაობას იწყებს ახლადდაფუძნებული ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება.

საბჭოთა პერიოდში, 1927 წლიდან ბათუმში ახალი ჩაის ფაბრიკა, 1929 წლიდან – არაყ-ლიქიორის საწარმო და ხორცკომბინატი, ხოლო 1977 წლიდან – საკონსერვო კომბინატი ამოქმედდა.

1924 წლიდან თამბაქოს წარმოება მანამდე არსებულ საწარმოებს ეყრდნობოდა. წარმოების გაზრდის მიზნით, 1985 წელს ექსპლუატაციაში შევიდა თამბაქოს ფაბრიკა და საფერმენტაციო კომბინატი.

ამჟამად ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მთავარი აქცენტი კეთდება მეციტრუსეობა-მეჩაიეობაზე და მებოსტნეობა–მეხილეობაზე. ბათუმის შემოგარენში ფუნქციონირებს სამი

მსხვილი სასათბურე მეურნეობა ბოსტნეულისა და ბოსტნეულის ჩითილის წარმოებით. ბათუმში განსაკუთრებული მნიშვნელობა მეთევზეობას ენიჭება, რაც შავ ზღვაში ზღვის პროდუქტების მოპოვებასა და ხელოვნურად თევზის მოშენებაში გამოიხატება.

ტრანსპორტი და კომუნიკაცია. ბათუმი გამოირჩევა იმით, რომ აქ შერწყმულია საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო ინფრასტრუქტურა. კავშირგაბმულობა – მილსადენების, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ბოჭკოვანი კაბელის სახით. დასრულდა საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა.

რკინიგზა. ბათუმის მიმართულებით რკინიგზის გაყვანა, თავდაპირველად, პორტისა და ბურუნ-თაბიეს საარტილერიო ბატარეის მომსახურების მიზნით დაიგეგმა, თუმცა მოგვიანებით მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნავთობის ექსპორტის საქმეში. ხაზის გაყვანის დაგეგმვა 1878 წლიდანვე დაიწყო. 1880 წლის 6 ივლისს დამტკიცდა სამტრედია-ბათუმის ხაზის მშენებლობა, რომელიც 1883 წლის 21 მაისს გაიხსნა. ამავე პერიოდში იგეგმებოდა ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობაც. რკინიგზაზე ტვირთის ძირითად ნაწილს ნავთობი წარმოადგენდა, მაგრამ ის ასევე დიდ როლს ასრულებდა მგზავრთა გადაყვანაშიც.

ამჟამად აჭარის სარკინიგზო კვანძს და მის ინფრასტრუქტურას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნედლი ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და მშრალი ტვირთების რკინიგზით ტრანსპორტირების საქმეში. ის ასევე წარმოადგენს TRACECA-ს სარკინიგზო ქსელის ნაწილს. მახინჯაურში მთავრდება ამიერკავკასიის რკინიგზის (ბაქო-თბილისი-ბათუმი) მაგისტრალი, რომელსაც უკავშირდება სენაკი-სოხუმი-ტუაფსეს ხაზი. სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო უბნის სიგრძე შეადგენს 104 კმ-ს, აქედან აჭარის ტერიტორიაზე, ანუ, ჩოლოქიდან ბათუმამდე, სარკინიგზო ხაზის სიგრძე 34 კმ-ია. მატარებლის სიჩქარე აჭარის სარკინიგზო უბანზე შეადგენს 72 კმ/სთ შეადგენს.

2011 წელს რკინიგზით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობამ აჭარის მიმართულებით სულ 1.061.813 მგზავრი შეადგინა.

2006 წელს აჭარაში აშენდა და მოდერნიზება ჩაუტარდა მახინჯაურისა და ქობულეთის რკინიგზის სადგურებს. 2010 წლის აგვისტოში დაიწყო სამშენებლო სამუშაოები რკინიგზის მოდერნიზაციისა და პროექტის – „სწრაფი რკინიგზა – ბათუმიდან თბილისში 3 საათში" – რეალიზაციის მიზნით.

საავტომობილო გზები. საავტომობილო ტრანსპორტი აჭარაში საბჭოთა პერიოდიდან ვითარდება. კერძოდ, 1922 წლიდან იწყება გზებისა და ხიდების მოწესრიგების სამუშაოები და 1925 წლიდან მოქმედებას იწყებს სამარშრუტო ავტოტრანსპორტი. 1925 წელს ბათუმში 3 სამგზავრო და 22 სატვირთო ავტომობილი იყო. საავტომობილო ტრანსპორტი თანდათან ვითარდება და 1931 წელს რეგიონში 91, ხოლო 1935 წელს 250-მდე ავტომობილი ფიქსირდება. დღეისათვის საქართველოში 1000 ადამიანზე 171 ავტომობილი მოდის. ბათუმი გამოირჩევა იმით, რომ აქ საქართველოში ყველაზე გრძელი – 657 მეტრის გონიოს ხიდი მდებარეობს. ბათუმზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 და E-70 ავტომაგისტრალები, რომელიც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს წარმოადგენს. ბათუმზე გადის მაგისტრალის 8,5 კმ მანძილი. აჭარაში სრულდება საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანები ძირითადად თურქეთის, საბერძნეთის და სომხეთის მიმართულებებით. ბათუმიდან 240 საგარეუბნო მარშრუტს 600-მდე ავტობუსი ემსახურება. 2011 წლის მონაცემებით, ყველა მიმართულებით 1.879.400 მგზავრი იქნა გადაყვანილი. ტროლეიბუსების ხაზი ბათუმში 1978 წელს იქნა გაყვანილი. 2000-იან წლებში, ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ტრანსპორტის არარენტაბელურობის გამო, ტროლეიბუსების ექსპლუატაცია თანდათან მცირდება და 2005 წელს ის საბოლოოდ გაუქმდა.

ამჟამად მიმდინარეობს (საქართველოს მთავრობა და აზიის განვითარების ბანკი) ბათუმის შემოვლითი, სატრანზიტო გზის მშენებლობა, რომელიც თურქეთის ოთხზოლიან ჩქაროსნულ საავტომობილო გზას შეუერთდება.

ნავსადგური. ბათუმის განვითარების და ქალაქით დაინტერესების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს ნავსადგური წარმოადგენდა. პირველად ბათუმის პორტი შუა საუკუნეების რუკაზე ჩნდება. XVI საუკუნის ბოლოს ბათუმი ოსმალეთის მფლობელობაში გადადის, თუმცა 1614 წელს ის მოიხსენიება, როგორც საქართველოს ნავსადგური. XVIII საუკუნიდან ძველი ნავსადგური, ყოროლისწყლის შესართავში, თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას და XIX საუკუნიდან ქალაქი და ნავსადგური თანდათან სამხრეთით, დღევანდელი ბათუმის მიდამოებისაკენ ინაცვლებს. 1864-1878 წლებში ბათუმის პორტის მნიშვნელობა თვალსაჩინო ხდება. კეთდება ნავმისადგომი, შუქურა, ჩნდება სავაჭრო მიმართულებები ევროპის, რუსეთის იმპერიის და ოსმალეთის სხვადასხვა პორტის მიმართულებით. 1867 წლისთვის ყოველწლიურად პორტში დაახლოებით 470 გემი შემოდიოდა.

ბათუმის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას პორტის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოყვა. 1879 წელს დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის განკარგულებით შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც შესაბამისი პროექტი უნდა მოემზადებინა. 1885 წელს დამტკიცდა გზათა სამინისტროს მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც უფრო ადრეულ, კონტრადმირალ ა. გრევეს პროექტს ეყრდნობოდა. ამ პროექტის შესაბამისი სამუშაოები 1885 წელს დაიწყო და 1889 წლისათვის გაკეთდა ნავთობის ნავსადგური ჩამოსასხმელი ხაზებით, სანაპირო კედელი, შუქურა. 1893 წლისათვის ნავსადგურს რამდენიმე ახალი ნავმისადგომი მიემატა, გადაკეთდა ნავსადგურები, ზვირთსაქცევი. ამის შემდეგ პორტის გაფართოებისა და გაუმჯობესების სამუშაოები სხვადასხვა ინტენსივობით მუდმივად

ხორციელდებოდა, რაც პორტის გაფართოებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას იწვევდა. პორტი მუშაობდა როგორც საერთაშორისო გადაზიდვებზე, ასევე საკაბოტაჟო ტვირთების გადაზიდვაზე. სატრანსპორტო სქემის შემადგენელ ნაწილს სამდინარო ტრანსპორტი წარმოადგენდა – მდინარე ჭოროხზე ტვირთის გადატანა ბრტყელძირა ნავებით ხდებოდა.

გასაბჭოებისთანავე, 1921 წელს, ბათუმის პორტთან გემთშემკეთებელი საამქრო გაიხსნა, რომელიც 1927 წელს ფოთში გადაიტანეს. 1920-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ბათუმის პორტს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, ამიტომ პორტის რემონტი 1924-26 წლებში ჩატარდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1943 წელს, ბათუმში გემთშემკეთებელი საამქრო იხსნება. ომის შემდგომ ბათუმის პორტს რეკონსტრუქცია 1950-1990 წლებში მუდმივად უტარდებოდა. 1967 წელს ბათუმში საქართველოს საზღვაო სანაოსნო დაფუძნდა. დამოუკიდებლობის პერიოდში სანაოსნო კარგავს თავისი ფლოტის ძირითად ნაწილს.

ამჟამად, ბათუმის საზღვაო ნავსადგური უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, უკრაინისა და თურქეთის ქვეყნებს. ნავსადგური გამოიყენება, აგრეთვე, როგორც მთავარი სატრანზიტო პუნქტი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასაზიდად. ბათუმის საზღვაო ნავსადგური შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ სანაპიროზე ასრულებს სატრანსპორტო-საკვანძო ფუნქციას და წარმოადგენს აზია-კავკასია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის – „TPACECA"-ს შემადგენელ ნაწილს.

საჰაერო მიმოსვლა. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 1950 წლის 1 იანვარს ამოქმედდა. 2007 წლის 26 მაისს მას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მის მენეჯმენტს დღეისათვის ახორციელებს თურქული კომპანია შპს „თავ ჯორჯია" (TAV). ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან, გარდა ადგილობრივი რეისებისა, ამჟამად სრულდება საერთაშორისო რეგულარული რეისები თურქეთის, უკრაინის, ბელორუსის, რუსეთის, ისრაელის მიმართულებით, ხოლო სეზონურად – პოლონეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით.

კომუნიკაციის საშუალებები. ბათუმში კომუნიკაციის პირველი საშუალება ტელეგრაფი იყო, რომლიც 1865 წელს გაკეთდა. სატელეფონო ხაზი კი მილსადენის გასწვრივ და თანადროულად 1907 წელს გაკეთდა.

ამჟამად ბათუმში ფიქსირებული სატელეფონო კავშირი წარმოდგენილია ორი კომპანი-

ით შპს „სილქნეტი", რომელიც შეიქმნა კომპანია „ვანექსის", „აჭარის ელექტროკავშირისა" და „გაერთიანებული ტელეკომის" გაერთიანების შედეგად და ახორციელებს ადგილობრივ სატელეფონო კავშირს, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირს, ინტერნეტ მომსახურებას, სატელეგრაფო კავშირს და რადიოუზრუნველყოფას; მეორე კომპანიაა შპს „ა-ნეტი", რომელსაც შედარებით მოკრძალებული მომსახურება და დაფარვის ზონა აქვს.

ბათუმში ინტერნეტქსელით ფიქსირებულ მომსახურეობას ეწევიან შპს „სილქნეტი", შპს „კავკასუს ონლაინი", შპს „ა-ნეტი". უკაბელო ინტერნეტმომსახურებას ახორციელებენ შპს „ვიტელ ჯორჯია" („მაქსიმალი"), შპს „მაგთიკომის" „მაგთიფიქსი", შპს „ჯეოსელის" „ჯეოკონექტი", შპს „მობიტელის" ბილაინის ინტერნეტპაკეტი.

ბათუმის მოსახლეობა სარგებლობს მობილური კომპანიების – შპს „მაგთიკომის", შპს „ჯეოსელის", შპს „მობიტელისა" და შპს „ბილაინის" მომსახურებით.

ქალაქში პირველი რადიოკვანძი 1928 წელს დაიდგა, ხოლო ახალი სადგური 1959 წლიდან მოქმედებს. რაც შეეხება ტელევიზიას, პირველი გადაცემა 1965 წელს გავიდა, ხოლო 1987 წლიდან ადგილობრივი ტელეგადაცემების ტრანსლირება იწყება.

ბათუმში მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტთან არსებული „აჭარის ტელევიზია", „აჭარის რადიო", კერძო კომპანია „TV25". ქალაქში მოქმედებს საკაბელო კომპანიების ქსელი.

წყალსადენი-კანალიზაცია. წყლის მომარაგებას და საკანალიზაციო სისტემას ყურადღება რუსეთის იმპერიის პერიოდიდან ექცევა, როცა ჯერ კიდევ 1887-1893 წლების დაკიშევიჩის გეგმა ითვალისწინებდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ხოლო შემდეგ 1898-1899 წლების ბათუმის ოლქის საპორტო ქალაქ ბათუმის მდებარეობის საპროექტო გეგმა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სადრენაჟო არხებს (ჟილინსკის არხი, პავლეს არხი და სხვა) და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. 1880-1900 წლებში გაიყვანეს 10 სანიაღვრე არხი. მოგვიანებით, 1930 წელს გაიყვანეს დამატებითი არხი მთისძირის ქუჩის გასწვრივ, რომელიც მდინარე მეჯინისწყალს უერთდებოდა. არხები დამატებით 1950-60-იან წლებშიც გაიყვანეს, თუმცა იმის გამო, რომ ერთი მხრივ, სანიაღვრე არხების შეკეთება არ ხდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, ქსელი არ ფართოვდებოდა, ქალაქი მაღალი ნალექიანობის დროს პერიოდულად იტბორებოდა. რაც შეეხება კანალიზაციას, პირველი, დამოუკიდებელი საკანალიზაციო ქსელი 1928 წელს მენავთობეთა უბანში გაკეთდა. ქალაქის დანარჩენ ნაწილში მშენებლობა 1930-1939 წლებში განხორციელდა. 1960 წელს დაიგეგმა კანალიზაციის ახალი პროექტის გაკეთება. 1985 წელს აშენდა დამატებითი გამწმენდი ნაგებობები.

რაც შეეხება წყალმომარაგებას, რუსეთის იმპერიის პერიოდში არსებული შიდასაქალაქო წყალმომარაგების ქსელის გაფართოება 1926 წელს დაიწყო. თუმცა არსებული ქსელი ვერ უზრუნველყოფდა ქალაქის მოთხოვნებს, ამიტომ 1928-29 წლებში განხორციელდა ყოროლისწყალის გამოყენებით წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. ეს ქსელი შემდგომ წლებში თანდათან ფართოვდებოდა. 1936-37 წლებში წყალსადენს რემონტი ჩაუტარდა, თუმცა 1950-იანი წლებისთვის საჭირო გახდა არსებული ქსელის გაფართოება, რაც 1963-65 წლებში განხორციელდა მეჯინისწყლის მეორე რიგის სათავე ნაგებობის მშენებლობით, სადაც ჭაბურღილებიც გაკეთდა. მიუხედავად ამისა, არსებული სიმძლავრეები არ იყო საკმარისი ქალაქის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ 1982-1992 წლებში

დამატებითი ნაგებობა და ქსელი ჩაქვისწყალზე გაკეთდა.

ამჟამად, ბათუმის რეგიონში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მართვა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ბათუმის წყალის“ მიერ ხორციელდება. ამჟამად მიმდინარეობს წყლისა და კანალიზაციის სექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც გერმანიის განვითარების ბანკი (KfW) და ბათუმის მერია აფინანსებს.

გაზმომარაგება. აჭარის რეგიონის მოსახლეობას ბუნებრივი აირით უზრუნველყოფს შპს „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა” და შპს „აჭარის ბუნებრივი აირი”. „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა”-ს მიერ 2011 წლის განმავლობაში ქ. ბათუმში აშენებულია საშულო წნევის 11 632 და დაბალი წნევის 33 628 გრძივი მეტრის გაზსადენები. მის ქსელში ჩართულია 128 ორგანიზაცია და 38034 ფიზიკური პირი. შპს „აჭარის ბუნებრივი აირი” 2011 წლის მდგომარეობით ბათუმში ფლობს 29 700 მაღალი წნევის, 46 179 საშუალო წნევის და 54 802 დაბალი წნევის გრძივი მეტრის გაზსადენებს. ქ. ბათუმში 523 კორპორაციული და 11389 ფიზიკური პირია აბონენტად ჩართული.

ელექტრომომარაგება. ბათუმში ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია”. ბათუმში ინდივიდუალური გამრიცხველიანება დასრულებულია და აბონენტების რაოდენობა შეადგენს 4110 კორპორაციულ და 40775 ფიზიკურ პირს.

ფინანსები. ბათუმში საბანკო სექტორი რუსეთის იმპერიის პერიოდში ჩნდება. პირველი ბანკი, რომლის წარმომადგენლობაც ბათუმში 1886 წელს გაიხსნა, იყო რუსეთის სახალხო ბანკი. მოგვიანებით ბათუმში სხვა ბანკებიც გამოჩნდნენ. 1890 წელს ამოქმედდა თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება, 1896 წელს სამხრეთ რუსეთის ბანკის განყოფილება, თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების წარმომადგენლობები. საბანკო სექტორს ადგილობრივი ორგანიზაცია 1895 წელს შეემატა, როცა ბათუმის ვაჭარ–მეწარმეებმა დაარსეს ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება.

გასაბჭოებას ბანკების ქონების ნაციონალიზაცია და დახურვა მოყვა. შეიქმნა ერთიანი საბანკო სისტემა. ბათუმში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის რესპუბლიკური კანტორა 1923 წლიდან იწყებს მოქმედებას.

ამჟამად აჭარის საბანკო სექტორში სერვის-ცენტრების სახით წარმოდგენილია სს „საქართველოს ბანკი” (BG), სს „თი-ბი-სი ბანკი“ (TBC), სს „ბანკი რესპუბლიკა“, სს „კორსტანდარტ ბანკი“ (KSB), სს „პროკრედიტ ბანკი“ (PCB), სს „ვი-თი-ბი ბანკი“ (VTB), სს „ბაზისბანკი” (BB), სს „ტაო-პრივატ ბანკი“ (TPB), სს „ბანკი ქართუ“, სს „ლიბერტი ბანკი“ (LB), სს „ბი-თი-აი ბანკი“ (BTA), „იშ-ბანკი“.

მრეწველობა და ვაჭრობა. ოსმალეთის პერიოდში ბათუმი ძირითადად სავაჭრო და საპორტო ფუნქციებს ასრულებდა. რუსეთი იმპერიის ფარგლებში ქალაქის განვითარებას ძირითადად ორი მიმართულება განაპირობებდა – ნავსადგური და ნავთობის ექსპორტი. ნავთობის ექსპორტი თავდაპირველად სპეციალური ჭურჭლით ხდებოდა. 1882 წელს ბათუმში დაიწყეს ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ხის ყუთების და თუნუქის ბიდონების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა. პირველ ეტაპზე დამზადება ძირითადად ხელით, მანქანა-დანადგარების გარეშე ხდებოდა. 1885 წელს ფირმა „ბურჯჰარდტი და კომპ.“ პირველმა დაიწყო ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოება უცხოური მანქანა დანადგარების გამოყენებით. 1889 წელს „კასპია-შავი ზღვის საზოგადოება“ („როტშილდი და კომპანია“) პირველმა დაიწყო ნავთის ექსპორტი გემ-ცისტერნებით (ტანკერებით). ნავთობის მიმართულე-

ბით ბათუმში სხვადასხვა დროს საქმიანობას ეწეოდნენ რიხნერი, სიდერიდისი, მანთაშევი, ხაჩატრიანცი, ძმები ცოვიანები, ციმერმანი, მატეუსი, გრამატიკოპულო, სამხრეთ რუსეთის ბანკი, შიზაევი, ხშიანცი. წარმოების მასშტაბებით გამოირჩეოდა როტშილდისა და მანთაშევის საწარმოები, მუშების რაოდენობით – სიდერიდისის ქარხანა. მაგალითისათვის, 1899 წელს ბათუმში გამოშვებული იყო 11,1 მილიონი ხის ყუთი და 22,2 მლნ. თუნუქის ბიდონი. 1903-1904 წლებში კავკასიაში ნავთობის მოპოვება-გადამუშავებაში მონოპოლისტებად ნობელის, როტშილდის და მანთაშევის ფირმები გადაიქცნენ. მათ ბაქოს ნავთობის 67% გაჰქონდათ. ნავთობის ექსპორტის ზრდამ ჯერ რკინიგზის, ხოლო 1900 წლიდან – ნავთობსადენის მშენებლობა განაპირობა. არასტაბილური პოლიტიკური პროცესების გამო 1904 წლიდან ნობელი ნავთობის ექსპორტს მხოლოდ ტანკერებით ახორციელებდა, 1904 წელს წარმოება ხაჩატრიანცმა შეწყვიტა, ხოლო 1905 წლიდან უკვე როტშილდმა დახურა ქარხნები და საწარმოები უცხოეთში გაზიდა. 1914 წლისათვის ბათუმში ნავთობის მონოპოლია 3 კომპანიის ხელშია: სტანდარტ ოილი, ნობელი და შელი. ისინი რუსეთის იმპერიის ნავთობის 86% აკონტროლებდნენ. ნავთობის სატრანსპორტო ტარის წარმოება თანდათან ეცემა და ნავთობის გატანა ძირითადად ტანკერებით ხდება.

1921 წლამდე ომმა და ინტერვენციებმა (პირველი მსოფლიო ომი, თურქული, ბრიტანული, იტალიური, საბჭოური ინტერვენციები და ა.შ.) ქალაქი სერიოზულად დააზარალა. საქართველოს გასაბჭოებას ქონებისა და წარმოების ნაციონალიზაცია მოჰყვა.

1927 წლიდან ბათუმში ინდუსტრიალიზაციის გეგმის ფარგლებში აშენდა ხისდამამუშავებელი ქარხანა, ჩაის ფაბრიკა, რეკონსტრუირებული ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა (დასრულდა 1929 წელს). 1930-იან წლებში ქალაქში იხსნება სხვადასხვა პროფილის ქარხანა-ფაბრიკები: 1929 წელს – არაყ-ლიქიორის საწარმო და ხორცკომბინატი, 1930 წელს – ფეხსაცმლის და სამკერვალო, 1931 წელს – ბეტონისა და აგურის, 1933-36 წლებში – მანქანათმშენებელი, 1936 წელს კოფეინის ქარხანა, 1938 წელს – ქიმიური ქარხანა და სხვა.

ქალაქის ინტენსიურ განვითარებას მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. 1940-45 წლებში ყველა დარგის წარმოება დაეცა. ძირითადი აქცენტი სამხედრო მიმართულებაზე გაკეთდა. ამ მიზნით 1943 წელს გემთშემკეთებელი საამქრო იხსნება.

ომის შემდეგ ხელახლა იწყება სხვადასხვა დარგის აღდგენა და განვითარება. 1949 წელს მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია უტარდება გადამამუშავებელ ქარხანას. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლამდე ბათუმში არსებული ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი ერთიანი საბჭოთა სავაჭრო სისტემის ფარგლებში საღდებოდა და შესაბამისად, მათი რენტაბელურობაც უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მათ შენარჩუნებას აზრი დაეკარგა, უმრავლესობა განადგურდა, კარგად გაიყიდა.

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, აჭარაში მრეწველობის დარგში ფუნქციონირებდა 419 მსხვილი, საშუალო და მცირე ზომის საწარმო (მათ შორის: 397 გადამამუშავებელ მრეწველობის, 17 სამთომოპოვებით და 5 ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოების და განაწილების დარგში).

მშენებლობა. მშენებლობის სექტორი ბათუმში ყველა პერიოდში ხასიათდებოდა აქტიურობით. თუ ოსმალეთის პერიოდში შენობების ძირითადი ნაწილი ორსართულიანი და ხის იყო, რუსეთის იმპერიის პერიოდში მშენებლობა აქტიურად გაჩაღდა ქალაქგანვითრების გეგმის ფარგლებში, რამაც ბათუმი ევროპული ყაიდის, ზღვისპირა ქალაქად გადააქ-

ცია. თუმცა XX საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა მშენებლობის ტემპები შეაჩერა. 1918-1920 წლებში ბათუმში საერთოდ 4 საცხოვრებელი სახლი აშენდა. საბჭოთა ხელისუფლებამ საცხოვრებელი სახლების ნაკლებობის პრობლემის მოგვარება ახალი სახლების მშენებლობით დაიწყო და 1921-1939 წელს ექსპლოატაციაში 110 საცხოვრებელი სახლი შევიდა.

აჭარის ა. რ-ში 2010 წელს მშენებლობაში ბრუნვის მოცულობამ 208,1 მლნ. ლარი შეადგინა და მათი ძირითადი ნაწილი ბათუმზე მოდიოდა. აჭარის არ-ში 2010 წელს მშენებლობაში 4064 კაცი იყო დასაქმებული. აჭარის ტერიტორიაზე 2011 წელს გაცემული იქნა მშენებლობის 792 ნებართვა, მათ შორის ბათუმში – 516. 2011 წლის განმავლობაში თვითმმართველ ქალაქ ბათუმში ძირითადად ნებართვები გაიცემოდა საცხოვრებელი სახლების შენებაზე. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის არ-ში მშენებარე ობიექტების რაოდენობა იყო 603, აქედან 509-ის მშენებლობა მიმდინარეობდა და 94 შეჩერებულია.

ჯანმრთელობის დაცვა

ბათუმში სამედიცინო სფეროსადმი ყურადღება ოსმალეთის პერიოდში, ფაქტობრივად, უგულებელყოფილი იყო, არ ხდებოდა სანიტარული ნორმების დაცვა. პირველი სამხედრო ჰოსპიტალი ბათუმში 1878 წელს ჯართან ერთად შემოვიდა და ზღვისპირა კარვებში დაბანაკდა, ხოლო შემდეგ ეს ბანაკი ბარაკებად გადაკეთდა. პირველი სტაციონარული დაწესებულება ბათუმში 1887 წელს ფ.შეფერის ინიციატივით ვოზნესენსკის ქუჩაზე (დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩა) აშენდა. ეს იყო 25-საწოლიანი საავადმყოფო, სადაც ცნობილი ექიმები მუშობდნენ (ფ.სეფერი, ტ.ტრიანაფილიდესი მეუღლით, კ. მხეიძე და სხვა). 1890 წელს ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებამ მარინის ქუჩაზე (დღვანდელი მემედ აბაშიძის პროსპექტი) გახსნა უფასო ამბულატორია, რომელიც 1902 წელს უსახსრობის გამო დაიხურა. 1902 წლის 3 ოქტომბერს გაიხსნა ქალაქის საავადმყოფო, რომელიც ამჟამადაც ფუნქციონირებს (დღევანდელი რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო). 1916 წელს სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა სასტუმრო „იმპერიალში“ საომარი მოქმედებების დროს გახსნა 50-საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც ომის დასრულებასთან ერთად გაუქმდა. პირველი აფთიაქი ბათუმში 1880 წელს გაიხსნა. 1916 წელს როტშილდებმა ააშენეს შენობა, რომელშიც დღეს განთავსებულია **სამშობიარო სახლი**.

1921 წლისათვის ბათუმში ერთი 100-ადგილიანი საავადმყოფო ფუნქციონირებდა. მოგვიანებით მოხდა საავადმყოფოს გაუმჯობესება, რის საფუძველზეც 1922-23 წლებში მოხერხდა ქოლერისა და შავი ჭირის ლიკვიდაცია, 1924 წელს გაიხსნა პასტერის, 1927 წელს შავი ჭირის ლაბორატორია, ხოლო 1938 წელს წითელას სადგური.

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აჭარაში მოქმედებს 12 სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულება. 2007 წლიდან სახელმწიფო პროექტებით ეტაპობრივად მიმდინარეობს ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაცია, რეაბილიტაცია და აღჭურვა. პირველადი ჯანდაცვის ქსელის რეაბილიტაცია-აღჭურვა დასრულდა 2008 წელს. პარალელურად, მიმდინარეობს კერძო სამედიცინო სექტორის განვითარება. კერძო სექტორი ძირითადად წარმოდგენილია სტაციონარების, დიაგნოსტიკური ცენტრების, სტომატოლოგიური პოლიკლინიკებისა და კაბინეტების სახით. 2011 წლის მონაცემებით, რეგიონში 11 სავადმყოფო, 2 სამშობიარო სახლი, 5 სასწრაფო დახმარების ცენტრი, 3 დიაგნოსტიკური ცენტრი, 3 სამკურნალო სადიაგნოსტიკო ცენტრი და 1 პოლიკლინიკური სექტორი ფუნქციონირებდა. ყურადღება ექცევა სახელმწიფო და კერძო დაზღვევის სექტორს.

განათლება და კულტურა

განათლება. 1878 წლამდე ბათუმში საერო ხასიათის ორი სკოლა მოქმედებდა – ბერძნული და თურქული. რაც შეეხება რელიგიური ხასიათის სკოლებს (მექთებეები და მედრესეები), ოლქში მათი რაოდენობა 207 შეადგენდა.

საერო სკოლების რაოდენობა 1878 წლიდან მატულობს. **1881 წლის 23 მარტს** ბათუმში სკოლას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხსნის. ამავე წელს იხსნება სახელმწიფო რუსულენოვანი სამკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1886 წელს რვაკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. 1886 წელს ასევე დარსდა ქალთა დაბალი ტიპის რუსული სასწავლებელი, რომელიც შემდგომში ცნობილია მარიამის ქალთა სასწავლებლის სახელით. ამავე წლებში გაიხსნა ბერძნული და სომხური სკოლები. ბათუმში დიდი რაოდენობით მოქმედებდა კერძო სასწავლებლებიც: 1888 წელს გაიხსნა პალიევას, 1893 წელს ლებედევას, 1902 წელს ჟელტუხინას და ბერაიას, 1903 წელს მეფისოვას სკოლები. 1890-იანი წლებიდან მოქმედებას იწყებს მუშათა საკვირაო სკოლები.

ბათუმის ინტენსიურმა განვითარებამ უფრო მაღალი დონის სასწავლებლის გახსნის საჭიროებაც გამოიწვია. 1897 წელს 1 სექტემბერს გაიხსნა **ვაჟთა გიმნაზია** (დღევანდელი ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი კორპუსი), ხოლო 1900 წელს **ქალთა გიმნაზია** (დღევანდელი დავით აღმაშენებლის სახელობის №2 სკოლის შენობა). ქალაქში წარმოების განვითარებას პროფესიული სასწავლებლის გახსნის საჭიროებაც მოყვა. ამიტომ 1889 წელს გაიხსნა პირველი პროფესიული სასწავლებელი, ე.წ. სახელოსნო სასწავლებელი. **პირველი ბიბლიოთეკა** ბათუმში 1896 წელს გაიხსნა. 1900 წელს ალ.წულუკიძის და ფ.მახარაძის ინიციატივით დაფუძნდა სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც შემდგომში გადაკეთდა საჯარო ბიბლიოთეკად. თავდაპირველად ის ნ.გოგოლის სახელს ატარებდა. მეორე ბიბლიოთეკა 1913 წელს თვითმმართველობის ხარჯით გაიხსნა. მოგვიანებით ბათუმში ბიბლიოთეკების ფართო ქსელი არსებობდა. 1933 წელს ბათუმში 6 ბიბლიოთეკა იყო. 1937 წელს არსებული სახალხო ბიბლიოთკა საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთდა და 1940 წლიდან მას აკაკი წერეთლის სახელი მიენიჭა.

1921 წელს იქმნება წერა-კითხის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისია, რომლის საქმიანობის შედეგად სკოლების რიცხვი თანდათან მატულობდა. 1922 წელს ბათუმში მოქმედებდა სხვადასხვა ტიპის 13 სკოლა (ოთხწლიანი, რვაწლიანი, ტექნიკუმი). მასწავლებელთა დეფიციტის აღმოსაფხვრელად 1923 წელს გაიხსნა **ოთხწლიანი პედსასწავლებელი**

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოსამზადებლად. 1935 წლიდან დაარსდა 2-წლიანი **სამასწავლებლო ინსტიტუტი** (1938 წლიდან მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი), რომელიც 1945 წელს პედინსტიტუტად, ხოლო 1990 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა. 1931 წელს გაიხსნა ბათუმის ქალთა პედსასწავლებელი, რომელიც 1941 წლამდე მოქმედებდა და შემდგომ შეუერთდა 1923 წელს დაარსებულ პედსასწავლებელს. მოგვიანო წლებში განათლების სფეროში გატარებული რეფორმებით (1954 წელს ქალ-ვაჟთა ცალკე სწავლების გაუქმება, 1949-50 წლებში სავალდებულო შვიდწლიანი სწავლების, ხოლო 1946-47 წლებში – თერთმეტწლიანი სწავლების შემოღება), განათლება რეგიონში, ფაქტობრივად, საყოველთაო გახდა.

პროფილური განათლების სფეროში ბათუმში სხვადასხვა დროს შემდეგი სასწავლებლები გაიხსნა: ბათუმის პროფტექნიკუმი (1966 წ.), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი (1969 წ.), ინდუსტრიული ტექნიკუმი (მოქმედებდა 1923-40 წლებში, ხელახლა გაიხსნა 1974 წელს), სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი (1925 წ., 1946 წელს გადაკეთდა სუბტროპიკულ ტექნიკუმად), კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი (1957 წ., 1987 წლიდან მიენიჭა იუსუფ კობალაძის სახელი), სამხატვრო სასწავლებელი (ფუნქციონირებდა 1936-42 წლებში, აღადგინეს 1970 წელს და მიანიჭეს ნიკოლოზ კანდელაკის სახელი).

ამჟამად ბათუმში 19 კერძო და 27 საჯარო სკოლაა, ასევე 6 კერძო და 2 საჯარო პროფესიული სასწავლებელი. 2011 წლისათვის მოსწავლეთა 12% სწავლობდა კერძო სკოლებში.

ბათუმი უმაღლესი განათლების მძლავრ, თანამედროვე კერად ყალიბდება. სადღეისოდ აჭარაში 7 უმაღლესი სასწავლებლიდან 6 ბათუმში მოქმედებს, ესენია – სსიპ ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ **ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“, „საქართველოს უნივერსიტეტის“ ბათუმის ფილიალი, საზღვაო სასწავლო ცენტრი „ანრი“.

საერო სასწავლებლების ქსელის გარდა, აჭარაში მოქმედებს ქრისტიანული და მუსლიმური სასულიერო სასწავლებლებიც.

სკოლამდელი დაწესებულებები ბათუმში 1921 წელს დაარსდა, ამ წელს ბათუმში 2 ბაგა და 1 ბაღი შეიქმნა. 1937 წელს უკვე 34 საბავშვო ბაღი იყო.

სკოლამდელ დაწესებულებებში აჭარაში სულ სწავლობს 3 870 ბავშვი, მათ შორის ქალაქებში – 2 806.

ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობიდან აჭარაში 175 აქვს უმაღლესი განათლება, 33 – დაუმთავრებელი უმაღლესი.

სერიოზული ყურადღება ეთმობოდა სპორტის განვითარებას. 1921 წლიდან ბათუმში

საიალქნო სპორტი ვითარდება. 1922 წელს შეიქმნა სპორტული საზოგადოებები „შევარდენი“ და „სპარტაკი“. 1925 წელს ჩატარდა პირველი საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. 1929 წელს აშენდა პირველი სტადიონი. სპორტული სახეობების განვითარებასთან ერთად საჭირო შეიქმნა სპორტული კადრების მომზადება, რისთვისაც ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში 1936 წლიდან შესაბამისი ფაკულტეტი გაიხსნა.

აჭარაში სულ 17 სპორტული ბაზა და სტადიონია, მათგან ბათუმში 6. იგეგმება 3 ახალი ბაზის მშენებლობა, მათ შორის ოლიმპიური კომპლექსი. ამჟამად ბათუმში 2205 მასწავლებლიდან 226 სერტიფიცირებულია.

კულტურა. ქალაქში კულტურული ცხოვრება ბათუმის ზრდასთან ერთად ვითარდებოდა. პირველი წარმოდგენა 1879 წლის 20 ივლისს გაიმართა. ეს იყო ზ.ანტონოვის „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“

თეატრის შენობა თავდაპირველად 1881 წელს დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე (დღევანდელი გამსახურდიას ქუჩა) გაიხსნა და გათვლილი იყო 400 მაყურებელზე. შემდეგ წლებში მან რამდენჯერმე შეიცვალა მისამართი. 1916 წელს არქიტექტორმა შმაევსკიმ ააგო თეატრის ახალი შენობა (ყოფილი ხალხური შემოქმედების საოლქო სახლი, რომელიც 1989 წელს დაანგრიეს).

საბჭოთა პერიოდში თეატრალური დასი 1921 წელს შეიქმნა. მალე მას აკადემიური თეატრი ეწოდა. 1929-1931 წლებში ბათუმელი მაყურებლის მომსახურება თავის თავზე აიღო ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა, რომელიც „ქუთაის-ბათუმის” თეატრის სახელით იხსენიებოდა. 1937 წლის გაზაფხულზე ბათუმში დაბრუნდა რუსთაველის თეატრის სტუდიაში სპეციალურად მომზადებული 22 ახალგაზრდა. სწორედ მათი ძალებით ჩამოყალიბდა ახალი შემოქმედებითი კოლექტივი – ბათუმის სახელმწიფო თეატრი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

რაც შეეხება თოჯინების თეატრს, ის პირველად 1936 წელს გაიხსნა, შემდეგ რამდენჯერმე დაიხურა. ბოლოს 1980 წელს აღადგინეს და დღემდე მოქმედებს.

2011 წლის მონაცემებით, ქალაქს ემსახურება 3 თეატრი და 4 საკონცერტო-სანახაობითი დაწესებულება, რომელთა შორის გამორჩეულია **ბათუმის ხელოვნების ცენტრი**. 2009-2011 წლებში თეატრებში მაყურებელთა საშუალო რაოდენობა 18 000-ზე მეტი იყო.

მუზეუმები. პირველი მუზეუმი ბათუმში 1908 წლის 19 მარტს გაიხსნა. ეს იყო საქალაქო სასწავლებელთან არსებული საბავშვო მუზეუმი, რომელიც 1912 წლის 15 ოქტომბერიდან საქალაქო მუზეუმად, ხოლო 1925 წლიდან მხარეთმცოდნეობით მუზეუმად იწოდებოდა.

1994 წლის პირველ მარტს შეიქმნა აჭარის სამუზეუმო გაერთიანება, ხოლო 2011 წლისათვის ბათუმში 6 სამუზეუმო ორგანიზაცია მოქმედებდა – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხარიტონ

ახვლედიანის სახელობის მუზეუმი (4 ფილიალი), გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი და აჭარის ხელოვნების მუზეუმი.

კულტურული მემკვიდრეობა. დღევანდელი აჭარა საქართველოს იმ ვრცელ ისტორიულ-კულტურულ არეალს მიეკუთვნება, რომელიც XIV საუკუნიდან სამცხე-საათაბაგოს სახელწოდებითაა ცნობილი. მთელი ეს მხარე – მესხეთი, ანუ ზემო ქართლი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში და ქართულ განათლება-ხელოვნებაში, რასაც დღემდე შემორჩენილი ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა მოწმობს. XVI საუკუნიდან მხარე ოსმალურ მმართველობაში გადადის, რამაც გავლენა მოახდინა აქ არსებულ მატერიალურ კულტურაზე.

დღეისათვის აჭარაში სულ დარეგისტრირებულია კულტურული მემკვიდრეობის 223 ძეგლი, ამათგან 142 ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზეა.

კურორტები და ტურიზმი

სუბტროპიკული კლიმატი, საუკეთესო სამკურნალო თვისებების მქონე თბილი შავი ზღვა, სანაპირო ზოლში არსებული ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურა და მთისა და ზღვის უნიკალური ურთიერთშეხამება ქმნის საუკეთესო პირობებს აჭარაში დასვენებისათვის.

ბათუმსა და მიმდებარე ტერიტორიაზე კურორტებისადმი ყურადღებას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება და წარჩინებული პირები 1878 წლიდან იჩენენ. ამის შედეგად აქტიურად შენდება სხვადასხვა ტიპის აგარაკები და საკურორტო ინფრასტრუქტურა. ამ პერიოდში გაშენდა ბულვარი, ბოტანიკური ბაღი და ა.შ. 1923 წლიდან ანუ გასაბჭოების შემდეგ მთელი ინფრასტრუქტურა გადავიდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში. ამ პერიოდში 1300-მდე მოაგარაკე ფიქსირდება. საკურორტო საქმის მოწესრიგების მიზნით 1929 წელს ბათუმის ფიზიოთერაპიის ინსტიტუტი იხსნება, რომელიც მოგვიანებით კურორტოლოგისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტად გადაკეთდა. თანდათან იზრდებოდა იმ ადგილების რაოდენობა, სადაც ტურისტული ბაზები და ინფრასტრუქტურა არსებობდა (ბათუმი, მახინჯაური, ჩაქვი და ა.შ.). პირველი ტურისტული სასტუმრო ბათუმში 1930 წელს გაიხსნა. 1927 წელს ინტურისტის სააგენტოს წარმომადგენლობა იხსნება, რომლისთვისაც 1939 წელს სასტუმრო „ინტურისტი“ აშენდა. 1959 წელს მოწესრიგდა ბათუმის ტურისტული ბაზა, ხოლო 1963 წელს იქმნება ტურიზმისა და ექსკურსიების ერთიანი სამსახური. ბათუმში ტურისტების მატებამ ახალი სასტუმროების აშენების საჭიროება გააჩინა, ამიტომ 1969-1982 წლებში შენდება სასტუმრო „მედეა“, 1970-იან წლებში – საზაფხულო სახლები და ტურბაზები, ხოლო 1986 წელს – სასტუმროკომპლექსი „მესხეთი“.

1990-იანი წლებიდან არსებული პანსიონატები სამოქალაქო ომის შედეგად უსახლკა-

როდ დარჩენილმა პირებმა დაიკავეს.

ამჟამად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 6 კურორტი, მათ შორის 3 – მწვანე კონცხი, მახინჯაური და ბათუმი – ქალაქის ტერიტორიაზეა. ბათუმში სხვადასხვა პროფილის კურორტებია: კლიმატური, ზღვისპირა, პროფილაქტიკურ-კარდიოლოგიური; ასევე მახინჯაურის კლიმატური, პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური. საკურორტო ადგილებია ბათუმის მთა და გონიო/სარფი, ორივე მათგანი ზღვისპირა პროფილაქტიკურ-კარდიოლოგიური პროფილისაა.

2011 წლის მონაცემებით აჭარაში სულ დაფიქსირდა 1.319.513 ვიზიტიორი.

აჭარის რეგიონში 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსული უცხოელი ვიზიტიორების რაოდენობით პირველ ადგილზეა თურქეთი (48,4%), მეორეზე სომხეთი (21,7%), შემდეგ აზერბაიჯანი – 11,7%, ირანი – 5,6%, უკრაინა – 2,2%. შემოსულ ტურისტთა 88,2% ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებზე მოდიოდა.

2009 წლიდან საკრუიზო კომპანიები თავიანთ მარშრუტებში ერთ-ერთი გაჩერების პუნქტად „ბათუმს" აღნიშნავენ (Sea born, Holland-America). 2011 წელს ბათუმის პორტში შემოვიდა 8 საკრუიზო გემი.

აჭარის ა.რ-ში 2011 წელს, 2006 წელთან შედარებით, ტურისტების განთავსების საშუალებების რაოდენობამ 87%-ით იმატა. 2011 წელს არსებული 51.1 ათასი ადგილიდან 80 %-ზე მეტი საოჯახო ტიპის განთავსების საშუალებებზე მოდის.

ტურისტთა ინტერესი აჭარის მიმართ განსაკუთრებით იზრდება ზაფხულის პერიოდში – ივლისსა და აგვისტოში.

საზოგადოებრივი კვების ობიექტების ძირითადი ნაწილი ბათუმსა და ქობულეთშია განლაგებული, კერძოდ, ბათუმში ფუნქციონირებს 126 კვების ობიექტი.

აჭარაში 15 ტურისტული სააგენტოა და უმეტესი ბათუმში მდებარეობს. კერძოდ: შპს „აბ ვიზიტ აჭარა", შპს „არგოტური", შპს „აჭარა-ტური", „Batumi Aviaturi", შპს „Calypso Travel", შპს „FRESH TOUR", შპს „BAYARTOUR", შპს „GAMMA TRAVEL", შპს „გეზი", „ინტერნაციონალი", შპს „უნი ტური", შპს „ჯემინი", შპს „Wonderland", შპს „ხინო",. ტურისტული სააგენტოები ძირითადად გამსვლელ ტურიზმზე არიან ორიენტირებულნი.

აჭარაში სულ 7 ტურისტული საინფორმაციო ცენტრია. მათგან ორი ბათუმის ცენტრში მდებარეობს. 2010 წლის მარტიდან თურქეთში, ტრაბზონში, ფუნქციონირებს აჭარის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.

დელფინარიუმი. ბათუმის დელფინარიუმი საზეიმოდ გაიხსნა 1975 წელს. მაშინ ეს იყო პირველი სადემონსტრაციო დელფინარიუმი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და

მსოფლიოს უდიდეს დელფინარიუმებს განეკუთვნებოდა. დელფინარიუმის არსებობა, სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, ქალაქს და მთლიანად რეგიონს ტურისტებისთვის უფრო მიმ-ზიდველს ხდიდა. დელფინების წარმოდგენას, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების გარდა, ბათუმში ამისათვის სპეციალურად ჩამოსული მსურველებიც ესწრებოდნენ. სწორედ ამ ობიექტის უსაზღვრო პოპულარობამ განაპირობა დელფინის ქალაქის სიმბოლოდ დამკვიდრება. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო ობიექტმა ფუნქიონირება შეაჩერა.

ბათუმის დელფინარიუმი კვლავ მხოლოდ 20-წლიანი პაუზის შემდეგ, 2011 წლის 6 მაისს გაიხსნა. ქალაქის მერიის ინიციატივითა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ძალისხმევით, ბათუმში ამოქმედდა სრულიად ახალი დელფინარიუმი. იგი შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფა-უნის შემსწავლელი სამეცნიერო – კვლევითი ცენტრის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტირება და მონტაჟი ეკუთვნის ცნობილ ამერიკულ ფირმებს: TJP Engineering-სა და RCK-ს. ობიექტი საქველმოქმედო ფონდ „ქართუსთან“ ერთად ასოციაცია „atu“-მ აღჭურვა. იგი თანა-მედროვე დიზაინის შენობაა, რომელიც ზღვის ცხოველების ხელოვნურ პირობებში შენახვის ყველა უახლეს მოთხოვნას ითვალისწინებს.

დელფინარიუმის ამფითეატრი შედგება 4 სექტორისაგან და გათვლილია 703 მაყურებელ-ზე. ინფრასტრუქტურაში შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურება პან-დუსითა და ლიფტებით.

აკვარიუმი. ბათუმის სადემონსტრაციო აკვარიუმი 1966 წლის 20 აგვისტოს გაიხსნა. თავ-დაპირველად აქ წარმოდგენილი იყო წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის ფეხფარფლიანი ძუ-ძუმწოვარი ცხოველები, ძვირფასბეწვიანი წავები და კასპიის ზღვის სელაპები. მნახველებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ინდოეთის ოკეანის მობინადრე გიგანტური კუ, ე.წ. „ცრუ კარეტა“, რომელიც დაახლოებით 100 კგ-ს იწონიდა. დეკორატიული თევზების მრავალ-ფეროვნება მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. აკვარიუმში მტკნარი წყლე-ბის, სხვადასხვა ზღვისა და ოკეანის ცხოველთა 60-მდე სახეობა ბინადრობდა.

ბათუმის აკვარიუმში არსებული თევზების უმრავლესობა ადგილობრივად არის გამოყვანი-ლი და გამრავლებული. აღსანიშნავია, რომ თუ თევზებს არა აქვთ შექმნილი ბუნებრივი პირო-ბების შესაფერისი გარემო, მათი გამრავლება შეუძლებელია.

ამჟამად აკვარიუმში შავი ზღვის, საქართველოს მტკნარი წყლების ბინადართა ზოგიერთი და დეკორატიული თევზების 100-მდე სახეობაა წარმოდგენილი: ზღვის კატა, ზღვის მელა, ზღვის ენა, კეფალისებრნი, ცხენთევზა, ხონთქარა, ნაგვერდალა და სხვა უნიკალური ჯიშის თევზები. ეგზოტიკური სახეობებიდან აღსანიშნავია ამაზონის ბინადარი პირანია, ციხლიდები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თევზები – გურამი, ბარბუსი, ბოცია, ლაბეო და ულამაზესი დის-კუსები. სელექციური მუშაობის შედეგად აკვარიუმში გამოყვანილია იაპონური კობრი (koi).

თავდაპირველად აკვარიუმი „ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკაშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების” ბაზაზე შეიქმნა. 2008 წლი-დან ქ. ბათუმის ა(ა)იპ „6 მაისის პარკის“ დაქვემდებარებაში გადავიდა, 2011 წლის 1 იანვრიდან კი – ბათუმის სადემონსტრაციო აკვარიუმი შ.პ.ს. „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავ-ლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის” ერთ-ერთი შემადგენელი ობიექტია.

ბათუმის საკულტო არქიტექტურის ძეგლები

ძველი ბათუმის ისტორიული ნაწილი შედგებოდა მეტ-ნაკლებად თანაბარი არქიტექტურული მნიშვნელობის მქონე ურბანული ელემენტებისაგან – უბნებისა და კვარტლებისაგან, თუმცა, XX საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქში არსებობდა შედარებით მასშტაბური ხუროთმოძღვრეული აქცენტები საკულტო შენობების სახით. XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმი მულტიკონფესიური ქალაქი იყო, აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა ქრისტიანული, მუსლიმური და ებრაული სალოცავები.

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ბათუმი, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქები, XIX-XX საუკუნეების მიჯნის რუსეთისა და ევროპის ქალაქების სპეციფიკას მისდევს. XIX საუკუნეში ეროვნული ხუროთმოძღვრება კარგავს თავის თვითმყოფადობას, არქიტექტურა იძენს „ევროპეიზებულ" და „კოსმოპოლიტურ" ხასიათს, რაც გამოხატულებას მოდერნისა და ფსევდოსტილების დამკვიდრებაში პოვებს. ბათუმის საკულტო შენობებიც წარმოაჩენენ ეკლექტიზმის ნიშნებს, და ამავე დროს XIX-XX საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში სუსტად გამოვლენილ ეროვნულ ტრადიციებს.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ბათუმის არქიტექტურაში ქრისტიანული ტაძრების აღმშენებლობის შემდეგი სურათი იკვეთება:

ბათუმის ბერძნულ-მართლმადიდებლური (წმ. ნიკოლოზის სახელობის) ტაძარი აიგო ბათუმში მცხოვრები ბერძნების დაკვეთით 1867-1871 წლებში. ამჟამად ეკლესია დგას ფარნავაზ მეფისა და ზ. გამსახურდიას ქუჩების კვეთაში.

წმინდა ნიკოლოზის ტაძარი ე.წ. „ჩახაზული ჯვრის" ტიპის ნაგებობაა. მისი გუმბათი ემყარება წრიული ფორმის ოთხ სვეტს, საკურთხevლის აფსიდს ერთვის სამკვეთლო და სადიაკვნე, დასავლეთი მკლავის მონაკვეთში პატრონიკე და სამრეკლოა გამართული. ტაძრის გარე მასები მსგავსებას ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშებთან იჩენს. მისი ხუროთმოძღვრება ითვალისწინებს საქართველოში პონტოელ ბერძენთა მიერ აგებული ტაძრების თავისებურებებს. კერძოდ, პონტოელთა ეკლესიების მსგავსად, მას ახასაითებს საკმაოდ დიდი ზომა, ხალვათი შიდა სივრცე,შვერილი აფსიდები, ბიზანტიური ყაიდის მრგვალი, ნახევარსფერული ფორმის გუმბათი და მწირი საფასადო დეკორი. ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძრის არქიტექტურა წარმოადგენს პოსტბიზანტიური და ახალბერძნული კულტურული ტრადიციების გამოვლინის ნიმუშს. ის ძველი ქალაქის საკულტო არქიტექტურის ერთ-ერთი ადრეული და საინტერესო ნიმუშია.

ბათუმის ყოფილი სომხურ-კათოლიკური ეკლესია მდებარეობს კ.გამსახურდიასა და ვ.გორგასლის ქუჩების გადაკვეთაში. იგი აგებული უნდა იყოს 1874-1876 წლებში. ნაგებობა წარმოადგენს მოგრძო უგუმბათო შენობას, აღმოსავლეთის შვერილი აფსიდითა და დასავლეთის პორტიკით. ნიშანდობლივია რომ, თავდაპირველად, საკურთხevელი გადახურული იყო ტაძრის კორპუსთან შედარებით მაღალი, დამოუკიდებელი დეკორატიული, „ყვავილის" ფორმის გუმბათით, რომელსაც აგვირგვინებდა მცირე მოცულობის, ასევე გუმბათით დას-

რულებული „სამრეკლო". ნაგებობას ატყვია შედარებით გვიანი განახლების კვალი, რაც შესაძლოა XIX საუკუნის დასასრულს უკავშირდებოდეს. ტაძრის ინტერიერი და ფასადები ხასიათდება რამდენადმე ტლანქი, უხეში ფორმებითა და სადა მხატვრული გადაწყვეტით. ამჟამად ეკლესია არ ფუნქციონირებს.

ბათუმის სომხურ-გრიგორიანული (ახლანდელი სომხეთის სამოციქულო) ეკლესია მდებარეობს კ. გამსახურდიას ქუჩაზე (№25). ტაძრი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. ინტერიერის გადაწყვეტითა და გარეგნული იერით იგი ეფუძნება შუა საუკუნეების სომხური არქიტექტურის ტრადიციებს, თუმცა XIX-XX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ეკლექტური ნიშნებით. გეგმით ტაძარი წარმოადგენს სწორკუთხედს, რომელსაც აღმოსავლეთით ერთვის სამი შვერილი წახნაგოვანი აფსიდი, ხოლო დასავლეთით სამნაწილიანი ნართექსი და კარიბჭე, რომლის თავზე გამართულია სამრეკლო. საშენ მასალად გამოყენებულია ქვა და აგური. ტაძრის კედლები ძირითადად აგებულია აგურით, ხოლო ჯვრის მკლავების ცენტრალური არეები, პორტალები, თაღები, ნიშები, სარკმლის საპირეები, კარნიზები მოპირკეთებულია თეთრი და ვარდისფერ ქვის კვადრებით. ერთგვარი სიმსუბუქის მიუხედავად, ნაგებობა მაინც დაბალი პროპორციებითა და კამერული მასშტაბებით გამოირჩევა. საინტერესოა ტაძრის შიდა სივრცე. ცენტრალურ დარბაზს კედლებსა და საბჯენ თაღებზე დაფუძნებული ჯვარედინი კამარა აგვირგვინებს, რომლის ცენტრში აღმართულია მაღალ ყელს დამყარებული გუმბათი. ზომიერად განათებული ინტერიერის ფონზე გუმბათი ყველაზე მსუბუქ და ნათელ აქცენტად წარმოგვიდგება. არქიტეტურული თავისებურებების მიხედვით ტაძრის აგება XIX 80-90-იან წლებს უნდა უკავშირდებოდეს.

ბათუმის წმინდა ბარბარეს ეკლესია XIX საუკუნის დასასრულს აგებული ჰოსპიტლის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო. ერთნავიანი სალოცავი რიგით საეკლესიო ნაგებობას წარმოადგენს. ქალაქგეგმარების თვალსაზრისით, მან განსაკუთრებული მნიშვნელობა 1990-იან წლებში, ძველი ჰოსპიტლის შენობების დანგრევის შემდეგ შეიძინა (რუსთაველის ქუჩა).

მისი სამლოცველო თაღოვანი გალერეით დაკავშირებული ორი ნაგებობისაგან შედგება. მისი გეგმა სწორკუთხა მოხაზულობისაა, რომელსაც აღმოსავლეთიდან ერთვის ნახევარწრიული შვერილი აფსიდი. დასავლეთით მცირე ზომის კარიბჭეა მიდგმული, ხოლო ზევით ეკლესიის ფრონტონის არეში შეჭრილი, ოთხივე მხრივ თაღებით გახსნილი სამრკლო დგას. ეკლესიის ინტერიერი უხვადაა განათებული მოზრდილი სარკმლებიდან შემოსული შუქით. ფასადის მხარეს სარკმლების ღიობებს შემოუყვება პროფილირებული საპირე. ფასადების დეკორაციული მორთულობის ერთადერთ სახეს კარნიზის ძირში გაყოლებული კბილანისებური სარტყელი ქმნის.

ზღვის სანაპიროზე, ბათუმის ბულვარში, დღევანდელი სასტუმრო „ინტურისტის" ადგილას იდგა სამხედრო მართლმადიდებლური ტაძარი – **წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის**. ტაძარს საფუძველი ჩაუყარეს 1888 წელს, ხოლო მშენებლობა დასრულდა XX საუკუნის დასაწყისში. მშენებლობას ხელმძღვანელობდა არქიტექტორი ვლადიმერ სიმონსონი. მასზე მსჯელობა მხოლოდ რამდენიმე ფოტოთი შეიძლება. XX საუკუნის დასაწყისის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ტენდენციის თანახმად, ბათუმის სამხედრო ტაძრის არქიტექტურა ეფუძნებოდა გვიანი შუა საუკუნეების რუსული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს. ტაძარი გარეგნულად წარმოადგენდა მრავალგუმბათიან ჯვრულ ნაგებობას სწორკუთხა მკლავებით, აღმოსავლეთის შვერილი აფსიდებით, დაბალი კუთხის სა-

თავსებითა და დასავლეთ მხარეს მიშენებული თანადროული სამრეკლოთი. ბათუმის საეკლესიო არქიტექტურის სხვა ნიმუშებთან შედარებით, ალ. ნეველის ეკლესია თავისი ადგილმდებარეობით, მასშტაბითა და სიდიდით წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დომინანტს.

ბათუმის ყოფილი კათოლიკური **(ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო)** ეკლესიის მშენებლობას საძირკველი 1898 წელს ჩაეყარა, ხოლო ტაძრის მშენებლობა დასრულდა 1902 წელს. ტაძრის აგება შესაძლებელი გახდა სტეფანე ზუბალაშვილის დაფინანსებით. პირველი წირვა-ლოცვა ქართველმა კათოლიკე ბერმა – პადრე ანსელმო მღებრიშვილმა ჩაატარა. საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში მადალი ძაბვის ლაბორატორია განათავსეს. 1989 წლიდან ტაძარში მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ტარდება.

ტაძარი ნაშენია ბეტონით, ქუთაისის ვარდისფერი და ყვითელი ფერის ქვით. ეკლესია აგებულია „ფსევდოგოთურ“ სტილში. ნაგებობის გეგმა ეფუძნება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ტაძრის ტიპს.სამნავიანი ბაზილიკის დასავლეთით გოთიკური კოშკურებიანი კარიბჭეა, ხოლო ტაძრის ცენტრალურ ნაწილსა და სამნაწილიან საკურთხეველს შორის – ერთნავიანი ტრანსეპტი. ასეთი გეგმარების შედეგად ტაძარი ჯვრის მოხაზულობას იძენს. ეკლესია აღმართულია მაღალი ცოკოლის სართულზე. შენობა გამოირჩევა დახვეწილი პროპორციებით, არქიტექტურული მასების, ფორმების, სამშენებლო მასალისა და პოლიქრომიული ეფექტების გამომსახველობით. ტაძრის ინტერიერი ხასიათდება ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის – კედლის მხატრობისა და ვიტრაჟის ანსამბლით. მისი არქიტექტურა ავლენს ფსევდოგოთური სტილისათვის დამახასიათებელ ეკლექტურ ნიშნებს, შემოქმედებით თავისუფლებასა და სითამამეს არქიტექტურული დეტალების, ფერადოვანი აქცენტების განაწილებისა და ფასადის დეკორატიული გააზრების თვალსაზრისით. ტაძარი რესტავრირებულია XX საუკუნის 80-იან წლებში.

ძველი ბათუმის ერთ-ერთ უბანში – „ნურიეში”, მდებარეობდა **ქართული მართლმადიდებლური ტაძარი**. იგი იდგა დღევანდელი პ. მელიქიშვილისა და ზ. გორგილაძის (ყოფილი ლ. ასათიანისა და ვოზნესენსკის) ქუჩების გადაკვეთაში. სავარაუდოდ, ტაძრის მშენებლობის დაწყება XIX საუკუნის დასასრულს უკავშირდება. ტაძარი მშენებლობის დასრულებამდე – გასული საუკუნის 30-იან წლებში დაანგრიეს. ნაგებობის არქიტექტონიკა ეფუძნებოდა შუა საუკუნეების ქართული გუმბათოვანი ტაძრების სტრუქტურას. ქალაქის ისტორიულ უბანში მდებარე ეს მართლმადიდებლური ტაძარი ბათუმის საკულტო არქიტექტურაში ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციების გამოხატულება იყო.

ებრაული სალოცავები – სინაგოგა. ბათუმის **აშკენაზების სინაგოგა** მდებარეობს ვაჟა ფშაველას (ყოფილი შეპელევის) ქუჩაზე. იგი აგებულია ბათუმელი არქიტექტორის სიმონ ვოლკოვიჩის (1879-1937 წწ.) პროექტის მიხედვით – 1913 წელს. თავდაპირველად სინაგოგა ითვალისწინებდა საღვთისმსახურო და დაწყებითი სასწავლებლისათვის საჭირო სათავსებს. თუმცა, დღევანდელი სახე მოწმობს, რომ პროექტი განხორციელდა გარკვეული

ცვლილებებით და უპირატესობა მხოლოდ სამლოცველო დარბაზს მიენიჭა. ნაგებობა ყურადღებას იქცევს თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით. მისი დასავლეთი ფასადი გოთური და ისლამური სტილის დეტალებითაა მორთული. სამლოცველო დარბაზის სივრცეში ხაზგასმულია გრძივი ღერძი. სივრცის არქიტექტონიკით დარბაზი სამნავიან სალოცავებს მოგვაგონებს. სამი წყვილი წრიული სვეტი, რომელთაც ქალთა გალერეა – აზარა უჭირავს, სივრცეს სამ ნავად ყოფს. მიუხედავად ცვლილებებისა, ბათუმის აშკენაზების სამლოცველო წარმოადგენს საგანგებოდ სინაგოგად აგებული შენობის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს საქართველოში. იგი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ავთენტურობას.

მუსლიმანური სალოცავები – მეჩეთები. ბათუმის მულტიკონფესიურ სივრცეში თავისი ადგილი ეჭირა მუსლიმანურ სალოცავებსაც. 1909 წლის რუკის მიხედვით ბათუმში ფუნქციონირებდა „აზიზიეს", „ახმედიესა" და „მუფთიეს" მეჩეთები.

ქრონოლოგიურად ერთ-ერთი ადრეულია ე.წ. **„აზიზიეს"** მეჩეთი, რომელიც 1860-იან წლებში აიგო სულთან აზიზის დედის, ვალიდე ხანუმის ინიციატივით ნავსადგურის მიდამოებში. იგი, ძირითადად, ოსმალო სამხედროებისათვის იყო განკუთვნილი და 1878 წლიდან, როცა ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, მან დაკარგა როგორც ფუნქცია, ისე თავისი საკუთრებაც. მეჩეთი მდებარეობდა აზიზიეს მოედანთან ახლოს, დღევანდელი ზ. გამსახურდიასა და ი. გოგებაშვილის ქუჩებს შორის მონაკვეთში, სადაც ამჟამად დგას საბჭოთა პერიოდში აგებული საცხოვრებელი სახლი. იგი წარმოადგენდა ზომიერი მასშტაბის ნაგებობას, მისი სიმაღლე არ აჭარბებდა ირგვლივ მდებარე ორსართულ შენობებს. „აზიზიეს" მეჩეთის გეგმა ეფუძნებოდა ოქტოგონს, რომელსაც აგვირგვინებდა პროფილირებული სადა კარნიზი და ასევე რვაფერდა კონუსური სახურავი. ნაგებობის ერთ-ერთ წახნაგზე მიდგმული იყო პორტიკი. მეჩეთს მიშენებული ჰქონდა აივნიანი მინარეთი. მუსლიმანური სალოცავისათვის ტიპური ამ მინაშენის გარდა, ნაგებობის ფასადები აღმოსავლური სტილისათვის დამახასიათებელ რაიმე განსაკუთრებულ ნიშანს ან ორნამენტულ დეტალს არ შეიცავდა. გეგმითა და მხატვრული გადაწყვეტით „აზიზიეს" მეჩეთი ეფუძნებოდა XIX საუკუნის ოტომანური არქიტექტურის ტრადიციებს.

ბათუმის **„ორთა ჯამე"** აგებულია უფრო ძველი მეჩეთის – ე.წ. „ახმედიეს" ადგილას. „ახმედიეს" ხის მეჩეთი ყურეს მახლობლად, თავისივე რეზიდენციასთან ახლოს აღუმართავს ახმედ ფაშა ხიმშიაშვილს. XIX საუკუნის 90-იან წლებში, ხანძრით განადგურებული ძველი მეჩეთის ადგილას, აგებული იქნა ქვის ახალი მეჩეთი, რომელსაც „ორთა ჯამე" უწოდეს, რადგან იგი ორ მეჩეთს – „აზიზიესა" და „მუფთიეს" შორის მდებარეობდა. გადმოცემით, აღნიშნული ჯამე მოუხატავს ლაზ ოსტატს – მურად უსტას. XIX საუკუნის დასასრულს ბათუმში მოქმედი ორი მეჩეთიდან, რომლებიც ქართველ მუსლიმანებს ემსახურებოდა, დღეისათვის მხოლოდ ეს ნაგებობა შემორჩა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი ითავსებს როგორც საკრებულო, ისე სამუფთოს ცენტრალური მეჩეთის ფუნქციას. „ორთა ჯამე" წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა ორსართულიან შენობას. მისი მთავარი ფასადი გამოდის ჩკალოვის ქუჩაზე. მეჩეთის კომპლექსი მოიცავს: მთავარ სამლოცველო დარბაზს, ქალთა სამლოცველოს, სამეურნეო სადგომებს, ადმინისტრაციულ ფართს, სასადილოს, მედრესეს, 1995 წელს აგებულ მინარეთს და შიდა ეზოს. კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ნაგებობები თანადროული არ არის. ამათგან ყველაზე ძველია მეჩეთის ძირითადი სამლოცველო დარბაზი. ნაგებობის ექსტერიერში ისლამური არქიტექტურის გავლენა ფანჯრებისა და პორტალების მორთულობაში იგრძნობა. ფასადებისაგან განსხვა-

ვებით ინტერიერი მოკლებულია ავთენტურობას. მისი განახლების მიუხედავად, ნათელია, რომ ჭერის კონსტრუქცია, ისევე როგორც ინტერიერში წარმოდგენილი ორნამენტული ჩუქურთმა, ნაწილობრივ, ქართული ხითხუროობის ტრადიციებს ავლენს და საცხოვრებელ სახლებსა და ხის მეჩეთებში გამოყენებულ ფორმებს ეფუძნება. ქართულ ტრადიციებს ავლენს აივნის, მიმბარისა და კარებების ჩუქურთმა, სადაც გეომეტრიულ მოტივებთან ერთად უხვად გვხვდება მცენარეული ორნამენტები. ბათუმის „ორთა ჯამე“ ქართული და ისლამური კულტურული ტრადიციების სინთეზის ერთგვარი ნიმუშია.

მესამე მეჩეთი – ე.წ. **„მუფთის ჯამე”** – მდებარეობდა ბათუმის ძველ უბანში, დღევანდელი ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძისა და ჯორჯიაშვილის ქუჩებს შორის მონაკვეთში. იგი აგებული იყო 1870-1873 წლებში ვინმე მუფთის მიერ. სავარაუდოდ, მისი არქიტექტურული გადაწყვეტა ეფუძნებოდა ქართული ხის მეჩეთების ტრადიციებს.

ამდენად, XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის საკულტო ძეგლების მაგალითზე თავლსაჩინოა, ისტორიული ვითარების შესაბამისად, თუ როგორ ვითარდებოდა ქალაქის ეთნიკური და სარწმუნოებრივი სურათი. XIX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმში ფუნქციონირებდა ბერძნულ-მართლმადიდებლური, სომხურ-გრიგორიანული, სომხურ-კათოლიკური კლესიები და მეჩეთები. XIX ს-ის დასასრულსა და XX საუკუნეების დასაწყისში აშენდა ქართველ კათოლიკეთა სამლოცველო, სამხედრო მართლმადიდებლური ეკლესია, სინაგოგა და ქართული მართლმადიდებლური ტაძარი. ბათუმის სხვადასხვა რელიგიური მრწამსის სალოცავები ხასიათდება ტიპებისა და სტილისტური გადაწყვეტის მრავალფეროვნებით. ისინი, ძირითადად, წარმოაჩენენ ეკლექტიზმისა და სხვადასხვა მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ასევე, XIX-XX საუკუნეების არქიტექტურაში სუსტად გამოვლენილ ეროვნულ ტრადიციებს.მაგალითად, მართლმადიდებლური (ბერძნულ-რუსული) ტაძრები ავლენს რუსულ-ბიზანტიური არქიტექტურის თავისებურებებს, კათოლიკური სალოცავის მხატვრული მხარე ეფუძნება ფსევდო-გოთურ არქიტექტურას, სომხური სალოცავები მეტად ავლენს ეკლექტიკის ქაოსურ სურათს, მეჩეთების ხუროთმოძღვრულ იერსახეში, მეტ-ნაკლებად, თავს იჩენს აღმოსავლური და ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, სინაგოგის არქიტექტურა ატარებს ეკლექტურ და კოსმოპოლიტურ ხასიათს, ქართული მართლმადიდებლური სალოცავი კი სიახლოვეს იჩენს შუა საუკუნეების ეროვნული არქიტექტურის ტრადიციებთან.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. გოგიტიძე ს., ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1996, №6.

2. გოგიტიძე ს., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ.წ. XII-IV სს.), ბათუმი, 2002.

3. ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009; II, ბათუმი, 2012; III, ბათუმი, 2013; IV, ბათუმი, 2013.

4. 6 მაისის პარკი (ოფიციალური ვებ-გვერდი) http://www.parkbatumi.ge/

5. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის, – კრ.: სამხრეთ-და-

სავლეთ საქართველოს ძეგლები, XVIII, თბილისი, 1989.

6. კომახიძე თ., რელიგია და სალვთისმსახურო ნაგებობები აჭარაში, ბათუმი, 2001.

7. ლეკვეიშვილი ს., ასე იწყებოდა ქალაქი ბათუმი, 2000.

8. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.

9. სიორიძე მ., ბათუმის საბაჟო, ბათუმი, 2003.

10. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1878-1907 წლებში), ბათუმი, 1958.

11. სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, 1996.

12. უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბილისი, 2013.

13. ქალაქ ბათუმის ფუნქციურ-სივცრითი განვითარების სტრატეგიული ხედვა, თბილისი, 2004.

14. ჩიჯავაძე ნ., სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბილისი, 1971.

15. Батумъ его окрестности, Батумъ, 1906.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. სად მდებარეობდა ძველი ბათუმი და რით იყო გამოწვეული მისი სამხრეთით გადანაცვლება?

2. რომელ პერიოდში მოხდა ძველი ბათუმის ტერიტორიის ათვისება ადამიანთა მიერ?

3. რომელ წყაროებში მოიხსენიება პირველად ბათუმი და რა სახელწოდებით?

4. როდის დაიპყრეს ბათუმი თურქებმა და რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა მათგან ბათუმის განთავისუფლებას ქართული სახელმწიფოსათვის?

5. როდის აიგო ბათუმის ნავსადგურის შუქურა და რაზე მიუთითებს ეს?

6. რომელ წელს დაუკავშირდა ბათუმი რკინიგზის ხაზით თბილისს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას?

7. როდის მიმდინარეობდა ბათუმის ნავსადგურის მშენებლობა და რა როლი ითამაშა ბათუმის „პორტო ფრანკოდ" გამოცხადებამ?

8. რით იწვევდა და იწვევს ბათუმი მნახველთა ინტერესს და რა იცით XIX-XX საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა შეფასებების შესახებ ბათუმზე?

9. რა ფაქტორები განსაზღვრავდა ბათუმის ურბანული განვითარების ხასიათს?

10. რამდენად არის გამოხატული ეროვნული ტრადიციები XIX-XX საუკუნეების მინჯნის ბათუმის საკულტო არქიტექტურაში?

11. რა თავისებურებები ახასიათებს ბათუმის არქიტექტურაში წარმოდგენილ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიებს, ქართველ კათოლიკეთა ტაძარს?

12.*დაასახელეთ ძველ ბათუმში არსებული განსხვავებული რელიგიური მრწამსის სალოცავების სახეები, წარმოაჩინეთ მათი მხატვრული თავისებურებები.*

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ზოგადი დახასიათება



ქობულეთის მუნიციპალიტეტი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტია. იგი ძველი, ისტორიული კოლხეთის ნაწილია, რომელიც გარკვეულ პერიოდებში ქართლის (იბერიის) სამეფოში შედიოდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტი იწყება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთის ჭაობიანი დაბლობით და იშლება ჩოლოქის, ცხრაფონას, აჭყვას, კინტრიშის, კინკიშას და ჩაქვისწყლის ხეობებში. ეს შესანიშნავი ხეობები ნამოსახლარებით, ნაქალაქარებით, უძველესი სამაროვნებით, რკინის სადნობი ცენტრებით, ისტორიული მნიშვნელობის ციხეებით, უძველესი თაღოვანი ქვის ხიდებით, ეკლესიებით და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებითაა მოფენილი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ისე როგორც ქვეყნის ყველა სხვა რეგიონში, უხვად მოიპოვება ქვის ხანის ნამოსახლარები, ისპანის ადრებრინჯაოს ხანის მასალები, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, უძველესი სამაროვნები და სხვა უმდიდრესი ისტორიული წარსულის ამსახველი მასალა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მოიცავს 720 კვ.კმ-ს. მოსახლეობა 2010 წლის მონაცემებით შეადგენს 90 934 კაცს, მათგან 85% ქართველია. ქართველებს გარდა, ცხოვრობს 24 სხვადასხვა ერის წარმომადგენელი.

მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ოზურგეთის, სამხრეთით – ხელვაჩაურის, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ქედის და აღმოსავლეთით –

შუახევის მუნიციპალიტეტები. მისი ზღვისპირა ზოლი შეადგენს 24 კმ-ს. მუნიციპალიტეტის ცენტრი, ქალაქი ქობულეთი განფენილია უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროზე.

ადმინისტრაციული მოწყობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 საქალაქო საკრებულოს, 2 სადაბო და 17 სასოფლო თემს. მუნიციპალიტეტში არის 46 სოფელი.

ქ. ქობულეთის საკრებულო: ქ. ქობულეთი.

დაბა ოჩხამურის თემი: დაბა ოჩხამური.

დაბა ჩაქვის თემი: დაბა ჩაქვი, სოფლები ბუკნარი, სახალვაშო.

ალამბრის თემი: სოფ. ალამბარი.

აჭყვისთავის თემი: აჭყვისთავი.

ბობოყვათის თემი: ბობოყვათი, ქვედა დაგვა.

გვარას თემი: გვარა, ქვედა კონდიდი.

დაგვას თემი: დაგვა

ზენითის თემი: ზენითი.

კვირიკეს თემი: კვირიკე, ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე.

ლეღვას თემი: ლეღვა, სკურა, ცხრაფონა.

მუხაესტატეს თემი: მუხაესტატე.

წყავროკის თემი: წყავროკა.

საჩინოს თემი: საჩინო, ქვედა აჭყვა, ზედა აჭყვა.

ქაქუთის თემი: ქაქუთი, ნაცხავატევი, აჭი.

სოფ. ქობულეთის თემი: ქობულეთი, ზედა სამება, კოხი.

ჩაისუბანის თემი: ჩაისუბანი.

ციხისძირის თემი: ციხისძირი, სტალინისუბანი, შუაღელე.

ხალას თემი: ხალა, ჩაქვისთავი, გორგაძეები.

ხუცუბნის თემი: ხუცუბანი, ქვედა სამება, ნაკაიძეები.

ჭახათის თემი: ჭახათი, ოხტომი, კეჭიეთი, ვარჯანაული, კობალაური, ცხემვანი, კაკუჩა, თიკერი, ტყემაკარავი.

ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

ქობულეთის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია თავისი იშვიათი კლიმატური პირობებით, რბილი სუბტროპიკული ჰავით, ზღვის იონიზირებული ჰაერით (ფიჭვნარი), მცხუნვარე მზითა და თბილი ზღვით. საშუალო წლიური ტემპერატურაა +13+15აგრადუსი, ნალექების საშუალო რაოდენობა წელიწადში 2500-3000 მმ, კლიმატი სუბტროპიკულია. მუნიციპალიტეტის ცენტრია ქალაქი ქობულეთი. უნიკალურია ქობულეთის წვრლიქვიშიანი ფართო პლაჟი, რომელიც დამრეცად ეშვება ზღვისაკენ. განსაკუთრებით უმშვენიერეს ხედებს ქმნის ენდემური ფიჭვის, ევკალიპტის, ბამბუკის, კვიპაროსის კორომები, ფინიკისა და ქოქოსის პალმები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მდინარეთა შორის აღსანიშნავია კინტრიში, აჭისწყალი, ჩაქვისწყალი, აჭყვა, ოჩხამური, დეხვა და სხვა.

მინერალური წყლები დაფიქსირებულია ხალაში, შუაღელეში, კვირიკეში, ხუცუბანსა და ჩაქვში. ცნობილია ცხემვანასა და ქობულეთის ცხელი აბანოები. აქვე მოქმედებს სახელმწიფო დაქვემდებარების ორი ჰიდროელექტრო სადგური – კინკიშა (0,74 მგ-ვტ) და აჭი (1,03 მგ-ვტ).

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არის სააგურე და ცეცხლგამძლე თიხის საბადოები: ოჩხამურის კერამზიტული, ცეცხლაურის ცეცხლგამძლე, ჯიხანჯურის სააგურე-საკრამიტე და ხალისთავის გაბრო-დიორიტების საბადოები. აქვე არის ძვირფას ლითონთა გამოვლინება ხალისთავისა და ჩაქვისთავის ოქროს საბადოთა სახით (შეუსწავლელია).

მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყეებით (23 790,8 ჰა) და ტყის მერქნული რესურსებით (წიწვოვანი – 366 300 მ^3, ფოთლოვანი – 5 146 000 მ^3).

აქვეა სახელმწიფოს მიერ დაცული ტერიტორიები: მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის ნაკრძალი – ისპანი II და ქობულეთის აღკვეთილი – ისპანი I. ბოლო ორი მსოფლიოს უნიკალური სფაგნუმიანი ტორფნარების გამო შეიქმნა. ისპანი II 1996 წლიდან რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიაა, როგორც მიგრირებადი და მოზამთრე ფრინველების დასასვენებელი ადგილია სამხრეთისაკენ მიმავალ შორეულ გზაზე. ისპანის ცოცხალ სფაგნუმიან ტორფნარებს ჩრდილოეთით ესაზღვრება თიკერის რელიქტური კოლხური ტყე. დიდი მნიშვნელობა გააჩნია თავისი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ კინტრიშის უნიკალურ ნაკრძალსაც, რომელიც დაარსდა 1959 წელს და მდებარეობს ზღვის დონიდან 450-2000 მ-ის სიმაღლეზე.

მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია ნიადაგების მრავალფეროვნება: ზღვისპირა დაბლობში ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგებია, ხეობებში ალპური ქანები, გორაკ-ბორცვიან ზოლში გავრცელებულია წითელმიწა, ხოლო უფრო მომაღლო ფერდობებზე – გაეწრებული ნიადაგები, სადაც კარგად ხარობს სუბტროპიკული კულტურები.

საბჭოთა პერიოდში ქობულეთის რაიონი იყო მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამასთან, აქ კარგად განვითარდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც – მეხილეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, სანაშენე და სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამომყვანი წარმოება, აქვე დაწინაურდა ციტრუსებისა და ჩაის გადამუშავება-დამზადების დარგები და სხვ. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვა ქობულეთის რაიონმა აქ არსებული უნიკალური პლაჟისა და თბილი ზაფხულის გამო, როგორც საკურორტო და დასვენების კერამ. ამავე პერიოდში განვითარდა ეკოტურიზმის ადრეული ფორმა კინტრიშის ნაკრძალში ტურისტთა გეგმიურ მარშრუტებზე ლაშქრობების სახით. სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნის პირობებში ტურიზმის აღნიშნულ ფორმას დიდი პერსპექტივები უჩანს მომავალშიც (მდ. ჩოლოქის და აჭისწყლის აუზებიდან მდ. კინტრიშის ხეობაში, იქიდან ჩაქვისწყლის ხეობის და მტირალას ეროვნული პარკის გავლით). დღეისათვის აქ მნიშვნელოვანი საკურორტო ცენტრებია ქობულეთი, ციხისძირი და ჩაქვი. ამ თვალსაზრისით კი სამომავლოდ პერსპექტიულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მთელი სანაპირო ზოლიც.

ისტორია

საუკეთესო ბუნებრივი და საცხოვრებელი პირობები ხელს უწყობდა აქ ადამიანის უძველესი პერიოდიდან დასახლებას. საერთოდ, აჭარაში, მოსახლეობის უძველესი კვალი ძველი ქვის ხანის (ქვედა პალეოლითი), გვიანი მეზოლითის და ნეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. ძეგლთა უმრავლესობა აჭარის ბარის ზონასა და მთისწინეთშია (გორა-ნამოსახლარები) აღმოჩენილი. აჭარის ქვის ხანის სადგომები ძირითადად გვიან მეზოლითურ და ადრე ნეოლითურ კულტურას ქმნიან, რომლებიც უმთავრესად ძვ. წ.აღ-ის VIII-VI ათასწლეულებს მოიცავს. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მეზოლით-ნეოლითის ხანის ნამოსახლარებია ჯიხანჯურის, ჩოლოქის, ხუცუბნის, ჩაისუბნის, სახალვაშოს, კოხის, კვირიკეს, სოფელ ქობულეთის უძველესი დასახლებანი. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ბინადარი ცხოვრება, შემგროვებლობა, ნადირობა-მეთევზეობა, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დასაწყისი, კერამიკული წარმოება, საცხოვრებელი სახლი სამეურნეო სათავსოებით, ხელოსნობის ჩანასახი, კერძის დასამზადებლად ცეცხლის გამოყენება, თიხის ჭურჭელი, სათევზაო და სანადირო აღჭურვილობის გამოჩენა, ცხოველთა (ღორი, ცხვარი, ძაღლი, ძროხა) მოშენება და ხორბლეულის მოყვანა, წყალმომარაგების მარტივი სისტემების გამართვა, ნიადაგის დამუშავების და მკის მარტივი იარაღების შექმნა, მარცვლეულის გადამუშავების ხერხის მიგნება და ა. შ.

სპილენძის ხანაში (ენეოლითი), ძვ. წ.აღ-ის V-IV ათასწლეულებში, ამ რეგიონის მოსახლეობას ლითონის დამუშავება-გამოყენების შემდგომი დაწინაურების კარგი საფუძველი მოუმზადებია. ამ ხანაში ადამიანმა ჯერ თვითნაბადი ლითონის გამოყენება დაიწყო, შემდეგ კი მადნისაგან ლითონის მიღების მარტივ წესს მიაგნო.

ძვ. წ.აღ-ის IV ათასწლეულის II ნახევარში ადგილობრივი მოსახლეობა, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, ბრინჯაოს ხანაში გადადის, რომელიც აქ დაახლოებით 2 ათას წელს გაგრძელდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ადრებრინჯაოს ერთ-ერთი ძეგლია ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი (ქობულეთთან). იგი ძვ. წ.აღ-ის IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დამდეგს განეკუთვნება, როდესაც შავი ზღვის დონე, რეგრესული პროცესების (აცივება) განვითარების შედეგად, 3-5 მ-ით დაბლა ყოფილა თანამედროვე ნიშნულთან შედარებით.

ქობულეთ-ფიჭვნარის ტორფქვეშა ნამოსახლარის ქვედა არქეოლოგიური ჰორიზონტი ძვ. წ.აღ.-ის 3200 წლით თარიღდება (სილნარ ნიადაგზე მდგარი ჯარგვლების ნანგრევები), ზედა ჰორიზონტი კი, სადაც ხიმინჯებზე მდგარ პლატფორმაზე ნაგები ჯარგვლების ნაშთებია დაცული, ძვ. წ.აღ-ის 2600 წელს მიეკუთვნება. ძვ. წ.აღ-ის 1860 წლით თარიღდება ამ ნამოსახლარის გადამხური ტორფის ქვედა დონეზე აღებული მერქანი. ისპანში ამ დროს ლითონსამსხმელო ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

III ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო დათბობის პერიოდი, რასაც მოჰყვა ახალი შუალედური ტრანსგრესია, რომელიც ძვ. წ.აღ-ის XVII-XVI საუკუნეებამდე გრძელდებოდა. ზღვის სანაპიროს სამოსახლოები (ისპანი) წყლით დაიფარა, ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა ისინი და მთისწინეთისაკენ გადაენაცვლა. ამავე პერიოდში წარმოიქმნა ახალშავზღვიური ტერასა და თანამედროვე აკუმულაციური ველი, რომელზეც ძვ. წ.აღ-ის XVI-XV საუკუნეებში ადამიანი კვლავ იწყებს დასახლებას. ამ დროს ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით, ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში ჩნდება გორა-ნამოსახლართა ჯგუფი, რომლის მთავარი სამოსახლო განლაგებულია „ნამჭედურის“ ბორცვზე.

ნამჭედურის უძველესი სამოსახლოს დამაარსებელნი (გვიანბრინჯაოს ხანის უადრესი ეტაპი) ქრონოლოგიურად და სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისითაც ისპანის მემკვიდრენი არიან.

ბრინჯაოს ხანაში აღნიშნული ტერიტორია კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის და მისი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს თვით ამ კულტურის შექმნა-ჩამოყალიბებაში (კოლხური ცულების პროტოტიპები ქობულეთიდან). ამ პერიოდის ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელია ლითონჩამომსხმელი საამქროები, კოლხური ცულებისა და საბრძოლო იარაღების ჩამოსხმა, სამეურნეო იარაღებისა და სამკაულების წარმოება, ხის საცხოვრებელი სახლების აგება და ქვის იატაკის გამოყენება, ხუტორული ტიპის დასახლებები, კერამიკის წარმოება, მიწათმოქმედების გვერდით მესაქონლეობის არსებობა, მეთევზეობა-მონადირეობა, ფართოპირიანი თოხები (ზენითის განძი).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ბრინჯაოს ხანის, განსაკუთრებით კი, გვიანბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ე.წ. „მდნობელთა განძების“ აღმოჩენა ქობულეთის რაიონში (ფიჭვნარი, წყავროკა, ხუცუბანი, სამება, ზენითი (სამჯერ), ბობოყვათი, ციხისძირი, ჩაქვი, ჩაისუბანი, სახალვაშო).

აჭარის დაბლობზე არსებული ბრინჯაოს წარმოების ორი ლოკალური რაიონიდან, ერთი ქობულეთის დაბლობზე (კინტრიშის ხეობა) და მეორე – ჩაქვისწყლის აუზში მდებარეობდა, საიდანაც ვრცელდებოდა ბრინჯაოს ნაკეთობანი აჭარის შიდამთიან რაიონებში (მახუნცეთი, ჭვანა, ვერნები).

აღნიშნული პერიოდი, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, „ხევების“ წარმოქმნის ხანაა. ასეთი ხევები უნდა წარმოშობილიყო ქობულეთის რაიონშიც და ცალკეულ ხევთა გაერთიანებით შეიძლება ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ქვეყანა „ხევი აჭარისა“, რომელიც, საფიქრებელია, ძვ. წ.აღ-ის IX-VIII საუკუნეთა პირველი ნახევრის ურარტულ წყაროებში მოხსენებულ „ქვეყანა შეშეთთან“ (შავშეთი), „ქვეყანა ზაბახასთან“ (ჯავახეთი) ერთად, „ქვეყანა დიაუხის“ (ტაო) მოკავშირენი იყვნენ და ამავე გაერთიანებაში შედიოდნენ.

ძვ. წ. X-VIII საუკუნეები რკინა-ფოლადის ათვისების, ქართველთა სამეურნეო საქმიანობაში რკინის საბოლოო დამკვიდრების და ბრინჯაოს გამოდევნის ხანაა. ამავე დროს იწყება სამეთუნეო ჩარხის გამოყენება, საგრძნობლად დაწინაურდა ლითონის (რკინის, სპილენძის) მოპოვება და დამუშავება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინის მომპოვებელი კერები აღმოჩენილია ჩაქვსა და ქობულეთში, ლითონდამმუშავებელი სახელოსნოები – **ქობულეთ-ფიჭვნარში** და ა. შ. აქ კარგად იყო განვითარებული რკინის მოპოვება-დამუშავება, სამეთუნეო ჩარხის გამოყენება, მიწათმოქმედება, საფეიქრო საქმე, მეცხოველეობა და მისი პროდუქტების დამზადება, შენახვა და ტრანსპორტირება, გაფორმდა ქართული წარმართული პანთეონი, გაჩნდა ქალაქური ტიპის დასახლებანი სახელოსნო უბნებით და სასოფლო-სამეურნეო შემოგარენით.

ძვ. წ. VI საუკუნისათვის ნამჭედურის გორანამოსახლარი ფიჭვნარის ურბანისტული დასახლების ცენტრად გვევლინება. ძვ. წ.აღ-ის VI საუკუნიდან II საუკუნემდე ნამჭედურის ბორცვზე იდგა აკროპოლისი, რომელიც ქალაქური ტიპის სამოსახლოს შიდა ციხეს წარმოადგენდა. ნამჭედურის ირგვლივ წარმოქმნილი ქალაქური სამოსახლოს ეკონომიკა ემყარებოდა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას, აგრეთვე კერამიკულ წარმოებას. ეს ქალაქი ანტიკური ხანის აჭარის ბარის მთავარი კულტურულ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო, რომელიც არა მარტო ნედლეულით ამარაგებდა რკინის წარმოების კერებს, არამედ ლითონის პროდუქციის გასაღებისა და ექსპორტის ძირითად ცენტრსაც წარმოადგენდა.

ძვ. წ. VIII საუკუნის II ნახევრიდან აჭარის ტერიტორია ქობულეთითურთ კოლხეთის სამეფოშია. ანტიკურ ხანაში კოლხას ჩრდილოეთი რეგიონები ძვ. წ.აღ-ის VI საუკუნეში ახალ კოლხურ სამეფოში გაერთიანდა, თავისი სამონეტო სისტემით (კოლხური თეთრი). დღეს მუზეუმებში დაცულ ამ მონეტათა დიდი ნაწილი ფიჭვნარშია აღმოჩენილი.

ელინისტური პერიოდიდან აჭარის ზღვისპირეთში კარგად ჩანს განვითარებული მევენახეობა. დღეისათვის აქ გამოვლენილი და შესწავლილია ვაზის ათეულობით შემოტანილი თუ ადგილობრივი ჯიში, რომელთა დიდი ნაწილი ქართული მაღლარის უძველეს სახეობებს განეკუთვნება. აჭარაში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქვის საწნახლები, რომელთაგან ყველაზე უადრესი, მონოლითური **ქვის საწნახელი**, გამოვლენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენითში. იგი ელინისტური ხანით თარიღდება. ეს დიდი წარმადობის საწნახელი რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის მსხვილი მეურნეობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. მას ანალოგები გააჩნია აღმოსავლეთ საქართველოში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და პალესტინაში. ელინისტური ხანის ფიჭვნარისა და ციხისძირის ძეგლები მიუთითებენ აქ მეთევზეობის, ხელოსნური წარმოების, განსაკუთრებით, მელითონეობის (რკინა) განვითარების მაღალ დონეზე.

ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულიდან ზღვისპირა აჭარა ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ერთიან ქართულ სამეფოში აჭარა, როგორც ჩანს, ძვ. წ. II საუკუნემდე რჩებოდა, ხოლო ამ საუკუნიდან იგი მთლიანად კოლხეთის შემადგენლობაშია და მის ერთ-ერთ „სკეპტუხიას“ წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც პომპეუსმა ძვ. წ.აღ-ის 66 წელს დაამარცხა მითრიდატე პონტოელი, მან გადალახა მდ. აფსაროსი და კოლხეთს შეაფარა თავი, იქედან კი ბოსფორის სამეფოში გადავიდა. ამ დროს მითრიდატეს აუცილებლად უნდა გაევლო დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ძვ. წ.აღ-ის 48 წელს კი, როდესაც რომაელებს აუჯანყდა მათ მიერ მითრიდატე პონტოელის მემკვიდრედ დატოვებული მისივე შვილი ფარნაკე, მას კოლხეთის შავიზღვისპირეთიც

დაუკავებია და გაუძარცვავს მითიური ფრიქსეს მიერ აგებული ლევკოთეას მდიდარი სამლოცველო და მისი სამისნო; ხოლო ფარნაკეს წინააღმდეგ ომის საწარმოებლად სახსრების მოპოვების მიზნით, ტაძარს ასევე მოექცა მითრიდატე პერგამონელიც.

ლევკოთეა არა მარტო მდიდარი სამლოცველო და სამისნო იყო, არამედ წარმართობისდროინდელი კოლხეთის უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიც, რომელიც, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ხუცუბნის (გვარას საზღვართან) მიდამოებში უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ ქრისტიანობის პერიოდში აქ ფუნქციონირებდა თეთროსნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. შემდგომში იგი განადგურდა, მაგრამ თანამედროვე პერიოდში ისევ მოხდა მისი აღდგენა ძველ სავარაუდო ადგილზე. ქობულეთ-ოზურგეთის საგზაო მაგისტრალიდან იგი კარგად მოჩანს მთელი თავისი მშვენიერებით.

უკვე ახ. წ. საუკუნეში, ფარსმან I-ის (36-66 წწ.) დროს, შავი ზღვის სანაპირო ზოლი ქართლის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციად შეიძლება ვიგულისხმოთ, ხოლო 131 წლისათვის კი იგი უცილობლად მის შემადგენლობაშია, როგორც ოძრხის საერისთაოს ნაწილი.

აღნიშნული პერიოდისათვის აჭარის სანაპირო ზოლში ცხოვრობდნენ ქართველური მოდგმის ტომები ძიდრიტები (ბიძერები).

ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდანვე აჭარის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ქართული კულტურის დიდი გავლენა შეინიშნება. ამ პერიოდის განძები და სამარხეული ინვენტარი ქობულეთის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილია ციხისძირში, ფიჭვნარში და მეზობელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ურეკში.

ქართლის მეფეების ამაზასპის (დაახლ. 245-265 წწ.), მირიანის (307-361 წწ.), ვარაზ-ბაქარის (368-374 წწ.), ვახტანგ გორგასლის (457-502 წწ.), დაჩის (VI ს-ის 10-იანი წლები) მოღვაწეობის დროს დღევანდელი აჭარის ტერიტორია ოძრხეს საერისთავოს შემადგენელი ნაწილია, ხოლო მისი ერისთავი – ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ერისთავთაგანი.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, VIII საუკუნის ბოლოდან აჭარის ზღვისპირა დაბლობი დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაშია. შემდგომ ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ ქობულეთ-ბათუმის მხარე ჭოროხამდის, გეოგრაფიულად აჭარის ნაწილი, როგორც ჩანს, პოლიტიკურად უმთავრესად გურიის სამთავროში შედიოდა.

სწორედ ამ პერიოდში აჭარის ზღვისპირა მხარეში ქვაბულიძეთა ფეოდალური გვარი უნდა დამკვიდრებულიყო და წარმოქმნილიყო მხარის სახელწოდება „ქობულეთი“. როგოც ვარაუდობენ, XI საუკუნისთვის იგი უკვე უნდა არსებულიყო. ნ.ბერძენიშვილის აზრით, ქორონიმი „ქობულეთი“ უნდა მოწმობდეს, რომ აქ ვარდანისძე-გურიელზე უადრეს ქვაბულიძეები ბატონობდნენ.

1953 წელს ნ.ხოშტარიამ წამოაყენა მოსაზრება პეტრა-ქობულეთის (ტერმინების) იდენტურობის შესახებ, რამდენადაც ერთიცა და მეორეც ქვას, კლდეს გაუიგივა. ნ.ბერძენიშვილმა ეჭვი გამოთქვა ქობულეთის ამგვარ ეტიმოლოგიაზე და თავის მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ქორონიმი ქვაბულიძეთა გვარს დაუკავშირა.

თვით ქორონიმ „ქობულეთის“ სიძველეზე მეტყველებს ქართული წყარო, რომელიც მოგვითხრობს 1046 წელს ბაგრატ IV-ის ანაკოფიის ციხეზე გალაშქრებას, სადაც აფხაზეთის ლაშქრის მეთაურად მოხსენიებულია ვინმე ოთაღო, ჭაჭა ქუაბულელის ძე. ზედწოდება „ქუაბულელი“ სწორედ „ქობულეთელს“ უნდა ნიშნავდეს. თუ ეს ასეა, მაშინ აქ „ქობულეთის“ უძველეს ხსენებასთან გვაქვს საქმე, რომლის მფლობელადაც ჭაჭა ქუაბულელი

უნდა ვიგულისხმოთ. თავისთავად ივარაუდება, რომ „ქობულეთი“ კიდევ უფრო ძველი ცნებაა.

XI საუკუნის I ნახევარშიც აჭარა საერისთაოა, ასევეა უფრო გვიანაც. XIII საუკუნეში იგი ქობულეთითურთ ლიხთამერი საქართველოს შემადგენლობაშია, ამავე საუკუნის II ნახევრიდან კი სამცხის სპასალარების (ათაბაგების) სამფლობელოში. ერთი საუკუნის შემდეგ, კერძოდ, 1372 წლისათვის აჭარის ზღვისპირა დაბლობი გურიელის მფლობელობაშია.

თურქების აჭარის უშუალო დაპყრობამდე დღევანდელი აჭარის ზღვისპირეთი ათაბაგების გამგებლობიდან, გარკვეული დროით, კვლავ გურიის სამთავროს შემადგენლობაში აღმოჩნდა. XVI საუკუნის ერთი ოსმალური წყაროს მიხედვით გურია უშუალოდ ტრაპიზონს ესაზღვრება.

XVI საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ოსმალები ჭანეთს იპყრობენ და გონიოს ციხეს იკავებენ, ამავე საუკუნის ბოლოს, 60-70-იან წლებში, აჭარასაც. 1609 წელს „შემოიკრიბა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიტნა ოსმალნი და დაიპყრა კუალად თვითვე აჭარა“. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება. 1611 წლის ოსმალეთის იმპერიის აღწერაში შიდამთიანი აჭარის სანჯაყი უკვე ჩილდირის, ანუ ახალციხის, ხოლო ბათუმის სანჯაყი – ტრაპიზონის ეიალეთშია შეტანილი. ასე შევიდა აჭარა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ქობულეთის მხარისა და ხინოს დაპყრობა კი თურქებმა XVIII საუკუნის 70-იან წლებში შესძლეს, საბოლოოდ კი XIX საუკუნის I ნახევარში დაიმორჩილეს და ბათუმთან ერთად ტრაპიზონის ეიალეთს შეუერთეს.

1850 წლიდან აჭარა ტრაპიზონის ეიალეთში შეიყვანეს. დღევანდელი აჭარის ტერიტორია 4 კაზაში განაწილდა: ბათუმის კაზაში შედიოდა 2 ნაჰიე (ოლქი) – ბათუმისა და ქობულეთისა (ჩურუქ-სუ), რომელთაც სანჯაყ-ბეგები განაგებდნენ. ქობულეთში სანჯაყ-ბეგებად იყვნენ თავდგირიძეები, ხოლო ჩაქვში – ბეჟანიძეები.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს თანამედროვე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ ძირითად უბანს წარმოადგენდა.

1878 წელს, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, რუსული ადმინისტრაცია აჭარის ტერიტორიას ყოფს ბათუმისა და აჭარის „ოკრუგებად“, რომელთაგან პირველში შედიოდა კინტრიშის (ქობულეთის) უბანი. 1883 წელს ბათუმის ოლქი გააუქმეს და ორ „ოკრუგად“ (ართვინისა და ბათუმის) ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. 1903 წელს კი აღნიშნული „ოკრუგები“ კვლავ გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და ისევ შეართეს ბათუმის ოლქად. ამ დროისათვის კინტრიშის საპოლიციო უბნის ცენტრი იყო ალამბარი. ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა გაგრძელდა 1917 წლამდე.

1917 წლის მაისში გააუქმეს ბათუმისა და ართვინის ადმინისტრაციული ოკრუგები. შემდგომ პერიოდში აჭარაში ჯერ თურქები, შემდეგ კი ინგლისელები ბატონობდნენ და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხოლოდ 1920 წლის 7 ივლისს მოახერხა აქ თავისი იურისდიქციის დამყარება. 1921 წლის 18 მარტს კი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და იგი დანარჩენ საქართველოსთან ერთად რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას შეუერთეს. 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებად გამოცხადდა მეჯლისი, სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები. გაუქმდა საპოლიციო უბნები, შეიქმნა მაზრები და სასოფლო თემები – 5 მაზრითა და 12 თემით; 1923 წელს სა-

სოფლო თემები 18-მდე გაიზარდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ტერიტორია შედიოდა ქობულეთის მაზრაში ცენტრით სოფ. ქობულეთში.

1930 წელს მაზრები შეიცვალა რაიონებით, ხოლო სასოფლო თემები – სასოფლო საბჭოებით. 1940 წლისათვის აჭარაში შედიოდა 4 რაიონი და ერთი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ბათუმი, მათ შორის ქობულეთის რაიონი, ცენტრით დაბა ქობულეთში. 1944 წელს ქობულეთს ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

1962 წელს გაუქმდა ბათუმისა და ქობულეთისა რაიონები და მათგან შეიქმნა ჩაქვის რაიონი ცენტრით დაბა ჩაქვში. ამავე წელს ქობულეთი გახდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი. 1964 წლის 7 აპრილს ჩაქვის რაიონი გაუქმდა და ისევ აღდგა ქობულეთის რაიონი ცენტრით ქ. ქობულეთში. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე. დღეს მას ეწოდება ქობულეთის მუნიციპალიტეტი

გამოჩენილი ადამიანები. დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ამ კუთხის შესანიშნავი შვილები, რომელთაც თავიანთი კვალი დასტოვეს არა მარტო აჭარის, არამედ მთელი ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში. ესენი არიან გულო-აღა კაიკაციშვილი, დედე-აღა და რეჯებ ნიჟარაძეები, ხასან თხილაიშვილი, ქემალ ნოღაიდელი და სხვები. თანამედროვე აჭარის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები – ჯემალ ნოღაიდელი, ასლან ინაიშვილი, აკადემიკოსები – დავით ხახუტაიშვილი და დურსუნ ბალაძე.

ქობულეთს ჰყავს დამეგობრებული ქალაქები: სელჩუკი (თურქეთი – 1995 წ.), ალავერდი (სომხეთი – 2007 წ.), იუჟნი (უკრაინა – 2008 წ.), ტერაჩინა (იტალია – 2009), ახტალა (სომხეთი – 2010). მათი თანამშრომლობის სფეროებია განათლება, კულტურა, სპორტი, ვაჭრობა, ეკონომიკა, ტურიზმი.

2007 წელს მუნიციპალიტეტში დაწესდა საპატიო ქობულეთელის წოდება, რომელიც პირველმა მიიღო ნინო ჯავახიშვილმა – ცნობილი ქართველი, წარმოშობით ქობულეთელი აკადემიკოსის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, მამია კომახიძის მეუღლემ. იგი არის ანატომია-მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერტული მორფოლოგიის ინსტიტუტის და ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე 1966 წლიდან.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლებია პეტრა-ციხისძირი, ფიჭვნარი, ელიას ციხე, ხინოს XI-XII საუკუნეების ნაეკლესიარი, თაღოვანი ხიდები მდ. კინტრიშზე ცხემვანასა და კობალაურში, ზენითის ელინისტური ხანის ქვის მონოლითური საწნახელი და სხვ. გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვს კვირიკესა და დაგვას მეჩეთებს.

პეტრას ციხე. პეტრა ისტორიული ციხესიმაგრეა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ციხისძირთან. აქ შემორჩენილია ციხის ნანგრევები. ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობის გამო ლაზების ამ სამოსახლო ადგილზე VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ ქალაქი გააშენა. აქვე დაარსდა ლაზიკის ეპარქიის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი. ქალაქის ტერიტორიაზე გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც დასავლეთ საქარ-

თველოს ბიზანტიის პროვინციებთან, აგრეთვე, ირანთან და სომხეთთან აკავშირებდა. პეტრა კონტროლს უწევდა ბიზანტიიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი პროვინციებისაკენ მიმავალ საზღვაო საკაბოტაჟო ნაოსნობას. ამ რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსია პირდაპირ იყო დაკავშირებული პეტრას მფლობელობასთან. ამიტომაც იქცა იგი VI საუკუნის შუა წლებში ბიზანტია-ირანის ომის დროს უმთავრესი ცილობის საგნად. პეტრამ შემდგომშიც შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. შუა საუკუნეებში მას ქაჯეთის ციხესაც უწოდებდნენ. მას გარკვეული სავაჭრო მნიშვნელობა გააჩნდა XIX საუკუნეშიც.

პეტრას აკროპოლისი ზღვისპირა ქვიან ბორცვზე მდებარეობდა. ხმელეთის მხრიდან მას გალავნის გარდა კლდოვანი რელიეფი იცავდა. სწორედ აქედანაა მისი ბერძნული სახელწოდება „პეტრა“ – ქვა, კლდე. იგი მიუვალ ციხედ ითვლებოდა. მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. არქეოლოგიურმა გათხრებმა შიდა ციხის გალავანთან ერთად გამოავლინა სხვადასხვა ნაგებობა, მათ შორის VI-VII საუკუნეების ბაზილიკის საძირკველი, რომელიც პეტრას საეპისკოპოსო კათედრალის ნაშთია.

ძეგლთან ფუნქციონირებს **პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი,** რომელიც დაფუძნდა 1989 წელს.

მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ადრეშუასაუკუნეების ციხესიმაგრეს, გვიანდელი ხანის საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობებს, V-VI საუკუნეების ბაზილიკის ნაშთებს, ანტიკური ხანის სამაროვნებსა და საცხოვრებელ ნაგებობათა (ე.წ. ვილის) ნაშთებს. ასევე, ტერიტორიაზე მიკვლეულია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, გვიანბრინჯაოადრე რკინის ხანიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეებამდე. ნაკრძალის ტერიტორია მიოცავს დაახლოებით 7 ჰა.

ალამბრის ციხე XVI-XVII საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მას მამუკა თავდგირიძის ციხესაც ეძახიან: ადგილობრივი, სოფლის ახლოს მცხოვრებლები კატის ციხედაც მოიხსენიებენ. იგი აღმართულია სოფ. ალამბარში ციხისყელად წოდებულ გორაზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი დასავლეთ საქართველო. აგებულია გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ძალი-

ან დაზიანებულია. 1959 წელს მომხდარ მიწისძვრას მისთვის დიდი ზიანი მიუყენებია. ციხის ფართობია 47,57 კვ.მ, კედლების სისქე – 1,2 მ. ნაგებია თლილი რიყის ქვით, დატანებული ჰქონია სათოფურები.

ელიას ციხე. XVI-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება გურია-აჭარაში პოპულარული ეს ციხე. ელია ჭექა-ქუხილის ღვთაება იყო წარმართულ პანთეონში. ხალხმა მთას და მასზე აგებულ ციხესაც ეს სახელი უწოდა. ელიას ციხეზე მრავალი თქმულება და ხალხური ლექსია შემონახული (შ. ოქროპირიძე, ელიას მთაო მაღალო).

ხინოწმინდის ეკლესია. ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ქობულეთიდან 44 კმ-ზე, მდინარე კინტრიშის ულამაზეს ხეობაში მდებარეობს. სოფლის სახელის შესახებ არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომლის მიხედვით სოფელში ერთხელ თამარ მეფეს დიდებულებით მოულხენია და ამიტომაც მას სალხინო დარქმევია. დროთა განმავლობაში „სალხინო“ ნაწილობრივ შეცვლილა და საბოლოოდ „ხინო“ დამკვიდრებულა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ამჟამად დანგრეულია, მისი კედლების სიმაღლე ალაგ-ალაგ 2-3 მეტრს აღწევს. ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა და არქიტექტურული თვალსაზრისით გვიანი ხანის ქართული ბაზილიკების ნიშნებს ავლენს და იგი VIII-IX საუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლს წარმოადგენს.

ხინოში აღმოჩენილია მამაკაცის თავის რელიეფური გამოსახულებები – სკულპტურები – შესაძლოა ეკლესიის შესამკობად გამოიყენებოდა, რომელიც, თავის მხრივ, X-XI საუკუნეების მიჯნის ქართულ რელიეფურ ქანდაკებათა რიგს განეკუთვნება. ხინოწმინდის ეკლესიას დიდი ისტორია გააჩნია და იმით არის გამორჩეული, რომ აქ საუკუნეების მანძილზე ეპისკოპოსები ისხდნენ, რომლებიც ხინოწმინდელებათ იწოდებოდნენ. ეპარქია IX-X საუკუნეებში პეტრას საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბდა.

XVII-XVIII საუკუნის დოკუმენტებმა რამდენიმე ხინოწმინდელი ეპისკოპოსის სახელი შემოგვინახა, მათ შორის ეპისკოპოსები: მაქსიმე (XVII ს.), ექვთიმე ართუმელაძე (XVIII ს.), იოანე (XVIII ს.). ხინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრამ არსებობა XVIII საუკუნეში ოსმალთა მოძალების შედეგად შეწყვიტა.

ცხრაფონას ამაღლების ტაძარი. ეკლესიები ამ მხარეში XVIII საუკუნის უწინარეს არის აგებული. მათგან ყველაზე ძველი და საყურადღებო ხუროთმოძღვრული ძეგლია ცხრაფონას ამაღლების ეკლესია, რომელიც მდებარეობს მაღალ გორაზე, მდ. ცხრაფონას მარჯვენა სანაპიროზე. მისი ფართობია 13,33 კვ.მ. ეკლესიის ქვემოთ, გზაზე არის ორი ქვა ჯვრის გამოსახულებით, რომელსაც ახლავს ორნამენტი. ეკლესია XIV-XV საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

ჩაიხედანის ტაძარი. როგორც მამია გურიელის (1600-1625 წ.წ.) მიერ იერუსალიმის საპატრიარქო საყდრისადმი მიცემული შეწირულების წიგნიდან ვგებულობთ, იგი აუშენებიათ XVII ს-ის პირველ მეოთხედში იერუსალიმის პატრიარქის თეოფანეს ბრძანებით, როგორც

იერუსალიმის საპატრიარქოს მეტოქი. ამავე პატრიარქს ამ საყდარზე დაუდგენია ალანიის მიტროპოლიტი გაბრიელი, რომელიც ოსმალთა მოძალების გამო თავისი სამწყსოდან გამოქცეულა (ოფის ტაძარი).

გვარას წმინდა გიორგის ეკლესია, იგივე **თეთროსანი,** თავდგირიძეთა საგვარეულო სალოცავი და სამარხი იყო (აშენებული უნდა იყოს XVII ს-ში). 1726 წლის ამბებთან დაკავშირებით, თეთროსანი მოხსენებულია ვანის ქედის (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ჟამგულანში. ქობულეთის ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ XVIII საუკუნის 60-იან წლებში, თეთროსნის განთქმული ღვთისმშობლის ხატი აკეთის მაცხოვრის ეკლესიაში გადაუსვენებიათ.

ბასრიმელის თაღოვანი ხიდი მდებარეობს მდ. კინტრიშზე, სოფ. ტყემაკარავსა და ვარჯანაულს შორის. ხიდი წრიული ფორმისაა. აგებულია მდინარის კლდოვან ნაპირებს შორის. ბურჯი მხოლოდ მარჯვენა მხარეზე აქვს (სიმაღლე 2,80 მ) მარცხენა მხარეს კი დაშენებულია ბუნებრივ კლდეზე. წყლის ზედაპირიდან თავბანდამდე 8,40 მ-ია, თავბანდის სისქე 65 სმ-ია.

ხიდის სიგრძეა 22 მ, სიგანე შუაში 2,60 მ, ნაპირებზე 2,80 მ ხიდის მალი – 14,40 მ, ისარი – 7,70 მ. მარცხენა მისასვლელი 8,4მ-ის სიგრძისაა, საშუალო სიგანეა – 6,80 მ მარჯვენა მისასვლელის სიგრძეა 6,40 მ, საშუალო სიგანე კი 2,90 მ.

თაღის პერანგი სუფთად ნათალი კვადრებითაა ნაგები, ხოლო მისასვლელები თლილი ქვებით კირის ხსნარზე, შინაგანი სიცარიელე ამოვსებულია რიყის ქვით. ხიდს აქვს 5 ფოსო.

ცხემვანის ხიდი. ბასრიმელის ხიდის მსგავსად, ცხემვანის ხიდის მარცხენა ბურჯი ქვით არის ამოშენებული, მარჯვენა ბურჯად ბუნებრივი კლდეა გამოყენებული. ბურჯის სიმაღლე წყლის დონიდან 2,75 მ-ია. ხიდის სიგრძეა 20 მ, სიგანე 2,55 მ, წყლის ზედაპირიდან თავბანდამდე 9 მ-ია. ლავგარდანის გადმოწევა 61 სმ-ია. ხიდის მალი 13,20 მ-ია., ხოლო ისარი 6,25 მ. მარცხენა მისასვლელის ზომაა 9,6 x 6 მ. მარჯვენა მისასვლელის ზომების განსაზღვრა არ ხერხდება, რადგან ახალი ხიდის მშენებლობის დროს დაზიანებულა. თაღი ნაგებია სუფთად ნათალი კვადრებით, ხოლო მისასვლელები ფლეთილი ქვებით. ხიდს აქვს 4 ფოსო ორივე მხარეს ქარგილებისათვის.

საკურორტო-რეკრეაციული რესურსები

ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით ქობულეთის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა არა მარტო აჭარის, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბითაც. ტურისტთა რაოდენობა 2004-2010 წლებში აქ 32 700-დან 276 800 კაცამდე გაიზარდა. მათ შორის მუნიციპალეტი 2004 წელს მოემსახურა 30-ათასამდე შიდა ტურისტს და 2700 უცხოელს, 2010 წლისათ-

ვის კი ეს მონაცემი, შესაბამისად, 174 493 და 102 381 ტურისტამდე გაიზარდა. გამოდის, რომ ბოლო რანდენიმე წელიწადში შიდა ტურისტთა რაოდენობამ თითქმის 6-ჯერ მოიმატა, უცხოელ ტურისტებისამ კი 38-ჯერ, რაც საკმაოდ დამაჯერებელი მაჩვენებელია აქ არსებული დიდი ტურისტული შესაძლებლობებისა.

საკურორტო სეზონზე სასტუმროებს, დასასვენებელ სახლებსა და ინდივიდუალურ სექტორს შეუძლიათ ერთდროულად მიიღონ და მოემსახურონ 100 000-მდე დამსვენებელს.

კურორტი ქობულეთი. ქობულეთი საკურორტო ქალაქი და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია, რომელიც ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. აქ კლიმატი სუბტროპიკულია, ზამთარი თბილი და მცირეთოვლიანი (იანვრის საშუალო ტემპერატურა

+4,8 გრადუსია). ზაფხული ძლიერ თბილია (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +22,7 გრადუსია). ქობულეთის პლაჟი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე. კურორტის მთელ სიგრძეზე (12 კმ) პლაჟს ეკვრის შესანიშნავი პარკი ფიჭვისა და სხვადასხვა უნიკალური ჯიშის ხეებით. კურორტი განკუთვნილია უმთავრესად გულსისხლძარღვთა სისტემით დაავადებულ ავადმყოფთა სამკურნალოდ, მაგრამ საკმაოდ კარგი შედეგებია მიღებული ფილტვების არასპეციფიკური დავადებების, ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლისა და ძვალ სახსართა ტუბერკულოზის დროსაც.

კურორტი ციხისძირი. ამავე მუნიციპალიტეტში, ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 19 კმ-ის დაშორებით მდებარეობს კურორტი ციხისძირი. იგი განლაგებულია ზღვის დონიდან 70-92 მეტრ სიმაღლეზე. აქ კლიმატი სუბტროპიკულია, ზამთარი ძალიან თბილი თითქმის უთოვლოა (იანვრის საშუალო ტემპერატურა +6,2 გრადუსი), ზაფხული ძალზე თბილია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 22,6 გრადუსს უდრის.

მტირალას ეროვნული პარკი. ადმინისტრაციულად ქობულეთის მუნიციპალიტეტს ექვემდებარება მტირალას ეროვნული პარკი. იგი მდებარეობს კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მცირე კავკასიონის, კერძოდ, აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე – შავი ზღვის სიახლოვეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის, ჩაქვის და ქედის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე.

ეროვნული პარკი წარმოდგენილია უნიკალური კოლხური ტიპის ტყით, აქ შემორჩენილია გამყინვარების პერიოდის შემდგომ გადარჩენილი მესამეულის რელიქტები. პარკის ტერიტორია კოლხეთის ცხოველთა და მცენარეთა მრავალი სახეობის თავშესაფრად განიხილება. აქ აღირიცხება 83 ოჯახის 310 ველურად მოზარდი მცნარე, მათ შორის 67 რელიქტური და 27 ენდემური სახეობა, რომელთაგან კავკასიის ენდემია – 10, კოლხეთის – 10, საქართველოს – 4 და აჭარა-ლაზეთის სახეობა.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული მერქნიანი მცენარეებიდან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია 15 სახეობა. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს კოლხური ტიპის შერეული ფოთლოვანი ტყის ფიტოცენოზებს წიფლის დომინირებით. აქ გავრცელებულია 57 სახეობის სამკურნალო მცენარე. საქართველოს ფაუნადან აქვე უმაღლესი სტატუსით „წითელ წიგნში“ შეყვანილია ფოცხვერი და გავაზი, ხოლო ძალზე მაღალი სტატუსი აქვთ მურა დათვს, არჩვს, თეთრკუდა ფსოვს, კლარკის ხვლიკს, კავკასიურ გველგესლას, შავი ზღვის ორაგულს და მწერების რამდენიმე სახეობას.

აღსანიშნავია, რომ პარკის ტერიტორია ერთ-ერთ უხვნალექიანად ითვლება და მთა მტირალაზე მისი წლიური საშუალო მაჩვენებელი 4520 მმ-ით განისაზღვრება.

ეროვნული პარკი ზღვასთან ახლოს მდებარეობს და ტურისტებს საზღვაო დასვენებასთან ერთად, პარკში განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისის საშუალებით სხვადასხვა სახის ეკოტურიზმის მომსახურებას სთავაზობს: ფრინველებზე დაკვირვება, ეთნოგრაფიული, სათავგადასავლო და საცხენოსნო ტურები. ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ადმინისტრაციის შენობით, ვიზიტიორთა ცენტრით და მათი თავშესაფრით, ორი საოჯახო სასტუმროთი, კვების ობიექტით, საპიკნიკე და საკარვე ადგილებით და ორი მოწყობილი ბილიკით.

პირველი ტურისტული მარშრუტი სათავეს იღებს ვიზიტიორთა ცენტრიდან. ბილიკი საფეხმავლოა და საშუალო სირთულისაა. მარშრუტის სიგრძე 3,5 კმ-ს, ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით ორ საათს. ბილიკი მიუყვება მდ. ჩაქვისთავის მარცხენა ნაპირს ზღვის დონიდან 297-476 მეტრ სიმაღლეზე და გადის ლამაზად გადაშლილი გვიმრებიანი ქვეტყის შერეული ტიპის კოლხურ ტყეში. გზად იხილავთ საქართველოს მცენარეთა წი-

თელ ნუსხაში შეტანილ ჩვეულებრივ კაკალს, იელს, უნგერნისა და სმირნოვის შქერს, უამრავ ბუჩქნარ მცენარეებს და სხვა. შეიძლება აქ შეგხვდეთ მელა, კვერნა, ციყვი, ცაში კი დაინახავთ მონავარდე არწივს თუ ქორს, მოისმენთ შაშვის (შოშია) გალობასა და სკვინჩას საამო სტვენას. აქ შეიძლება შეგხვდეთ კავკასიური სალამანდრაც. კოლხური ბზით, შქერით, ულამაზესი სუროებითა და გვიმრით შემოსილი ადგილების გავლის შემდეგ თქვენ თავს წაადგებით 12-18 მეტრის სიმაღლიდან მჩქეფარე ჩანჩქერს. იქვე მოედინება მთის მდინარე, რომელშიც კალმახი ბინადრობს. აქვეა საპიკნიკე და საკარვე ადგილებიც.

მეორე ტურისტული მარშრუტიც ვიზიტიორთა ცენტრიდან იწყება და 15 კმ სიგრძისაა, იგი წრიულია, ორდღიანი და შედარებით რთულია. გადაადგილება შესაძლებელია როგორც ფეხით, ასევე ცხენითა და სამთო ველოსიპედებით.

კინტრიშის ნაკრძალი. ასეთივე ტურისტული მარშრუტების მოწყობა შესაძლებელია კინტრიშის ნაკრძალშიც, რომლის ბუნებრივი რელიეფი რთული და მრავალფეროვანია. იგი მდებარეობს მდ. კინტრიშის ზემო დინებაში ზღვის დონიდან 450-2000 მეტრზე, რომელიც დაარსდა 1959 წელს. მისი ფართობია 13893 ჰექტარი, მათგან ტყით დაფარულია 12817 ჰექტარი, მდელოთი და წყალსატევებით 966 ჰექტარი. სულ ნაკრძალში დაცულია მცენარეთა 1045, მათ შორის 25 იშვიათი სახეობა. აქვეა ცხოველთა 22, ფრინველთა 102 და თევზის 6 სხეობა.

აქ შემონახულია ენდემური და რელიქტური მცენარეები, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პონტოს მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, სმირნოვის შქერი, ლაფანი და სხვა. გვხდება წაბლის ტყეებიც. სუბტრპიკული მცენარეულობის სარტყელს (500მ) რცხილნარის (500-1000 მ) და მუხნარის (1000-2000მ) სარტყლები ცვლის, უფრო ზემოთ სუბალპური მეჩხერი ტყე (2000-2200 მ) და ალპური მდელოებია (2200-2600მ). ნაკრძალის ტერიტორიაზე აჭარის ერთ-ერთ მაღალ მთაზე შეფენილია სოფელი ხინო, რომელიც ცნობილია თამარის თაღოვანი ხიდებით დახინოწმიდის ეკლესიით.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი აღჭურვილია ჰელიო სისტემით ელექტრონული კვებისა და წყალგამაცხელებელი სისტემისათვის.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის ასევე მეტად მნიშვნელოვანი ტურისტული მარშრუტი – ბათუმი-გობრონეთი-ხინო-ქობულეთი. ტურისტული მარშრუტის ხანგრძლივობა 3 დღეა და მასში კარგად არის წაემოდგენილი ეკო, აგრო და ეთნოტურიზმის ელემენტები. მარშრუტი ბათუმიან იწყება და აჭარისწყლის ულამაზეს ხეობას მიყვება, გზად შესაძლებელია ისტორიული თაღოვანი ხიდების, ჩანჩქერების, უმშვენიერესი ნაკადულების, საკალმახე მეურნეობების და მოქმედი ეკლესიების მონახულება.

მარშრუტის პირველი გაჩერება სოფელ გობრონეთშია (სასტუმრო სახლები). მის შემდეგ მარშრუტი სოფლის ულამაზეს „ყიშლა“ ლატევრაზე გადის. მარშრუტის უმაღლეს მწვერვალს მთა კალვა წარმოადგენს (1756 მ. ზღვის დონიდან), შემდეგ კი კინტრიშის უმშვენიერესი ნაკრძალით, დაბურული ტყეებით მდინარე კინტრიშს მიუყვება, რომელსაც ხინოწმინდის ეკლესიამდე მივყავართ.

ისპანი II და ქობულეთის აღკვეთილი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებობს ქობულეთის დაცული ტერიტორია, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღ-

კვეთილი. ქობულეთის ნაპირგასწვრივი ზვინულისა და დიუნების ზოლის უკან მდებარე ვაკის ყველაზე დადაბლებულ ნაწილში მდებარეობს უნიკალური სფაგნიუმიან-ტორფიანი ისპანის ჭაობი. ისპაანი II, მსოფლიოში პერიციკლური (შეუღწევადი) სფაგნიუმიანი ხელუხლებელი ჭაობია, რომლის ფართობიც 331 ჰექტარია, (ხოლო აღკვეთილი ისპანი – 1439 ჰექტარი),სადაც წყლის რეგულაცია მხოლოდ აორთქლებით ხორციელდება. იგი საოცარი ჭაობია, თითქმის ტბაა ნიადაგის ზემოთ. ტბას კი ზემოდან საბანივით ახურავს 25-45 სმ სისქის სფაგნიუმი, რომელიც არასოდეს იფარება წყლით. ტორფი სფაგნუმიანი და გაუხრწნელია დიდი და პატარა ელასტიური ფორმებით და მუდამ წყლის დონის ქვემოთაა.

მეტად ორიგინალურია ისპანის სფაგნუმიან-ტორფიანი ჭაობებისა და მისი განაპირა კოლხური ტყეების მცენარეულობა. აქ იზრდება კოლხეთის რელიქტური და ენდემური სახეობები., როგორებიცაა: ლაფანი, იმერული და ჰართვისის მუხა, რცხილა, ქვეტყეში ხარობს ძმერხლი, ჭყორი, უძვირფასესი კოლხური ბზა, ყვითელი და კოლხური დუმფარა, მწერიჭამია დროზერა, სამეფო გვიმრა, ჩვეულებრივი მანანა, ლაზური და ჩრდილოეთის ისლი.

აღნიშნულ ტერიტორიას გააჩნია სტატუსი – მსოფლიოში პირველი უნიკალური ხავსიანი ტორფნარი, რამსარის დაცული ტერიტორია, ადგილი მესამეული პერიოდის რელიქტებისა და ენდემებისა.

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი არის მცირეაზიური და ჩვეულებრივი ტრიტონების საარსებო არე, აგრეთვე, ჭაობის კუს საარსებო გარემო.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების სტარეტეგია, 2011.*
2. *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი, 1971.*
3. *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990.*
4. *კომახიძე თ., ადორძინებული ქობულეთი, „გამომც. აჭარა", ბათუმი, 1998.*
5. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.*
6. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973.*
7. *ფუტკარაძე მ., აჭარა, ბათუმი, 2001.*
8. *ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955.*
9. *ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959.*
10. *ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973.*

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. *რით განსხვავდება ქობულეთის მუნიციპალიტეტი აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებისგან?*
2. *მისი ძველი ისტორიის რომელ ძეგლს გამოყოფდით და რატომ?*
3. *გვესაუბრეთ ისპანის ნამოსახლარის მნიშვნელობაზე.*
4. *ბრინჯაოს ხანის რომელი ძეგლებია თქვენთვის ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?*
5. *რა იცით ფიჭვნარის ნამოსახლარის შესახებ?*
6. *რა იცით პეტრა-ციხისძირის შესახებ?*
7. *რომელი ცნობილი პიროვნებები ცხოვრობდნენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?*
8. *დასვენებისა და გართობის რომელ კერებს იცნობთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?*
9. *რით არის უნიკალური ისპანის სფაგნუმიანი ჭაობი და რატომ არის იგი შეტანილი რამსარის ნაკრძალთა სიაში?*
10. *ტურიზმის რომელი სახეობების განვითარების პერსპექტივებია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?*

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ზოგადი დახასიათება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. მისი ფართობია 41331 ჰა. მოსახლეობა – 94108; მუნიციპალიტეტის ცენტრია დაბა ხელვაჩაური. მოსახლეობის 96,4% ქართველია, 2% – რუსი, 0,8% – სომეხი, 1,6% კი სხვები. მუნიციპალიტეტი სპეციფიკურია თავისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით. მისი ძირითადი ნაწილი მთაგორიანია და ხასიათდება მცირემიწიანობით, ახალი მიწების რესურსი კი პრაქტიკულად ამოწურულია. მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ამასთან, განვითარებულია მრეწველობა. მუნიციპალიტეტში მოქმედებს 3 ჩაის ფაბრიკა, ინერტიული მასალების ქარხანა და საშენი ბლოკების მწარმოებელი კომბინატი. აქვე 16 მეგავატი დატვირთვით მოქმედებს მაჭახელჰესი.

განვითარებულია მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები.



მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. მუნიციპალიტეტში რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებია – მახინჯაური, მწვანე კონცხი, სარფი და გონიო-კვარიათი, სადაც ფუნქციონირებს 3 სანატორიუმი, 3 დასასვენებელი სახლი, 2 პანსიონატი, 1 ტურისტული ბაზა, 20-მდე სასტუმრო. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია გონიოს ციხე-მუზეუმი, ცხემლარის უნიკალური თაღოვანი ხიდი და სხვა; ფუნქციონირებს ეთნოგრაფიული მუზეუმი კახაბერში და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მაჭახლის ხეობაში, აქვეა 2 ეკლესია და 1 მამათა მონასტერი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთავრდება საერთაშორისო გზატკეცილები – ახალციხე-ბათუმი და სოჭი-სამტრედია-ბათუმი-სარფი. რესპუბლიკური მნიშვნელობის გზაა აჭარისწყალი-კირნათი. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 187,850 კმ.

ჰავა, ფლორა და ფაუნა. ჰავა მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილში თბილი და სუბტროპიკულია, ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის საუკეთესო პირობებით. ნიშანდობლივია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თერმული რეჟიმი თითქმის იდენტურია ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ და შუა ნაწილში არსებული თერმული რეჟიმისა.

ნალექების უმეტესობა უმთავრესად შემოდგომასა და ზამთარზე მოდის. ყველაზე მცირე კი – გაზაფხულსა და ზაფხულში. მუნიციპალიტეტის ზღვის სანაპიროზე შეფარდებითი სინოტივე, ჩვეულებრივ, 80-84%-ის ფარგლებში მერყეობს; ქარის საშუალო სიჩქარე უდრის 1,9 მეტრს წამში.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზღვის დონიდან 600-1200 მ-მდე გავრცელებულია ტყის ზონა, რომელიც უმთავრესად წარმოდგენილია სხვადასხვა ფოთლოვანი მცენარით. ამ ზონის ფარგლებში უმთავრესად ვხდებით წიფლის ტყეებს.

ძუძუმწოვართაგან გავრცელებულია ტურა, მგელი, დათვი, ირემი, შველი, ასევე მრავლადაა სხვადასხვა ხელფრთიანები, მაგალითად, ღამურა, და ფრინველები – შევარდენი, ქორი, ძერა, ოფოფი, ტყის ქათამი, გედი, იხვი, მწყერი და სხვა.

ადმინისტრაციული მოწყობა

დღეისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი აერთიანებს 2 დაბას და 64 სოფელს, რომლებიც გაერთიანებულია 11 თემში.

მახინჯაურის თემი: მახინჯაური, შუა მახინჯაური, განთიადი.

ორთაბათუმის თემი: ორთაბათუმი, წინსვლა, აგარა, კაპრეშუმი, სალიბაური, ქვედა სალიბაური, ყოროლისთავი, მასაურა.

ახალშენის თემი: ზედა ახალშენი, განახლება, ახალშენი, ხეყრუ, ქვედა სამება, სამება

ფერიის თემი: მნათობი, ფერია, ახალშენის მეურნეობის დასახლება.

შარაბიძეების თემი: მახვილაური, შარაბიძეები, ზანაქიძეები, ხელვაჩაური, ერგე, ზედა ერგე, ქვემო ჯოჭო, ზემო ჯოჭო.

თხილნარის თემი: თხილნარი, აგარა, მურვანეთი, ზედა თხილნარი, მახო, სიმონეთი, ომბოლო

ჭარნალის თემი: ავგია, ახალსოფელი, ჭარნალი, ზედა ჭარნალი.

სარფის თემი: სარფი.

აჭარისწყალის თემი: აჭარისწყალი, კაპნისთავი, კიბე, მაღლაკონი, მაჭახლისპირი, ხერთვისი, მირვეთი.

მაჭახლის თემი: სინდიეთი, ქედქედი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ქოქოლეთი, ქვედა ქოქოლეთი.

კირნათის თემი: კირნათი, შუშანეთი, კობალეთი, გვარა, ძაბლავეთი, მარადიდი, ზედა კირნათი.

ისტორია

ადამიანი ძველი დროიდანვე დასახლებულა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აქ მახვილაურის ნამოსახლარი ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია აჭარის ტერიტორიაზე, რომელიც კავშირშია როგორც ადრე, ისე განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარებთან. იგი მდებარეობს კახაბრის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში მახვილაურის ბორცვზე და განეკუთვნება ძვ. წ.აღ-ის VII-VI ათასწლეულებს. მისი ნამოსახლარები შეიცავს მასალას განვითარებული ნეოლითიდან უგვიანეს-ფეოდალურ ხანამდე. მახვილაურის ნეოლითურ ნამოსახლარზე შეინიშნება მეთევზეობის განვითარების მაღალი დონე, მდინარისეული სიმდიდრის გამოყენებასთან ერთად დაწყებულია ზღვის ათვისება, თევზჭერაში კი ბრტყელძირიანი ნავის გამოყენება. იწყება მეთუნეობის ჩასახვა-განვითარება და მოხარშული საკვების დამზადება. მახვილაურის ნამოსახლარი გვიჩვენებს, რომ ამ დროს აქ ნეოლითური კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე ასულა... მახვილაურში მეთევზეობა უკვე მეურნეობის დარგადაა გადაქცეული და გამოყენებულია მანამდე უცნობი სახეობის საწაფები, სხვადასხვა სახის ბადეები და სხვა. აქვეა ხის დასამუშავებელი მრავალფეროვანი იარაღები (გაპრიალებული ცულები, სათლელები, დანები, საფხეკები, სატეხ-სათლელები და სხვა), რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იყო ნავების გაკეთება.

ძვ. წ.აღ-ის V-IV ათასწლეულებში ამ რეგიონის ადამიანმა ჯერ თვითნაბადი ლითონის გამოყენება დაიწყო, შემდეგ კი მადნისაგან ლითონის დამზადების მარტივ წესს მიაგნო. ენეოლითური კერამიკა აღმოჩნდა მახვილაურის ნეოლითური ბორცვის კულტურულ ფენაში.

ძვ. წ.აღ-ის IV ათასწლეულის II ნახევარიდან აქ ბრინჯაოს ხანა დაიწყო, რომელიც დაახლოებით 2 ათას წელს გაგრძელდა. აჭარის ზღვისპირეთის მოსახლეობა ამ დროს საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედი საზოგადოებაა, რომელიც ხელოსნობის სხვა-დასხვა დარგებთან ერთად (მეთუნეობა, ხითხუროობა, რთვა და ქსოვა), დახელოვნებულია ბრინჯაოს მეტალურგიაში.

ბრინჯაოს ხანაში აღნიშნული ტერიტორია კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის და მისი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს თვით ამ კულტურის შექმნა-ჩამოყალიბებაში (კოლხური ცულების პროტოტიპები სოფ. ხელვაჩაურიდან და კირნათიდან).

ბრინჯაოს ხანის, განსაკუთრებით შუა და გვიანბრინჯაოს ე.წ. „მდნობელთა განძები" აღმოჩენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ბარცხანა, მახინჯაური, ყარადერე, სალიბაური, ერგე, მახო, ხელვაჩაური).

შუა ბრინჯაოს ხანის ყველაზე არქაულად მიჩნეული ორფერდა ყუამილიანი ცული, რომელიც ძვ. წ.აღ-ის II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება, აღმოჩენილია სოფ. ხელვაჩაურში. შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საინტერესო განძი აღმოჩნდა სოფ. კირნათში (7 ცული). კირნათში აღმოჩენილი ცულების სავარაუდო თარიღია ძვ. წ.აღ-ის XVI-XV საუკუნეები. ამავე ხანას განეკუთვნება თხილნარის განძიც.

აჭარის დაბლობზე არსებულ ბრინჯაოს წარმოების ორი ლოკალური რაიონიდან ერთი კახაბერ-ჭოროხის და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქედან ვრცელდებოდა ბრინჯაოს ნაწარმი აჭარის შიდამთიან რაიონებში (მახუნცეთი, ჭვანა, ვერნები).

აღნიშნული პერიოდი იყო თავისებური „ხევების" წარმოქმნის ხანა. დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასეთი უნდა ყოფილიყო ყოროლისწყლის აუზი – ცენტრით „თამარის ციხე", კახაბრის ველი – ცენტრით ერგეში, ჭოროხის მარცხენა სანაპირო – ცენტრით მახოში და გონიო;

ძვ. წ.აღ-ის X-VIII საუკუნეები რკინა-ფოლადის ათვისების, ქართველთა სამეურნეო საქმიანობაში რკინის საბოლოო დამკვიდრების და ბრინჯაოს გამოდევნის ხანაა. ამავე დროს იწყება სამეთუნეო ჩარხის გამოყენება, საგრძნობლად დაწინაურდა ლითონის (რკინა, სპილენძი) მოპოვება-დამუშავება. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი რკინის მომპოვებელი ცენტრი იყო ჭარნალში. კარგად განვითარებულია მიწათმოქმედება, მეთუნეობა, საფეიქრო საქმე, მეცხოველეობა და მისი პროდუქტების დამზადება, შენახვა და ტრანსპორტირება. საბოლოოდ გაფორმდა ქართული წარმართული პანთეონი. ბარის ზონაში გაჩნდა ქალაქური ტიპის დასახლებანი სახელოსნო უბნებით და საკუთარი სასოფლო-სამეურნეო შემოგარენით.

ძვ. წ.აღ-ის VIII საუკუნის II ნახევრიდან აჭარის ტერიტორია დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტითურთ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ანტიკურ ხანაში კოლხას ჩრდილოეთი რეგიონები VI საუკუნეში ახალ კოლხურ სამეფოში გაერთიანდა, რომელსაც ჰქონდა საკუთარი სამონეტო სისტემა (კოლხური თეთრი).

ძვ. წ.აღ-ის IV საუკუნეში არისტოტელე მოიხსენიებს ევქსინის პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე გეოგრაფიულ პუნქტს „ბათეა", რომელიც აკად. თ. ყაუხჩიშვილმა რამდენადმე მოგვიანო წყაროების „ბათუსს" გაუიგივა. ძვ. წ.აღ-ის IV საუკუნეში ფსევდოსკილაქს კარიანდელი ასახელებს მდ. აფსაროსს და მისგან ჩრდილოეთით „ყაჩაღთა მდინარეს", რომელიც იმავე მეცნიერის ლოკალიზაციით მდ. კინტრიშია, თ. მიბჩუანის აზრით კი აჭარისწყალი.

ელინისტურ ხანაში აჭარის ზღვისპირეთი მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის რეგიონია, სადაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მევენახეობა-მეღვინეობას უჭირავს, რომელიც აქ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს დასასრულიდან აღწევს მნიშვნელოვან დაწინაურებას. ამაზე მიუთითებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახვილაურში და ბათუმის ციხეზე აღმოჩენილი კოლხური ქვევრები, ამფორები და სხვა. განვითარებულია „ყავისფერთიხიანი" ამფორების წარმოება ბათუმის ციხეზე, გონიო-აფსაროსსა და მახვილაურში, ამავე პერიოდის მნიშვნელოვანი მონაპოვარია სოფ. აგარის ორნამენტირებული სადგამი (ძვ. წ.აღ.-ის III-II სს.), რკინის ცული, ქუსლიანი ჯამი და სხვ. როგორც ჩანს, აქ იყო მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა.

ბათუმის გორანამოსახლარზე მნიშვნელოვანი მასალაა აღმოჩენილი ძვ. წ.აღ-ის VIII-VII საუკუნიდან დაწყებული, გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით. აქვე ნაპოვნია ელინისტური ხანის ნივთები – კოლხური დერგების, ჯამების, ადგილობრივი და სინოპური ამფორების და კრამიტის ფრაგმენტები, რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული პირამიდისებური საწაფები და კვირისტავები და სხვა. ბათუმის სამოსახლო ამ პერიოდში ამ მხარის ეკონომიკური, პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრია, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბერძნულ სამყაროსთან.

ძვ. წ.აღ-ის IV საუკუნის დასასრულიდან ზღვისპირა აჭარა ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაშია, რომლის ფარგლებშიც, როგორც ჩანს, ძვ. წ.აღ-ის II საუკუნემდე დარჩა, ხოლო ძვ. წ.აღ-ის II საუკუნეში იგი მთლიანად კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია და მის ერთ-ერთ „სკეპტუხიას" წარმოადგენს.

დაახლოებით ძვ. წ.აღ-ის I საუკუნის 90-იანი წლებიდან მითრიდატე VI პონტოელმა თავის სამფლობელოს შეუერთა კოლხეთის სამეფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც. პონტოს სამეფოს განადგურების შემდეგ (ძვ. წ.აღ-ის 63 წელი) კოლხეთი რომის გავლენის ქვეშ მოექცა და მას ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე რომაელი მოხელენი განაგებდნენ. ქართლის სამეფოს კვლავ გააქტიურების შემდეგ, ახ. წ. I საუკუნეში, ფარსმან I-ის (36-66 წწ.) დროს, აჭარის შავიზღვისპირა ზოლი ქართლის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციად შეიძლება ვიგუ-

ლისხმოთ, ხოლო 131 წლისათვის იგი უცილობლად მის შემადგენლობაშია, როგორც ოძრხეს საერისთავოს ნაწილი.

სტრაბონი (ძვ. წ.აღ.-ის 64 წ. - ახ. წ. 24 წ.) თავის „გეოგრაფიაში“ ასახელებს ბიძერების ტომს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც აჭარელთა წინაპარი. პლინიუსი პირველად ახსენებს **ციხე-ქალაქ აფსაროსს (გონიო)** და ქალაქ მატიუმს, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ბათუმთან აიგივებს, ხოლო ფლავიუს არიანე საქართველოს შავი ზღვის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე ახსენებს მდინარეებს – აფსაროსს, აკამფსისს და ბათისს, აგრეთვე, ციხე-ქალაქ აფსაროსსაც, სადაც მისი მოგზაუ-



რობის დროს (ახ.წ. 131 წელი) 5 რომაული კოჰორტა მდგარა. არიანე მიუთითებს, რომ აფსაროსი ძველი პუნქტია, სადაც კოლხეთის მეფე აიეტის ვაჟი აფსირტე დაიღუპა. მისივე ცნობის მიხედვით, ზღვისპირა აჭარა ლაზეთის სამთავროს ნაწილს შეადგენდა, რომლის გამგებელს – მალასას სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან მიუღია.

ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრის გეოგრაფოსისა და ასტრონომის – კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით, აფსაროსი და მდ. აფსაროსის შესართავი კაპადოკიის პონტოს შემადგენლობაშია.

უძველესი პერიოდიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომლებიც ქართლის სამეფოს გარესამყაროსა და შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. ერთ-ერთი ასეთი გზა იწყებოდა სოფ. ხერთვისიდან, გაივლიდა ერგეს, ბათუმს (მატიუმი), თამარის ციხეს, სებასტოპოლისს (ციხისძირი) და აფსარუნტს (გონიო). ერთ-ერთი ასეთი სავარაუდო გზა აღნიშნულია კასტორიუსის (IV ს.) რუკაზე. აღსანიშნავია პეტრაზე გამავალი გზა, რომელიც ჭოროხის შესართავის ახლოს ორად იყოფოდა: ერ-

თი ჭოროხს ზემოთ მიუყვებოდა, ხოლო მეორე – ზღვის ნაპირს სამხრეთით ტრაპეზუნტამდე. ჩრდილოეთით კი, ასევე სანაპიროთი, პეტრას გავლით გზა სებასტოპოლისამდე მიდიოდა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც იბერია-კოლხეთის, ისე რომისათვის. აჭარაზე გადიოდა ე.წ. „აბრეშუმის გზაც“, რომელიც აჭარისწყლის ხეობით მდ.ჭოროხის შესართავამდე, იქედან კი უკვე ჭოროხის სანაპიროთი ბათუმამდე მოდიოდა.

რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან სიახლოვემ და ხშირმა სამიმოსვლო გზებმა განაპირობა ის, რომ პირველად საქართველოს შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აჭარაში, შემოსულან ქრისტეს მოციქულები და უქადაგიათ ქრისტიანობა. ამ დროს ქართლის მეფე იყო ფარსმან I (დაახლ. 36-66 წწ.).

არსებობს ცნობა, რომ ანდრია პირველწოდებულთან ერთად **კოლხეთში შემოსული მატათა მოციქული აქვე გარდაიცვალა და დაკრძალულია გონიოს (აფსაროსის) ციხეში.** ამჟამად იქ აღმართულია ჯვარი მატათა მოციქულის სიმბოლური საფლავის აღსანიშნავად.



II საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, VI საუკუნის 10-იან წლებამდე დღევანდელი აჭარა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ ქართლის სამეფოს ოძრხეს საერისთავოს ნაწილია, რომელსაც ამ სამეფოს ერთ-ერთი ერისთავთაგანი მართავს.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, VIII საუკუნის ბოლოდან აჭარის ზღვისპირა დაბლობი, ქობულეთ-ბათუმის მხარე ჭოროხამდის გეოგრაფიულად აჭარის ნაწილია.

XI საუკუნის დასაწყისიდან აჭარა საერისთავოა და მას აბუსერიძეები მართავენ. ასეა უფრო გვიანაც. XIII საუკუნის პირველ ნახევარში აჭარა, დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ, ლიხთამერი საქართველოს შემადგენლობაშია, XIII საუკუნის II ნახევრიდან სამცხის სპასალარების (ათაბაგების) სამფლობელოში. ერთი საუკუნის შემდეგ, კერძოდ 1372 წლისათვის, აჭარის ზღვისპირა დაბლობი გურიელის მფლობელობაშია.

XVI საუკუნის 40-იან წლების ბოლოს ოსმალებმა ჭანეთი დაიპყრეს და გონიოს ციხე დაიკავეს. ამავე საუკუნის 60-70-იან წლებში შიდამთიანი აჭარაც მათ გამგებლობაში მოექცა. 1609 წელს „შემოიკრიბა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოწყვიტა ოსმალნი და დაიპყრა კუალად თვითვე აჭარა“. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება. 1611 წლის ოსმალეთის იმპერიის აღწერაში შიდამთიანი აჭარის სანჯაყი უკვე ჩილდირის, ანუ ახალციხის ვილაეთშია შეტანილი, ხოლო ბათუმისა – ტრაპიზონის ვილაეთში. მასში შედიოდა ჩვენთვის საინტერესო დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც.

ახალციხის საფაშოს გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან, აჭარა ოსმალებმა ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში შეიყვანეს, დღევანდელი აჭარის ტერიტორია ოთხ კაზაში (მაზრა) განაწილდა: ბათუმის კაზაში შედიოდა 2 ნაჰიე (ოლქი) – ბათუმისა და ქობულეთის (ჩურუქ-სუ), ლივანას კაზაში – მაჭახელი, ხოფას კაზაში – გონიო და აჭარის კაზაში – ქვემო და ზემო აჭარა. როგორც ვხედავთ, დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია განაწილებულა ბათუმის, ლივანასა და ხოფას კაზებში.

1878 წელს, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, შეიქმნა ბათუმის ოლქი და გეოგრაფიული აჭარის ტერიტორია ბათუმისა და აჭარის „ოკრუგებად“ დაიყო. პირველი შედგებოდა კინტრიშის, ბათუმისა და გონიოს უბნებისაგან, მეორე – მაჭახელის, ქვემო და ზემო აჭარის უბნებისაგან. აქაც, როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუნიციპალიტეტის ტერიტორია ორივე „ოკრუგის“ შემადგენლობაშია განაწილებული, რომელთაგან პირველში შედის ბათუმისა და გონიოს საპოლიციო უბნები, მეორეში კი მაჭახელის. 1883 წელს ბათუმის ოლქი გააუქმეს და იგი ორ „ოკრუგად“ (ბათუმისა და ართვინის) ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. 1903 წელს ეს „ოკრუგები“ კვლავ გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და ისევ შეაერთეს „ბათუმის ოლქად“. აღნიშნული ადმინისტრაციული დაყოფა გაგრძელდა 1917 წლამდე.

1917 წლის მაისში გააუქმეს ბათუმისა და ართვინის ადმინისტრაციული ოკრუგები.

შემდგომ პერიოდში აჭარაში ჯერ თურქები, შემდეგ ინგლისელები ბატონობდნენ და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხოლოდ 1920 წლის 7 ივლისს დაამყარა აქ თავისი იურისდიქცია. 1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და იგი საქართველოსთან ერთად რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას შეუერთეს.

1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში გაუქმდა საპოლიციო უბნები და შეიქმნა მაზრები და სასოფლო თემები (5 მაზრა და 12 თემი); 1923 წელს სასოფლო თემები 18-მდე გაიზარდა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ამ პერიოდში შედიოდა ჭოროხის და აჭარისწყლის მაზრებში. 1930 წელს მაზრები შეიცვალა რაიონებით, ხოლო სასოფლო თემები – სასოფლო საბჭოებით. 1940 წლისათვის აჭარაში შედიოდა 4 რაიონი და 1 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ბათუმი, მათ შორის ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონი ცენტრით ბათუმში. ასეთივე მდგომარეობაა 1950-იანსა და 60-იან წლების დასაწყისში. 1962 წელს ბათუმის, ქობულეთის და შუახევის რაიონები გააუქმეს და შუახევი ხულოს შეუერთეს (რომლისგანაც ის გამოყვეს 1952 წელს), ხოლო ბათუმისა და ქობულეთის რაიონები გააერთიანეს და შექმნეს ჩაქვის რაიონი ცენტრით დაბა ჩაქვში. 1964 წელს იგი გააუქმეს და კვლავ აღდგა ადრინდელი მდგომარეობა, მაგრამ 1970 წელს ბათუმის რაიონის ნაცვლად მას ეწოდა ხელვაჩაურის რაიონი, ცენტრით დაბა ხელვაჩაურში. მდგომარეობა არ შეცვლილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია ხელვაჩაურის რაიონს ეწოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 1926 წლიდან 1999 წლამდე 3,9-ჯერ გაიზარდა და 25,4 ათასიდან 92,9 ათასს მიაღწია. მის შემადგენლობაში შედის 2 დაბა, 12 სასოფლო თემი და 74 სოფელი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სამუსლიმანო საქართველოს ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ მემედ, ჰაი-

დარ და ზია აბაშიძეები, პირველი ქართველი გენერალი სამუსლიმანო საქართველოდან – ასლან აბაშიძე, ყედირ შერვაშიძე, ქემალ ქიქავა და სხვ.

მუზეუმები

გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი. ბათუმიდან სამხრეთით, 12 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი (ციხე-სიმაგრე). ის ნამდვილი სამოთხეა ისტორიულ-კულტურულ სიძველეთა მოყვარულთათვის. გონიო-აფსაროსის ციხეს უნიკალური სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ის იცავდა ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობების შემოსასვლელებს, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებს აკავშირებდა შავი ზღვის სანაპიროსთან. სწორედ ამგვარი მდებარეობის გამო იქცა გონიოს ციხე ჯერ რომის იმპერიის, შემდეგ კი ბიზანტიის ერთ-ერთ საყრდენ ციტადელად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ეს ის რეგიონია, სადაც აღმოცენდა კოლხური კულტურა და პირველი ქართული გაერთიანებები. რომაულ-ბიზანტიური წერილობითი წყაროების თანახმად, დაახლოებით იმავე პერიოდში ჩამოყალიბდა აფსაროსი, როგორც დასახლებული პუნქტი. მისი ისტორია მჭიდროდ უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ მიდამოებში დაკრძალა კოლხეთის მეფე აიეტმა თავისი ვაჟის აფსირტეს ცხედარი, რომელიც იასონმა ჯერ დაანაწევრა და შემდეგ ზღვაში მიმოაბნია.

მეჯინისწყლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაარსდა 1989 წელს, რაიონის იმდროინდელი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა აქტიური მონაწილეობით. მუზეუმში თავმოყრილია სხვადასხვა დანიშნულების ექსპონატები, აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლოგიური ნიმუშები, გასული საუკუნეების ყოფისა და ეთნოგრაფიული ნივთები, ფოტომასალა, ფერწერული ტილოები, დოკუმენტები პირადი კოლექციიდან, სხვადასხვა წლებში გამოშვებული ფულის კუპიურები და მონეტები. დღეისათვის მუზეუმში 4286 ექსპონატია. მუზეუმის ეზოში მოწყობილია ეთნოგრაფიული კუთხე, სადაც ექსპონირებულია სამი საუკუნის წინათ ნაგები საცხოვრებელი სახლი, ნალია, ბეღელი და სხვა. მუზეუმს აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც გაშენებულია სუბტროპიკული კულტურები. მუზეუმში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რაიონის სკოლის მოსწავლეები ამუშავებენ სხვადასხვა თემებს მუზეუმში და აგზავნიან თბილისში, სადაც არაერთი დიპლომი მიუღიათ.

თავდაპირველად მუზეუმის სახელწოდება იყო ხელვაჩაურის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 1989-91 წწ მუზეუმს ხელმძღვანელობდა ა. შალიკაძე. 1991 წელს შეიქმნა აჭარის სამუზეუმო გაერთიანება, ხელვაჩაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იყო ამ გაერთიანების ფილიალი. ფილიალს ხელმძღვანელობდა ნ. ომერაძე. 2005 წლიდან ფილიალს

ხელმძღვანელობს მ. მურადიშვილი. 2007 წლიდან მუზეუმი გადავიდა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში და შეეცვალა სახელწოდება. ამჟამად იწოდება მეჯინისწყლის მუზეუმად.

ჩხუტუნეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა 1984 წლის 9 ივნისს. მუზეუმის გახსნის ინიციატორი და დამაარსებელია სოფელ ზედა ჩხუტუნეთის მკვიდრი ზურაბ ნაგერვაძე, რომელიც მუზეუმს ხელმძღვანელობდა დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე (1995წ.), ხოლო 1995 წლიდან მუზეუმს ხელმძღვანელობს მისი ვაჟი მალხაზ ნაგერვაძე.

მუზეუმი განთავსებულია ყოფილი მეჩეთის შენობაში. იგი სამსართულიანია. პირველი სართული არის ქვით ნაშენები, ხოლო მეორე და მესამე სართული – ხით. თვით ეს შენობა თავისი ხუროთმოძღვრული ორნამენტებით სამუზეუმოა.

2007 წლიდან მუზეუმი გადავიდა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში და შეეცვალა სახელწოდება. ამჟამად იწოდება ჩხუტუნეთის მუზეუმად.

ახალშენის მუზეუმი დაარსდა 1969 წელს, ახალშენის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის – ნოშრევან დუმბაძის მიერ შეგროვილი ეთნოგრაფიული ექსპონატებითა და სხვადასხვა ისტორიული მასალებით. მას ერქვა სახალხო მუზეუმი, რომელიც განთავსებული იყო ახალშენის კულტურის სახლის შენობაში. 1976-1980 წლებში მუზეუმს ხელმძღვანელობდა აწ გარდაცვლილი ღვაწლმოსილი პიროვნება, ახალშენის მკვიდრი შაქრო სურმანიძე.

შემდგომში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა უარყოფითად იმოქმედა მუზეუმის მიმართებაშიც, კერძოდ გაიბნა და დაიკარგა რამდენიმე ექსპონატი, მაგრამ კვლავ ბატონ ნოშ-

რევან დუმბაძისა და მისი შვილის, გურამ დუმბაძის ინიციატივით, მუზეუმი განთავსდა ცალკე შენობაში, სადაც ამჟამადაც არსებობს და ფუნქციონირებს.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები

ისტორიისა და კულტურის ძეგლები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკმაოდ მრავლადაა. განსაკუთრებით ბევრია ქვის თაღოვანი ხიდები.

გვარას ციხე. გვარას ციხე მდებარეობს ბათუმიდან 24 კმ-ის დაშორებით, მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას წყლის შესართავიდან 300 მ-ზე. აღმართულია ხეობის წინ წამოზიდულ კლდოვან ბორცვზე. ციხის კედლების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია, გარდა სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის მონაკვეთებისა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრია.

ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ციხე ამ ადგილას დაახლოებით VI-VII საუკუნეში არსებობდა. ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ციხე მოგვიანებითაც გამოუყენებიათ, XI-XIII საუკუნეებში მისი აღდგენა-განახლება უნდა მომხდარიყო. თავისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო, გვარას ციხე ყველა ეპოქაში აქტიურ როლს თამაშობდა ჭოროხისა და მაჭახელას ხეობებზე ზღვისპირეთისაკენ თუ ზღვისპირეთიდან კლარჯეთისა და არტანუჯისაკენ მიმავალი გზების გაკონტროლებაში.

ჩხუტუნეთის ციხე. ჩხუტუნეთის ციხე მდებარეობს მდინარე მაჭახელას მარცხენა სანაპიროზე, მაჭახელას წყლისა და დავითეთის ღელის შესართავთან არსებულ მაღალი კლდის ბორცვზე. ციხე ზემოდან აკონტროლებდა მაჭახლის ხეობაში გამავალ იმ სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზას, რომელიც ზღვისპირეთს აკავშირებდა შავშეთთან, არტანუჯთან და სამხრეთ საქართველოს სხვა ოლქებთან.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების აჭარაში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი ხეობის სათავეებიდან თითქმის ზღვისპირეთამდე ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნიდნენ და აკონტროლებდნენ რეგიონში არსებულ გზებს. ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობა, ისევე, როგორც მთლიანად აჭარა, საგულდაგულოდ იყო გამაგრებული.

ჩხუტუნეთის ციხის შიდა ფართობი 200 კვ.მ-ია. მისი გალავნის დიდი ნაწილი დაზიანებულია. შემონახულია მხოლოდ ჩრდილოეთის კედელი. გალავნის სიგრძე ამ მონაკ-

ვეთში 8 მ-ია, სიმაღლე (გარედან) – 2 მ, კედლის სისქე – 1 მეტრომდე აღწევს.

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის ნაგებობები. აღსანიშნავია გვირაბი, რომელიც ციხის ჩრდილოეთ ნაწილში იწყება და მიშენებულია გალავლის კედელზე. ის უკავშირდება მდინარეს, საიდანაც მეციხოვნეებს ამოჰქონდათ წყალი და საჭირო დროს თავშესაფრადაც იყენებდნენ. ამჟამად შემორჩენილი გვირაბის სიგრძე 31-32 მ, სიგანე – 0,70-0,80 მ, სიმაღლე საშუალოდ 1,30 მ, ზოგან კი 2,5 მ. ციხის ახლოს, ფერდობზე, რამდენიმე წლის წინ შემთხვევით აღმოჩნდა მარანი, სადაც სხვადასხვა ზომის 8 ქვევრი იყო განლაგებული. ციხეც და მარანიც XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

ყოროლისთავის ციხე. ციხე აშენებულია მდინარე ყოროლისწყლის ახლოს, კლდოვან სერზე, რომლის სიმაღლე დაახლოებით 60 მ-ია. შემორჩენილია კოშკი და გალავნის ნაშთი. ციხეს დაახლოებით 300 კვ.მ ტერიტორია უკავია.

კოშკის ფართობი 16,2 კვ.მ-ია, ნაგებია ფლეთილი ქვით კირის ხსნარზე. სიგრძეა 6,5 მ, ხოლო სიგანე – 5,45 მ. კედლის სისქე მერყეობს 90 სმ-დან 1 მ-მდე. კოშკიდან 30 მ-ის დაშორებით შემორჩენილია ციხის გალავნის ნაშთი 3 სათოფურითა და კარებით.

სამხრეთიდან გარე კედლის სიმაღლე 10,5 მ-ია, ხოლო ჩრდილოეთი მხრიდან (შიდა მხრიდან) – 2,80 მ. კედელში 2 მ-ის სიმაღლეზე დატანებულია სათოფურები. სათოფურებს შორის მანძილი 124 სმ-ია, ზომები – 30×33 და 28×18 სმ. კარების სიგანე 80 სმ-ია. კარებს შიდა მხარეზე კედელში დატანებული აქვს ხვრელი (ზომით 18×25 სმ). ხვრელის სიღრმე 1 მ-მდეა. ეს საურდულე ხვრელი უნდა იყოს გალავნის სისქე 135 სმ. ქვის წყობისა და სათოფურების მიხედვით ეს ციხე XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ფერიცვალების სახელობის ეკლესია. ახალშენის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს სოფ. ახალშენში. ზღვის დონიდან 100 მ-ზე, მდ. ბარცხანის ნაპირზე, აგებულია XX საუკუნის დასაწყისში, რიყის და თლილი ქვით. შენობის სიგანე 11 მ-ია, სიგრძე საკურთხეველის ჩათვლით – 16 მ, სიმაღლე გუმბათითურთ – 21 მ.

ტაძარი ააგეს პონტოელმა ბერძნებმა, რომლებიც აქ 1878 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ჩამოსახლდნენ. ტაძარში წირვა-ლოცვა გასული საუკუნის 30-იან წლებამდე აღევლინებოდა.

საბჭოთა წყობილების დროს ტაძარს კოლმეურნეობა საწყობად იყენებდა. ჩამოიქცა გუმბათი, განადგურდა კარ-ფანჯარა, გაფუჭდა იატაკი.

ტაძრის აღდგენა XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყეს ბერძნებმა. შეკეთდა გუმბათი, გადაიხურა შენობა. სამწუხაროდ, მეტი ვერაფერი მოხერხდა, რადგან სიდუხჭირეს ბერძენთა ელადაში, მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაც დაერთო. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ტაძარი მაინც აღდგა. ამაში დიდი წვლილი ახალშენელებს მიუძღვით. განახლდა და გამაგრდა გუმბათის ჩუქურთმები, ჩაისვა სამრეკლოები, აშენდა ქვის კანდელი, მოიხატა კანდელი და გუმბათის ყელი, მოეწყო შიდა განათება, დაიკიდა საკათედრო

ტაძრიდან შემოწირული ჭაღი.

1994 წლის 24 აპრილს ეკლესიის ეზოში ხალხი შეიკრიბა. დასუფთავდა და დალაგდა ეზო-შემოგარენი, მოეწყო მდინარეზე ჩასასვლელი გზა. ხოლო 8 მაისს, აღდგომის კვირადღეს, ბერძენთა ტრადიციისამებრ სასაფლაოზე გასვლის დღეს, მამა გიორგიმ (მუმლაძე) ახალშენის ეკლესიაში ტაძრის კურთხევის 82 წლისათვის აღსანიშნავად პარაკლისი გადაიხადა.

ყოვლადწმინდა სამების ეკლესია და დედათა მონასტერი. სამების ეკლესია აგებულია ზღვის დონიდან 400 მ სიმაღლეზე, ამავე სახელწოდების მთაზე, რომელიც აჭარა-გურიის ქედის დასავლურ განშტოებას მიეკუთვნება. აქედან მშვენიერი ხედი იშლება: დასავლეთით – შავი ზღვა, სამხრეთ-დასავლეთით – მდ. ჭოროხის დელტა და კახაბრის დაბლობი, ჩრდილო-დასავლეთით – ჩაქვისა და ქობულეთის ქედები, აღმოსავლეთით – ახალშენისა და ჩელტის სანახები.

სამების ეკლესიაზე საინტერესო ცნობებს ვპოულობთ დიმიტრი ბაქრაძის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში“. იგი წერს: „ბათუმის ახლოს მაღალ გოროზე დგას მაღალი ეკლესია სამებისა, ჩამოვარდნილი გუმბათით“. სამებაში იყო წარწერიანი საფლავების ქვები, აქედან ორი მარმალილოსი. ერთ მათგანზე ეწერა: „ღმერთო აცხოვნე მარიამი“.

სამების ეკლესია 1875 წლამდე უვნებელი ყოფილა, მაგრამ 1877-1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს თურქებს აუფეთქებიათ.

სამების ეკლესიის გვერდით მდებარეობს ყოვლადწმინდა სამების სახელობის დედათა მონასტერი.

„ქილისე“. „ქილისე“ – ასე უწოდებენ სოფ. სარფის თავში, შემაღლებულ ადგილზე აგებულ ეკლესიას. მის სამხრეთით მდინარე „კალინდერე” იღებს სათავეს. მთლიანად ამ ადგილს კი „ოკანდალეს” უწოდებენ.

მშენებლობის სტილის მიხედვით ვარაუდობენ, რომ „ქილისე“ აშენებულია ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის შემდეგ. მოგვიანებით გაჩნდა ვერსია, რომ ის VI საუკუნეში აშენებულა.

„ქილისეს“ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიება არ ყოფილა, ისტორიულ წყაროებშიც არაფერია ნათქვამი ამ ძეგლის შესახებ. გადმოცემით, სარფში იყო სამი სამლოცველო. ერთი საკუთრივ „ქილისე“, მეორე – „კალინდერე“, რომელიც „ქილისეს“ სამხრეთით მდებარეობდა. 1920-30-იან წლებში მესაზღვრეებმა მისი კედლები მოშალეს და ყაზარმა ააშენეს, რისთვისაც სამლოცველოს ქვები გამოიყენეს. შემდეგ ყაზარმას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა.

მესამე სამლოცველო გაღმა სარფის (თურქეთის) ტერიტორიაზე მდებარეობდა, ზღვასთან ახლოს. სამლოცველოდან ზღვაზე მიწისქვეშა გასასვლელი გადიოდა. გზის გაყვანასთან დაკავშირებით სამლოცველო დაინგრა. მიწისქვეშა გასასვლელი კი ქვებით ამოივსო.

ადგილობრივი მოსახლეობა „ქილისეს“ მიმართ დიდი რწმენით იყო გამსჭვალული. სოფელში თუ ვინმე ავად გახდებოდა, ფეხით სიარულიც რომ არ შეძლებოდა, ნათესავები შემოისვამდნენ ზურგზე, აჰყავდათ ტაძარში, იქ ტოვებდნენ და განკურნებული ბრუნდებოდა უკან.

მახოს ხიდი. ერთთაღიანი წრიული ფორმის მახოს ხიდი აგებულია მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკად მახოსწყალზე, სოფ. მახოსთან. ხიდის სიგრძეა 15,8 მ, სიგანე შუაში – 2 მ,

ნაპირზე კი 2,14 მ-ია. ხიდის სიმაღლე წყლის დონიდან კამარის ზედაპირზე 3,6 მ-ია, მოაჯირის სიგანე – 0,5 მ. მისი სიმაღლის განსაზღვრა დაზიანების გამო ვერ ხერხდება. ხიდის ბურჯების სიმაღლე 0,68 მ-ია. ბურჯებს აქვთ წყალგამყოფი. ხიდი ნაგებია კარგად

გათლილი კვადრატული ფორმის ქვებით, ხოლო მისასვლელი – ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე.

ცხემლარას თაღოვანი ხიდი. ცხემლარას ხიდი მდებარეობს მდინარე მაჭახელაზე, ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ გზაზე მდებარე სოფელ აჭარისწყლიდან 7-8 კმ-ის დაშორებით. ამ ხიდით სარგებლობდა სოფელ ცხემლარას მოსახლეობა XX საუკუნის 60-იან წლებში ახალი სამანქანე ხიდის აშენებამდე. ხიდის სიგრძე ბურჯიდან ბურჯამდე 19,6 მ-ია, სავალი ზედაპირის – 22 მ, შუაწელის სიგანე – 1,6 მ, სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე – 5,3 მ. ნახევრადწრიული თაღის მოხაზულობის ხიდი საკმაოდ ვიწროა და განკუთვნილი იყო ფეხით მოგზაურთათვის. თაღს ამჩნევია მეორადი ქვის ფენა, რაც მას პირველად სახეს უკარგავს. 2008 წელს ცხემლარას ხიდს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

ქოქოლეთის (ჩომახურისის) თაღოვანი ხიდი მდებარეობს ქოქოლეთის წყალზე (ერთვის მაჭახელას მარჯვნიდან). ხიდის მალი 10 x 10 მ-ია. წყლის დონიდან თავბანდამდე მანძილი – 5,15 მ. მარჯვენა ბურჯზე ცალ მხარეს ამოყვანილია ქვების პარალელური წყობა (სიმაღლით – 1,54 სმ, სისქით – 0,24 მ, სიგანით – 0,90 მ). იგი ბურჯის შემადგენელ ელემენტად უნდა ჩაითვალოს. არცერთ სხვა თაღოვან ხიდზე ასეთი რამ არ შეინიშნება. თავის სიგანეა 0,45 მ, ლავგარდანი – 0,20 მ (ლავგარდანი გადმოწეული არ არის). ხიდის სიგანე შუა წელში 1,70 მ-ია.

ხიდს ფოსოები არ აქვს. მხოლოდ ერთი ვიწრო ხვრელი (0,6 x 0,8სმ) შეინიშნება მარჯვენა ბურჯის ზედა მხარეს, რომლის დანიშნულება გაურკვეველია. ხიდი XVIII საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს.

ორთაბათუმის ხიდი. ხიდი მდებარეობს ყოროლისწყალზე ამავე დასახელების სოფელში. ის აგებულია XVIII საუკუნის ბოლოს, ხოლო XX საუკუნის 60-იან წლებში ჩა-

უტარდა სარემონტო-გამაგრებითი სამუშაოები. ხიდი დღესაც ინარჩუნებს თავის პირვანდელ ფუნქციას, მოასფალტებულია და გამოიყენება როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ისე სამანქანედ.

ხიდის თანამედროვე პარამეტრებია: სავალი ნაწილის სიგრძე - 30 მ, სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდამდე - 6,5 მ, მარჯვენა მისასვლელის სიფართე - 12 მ, მარცხენა მისასვლელის სიფართე - 6,5 მ. ხიდის სიფართე შუა წელში 6,5 მ, თავბანდის სიმაღლე - 1 მ.

ჩხერის თაღოვანი ხიდი. ჩხერის ხიდი მდებარეობს სოფ. ზედა ჩხუტუნეთში (კახეთში). იგი გადებულია მდინარე ჩხერისწყალზე, რომელიც მდინარე მაჭახელას ერთვის მარცხენა მხრიდან. ი.სიხარულიძის გამოკვლევების მიხედვით, ხიდი მონაცემები ასეთია: ხიდის მალი 5,7 მ-ია, მალთან ხიდის სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდის თავამდე შედარებით დიდია და შეადგენს 6,3 მეტრს. ეს გამოწვეულია კლდოვანი ნაპირების სიმაღლით: კლდეთა სიმაღლე, რომლებიც ხიდის ბურჯების მაგივრობას ასრულებენ, წყლის ზედაპირიდან 3,6 მ-ია. ხიდის სიგანე 4,2 მ-ია. მარცხენა მისასვლელის სიგრძეა 1,5 მ, სიგანე – 3,6 მ. თავბანდის სიგრძე შეადგენს 50 სანტიმეტრს. ხიდს „ფოსოები" არ აქვს, რაც გამოწვეულია მალის სიმცირით, ხიდის ზედაპირი ჰორიზონტალურია.

ზვარიას თაღოვანი ხიდი. ხიდი მდებარეობს საფუტკრეთში, ამავე სახელწოდების ღელეზე, რომელიც მდინარე მაჭახელას მარცხნიდან ჩაერთვის. ეს ხიდი ამჟამად სამანქანე ხიდის ქვეშაა, უკანასკნელ დრომდე ეს ხიდი სრულად ყოფილა მოღწეული, მაგრამ მდინარის დინამიური დატვირთვისაგან მნიშვნელოვნად დაზიანებულა.

ხიდი მცირე ზომისაა. მილის ზომა 1,8 მ-ია, ისარი - 0,9 მ, ხიდის სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდის თავამდე - 2,1 მ, ბურჯის სიმაღლე - 1,2 მ, სიგანე - 1,45 მ. რადიალურად ნაწყობი თაღის ქვების სიგანე 0,3 მ-ია, თაღზე გაყოლებული ჰორიზონტალური წყობა ქვებისა - 0,8-1 მ, ლავგარდანის გამოწევა - 0,04-0,05 მ, ხიდის სიგანე - 1,35 მ.

ხიდის მარჯვენა მისასვლელის სიგრძე 5,6 მ-ია, სიგანე – 3 მ, ხოლო მარცხენასი, შესაბამისად – 2 მ და 1,5 მ.

მირვეთის თაღოვანი ხიდი. მდებარეობს სოფ. მირვეთში, აჭარისწყლის გადასახვევიდან 3,46 კმ-ზე. ხიდი აშენებულია ჭოროხის წყლის მარჯვენა შენაკადზე XIII საუკუნეში. ხიდის პარამეტრებია: სიგრძე – 12 მ, სიფართე შუა წელში – 2 მ, სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდამდე – 5მ,თავბანდის სიმაღლე 52 სმ, მარჯვენა მისასვლელის სიფართე – 4,2 მ, მარცხენა მისასვლელის სიფართე – 3,5 მ.

საკურორტო-რეკრეაციული რესურსები

მწვანე კონცხი. საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ზღვისპირა კურორტია მწვანე კონცხი, რომელიც ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით მდებარეობს და განლაგებულია ზღვის დონიდან 70-92 მ-ის სიმაღლეზე. ისტორიულად ამ ადგილს "სასირე ყელი" ეწოდება, რადგან ფრინველთა მიგრაციის პერიოდში აქ მათი უამრავი ნაირსახეობა იყრის თავს. სახელწოდება „მწვანე კონცხი" მარადმწვანე საფარველის გამო უწოდეს მას რუსულენოვანმა დამსვენებლებმა.

ჯერ კიდევ 1903 წელს, ბათუმის ექიმთა საზოგადოების ინიციატივით, მწვანე კონცხზე მოეწყო რკინიგზელთა კლიმატური სადგური, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა. სწორედ მწვანე კონცხის ფერდობებზეა გაშენებული მსოფლიო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელი და სტუმარი ათ-

ვალიერებს. აქვეა განლაგებული სასტუმროები, რესტორნები და კაფე-ბარები. მწვანე კონცხის ზღვისპირა ზოლი საუკეთესო ადგილია არა მხოლოდ ცურვისა და მზის აბაზანების მისაღებად, არამედ დაივინგის მოყვარულთათვისაც.

მახინჯაური. ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მახინჯაური მდებარეობს ბათუმის ჩრდილოეთით, 5 კმ-ის დაშორებით. ის ზღვის დონიდან 15 მეტრზე იწყება და 1000 მეტრზე მაღლა აღწევს. კლიმატი ტენიან-სუბტროპიკულია. ბათუმთან შედარებით აქ ზამთარი უფრო თბილია, ზაფხული კი გრილი. ზაფხულობით გამორჩეულ სიგრილეს ხელს უწყობს მთაგორიანი მდებარეობა და ცვალებადი ბრიზები.

მახინჯაურის მიდამოებში მოედინება თბილი მინერალური წყარო, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ. 1904 წლიდან აქ ფუნქციონირებს მახინჯაურის გოგირდოვანი აბაზანები, რომლებსაც იყენებენ სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ.

მახინჯაურის საკურორტო ზოლის მთელს სიგრძეზე, სანაპიროს გასწვრივ, გაშენებულია მწვანე ნარგავებში ჩაფლული სასტუმროები და აგარაკები.

გონიო, კვარიათი, სარფი. კურორტები – გონიო და კვარიათი ბათუმის სამხრეთით, მისგან 13-18 კმ-ის დაშორებითაა განლაგებული, სარფი კი უშუალოდ საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. ზღვის ამ შესანიშნავ კურორტებზე წყლის საშუალო ტემპერატურა ივლისში +25 გრადუსამდე ადის. აქ შეჯერებულია ზღვისა და მთის ჰავა. თვისებებით მათ კურორტ იალტას ამსგავსებენ.

საკურორტო ზოლის ზღვის წყალი განსაკუთრებულად გამჭვირვალეა, მიმზიდველია აქაური წყალქვეშა სამყაროც.

ეს კურორტები რეკომენდებულია გულსისხლძარღვთა, ცენტრალური ნერვული სისტემის, ნერვული სისტემის ფუნქციური დავადებების, სახსრებისა და გინეკოლოგიური დავადებების სამკურნალოდ.

მაჭახლის ხეობა. მაჭახლის ხეობა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იგი შავი ზღვის სანაპიროდან 25 კმ-თაა დაშორებული. ზაფხულში ხეობა არის ზომიერად გრილი და თბილი, ხოლო ზამთარში არც თუ ისე ცივი და სუსხიანი. მაჭახლის ხეობის სამხრეთ ნაწილში გადის თურქეთის სახელმწიფო საზღვარი. ხეობა მოიცავს რამდენიმე დიდ და მცირე სოფელს: გვარა, სინდიეთი, ქედქედი, აჭარისაღმართი, ცხემლარა, ჩხუტუნეთი (ზედა და ქვედა), ჩიქუნეთი, ჭანივრი, სკურდიდი, კოსტანეთი, კახიეთი, საფუტკრეთი, გორგაძეთი ვაკე, ბასილეთი, გორიეთი, ხინკილეთი, ქოქოლეთი, კირკიტეთი და სხვა.

მაჭახლის ხეობის მდიდარი წარსული მჭიდროდაა დაკავშირებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიასთან. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ხეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. რო-

გორც დასტურდება ხეობაში გადიოდა ერთ-ერთი სავაჭრო-ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომელსაც უდიდესი როლი ეკისრებოდათ ჭოროხის აუზის შავიზღვისპირეთთან დაკავშირების საქმეში.

ხეობის წარსულზე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს უძველესი ხელნაწერი დოკუმენტი – „ტბეთის სულთა მატიანე“.

ისტორიული მაჭახელი 26 სოფელს აერთიანებდა. მაჭახლის ხეობის მდიდარ ისტორიულ და კულტურულ წარსულზე მეტყველებს აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, როგორიცაა თაღოვანი ხიდები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები, ქვითკირით ნაშენი ღვინის საწნახლები და მარნები, ქვით ნაგები წყლის შადრევნები, რომლებიც თავიანთი სიძველით ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან.

თაღოვანი ხიდებიდან აღსანიშნავია ჩომახისურის, ცხემლარის, ჩხერის, გორგაძეთის, (მდ. მაჭახელზე). მათგან ყველაზე დიდია ცხემლარის ხიდი. ხიდები ნაშენებია რიყისა და ფლეთილი ქვებით.

მაჭახლის ხეობაში, მდინარეების მაჭახლისა და ჭოროხის შესაყარზე აღმართულ მაღლობზე, მდებარეობს ცნობილი გვარას ციხე. იგი სავარაუდოდ ფეოდალურ ხანაში უნდა აგებულიყო. მეორე მნიშვნელოვანი ციხეა ჩხუტუნეთში, მდ. მაჭახლის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ გორაკზე. ორივე ციხის სტრატეგიულ დანიშნულებას ხეობის დაცვა და მასზე გამავალი სავაჭრო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

მაჭახლის ხეობა ცნობილი ყოფილა ეკლესია-მონასტრებითაც. ეკლესიები ყოფილა ხერთვისსა და ევფრატში, ასევე ქვედა და ზედა ჩხუტუნეთში. გადმოცემის თანახმად თამარ დედოფალი გაჭირვების დროს მაჭახელში მიდიოდა, რადგან მტერი აქ ვერ ახერხებდა შემოსვლას. მას, ამავე გადმოცემით, რეზიდენცია ჰქონდა ჩხუტუნეთში. ყველა ეს ფაქტორი კარგ საშუალებას იძლევა მაჭახლის ხეობაში ტურიზმის განვითარებისათვის. შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შემთხვევაში ხეობა ტურისტებისათვის უსაყვარლეს ადგილად შეიძლება გადაიქცეს.

სახალხო დღესასწაულები

„კოლხობა“. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში უკვე კარგა ხანია ტრადიციად იქცა სახალხო დღესასწაულები „კოლხობა“ და „მაჭახლობა“. „კოლხობა“ ტარდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფში. დღესასწაულს საფუძველი ჩაეყარა 1979 წელს და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება. დღესასწაულს საფუძვლად უდევს უძველესი მითი არგონავტების შესახებ, რომლის მიხედვითაც იმართება „კოლხობის დღესასწაულზე“ თეატრალიზებული სანახაობა იმ ადგილას, სადაც ოდითგანვე ეწყობოდა ძველი სახალხო დღესასწაული „ქვაომხაზობა“.

„კოლხობის“ დღესაწაული იმართება აგვისტოს ბოლო მესამედში.

„მაჭახლობა“. სახალხო დღესასწაული „მაჭახლობა“ დაწესდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით და პირველად ჩატარდა 2007 წლის 25 სექტემბერს. იგი იწყება მდინარეების მაჭახლისა და ჭოროხის შესართავიდან და მთელს მაჭახლის ხეობას მოიცავს. დღესასწაულზე ეწყობა ეთნოგრაფიული გამოფენები, რომელიც ადგილობრივ თუ უცხოელ სტუმარს ზოგად წარმოდგენას შეუქმნის ხეობის ტრადიციულ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე.

დღესასწაულში მონაწილეობენ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ზემო მაჭახლის მცხოვრებნი და იქაური ფოლკლორული ანსამბლი „მაჭახელა“, აგრეთვე, თურქეთში მოღვაწე ცნობილ ქართველები, მათ შორის, აღიარებული მომღერალი ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე). „მაჭახლობის“ დღესასწაული ერთგვარი დათვალიერებაა აქაურთა მიღწევებისა, რის გამოც აღნიშნული დღესაწაული ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ტრადიციების საინტერესო ფორმით გამოხატვის საუკეთესო საშუალებად იქცა.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების სტარეტეგია, 2011.*
2. *ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი, 1971.*
3. *გოგიტიძე ს., აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათუმი, 2002.*
4. *გოგიტიძე ს., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ.წ. XII-IV ს.ს.) ბათუმი, 2002.*
5. *თურმანიძე ო., საადგილ-მამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წ.წ.), ბათუმი, 2005.*
6. *კომახიძე თ., ხელვაჩაურის (ბათუმის) რაიონი, წ. I, ბათუმი, 2003.*
7. *ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნა, თბილისი, 2011.*
8. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.*
9. *ფუტკარაძე მ., აჭარა, ბათუმი, 2001.*
10. *ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955.*
11. *ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის „ქვეყანა“, ბათუმი, 1995.*

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. *რით განსხვავდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებისაგან?*
2. *მისი ძველი ისტორიის რომელ ძეგლებს გამოყოფდით და რატომ?*
3. *გვესაუბრეთ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის გონიო-აფსაროსსა და აქ გამავალ გზებზე.*
4. *რომელ ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთიანდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორია ოსმალთა და რუსეთის მმართველობის პერიოდში?*

5. რომელი ცნობილი პიროვნებები ცხოვრობდნენ და ვისზე შეგიძლიათ მოგვითხროთ?

6. დასვენებისა და გართობის რომელი ადგილებია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე? რა ახალი შეგიძლიათ გვითხრათ ბოტანიკური ბაღის შესახებ?

7. რითაა გამორჩეული მაჭახლის ხეობა და მისი ნაკრძალი?

8. რა იცით ხელვაჩაურის სახალხო დღესასწაულებზე? ვის დღესასწაულად ითვლება „კოლხობა"?

9. ტურიზმის განვითარების რა პერსპექტივებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?

ქედის მუნიციპალიტეტი

ზოგადი ცნობები



ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარისწყლის ხეობის ქვემო წელზე. იგი გარშემორტყმულია ჩრდილოეთიდან – ქობულეთის, დასავლეთიდან – ხელვაჩაურის, აღმოსავლეთიდან – შუახევის მუნიციპალიტეტებით, ხოლო სამხრეთით საზღვარი გადის თურქეთის რესპუბლიკასთან (17 კმ). ტერიტორია 452 კვ.კმ-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა – 20024 კაცს (2002 წ.).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ქედა (1244 მცხოვრები (2002 წ.), დაბის ოფიციალური სტატუსი – 1966 წლიდან). მდებარეობს მდ. აჭარისწყლის ქვემო წელზე, განლაგებულია მდინარის ორივე ნაპირზე (ზღვის დონიდან 256 მ-ზე, ბათუმიდან 41 კმ-ზე მის აღმოსავლეთით). ქედას მოიხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც მიუთითებს, რომ იგი „არს მცირე ქალაქის მზგავსი დაბა, მოსახლენი არიან ვაჭარნი“.

ქედის ქართული ქვემოაჭარულ კილოკავს მიეკუთვნება, მასში გამოიყოფა მერისული თქმა.

შიდამთიანი აჭარა (აჭარისწყლის ხეობა), ტრადიციით, იყოფა ზედა (ცენტრით ჯერ დიდაჭარაში, შემდგომ ხულოში) და ქვედა (ცენტრით ქედაში) აჭარად. საზღვარი სოფ. დანდალოსთან გადის. შუა საუკუნეებშიც, „აჭარა დანდალოს ზეითი“ მტბევარის სამწყსოს მიეკუთვნებოდა, ხოლო „დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო“ ყოფილა. არსებული მოსაზრებით, აჭარისწყლის ხეობის ზემო და ქვემო „ხევებად“ დაყოფა ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში უნდა იღებდეს სათავეს. აღნიშნულ ვარაუდს მხარს უმაგრებს ტოპონიმ „ქედა“-ს ერთ-ერთი ეტიმოლოგიური ვერსია, რომლის მიხედვითაც იგი წარმოდგება ზედსართავი სახელიდან „ქუედა“ და შეესაბამება ამ მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ მდებარეობას აჭარისწყლის ხეობაში. მოყვანილი ვერსიით, პუნქტი „ქედა“ შიდამთიანი აჭარის ქვემო ნაწილის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

ადმინისტრაციული მოწყობა

ქედის მუნიციპალიტეტში შედის აჭარისწყლის ქვემო წელი აკავრეთას (მერისის) ხეობის ჩათვლით. მოიცავს 1 დაბასა (ქედა) და 64 სოფელს, რომლებიც გაერთიანებულია 10 თემში:



დაბა ქედის თემი: დაბა ქედა, სოფ. ქედა, ხუნკუდა, ორცვა, არსენაული, შევაბური, ძენწმანი, კორომხეთი, ცხემნა, აქუცა, ზენდიდი, გულები.

დანდალოს თემი: დანდალო, ტაკიძეები, მოსიაშვილები, გოგიაშვილები, ბალაძეები, ხარაულა, ჯალაბაშვილები.

ზვარეს თემი: ზვარე, ზესოფელი, კვაშტა, სირაბიძეები, ვაიო.

მახუნცეთის თემი: ზედა მახუნცეთი, ქვედა მახუნცეთი, ზუნდაგა, ზედა ბზუბზუ, ქვედა ბზუბზუ, უჩხითი, ნამლისევი, ქოსოფელი, მილისი.

დოლოგნის თემი: დოლოგანი, ჭალახმელა, ჭინკაძეები.

მერისის თემი: მერისი, სიხალიძეები, ინაშარიძეები, გარეტყე, გუნდაური, ნამონასტრევი, სილიბაური.

ოქტომბრის თემი: ოქტომბერი, კუჭულა, მეძიბნა, აგოთა, გოგინიძეები.

პირველი მაისის თემი: პირველი მაისი, ზედა აგარა, ქვედა აგარა, კოლოტაური.

ცხმორისის თემი: ცხმორისი, ახო, ჩეტკიძეები, გობრონეთი, კოკოტაური, გეგელიძეები.

წონიარისის თემი: წონიარისი, ვარჯანისი, ტიბეთა, კანტაური, აბუქეთა, სასადილოყელი, საბადური.

აკავრეთას (იგივე მერისის) ხეობა შიდამთიანი აჭარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხეობაა. იგი უდიდესია ქედის მუნიციპალიტეტში შემავალ გვერდით ხეობებს შორის. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ხეობაში შედის ორი თემი – ოქტომბრისა და მერისის. გავრცელებული ეტიმოლოგიური ვერსიით, „მერისი“ ნაწარმოებია სახელისაგან „მერე“. საბას განმარტებით , „მერე არს მდინარის კიდე, ჭალა“, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მერე არის „წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილი“. მდინარის ნაპირის მნიშვნელობით ეს სიტყვა დღესაც გვხვდება აჭარულ დიალექტში.

ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მდ. აჭარისწყლის ქვემო წელზე.

ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ქედა უფრო დაბალმთიანია. მიუხედავად ამისა, საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება. ჩრდილო-დასავლეთიდან მას

ესაზღვრება მესხეთის ქედის განშტოებანი. მათ შორის მთავარია ჩაქვის ქედი, რომელიც ქმნის წყალგამყოფს ერთი მხრივ მდ. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადებსა და, მეორე მხრივ, მდინარეებს ჩაქვისწყალსა და კინტრიშს შორის. სამხრეთ ნაწილში შემოჭრილია შავშეთის ქედის განშტოებები. მუნიციპალიტეტის უმაღლესი ადგილი არის მთა დომა, რომლის სიმაღლეა 2441 მ.

ქედაში, ძირითადად, მთის ტიპის მდინარეები გვხვდება. რელიეფის ძლიერი დანაწევრების გამო მათი სიგრძე მოკლეა, წყალშემკრები აუზების ფართობი კი მცირე. არც ერთი მათგანი სათავეს არ იღებს მუდმივი მყინვარებიდან, არამედ იკვებებიან მიწისქვეშა, წვიმის და თოვლის ნადნობი წყლებით. ამიტომაც, მათ გაზაფხულსა და შემოდგომაზე წყალდიდობები ახასიათებთ. აქაური მდინარეები ხასიათდებიან, აგრეთვე, დიდი ვარდნითა და ჩქარი დინებით, მეტწილად მიედინებიან ვიწრო და ღრმა ხეობებში, ხშირია ჭორომები და ჩანჩქერები. მათ შორის უმთავრესია მდინარე აჭარისწყალი, რომელიც 42 კმ-ის მანძილზე მიედინება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ყველა დანარჩენი მდინარე მის წყალშემკრებ აუზს მიეკუთვნება. ქედის ტერიტორიაზე აჭარისწყლის შენაკადებს შორის ყველაზე დიდია მდ. აკავრეთა. მისი სიგრძეა 19 კმ, აუზი – 134 კვ.კმ.

მუნიციპალიტეტი მდიდარია აგრეთვე მინერალური წყლებით. აღსანიშნავია კოკოტაურის, ნამონასტრევის (შემადგენლობით ახლოს დგას წყალტუბოს წყლებთან), მერისის, დუმბაძეების, საქაჯიას, ბაკანეთის, სარეცხელას, გუნდაურის და სხვა წყაროები. მათი გამოყენება შესაძლებელია გულსისხლძარღვთა, გინეკოლოგიური, ძვლების, კუნთების, სახსრების, კანის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით აღიარებულია „კოკოტაურისა“ (შემადგენლობა – ჰიდროკარბონატული-სულფატური, კალციუმიან-მაგნიუმიან-ნატრიუმიანი; სამრეწველო ჩამოსხმა ხდება 1972 წლიდან, დებეტი – 10 მ3/დღე-ღამეში) და „გუნდაურის“ (შემადგენლობა – სულფატურ-ჰიდროკარბონატული, რკინიან-კალციუმიანი; წარმოებს სამრეწველო ჩამოსხმა) სამკურნალო მინერალური წყლები. „კოკოტაურს“ მინიჭებული აქვს ორი ოქროს მედალი, საერთაშორისო სერტიფიკატი და პირველი ხარისხის სიგელი.

მდინარე აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუბტროპიკული ჰავაა. ადგილის სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ზომიერად ნოტიო ხდება, სადაც ზამთარი ზომიერად თბილია და ზაფხული თბილი. მთების ზედა სარტყლის ზონაში დამახასიათებელია ნოტიო ჰავა, შედარებით ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული.

საშუალო წლიური ტემპერატურა +12,8 გრადუსია (იანვარში +3,4, ივლისში +21,2 გრადუსი).

ნალექების წლიური რაოდენობა წელიწადში 1500 მმ-ია. ზაფხული ხშირად გვალვიანი იცის.

ქედის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა სასარგებლო წიაღისეულის მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია მერისის კვანძის სახელით ცნობილი მადანგამოვლინება, რომელიც აერთიანებს ხუთ მადნიან ველს, რომელთაგან სამი – ლოდნარის, ვაიო-სურნალის და ნამონასტრევის – მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული მადანგამოვლინებები ხასიათდება ძვირფასი და იშვიათი მეტალების (ოქრო, ვერცხლი, თუთია, მოლიბდენი და სხვ.) მაღალი შემცველობით. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ოქროს შეიცავს არა მარტო მადნიანი ძარღვები და ზონები, არამედ მადანშემცველი ქანებიც, რაშიც ოქროს წილი მნიშვნელოვნად აღემატება სამრეწველო ნორმას და აღწევს 10-

70 გ/ტ. დიდია ზოგიერთი იშვიათი ელემენტის შემცველობაც: კალიუმი – 700 გ/ტონაში, ვერცხლი – 100 გ/ტ, მოლიბდენი – 0.1% და გალიუმი – 30 გ/ტ. ქანები ასევე შეიცავს სელენს, ტელერს, კადმიუმს და სტრონციუმს. მერისის საბადოების ასეთი კომპლექსურობა ზრდის მათ სამრეწველო პერსპექტიულობას. აქვე ფართოდ არის გავრცელებული გოგირდის კოლჩედანი და ალუნიტები. ქედის მუნიციპალიტეტი მდიდარია დიორიტების, სიენიტების (ნამონასტრევი), ანდეზიტების, ბაზალტების საბადოებითაც, რომლებიც ძვირფას საშენ მასალას წარმოადგენენ.

რაც შეეხება ნიადაგებს, მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია ქვედა და შუა სარტყლის ტყის ყომრალი ნიადაგები. მაღალმთიან ზონაში მათ ცვლის ტყის ზედა სარტყლის უხეშჰუმუსიანი ყომრალი, ხოლო უფრო ზევით – მთა-მდელოს ნიადაგები. ნიადაგები ბევრგან ჩამორეცხილი და ეროზირებულია.

მდ. აჭარისწყლის ხეობაში შეჭრილია კოლხური ტიპის მცენარეულობა, ფერდობები დაფარულია წიფლნარ-წაბლნარით. კარგადაა განვითარებული ქვეტყე (შქერი, წყავი, მოცვი, იელი, თხილი). დამახასიათებელია გარეული მსხალი, ვაშლი, კაკალი, ბალი, ზღმარტლი, ხურმა, ტყემალი. ზემოთ ვრცელდება შერეული ტყეები და წიწვოვნები, მცირე მონაკვეთზე – სუბალპური და ალპური მცენარეულობა. ტყიანობის კოეფიციენტი 77%-ია, რის მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქართველოში.

წიფლნარ-წაბლნარებში ბინადრობს გარეული ღორი, კავკასიური ირემი, ევროპული შველი, კავკასიური მურა დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, ზღარბი, გველებიდან ანკარა და ცხვირრქოსანი გველგესლა; მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო: ბულბული, ტოროლა, შაშვი, ძერა, კაჭკაჭი და სხვ. მდინარეებში გვხვდება წვერა, კალმახი, ღორჯო.

ქედა ძირითადად მთიანი მუნიციპალიტეტია, სადაც მეურნეობის მთავარი დარგი სოფლის მეურნეობაა, თუმცა იგი საკმაოდ მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, წყლის რესურსებითა და მინერალური წყაროებით, რის ბაზაზეც შესაძლებელია მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარება.

შიდამთიან აჭარაში ქედა ყველაზე დაბალმთიანი მუნიციპალიტეტია. მას შუახევ-ხულოსთან შედარებით ნაკლებად გააჩნია საზაფხულო ალპური საძოვრებიც. შესაბამისად, აქ უფრო მეტად მიწათმოქმედება იყო წინა პლანზე წამოწეული ძველთაგანვე.

მეურნეობის ტრადიციული დარგი იყო მემინდვრეობა. ფართოდ იყო გავრცელებული ტერასული მიწათმოქმედება. თესავდნენ ხორბალს, ქერს, ფეტვსა და სხვა ხორბლეულს. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო გავრცელება ჰპოვა სიმინდმა. იგი კარგად მოერგო ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებს და დიდად შეავიწროვა სხვა ხორბლეული კულტურები. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოსახლეობა ეცნობა კარტოფილს. სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ლობიო და სხვა ბახჩეული.

ტექნიკური კულტურებიდან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა მეთამბაქოეობამ, თუმცა თამბაქო აჭარაში XVII საუკუნეში ჩანს შემოტანილი. ქედის მუნიციპალიტეტის მიკროკლიმატი ხელსაყრელი აღმოჩნდა ამ კულტურისათვის (აჭარის მასშტაბით თამბაქოს მოსავლის თითქმის ნახევარი ქედაზე მოდის) და საშუალებას იძლევა მოყვანილ იქნას საუკეთესო ხარისხის „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო. ბოლო ხანებში მეთამბაქოეობამ დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა და მეურნეობის დამხმარე დარგად გადაიქცა.

ქედაში ძველთაგანვე იყო განვითარებული მეხილეობა. ამას მოწმობს სხვადასხვა ხეხილის, განსაკუთრებით, ვაშლის, მსხლისა და ქლიავის ჯიშების სიმრავლე, აგრეთვე მეხილეობასთან დაკავშირებული ტრადიციებისა და ეთნოგრაფიული მასალების სიუხვე. ხილისაგან ამზადებდნენ ბეთმეზს, ჩირს, ტყლაპს, წოწოქასა და ა.შ. ფართოდ იყო გავრცელებული კაკალი. ფერდობებზე შეფენილი ხილისა და კაკლის ხეები ხელს უწყობდნენ ნიადაგის გამაგრებასა და მის დაცვას ეროზიისაგან.

სათანადო ყურადღება ეთმობოდა მეფუტკრეობასაც.

განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს **მევენახეობა,** რომლის განვითარებისათვის კარგ პირობებს ქმნის ქედის მიკროკლიმატი. შესაბამისად, ეს დარგი აქ უძველესი დროიდან არსებობს, რასაც მოწმობს ადგილობრივი ჯიშების სიუხვე და მეღვინეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა კლდეში ან მთლიან ლოდში ნაკვეთი მასიური საწნახლები. სოფ. მახუნცეთის ტერიტორიაზე ნაპოვნია კლდეში ნაკვეთი, ხოლო სოფ. აქუცაში (1977 წ.) – დიდ ქვის ლოდში ამოკვეთილი ძველთა-ძველი საწნახლები. ქედაში დღეს 40-მდე ჯიშის ვაზი ხარობს. მათი უმრავლესობა მუნიციპალიტეტის ზედა ზონაში – წონიარისში, ცხმორისში, დანდალოს, მერისისა და ოქტომბრის თემებშია თავმოყრილი. ქედის მიკროზონა ხელსაყრელია ისეთი ძვირფასი ჯიშების მოსაშენებლად, როგორიცაა ცოლიკაური და ჩხავერი. მათგან ქედაში მაღალი ხარისხის ღვინოებს აყენებენ. ბოლო ხანებში აქ დაარსდა ე.წ. ღვინის სახლები, სადაც ვაზის იშვიათ ჯიშებსაც აშენებენ და ღვინის ტურებსაც მასპინძლობენ.



ქედაში ძველთაგანვე მისდევდნენ მესაქონლეობასაც. ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქაური მესაქონლეობა თავისი მასშტაბებით ჩამორჩებოდა ხულოსა და შუახევის შესაბამის მაჩვენებლებს.

ისტორია

წერილობითი წყაროები თუ არქეოლოგიური მონაპოვრები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ აჭარა მასზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზებით უძველესი ეპოქებიდანვე იყო ჩაბმული იმ დიდ სავაჭრო ურთიერთობებში, რომლებიც მოიცავდა ბერძნულ სამყაროს, ახლო აღმოსავლეთს, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს, აგრეთვე, საქართველოს შიდა რაიონებს. უფრო მეტიც, აჭარისწყლის ხეობა, თავისი მთავარი საგზაო არტერიით, იყო და არის დიდი აბრეშუმის გზის ტრანსკავკასიური მონაკვეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოება. ცხადია, ეს გზა თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის, ანუ ქვემო აჭარის ტერიტორიასაც გაივლიდა და, როგორც დღეს, წარსულშიც მდ. აჭარისწყლის გასწვრივ მიემართებოდა, განტოტებებით გვერდით ხეობებს უკავშირდებოდა, აქედან კი უფრო შორეულ კუთხეებსა თუ ქვეყნებს. ასე მაგალითად, უჩხითის გადასასვლელით, აგრეთვე, კოლოტაურისა (ხოხნისწყლის) და მერისის ხეობებით უკავშირდებოდა მაჭახლის ხეობას.

მერისის ხეობიდან გზები აგრეთვე გადადიოდა ერთის მხრივ შავშეთში, მეორე მხრივ, აჭარიწყლის მარცხენა შენაკად მარეთის ხეობაში.

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ქობულეთში მოხვედრილი ქარავნებისათვის დიდად მოსახერხებელი იყო ხინოს გზით აჭარისწყლის ხეობაში (ქედაში) გადასვლა, საიდანაც გზა არტანუჯისაკენ და სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებისაკენ იხსნებოდა. სწორედ ამ დროს უნდა შეერჩიათ მოსახერხებელი გადასასვლელები და აეშენებინათ თაღოვანი ქვის ხიდები კობალაურში, ბოღრათში, ვარჯანაულში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), წონიარისში, პირველ მაისში, აგარაში (ქედის მუნიციპალიტეტი) და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელ დაბა ქედის ორივე ნაწილს, დ. ბაქრაძის ცნობით, აერთიანებდა აჭარისწყალზე გადებული ქვისთაღოვანი ხიდი სამი ბურჯით.

აჭარისწყლის ხეობა პალეოლითის ხანიდანვე ადამიანის განსახლების არეალს წარმოადგენს, რასაც აშკარად მოწმობს არქეოლოგიური მონაცემები. თუმცა, საკუთრივ ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელობით გამორჩეული აღმოჩენები შედარებით მოგვიანო პერიოდებისათვის გვაქვს.

ადრებრინჯაოს ხანის (ძვ. წ.აღ.-ის IV ათასწლეულის II ნახევარი – ძვ. წ.აღ.-ის III ათასწლეულის II ნახევარი) მასალებს შორის აჭარაში განსაკუთრებით საყურადღებოა ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. კოლოტაურის მონაპოვარი. ჩვენამდე მოაღწია ორმა მთლიანად დაცულმა ჭურჭელმა, რომელთაც არ ეძებნებათ ზუსტი ანალოგი. მათ აქვთ დახვეწილი პროპორციები, წვრილმარცვლოვანი კეცი და თხელი კედლები. ისინი დამზადებული უნდა იყოს ძვ.წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის II ნახევრის ადრეულ საფეხურზე. შიდამთიან აჭარაში აღმოჩენილ ზოგიერთ სხვა ექსპონატთან ერთად აღნიშნული სამეთუნეო ნაწარმი ადასტურებს, რომ აჭარისწყლის ხეობის ადრებრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სიახლოვეს ჰპოვებენ მტკვარ-არაქსის, ანატოლიისა და წინააზიის უძველეს ცივილიზაციებთან.

შუაბრინჯაოს ხანის (ძვ. წ.აღ.-ის III ათასწლეულის ბოლო – ძვ. წ.აღ.-ის II ათასწლეულის I ნახევარი) ბრინჯაოს ორფერდა ყუამილიანი ცული და ბართოხის ნატეხი აღმოჩნდა სოფ. მახუნცეთში. ცული მიჩნეულია ორფერდა ყუამილიანი ცულების ყველაზე განვითარებულ და დახვეწილ ნიმუშად. მნიშვნელოვანია ბართოხის ნატეხიც – ამგვარი თოხები ამ დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო იარაღების უძველეს ნიმუშადაა აღიარებული.

გვიანბრინჯაოს ხანის (ძვ. წ.აღ.-ის II ათასწლეულის II ნახევარი) ბრინჯაოს ცულების ე.წ. „განძი“ აღმოჩნდა სოფ. საღორეთში. ისინი მსგავსია აჭარისწყლის ხეობაში მოპოვებული სხვა იმდროინდელი ნიმუშებისა.

არსებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით დგინდება, რომ ბრინჯაოს ხანაში შიდამთიანი აჭარა (ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ) ბრწყინვალე კოლხური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მეტალურგია ვითარდება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ადგილზევე მზადდება შრომისა და საბრძოლო იარაღები, რომლებიც გამოირჩევიან შესრულების მაღალი დონითა და მხატვრული გაფორმებით. მართლაც, ქედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ბევრგან გვხდება ამ მიზნისათვის ვარგისი სპილენძის შემცველი მადნები (ვარაზა, ობოლო, ვერხნალი, ველიბერი, ვაიო). განსაკუთრებით გამოვყოფდით მერისის სპილენძისა და ტყვიის საბადოს. მისი მარაგი საკმაოდ დიდია და სამრეწველო მნიშვნელობაც გააჩნია. ამუშავებდნენ კიდეც

სხვადასხვა პერიოდში. მაგ., თ. სახოკია მიუთითებს, რომ დაბა ქედაში 1897 წლისათვის არსებობდა სპეციალური საწყობი და სასწორი მერისიდან ჩამოტანილი სპილენძისათვის.

ჩანს აგრეთვე, რომ ბრინჯაოს ხანაში დაწინაურებული ყოფილა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა და ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგიც.

ანტიკური ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფ. კვაშტასთან აღმოჩენილი ნასახლარი. იგი ძვ. წ.აღ.-ის V საუკუნით თარიღდება. აქ მოპოვებულ მასალებში წამყვანი ადგილი თიხის ადგილობრივ ნაწარმს უკავია, არის იმპორტული (ბერძნული) კერამიკაც, მრავლადაა რკინისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, მძივები და სხვა.

ნამოსახლარი წარმოადგენდა საფორტიფიკაციო, სათვალთვალო პუნქტს, რომელიც კონტროლს უწევდა აჭარისწყლის ხეობის მოზრდილ მონაკვეთს. იგი შედიოდა ხეობის ერთიან საფორტიფიკაციო-თავდაცვით სისტემაში და იყო მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი. ამასთანავე, განათხარი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კვაშტა და მისი მსგავსი სამოსახლოები წარმოადგენდნენ ძლიერ ეკონომიკურ ერთეულებს, სადაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის უმთავრესი დარგები (მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა) და ხელოსნობა, განსაკუთრებით მეთუნეობა, მელითონეობა, საფეიქრო საქმე, მეთევზეობა და სხვა.

ანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების ხანაში ქვემო აჭარა (თანამედროვე ქედის მუნიც.) აქტიური მონაწილე იყო რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესებისა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ახ. წ. I საუკუნეში აჭარა ერთ-ერთი პირველი ეზიარა ქრისტეს სჯულს უშუალოდ ქრისტეს მოციქულებისაგან.

XI-XIII საუკუნეებში აჭარა, და მაშასადამე, ქედაც, აბუსერისძეთა ფეოდალური გვარის გამგებლობაშია, რომლებიც მეფეთა ერთგული მსახურები იყვნენ. XII-XIII საუკუნეებში ისინი ერისთავთერისთავებად იწოდებოდნენ.

განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, მისი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური დაწინაურების პერიოდია. აყვავებას განიცდის ქვემო აჭარაც. ფართოდ არის გაშლილი საღმშენებლო საქმიანობა (საფორტიფიკაციო კომპლექსები, ეკლესიები, საგზაო ნაგებობანი და ა.შ.), რისი კვალიც დღეისათვის მრავლად გვხვდება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ აჭარა ცილობის საგნად იქცა სამცხის ათაბაგებსა და გურიელებს შორის, XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან კი აქ ოსმალეთი იწყებს დამკვიდრებას. 1563 წელს, სულთნის ბრძანებით, აჭარისწყლის ხეობაში სანჯაყი დაარსდა. იგი შედიოდა ახალციხის საფაშოში და იყოფოდა ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებად (რაიონებად). თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტი, წარმოადგენდა ქვემო აჭარის ნაჰიეს.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ახალციხის საფაშო გაუქმდა (მისი დიდი ნაწილი ახალციხითურთ გადაეცა რუსეთს). ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი შიდამთიანი აჭარა ტრაპიზონის ვილაეთს (შედგებოდა ლაზისტანის, ტრაპიზონის, ჯანიკის, გიუმიშ-ხანეს სანჯაყებისაგან) შეუერთეს. 1870-იანი წლებისათვის, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, თანამედროვე ქედის ტერიტორია შედიოდა ლაზისტანის სანჯაყში (ცენტრით ბათუმში) და შეადგენდა ლაზისტანის საკაიმაკამოს ქვემო აჭარის (სუფლია-აჭარა) კაზას ცენტრით ქედაში.

ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ქედელებს არასდროს შეუწყვეტიათ. ისინი, სხვა თანამოძმეებთან ერთად, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მრავალრიცხოვან ანტიოსმალურ აჯანყებებში. თაგანწირულად იცავდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებასაც. თუმცა, ოსმალურმა წესწყობილებამ თანდათან მაინც იწყო დამკვიდრება.

ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის 1872 წლის მოხსენებაში მითითებულია, რომ ქვემო აჭარის მოსახლეობა მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარია და რომ აქ საერთოდ არ არის სკოლა, ხოლო მოსახლეობა ხასიათდება მშფოთვარე ბუნებით. დ.ბაქრაძის დაკვირვებითაც (1874 წ.), აქაურები, განსაკუთრებით კი საღორეთელები, გამოირჩევიან მებრძოლი ხასიათით და ყველგან შეიარაღებული დადიან.

პალგრევისავე აღნიშვნით, ამ კუთხეში ბევრგან ფუნქციონირებდა იარაღის სახელოსნოები, სადაც აკეთებდნენ კარგი ხარისხისა და გემოვნებით მოჭედილ თოფებს, რევოლვერებსა და ხანჯლებს. მისივე თქმით, აქაური მიწა ზემო აჭარულთან შედარებით უფრო ნაყოფიერია, მოდის ყურძენი და კომში, ხოლო ტყეში იზრდება დიდი ზომის სხვადასხვა ჯიშის ხეები, რომელთაგანაც გარკვეული კომერციული მნიშვნელობა მხოლოდ კაკალს გააჩნია.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებითაც ცხადად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის დამზადების ორი მთავარი ცენტრი არსებობდა – მაჭახლის ხეობა და ქვემო აჭარა. აქ დამზადებულ საბრძოლო იარაღს საბაზრო დანიშნულებაც ჰქონდა და რეგიონის გარეთაც სარგებლობდა მოწონებით. ქედაში არსებული იარაღის წარმოების ლოკალური ცენტრებიდან (ცხმორისი, საღორეთი, ახო) XIX საუკუნის II ნახევარში განსაკუთრებით ცხმორისი გამოირჩეოდა, სადაც ამ დროისათვის 25 სამჭედლო არსებობდა.

ოსმალთა მფლობელობის დროს ქედაში, ისევე, როგორც მთლიანად აჭარაში, დაეცა სოფლის მეურნეობის მწარმოებლობის დონე, მთლიანად განადგურდა მევენახეობა და მეღორეობა, რომლებიც მანამდე კარგად განვითარებულ დარგებად ითვლებოდა.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარა, ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ დიდ ნაწილთან ერთად, რუსეთს გადაეცა. ამ მოვლენის უმთავრესი დადებითი მხარე ის იყო, რომ საქართველოს ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ერთბაშად ვერ შეეგუა რუსულ მმართველობას და ბევრი მათგანი სამშობლოდან ოსმალეთში გადაიხვეწა, მუჰაჯირად წავიდა (ამ მოვლენაში ბრალი მიუძღვის როგორც ოსმალურ, ისე რუსულ მხარეს). მუჰაჯირობა შეეხო ქედის მხარესაც.

1878 წლის (20 დეკემბრის განკარგულება) რუსული ადმინისტრაციული დაყოფით თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შევიდა ბათუმის ოლქში და ქვემო აჭარის უბნის სტატუსით (ცენტრით ქედაში) გაერთიანდა აჭარის ოკრუგის შემადგენლობაში. შემდგომშიც, მიუხედავად ბათუმის ოლქთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული ცვლილებებისა, ქედის ტერიტორია ყოველთვის ფიგურირებდა, როგორც ქვემო აჭარის უბანი, რომელსაც ხშირად ქედის მაზრასაც უწოდებდნენ.

მიუხედავად გარკვეული უარყოფითი მხარეებისა, უნდა ითქვას, რომ ოსმალურთან შედარებით, რუსული მმართველობის პერიოდში ბევრად უკეთესი პირობები შეიქმნა აჭარის, მათ შორის, ქედის უბნის, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

ქვემო აჭარის ცხოვრება, ძირითადად, ქედის გარშემო ტრიალებდა.

„ქედა ქვედა-აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთან შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის ნაწარმოებისა. ყოველი აღებ-მიცემა ქვემო-აჭარლისა უმეტეს ნაწილად აქა სრულდება. რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო-აჭარელს სასყიდლად, უეჭველად ქედას უნდა მოატანოს“ – მიუთითებდა 1897 წელს თ. სახოკია.

1903 წელს დაბა ქედაში, მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ქედის მაზრის მაშინდელი უფროსის, შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ვოიცეხის ძე ვოიჩეკის დიდი ზრუნვითა და ძალისხმევით, აგრეთვე ადგილობრივთა მონდომებით, დასრულდა სკოლის შენობა, რომელშიც იმავე წლის 7 ოქტომბერს საერო განათლების სამინისტრომ გახსნა ქედის მაზრაში პირველი „საერობო ნორმალური ორკლასიანი რუსული სასწავლებელი“. შემდგომში ქედელებმა ღირსეულად დააფასეს ნ.ვოიჩეკის ღვაწლი.

1915-16 წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით შიდამთიან აჭარაში გაიხსნა 6 დაწყებითი ქართული სკოლა. მათ შორის იყო სოფ. აგარაში გახსნილი ერთკომპლექტიანი სკოლაც, პირველი ქართული სკოლა თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მასწავლებლად დაინიშნა ნიკიფორე გეგელია.

აღსანიშნავია, რომ ქედელი იყო აბდულ ეფენდი მიქელაძე, პირველი ქართველი მუსლიმი აჭარიდან, რომელიც გაზეთში დასაბეჭდად წერილებს წერდა. იგი 1853 წელს დაიბადა. ქართული წერა-კითხვა ზ.ჭიჭინაძისაგან ისწავლა. მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“, აგრეთვე სხვა პერიოდულ გამოცემებში. ა.მიქელაძე აქტიურად იბრძოდა ქართული წერა-კითხვის გავრცელებისათვის, რისთვისაც სამოცი წლის მოხუცი ციხეშიც კი ჩასვეს.

რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აჭარაში ჯერ თურქები, შემდეგ კი ინგლისელები ბატონობდნენ. 1920 წლის 7 ივლისიდან აქ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია დამყარდა. უნდა ითქვას, რომ ქართული ხელისუფლების აღდგენაში თავისი წვლილი შეიტანა ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის, ქედელების, პატრიოტულმა განწყობამ. თუმცა, დამოუკიდებლობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა – საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა შეიერთა. 1921 წლის 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აჭარაშიც. იმავე წლის 16 ივლისის დეკრეტით კი შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, აჭარაში ჩამოყალიბდა ხუთი მაზრა. აქედან ერთ-ერთი იყო ქვემო აჭარის მაზრა (იგივე ქედის), რომელიც მოიცავდა ახლანდელი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. 1930 წელს მაზრები რაიონებით შეიცვალა. ქედის მხარე ახლა რაიონის სტატუსით აგრძელებდა არსებობას. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1962 წლამდე.

საბჭოთა პერიოდის საწყის ეტაპზე აჭარაში ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა გამოსვლებს. მათში ქედელებიც იღებდნენ მონაწილეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1929 წლის გამოსვლები, რომელშიც აქტიურად ჩაებნენ მერისელებიც. საერთოდ, ჩანს, რომ მერისელების მონაწილეობა სახალხო მღელვარებებში რაღაც თავისებურ ეფექტს იძლეოდა. სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება ფრთიანი ფრაზა – „დიდი მერისი ჩვენთანაა“.

საბჭოთა წყობილებას თავისი უარყოფითი მხარეები გააჩნდა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ პერიოდში ქედის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ბევრად დაჩქარდა. გაყვანილ იქნა სატრანსპორტო გზები და საკომუნიკაციო საშუალებები. შეიქმნა განათლებისა და ჯანდაცვის ფართო ქსელი. სასოფლო-სამეურნეო წარმოე-

ბაში დაინერგა რენტაბელური დარგები. ამაღლდა მოსახლეობის სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფა და სხვა.

1937 წლის შემოდგომაზე ექსპლუატაციაში შევიდა მდ. აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური „აწჰესი“, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. მისი საპროექტო სიმძლავრე 40 000 კილოვატია. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს ნაკლები სიმძლავრით მუშაობს, აჭარის მასშტაბით მაინც უმთავრესი ობიექტია ელექტროენერგიის წარმოების თვალსაზრისით.

II მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად აჭარიდან 25 ათასამდე ოფიცერი და ჯარისკაცი გაიწვიეს, მათ შორის 420 კაცი ქედის რაიონიდან იყო წარგზავნილი. 224 ქედელი მეომარი საბრძოლო მოქმედებებს შეეწირა.

გულხელდაკრეფილი არც შინ დარჩენილი ქედელები ისხდნენ. სოფლის მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა მათგან დიდ ძალისხმევასა და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვდა. ქედის რაიონის მოსახლეობამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა.

როგორც ფრონტზე, ისე ზურგში ბევრმა ქედელმა დაიმსახურა სხვადასხვა ხარისხის ჯილდო.

ქედის ისტორიაში აღნიშვნის ღირსია მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ფაქტი. 1943 წელს ვარჯანისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯელილ დაუთის ძე ბერიძე გამოეხმაურა სტალინის მოწოდებას და 50 000 მანეთი შეიტანა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობის ფონდში, რისთვისაც მიიღო სტალინის პირადი სამადლობელი წერილი, დათარიღებული 1943 წლის 18 აპრილით. 1983 წელს ჯ.ბერიძემ საბჭოთა კავშირის მაშინდელ თავდაცვის მინისტრ დ. უსტინოვს გაუგზავნა სტალინის წერილის ასლი და თხოვნით მიმართა ნაომარი ტანკის გადმოცემის თაობაზე. ტანკი მართლაც გადმოაგზავნეს. იმავე წლის 9 მაისს მოხდა მემორიალის საზეიმო გახსნა სოფ. წონიარისის ცენტრში.

ომის დამთავრების შემდეგ ქედელები სხვებთან ერთად იღვწოდნენ ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად.

1962-1963 წლებში, ხრუშჩოვის განკარგულებით, ჩატარდა საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზაცია. ამ კურსის შესაბამისად, 1962 წლის 5-10 დეკემბერს აჭარაში შეიქმნა ორი გამსხვილებული რაიონი – ქობულეთისა (ქობულეთი-ხელვაჩაურის ბაზაზე) და შუახევისა (ხულო-შუახევი-ქედის ბაზაზე). მალე ხულოს რაიონი გამოყვეს, როგორც მაღალმთიანი და 25 დეკემბერს შუახევის რაიონულ ცენტრში ჩატარებული დამფუძნებელი კონფერენციის გადაწყვეტილებით შეერთდა მხოლოდ შუახევ-ქედის რაიონები. თუმცა ეს გაერთიანებაც მალევე დაიშალა და 1962 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შუახევი ხულოს რაიონს მიუერთეს. ერთვიანი პაუზის შემდეგ ქედის რაიონმა კვლავ გააგრძელა არსებობა, როგორც დამოუკიდებელმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებით, სახელმწიფოს სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. თანდათან დაიწყო ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პროცესი. 1991 წლის მარტში შეიცვალა რაიონული მმართველობის სტრუქტურები – გაუქმდა რაიონული საბჭოს აღმასკომი და მის ნაცვლად შემოღებული იქნა რაიონის პრეფექტურა. ცოტა მოგვიანებით, 1991 წლის აგვისტოში, საქართველოში კომპარტიის საქმიანო-

ბაც აიკრძალა და გაუქმდა პარტიის ქედის რაიკომი. ამის შემდგომ რაიონის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

2006 წლიდან, თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, ქედის რაიონს ეწოდა ქედის მუნიციპალიტეტი.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აქტიურად არის ჩაბმული საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებში. ღირსეულად მონაწილეობდნენ აქაურები ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლებშიც.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

ქედის მუნიციპალიტეტს, ტურისტული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია. აქ არსებული მუზეუმების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების, სახალხო დღესასწაულების, ბუნების ღირსშესანიშნაობათა და აქაურთა ეთნოგრაფიული თავისებურებების ერთობლიობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის ტურიზმის სხვადასვა მიმართულების განვითარებისათვის.

მუზეუმები

ქედის ისტორიული მუზეუმი დაარსდა 1999 წლის 1 აგვისტოს, დაბა ქედაში. პირველი ექსპოზიცია მოეწყო 2004 წლის მაისში.

მუზეუმში დაცულია სპეციალური ექსპედიციების მიერ მოძიებული თუ მოსახლეობისაგან შეძენილი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატები, აგრეთვე, ნუმიზმატიკური და გეოლოგიური კოლექციები, ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმი, მუნიციპალიტეტის ცხოვრების ამსახველი წერილობითი და ფოტოდოკუმენტები.

მუზეუმის მთავარი ამოცანაა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის (მოძრავი და უძრავი) ძეგლების მოკვლევა და აღრიცხვა, არსებულის მოვლა-პატრონობა და შესწავლა, ფინანსური სახსრების გამონახვის შემთხვევაში – არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციების მოწყობა.

2009 წლიდან მუზეუმმა დაიწყო ქედის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმიის შესწავლა. ხდება რეპრესირებულთა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ისტორიების მოძიება-აღწერა.

2012 წლის მონაცემებით, მუზეუმი მოიცავდა ათასამდე ექსპონატს. მუზეუმში ფუნქციონირებს ექვსი განყოფილება: 1) არქეოლოგიური, 2) ეთნოგრაფიული, 3) ბუნებრივი და გეოლოგიური, 4) ხეზე კვეთისა და ხის მხატვრული დამუშავების, 5) ნუმიზმატიკის, 6) ფერწერული ტილოების განყოფილება.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები

ქედის მუნიციპალიტეტში ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლებია საღორეთის, ცივასულას, გულების, ზენდიდის შუა საუკუნეების ციხეები. აღსანიშნავია დანდალოს, „მიწის", მახუნცეთის, წონიარისის ასევე შუა საუკუნეების ქვის თაღოვანი ხიდები, რომლებიც, ძირითადად, ძველ სავაჭრო-საქარავნო გზებზეა განლაგებული. წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია ცხმორისისა და ქედის ხიდებმა.

არსებობს სხვა ძეგლების ნაშთებიც. როგორც არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგებმა დაადასტურა, შიდამთიან აჭარაში, მათ შორის, ქედაში, ვერ ნახავთ ვერცერთ სოფელს, სადაც XI-XIII საუკუნეების ან ცოტა მოგვიანო პერიოდის საეკლესიო ნაგებობის კვალი არ იყოს დაფიქსირებული, ზოგიერთ სოფელში კი რამდენიმეცაა.

ზენდიდის ციხე. აჭარისწყლის ხეობაში, ბათუმიდან დაახლოებით 40კმ მანძილზე, ქედის მუნიციპალიტეტში, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე, დაბა ქედის მახლობლად, სოფელ ზენდიდში აღმართულია ციხე, რომელსაც ადგილის მიხედვით ზენდიდის ციხე ეწოდება. ციხე აღმართულია მთის წვერზე. დაბა ქედის ცენტრიდან იგი სამი კილომეტრითაა დაშორებული.

ქედას, როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს, სათანადო დაცვაც ესაჭიროებოდა. ეს დაცვა კი წარმოდგენილი გახლდათ ზენდიდის ციხის სახით. სწორედ აქედან, ზენდიდის ციხიდან, შეეძლოთ მეციხოვნეებს სათანადო მეთვალყურეობა გაეწიათ და მყარად დაეცვათ როგორც დაბა ქედა, ასევე აქ გამავალი ცენტრალური გზაც.

ციხის მშენებლობაზე, მისი აშენების ზუსტ თუ მიახლოებით თარიღზე მემატიანეებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. ასე, რომ აქ არსებულ ნაგებობათა დათარიღება მხოლოდ არქიტექტორულ-მხატვრულ ანალიზზე თუ იქნება დამყარებული.

ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია ძლიერ დაზიანებული სახით. დანგრეულია და დაკარგულია კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი, აღარსადაა დარჩენილი ქონგურებისა და საბრძოლო ბილიკების კვალი, რის გამოც გალავნის კედლების სიმაღლეზე შეიძლება გაგვაჩნდეს მხოლოდ და მხოლოდ სავარაუდო, არამყარი მოსაზრება.

ზენდიდის ციხეს არაწესიერი ფორმა გააჩნია. გალავნის კედლებში ჩართულია ორი შესასვლელი და ნახევარწრიული სამი გოდოლი, რომლებიც გალავნის კედლებიდან სამი მეოთხედით გარეთ გამოდიან.

ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა კედლების ფრაგმენტები და საძირკვლები. ტერიტორიის შიგნით არის ჭა, რომელიც დღესაც

ფუნქციონირებს. გათხრებისას აღმოჩნდა უამრავი ჭური, რომელთა ნაწილი დამტვრეული იყო, ზოგიერთი – მთლიანი. ციხეში წყალი შედიოდა თიხის მილებით, რომელთა ხარისხი თიხის წარმოების მაღალ დონეზე მიუთითებს.

ციხესიმაგრე, სავარაუდოდ, XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში უნდა აშენებულიყო. თუმცა, ციხის მახლობლად არსებული და დღემდე მოღწეული ძველი ეკლესიის ნაშთები ბადებს აზრს, რომ აქ საფორტიფიკაციო ნაგებობანი ადრეც უნდა არსებულიყო. ზენდიდის ციხე წარმოადგენდა როგორც სტრატეგიული დანიშნულების, ისე საგვარეული ციხეს. იგი ეკუთვნოდა ბეჟანიძეთა ფეოდალურ საგვარეულოს.

საღორეთის (თამარის) ციხე. მაღალ სერზე, რომელიც თავს დაჰყურებს სოფელ საღორეთს (პირველი მაისი), შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომელიც თამარის ციხის სახელითაცაა ცნობილი.

ციხე აღმართულია ციცაბო და კლდოვან ბორცვზე. მასთან მისვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთი – ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან არსებული გზით. ნაგებია ჩვეულებრივი ფლეთილი ქვით, რომელიც, სავარაუდოდ, მახლობელი კლდეების ჩამონატეხი იყო.

საღორეთის (თამარის) ციხე მდებარეობს მდ. აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, ცენტრალური გზატკეცილიდან 2,5 კმ-ის მოშორებით. იგი ამაყად გადაჰყურებს და აკონტროლებს აჭარისწყლის ხეობას და აქ გამავალ გზებს.

ციხის კედლები საკმაოდ დაზიანებულია. შემორჩენილია კოშკი, გალავნის კედლის ერთი ნაწილი და კოშკის მინაშენი კედლის ნანგრევი (ჩრდილოეთით). კოშკი ოვალური ფორმისაა და მისი ფართობი 6 კვადრატული მეტრია, სიმაღლე (გარედან) – 2,5 მეტრი, კედლის სისქე კი მერყეობს 1,5-2 მეტრს შორის. ციხის შიგნით მოქცეული ფართობი დაახლოებით 150-200 კვ.მ-ია. იგი ამოვსებულია მიწით.

ციხე არქეოლოგიურად ჯერჯერობით შეუსწავლელია.

ცივასულას ციხე. ცივასულა ეწოდება ადგილს, სადაც საღორეთისა და აგარის წყალი ერთმანეთს ერთვის. აქედან 1 კმ-ის მოშორებით აგარისწყალი უერთდება აჭარისწყალს. სწორედ აქაა აღმართული ციხე, ცენტრალური გზიდან 0,5კმ-ის მოშორებით. ციხეს მეტად სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია. მასთან მისასვლელად მხოლოდ ერთადერთი, ვიწრო საცალფეხო ბილიკია ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. ციხის ფუნქცია აჭარისწყლის ხეობასა და აგარისწყალზე გამავალი გზების გაკონტროლება იყო. გზების ერთი ნაწილი აგარისწყლის ხეობით აჭარა-გურიის მთებზე არსებული ზეკარებით ჩაქვისწყლის ხეობაში გადადიოდა და უმოკლესი გზით ზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა. ციხე მცირე მოცულობისაა (400კვ.მეტრი).

ცივასულას ციხე აღმართულია კლდეზე. ციხეს აქვს ოვალური ფორმის კოშკი, რომლის დიამეტრი 3,18 მეტრია. კოშკი ძალიან დაზიანებულია – მისგან შემორჩენილია ჩრდი-

ლოეთის და სამხრეთის კედლები, ნაწილობრივ – აღმოსავლეთის კედლის ზემოთა ნაწილი.

ციხე აგებულია ფლეთილი ქვებით. ქვების წყობა უსწორმასწორია, რაც ამ ციხის ხნოვანებას უსვამს ხაზს. მის სიძველეს ადასტურებს სათოფურების არსებობაც.

ცივასულას ციხე არქეულოგიურად შეუსწავლელია, მაგრამ მეზობელი საღორეთის ციხის მშენებლობის სტილის, არქიტექტონიკის და შემთხვევით აღმოჩენილი მასალების მიხედვით, იგი განვითარებული შუა საუკუნეების (დაახლოებით XVI-XVII სს.) ძეგლი უნდა იყოს. გადმოცემა ციხისა და სოფლის სახელწოდებას მისი ოდინდელი მფლობელის – ცივაძის გვარს უკავშირებს.

გულების ციხე. ციხე მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის თავში მდებარე საწუმპიას მთაზე, ცენტრალური სამანქანე გზიდან 6-7 კმ მოშორებით. მას ერთადერთი ვიწრო კლდოვანი მასასვლელი აქვს დასავლეთის მხრიდან. ციხე-კოშკის მთლიანი ფართობი 70-80კვ.მეტრია.

ციხის კედლების დიდი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია დასავლეთის კედელი. სწორედ ამ კედელშია დატანებული სამი სათოფური, რომელიც ძალიან ლამაზად არის გამოკვეთილი. მათგან ორი 1,1 მეტრ სიმაღლეზეა განლაგებული, მესამე კი უფრო მაღლა – 2,3 მეტრზე მდებარეობს (ზომები აღებულია კედლის გარეთა მხრიდან).

სტრატეგიული თვალსაზრისით, გულების ციხე უაღრესად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს და არწივივით გადმოჰყურებს ზემოდან აჭარისწყლის ხეობას. აქედან შესანიშნავად მოჩანს ხეობის მთელი ტერიტორია დანდალოს ციხემდე.

ციხე სართულებიანი უნდა ყოფილიყო, მის ტერიტორიაზე სხვა რამ შენობის კვალი არ შეინიშნება. ნაგებია ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე, შეინიშნება უსწორმასწორო წყობა. ერთდღიანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ციხის ტეროტორიაზე აღმოჩნდა სადა და ფერადი მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც თარიღდება XII-XIII საუკუნეებით. ციხეც ამ დროს უნდა იყოს აშენებული.

დანდალოს ციხე. მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფლის ზემოთ აღმართულ მაღალ კლდეზე. ციხეზე ასვლა შესაძლებელია მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, ვიწრო კლაკნილი ბილიკით. ციხის ფართობი დაახლოებით 90 კვადრატული მეტრია. შესასვლელი, რომელიც ძალიან დაზიანებულია, სიმაღლით 2,5 მეტრს შეადგენს. ციხე შედგება კოშკის, სამი სათავსოსა და ტალანისაგან.

კოშკი, რომლის კედლები საკმაოდ დანგრეულია, 5 კვადრატულ მეტრს შეადგენს, შემორჩენილი კედლების სიმაღლე კი (გარედან) 2,50-3,90 მეტრია. ამ ციხეს არ ეტყობა სათოფურების ან სხვა დანიშნულების რაიმე ხვრელის კვალი.

კოშკის აღმოსავლეთით მდებარეობს ციხის მთავარი სათავსო, რომელიც ძალზე დანგრეულია. შემორჩენილია მისი მხოლოდ დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები. დანარჩენი ორი სათავსო მასზე უფრო მცირე ზომისაა.

ციხე ნაშენია ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე. შესამჩნევია ხსნარის შედარებით მცირე გამოყენება, რითაც განსხვავდება ცივასულას, მარეთის ხეობის ყალებოინის და კავიანის ციხეებისგან.

ქვების წყობა უსწორმასწორია, მაგრამ შეინიშნება ხუროთმოძღვრების ტენდენცია პარალელური რიგების დასაცავად. ამ ნიშნით ეს ციხე ახლოს დგება ჭვანის (ტაკიძეების)

და ბეგოშვილების ციხეებთან. დაგეგმარების მხრივაც იგი რამდენადმე წააგავს ჭვანის ციხეს. ამ ნიშნით დანდალოს ციხე შეიძლება XIV-XVსაუკუნით დათარიღდეს.

დანდალოს ხიდი. დანდალოს ხიდი მდებარეობს ამავე დასახელების სოფელში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მახლობლად. ხიდის ასაგებად შეურჩევიათ კლდოვანი ქანებით აგებული მდინარის ვიწრობი ადგილი, სადაც კალაპოტი კლაკნილია. ხიდის ქვეშ მდინარის სიგანე 20 მეტრს აღემატება.

ხიდი თხელი თაღით, დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა. ნაშენია ვულკანური წარმოშობის კლდის თლილი ქვით კირის დუღაბზე. ხიდის სავალი ნაწილი დაფარულია უსწორო ქვებით. ბურჯები კლდეზეა აღმართული. მათზე შემორჩენილია ქარგილისა და ხარაჩოების ბუდეების ფოსოები. თითოეულ ბურჯზე ფოსოების ორი რიგია. თითო რიგში კი სამი ბუდეა. ფოსოების ორი რიგი ცხადყოფს, რომ ხარაჩოები ორ რიგად ყოფილა აღმართული. ბურჯები ქვემოდან ზემოთკენ ფართოვდება. მარჯვენა ბურჯი კლდეზეა დაშენებული, ხოლო მარცხენა, მალის შემცირების მიზნით, წყალშია შეჭრილი.

საუკუნეების მანძილზე ხიდის ზედაპირზე, გამაგრებისა თუ შეკეთების მიზნით, დაუმატებიათ ქვის წყობის ორი რიგი, რომლებიც სრულად განსხვავდება პირვანდელისაგან ზომით, ფორმით და წყობის ხასიათით. ამგვარი გადაკეთება-შეკეთება ერთგვარად უცვლის ხიდს პირვანდელ სახეს და ამძიმებს მის კონსტრუქციებს.

ხიდი ატყორცნილი თაღით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. თაღი s-ს ფორმისაა. ამგვარი ხიდების აშენება სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით უფრო რთულია და დატვირთვებიც მის მთელ ფართობზე არათანაბრად ნაწილდება.

ხიდის პარამეტრები შემდეგია: ბურჯიდან ბურჯამდე ამ ხიდის სავალი ნაწილის სიგრძე 35,9 მ-ია, სიგანე ხიდის შუაწელზე – 2,7მ, ნაპირებზე ბურჯებთან – 3,60მ. ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე – 21,7მ, სიმაღლე წყლის დონიდან თაღის ზემო ნაწილამდე – 8,5მ. სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე – 7,6მ.

2008 წელს ხიდს ჩაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები.

დანდალოს ქვის თაღიანი ხიდი საქართველოს ქვის თაღიან ხიდებს შორის სანიმუშო ძეგლადაა აღიარებული.

მახუნცეთის ხიდი. მახუნცეთის ხიდი მდებარეობს ბათუმი-ახალციხის ცენტრალური გზიდან 54 მეტრის მოშორებით. ხიდი დიდი ზომისაა და ეყრდნობა ბუნებრივი წარმოშო-

ბის კლდეს. ნაშენია ქვით, კირის დუღაბზე. ხიდის ორივე მხარის საპირე რკალისათვის გამოყენებულია ფლეთილი ქვები, რომლებიც ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მიწყობილი და ორივე ნაპირს მთელ სიგრძეზე გასდევს. ხიდს არ აქვს ლავგარდანი. მახუნცეთის ხიდს არ ეტყობა ის დახვეწილობა და სიფაქიზე, რაც კარგად შეინიშნება დანდალოს ხიდზე. მშენებლობის ტექნიკითა და ქვების დამუშავების მხრივ იგი ახლოს დგას ფურტიოს ხიდთან.

ხიდის პარამეტრები შემდეგია: ბურჯიდან ბურჯამდე ხიდის ჰორიზონტალური სიგრძეა 19,5მ, ხიდის სავალი ნაწილის სიგრძე – 28,7 მ, სიგანე შუაწელზე – 2,5 მ, ნაპირებზე ბურჯებთან – 3 მ, თაღის სიმაღლე წყლის დონიდან – 5,6 მ, თაღის ზედაპირამდე – 6,30 მ. ხიდის ბურჯებს ფოსოები არ აქვს. თუმცა, სიმაღლის გამი ხიდის მშენებლობის დროს მდინარეში ხიმინჯები უნდა აღემართათ, რომელზედაც ხარაჩოები ეწყობოდა.

საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ხიდის გამაგრება-შეკეთება. ამის მაჩვენებელია მის ზედაპირზე დამატებული ქვის წყობის ერთი, ზოგან ორი რიგი, რომლებიც სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან ზომით, ფორმით თუ წყობის ხასიათით. ამის გამო ხიდს პირვანდელი სახე შეცვლილი აქვს.

2008 წელს ხიდს ჩაუტარდა სრულყოფილი საკონსერვაციო სამუშაოები.

მიწის ხიდი. ხიდს მოსახლეობა მიწის ხიდს (მიწიხიდი) უწოდებს. ერთ-ერთი ვერსიით, ეს სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს იქედან, რომ ხიდის ზედაპირი საუკუნეების მანძილზე გვერდითი შემაღლებული ადგილებიდან ჩამოშვავებული მიწით დაიფარა (ან ხელოვნურად დაფარეს ნახირის მოძრაობის გასაადვილებლად) და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მიწით იყო ნაგები. ახლა ხიდი გაწმენდილია და რესტავრირებული.

მიწის ხიდი აგებულია აგარისწყლის მარჯვენა შენაკადზე, მდინარე ჭანჭახათზე, ვიწრო და კლდოვან ადგილზე, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ საღორეთის ტერიტორიაზე.

ამ ხიდის სიმაღლესთან შედარებით მალი მცირეა და იგი უდრის 7 მეტრს. მალის სიმაღლე 2,3 მეტრია. ისარი შეადგენს 3,5 მეტრს. ხიდის საერთო სიგრძე (მისი მისასვლელიდან) 16 მეტრს უდრის, სიგანე კი 2,6 მეტრია.

ხიდის ბურჯი დაშენებულია ბუნებრივ კლდეზე და მისი სიმაღლე (წყლის ზედაპირიდან) 4,64 მეტრს უდრის. ბურჯის სიმაღლე 1,16 მეტრია, სიგანე კი 2,63 მეტრი.

ხიდის ბურჯებს ეყრდნობა თაღი, რომელსაც წრიული ფორმა აქვს და აგებულია გათლილი, სუფთა ქვებით. თაღის კონსტრუქცია თავბანდსა და ქუსლში ერთნაირია და შეადგენს ნახევარ მეტრს. ხიდის თაღი შედგება ორი ნაწილისგან – თვით კონსტრუქციისა და გალავნისაგან.

ხიდის მისასვლელები ნაგებია ფლეთილი ქვებით.

მიწის ხიდის სამშენებლო ტექნიკა სხვა ხიდებთან შედარებით უფრო დახვეწილია, ამ თვალსაზრისით მასთან ახლოს დგება მახოს ხიდი. მიწის ხიდი შუა ფეოდალური ხანის ძეგლი უნდა იყოს.

საწნახელები. აჭარაში მევენახეობის ისტორიულ კერად მიჩნეულია ქედის მუნიციპალიტეტი, სადაც მევენახეობა უძველესი დრო-

იდან სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლებოდა, რასაც ხელს უწყობდა აქაური ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური გარემო. ამას მოწმობს მდიდარი ისტორიული მასალები, მიწაში დამარხული ჭურები და ქვაში ნაკვეთი საწნახელები. ამ სახის ჭურჭელი ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდანაა ცნობილი და განვითარების უმაღლეს საფეხურს შუა ფეოდალური ხანის საქართველოში აღწევს. ამჟამად ქედის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია შვიდი ქვაში ამოკვეთილი (ზუნდაგა, ძენწმანი, ორცვა (3 საწნახელი), ოქტომბერი, აქუცა (ამჟამად ღვინის სახლშია გადატანილი)) საწნახელი, და ერთიც (კოკოტაური) ქვით ამოშენებული საწნახელი. უნდა აღნიშნოს, რომ ამდენი საწნახელი არც ერთ სხვა რეგიონში არ არის ნაპოვნი. ამათგან გამორჩეულია ძენწმანის ქვაში ნაკვეთი საწნახელი, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა სახის რიტუალების ჩასატარებელი ადგილი.

სახალხო დღესასწაულები

შრომისა და გარჯის მოყვარულმა ქედელებმა გართობა-დასვენებისა და ზეიმის ფასიც იციან. მუნიციპალიტეტის ფარგლებში ტარდება სახალხო დღესასწაულები: **„შემოდგომა ქედაში"** (დაბა ქედა), **„მერისობა"** (სოფ. მერისი), **„ფრიდონობა"** (სოფ. გეგელიძეები), **„ნამეფვარობა"** (სოფ. ახო) და სხვ. თითოეული მათგანი აქაურთა პატრიოტიზმის, შრომისმოყვარეობის, შემოქმედებითი ნიჭისა და სტუმართმოყვარეობის თვალსაჩინო დემონსტრირებაა.

„შემოდგომა ქედაში". ამ დღესასწაულს თავდაპირველად **„შრომის ზეიმი"** ერქვა და სამართლიანადაც – ქედა ერთ-ერთი მოწინავე და ხვავ-ბარაქიანი მუნიციპალიტეტია. აქაური გამრჯე და მშრომელი კაცის წყალობით ამ დალოცვილ მხარეში საუკეთესო მოსავალს იძლევა ყანა, ვაზი და ხეხილი, ბოსტნეული და ბახჩეული.

„შრომის ზეიმი" პირველად 1975 წლის 2 ნოემბერს ჩატარდა. იგი 1987 წლამდე ტარდებოდა. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ კი 1994 წლის 25 ნოემბერს ჩატარდა სახელწოდებით „შემოდგომა ქედაში". მის შინაარსში თავიდან მუსიკალურ-ფოლკლორული ელემენტები სჭარბობდა და, ფაქტობრივად, ქედის კულტურის სახლის კედლებს არ სცილდებოდა და გადატვირთული იყო ოფიციალური მომენტებით. შემდეგ წლებში თანდათან დაიხვეწა, მასშტაბები გაიზარდა და მთელი მუნიციპალიტეტი მოიცვა, ნამდვილ სახალხო დღესასწაულად ჩამოყალიბდა. უკანასკნელ ხანებში მას „ქედელობის" სახელითაც მოიხსენიებენ.

უკვე დამკვიდრებული ტრადიციით, შემოდგომაზე, როდესაც ქედელი მშრომელები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მორჩებიან და მოიცლიან, შემოდგომის დღესასწაულზე მოიყრიან ხოლმე თავს და თავიანთი შრომის შედეგებს აჯამებენ.

ზეიმზე მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის წარმომადგენელი იკრიბება. ბევრია მოწვეული სტუმარი, მათ შორის, უცხოელებიც. გამოფენენ შემოდგომის ნობათს, იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ხალხურ შემოქმედებაში (ცეკვა, სიმღერა, ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, ლექსისა და შაირის თქმა). თითოეული თემი თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებას ცდილობს, რაც ზეიმს განუმეორებელ ხიბლსა და სილამაზეს ანიჭებს.

ტურისტებისათვის შემოდგომის დღესასწაულს დაუვიწყარი შთაბეჭდილებების მინიჭება შეუძლია.

„მერისობა". 2007 წლის სექტემბრის ბოლოს მდ. აკავრეთას თვალწარმტაც ხეობაში პირველად აღნიშნეს „მერისობის" დღესასწაული. ამ ლამაზი ტრადიციის დაფუძნების სადღეგრძელო ორიგინალურად, სახალხო ოსტატ ოთარ თურმანიძის მიერ დაწნული პატარა, კოხტა გიდელით შეისვა. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა და ოსტატურად ნაკეთებს მადლიანი ჩხავერის ერთი წვეთიც არ გაჰპარვია.

პირველ დღესასწაულზე სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე სპირიდონმა სოფ. მერისის ცენტრში აღმართული ჯვარი აკურთხა, რასაც შემდეგ მასობრივი ნათლობა მოჰყვა.

სახალხო დღესასწაული „მერისობა" უკვე ლამაზ ტრადიციად დამკვიდრდა და ყოველწლიურად აღინიშნება. აქაურთა გარდა მას უამრავი სტუმარი ესწრება და დაუვიწყარ შთაბეჭდილებასაც იღებს მერისელთა გულუხვი მასპინძლობისაგან.

დღესასწაულზე ხეობელები თავიანთი გარჯის ნაყოფს სთავაზობენ დამსწრეთ. სანაქებოა აქაური ღვინო, თაფლი, ხილი. წარმოაჩენენ მერისულ ფოლკლორს, ხეზე კვეთის, ქსოვის ტრადიციებს, ხეობის ეთნოგრაფიულ თავისებურებებს. ისმის „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო", „ჩაკრულო", „მერისული მაყრული"; იმართება შაირობა და სპორტული შეჯიბრებები; ცეცხლს ანთებს „ხორუმი" და „განდაგანა"; სმენას იპყრობს ძარღვიანად ნათქვამი სადღეგრძელოები; ერთი სიტყვით სახალხო ზეიმია.

ჩვენი კუთხის სტუმრებს „მერისობა" ღირსეულ მასპინძლობას გაუწევს.

„ფრიდონობა". ქედაში „ფრიდონობის" აღნიშვნა 2006 წელს დაიწყეს. ღონისძიებას საფუძველი ფრიდონ ხალვაშის სიცოცხლეშივე ჩაეყარა, გარდაცვალების შემდეგ კი ტრადიციად დამკვიდრდა. პოეტის შემოქმედების თაყვანისმცემლები ყოველი წლის მაისის თვეში სოფ. გეგელიძეებში, მისსავე სახლ-მუზეუმში იკრიბებიან, ჩამოდიან სტუმრები აჭარისა და სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, ოჯახის წევრებთან ერთად, საზოგადო მოღვაწეები და მთავრობის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება

ისტორიულად, ქედელების სამეურნეო ყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხელოსნობასა და შინამრეწველობის ისეთ დარგებს, როგორიცაა: მჭედლობა, ხის და ქვის დამუშავება, ქსოვა, მეთუნეობა, ტყავის დამუშავება, დაწნა, საპნის დამზადება.

აღნიშნული დარგების დიდი ნაწილი დღესაც ცოცხალია. ოდინდელი მასშტაბები და დანიშნულება, ბუნებრივია, აღარ გააჩნიათ, მაგრამ გარკვეულ მნიშვნელობას დღესაც

ინარჩუნებენ. კერძოდ, მოსახლეობაში შემორჩენილი მეურნეობისა და შინამრეწველობის ტრადიციული ფორმების გადარჩენა-დახვეწა მომგებიანია როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების (სასოფლო, ეთნოგრაფიული, შემეცნებითი და სხვ.) განვითარების თვალსაზრისით (სამუშაო პროცესებზე დაკვირვება, მათში მონაწილეობის მიღება, სუვენირების გასაღება და ა. შ.).

ქედის სოფლები სპეციალიზებულია შინამრეწველობის ცალკეულ დარგებში. მაგ., **მუსიკალური ინსტრუმენტის (ფანდური, ჭიბონი, სალამური)** დამზადება გავრცელებულია სოფლებში: უჩხითი, ბზუბზუ, ნამონასტრევი, გარეტყე, ზვარე, სირაბიძეები, ახო, კოკოტაური, ცხმორისი, დანდალო, მერისი.

წვნა-ქსოვა (გოდორი, გიდელი, კალათი და სხვ.) – ზედა ბზუბზუ, მერისი, ნამონასტრევი, ინაშარიძეები, ახო, კოკოტაური, ტაკიძეები, ზვარე.

მჭედლობა – ქვედა ბზუბზუ, ინაშარიძეები, ზვარე, დანდალო, ახო, გობრონეთი, ცხმორისი.

ხეზე კვეთა – ნამლისევი, ზუნდაგა, მოსიაშვილები, ნამონასტრევი, პირველი მაისი, ახო.

რთვა-ქსოვა, ქარგვა, გობელენის დამზადება – მახუნცეთი, კვაშტა, დაბა ქედა.

მარნები, ღვინის ტურები

მარანი ოდითგანვე ღვინის დაყენება-შენახვისათვის განკუთვნილ ნაგებობას წარმოადგენდა. „მარანი – საღვინე სახლი" – განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი.

ტერმინი მარანი ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება ერთ-ერთ სვანურ ხელნაწერში, რომელსაც ისტორიკოსი თედო ჟორდანია VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს. შემდეგში იგი არაერთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება.

მარანი, რომელშიც ფუძე „მარ" გამოიყოფა, ძველი და ფრიად საინტერესო ტერმინი ჩანს. როგორც ირკვევა, „მარი" ჭურჭლის სახელია. იგი ისტორიულ წყაროებშიც გვხვდება და თანამედროვე ქართულის ზოგიერთ სიტყვაშიც შემოინახა თავი. მარი, როგორც ჩანს, ხისაც შეიძლებოდა ყოფილიყო და თიხისაც. პირველი მათგანი, ალბათ, ღვინის დაყენების პროცესში და მისი დაუფლავი შენახვისათვისაც გამოიყენებოდა, ხოლო მეორე, ძირითადად, მიწაში

დასამარხავად იყო გამიზნული. თიხის ჭურჭლის უპირატესობა ამ მხრივ ყველასათვის ნათელია. მარანი კი ისეთ ადგილს ეწოდება, სადაც ასეთი ჭურჭლებია (მარებია) დაფლული ღვინის შესანახად. საინტერესოა, რომ ქართული ოთხთავის ორ ვარიანტში „მარ" საწნახელთანაც არის გაიგივებული.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარნისავე მნიშვნელობით, როგორც ირკვევა, იხმარებოდა „ჭურისპირი". ეს გარემოება აჭარაშიც დასტურდება. ამ მხარის ტოპონიმიაში მარან-ნამარნევის გვერდით რამდენჯერმე გვხვდება „ჭურიპირი".

როგორც საბა ორბელიანის განმარტებიდან ჩანს, მარნისათვის ძველ საქართველოში სპეციალური ნაგებობა არსებულა; გარდა ამისა, მცირე მარანი სახლშიც ჰქონდათ, სადაც ყოველდღიური, სანიადაგოდ სახმარი ღვინო ინახებოდა.

თურქთა ბატონობის ხანაში მევენახეობა-მეღვინეობის საქმის მოსპობასთან ერთად მოიშალა და ნანგრევებად იქცა მარანიც. ძველი ქართული მარნის ნანგრევები აჭარაში მრავალ ადგილას არის ცნობილი (სხალთის ტაძართან, მაჭახელში, ხირხათის ციხექალაქში და სხვა).

საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული მევენახეობის აღდგენა-განვითარების საქმეს აჭარაში დიდი ყურადღება ექცევა. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი პირობები ქედის მუნიციპალიტეტშია. აქ წარმოებული ღვინოები – „ცოლიკაური" და „ჩხავერი" – დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მომხმარებელში.

ტურისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ღვინის ტურები, რომლებსაც ქედის მუნიციპალიტეტი მასპინძლობს.

ღვინის ტური დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს მოინახულონ მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო ღვინის მარნები, დააგემოვნონ აქ დაყენებული ღვინო, გაეცნონ ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფას, მეღვინეობის ტრადიციებს, სამზარეულოს და ხალხურ შემოქმედებას, დაათვალიერონ ვენახები და მონაწილეობა მიიღონ რთველში, ისიამოვნონ გემრიელი ღვინითა და აქაური სტუმარმასპინძლობით, დაიმსახურონ „თამადის" სერტიფიკატი. ღვინის მოყვარულებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები და დახვეწილი სერვისი ელით.

დღესდღეობით, ღვინის ტურებში ჩართულია შემდეგი საოჯახო მარნები:

1. შერვაშიძეების მარანი – სოფელი პირველი მაისი;
2. ლადო შავიშვილის მარანი – სოფელი ვაიო;
3. მოსე ბერიძის მარანი – სოფელი წონიარისი;
4. ნური სირაბიძის მარანი – სოფელი გეგელიძეები.

საკურორტო-რეკრეაციული რესურსები

საკურორტო ადგილი გუნდაური. გუნდაური მდ. მერისის (მდ. აჭარისწყლის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, შავშეთის ქედის ჩრდილოეთი კალთის ძირში, ქედიდან 11 კმ-ის, ხოლო ბათუმიდან – 52 კმ-ის მანძილზე მდებარეობს. სიმაღლე ზღვის დონიდან – 560 მ, რელიეფი – მთაგორიანი.

მიკრო-რაიონისათვის დამახასიათებელია დაბალი მთის სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო კლიმატი. ზამთარიც, ასევე, ზომიერად რბილია და უხვთოვლიანი, დეკემბრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე არამდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა +3,1 გრადუსი. ზაფხული თბილია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა

+21,5°. ნალექების წლიური რაოდენობა 1500-1600 მმ-ია, ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 77%, მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1800 საათი. გავრცელებულია ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები და ხეხილის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტი მინერალიზაციის სულფატურ-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,0-1,5 გ/დმ^3. მკურნალობის ფორმები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი კოკოტაური. კოკოტაური მდებარეობს მდ. აჭარისწყლის ხეობაში, ბათუმიდან 25 კმ-ის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. სიმაღლე ზღვის დონიდან – 680 მ, რელიეფი – მთაგორიანი.

მიკრო-რაიონისათვის დამახასიათებელია დაბალი მთის, სუბტროპიკული კლიმატი. ზამთარი რბილია, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა +3,1°. ზაფხული თბილია, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა +21,5°. ნალექების წლიური რაოდენობა – 1500 მმ-ია, ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 77%, მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი. ძირითადად გავრცელებულია ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-მაგნიუმიან-კალციუმიანი (და მაგნიუმიან-კალციუმიანი) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,4-3,2 გ/დმ^3. მკურნალობის ფორმები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

ბუნების ღირსშესანიშნაობანი

ბუნების ღირსშესანიშნაობებიდან გასაოცარი სილამაზის სანახაობას წარმოადგენენ ჩანჩქერები. ისინი განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებენ ბუნებრივ ლანდშაფტს. ქედის მუნიციპალიტეტში ამ მხრივ გამორჩეულია **მახუნცეთისა** (20 მ) და **ნამონასტრევის** ჩანჩქერები.

მახუნცეთის ჩანჩქერი მდებარეობს ამავე დასახელების სოფელში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მახლობლად. მანძილი ქ. ბათუმიდან – 27 კმ;

ნამონასტრევის ჩანჩქერი მდებარეობს ამავე დასახელების სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე. მანძილი დაბა ქედიდან – 13 კმ, ბათუმიდან – 54 კმ;

ჩანჩქერთა მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია ბევრი საპიკნიკე ადგი-

ლი, სადაც ზაფხულობით მრავალი დამსვენებელი იყრის თავს. მახუნცეთის ჩანჩქერის ტერიტორიაზე არის რესტორანიც. პაპანაქება სიცხეს გაშორებული დამსვენებლები აქ გატოტილი, ჩრდილუხვი ხეების ქვეშ მიირთმევენ ტრადიციულ ქართულ კერძებს, ჩანჩქერიდან მონაბერი ნოტიო სიოთი ტკბებიან და მის ანკარა, ცივ წყალში ბანაობენ.

კოლოტაურის (ჯვარქედის) გამოქვაბული – პირველი მაისის ცენტრიდან 700-800 მეტრში, მიკრო-უბან ჯინისისკენ მიმავალი გზის ახლოს, ადგილ ჯვარქედზე არის საინტერესო გამოქვაბული. არქეოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ მასში ადამიანს ბინა დაუდვია 10-12 ათასი წლის წინათ და შუაფეოდალურ პერიოდამდე გამოიყენებდა საცხოვრებლად.

ბზუბზუს ბუნებრივი მაცივარი – სოფ. ბზუბზუს მიდამოებში, ვიზუალურად თვალწარმტაც ადგილში, მდებარეობს ე.წ. „ბუნებრივი მაცივარი". აქ არსებული, ბუნებრივი პროცესებისაგან წარმოქმნილი მიკრო-კლიმატის თავისებურება მოხერხებულად გამოიყენა ადგილობრივმა მოსახლეობამ და მას საყინულის ფუნქცია დააკისრა. მსგავსი ადგილები ბევრია აჭარის მთიანეთში. ტურისტებისათვის ინტერესმოკლებული არ არის მათი დათვალიერება.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. *ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 70-80-იანი წლები), ბათუმი, 1999.*
2. *ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1988.*
3. *ბოლქვაძე ბ., წონიარისში ტანკი დგას, გაზ. „აჭარა P.S.", 2003, №19.*
4. *გოგიტიძე ს., აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათუმი, 2002.*
5. *დიასამიძე მ., საუკუნოვანი სკოლა, ბათუმი, 2004.*
6. *კახიძე ნ., ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2004.*
7. *მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.*
8. *სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ., საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია, თბილისი, 2011.*
9. *სამნიძე ს., ანარეკლები წარსულიდან, თბილისი, 2000*
10. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.*
11. *საქართველოს სსრ, ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1987.*
12. *სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეტი), ბათუმი, 1985.*
13. *სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი, 1959.*
14. *ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.*
15. *ფუტკარაძე მ., მთიანი აჭარის მოსახლეობის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები, ბათუმი, 1996.*
16. *ფუტკარაძე მ., აჭარა, ბათუმი, 2001.*
17. *ჩიჯავაძე ნ., სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბილისი, 1971.*

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

1. სად მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტი და რომელი ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულები ესაზღვრება მას?

2. რამდენ საკრებულოსა და სოფელს მოიცავს ქედის მუნიციპალიტეტი?

3. მოგვეცით გეოგრაფიული სახელების: ქედა, მერისი – ეტიმოლოგიური ახსნა.

4. გააკეთეთ ქედის მუნიციპალიტეტის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.

5. რა იცით ქედის რაიონის დაარსების შესახებ?

6. რა იცით ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი საოჯახო მარნების შესახებ?

7. დაასახელეთ იტორიისა და კულტურის 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი ქედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში. გვესაუბრეთ ერთ-ერთზე.

8. რა იცით ქედის მუნიციპალიტეტში არსებული სასარგებლო წიაღისეულის შესახებ?

9. რა იცით ქედელთა სახალხო დღესასწაულებზე? გვესაუბრეთ ერთ-ერთზე.

10. *რა იცით ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესახებ?*

შუახევის მუნიციპალიტეტი

ზოგადი ცნობები

შუახევის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ნაწილში. იგი გარშემორტყმულია ჩრდილოეთიდან აჭარა-გურიის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – არსიანის და სამხრეთიდან – შავშეთის ქედებით. ტერიტორია 588 კვ.კმ-ს შეადგენს (აჭარის საერთო ფართობის 20,4%), ხოლო მოსახლეობა – 21,85 ათას კაცს (2002 წ.). მუნიციპალიტეტი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვრცელდება 32, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – 17-38 კილომეტრზე. საზღვრების სიგრძე 195 კმ-ია. ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით ესაზღვრება ოზურგეთის, ქობულეთის და ჩოხატაურის, აღმოსავლეთით – ხულოს, დასავლეთით – ქედის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით 46 კილომეტრის სიგრძეზე – თურქეთი.

შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა შუახევი (0,98 ათასი მცხოვრები (2002 წ.), დაბის სტატუსი – 1974 წლიდან), რომელიც მდებარეობს მდინარეების – აჭარისწყლისა და ჩირუხისწყლის შესართავთან (სიმაღლე ზღვის დონიდან 420 მეტრი, მანძილი ქალაქ ბათუმამდე – 67 კმ).

შუახევური ქართული ზემოაჭარულ კილოკავს მიეკუთვნება. მასში გამოყოფენ უჩამბის, მარეთისა და ჭვანის ხეობების თქმებს.

ტოპონიმი „შუახევი," არსებული მოსაზრებით, უკავშირდება გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში მიმდინარე პროცესს, როცა უნდა ჩამოყალიბებულიყო აჭარის ზემო და ქვემო „ხევები" ანუ „ქვეყნები".

შიდამთიანი აჭარა (აჭარისწყლის ხეობა), ტრადიციით, იყოფა ზედა (ცენტრით ჯერ დიდაჭარაში, შემდგომ ხულოში) და ქვედა (ცენტრით ქედაში) აჭარად. საზღვარი სოფ. დანდალოსთან გადის. ამდენად, შუახევის „ქვეყანა" დღეს ზემო აჭარაში შედის. თუმცა, ტოპონიმის აზრობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ დასაშვებია „შუახევი", რომელიც თავისი მდებარეობით სწორედ დიდაჭარა-ხულოს (ანუ ზემო) და ქედის (ანუ ქვემო) „ხევებს" შორისაა მოქცეული, უკვე გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში ფორმირებული ყოფილიყო როგორც ცალკე „ქვეყანა" ანუ „ხევი". იგი თავის დროზე აჭარისწყლის შუა წელის გარკვეული მონაკვეთის გარდა (სავარაუდოდ, დანდალოსა და ზამლეთს შორისი სივრცე), შესაძლებელია ჭვანის ხევსაც მოიცავდა.

ადმინისტრაციული მოწყობა

დღეისათვის შუახევის მუნიციპალიტეტში შედის მარეთისა და ჭვანის ხეობები და აჭარისწყლის ხეობის შუახევის მონაკვეთი (მუნიციპალიტეტის ფარგლებში მდ. აჭარისწყალი 17 კმ-ის მანძილზე მიედინება). იგი მოითვლის 1 დაბასა (შუახევი) და 67 სოფელს, რომლებიც გაერთიანებულია 9 თემში.



დაბა შუახევის თემი: ბესელაშვილები, გუნდაური, დაბაძველი, თერნალი, კლდისუბანი, ოქროპილაური, სხეფი, ჩანჩხალო.

ბარათაულის თემი: ბარათაული, გომარდული, ვანი, ზემოხევი, ცენტერაძეები, წანკალაური, ჯვარი.

დღვანის თემი: დღვანი, გოგინაური, კვიახიძეები, ლომანაური, ქიძინიძეები.

ზამლეთის თემი: ზამლეთი, ბუთურაული, მომწვარი, მჭედლური, ნენია, ნიგაზეული, ფოთელაური, ფურტიო.

ოლადაურის თემი: ოლადაური, გორი, კარაპეტი (ქარაფეთი), მაწყვალთა, მახალაკიძეები, პაპოშვილები, ჯუმუშაური.

უჩამბის თემი: სამოლეთი, გოგაძეები, კვირიაული, ლაკლაკეთი, მოფრინეთი, ტბეთი, ცინარეთი, წაბლანა, ჯაბნიძეები.

შუბანის თემი: შუბანი, დარჩიძეები, იაკობაური, კობალთა, ტომაშეთი, ქუთაური, წელათი.

წყალსაყრის თემი: ჟანიკრი, ბრილი, ინწკირვეთი, ნაღვარევი, ხაბელაშვილები.

ჭვანის თემი: ჭვანა, ახალდაბა, ვარჯანაული, ზედაყანა, ტაკიძეები, ცეკვა, ცივაძეები, ცხემლისი, წყაროთა, ჭალა, ხიჭაური.

ისტორიული მარეთის ხეობის ფართობი 344 კვ.კმ-ია, რაც შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 58,5%-ს შეადგენს. იგი მთლიანად მოიცავს მდ. ჩირუხისწყლის აუზს (მკვლევართა აზრით, ამ მდინარის თავდაპირველი სახელი „ჭირუხი," „ჭირუხისწყალი" უნდა ყოფილიყო). თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ხეობაში შედის ოთხი თემი – უჩამბის (9 სოფ.), დღვანის (5 სოფ.), ოლადაურისა (7 სოფ.) და შუბანის (7 სოფ.). ჩრდილოეთით იგი ესაზღვრება შუახევის მუნიციპალიტეტის შუახევისა (8 სოფ.) და ზამლეთის (8 სოფ.) თემებს, სხვა მიმართულებებით კი ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებსა და თურქეთის რესპუბლიკას. ისტორიულ-გეოგრაფიულად მარეთის ხეობაში შემავალი ზოგიერთი სოფელი დღეს შუახევის თემშია მოქცეული. მაგ.: ოქროპილაური, გუნდაური და სხვ.

ქართველ მკვლევართაგან ერთ-ერთი პირველი, ვინც მარეთის ხეობის თუნდაც მცირე აღწერილობა მოგვცა, გიორგი ყაზბეგი იყო (1874 წ.-ის მოგზაურობის ანგარიში).

სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც ხეობის, ისე მისი მთავარი მდინარის სახელწოდება სხვადასხვა ფორმითაა დამოწმებული. ხეობა: მირეტი, მირატი, მარიტი, მარითი, მირეთი, მარეთი, მირათი, მერეთისხევი, მირეთისხევი და სხვ. მდინარე: ჭირუხისწყალი, ჩირუხისწყალი, მარატისწყალი, მარითისწყალი, მარეთისწყალი, ყარა-დერე (თურქულია, ითარგმნება როგორც შავი-ღელე)... სადღეისოდ დამკვიდრებულია სახელწოდებები მარეთის ხეობა და ჩირუხისწყალი.

ერთ-ერთი ეტიმოლოგიური ვერსიით, სახელწოდება „ჩირუხისწყალი" მომდინარეობს სიტყვიდან „ჭირი" (გაჭირვების, უბედურების ზოგადი სახელი): ჭირ+უხვი — ჭირუხი — ჩირუხი, აქედან ჩირუხისწყალი. საინტერესოა სიტყვა „მარეთის" ეტიმოლოგიაც. ერთ-ერთი ვერსიით, იგი უკავშირდება ერთგვარი ჭურჭლის – მარის სახელს, რომელიც მზადდებოდა როგორც ხის, ასევე თიხისაგან. აქედან „მარეთი", ანუ მარების წარმოების მხარე. მეორე ვერსიით, „მარეთი" ქართული ტომის – მარების სახელისაგან მომდინარეობს. არსებობს სხვა მოსაზრებებიც.

ისტორიული ჭვანის ხეობა მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილში. მთლიანად მოიცავს ჭვანისწყლის აუზს. ადმინისტრაციული დაყოფით, მასში შედის სამი თემი – ჭვანის (11 სოფ.), ბარათაულისა (7 სოფ.) და წყალსაყრის (5 სოფ.). სამხრეთით იგი ესაზღვრება შუახევისა და ზამლეთის თემებს, სხვა მიმართულებებით კი ქედის, ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს.

მკვლევართა აზრით, ჭვანა თავდაპირველად სოფლის სახელი იყო და შემდეგ გავრცელდა მთელ ხეობაზე. როგორც ხალხური, ისე მეცნიერული ეტიმოლოგია ტოპონიმ „ჭვანას" მცენარისაგან წარმოშობილ სახელად მიიჩნევს. არსებობს ასეთი მცენარის რამდენიმე ვერსია – ჭვავი (Secale cereale), ჭივანა (იგივე ჭყიპანტა – Silene wallichiana Klotzsch), კაპარი (იგივე ჯონჯოლი – Staphylea) (კაპაროვანი — კაპარჭვანი — ჭვანი — ჭვანა). საკითხი ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს.

ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

შუახევი მთიანი მუნიციპალიტეტია და რთული რელიეფით ხასიათდება. განფენილია მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების – ***ჭვანისწყლისა*** და ***ჩირუხისწყლის*** ხეობებში. დანაწევრებულია ღრმა ხეობებით, მთათაშორისი ქვაბულებით, მთის დამრეც ხეობათა ფერდობებით, გორაკ-ბორცვებით, მაღალ ზონაში პატარ-პატარა ტაფობებითა და ამფითეატრისებური ველ-მინდვრებით. სამხრეთით მუნიციპალიტეტს საზღვრავს შავშეთის ქედი

(მწვერვალები – ხევა (2810 მ), შამბალეთი (2695 მ), ქვიშნარი (2700 მ), სანალია (2691 მ)); ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით – აჭარა-გურიის ქედი მისი განშტოებებით (მწვერვალები – თაგინური (2668 მ), პერანგა (2793 მ) და ბოდიში (2380 მ)); სამხრეთ-აღმოსავლეთით – არსიანის ქედი, აჭარის უმაღლესი მწვერვალით – კენჭიანი (2992 მ). ამ ქედებს შორის აჭარისწყლის შენაკადებს მიუყვება მთათა შიდაგანშტოებები: აჭარა-გურიის ქედიდან – გორაკეთ-საფილეთის ქედი (მწვერვალი კარათი (2081 მ)), შავშეთიდან – ნამცვარევის ქედი (მწვერვალი ტბეთი (2463 მ)). მდინარე ჩირუხისწყალსა და სხალთისწყალს შორის სხალთის ანუ შერთულის ქედი მწვერვალებით: კობალთა (გინჯავეთი) (2249 მ), ფურტიო (1560 მ) და შტვირი (1463 მ).

მუნიციპალიტეტის რელიეფის საინტერესო ფორმად ითვლება სანალიის კილდისქვაბის სამგვირაბიანი გამოქვაბული, აგრეთვე, გორაკეთ-საფილეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, სოფელ ჩანჩხალოსა და მარეთის ხეობაში, ჩირუხისწყლისა და ბალვანას შესართავთან არსებული ბუნებრივი მაცივრები, სადაც ზაფხულობით იქმნება თავისებური მიკროკლიმატი და ჩნდება ყინულის ლოლუები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა წიაღისეული სიმდიდრეებით. ცნობილია წაბლანის გოგირდის კოლჩედანი – სელენის, ტელურის, სპილენძის და მოლიბდენის შემცველობებით; უჩამბის ალუნიტები – სპილენძის, ტყვიის, თუთიის, მოლიბდენის, ოქროს, ვერცხლის, სელენის, ტელურის, ბორის შემცველობებით; ხაბელაშვილების გაბრის, სანალიას ანდეზიტ-დაციტისა და ბრილის თიხის საბადოები და სხვ. არის მინერალურ-სამკურნალო წყლები: შუახევის, შამბალეთის, ლამაზმერეს, ბათალვაკის, ტომაშეთის, ბაბანაურის, წყალამპარას, გუდნის, ბოგილის, უჩამბის.

შუახევის მუნიციპალიტეტის ჰავა ტენიანი სუბტროპიკულია. მასზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვის სიახლოვე. საშუალო წლიური ტემპერატურა +9+11 გრადუსია, ზაფ-

ხულში – +23+27, ხოლო ზამთარში – +5-7 გრადუსი. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1500-1800 მმ-ია. წლის ცივ პერიოდში ნალექები თოვლის სახით მოდის. სიმაღლის მატების შესაბამისად, ტემპერატურული მონაცემები და ნალექები იცვლება: ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული – ხანგრძლივი და თბილი; მაღალ მთებში ზამთარი ცივია, ზაფხული – მოკლე და გრილი. ყველაზე მეტი თოვლიანობა იცის აჭარა-გურიის ქედსა და მის განშტოებებზე, მათ შორის მოქცეულ ხეობებსა და ფერდობებზე. თოვა იწყება ნოემბრის ბოლოს და მარტამდე გრძლდება, საშუალოდ 0.5-დან 1.5 მეტრამდე, ზოგჯერ 2-3 მეტრამდეც მოდის. ჰაერის სინოტივე 70-74 %-ია. ღრუბლიანობა საშუალოდ 170-175 დღეა. რაიონში გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ქარები, რომლებსაც მოაქვთ ტენი და ნალექი.

შუახევი მდიდარია შიდაწყლებით. ყველა მდინარე მიეკუთვნება აჭარისწყლის აუზს. მდინარეთა ვარდნა და დახრილობა დიდია, აქვთ ვიწრო და ღრმა ხეობები. ყველა მდინარე ჭორომიანია. არის ჩანჩქერები: ბრილის (30 მ), ინწკირვეთის (25 მ), ცხემლისის (20 მ) და სხვ. მთავარი მდინარეა აჭარისწყალი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მისი სიგრძე 17 კმ-ია, სიგანე – 9-11 მ. შენაკადებიდან აღსანიშნავია მარცხენა შენაკადი – ჩირუხისწყალი და მარჯვენა – ჭვანისწყალი.

ჩირუხისწყალი სათავეს იღებს შავშეთის ქედზე (2800 მ.), ყანლის მთის დასავლეთ ფერდობიდან, შავი წყაროებიდან. აჭარისწყალს ერთვის დაბა შუახევთან. სიგრძე 32 კმ-ია, მოედინება მარეთის ღრმა ხეობაში, ზოგან მდინარე და მისი შენაკადები მოედინება კანიონისებრ ხეობაში. აღსანიშნავია: შუბნის, შუაგზის, კვიტამერის, პაპოშვილების, ლაშეს, დოლაბის, მომწვრის, გუნდაურის კანიონები. შენაკადები ძირითადში მარცხნიდან ერთვის. აღსანიშნავია: გუდნისღელე (უჩამბისწყალი), სოლიხევი, ბალვანისწყალი, სანალიისწყალი, შუბნისღელე, ტომაშეთისწყალი, ლელვანისწყალი და სხვა.

ჭვანისწყალი სათავეს იღებს აჭარა-გურიის ქედზე, ბოდიშის გადასასვლელის (2389 მ) სამხრეთ-დასავლეთ ფერდობიდან. მისი სიგრძე 21 კმ-ია. მარჯვენა შენაკადებია: ჭინჭათი, გიდელასწყალი, ხევისწყალი, ციხისწყალი (ოთოლთა) და სხვა. მარცხენა შენაკადები: ძაღიანისწყალი, ფოთაროსწყალი, ინწკირვეთისწყალი, ბარათაულისწყალი, თერნალისწყალი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მცირე ტბები, მათ შორის აღსანიშნავია ჩირუხში მდებარე შავი ანუ გასალიანის ტბა (სარკის ზედაპირი – 750 კვ.მ, სიღრმე – 10 მ).

შუახევის ტერიტორია მთის შუა და ზედა სარტყელშია მოქცეული. რელიეფის დანაწევრებამ ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და უნიკალურობა გამოიწვია. მცენარეთა 1300 სახეა წარმოდგენილი. ბევრია რელიქტური და ენდემური სახეობები: შქერი, უნგერნის როდოდენდრონი, ძმერხლი, მელიქაური, უხრავი. რელიქტების დიდი ნაწილი კოლხური წარმოშობის ენდემია, ესენია: კოლხური ბზა, ჯონჯოლი, უხრავი, მედვედევის არყი, პონტოური მუხა, ბაძგი, კავკასიური მოცვი, კრაზანა, სურო, ხემარწყვა, ღვია. განსაკუთრებულად დიდი ფართობები უკავია ნაძვის, სოჭის, მუხის, რცხილის და წიფლის ტყეებს, ჭვანის ხეობაში – წაბლს. სუბალპური ზონა დაფარულია ბალახეული საფარით.

ფართოდ არის გავრცელებული ხეხილი. აქ ხარობს მსხლის 50, ვაშლის 16, კურკოვნების 15, კაკლის 7 ჯიში.

ტყეში დიდი რაოდენობითაა ნადირი და ფრინველი. აღრიცხულია 330-მდე სახეობა. ცხოველებიდან აღსანიშნავია გარეული ღორი, შველი, არჩვი, მაჩვი, თეთრყელა და ყვი-

თელყელა კვერნა, დედოფალა, მურა დათვი, მგელი, ტურა, ტყის კატა, ფოცხვერი, მელა, კურდღელი. საკმაო რაოდენობითაა მღრნელები და ქვეწარმავლები.

ფრინველებიდან გვხვდება: კასპიური შურთხი, წითელთავა ღაბუაჩიტი, შევარდენი, მთის არწივი, შაკი, კავკასიური როჭო, მრავალი სახის ჩიტი.

აჭარისწყალში, ჭვანისწყალში, ჩირუხისწყალსა და უჩამბისწყალში ბინადრობენ სამოყვარულო-სათევზაო მნიშვნელობის თევზები: კალმახი, კავკასიური ქაშაყი, კოლხური კვირჩხლა, ბათუმური შამაია, ფრიტა, ვიმბა, ტობი, წვერა, ხრამული, ფეტვია, კობრი.

შუახევის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ტიპის ნიადაგები გვხვდება, რომლებიც იცვლება სიმაღლის მატებასთან ერთად. დაბალი და საშუალო სიმაღლის მთების ზონაში წარმოდგენილია ტყის მუქი ყომრალი, ხოლო საშუალო სიმაღლის მთების სარტყელში, სადაც შერეული ტყეებია – ღია ყომრალი ნიადაგები. მუქწიწვოვან ტყეების ქვეშ გავრცელებულია ფსევდოეწერი ნიადაგები. მაღალმთიანეთის ალპურ და სუბალპურ სარტყელში გავრცელებულია მთა-ტყის ტიპის ნიადაგები, რომელშიც გამოიყოფა მთა-მდელოსა და მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები.

მუნიციპალიტეტის ნიადაგების სამეურნეო მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. აქაური ყომრალი და ფხვიერი ნიადაგები ხელს უწყობენ მაღალხარისხოვანი „სამსუნისა“ და „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანას. კარგ მოსავალს იძლევა, აგრეთვე, ხილი, ლობიო, ბოსტნეული და სხვა.

მუნიციპალიტეტში სახნავი მიწების დიდი ნაწილი მდებარეობს მაღალი დახრილობის ფერდობებზე, სადაც ადგილი აქვს ინტენსიურ ეროზიულ პროცესებს და მიწის ნაყოფიერი ნაწილის გადარეცხვას. აქედან გამომდინარე, ძველთაგანვე გავრცელებულია ტერასული მიწათსარგებლობის ფორმა.

ისტორია

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, აჭარისწყლის ხეობა, მათ შორის, თანამედროვე შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ძველთაგანვე ადამიანის განსახლების არეალს წარმოადგენს. ნეოლითის ხანის (ძვ. წ.აღ.-ის VIII-VI ათასწლეული) საინტერესო მასალებია მოპოვებული ჩირუხის, შუბნის, დარჩიძეების, ჭვანის ალპურ საძოვრებსა და სხვა ადგილებში. ძირითადად წარმოდგენილია საფხეკები, სახოკები, დანისებრი იარაღები, აგრეთვე, რეტუშირებული ლამელები, გვერდამოღარული ლამელები და ანატკეცები.

მნიშვნელოვანია ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის (ძვ. წ.აღ.-ის V-III ათასწლეული) მასალებიც (ჩირუხის, შუბნის მიდამოებიდან და სხვ.). აღსანიშნავია ძვლის სახვრეტები და თვითმყოფადობით გამორჩეული სხვადასხვა სახეობის კერამიკული ნაწარმი. განსაკუთრებით საყურადღებოა ადრებრინჯაოს ხანის მონაპოვარი სოფ. ჭვანიდან – როგორც მთლიანად დაცული თიხის ჭურჭელი, ისე ნამტვრევები (ძვ. წ.აღ.-ის IV ათასწლეულის II ნახევარი), აგრეთვე, ე.წ. ყუა-დაქანებული ცული. არსებული მონაცემებით დასტურდება, რომ აღნიშნულ პერიოდში დიდი ადგილი უკავია ნადირობასა და შემგროვებლურ მეურნეობას; პარალელურად, დაწინაურებას განიცდის მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია, ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგი, ფართო ხასიათს იღებს მეთუნეობა.

შუა (ძვ. წ.აღ.-ის III ათასწლეულის ბოლო – ძვ. წ.აღ.-ის II ათასწლეულის I ნახევარი) და გვიანბრინჯაოს (ძვ. წ.აღ.-ის II ათასწლეულის II ნახევარი), აგრეთვე ადრერკინის (ძვ. წ.აღ.-ის I ათასწლეულის I ნახევარი) ხანებში აჭარისწყლის ხეობა, თანამედროვე შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ, ბრწყინვალე კოლხური კულტურის არეალშია მოქცეული და ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენს. ამ პერიოდისათვის განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის მეტალურგია. სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ხითხუროობა, ვითარდება მეფუტკრეობა. აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში კოლხური კულტურის შეღწევა სწორედ აჭარისწყლის ხეობის სათავეებით ხორციელდება.

ძვ. წ.აღ.-ის VI-IV საუკუნეებში აჭარა შუახევითურთ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ამ პერიოდის საინტერესო არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა ჭვანის (ტაკიძეების) ციხის გათხრებისას. იქვე ახლოს, ჭვანის ცენტრთან, არქეოლოგიური დაზვერვის დროს დადასტურდა ანტიკური ხანის ნამოსახლარიც.

ძვ. წ.აღ.-ის III საუკუნის დასაწყისში შუახევის „ქვეყანა" მეფე ფარნავაზის მიერ ჩამოყალიბებული ქართლის სამეფოს საზღვრებში მოექცა და ადმინისტრაციულად ოძრხეს საერისთავოს შემადგენლობაში შევიდა. შემდგომ პერიოდში ჩვენთვის საინტერესო ტერიტო-

რია კვლავ კოლხეთის ფარგლებში ჩანს, სადაც ძვ. წ.აღ.-ის II-I საუკუნეების მიჯნაზე პონტოს სამეფო გაბატონდა, ძვ. წ.აღ.-ის 63 წლიდან კი რომის იმპერია იწყებს დამკვიდრებას.

ახ. წ. I საუკუნეში შუახევის „ქვეყანა" კვლავ მომძლავრებულ ქართლის სამეფოს ეკუთვნის. დანარჩენ აჭარასთან ერთად, იგი გახდა იმ უდიდესი მოვლენის უშუალო მონაწილე, რასაც ქრისტეს მოციქულების – ანდრია პირველწოდებულის, მატათასა და სიმონ კანანელის – შემობრძანება და ქრისტიანობის გავრცელება წარმოადგენს ქართველი ერისათვის. აჭარისწყლის ხეობისა და შუახევის გავლით, ანდრია პირველწოდებული მხლებლებითურთ სოფ. დიდაჭარამდე მივიდა და „იწყო ქადაგებად სახარებისა". ამდენად, შუახევის მოსახლეობა, დიდაჭარლების თანაბრად, სრულიად საქართველოს მასშტაბით, ერთერთი პირველი ეზიარა ქრისტეს სჯულს და მოინათლა.

გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების ხანაში შუახევი, როგორც აჭარის ნაწილი, აქტიურად იყო ჩაბმული როგორც შიდაპირველობისათვის, ისე გარეშე ძალების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში.

XI-XIII საუკუნეებში შუახევი აბუსერისძეთა ფეოდალური გვარის გამგებლობაშია, რომლებიც მეფეთა ერთგული მსახურები იყვნენ. XII-XIII საუკუნეებში ისინი ერისთავთ-ერისთავებად იწოდებოდნენ. საერისთავოს ბირთვს, ძირითადად, ზემო აჭარა წარმოადგენდა, ამდენად, შუახეველები ყოველთვის მოვლენათა ცენტრში იყვნენ.

განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების, მისი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური დაწინაურების პერიოდია. აყვავებას განიცდის აჭარაც. მაღალმთიან აჭარაში, მათ შორის, შუახევის მუნიციპალიტეტში, თითქმის არ არსებობს სოფელი, სადაც არ იყოს აღრიცხული და ნაწილობრივ შესწავლილი ამ პერიოდის ნაქალაქარები, ნამოსახლარები, საფორტიფიკაციო კომპლექსები, ეკლესიები, საგზაო ნაგებობანი და ა.შ. მათი მშენებლობა, როგორც ეს სპეციალური კვლევის შედეგებმა ცხადყო, ძირითადად XI-XIII საუკუნეებზე მოდის.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, შუახევის „ქვეყანა" თავის თავზე განიცდის მთელ იმ სიმწარეს, რაც ჟამთა სიავემ ქართველ ერს დაატეხა. XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარაში ოსმალეთი იწყებს დამკვიდრებას. 1563 წელს, სულთნის ბრძანებით, აქ სანჯაყი დაარსდა. იგი შედიოდა ახალციხის საფაშოში და იყოფოდა ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიებად (რაიონებად). თანამედროვე შუახევის მუნიციპალიტეტი ზემო აჭარის ნაჰიეში იყო გაერთიანებული.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ახალციხის საფაშო გაუქმდა (მისი დიდი ნაწილი ახალციხითურთ გადაეცა რუსეთს). ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი აჭარა ტრაპიზონის ვილაეთს (შედგებოდა ლაზისტანის, ტრაპიზონის, ჯანიკის, გიუმიშ-ხანეს სანჯაყებისაგან) შეუერთეს. 1870-იანი წლებისთვის, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, თანამედროვე შუახევის ტერიტორია შედიოდა ლაზისტანის სანჯაყის (ცენტრით ბათუმში) ლაზისტანის საკაიმაკამოს ზემო აჭარის (ულია-აჭარა) კაზაში, ცენტრით ხულოში.

ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის არასდროს შეწყვეტილა. აჭარლებმა, სხვა სამხრეთელ ქართველებთან ერთად, მრავალჯერ მოაწყვეს დიდი აჯანყება სულთნის წინააღმდეგ (მაგ.: 1660-იან, 1690, 1737, 1774, 1815, 1840, 1843-44, 1846, 1855-56, 1859, 1875 და სხვა წლებში), რომლებშიც შუახეველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, მძაფრი წინააღმდეგობის გამო მარეთის ხეობას ოსმალებმა „ყარა-დერე" ანუ შავი ხეობა

უწოდეს, ხოლო 1790 წელს სოფელ ჯუმუშაურის მოსახლეობა მთლიანად გადაასახლეს აჭარიდან ეგვიპტეში, ქრისტიანული სარწმუნოების თაგანწირული დაცვის გამო.

ოსმალური პერიოდი უარყოფითად აისახა რეგიონის ეკონომიკურ-კულტურულ განვითარებაზეც. მაგ.: ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის 1872 წლის მოხსენებაში მითითებულია, რომ ზემო აჭარაში საერთოდ არ არის სკოლა. საინტერესოა, რომ მისი აღნიშვნით, ამ კუთხეში არის მაღალი ხარისხის თაფლი და განვითარებულია მეფუტკრეობა; მისივე თქმით, აქაური ფიჭვი საუკეთესოა მთელს დასავლეთ აზიაში, დიდი ზომებით გამოირჩევა მუხა და წიფელიც, მაგრამ უგზოობის გამო მათი გატანა მოუხერხებელია. პალგრევი ზემოაჭარლებს ახასიათებს, როგორც ფიზიკურად ლამაზ, მებრძოლ და შეუდრეკელ, ოსმალებისადმი მტრულად განწყობილ ხალხს.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარა, ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ დიდ ნაწილთან ერთად, რუსეთს გადაეცა. ამ მოვლენის უმთავრესი დადებითი მხარე ის იყო, რომ საქართველოს ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი.

1878 წლის (20 დეკემბრის განკარგულება) რუსული ადმინისტრაციული დაყოფით შუახევის თანამედროვე მუნიციპალიტეტის ტერიტორია შევიდა ბათუმის ოლქში და მოექცა აჭარის ოკრუგის ზემო აჭარის უბნის შემადგენლობაში. შემდგომშიც, მიუხედავად ბათუმის ოლქთან დაკავშირებით მიმდინარე ხშირი ადმინისტრაციული ცვლილებებისა, შუახევი ყოველთვის ზემო აჭარის უბანში ერთიანდებოდა, ცენტრით ხულოში.

რუსეთი ახალშემოერთებულ მხარეში საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, რაც ხშირად უარყოფითად მოქმედებდა ადგილობრივი მოსახლეობის ბედზე. მაგ., მუჰაჯირობის (მუსლიმი ქართველების გადასახლება ოსმალეთში) მწარე ხვედრი შუახევლებმაც გაიზიარეს და ბევრი მათგანი გადაიხვეწა სამშობლოდან.

რუსული მმართველობის პერიოდში აჭარა დიდი განსაცდელის წინაშე კიდევ ერთხელ პირველი მსოფლიო ომის დროს დადგა. ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ აქ შემოჭრილმა ოსმალურმა სამხედრო ნაწილებმა ააწიოკეს, ხოლო შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ აჭარლებს სახელმწიფო ღალატში დასდო ბრალი და მათი გასახლება მოინდომა. 1915 წელს, ღალატის ბრალდებით, ზემო აჭარაშიც დააპატიმრეს 192 კაცი, რომლებიც მირეკეს სოფ. ხიჭაურში, სადაც აღმართული იყო რამდენიმე სახრჩობელა. ორი კაცი ჩამოახრჩვეს კიდეც – თოფან თავდგირიძე ახალდაბიდან და შახველედ დიასამიძე ჩანჩხალოდან. დაპატიმრებები გრძელდებოდა. საშინელი ხვედრისაგან ბათუმის ოლქის მუსლიმი მოსახლეობა მთლიანი ქართული საზოგადოების ერთსულოვანმა პროტესტმა იხსნა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოსმალურთან შედარებით, რუსული მმართველობის პერიოდში ბევრად უკეთესი პირობები შეიქმნა აჭარის, და მათ შორის შუახევის, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

პირველი ქართული დაწყებითი სკოლა შუახევის მუნიციპალიტეტის ფარგლებში და ერთ-ერთი პირველთაგანი შიდამთიანი აჭარის მასშტაბით, გაიხსნა სოფ. ოლადაურში (შემდგომში პირველი შვიდწლიანი სკოლა შუახევის რაიონში) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით. ადგილობრივთა გადმოცემით, პირველი ზარი ამ სკოლაში 1915 წლის 1 ნოემბერს დაირეკა.

რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, შუახეველები აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმ სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესში, რასაც საქართველოში ჰქონდა ადგილი.

გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, აჭარაში ჩამოყალიბდა ხუთი მაზრა. აქედან ერთ-ერთი იყო ზემო აჭარის მაზრა (იგივე ხულოს), რომელშიც შედიოდა ახლანდელი შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. 1930 წელს მაზრები რაიონებით შეიცვალა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1952 წლამდე.

თანამედროვე შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ნებით თუ იძულებით, ჩართული იყო საბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენებში. იგი ვერ აცდა 1937-1938 წლების რეპრესიებსაც – მასობრივ დაპატიმრებებს, გადასახლებებს, დახვრეტებს. სხვადასხვა მიზეზით სამასამდე შუახეველი გახდა ამ სისხლიანი პერიოდის მსხვერპლი.

განსაკუთრებით მძიმე დაღი დააჩნია შუახევის მოსახლეობას მეორე მსოფლიო ომმა. 200-ზე მეტი აქაური იღებდა მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, აქედან – 7 ოფიცერი, დანარჩენი რიგითი და სერჟანტი. წარგზავნილთაგან 156 კაცი დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა. მხოლოდ 44 დაუბრუნდა მშობლიურ კერას, აქედან 17 – დაინვალიდებული. აღსანიშნავია, რომ ცნობილი „ჯვარცმული კუნძულის" – ტექსელის მოვლენებში მონაწილეობდა პაპოშვილებელი შოთა ფუტკარაძე, რომელიც 800 ქართველიდან გადარჩენილ 228 კაცს შორის აღმოჩნდა და უვნებელი დაუბრუნდა ოჯახს. II მსოფლიო ომში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის 44 შუახეველი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

დალხინებული ცხოვრება არც შინ დარჩენილებს ჰქონიათ. მეურნეობა სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა, რაც ადამიანებისაგან ძალების მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვდა. ზურგში გაწეული თავდადებული შრომისათვის 1100 შუახეველი იქნა დაჯილდოებული მედლებით.

შედარებით გაუმჯობესდა ვითარება ომისშემდგომ პერიოდში.

ცხოვრებისეულმა საჭიროებამ XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს დღის წესრიგში დააყენა შუახევის ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის საკითხი. გამოჩენილი ნიადაგმცოდნის, პროფესორ დიმიტრი გედევანიშვილის ხელმძღვანელობით, სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა და რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებში წარადგინა შუახევის რაიონის შექმნის პერსპექტიულ-ეკონომიკური დახასიათება-დასაბუთება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით, შეიქმნა შუახევის რაიონი, 20 დეკემბერს კი ჩამოყალიბდა შუახევის რაიონის სახალხო დეპუტეტთა საბჭოს აღმასკომი. აქედან იწყება მისი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის, ისტორია.

ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფამ დადებითად იმოქმედა შუახევის ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა ეს პერიოდი იმხანად მხოლოდ 10 წელიწადს გაგრძელდა. 1962-1963 წლებში, ხრუშოვის განკარგულებით, ჩატარდა საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზაცია. ამ კურსის შესაბამისად, 1962 წლის 5-10 დეკემბერს აჭარაში შეიქმნა ორი გამსხვილებული რაიონი – ქობულეთისა (ქობულეთ-ხელვაჩაურის ბაზაზე) და შუახევისა (ხულო-შუახევი-ქედის ბაზაზე). მალე ხულოს რაიონი გამოყვეს, როგორც მაღალმთიანი და 25 დეკემბერს შუახევის რაიონულ ცენტრში ჩატარებული დამფუძნებელი კონფერენციის გადაწყვეტილებით, შეერთდა მხოლოდ შუახევ-ქედის რაიონები. თუმცა, ეს ერთეულიც მალევე დაიშალა და 1962 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გაერთიანდა ხულოსა და შუახევის რაიონები ცენტრით ხულოში.

1964-1965 წლებში ვითარება შეიცვალა და გაუქმებული (შეერთებული) რაიონები აღდგენილ იქნა. 1965 წლის 5 ნოემბერს რაიონის აღდგენა შუახევის მოსახლეობამაც იზეიმა.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებით სახელმწიფოს სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. თანდათან დაიწყო ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პროცესი. 1991 წლის მარტში შეიცვალა რაიონული მმართველობის სტრუქტურები – გაუქმდა რაიონული საბჭოს აღმასკომი და მის ნაცვლად შემოღებული იქნა რაიონის პრეფექტურა. ცოტა მოგვიანებით, 1991 წლის აგვისტოში, გაუქმდა პარტიის შუახევის რაიკომიც. ამის შემდგომ რაიონის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

დამოუკიდებლობის აღდგენამ ხელი შეუწყო წარსულის უკეთ გააზრებას. დაიწყო წინაპართა სარწმუნოებისაკენ აქტიური შემობრუნება. შუახევში და, საერთოდ, მაღალმთიან აჭარაში, ხალხი მასობრივად ინათლება. წმინდა სინოდის 2006 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სხალთის ეპარქია, რომელშიც გაერთიანდა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები. 2008 წლის 10 ივნისს ეპარქიას ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც ხიჭაურის ყოფილი სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაც მოინახულა. გადაწყდა, აქ ამოქმედებულიყო უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც საპატრიარქო უპატრონებდა. მალე, შუახევის მოსახლეობის დიდი თანადგომითა და ხელშეწყობით, ხიჭაურის სასაზღვრო ნაწილის ტერიტორიის ბაზაზე საპატრიარქოსთან არსებული, **წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი** გაიხსნა, რომლის რექტორი დაარსების დღიდან არის სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე). ეს უნივერსიტეტი დღეს ქართული სულიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრადაა ქცეული შიდამთიან აჭარაში.



2006 წლიდან, თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, შუახევის რაიონს ეწოდა შუახევის მუნიციპალიტეტი.

შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის აღმშენებლობაში. თავისი წვლილი გაიღო მან ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლებშიც.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

შუახევის მუნიციპალიტეტს, ტურისტული თვალსაზრისით, საკმაოდ სერიოზული რესურსები გააჩნია, რაშიც მოიაზრება აქ არსებული მუზეუმები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, სახალხო დღესასწაულები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი და აქაურთა ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

მუზეუმები

მუნიციპალიტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს 3 მუზეუმი:

სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმი გაიხსნა 2003 წლის 1 ივლისს, განთავსებულია ნიგაზეულის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე (ფართობი – 65 კვ.მ). გამოფენილი არის უნიკალური ფოტომასალა, საყოფაცხოვრებო ნივთები, საბრძოლო იარაღები, ჩანაწერები, პუბლიკაციები და წიგნები, რომლებიც ასახავენ ხიმშიაშვილებისა და აჭარის სხვა ისტორიული მოღვაწეების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მათ დამსახურებას ქვეყნის წინაშე. მუზეუმთან ერთად მნახველს შეუძლია დაათვალიეროს ციხე-გალავანი და სელიმ ხიმშიაშვილის სასაფლაო-აკლდამა, რომელიც 2,4 კმ-ში მდებარეობს.

ოლადაურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა 1996 წელს სოფ. ოლადაურის 1984 წლიდან არსებული სასკოლო მუზეუმის ექსპონატების ბაზაზე. დღეს აქ მოქმედებს არქეოლოგიის, მხარეთმცოდნეობის, ფოლკლორის, ნუმიზმატიკის, ტოპონომიკის, ხალხური რეწვის, ხალხური მედიცინის სექციები. სულ გამოფენილი არის 182 ექსპონატი.

კვიახიძეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნა 1998 წლის 2 სექტემბერს. დარბაზში განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო, საოჯახო-საყოფაცხოვრებო, ნუმიზმატიკის, ჰერალდიკის, ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის, ისტორიული წყაროების (წერილები), ნივთიერი წყაროების (კერამიკა) განყოფილებები. აქ არის ბევრი ისეთი ექსპონატი, რომელსაც ვერ შეხვდებით აჭარის სხვა მუზეუმებში.

მოსახლეობაში შემორჩენილი მეურნეობისა და შინამრეწველობის ტრადიციული ფორმების შენარჩუნება-განვითარება, აქ არსებულ მატერიალური კულტურისა და ბუნების უმშვენიერეს ძეგლებთან კავშირში, კარგი სტიმული იქნება მუნიციპალიტეტში ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების დამკვიდრება-აყვავებისათვის.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები

ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლებია ოქროპილაურის (ყალაბოინის), დარჩიძეების (გოგოლაურის), ჭვანის (ტაკიძეების), ხიჭაურის (კავიანის) და ცინარეთის შუა საუკუნეების ციხეები, ციხესიმაგრის ნანგრევები ნიგაზეულში და თაღოვანი ხიდები ფურტიოსა და ჭვანაში, აგრეთვე, ხაბელაშვილები-ბრილის დახურული ხის 200-წლოვანი ხიდი. არსებობს მატერიალური კულტურის ბევრი სხვა, ნაკლებად გადარჩენილი ძეგლი. შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი შუა საუკუნეების (ძირითადად XI-XVII სს.-ის) საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველა სოფელში გვხვდება (ფურტიო, დარჩიძეები, ქაშვეთი, წაბლანა, მჭედლური ... სულ 50-ზე მეტი ნაეკლესიარი). შენდება ახალი ტაძრებიც, რომელთაგან განსაკუთრებით გამონათლევის წმინდა გიორგის ეკლესია უნდა აღინიშნოს.

ოქროპილაურის ციხე. ოქროპილაურის (ყალაბოინის) ციხე მდებარეობს მდინარეების – ჩირუხისწყლისა და უჩამბისწყლის (ღომას) შესაყარში. ნაგებობა დაშენებულია საკმაოდ მაღალ კლდოვან ბორცვზე და ზემოდან დაჰყურებს ხეობებზე გამავალ გზებს, რომლებიც ისტორიული შავშეთის, იმერხევისა თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებისაკენ მიემართება. ციხის გეგმა თვით რელიეფის თავისებურებითაა განპირობებული. მისი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი. მისი სრულყოფილი შესწავლა დღემდე არ მომხდარა. ზედაპირული დაზვერვების თუ სასინჯი მცირე თხრილების გავლების შედეგად, აღმოჩენილ იქნა მცირე არქეოლოგიური მასალა, რომელთა შორისაც ჭარბობს ქვევრების, დერგების, ქოთნების თუ სხვა ჭურჭლის ნატეხები, არის მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტებიც. ეს ნაგებობა დაახლოებით XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

დარჩიძეების ციხე. დარჩიძეების (გოგოლაურის, იგივე მთისუბნის) ციხე მდებარეობს მარეთის ხეობის მარჯვენა მხარეს, სოფ. დარჩიძეების განაპირა უბანში, მაღალ კლდეზე, ჩირუხისწყლის მარჯვენა მხარეს. ამ ადგილს ძველად გოგოლაური ეწოდებოდა, ახლა მთისუბანსაც ეძახიან. ციხე აღმართულია აქ აზიდულ სამმხრივ მიუვალ უზარმაზარი კლდის სამი მასივიდან შუათანაზე. მას წაგრძელებული ტრაპეციის ფორმა აქვს. ერთადერთი მისადგომი ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონდა. ციხის მთლიანი ფართობი 190 კვ.მ-ს შეადგენს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ თავდაპირველად ციხე აღუმართავთ XII-XIII სა-

უკუნეებში. დანგრევის შემდეგ გვიან შუა საუკუნეებში ისევ აღუდგენიათ. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორ-ორი მარანი და თონე. ერთ-ერთ მარანში ხუთი ქვევრია ნაპოვნი.

დღესდღეობით შედარებით კარგადაა შემორჩენილი ამ ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი, რომლის სიგრძე შეადგენს 9,8 მეტრს, სიმაღლე (შიგნითა მხრიდან) კი – 8,2 მეტრს, კედლის სიმაღლე გარედან გაცილებით მეტია და შეადგენს 11,2 მეტრს. კედლის ქვედა ნაწილში შემორჩენილია სამი სათოფური. ციხის გალავნის სხვა კედლები ჩვენამდე ცუდადაა მოღწეული.

დარჩიძეების (მთისუბნის) ციხე ნაგებია ფლეთილი ქვებით. სავარაუდოა, რომ ეს ქვები იქვე, მახლობლად მდებარე კლდეებიდან არის ჩამოტეხილი. რაც შეეხება სადუღაბე კირს, შორიდან მოტანილი არც ის უნდა იყოს, რამდენადაც იქვე, სოფლის ტერიტორიაზე არსებობდა საკირე.

ჭვანის ციხე. ჭვანის (ტაკიძეების, იგივე ოთოლთის) ციხე აღმართულია მდ. ჭვანისწყლისა და მის მარცხენა შენაკად ოთოლთის წყლის ხერთვისში, წინ წამოწეული მთავარანგელოზის მთის წვერზე. ადგილობრივი მოსახლეობა მას ციხიყელსაც უწოდებს. ციხიდან ოთხივე მხრივ კარგად ჩანს ვრცელი ტერიტორია 25-30 კმ-ის მანძილზე. ფიქრობენ, რომ იგი აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემაში მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და გადამწყვეტ როლს თამაშობდა ამ ხეობის დაცვის საქმეში. ციხის ფართობი 936 კვ.მ.-ს შეადგენს (უდიდესი სიგრძე – 52 მ, სიგანე – 18 მ).

რთული რელიეფის გამო, ციხის წყლის უზრუნველყოფა ძნელი იყო, ამიტომ მშენებელთ ორი რეზერვუარი აუგიათ წვიმის წყლის დასაგროვებლად. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე ორი მარანი და ოთხი თონე.

ასევე უნდა ითქვას, რომ ჭვანის ციხე, ერთი მხრივ, პირდაპირ უცქერის ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის ხეობების შესართავთან ხერთვისში არსებული კავიანისა და, მეორე მხრივ, ქვემო და ზემო აჭარის საზღვარზე არსებულ დანდალოს ციხეებს, რომლებიც, თავის მხრივ, აჭარისწყლის ხეობის ციხეთა ერთიანი სისტემის საკმაოდ მსხვილი ერთეულებია. ჭვანის ციხის ბუნებრივად უკეთ გამაგრებულ მხარეებს მისი აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები წარმოადგენს. მათგან აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები ფრიალო კლდით მდ. ჭვანისწყლამდე ეშვება. რაც შეეხება დასავლეთ მხარეს, მას ძირითადად დუღაბითა და ფლეთილი ქვით ნაგები მაღალი კედლები იცავს.

ხიჭაურის ციხე. ხიჭაურის, იგივე კავიანის ციხე მაღლობიდან გადმოჰყურებს მდინარე აჭარისწყლის ხეობის მაგისტრალს, მდებარეობს აჭარისწყლის მარცხენა მხარეზე, კავია-

ნის სერზე, ხიჭაურის პირდაპირ, მდინარეების ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის შესაყარის ქვემოთ. ციხის სანახებიდან იშლება ჭვანის ხეობის ხედი.

კავიანის ციხე ორი განყოფილებისაგან შედგება. პირველის ფართობია 50 კვადრატული მეტრი. მისი კედლის სიგრძეა 6,7 მეტრი, ხოლო სიმაღლე (შიდა მხრიდან) მერყეობს 12-13 მეტრს შორის, კედლის სისქე ერთ მეტრს შეადგენს, ჩვენამდე მოღწეული ფოსოების მიხედვით იგი შეიძლება ყოფილიყო რაღაც დანიშნულების სათავსო. აქ მხოლოდ ორი სარკმელია დატანებული (ქვედა ნაწილი). ციხის მეორე განყოფილებაში (რომლის ფართობია 112 კვადრატული მეტრი) კარგადაა შემორჩენილი ჩრდილოეთის კოშკი, რომელიც არაწესიერი მართკუთხედის ფორმისაა და სავარაუდოდ, სამი სართულისაგან შედგებოდა. კოშკის ფართობი 7 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ჩაყოლებულია სარკმლები. ციხე უმთავრესად ნაგებია ფლეთილი ქვით, მაგრამ შიგადაშიგ გვხვდება რიყის ქვებიც.

ნიგაზეულის ციხე-გალავანი. აჭარის გვიანი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეთა შორის ყველაზე უფრო გვიანდელია სელიმ ხიმშიაშვილის (1755-1815 წწ.) ნიგაზეულის ციხე-გალავანი. იგი მდებარეობს ქუფთაღელის სერზე, რომელსაც სხვანაირად ბედენსა და ნაბეგვარსაც ეძახიან. გალავანი სწორკუთხედს მიაგავს, რომელშიც დატანებულია ექვსი კოშკი 3-3,2 მეტრს შორის. გალავანის კედლის მაქსიმალური სიმაღლე 7,20 მეტრია, სისქე – 1,70 მეტრი, რამდენადმე ვიწროა კოშკის კედლები. გალავანს შესასვლელი უნდა ჰქონოდა როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთიდან. როგორი, ან რა ადგილას იყო ჩრდილოეთის კარი, არ ვიცით, რადგან ეს მხარე გალავანს მთლიანად მონგრეული აქვს. ციხე-გალავანი ნაგებია ფლეთილი ქვებით. წყობა ლამაზი და ჰორიზონტალურია.

ციხე-გალავნის ეზოს შუაში, შემაღლებულ ადგილას, მდგარა სელიმის ორსართულიანი სასახლე, რომლის ქვემო ნაწილი ქვის ყოფილა, ხოლო ზემო – ხისა, სელიმის სიკვდილის შემდეგ მისი სასახლე, გადმოცემით, ოსმალებს დაუწვავთ. შემდეგ აქ ჯამე აუშენებიათ. ამჟამად ციხე-გალავნის შიგნითაა მოთავსებული ყველა სასოფლო დაწესებულება.

ფურტიოს ხიდი. ფურტიოს თაღოვანი ხიდი მდებარეობს ამავე დასახელების სოფლისა და სხალთისწყლის ხეობის დასაწყისში. ხიდი სხალთისწყლის ხეობის ძველ გზებს აჭარისწყლის ხეობაში გამავალ ცენტრალურ ტრასასთან აკავშირებდა. ფურტიოს ხიდზე გავლით სხალთის ხეობიდან ზღვისპირეთისაკენ (ბათუმისაკენ) მიემართებოდა უმოკლესი საქარავნი გზა, რომელიც არტაანიდან და ახალციხიდან მოემართებოდა. ხიდმა ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია. მონგრეული აქვს მისასვლელები. ძირითადი ნაწილის სიგრძე 13,5 მეტრია, სიგანე ნაპირებზე – 2,35 მეტრი, ხოლო თავბანდთან – 2,20 მეტ-

რი. მალი – 9,80 მეტრია, ისარი – 4,40 მეტრი. ხიდი ნაგებია ფლეთილი ქვებით. მას მოაჯირის და ლავგარდანის კვალი არ ამჩნევია.

ფურტიოს ხიდის საინტერესო აღწერილობას გვაძლევს თედო სახოკია. იგი წერდა: „მდინარის ორივე ნაპირს ქვის კამარიანი ხიდი აერთებს. თავი და ბოლო ამ ხიდისა დაჟრდნობილია კლდიან ნიადაგზე. ასე, რომ ეს ბუნებრივი საფუძველი ადლ-ადლნახევრის სიმაღლეზეა წყალს მოშორებული. ამით უნდა აიხსნას, რომ აქამდე სრულად უზიანოდ დგას ეს ძველი დროების ნაშთი. შუა წელი ამ ხიდისა ორი მტკაველის სისქე თუღაა, მაგრამ ქვა და კირი ისე შედუღებია ერთმანეთს, რომ ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს. მისი მშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბევრ ახლანდელ ინჟინერს აწურვინებს ოფლს.” ეს დახასიათება აჭარაში არსებულ ქვის ყველა თაღოვან ხიდს კარგად მოერგება.

ჭვანის ხიდი. ჭვანის ხიდი აგებულია ბარათაულის წყალზე, რომელიც სოფ. ჭვანასთან ერთვის ჭვანისწყალს. მას ვარჯანაულის ხიდსაც უწოდებენ. იგი სელიმ ხიმშიაშვილის მეუღლეს – ელმას სურმანიძე-ხიმშიაშვილისას აუგია 1780 წელს თავისი მზითევის ხარჯით. ელმასი წარმოშობით აქაური იყო, სოფელ ჭალიდან. ასეთი ტიპის ნაგებობა ხეობაზე გამავალი გზის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ხიდი ყურადღებას იქცევს თაღის ქვების ნახევარწრიული, შესანიშნავი პროპორციულობის მქონე წყობით. ადგილი აქვს განიერი და ვიწრო პარალელური რიგების მონაცვლეობას. ასეთი წყობა ქვებისა აჭარის არც ერთ სხვა ხიდზე არ გვხვდება. მისი საშუალებით ხუროთმოძღვარმა შედარებით უფრო მოხდენილი, ლამაზი ნაგებობა მიიღო.

სახალხო დღესასწაულები

შუახეველებმა შრომისა და გარჯის შემდეგ დასვენება და გართობაც კარგად იციან. ამაზე ნათლად მიუთითებს ის სახალხო დღესასწაულები, რომლებიც შუახევის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება ადგილობრივი ძალებით. **„შუამთობა", „სელიმობა", „სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული", „მარეთობა", „ჭვანელობა", „გომარდულობა"** და სხვა – აი, არასრული სია სახალხო ზეიმებისა. გარკვეული მიზეზების გამო, უკანასკნელ წლებში ზოგიერთი მაგანი აღარ ტარდება, თუმცა, ეს დროებითი მოვლენაა და უახლოეს მომავალში კვლავ მოხდება მათი აღდგენა. სახალხო დღესასწაულები მნიშვნელოვანი გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებებია. ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის გაზრდაში მათ საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

„შუამთობა". სახალხო დღესასწაული „შუამთობა" ყოველწლიურად იმართება აჭარის მთიანეთში სამთო-საიალაღო სეზონის შუა პერიოდში, **აგვისტოს პირველ კვირას**. იგი შორეული წარსულიდან მოდის და მთის უპირველესი სახალხო, ყველაზე მასობრივი და მიმზიდველი დღესასწაულია, სადაც მთელი სიცხადით წარმოჩნდება აქაურთა ყოფა და კულტურა, ტრადიციები, შემოქმედებითი ნიჭი, ზნეობრივი სისპეტაკე, ერისა და ქვეყნის სიყვარული.

დღესასწაულს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა, ზოგან „მემხლიანობასაც" უწოდებდნენ. ეს ტერმინი მოდის სიტყვიდან „მხლე"/„მემხლე" (მხლებელი). ეს იყო მამაკაცი, რომელიც სადღესასწაულოდ მთაში მიმავალ ქალს ან ქალთა ჯგუფს ახლდა. ხოლო ქალს, რომელსაც ასეთი მხლებელი (მხლე/მემხლე) ახლდა, „მემხლეანი"/„მემხლიანი" ეწოდებოდა. აქედან – „მემხლიანობა". საბოლოოდ, მტკიცედ დამკვიდრდა სახელი „შუამთობა".

შუამთობის დღესასწაული შიდამთიანი აჭარის ტრადიციულ სამეურნეო დარგს – მეცხოველეობას უკავშირდება. ზაფხულობით აქაური მოსახლეობა 3-3.5 თვით პირუტყვს აჭარა-გურიის, არსიანისა და შავშეთის ქედების სუბალპურ ზონაში, საზაფხულო იალაღებზე მიერეკება, სადაც მოწყობილი აქვთ საცხოვრებელი ბინები და პირუტყვის სადგომები. მწყემსავენ პირუტყვს და ზამთრისათვის აგროვებენ რძის პროდუქტებს (კარაქი, ყველი, ნადუღი და მისგან დამზადებული ყურუთი). იალაღებზე პირუტყვს ძირითადად ოჯახის ასაკოვანი წევრები მიჰყვება, მათ „მემთეურებს" (მემთეური, მთაში მყოფი) ეძახიან. დასასვენებლად და დამხმარეთ მიჰყავთ აგრეთვე ბავშვებიც.

სოფლად დარჩენილი მოსახლეობა „მემთეურობის" სეზონის შუა პერიოდში მასობრივად მიდის მთაში. ამის საფუძველი თავიდანვე იყო „მემთეურის" მიერ დაგროვებული რძის უხვი პროდუქტების (კაიმაღი, ნადუღი და სხვ.) გადამუშავებაში მონაწილეობის მიღება (კაიმაღის შედღვება და კარაქის მიღება, ნადუღის მჭადის ფქვილში და კაიმაღში მოდუღება და ყურუთის დამზადება, მარეთის ხეობის ზონაში – ყველის „მოშუშება" და სხვ.). სწორედ ამ დროს ტარდება „შუამთობის" დღესასწაული.

შუამთობის მონაწილეები, სამეურნეო საქმიანობისაგან თავისუფალ დროს, მთელი 3-5 დღის განმავლობაში, ნამდვილ სახალხო ზეიმს აწყობენ. სტუმრობენ ერთმანეთს, მართავენ წვეულებებს, მასობრივ თამაშობებს, მარულას (დოდი), ხარების, ყოჩების, მამლების ორთაბრძოლებს, შეჯიბრებებს ცეკვა-სიმღერაში, ლექსის თქმასა და შაირობაში, ცხენჯოგარდობაში, ლახტში, ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევასა და ბაგირის გადაწევაში. ღამღამობით მხიარულება კოცონების გარშემო გრძელდება. ხშირად იმართება ქორწილები და ნიშნობები. ტრადიციულად, შუამთობაზე მიჰყავდათ საპატივცემლო ნათესავები და სტუმრები, მათ შორის ახლადდანიშნული ან მოყვანილი პატარძალი და მისი ახლობლები.

ოდითგანვე შუამთობა იყო აგრეთვე ქალ-ვაჟთა გაცნობის, სიყვარულის გამხელისა და „ელჩობა-დაწინდვის" დრო და საშუალება.

ბოლო დროს შუამთობა გამდიდრდა თანამედროვე ნიუანსებით. ზეიმს სტუმრობენ მუნიციპალიტეტის, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, შემოქმედებითი ინტელიგენცია, მხატვრული დასები, სპორტსმენები.

შუახევში მთავარი ოფიციალური შუამთობის დღესასწაულები იმართება გომისა და ჩირუხის მთებში (გომის მთაში დადის ჭვანისა და წყალსაყრის, ჩირუხში – შუბნის, ნაწილობრივ, უჩამბის, დღვანისა და ოლადაურის მოსახლეობა). შუამთობები იმართება აგრეთვე ღომას, სანალიას, მაწყვალთის, დღვანის, ნაცარას, თეთრბაკის, მერიაყელის, გძელგორის, კატრიანის, შედრეკილის, კიკიბოს, ჯანჯღნარის, თეთრობის მთებში, სადაც დადის: უჩამბის, ოლადაურის, დღვანის ზამლეთის, ოქროპილაურის, ბარათაულის, ჭვანის მოსახლეობა.

შუამთობის დღესასწაულს დიდი პოტენციალი გააჩნია, როგორც ტურისტულ პროდუქტს. სხვა სახალხო დღესასწაულებთან ერთად, იგი განსაკუთრებით საინტერესო იქნება შემეცნებითი, სათავგადასავლო და ეთნოგრაფიული ტურიზმის მოყვარულთათვის.

„სელიმობა". 2006 წლის 3 ივნისს, გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის, სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250 წლის შემდეგ, ადგილობრივთა ინიციატივითა და ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ბაკი-ბაკოში საფუძველი ჩაეყარა სახალხო დღესასწაულს **„სელიმობა"**.

დიდია სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს გამოხსნა-აღდგენის საერთო ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეში. შესაბამისად, მისი ხსოვნისადმი პატივის მისაგებად დაარსებული სახალხო ზეიმი ქართული სულის ზეიმად გადაიქცა.

„მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსაც დავუტოვებ" – ასე განუცხადა სიკვდილით დასჯის წინ თურქებს აჯანყებულ ქართველთა ბელადმა (1815 წლის 3 ივნისი) და მომდევნო თაობებისათვის ეს სიტყვები მართლაც იქცა სამოქმედო დევიზად.

2007 წლიდან, ტრადიციულად 3 ივნისს, „სელიმობა" იმართება შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიგაზეულში, ხიმშიაშვილების საგვარეულო ციხე-გალავანში. დღესასწაულს დიდძალი ხალხი ესწრება, ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ ზეიმის მონაწილეები ფეხით გაივლიან ხოლმე საკმაოდ გრძელ გზას ციხე-გალავნიდან **წყანიშურამდე,** სადაც სელიმის მეუღლის, ელმას ხანუმ სურმანიძე-ხიმშიაშვილის ნებით ღირსეული მამულიშვილი დაკრძალეს. სელიმის საფლავს ამშვენებს ბუნებრივად ამოსული, ერ-

თმანეთთან შეზრდილი ასწლოვანი ნაძვი და მუხა. ნაძვი ჩვენი მარადიულობის სიმბოლოა, მუხა – ძლიერებისაო, ამაყად მიუთითებენ აქაურები.

„სელიმობის" დღესასწაული მიმზიდველი სანახაობაა. მასში მონაწილეობა სასურველია ნებისმიერი ქართველისათვის. რაც შეეხება უცხოელ ტურისტისტებს, მათთვის იგი ქართული სულისა და ისტორიის შემეცნების კარგი საშუალებაა.

„სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული". შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში ოდითგანვე მრავლად იყვნენ სახალხო მთქმელები, მომღერალ-მოცეკვავეები და ბერიკები, ხალხური საკრავების (ჭიბონი, ფანდური) დამზადებისა და მათზე დაკვრის ოსტატები. მათ გარეშე ქორწილი, შუამთობა, სხვა რაიმე წვეულება თუ ღონისძიება არასოდეს ჩატარდებოდა.

შუახევში ადმინისტრაციული რაიონის გახსნის შემდეგ ხალხურ შემოქმედებას უფრო მეტი ყურადღება დაეთმო. დაიწყო პირველი ანსამბლების ჩამოყალიბება. აქაური მხატვრული კოლექტივები და შემსრულებლები საოლქო, რესპუბლიკური და საკავშირო ღონისძიებების, ფესტივალების მონაწილეები და ლაურეატები ხდებოდენ. რაიონში არ იყო ხეობა, საბჭო თუ სოფელი, რაიმე ფორმით ხალხური შემოქმედება რომ არ ყოფილიყო განვითარებული.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან დაბა შუახევისა და სოფ. დღვანის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, აგრეთვე სხვა კოლექტივები, საუკეთესოთაგანი იყვნენ აჭარის მასშტაბით. ყოველწლიურად ტარდებოდა რაიონული დათვალიერებები, რომელშიც ყოველთვის 30-ზე მეტი კოლექტივი და 500-ზე მეტი მონაწილე გამოდიოდა. ყოველივე ამან განაპირობა, რომ 1984 წელს რაიონში ჩატარდა **სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული,** რაც პირველი შემთხვევა იყო საქართველოში. აქედან მოყოლებული, ყოველწლიურად ტარდებოდა ეს ღონისძიება და მან ტრადიციული ხასიათი მიიღო.

პირველად დღესასწაულზე მხოლოდ ხალხური შემოქმედება, ფოლკლორი წარმოჩნდებოდა. ყველა სასოფლო საბჭო თუ მხატვრული კოლექტივი აწყობდა თავის კუთხეს, აჩვენებდა საკუთარ ხელოვნებას. დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონის, აგრეთვე ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები.

შემდგომში დღესასწაულის ნაწილად იქცა და ტრადიციად დამკვიდრდა კუთხისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა რიტუალისა და წესჩვეულების ჩვენება, ეთნოგრაფიული ყოფისა და კულინარიული ხელოვნების დემონსტრირება. განსაკუთრებით დაიხვეწა და საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა აჭარული ქორწილის იმიტაცია. დღესასწაული გამოირჩეოდა ხალხმრავლობითაც – მას ათასობით მონაწილე და მაყურებელი ესწრებოდა. სიმღერისა და ცეკვის დღესასწაული იყო და რჩება ტრადიციების შენარჩუნების, მეგობრობისა და სიყვარულის ზეიმად. ის ხელს უწყობს ხალხური შემოქმედების აღმავლობას, ფოლკლორის ძიებასა და პოპულარიზაცის.

უკანასკნელ ხანებში „სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულს" **„ფოლკლორის დღესასწაული – შუახევობა"** უწოდეს, რაც უფრო სრულყოფილად გადმოსცემს მის შინაარსსა და ხასიათს.

„მარეთობა". "მარეთობა" მარეთის ხეობის სახალხო დღესასწაულია, რომელიც 2005



წელს დაფუძნდა. ამ წლის 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, საზეიმოდ აკურთხეს ხეობის შუაგულში – გამონათლევში აგებული წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. ეს დღე სახალხო დღესასწაულის – „მარეთობის" დღედაც მოინათლა. დღესასწაულის გახსნას წინ უძღოდა მასობრივი ნათლობა.

„მარეთობა" ხეობაში შემორჩენილი ხალხური შემოქმედების, თამაშების, ტრადიციების, სპორტული შეჯიბრებების აღორძინება-დამკვიდრების საშუალებად გადაიქცა. დღესასწაულს დიდძალი ხალხი ესწრება როგორც აჭარიდან, ისე საქართველოს სხვა კუთხეებიდან. ტარდება ნათლობები, სხვადასვა სანახაობრივი და სპორტული ღონისძიებები.

„მარეთობის" ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობს საზოგადოება "მარეთი".

„ჭვანელობა". ჭვანის ხეობა ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი მშვენიერი ბუნებითა და ძირძველი ტრადიციებით. 2007 წლის 18 ნოემბერს, ადგილობრივთა ინიციატივითა და მონდომებით, სათავე დაედო სახალხო დღესასწაულს **„ჭვანელობა",** რომელიც აქაური წეს-ჩვეულებების, საქმიანობის, მიღწევების წარმოჩენისა და სხვებისათვის გაზიარების ლამაზ საშუალებად გადაიქცა.

პირველი საზეიმო შეკრება ამაღლებული განწყობით დაიწყო. კოკობილის გორზე, რომელიც კარგად მოჩანს მთელი ხეობიდან და მეზობელი ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებიდანაც, ჯვარი აღიმართა და ეკურთხა, ჩატარდა მასობრივი ნათლობა. ეს განწყობა შემდგომ წლებსაც გადაწვდა.

„ჭვანელობა", როგორც ყველა სახალხო ზეიმი, ხალხმრავლობითა და სტუმრიანობით გამოირჩევა. ხეობის ყოველი სოფელი ცდილობს თავისი თავის წარმოჩენას, სტუმრების მოფერება-გამასპინძლებასა და გაოცებას. ეწყობა ეთნოგრაფიული გამოფენები, გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

„გომარდულობა". წელიწადის ყველა დროს მშვენიერია და მიმზიდველი მთას შეფენილი სოფ. გომარდული. 2006 წლის აგვისტოში აქ პირველად მოეწყო საზეიმო შეკრება სოფლის დაარსებიდან 350 წლისთავის აღსანიშნავად. შემდგომ წლებში **„გომარდულობა"** ტრადიციულ სახალხო დღესასწაულად დამკვიდრდა.

ზეიმზე უამრავი სტუმარი იყრის თავს. სოფელი მათ გულთბილ მასპინძლობას უწევს. სიტყვით გამოსვლები, სიმღერა, ცეკვა-თამაში, ქართული სუფრის სიუხვე – ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ საოცარ სილამაზეს ანიჭებს ამ დღეს. აქვე თუ გავიხსენებთ გომარდულის საზამთრო-სპორტულ კომპლექსს, დავრწმუნდებით, რომ ამ პატარა სოფელს მნიშვნელოვანი ტურისტული რესურსები გააჩნია.

საკურორტო-რეკრეაციული რესურსები

შუახევის მუნიციპალიტეტი თავისი ისტორიული წარსულით, რელიეფით, კლიმატით, თვალწარმტაცი ბუნებით, მოსახერხებელი გზებით ხელსაყრელია სამთო-კლიმატური კურორტების, საზამთრო-სპორტული ბაზების, აგრო, ეკო, სასოფლო, სათავგადასავლო და შემეცნებითი ტურიზმის განვითარებისათვის.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, მთის ჯანსაღი ჰაერი, დიდთოვლიანი ზამთარი, თბილი ზაფხული, მაღალ ზონაში ხშირი წიწვოვანი, დაბალ ზონაში შერეული და ფოთლოვანი ტყეები, ანკარა ცივი წყაროები, ღელეები და მდინარეები, მინერალური და სამკურნალო წყლები, მოსახლეობის გულღიაობა და სტუმართმოყვარეობა, მდიდარი ფოლკლორი და სიძველეები, ადგილზე მოყვანილ-დამზადებული ყუათიანი პროდუქტები და კერძები ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზაფხულ-ზამთრობით აქაური საკურორტო ადგილების ინტენსიური გამოყენებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიების ჩატარებისათვის.

კურორტი გომარდული. გომარდული მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტის ბარათაულის საკრებულოში. ნაღვარევისწყლის შენაკად ვანისწყლის მარცხნივ, ღორექედის სერის დასავლეთ კალთაზე. სოფელს აღმოსავლეთით ესაზღვრება წანკალაური და თერნალი, სამხრეთით – წყაროთა და ჭალა, ჩრდილოეთით – ბარათაული, დასავლეთით ვანისწყლით გამოიყოფა ზემოხევისაგან.

მანძილი ქ. თბილისამდე ბათუმი-რიკოთის გავლით – 472, გოდერძის უღელტეხილით ახალციხე-ბორჯომის გავლით კი 247 კმ-ია; რაც შეეხება მანძილს ხიჭაურამდე, ბარათაული-ჭვანას გავლით 18, ხოლო ღორექედი-სხეფი-შუახევის გავლით 7.5 კმ-ია.

სოფლის ცენტრი ზღვის დონიდან 1080 მეტრზე მდებარეობს. ჰავა ზომიერი და რბილია. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა +22+27 გრადუსია, ზამთრისა – +5-7 გრადუსი, ზოგჯერ კი -10-15 გრადუსამდეც ეცემა. ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში 900-დან 1400 მმ-მდე მერყეობს. ზამთრობით აქაურობა უხვთოვლიანობით გამოირჩევა. თოვა იწყება ნოემბერში და თოვლი აპრილის დასაწყისამდე დევს, მისი საფარის სიმაღლე ზოგჯერ 2-3 მეტრია. თოვლის ტენიანობა ცვალებადია: მშრალი და ფიფქოვანია ნოემბერ-იანვარში, ხოლო თებერვლის შუა რიცხვებიდან, დათბობის შედეგად, ტენიანდება.

სოფელი მდიდარია წყაროებითა და ჩამონადენი ღელეებით. თოვლის დნობისა და წვიმებისას, სოფლის თავში, წყაროპირის ტაფობში, ჩნდება ბუნებრივი ტბა. აქვე ახლოსაა ბაბანურისა და ბრტყელიას მინერალური წყლები.

სოფელში მოჰყავთ სიმინდი, სხვადასხვა ბოსტნეული, ბაღჩეული და ხილი, მრავლადაა კაკლის ხეები; ყველა ოჯახს ჰყავს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ბევრი მისდევს მეფუტკრეობას.

სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, მაღაზია. ღორექედზე დგას სატელევიზიო და ფიჭური სატელეფონო ქსელის ანძა.

სოფლისა და მისი შემოგარენის რელიეფი, ჯანსაღი ჰავა, ზომიერი კლიმატი, მდიდარი მცენარეული საფარი და შესანიშნავი ხედები ხელსაყრელ პირობებს ქმნის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ზამთარ-ზაფხულ ინტენსიური ფუნქციონირებისათვის და სამთო კურორტის მოწყობისათვის.

2005 წლის ზამთარში გომარდულში პირველად ჩატარდა საცდელი სპორტულ-ტურისტული ღონისძიებები. მათში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის წარმომადგენლებმაც. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაური ბუნების სილამაზემ.

ინტენსიური ხასიათი გომარდულის ტურისტულ ათვისებას 2007 წლიდან მიეცა. იგი, როგორც მომავალი საზამთრო სპორტული ბაზა და პერსპექტიული სამთო კურორტი, მოექცა ხელისუფლების, მედიის, ბიზნესმენებისა და სპორტსმენების ყურადღების არეში. გაკეთდა პირველი კოტეჯები სპორტსმენების მისაღებად, შემოიზიდა სათანადო ინვენტარი და აღჭურვილობა, ამოქმედდა სათხილამურო ბაგირგზა. მოსახლეობამ დაიწყო სახლების კომფორტულად მოწყობა სპორტსმენებისა და ტურისტების მისაღებად.

გომარდულის ბუნებრივ მონაცემებთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ აქაურთა სტუმართმოყვარეობას, მეტად საინტერესო ფოლკლორულ თვითმოქმედებას, ტრადიციული გამოყენებითი და დეკორაციული ხელოვნების დარგების არსებობას, ადგილზე მოწეულ და დამზადებულ მრავალფეროვან, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, ყუათიან და გემრიელ კერძებს და ეთნოგრაფიული ხასიათის სხვა თავისებურებებს, – გომარდულს ნამდვილად შეუძლია საინტერესო ადგილად გადაიქცეს ტურისტებისათვის.

საკურორტო ადგილი ვანი. ვანი მდებარეობს მესხეთის ქედის განშტოების ნაცარატინტეს სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთაზე, მდ. ბარათაულის წყლის (მდ. ჭვანისწყლის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, შუახევიდან 24 კმ-ის, ხოლო ბათუმიდან 91 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1440 მ, რელიეფი – მთაგორიანი.

მიკრო-რაიონისათვის დამახასიათებელია საშუალო მთის (ქვედა სარტყელი), ზომიერად ნოტიო კლიმატი. ზამთარი ზომიერად ცივია და უხვთოვლიანი, გრძელდება დეკემბრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე, მდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1,3 C. ზაფხული გრილია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 19,9 C. ნალექების წლიური რაოდენობა 1350 მმ-ია, ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%, მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი. ძირითადად გავრცელებულია ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და მინერალური წყალი „ბაბანური", რომელიც წარმოადგენს კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმიან, ტუტე წყალს, საერთო მინერალიზაციით 0,3-0,4 გ/დმ^3. მკურნალობის ფორმები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.



საკურორტო ადგილი ჩირუხი. საზაფხულო იალაღი და ადგილობრივი მნიშვნელობის სამთო-ბალნეოლოგიური საკურორტო ადგილი ჩირუხი ეკუთვნის შუბნის თემს, განფენილია მდინარე ჩირუხისწყლის სათავეებში. აღმოსავლეთიდან მას აკრავს არსიანის, სამხრეთიდან – შავშეთის, ჩრდილოეთიდან – სხალთის ანუ შამბალეთის საშუალო სიმაღლის მთები. ჩირუხი ქ. ბათუმიდან დაშორებულია 115.5, ხოლო შუახევიდან – 41.5 კილომეტრით.

რელიეფის თავისებურების გამო შავი ზღვიდან წამოსული თბილი და ტენიანი ჰაერის მასებს არ ეძლევა საშუალება შეაღწიოს შუბან-ჩირუხის ტერიტორიაზე. ამ მიზეზით აქ ნალექების რაოდენობა ყველაზე ნაკლებია მთელს აჭარაში და საშუალოდ 1000-1200 მმ-ს

უდრის. წვიმიანობა იცის გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე. სხვა მსგავს ადგილებთან შედარებით ჩირუხი ნაკლებთოვლიანია. თოვა იწყება ნოემბრის ბოლოს და მარტამდე გასტანს. თოვლის საფარის სიმაღლე შუბნის ტერიტორიაზე საშუალოდ 0.5-1 მეტრია, ჩირუხში კი 1.5–2 მეტრამდე აღწევს. ზაფხულში საშუალოდ +18+25 გრადუსი სითბოა, ზამთარში -7-15 გრადუსი სიცივე.

საკმაოდ მდიდარია ჰიდროქსელი. არსიანის ქედიდან, აჭარის ყველაზე მაღალი მწვერვალის – ყანლის ანუ კენჭიანის (2992 მ.) დასავლეთ ფერდობიდან, სათავეს იღებს ჩირუხისწყალი, რომელიც უამრავ დიდ და პატარა შენაკადს იერთებს. მათ შორის აღსანიშნავია ტომაშეთისწყალი და ლელვანისწყალი. არის მცირე ზომის ტბები: გასალიანი, ყარაფუღარი, ჯირეკა (მასში არის თევზი). დავაკებებზე გვხვდება ჭაობები. ბევრია ცივი და კამკამა წყარო. ტომაშეთისწყლის ხეობასა და სხვა ადგილებში გამოედინება სამკურნალო მინერალური წყალი.

ჩირუხისწყლის ხეობა მთლიანად დაფარულია ხშირი ტყეებით. ტომაშეთ-წელათამდე, ძირითადად, ფოთლოვანი ტყეა, შემდგომ იწყება წიწვოვანი ტყის მასივები, რომელიც ვრცელდება სუბალპურ ზონამდე – 1750 მეტრამდე (აქაა ცნობილი სამეურნეო დანიშნულების ლელვანის ტყეები).

ტყე მდიდარია გარეული ცხოველებით: დათვი, მგელი, მელა, ტურა, კურდღელი, შველი, ირემი, გარეული ღორი, არჩვი, ტყის ქათამი, ორბი, არწივი. ჩირუხისწყლის სათავესა და მის შენაკადებში არის კალმახი. აგრეთვე, უხვადაა სოკო, მოცვი, მაყვალი, სხვა გარეული ხილი და სამკურნალო მცენარეები.

მთის ზომიერი, მშრალი, ოზონითა და ტყის სურნელით გაჟღენთილი ჯანსაღი ჰაერის გამო, ჩირუხის ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა, სეზონურ საძოვრებთან ერთად, ოდითგანვე იყენებდა საკურორტო-რეკრეაციული მიზნით. საბჭოთა პერიოდში, 1975 წლიდან, მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა ბანაკი, სადაც ზაფხულობით აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობა ისვენებდა. 1990-იანი წლებიდან დაიწყო სააგარაკო კერძო კოტეჯების მშენებლობა. აქ დასასვენებლად ამოდის არა მარტო შიდამთიანი, არამედ ზღვისპირა აჭარის მოსახლეობა. ფუნქციონირებს ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი განყოფილების საზაფხულო ბანაკი.

ჩირუხის ტერიტორია მოსახერხებელია ტურისტული შეკრებებისა და სხვადასხვა მიმართულებით ტურისტული ლაშქრობების ჩასატარებლად, პიკნიკების, „ტურისტული კოცონების" მოსაწყობად, სპორტული და კულტურული ღონისძიებების გასამართად. რელიეფისა და შესანიშნავი ხედების გარდა, ამას ხელს უწყობს ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებისა და წარსულის ძეგლების სიმრავლე, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი და მათივე სტუმართმოყვარეობა.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, აგვისტოს პირველ კვირას, ჩირუხში იმართება ტრადიციული „შუამთობის" სახალხო დღესასწაულის ყველაზე დიდი წარმოდგენა შუახევის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რომელსაც ესწრება როგორც ოფიციალური პირები, ისე უამრავი სტუმარი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ჩირუხში არსებული პირობები კარგ საშუალებას იძლევა საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

საკურორტო ადგილი გომის მთა. გომის მთა მდებარეობს გურია-აჭარის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, მდ. ნატანებისა და მის შენაკად ბუუჟის სათავეებს შორის. ტე-

რიტორიულად მისი ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ოზურგეთის, ხოლო სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილებაა. მთის კალთები დასერილია მდ. ნატანებისა და მისი შენაკადების ხეობებით.

გომის მთისა და მიმდებარე საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის კლიმატს განაპირობებს შავი ზღვიდან შემოსული ნოტიო ჰაერის მასები. აქ მთის ზომიერი ჰავაა, რომელიც დიდი ტენიანობით გამოირჩევა (ჰაერის ტენიანობა 74-75 %-ია). ზაფხულში საშუალოდ +23+27 გრადუსი სითბოა, ზამთარში კი -7-15 გრადუსი სიცივე. წლიურად საშუალოდ 1800-2400 მმ ნალექი მოდის, ძირითადად გაზაფხულზე, გვიან შემოდგომასა და ზამთარში. თოვა იწყება ოქტომბრიდან და გასტანს აპრილის დასაწყისამდე, თოვლის საფარი ზოგჯერ 4-5 მეტრს აღწევს. ზაფხულსა და შემოდგომაზე იცის ხშირი ნისლიანობა. ღრუბლიან დღეთა რაოდენობა 220-240 მდე ადის. ჭარბი ნალექები განაპირობებს ჰიდროქსელის სიხშირეს. აქედან იღებს სათავეს უხვწყლიანი მდინარე ნატანები და მისი ყველაზე დიდი შენაკადი ბჟუჟი. ბევრია ანკარა წყარო და ნაკადული, აქვეა ჭინჭაოს საკმაოდ ღრმა და ცივი ტბა. გომის ტერიტორიაზე, ნაფოსტვარასთან, არის მინერალური წყალი.

ზღვის დონიდან 1600 მეტრს ზემოთ იწყება სუბალპური ზონა მთის მდელოს ბალახეული საფარით. მის ქვემოთ უღრანი წიწვოვანი ტყეებია, ალაგ-ალაგ გვხვდება წიფლისა და არყის კორომები. ტყეები მდიდარია სამკურნალო მცენარეებით, გარეული ხილით (ძირითადად, კენკროვნებით). ფაუნის წარმომადგენელთაგან, აქ ბინადრობს დათვი, მგელი, ტურა, მელა, კურდღელი, შველი, კლდოვან მთებში – არჩვი, მთის გარეული ქათამი, ორბი, არწივი და სხვა.

გომის მთასა და მიმდებარე ტერიტორიას გურიის (ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები) მოსახლეობა ოდითგანვე იყენებდა პირუტყვის საზაფხულო საძოვრებად. გარდა ამისა, ამ ადგილებმა დიდი ხანია უკვე შეიძინა საკურორტო-რეკრეაციული ფუნქცია. ზაფხულობით აქ უამრავი დამსვენებელი ამოდის. გომის კლიმატი განსაკუთრებით სასარგებლოა გულსისხლძარღვთა, ასთმურ, იშემიურ დაავადებათა და ფილტვების სისუსტის სამკურნალოდ. გასული საუკუნის 30-40-იანი წლებიდან გომის მთაში, „ჩუნიას" სახელით ცნობილ ადგილზე, ოზურგეთისა და ქობულეთის მოსახლეობამ დაიწყო ინდივიდუალური დასასვენებელი აგარაკების მშენებლობა და საკურორტო დასახლების მოწყობა. ასე გაჩნდა ე.წ. "პატარა დაჩა" და "დიდი დაჩა". მათ აღმოსავლეთით (თაგინური, მთაპატარა, ჯამისერი, ხარიათაღი) ჭვანისა და წყალსაყრის საკრებულოების მოსახლეობამ დაიმკვიდრა ადგილი (საბჭოთა ხელისუფლების წლებში გომის მთის დასახლების ნაწილი და მის აღმოსავლეთით მდებარე საზაფხულო საძოვრები საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დროებითი სარგებლობისათვის (საზაფხულო იალაღებად) გადაეცა შუახევის რაიონის ჭვანისა და წყალსაყრის თემების მოსახლეობას). გომის მთაზე ზაფხულის სეზონს დაახლოებით 5000-მდე მოიალაღე და დამსვენებელი ატარებს.



გურია-აჭარის მოსახლეობის ასეთ ლტოლვას გომის მთისაკენ განაპირობებს აქ არსებული კარგი ბალნეო-კლიმატური პირობები, შესანიშნავი ბუნება და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. შემოგარენი ხასიათდება საინტერესო ობიექტებისა და ტურისტული მარშრუტების სიუხვით, რაც ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ გომის მთა და მიმდებარე იაილები (მერიაყელი, ტყისველა, ახოსიაილა და სხვ.), უძველესი სახალხო დღესასწაულის, „შუამთობობის“ ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია. თავისი მასშტაბებით აქაური „შუამთობა” თითქმის უტოლდება ჩირუხის „შუამთობას”.

გომის მთაზე მისვლა შუახევიდან შეიძლება ხიჭაური-ჭვანა-ცხემლისი-ხაბელაშვილების გზით. მანძილი ხიჭაურიდან გომის მთამდე 30 კილომეტრია. აქ მოხვედრა შეიძლება აგრეთვე ბათუმი-ქობულეთი-ოზურგეთი-სოფ.შემოქმედი-სოფ.გომის გავლით.

გომის მთას კარგი მონაცემები აქვს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

საკურორტო ადგილი ღომა. საზაფხულო იალაღი **ღომა** მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის თემში. განფენილია შავშეთის ქედიდან ჩრდილოეთით გაგრძელებული, საშუალო სიმაღლის ღომა-წინაველას ქედის აღმოსავლეთ კალთაზე. შემოფარგლულია საშუალო სიმაღლის მთებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანი მწვერვალებია: საყენ-

დრია (წმინდასერი) – 2343 მეტრი, ღომა – 2360 მეტრი და წინაველა – 2194 მეტრი; წარმოდგენილი არის სამი სეზონური დასახლებით: ღომა, საყენდრია და ლაშე (პირველი ორი ეკუთვნის უჩამბის თემის საკრებულოს სოფლებს, მესამე – ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისს). დასახლებები ზღ. დ. 1800-2000 მეტრზე მდებარეობს. ღომა დაბა შუახევიდან დაშორებულია 20 კმ-ით. აქ მოხვედრა შეიძლება შუახევი-უჩამბა-წაბლანის გავლით. ადგილობრივი მოსახლეობა ღომას შემოგარენს იყენებს არა მარტო სამეურნეო, არამედ მთის კლიმატური კურორტის მნიშვნელობითაც.

ღომას მთა ხასიათდება ზომიერი კლიმატით. საშუალო წლიური ტემპერატურა +12+15 გრადუსია (ზაფხულში – +17+23, ზამთარში – -7-10 გრადუსი), ნალექების რაოდენობა არის 1500-1700 მმ, ღრუბლიან დღეთა რაოდენობა – 180-190. იცის ხშირი ნისლიანობა, ჰაერის საშუალო ტენიანობა 73-75 %-ია. ნალექებისა და ტენიანობის სიჭარბეს შავი ზღვიდან მო-

ნაბერი ტენიანი ჰაერის მასები იწვევს. ზამთარი უხვთოვლიანია და ხანგრძლივი. თოვლი ოქტომბრის დასაწყისიდან მოდის და მაისის ბოლომდე დევს, ხევებსა და ღრმა ადგილებში კი ივლისის ბოლომდე. თოვლის საფარი საშუალოდ 2-3 მეტრია, ზოგჯერ 4-5 მეტრსაც აღწევს. აღმოსავლეთ მხარეს თოვლი თითქმის მარტის ბოლომდე მშრალი და ფიფქოვანია, რაც, მოსახერხებელ რელიეფთან ერთად, ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამთო-სათხილამურო სპორტული ბაზის მოწყობისათვის.

ღომას მიდამოებიდან სათავეს იღებს ჩირუხისწყლის მარცხენა შენაკადი ტბეთისწყალი და მერისის ხეობის მთავარი მდინარე აკავრეთა (ქედის მუნიციპალიტეტი). აქაურობა დაქსელილია მათი შენაკადების ხშირი ქსელით. მრავლადაა წყაროები (აქედან სასმელი წყალი მიყვანილია დაბა შუახევში) და მინერალური წყლები (ქათამოღლის ჭალაში შავი ტბა, სარანწკუნას კლდსძირა აბანო, სახსრების სამკურნალოდ კაჩაბათის, მერიახევის, „მლაშეს“, შავწყალას აბანოები და წყლები).

ღომა სუბალპურ ზონაშია. შემოგარენში ძირითადად წიწვოვანი ტყეებია გაბატონებული, შიგადაშიგ გვხვდება წიფლის კორომები. ტყე მდიდარია ფაუნით (დათვი, მგელი, კურდღელი, არჩვი და სხ.), უხვადაა სოკო, კენკროვნები, სამკურნალო მცენარეულობა.

ტურისტული თვალსაზრისით, ღომა საინტერესოა ბალნეო-კლიმატური (მთის ჯანსაღი და რბილი ჰავა, სამკურნალო-მინერალური წყლები და მთის ცივი წყაროები) და ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებისათვის საჭირო (მოსახერხებელი რელიეფი, ხანგრძლივად არსებული მშრალი და ღრმა თოვლის საფარი) რესურსებით, ბუნების ულამაზესი ხედებითა და ლანშაფტებით, მოსანახულებელი ადგილებისა და პერსპექტიული ტურისტული მარშრუტების სიუხვით. დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას და დააგემოვნოს აქაური სამზარეულოც (ხავიწი, ბორანო, ნაღბიბორანო, გევრეგი, აჭარული ჩვილი ყველი, კაიმაღი, მაწონი, სხვადასხვა გარეული მცენარისა და კენკროვანისაგან დამზადებული კერძები და წვენები, სოკო და სხვ.).

ჩანჩხალოს ბუნებრივი მაცივარი. სოფელი ჩანჩხალო ოქროპილაურის თემს ეკუთვნის. მდებარეობს ბათუმი-ხულო-ახალციხის ცენტრალური ტრასის 68-ე კმ-თან, მდ. აჭარისწყლის მარჯვნივ, მისგან თითქმის 2,5 კილომეტრის დაშორებით. სოფელი საინტერესოა თავისი ლამაზი ხედებით, ტყით დაფარული ფერდობებითა და გარს შემოჯარული მთებით, ისტორიული ადგილებითა და ბუნების ძეგლებით.



ბუნების ძეგლებიდან აღსანიშნავია ბუნებრივი „მაცივრები” სოფლის შემოგარენ კლდეებში და ენდემური ურთხელის („მადის ხე”) მრავალსაუკუნოვანი სამი ხე; ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესოა ნაეკლესიარი ადგილი სოფლის ცენტრში, ნამალევის კლდეზე ციხის ნაშთები და სათიხეთის უბანში ქვის გათლილი ლოდებით მოფენილი გზის მონაკვეთი.

ძველი ციხის ნაშთები შემორჩენილია ნამალევის კლდის თავზე, თითქმის მიუვალ ადგილას. სოფლის მოსახლეობა მას თამარის ციხეს უწოდებს. ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, აგრეთვე, სოფლის ცენტრში არსებული სამი ძირი ენდემური ურთხელის (მადის)

ხე. ხალხის გადმოცემით, ამ ადგილას ეკლესია იდგა, ეს ხეები ეკლესიის ეზოში იყო და მათი ასაკი 500 წელზე მეტია. ისინი ნაყოფსაც იძლევა. მოსახლეობა მათ ხელშეუხებელ და წმინდა ხეებად მიიჩნევს. ასევე საინტერესოა სათიხეთის უბანში არსებული, ჩანჩხალოდან წანკალაურ-გომარდულ-ჭვანის ხეობისაკენ მიმავალი გზის დაახლოებით 130 მეტრი სიგრძის მონაკვეთი, რომელიც ბრტყელი, საკმაოდ დიდი ზომის ქვებით არის მოფენილი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ უძველესი საქარავნო და სამიმოსვლო გზა ბათუმიდან ხულოახალციხის მიმართულებით ჭვანა-ბარათაული-გომარდული-წანკალაური-ჩანჩხალოს, ან ჭვანა-წყაროთა-თერნალი-ღორექეთი-ჩანჩხალოს გავლით გადიოდა.

ბუნებრივი „მაცივრებიდან" განსაკუთრებით ცნობილია ნამალევის კლდეში არსებული საყინულე.

სოფლის ცენტრიდან 600 მეტრის დაშორებით, პატარა სერს უკან წამომართული არის დიდი მოცულობის სვეტისებური კლდე, სიმაღლით დაახლოებით 45-50 მეტრი, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება და ზემოდან გადმოჰყურებს ტყით დაფარული მაღალი ქედი, სამხრეთიდან – ასევე ტყით დაფარული პატარა სერი. კლდის ძირამდე მზის სხივები თითქმის ვერასოდეს ვერ აღწევს. ზაფხულის ცხელ დღეებში კლდის თავის მოვაკებაზე წნევა ეცემა, ტემპერატურა მაღლდება; საპირისპიროდ, ძირში წნევა მაღლდება, ტემპერატურა ეცემა და კლდეში არსებულ, საკმაო მოცულობის მღვიმეში ხდება აცივება, ზოგჯერ ყინულის ლოლუებიც კი წარმოიქმნება. მოსახლეობა ოდითგანვე იყენებდა ამ ადგილის თავისებურებას და ზაფხულობით „მაცივრის" ფუნქციას აკისრებდა მას. გადმოცემით, მღვიმეს „ჭირიანობისა" და მტრის შემოსევის დროსაც აფარებდნენ თავს. ასეთივე ბუნებრივი „მაცივრები" სოფლის ირგვლივ სხვა ადგილებშიც არის.

თავისი რესურსებით ჩანჩხალოს აქვს რეალური შესაძლებლობა პერსპექტივაში გახდეს აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი ტურისტული მარშრუტების მნიშვნელოვანი ნაწილი.

სანალიას კილდიქვაბის გამოქვაბული. სანალიას კილდისქვაბის გამოქვაბული მდებარეობს მდ. ჩირუხისწყლის შენაკად სანალიასწყლის ხეობაში, შავშეთის ქედის ჩრდილო კალთაზე შეფენილ საზაფხულო იალაღ სანალიაზე, სადაც ზაფხულობით ამოდის სოფლების – მახალაკიძეებისა და ოლადაურის მოსახლეობა. სანალია დაბა შუახევიდან დაშორებულია 31, სოფ. მახალაკიძეებიდან კი – 12 კილომეტრით. გამოქვაბული უშუალოდ მთა სანალიაზე (2561 მ) მდებარეობს, ზღვის დონიდან 2240 მეტრის სიმაღლეზე, კლდოვან, ძნელად მისადგომ ადგილას. იაილიდან დაშორებულია 1,9 კილომეტრით.

გამოქვაბულის შესასვლელი წარმოადგენს დაახლოებით 300 კვ. მეტრის კლდოვან ბაქანს, რომელიც ქვის ყორითაა შემოკავებული. აქედან კლდეში შეჭრილია სამი სხვადასხვა ზომის გვირაბი. პირველის სიღრმე – 38, მეორესი – 26, ხოლო მესამესი – 12 მეტრია. გვირაბები საკმაოდ მაღალთაღებიანია. სავარაუდოდ, ისინი ადამიანის ხელითაა შექმნილი და უძველეს საცხოვრისს წარმოადგენს. აქვე ახლოსაა სამკურნალო მინერალური წყალი. გამოქვაბულიცა და მინერალური წყალიც საფუძვლიან მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1988.
2. მაკარაძე ვაჟა, ჩემო სკოლავ, მადალ მთაზე ტაძარივით დადგმულო, ბათუმი, 2003.
3. მაკარაძე ვახტანგ, გამონათლევის გამონათება, გამომცემლობა, ბათუმი, 2006.
4. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
5. მარეთის ხეობა, ბათუმი, 2011.
6. სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ., საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია, თბილისი, 2011.
7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.
8. საქართველოს სსრ, ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1987.
9. სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), ბათუმი, 1985.
10. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.
11. შალიკავა მ., ჭვანის ხეობა, ბათუმი, 2009.
12. შუახევი (ისტორიულ-პუბლიკაცისტური ნარკვევები), ბათუმი, 2008.
13. ფუტკარაძე თ., ვარშანიძე ნ., შუბანი, ბათუმი, 2001.
14. ფუტკარაძე მ., შუახევის რაიონის ბუნება და მოსახლეობა, ბათუმი, 2000.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის:

11. სად მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტი და რომელი ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულები ესაზღვრება მას?
12. რამდენ საკრებულოსა და სოფელს მოიცავს შუახევის მუნიციპალიტეტი?
13. მოგვეცით გეოგრაფიული სახელების: ჭვანა, მარეთი, ჩირუხი – ეტიმოლოგიური ახსნა.
14. გააკეთეთ შუახევის მუნიციპალიტეტის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.
15. რა იცით შუახევის რაიონის დაარსების შესახებ?
16. რა იცით შუახევის მუნიციპალიტეტში მოქმედი მუზეუმების შესახებ?
17. დაასახელეთ ისტორიისა და კულტურის 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი შუახევის მუნიციპალიტეტის ფარგლებში. გვესაუბრეთ ერთ-ერთზე.
18. რა იცით სელიმ ხიმშიაშვილისა და მასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების შესახებ?
19. რა იცით შუახეველთა სახალხო დღესასწაულებზე? გვესაუბრეთ ერთ-ერთზე.
20. რა იცით შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესახებ?

ხულოს მუნიციპალიტეტი

ზოგადი დახასიათება

ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველაზე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია. იგი განლაგებულია არსიანისა და მესხეთის ქედების კალთებზე, ზღვის დონიდან 400-3007 მეტრის სიმაღლეზე. უმაღლესი წერტილია ყანლის მთა (კენჭიანის მთა) – ზღვის დონიდან 2992 მ (სხვა ვერსიით – ზღვის დონიდან 3007 მ).

მუნიციპალიტეტის ფართობია 710 კვ. კმ. მოსახლეობა – 35,5 ათასი კაცი 2010 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხულო 1,1 ათასი მცხოვრებით (დაბის სტატუსი 1964 წლიდან). მანძილი დაბა ხულოდან თბილისამდე 463 კილომეტრია, ბათუმამდე – 87 კილომეტრი. უახლოეს რკინიგზის სადგურამდე (მახინჯაური) 91 კილომეტრი. ხულოს მუნიციპალიტეტი ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკას (საზღვრის სიგრძე – 20 კმ), შუახევის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე – 60.5 კმ), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე – 19.5 კმ), ოზურგეთის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე – 1 კმ), ადიგენის მუნიციპალიტეტს (საზღვრის სიგრძე – 28,8 კმ). ხულოს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო მნიშვნელობის გზების სიგრძეა 52 კმ, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა კი – 221 კმ.

კლიმატი კონტინენტურია, საშუალო წლიური ტემპერატურა – 10,1 გრადუსი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1000-1200 მმ.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილი არ არის, რა დროიდან იხსენიება ხულო, მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი ცნობა ქრისტეს პირველ მოციქულთა მიერ „ქუეყანასა ქართლისა დიდაჭარას" ქადაგების შესახებ, გულისხმობს, რომ მათ თანამედროვე ხულოს მიდამოებიც უნდა გაევლოთ. ხულოს ძველი სახელწოდება – „ხულა" – „სავაჭრო სახლს" ნიშნავს, ხოლო სავაჭრო სახლებს, როგორც ცნობილია, გზებზე აგებდნენ. ადრეული საუკუნეებიდან აქ სავაჭრო-საქარავნო გზა გადიოდა, რომელიც სამცხე-ჯავახეთს გოდერძის უღელტეხილით აჭარა-შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა. ისტორიული აჭარა და განსაკუთრებით მისი მთიანეთი ქართული კულტურისა და ცივილიზაციის ერთ-ერთი უველესი აკვანი იყო, რასაც ადრეული ხანისა და თამარ მეფის დროინდელი ქვის თაღოვანი ხიდები, ციხე-კოშკები თუ სხვა ისტორიული მასალები ღაღადებენ. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შუა საუკუნეების უდიდესი სწავლული და მეცნიერ-ასტრონომი ტბელ აბუსერისძე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად ორი ნიადაგური ზონაა: მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები. მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეული საფარი. ძირითადად, გავრცელებულია ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეები. ფლორის იშვიათი წარმომადგენლებიდან აქ გავრცელებულია სამეფო გვიმრა, უთხოვარი, ქართული ნეკერჩხალი, არმაზის ნარჩიტა, ხარიშუბლა, წაბლი, მუხა, კაკლის ხე, კოლხური ყოჩივარდა, ფურისულა, ვერხვი, თელა და სხვა. მუნუციპალიტეტი მდიდარია ხილით (სხვადასხვა ჯიშის ვაშლი, მსხალი და ა. შ.) და სმკურნალო მცენარეებით: ასკილი, მოცვი, ნეგო, ხარიშუბლა, კატაბალახა და სხვ.

ფაუნა წარმოდგენილია კავკასიური ირმით, კავკასიური მურა დათვით, ბექობის არწივით, დურუჯით, კავკასიური შურთხით, მცირეაზიური ტრიტონითა და კავკასიური სალამანდრით.

მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებით: სასარგებლო წიაღისეულით (სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვებით, გაქვავებული ხის მარაგით), მინერალური წყლებით (ხიხაძირის წყალი, დანისპარაულის წყალი, საანის წყალი, დიოკნისის წყალი და ა. შ.) მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: აჭარისწყალი, სხალთა, ღორჯომი, დიაკონიძეები. აქვე მდებარეობს ულამაზესი მწვანე და შავი ტბები. ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს მთის კლიმატური კურორტი ბეშუმი (ზღვის დონიდან 1850-2010 მ). მიმდინარეობს სამთო-სათხილამურე კურორტის მშენებლობა გოდერძის უღელტეხილზე (ზ.დ. 2025 მ).

ხულოს მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია: სხალთის მონასტერი (XII-XIII სს.), ხიხანის ციხე (XIII ს., სოფ. თხილვანა), უჩხოს ქვის თაღოვანი ხიდი (XII ს.), ვარდციხე (XI-XII ს., სოფ. ხიხანი), თხილვანის ეკლესიის ნანგრევები (XIII ს.), ვერნების ნაეკლესიარი (IX-X ს.), კალოთას ეკლესიის ნანგრევები (XI-XIII ს.), აგრეთვე თიკანაურის, საციხურისა და ვანაძეების ეკლესიის ნანგრევები (X-XIII ს.)

ადმინისტრაციული მოწყობა

დღეისათვის ხულოს მუნიციპალიტეტი აერთიანებს 1 დაბას და 78 სოფელს, რომლებიც გაერთიანებულია 12 თემში.

დაბა ხულოს თემი: დაბა ხულო.

აგარის თემი: აგარა.

დეკანაშვილების თემი: დეკანაშვილები, განახლება, გორგაძეები, გუდასახო, დიაკონიძეები, დუაძეები, კურცხალი, ოქრუაშვილები, უჩხო, ქედლები, ძირკვაძეები, ელელიძეები.

დიდაჭარის თემი: დიდაჭარა, ბოღაური, ირემაძეები.

დიოკნისის თემი: მანიაკეთი, პაქსაძეები, ტაბახმელა, ღორჯომელაძეები, ღურტა, ჯვარიქეთი.

ვაშლოვანის თემი: ქვედა ვაშლოვანი, ზედა ვაშლოვანი, თაგო, სხანდარა, შურმული, ჩაო.

თხილვანის თემი: ზედა თხილვანა, ბაკო, მთისუბანი, ქვემო თხილვანა.

რიყეთის თემი: რიყეთი, ბოძაური, დანისპარაული, შუასოფელი.

საციხურის თემი: საციხური, ნამონასტრევი, პანტნარი.

სხალთის თემი: ყინჩაური, გურძაული, კვატია, ფაჩხა, ყიშლა, ძმაგულა, წაბლანა, ჭერი.

ფუშრუკაულის თემი: ფუშრუკაული, ვერნები, მახალაკაური, ოშანახევი, რაქვთა.

ღორჯომის თემი: ღორჯომი, ადაძეები, ახალიუბანი, გორგაძეები, ვანაძეები, ვაშაყმაძეები, ლაბაიძეები, მეკეიძეები, მერჩხეთი, მეხელაშვილები, მინთაძეები, სტეფანაშვილები, ტუნაძეები, ქურდული, წინწკალაშვილები, ჭახაური.

ხიხაძირის თემი: ხიხაძირი, ახალშენი, კალოთა, სკვანა.

ისტორია

აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ისტორიის საწყისი პერიოდი, დღევანდელი მონაცემებით, ძველი ქვის ხანაა (პალეოლითი). ამის დამამტკიცებელია ხულოს მუნიციპალიტეტში, არსიანის ქედის გავაკებულ თხემზე, ზღვის დონიდან 2000-2200 მ სიმაღლეზე, ადგილ ბულულას სერზე ბოლო დროს მიკვლეული ძველი ქვის ხანის ძეგლი, სადაც აღმოჩნდა ანდეზიტ-ბაზალტისაგან ნაკეთები იარაღ-ანატკეცები. ძეგლის აბსოლუტური თარიღი 300-200 ათასი წლით უნდა განისაზღვროს. სადგომი უნდა ეკუთვნოდეს ზაფხულში ალპურ საძოვრებზე ამოსულ ბალახისმჭამელ ცხოველებზე მონადირე პირველყოფილ ადამიანებს.

ახალი ქვის ხანაში (ნეოლითი) საფუძველი ჩაეყარა მწარმოებლურ მეურნეობას და დაიწყო საზოგადოების ფორმირება, აგრეთვე ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა. ნეოლითური მასალა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებულია არსიანის მთის ფერდობზე, ბეშუმის საძოვრების მიდამოებში (ზღვის დონიდან 1830 მ), სხალთის ხეობის სათავეებში, ნაჩადრევის იალაღებზე (ზღვის დონიდან 2000 მ), ხიხაძირში, წაბლანაში და დანისპარაულის მიდამოებში.

სპილენძის ხანის (ენეოლითი) ძეგლებიდან აღსანიშნავია იაილა ჯანჯღნარაში (ზღვის დონიდან 2000 მ) მოპოვებული ნივთები – თიხის ჭურჭელი, ძვლის სახვრეტები, კაჟისა და ობსილიანის იარაღ-ანატკეცები, შურდულის ქვები, ბრინჯაოს ნაკეთობა და ა.შ. ჯანჯღნარის ადრეული მასალები ენეოლითს მიეკუთვნება და ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებით, თვითმყოფადობით. პირველ რიგში აღსანიშნავია სამეთუნეო ნაწარმი, რომელთაგან

ზოგიერთი მთლიანადაა დაცული. ამიერკავკასიისა და მის მოსაზღვრე რაიონებში ჯანჯღნარის კერამიკას უშუალო პარალელები არ ეძებნება. არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვქონდეს საყოველთაოდ ცნობილ შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის კულტურების ახალ ლოკალურ ვარიანტთან. ჯანჯღნარის კერამიკული ნაწარმი ძვ. წ.-აღ.-ის V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის I ნახევარში უნდა იყოს დამზადებული.

ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევარში ადგილობრივი მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში გადადის, რომელიც აქ 2 ათას წელს გაგრძელდა. ადრებრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმის უძველესი ნიმუში აღმოჩენილია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ნაომარში (ღორჯომის მახლობლად). აქ შემთხვევით მოპოვებულ ყუადაქანებულ ცულს აქვს მკვეთრად დაქანებული, ფერდებშეწეული ყუა, მრგვალი სატარე ხვრელი, ორწახნაგა, სოლისებური, შედარებით თხელი ტანი, ოდნავ ფართო და მომრგვალებული, ორმხრივ წამახვილებული პირი. აღიარებულია, რომ ამ ტიპის ცულებმა ამიერკავკასიის გზით შეაღწია ჩრდილო კავკასიაში და უფრო შორს, დუნაისპირეთამდე გავრცელდა.

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ე.წ. „მდნობელთა განძები“ ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია თაგოს, დიდაჭარას, ვერნებსა და ხიხაძირში.

გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის პერიოდი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით „ხევების“ წარმოქმნის ხანაა. ერთ-ერთი ასეთი დიდი „ხევი“ თუ „ხეობა“ უნდა ყოფილიყო ზემო აჭარის მეტალურგიული განვითარების კერა ცენტრით დიდაჭარაში. არც ის არის შემთხვევითი, რომ გვიან შუა საუკუნეებში და დღესაც ამ მხარის ცენტრი ხულოა. აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაგისტრალურ გზებს, რომლებიც ზემო აჭარას სამცხესთან აკავშირებდა. ერთი ღორჯომის გავლით არსიანის ქედზე და შემდეგ ქვაბლიანის ხეობაში, მეორე – ბეღლეთის წყლის ხეობით გოდერძის უღელტეხილზე გადამავალი დღევანდელი გზაა. ამ გზების შესაყარზეა სოფ. დიდაჭარა.

ძვ. წ. X-VII საუკუნეებში რკინა-ფოლადის ათვისების, ქართველთა სამეურნეო საქმიანობაში რკინის საბოლოო დამკვიდრებისა და ბრინჯაოს გამოდევნის ხანაა. ამავე დროს იწყება სამეთუნეო ჩარხის მასობრივი გამოყენება. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში უკვე ჩნდება წერილობითი ცნობები ისტორიულ საქართველოს მიწა-წყალზე, კერძოდ, მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში (აჭარა, მესხეთი) მცხოვრები მოსახლეობის შესახებ. აქ უკვე არის ამ მოსახლეობის დიდი გაერთიანებები დიაოხისა (ტაოხი, ტაო) და კოლხას (კოლხეთი) ადრეკლასობრივი სახელმწიფოების სახით, რომელთა შესახებ ცნობები გვხვდება ძვ. წ.აღ.-ის XII-IX საუკუნეების ასურულ და VIII საუკუნის ურარტულ ლურსმნულ წარწერებში. სავარაუდოა, რომ დღევანდელი აჭარა ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიითურთ სწორედ ამ გაერთიანებაში უნდა ყოფილიყო.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის სოფ. კალოთას დია ცისქვეშა ტიპის სამლოცველოში დადასტურებულია მსხვერპლშეწირვა, ხოლო აქვე აღმოჩენილი ქვის ფალოსის კარგად შენახული ნაშთები და პატარა ზომის ორი კერპი შეიძლება ამ წარმართული სალოცავის დანიშნულებაზე მიუთითებდეს. სავარაუდოა, რომ აღნიშნული სალოცავი უკავშირდებოდეს ქართულ კალენდარულ საწესჩვეულებო დღესასწაულს „ლაზარობას“ და სხვა ტიპის რელიგიურ რიტუალებსაც. მაგრამ აქ უმთავრესი მაინც ამინდის მაგიური მართვის ცერემონიალი იყო და ლაზარობა უნდა განვიხილოთ ფალოსებთან და ქვაკაცებთან მიმართებაში. აღნიშნული სამლოცველო მეგალითური კულტურის ძეგლია საქართველოში.

ძვ. წ. VIII ს-ის II ნახევრიდან აჭარის ტერიტორია კოლხეთის სამეფოშია, რომელიც მალე დაეცა და VI ს-დან იგი ახალმა კოლხურმა სამეფომ შეცვალა.

ძვ. წ. IV ს-ის დასასრულიდან აჭარა ახალწარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, ხოლო ძვ. წ.-აღ.-ის II ს-ში იგი მთლიანად კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ამავე საუკუნის დასასრულიდან კოლხეთი ანექსირებული იქნა პონტოს სამეფოს მიერ და ძვ. წ.-აღ.-ის 65 წლამდე მის სატრაპიას წარმოადგენდა. აჭარის ტერიტორია, როგორც კოლხეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, პონტოს ხელქვეით აღმოჩნდა. პონტოს სამეფოს განადგურების შემდეგ (ძვ. წ. აღ.-ის 63 წ.) აღნიშნული ტერიტორია რომის გავლენის ქვეშ მოექცა და ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მას რომაელი მოხელეები განაგებდნენ. ქართლის სამეფოს კვლავ გააქტიურების შემდეგ ახ. წ. I ს-ში, ფარსმან I-ის (36-66 წწ.) დროს აჭარა ქართლის სამეფოს პროვინციად შეიძლება ვიგულისხმოთ, ხოლო 131 წლიდან იგი უცილობლად მის შემადგენლობაშია, როგორც ოძრხეს საერისთავოს ნაწილი.

სტრაბონი (ძვ. წ. 64 წ. – ახ. წ. 24 წ.) თავის „გეოგრაფიაში“ ასახელებს ბიძერებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში აჭარში მოსახლე ქართულ ტომად, თანამედროვე აჭარლების ეთნოგრაფიული ჯგუფის წინაპრებად განიხილება.

აჭარაში ქრისტეს მოძღვრებას პირველ საუკუნეშივე გაეცნენ უშუალოდ ქრისტეს მოციქულებისაგან. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ანდრია პირველწოდებულს სოფ. დიდაჭარის მიდამოებში უქადაგებია აჭარელთათვის ქრისტიანობა. დღეს იმ ადგილას, სადაც, სავარაუდოდ, მოციქულის მიერ გამართული საკურთხეველი მდებარეობდა, აღმართულია სათანადო ნიშა, მიმდინარეობს ტერიტორიის მოსაწესრიგებელი სამუშაოები. ღვთის შეწევნით, მოციქულმა ანდრიამ მრავალი დაბრკოლება გადალახა და დიდი ღვაწლი გასწია აქაურ ქართველთა მოსაქცევად. სოფ. დიდაჭარაში, იმ ადგილას, სადაც მას ღვთისმშობლის ხატი დაუსვენებია, გადმოღვრილა დიდი და მშვენიერი წყარო, რომელიც XVIII საუკუნემდე არსებობდა (დიდჭარის მკვიდრ თემურ ხიმშიაშვილის მიერ გადმოცემული ხალხური თქმით, აღნიშნული წყარო მიუსაკუთრებია კერძო პირს და საკუთარი ოჯახისთვის გაუყვანია, მაგრამ მთელი მისი მოდგმა განადგურებულა).

ანდრია მოციქულს აჭარაში დაუნიშნავს ღვთისმსახურები და ღვთისმშობელ მარიამის სახელზე აუგია ეკლესია, წასვლის წინ კი ადგილობრივთა თხოვნით მათთვის ღვთისმშობლის ხატი გაუკეთებია, რომელიც პატივით დაუსვენებიათ ახალაშენებულ ეკლესიაში. ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც, გადმოცემის თანახმად, ეს ეკლესია აგებულა. აქ მართლაც აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ჯერ შეუსწავლელია. სხვადასხვა გამოკვლევებით დიდაჭარაში მოციქულ ანდრიას მოსვლის თარიღი 30-54 წლებს შორის მერყეობს.

ახ. წ. II-III საუკუნეთა მიჯნაზე აჭარა ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. ამ პერიოდიდან მოყოლებული VI საუკუნის 10-იან წლებამდე, თანამედროვე ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია, როგორც ოძრხის საერისთაოს ნაწილი, ქართლის სამეფოს ფარგლებშია. 326 წელს, წმინდა ნინოს ღვაწლის შედეგად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქართლში. ამ დროს უნდა მოქცეულიყო აჭარაც, როგორც ქართლის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია ცენტრით დიდაჭარაში.

XI საუკუნიდან შიდა მთიანი აჭარის ცენტრი დიდაჭარიდან სხალთის ხეობაში, ხიხანის ციხეში ინაცვლებს. აღნიშნულ ციხეზე გადიოდა სამცხესთან და არტაანთან დამაკავ-

შირებელი საქარავნო გზები. იგი აკონტროლებდა აგრეთვე შავშეთ-კლარჯეთ-ტაოსთან მაკავშირებელ მაგისტრალს.

XIII საუკუნის II ნახევრამდე აჭარის საერისთავო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია და „ლიხთამერი საქართველოს“ ფარგლებში მოიაზრება, ხოლო ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხის ათაბაგების სამფლობელოშია და მას კვლავ აბუსერისძეთა ფეოდალური გვარი განაგებს. სწორედ ამ გვარის წარმომადგენელია XII საუკუნის დიდი ქართველი სწავლული ასტრონომი აბუსერისძე ტბელი, რომელსაც, სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ეკუთვნის ძველი ქართული ლიტერატურის უმშვენიერესი ძეგლი „ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა“.



„ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ცნობით, XIII საუკუნის 60-იან წლებში აბაღა ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული და არსიანის მთაზე მასთან ბრძოლაში დამარცხებული მონღოლი უფლისწული თეგუდარი აჭარისწყლის ხეობისა და გურიის გავლით ქუთაისში დავით ნარინთან მისულა.

XV-XVI საუკუნეებში აჭარა ცილობის ობიექტი ხდება სამცხის ათაბაგებსა და გურიელებს შორის, XVI საუკუნის ბოლოს კი მთიან აჭარაში ოსმალები შემოიჭრებიან და 1611 წლის ოსმალეთის იმპერიის აღწერაში, შიდამთიანი აჭარა, „აჭარის სანჯაყის“ სახით, უკვე ჩილდირის ანუ ახალციხის ვიალეთშია შეყვანილი.

შემდგომი პერიოდის ოსმალეთის ადმინისტრაციული დაყოფით, ზემო აჭარა – ცენტრით ხულოში ცალკე სანჯაყის სახით შედიოდა ახალციხის საფაშოში, ხოლო ამ საფაშოს გაუქმების შემდეგ (1829 წ.) ტრაპიზონის ვილაეთის ფარგლებში მოექცა. ამ პერიოდში აჭარა ოთხ კაზად იყო განაწილებული. აჭარისწყლის ხეობა ანუ შიდამთიანი აჭარა „აჭარის კაზად“ იწოდებოდა და იყოფოდა ორ, ქვემო და ზემო აჭარის ნაჰიეებად. ზემო აჭარის ნაჰიეს ცენტრს კვლავ დაბა ხულო წარმოადგენდა, სადაც ამ რეგიონის ბეგების, ხიმშიაშვილების სასახლე იდგა.

1878 წელს, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, გეოგრაფიული აჭარის ტერიტორია ბათუმისა და აჭარის „ოკრუგებად“ დაიყო, რომელთაგან მეორეში შედიოდა ზემო აჭარის საპოლიციო უბანი.

1883 წელს ბათუმის ოლქი გააუქმეს და ორ „ოკრუგად“ (ართვინისა და ბათუმის) ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. 1903 წელს აღნიშნული „ოკრუგები“ ისევ გამოჰყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და კვლავ ბათუმის ოლქად შეაერთეს. მასში შემავალი ზემო აჭარის უბნის (დიდაჭარის, ჭვანის და სხალთის სასოფლო საზოგადოებები) ცენტრს ხულო წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთთან შეერთებამდე, 1873 წლისათვის, ზემო აჭარაში, რომელსაც ოსმალები ულიას ეძახდნენ, ირიცხებოდა 1727 კომლი 5810 მცხოვრებით (მუსლიმები). აქ იყო 22 სოფელი 85 უბნით, 105 წყლის წისქვილი, 15 სავაჭრო ფარდული, 32 მეჩეთი და 2 ყავის საფქვავი. მოჰყავდათ სიმინდი, აწარმოებდნენ ჩურჩხელას და სხვას. სიმინდის კულტურა აჭარაში გავრცელდა XVII საუკუნიდან. მან ჩაანაცვლა მანამდე ფართოდ გავრცელებული ღომი. ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშვნით აჭარის ხეობა მდიდარია ვენახით, ხილით, სხვადასხვა მოსავლით, მარცვლეულით, ტყით, ნადრით და ა. შ.

ზემო აჭარა ძველთაგანვე დასერილი იყო სამიმოსვლო და სავაჭრო გზებით. აქედან სომლიის გზით გურიაში გასაყიდად გაჰქონდათ ყველი, კარაქი, პირუტყვი, ყურძენი, ხოლო ხილით ვაჭრობდნენ ახალციხესთან, ახალქალაქთან, არტაანთან და ალექსანდროპოლთა-

ნაც კი. ახალციხე-ახალქალაქიდან შემოჰქონდათ მარილი და პური. აჭარაში გამავალი კომუნიკაციებიდან მნიშვნელოვანია ბათუმ-ახალციხის მაგისტრალი, რომელიც მთელ აჭარას შუაზე ჰკვეთს და გოდერძის უღელტეხილით სამცხესთან აკავშირებს. აჭარისწყლის ხეობა მოფენილია ქვის თაღოვანი ხიდებით. მარტო აჭარისწყალზე ვ. ლისოვსკი 11 ასეთ ხიდს აფიქსირებს.

გზებით ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული არა მარტო შიდა მთიანი აჭარა ზღვისპირა დაბლობთან (გზა ხულოდან ზემო ხინოზე კინტრიშის, ქედიდან ჩაქვისწყლის, ხოლო მახუნცეთიდან ყოროლისწყლის ხეობაში), არამედ აჭარა არტაანთან, ფოცხოვთან, ახალციხესთან, გურიასთან, ნიგალისხევთან, ართვინთან და შავშეთთან (სათლელი-ველი--ტბეთი-დანაკეთილი-წიწვეთი, გარყლობი-შავი მთა, მიქელეთი-ჯნალი-ყვირილა-აჭარა).

ზემო აჭარიდან გადასასვლელების სიმრავლე გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მოწმობაა. გარდა ამისა, აღნიშნულ გზებზე მოძრაობდნენ ხელოსნებიც საარსებო საშუალებათა ძიებაში. აჭარაში არიან „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“ – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი. აბუსერისძე ტბელის თხზულებიდან ვიცით, რომ აჭარა კიდევ უფრო ძველად ქვითხუროობითაც ყოფილა ცნობილი, მაგრამ ხელოსნების დიდი ნაწილი იძულებული იყო საარსებო სახსრების მოსაპოვებლად აჭარიდან შორს წასულიყო.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იმავე წლის მაისში, გააუქმეს ბათუმისა და ართვინის ოკრუგები. შემდგომ პერიოდში აჭარაში ჯერ თურქები, შემდეგ კი ინგლისელები ბატონობდნენ. დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხოლოდ 1920 წლის 7 ივლისს დაამყარა თავისი იურისდიქცია. 1921 წლის 18 მარტს კი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და იგი საქართველოსთან ერთად რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას შეუერთეს.

1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში გაუქმდა საპოლიციო უბნები და ჩამოყალიბდა მაზრები და სასოფლო თემები – 5 მაზრა 12 თემით. 1923 წელს სასოფლო თემები 18-მდე გაიზარდა. ხულოს მაზრაში დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარდა შედიოდა შუახევის ტერიტორიაც. 1930 წელს მაზრები შეიცვალა რაიონებით, ხოლო სასოფლო თემები სასოფლო საბჭოებით. 1940 წლისათვის აჭარაში შედიოდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ბათუმი და 4 რაიონი. ერთ-ერთი იყო ხულოს რაიონი ცენტრით დაბა ხულოში. ანალოგიური მდგომარეობაა 1950 წლისთვისაც. მაგრამ 1952 წელს ხულოს რაიონიდან გამოიყო და შეიქმნა შუახევის რაიონი ცენტრით სოფ. შუახევში. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1962 წლამდე, როდესაც შუახევის რაიონი გააუქმეს და ისევ შეაერთეს ხულოს რაიონთან. მაგრამ 1965 წელს შუახევის რაიონი კვლავ აღადგინეს. ასეთი ვითარება შენარჩუნდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, თუმცა მისმა ცენტრმა ხულომ 1965 წელს მიიღო დაბის სტატუსი, ხოლო 2006 წლიდან ხულოს რაიონს ეწოდა ხულოს მუნიციპალიტეტი.

1917 წლამდე ახლანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ოკრუგში, 1921-1924 წლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბათუმის ოკრუგში, 1924-1930 წლებში მას ეწოდებოდა ხულას მაზრა, 1930 1940 წლებში – ხულას რაიონი, 1940-2006 წლებში – ხულოს რაიონი, 2006 წლიდან ეწოდება ხულოს მუნი-

ციპალიტეტი. 1952 წლამდე, ასევე 1962-1965 წლებში ხულოს რაიონის შემადგენლობაში შედიოდა ახლანდელი შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაც.

ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, მიგრაციული პროცესების გამო, 39,6 ათასიდან (1989 წ.) 1999 წლისათვის 35,9 ათასამდე შემცირდა. 2010 წლისთვის კი მისი მოსახლეობის რიცხვმა 35.5 ათასი კაცი შეადგინა. ეს მაჩვენებელი ჩამოუვარდება 1979 წლის მონაცემებსაც, როდესაც ხულოს რაიონში 38,8 ათასი კაცი ცხოვრობდა. მოსახლეობის სიმჭიდროვე 2002 წლის მონაცემებით ერთ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 47 კაცს უდრის.

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ცნობილი მეცნიერი და ასტრონომი ტბელ აბუსერისძე, სამშობლოსთან აჭარის დაბრუნებისათვის ბრძოლაში დაცემული სელიმ ხიმშიაშვილი და ამავე საქმეში ღვაწლმოსილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი.

წმინდა ტბელ აბუსერისძე (1190-1250 წ.წ.) შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის თანამედროვე საეკლესიო მწერალი და ღვთისმეტყველი, თავისი დროს უდიდესი ასტრონომი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი ეკუთვნოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერისთავთერისთავ აბუსერისძეთა საგვარეულო შტოს.

2002წლის 17 ოქტომბერს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა ტბელ აბუსერისძე წმინდანად შერაცხა, ხოლო 30 აგვისტო დაწესდა „ღირსისა მამისა ტბელ გამომეტყველისა (აბუსერისძის)" ხსენების დღედ. ამავე დღეს აღინიშნება წმინდა ტბელ აბუსერისძის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საეკლესიო და სახახალხო დღესაწაული „ტბელობა"

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

მუზეუმები

სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი დაარსდა 2002 წლის სექტემბერში, თეიმურაზ კომახიძის და ნარგიზ აბაშიძის თაოსნობითა და ქველმოქმედებით, ცნობილი საზოგადო მოღვაწის – შერიფ ხიმშიაშვილის სახლში, რომელიც მისივე პროექტით აშენდა 1873 წელს. მუზეუმში დაცულია ხიმშიაშვილების ოჯახის კუთვნილი ყოფითი ნივთები: ავეჯი, ვერცხლისა და სპილენძის, ფაიფურის ჭურჭელი, საბრძოლო იარაღები, ფერწერული ტილოები, XIX საუკუნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ჩანაწერები, ფოტოები და სხვადასხვა დოკუმენტი.

სამუსლიმანო საქართველოში ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი – შერიფ ხიმშიაშვილი, რუსეთ-

ოსმალეთის ომების დროს ყველაფერს აკეთებდა აჭარის საკეთილდღეოდ და დედა-საქართველოსთან დასაბრუნებლად. შერიფ ხიმშიაშვილმა და მისმა შთამომავლებმა პირნათლად შეასრულეს წინაპრის – სელიმ ხიმშიაშვილის (შერიფის ბაბუა) ანდერძი, რომელიც ღალატით შეპყრობილმა სელიმმა თავის მოკვეთის წინ წარმოთქვა: „მართალია, მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ მაინც არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო!"

სახლ-მუზეუმის მარჯვნივ, მდინარე სხალთისწყლის სანაპიროზე, განთავსებულია შერიფის მეოთხე – გერმანელი ცოლისა და შვილის საფლავები, რომლებიც გაკეთებულია რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე მესამის მეუღლის – მარია ფეოდოროვნას მიერ. იგი შერიფის მეუღლის ძიძიშვილი იყო.

სახლ-მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შერიფ ხიმშიაშვილის 20 შვილის – 11 ვაჟისა და 9 ქალის – შთამომავალთა ფოტომასალებსა და ჩანაწერებს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაიხსნა 1983 წელს. 2005 წლის დასაწყისში მუზეუმის შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. ამჟამად იგი მდებარეობს დაბა ხულოში, ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე №9.

ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შემდეგი განყოფილებებია:

1. ფერწერა;
2. არქეოლოგია;
3. სკულპტურა;
4. ნუმიზმატიკა;
5. ეთნოგრაფია.

თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი დაარსდა 2001 წელს. მუზეუმში დაცულია ფერწერის (გ. ართმელაძე, სეჩენიანი, დ. ინაიშვილი, როგოლევიჩი, სტრამილინი, გრომოვი), XIX საუკუნის აჭარული ყოფისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მასალის (ჭურჭელი, სამოსი და აქსესუარები, სამუშაო და საბრძოლო იარაღები: სახნისი, გუთანი, ხანჯალი, ხმალი, თოფი, დაშნა, ავეჯი) ნიმუშები, ფოტომასალა (XIX ს-ის ბათუმისა და აჭარის ხედები), XIX საუკუნეში აჭარაში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის საინტერესო კოლექცია.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები

მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიისა და კულტურის ძეგლებით: ციხეებითა და ეკლესიებით, თაღოვანი ხიდებით.

ხიხანის ციხე. ხიხანის ციხე განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა. იგი მდებარეობს სხალთა-ხიხანის წყლის სათავეებში, ბათუმიდან 125 კილომეტრის მოშორებით, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, ზღვის დონიდან 2635 მეტრის სიმაღლეზე. ხიხანის ციხე აგებულია ერისთავთერისთავ აბუსერიძეების მიერ, ხოლო ტბელის მეუღლეს, ბაკულას მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია აქ ეკლესიის მშენებლობის დასრულებაში. ხიხანის ეკლესია

აუშენებია ბოლოკ ბასილს, ასევე, მშენებლობაში დიდი შრომა გაუწევიათ სოფელ ბაკოს მაცხოვრებლებს. ციხის უძველესი ფენა შუა ფეოდალურ ხანას, კერძოდ, X-XIII საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო გვიანდელი ოსმალთა ბატონობის ხანას. **ხიხანის ციხე**, რომელიც, სამხედრო დანიშნულების ნაგებობას წარმოადგენდა, არწივივით გადმოჰყურებს ხეობას. იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე (X-XIII სს.) აჭარის ერისთავთერისთავ აბუსერიძეთა რეზიდენცია იყო (აბუსერისძეები თავიანთი ძლიერების ხანაში შავშეთ-კლარჯეთისა და სამცხის ციხისჯვარსაც ფლობდნენ). დროთა ვითარებაში (XI საუკუნის შუახანებიდან) აბუსერისძენი თანდათან კარგავენ თავიანთი სამფლობელოების მნიშვნელოვან ნაწილს და XII საუკუნეში მხოლოდ აჭარას ინარჩუნებენ.

ციხე გაშენებულია ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე და დამშვენებულია 4 კოშკით, კედლებში დატანებულია სათვალთვალო სარკმლები, ასევე ციხეში შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები, როგორიცაა: თონე, მარანი, ეკლესია. დღემდეა შემორჩენილი ჭა.

ბეგოშვილების ციხე (ციხისყელი). ბეგოშვილების ციხე მდებარეობს უჩხოსწყლის მარჯვენა მხარეზე, ციხისყელად წოდებულ სერზე. ციხის სიგანე 5-6 მეტრს შორის მერყეობს, სიგრძე კი 25,5 მ-მდე. ამჟამად შემონახულია გალავნის მხოლოდ ერთი ნაწილი. ციხეს აქვს ერთი კოშკი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. კოშკის ფართობი 24 კვ.მ-ია. ციხე ნაგებია ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე და თარიღდება XII-XIII საუკუნეებით.

ვარდციხე. ვარდციხე აშენებულია ხიხანის წყლისა და კალოთის წყლის შესართავთან მარცხენა მხარეს ამაღლებულ ადგილზე და წარმოადგენს ციხე-ყელის გაგრძელებას. ციხე დანგრეულია საძირკვლის დონემდე, შედარებით უკეთაა შემონახული აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლები, ჩრდილოეთ კედელი არცთუ ისე კარგადაა დაცული. ციხეს ჰქონია კოშკები, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებდა ხიხანისკენ მიმავალ გზებს. ვარდციხე აგებულია XI-XIII საუკუნეებში. იგი ძირითადად სამხედრო დანიშნულებისა და გზების უშუალო კონტროლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

სხალთის მონასტერი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მყოფ მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერები ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებდა ქრისტიანული სალოცავები. მარტო ზ. ჭიჭინაძის მონაცემებით, აჭარის სოფლებში 100-მდე ეკლესიაა აღრიცხული. XIII საუკუნის სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია მეტ-ნაკლებად დაცული და ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოღწეული ტაძარია აჭარაში. სხალთის ეკლესიის აშენების შესახებ ისტორიულ წყაროებში ცნობები ნაკლებადაა შემორჩენილი. ცნობილია ის, რომ სხალთის რეგიონი შუა საუკუნეებში საკმაოდ დაწინაურებული იყო. აქ გადიოდა აჭარიდან არტაანისაკენ მიმავალი უმოკ-

ლესი გზა. კუთხის კულტურული აღმავლობა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძლიერებისა და აჭარაში აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდს უკავშირდება. სხალთის ტაძრის აგება და ფრესკებით შემკობა აბუსერისძეთა საგვარეულოს უნდა უკავშირდებოდეს. ხალხში დარჩენილი ზეპირთქმულებების მიხედვით კი სხალთის ეკლესიის აგებას თამარ მეფის სახელს უკავშირებენ.

სხალთის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ხულოს მუნიციპალიტეტში, ბათუმიდან 90 კმ-ის დაშორებით, სხალთისწყლის ხეობაში, მდინარე მარჯვენა მხარეს, მთის ფერდის მოვაკებულ ტერასაზეა განლაგებული. ტაძრის მშენებლობა – XIII, ხოლო მოხატულობა – XIV-XV საუკუნეებით თარიღდება. 1957 და 1989 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად (რესტავრატორები ლ. ხიმშიაშვილი და ლ. ოთარაშვილი), ტაძარი კვლავ განახლდა, ხოლო 1990 წლიდან მოქმედ ეკლესიათა რიგში ჩადგა. 1997 წელს ჩატარებული ფართო სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ (რესტავრატორ გ. ჭეიშვილი) წარმოჩნდა, რომ სხალთის ეკლესიის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთ საინტერესო და თავის დროის გამორჩეული ნიმუშია.

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1981-1982 წლებში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მცირე ეკლესიის ნარჩენებზე და მის გარშემო არსებულ სამარხებზე. ძეგლზე სულ შესწავლილია 29 სამარხი. გამოიყოფა სამარხთა 4 ტიპი. 1) ორმოსამარხები. 2) ამოშენებული კედლიანი სამარხები. 3) ქვის სამარხები და 4) აკლდამა. მოპოვებული ინვენტარი: მოჭიქული თუ სადა თიხის ჯამები, სასმისები, რკინის და ბრინჯაოს ჯვრები, ზანზალაკები, მონეტები XI-XII საუკუნეებითაა დათარიღებული.

თხილვანის ეკლესია. თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია მდებარეობს სხალთისწყლის ხეობის სათავეში, სოფელ გამოღმა თხილვანაში, ხიხანის ციხიდან 5 კილომეტრზე. 1948 წელს აქ აღმოჩენილი ბალავრის წარწერიანი ქვის საფუძველზე სხვადასხვა ავტორები ვარაუდობდნენ ეკლესიის არსებობას, რაც დადასტურდა კიდეც 1978-79 წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ეკლესიის ნანგრევები მოქცეული იყო ქვა--ღორღის უზარმაზარი ხელოვნური ბორცვის ქვეშ. გეგმაში ეკლესია წარმოადგენდა წაგრძელებული ფორმის სამეკლესიან ბაზილიკას ორი შესასვლელით. ეკლესიის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები მიუთითებენ, რომ იგი X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ტბელ აბუსერისძის ნაშრომის მიხედვით ირკვევა, რომ თხილვანის იოანე მახარობლის ეკლესია ტბელის დას – დედოფალთ-დედოფალს ვანენს აღუდგენია.

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1978-1979 წლებში. ეკლესიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 7 ქვევრი, შვიდივე დაუკირავია. ასევე აღმოჩენილი იქნა საკმაოდ საინტერესო კერამიკული მასალა: დერგები, ქოთნების, დოქების, ხელადების, ჯამების, სასმისების, მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვა. ეკლესიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი გამოყენებულია სამაროვნად. შესწავლილია სულ 35 ორმო სამარხი. 21 – პირველ ფენაში, 14-მეორეში. სამარხთა დიდი ნაწილი ინვენტარიანია, დაკრძალვის წესი ქრისტიანული.

ვერნების ეკლესია. ვერნების ეკლესია მდებარეობს მდინარე სხალთისწყლის სანაპიროზე, სოფლის ცენტრში, რომელსაც „მადიძირს“ უწოდებდნენ. ეკლესიის მშენებლობა თარიღდება XI საუკუნის შუა ხანებით. არქიტექტურული სტილით ძალზე ახლოს დგას სხალთის ტაძართან, იგი აბუსერისძეთა საგამგებლოში შედიოდა. ამჟამად იგი მთლიანად დანგრეულია.

გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა კარ-სარკმელთა მორთულობისა და კარნიზის ჩუქურთმების საუცხოო ფრაგმენტები, მცირე ზომის ბრინჯაოს ფირფიტა, რომელზედაც ღვთისმშობელია გამოსახული. ასევე აღმოჩენილია ბალავრის ქვა, სადაც ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი წარწერა: „ქ(რისტ)ე ად(იდე)ნ ე(რისთავთ) ერისთავ)ნი გრ(ი)გოლ აბ(უ)ს)ე)რი დ(ა) შვ(ილ-)ნი მ(ა)თნი გ(რი)გოლ ზ(ა)ქ(ა)რ(ია)“.

კვატიის ეკლესია. აღნიშნული ნაეკლესიარი მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვატიაში. სოფლის ცენტრიდან 200 მეტრის დაშორებით, ამაღლებულ ოვალური ფორმის გორაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საყდრიყელს უწოდებს. სავარაუდოდ, აგების თარიღიც შეიძლება XI-XIII საუკუნეებით დათარიღდეს. სწორედ ამ სოფელზე გავლით გადიოდა უმოკლესი აბრეშუმის საქარავნე გზა ბათუმიდან შავშეთისა და არდაგანის მიმართულებით. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ეკლესიის კედლები გასული საუკუნის 60-იან წლებამდე სრულად ყოფილა შემონახული, შემდეგ მოსახლეო-

ბას დაუშლია და მოჩუქურთმებული ქვები სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის გამოუყენებია. ამჟამად ძეგლის მიმდებარე ტერიტორია დაფარულია ხეებითა და ეკალ-ბარდებით. ძეგლის გაწმენდისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საკვლევი არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება ეკლესიის ტიპისა და ზომის დადგენა.

კალოთის ეკლესია. კალოთის ეკლესია მდებარეობდა სხალთისწყლის ხეობაში სოფელ კალოთის ბოლოს, მაღალ ტერასაზე. აქაურები ამ ადგილს „კალოს“ უწოდებდნენ, აქედან წარმოდგება თვით სოფლის სახელწოდებაც. სოფელი კალოთა, აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია, იგი უკვე უძველეს ეპოქებში ყოფილა დასახლებული. ეკლესიიდან დღეს მხოლოდ საკურთხევლის კედელი და კონქის ნაწილია დარჩენილი. აღნიშნული ეკლესია დარბაზული ტიპის ყოფილა (8,2-4,6 მ).

აღსანიშნავია, რომ ტაძარი მეოცე საუკუნის 40-50 წლამდე შემონახული ყოფილა და მიაკუთვნებენ X საუკუნეს. გადარჩენილი კედლის ფოსოების მიხედვით ჩანს, რომ თავის დროზე კალოთის ეკლესია შესანიშნავად დამუშავებული და ალაგ-ალაგ ჩუქურთმებით შემკული ქვათლილებით ყოფილა მოპირკეთებული.

ხუროთმოძღვრული კომპლექსის არქეოლოგიური გათხრებისას, რომელიც ჩატარდა 1989-1991 წლებში, აღმოჩენილი იქნა ქვის ფილები ქართული ასომთავრული წარწერებით (გათხრებს ხელმძღვანელობდა პროფ. შ. მამულაძე და პროფ. ა. კახიძე), ერთ-ერთი მათგანი, ჯვრის წინაშე ხელაპყრობილი ოსტატის გამოსახულებით, აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ამავდროულად, ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა ინდივიდუალური და კოლექტიური ქრისტიანული სამარხები, აგრეთვე სამი საოჯახო ქვის სამარხი, რომლებიც ნაგებია ქვიშაქვის ფილებით.

ვანაძეების (აგარის) ეკლესია. ვანაძეების ეკლესია ზოგჯერ „აგარის“ ეკლესიის სახელწოდებით მოიხსენება, რადგანაც იგი აგარის თემში შედიოდა. ამ თემის ძირითადი საეკლესიო ცენტრი იყო, ბუნებრივია სახელწოდებაც აქედან მიიღო.

ტაძარი თარიღდებოდა XII-XIII საუკუნეებით. ეკლესია მდებარეობს ღორჯომის წყლის ხეობაში, სოფელ ვანაძეების სამხრეთით, მომაღლებულ ადგილას. ეკლესიის ამ ქედზე არსებობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა „საყდრისქედსაც“ უწოდებს. ხოლო უშუალოდ იმ ადგილს, სადაც ეკლესიაა აშენებული – „ნასაყდრალს“.

ვანაძეების ეკლესია აჭარისწყლის ეკლესიათა შორის ერთ-ერთია, სადაც ნანგრევებს შორის დიდი რაოდენობითაა გადარჩენილი ეკლესიის თაღის, პილასტრების კედლების პერანგების, სახურავების ღარების, საგულდაგულოდ დამუშავებული ქვის ლორფინების დეტალები.

ვანაძეების (აგარის) ეკლესია წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ერთნავიან, მოზრდილ ნაგებობას, რომლის აფსიდიც სწორკუთხედშია ჩაწერილი.

ვანაძეების ეკლესია მიეკუთვნება იმ ეკლესიების ტიპს, რომელთაც ეკვდერი აქვთ.

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კანკელი პ. უვაროვას თან წაუღია, ამიტომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

ეკლესიის ოთხივე მხარე სამარხებისთვის ყოფილა გამოყენებული. სამარხების ტიპი ერთადერთია – ორმოსამარხები, ხოლო დამარხვის წესები ისეთივეა, როგორც მაშინდელი ქრისტიანულ სამყაროში იყო.

საციხურის ეკლესია მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადისა და ღორჯომის ხეობაში, დაბა ხულოდან 15 კილომეტრის დაშორებით, შემაღლებულ ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ჯვართანს“ უწოდებს. ტაძარი თარიღდება IX-X საუკუნეებით. საციხურის ეკლესია მცირე ზომის დარბაზული ტიპის ერთნავიანი ნაგებობაა (სიგრძე 8 მ, სიგანე 5 მ) ნაგებობისათვის საგანგებოდ მოუმზადებიათ საძირკველი, საძირკვლის ბალიშებად 1,5-1,7 მეტრის დამუშავებული მოზრდილი ზომის ქვებია დალაგებული. აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ეკლესიის ირგვლივ დიდი და საკმაოდ მჭიდრო დასახლება ყოფილა, რასაც კოლექტიური სამარხებიც ადასტურებს. ჯვართნის ეკლესიის გარშემო შუა საუკუნეთა დასაწყისშივე გაჩენილა საკმაოდ დიდი სასაფლაო.

შესწავლილი 36 სამარხიდან 20 ინვენტარიანია, წამყვანია ჯამები და სასმისები, სამარხების დიდი უმრავლესობა კოლექტიურია, დაკრძალვის წესი – ქრისტიანული.

უჩხოს ქვის თაღოვანი ხიდი. დაბა ხულოდან 7 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე, სოფელ უჩხოში მდებარეობს XI-XIII საუკუნეებით დათარიღებული თაღოვანი ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სოფელ უჩხოს ხევის ორ ნაპირს. გადმოცემის თანახმად, ხიდი აგებულია თამარ მეფის მმართველობის პერიოდში გურია-აჭარის სამცხეჯავახეთთან დამაკავშირებელ უმოკლეს საქარავნე გზაზე. ხიდის სიგრძე შეადგენს 7.5 მეტრს, შუა წელის სიფართე 2,5 მეტრი, მარჯვენა მისასვლელის სიფართე 2,8 მეტრი, მარცხენა მისასვლელის სიფართე 2,7 მეტრი.

ხიდის მაქსიმალური სიმაღლე წყლის დონიდან ხიდის თავამდე 4,6 მეტრია. თაღის სისქე შუა წელში – 40 სმ. დღეს ის მხოლოდ საცალფეხო გადასასვლელად გამოიყენება. 2005 წელს ხიდს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ, ხიდის სარტყლის გასამაგრებლად ქვემოდან გაკეთდა სპეციალური სარტყელი და დაისხა ბეტონი, რომელმაც ხიდს დაუკარგა პირვანდელი სახე.

სახალხო დღესასწაულები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი სახალხო დრესასწაული იმართებოდა და იმართება. მათგან განსაკუთრებულ შინაარსსა და დატვირთვას ატარებს **„შუამთობა“**. იგი შორეული წარსულიდან მოდის და აქაურთა შრომისა და დასვენების მაღალი კულტურის დადასტურებაა. შედარებით ახალი დღესასწაულებია **„დიდაჭარობა“, „ტბელობა“, „სელიმობა“**. ეს უკანასკნელი მონაცვლეობით ტარდება შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

„შუამთობა“ შიდამთიანი აჭარის ერთ-ერთი უძველესი და ხალხმრავალი, ყოველწლიური, ტრადიციული სახალხო დღესაწაულია. იგი ბევრგან იმართება. ხულოს მუნიციპალი-

ტეტში განსაკუთრებით გამორჩეულია კურორტ ბეშუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, აგვისტოს თვის პირველ კვირას გამართული „შუამთობა". აქ ამ დღეს უამრავი ხალხი იყრის თავს და იმართება ნამდვილი სახალხო ზეიმი, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხური შემოქმედების ჩვენებას, იმართება დოღი, ჭიდაობა, სახალხო სეირნობა და სხვა.

„დიდაჭარობა" ახალი დღესასწაულია. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით, აღნიშნული დღესასწაული ტარდება 2005 წლიდან. იგი იმართება სწორედ იმ სოფელში, სადაც პირველად იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა. ტარდება ყოველი წლის 12 მაისს (ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღეს). დღესასწაულს წინ უძღვის სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. სხალთის ტაძრიდან იწყება მსვლელობა (მანძილი სხალთიდან დიდაჭარამდე – 20-25 კმ) დიდაჭარისკენ და მთავრდება სწორედ იმ წმინდა ადგილზე, სადაც ანდრია პირველწოდებულმა დაასვენა ჯვარი და შემდეგში აიგო პირველი ქრისტიანული სამლოცველო. ამ ადგილს „თარანგელოს" მთა ქვია (მთავარანგელოზის). ამ კუთხით დაინტერესებული ტურისტები ხშირად სტუმრობენ სოფელ დიდაჭარას და მონაწილეობენ ამ მსვლელობაში.

დიდაჭარაში საოჯახო ტურიზმით ბევრი ოჯახია დაკავებული, თითქმის ყოველ წელიწადს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინიციატივით ზაფხულობით სოფელში იმართება ე.წ. „საზაფხულო სკოლა", რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ როგორც უცხოელი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლეები.

საკურორტო-რეკრეაციული რესურსები

კურორტი ბეშუმი. ბეშუმი კლიმატური და სამკურნალო თვისებებით საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო კურორტია. ის გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 1950-2010 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მთავარი სამკურნალო თვისება – ჰაერის გამჭვირვალობა და ნაკლებტენიანობა, მზის ულტრაიისფერი სხივების სი-

უხვე, კარგი სასმელი და მინერალური წყლებია. მისთვის დამახასიათებელია მდიდარი ბუნებრივი გარემო და ულამაზესი ხეობისათვის ნიშანდობლივი უმშვენიერესი სანახები, რაც მოგზაურს საშულებას აძლევს დატკბეს მისი უნიკალური მცენარეთა სამყაროს, აჭარის წყლის შენაკადებისა და თვალწარმტაცი ჩანჩქერების, „მწვანე ტბის“ ხილვით.

კურორტ ბეშუმში შექმნილია სათანადო ინფრასტრუქტურა, დასასვენებელი და სასტუმრო სახლების ქსელი, რათა ათასობით მსურველს გაუწიოს ეფექტური და საკმაოდ მაღალი დონის მომსახურება. იგი ჩართულია ახლად ჩამოყალიბებულ ტურისტულ მარშრუტებში ჩართვა.

განსაკუთრებით საინტერესოა ტურისტული მარშრუტი „ხიხანი-წიფლნარი-ბეშუმი-გოდერძი”.

მარშრუტის ხანგრძლივობა 4 დღეა და იგი ბათუმიდან იწყება, მიუყვება აჭარისწყლის ხეობას და ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში ჩერდება, სადაც მსურველს საშუალება ექნება დააგემოვნოს და შეიძინოს აქაური უნიკალური ვაზის ჯიშების ღვინოები. შემდეგ გზა აჭარისწყლის ხეობით გრძელდება ხიხაძირისაკენ და სხალთის ხეობაში გადაუხვევს. აქვე შესაძლებელია სხალთის საკათედრო ტაძრის მონახულება. იქიდან კი მარშრუტი ამ ულამაზესი ხეობით გრძელდება და X-XI საუკუნეების ისტორიულ ხიხანის ციხესთან ჩერდება. აქვე შესაძლებელია თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის, აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესიის ნანგრევების, ქოჩახის ბუნებრივი მაცივრების, მწვანე ტბის მონახულება.

ტური წიფლნარისა და შუამთის იაილებზე საფეხმავლო ბილიკით გადის. შუამთის იაილების გადავლის შემდეგ კი, კურორტ ბეშუმის ულამაზესი ხედი იშლება, რომელიც გამოირჩევა თავისი სამკურნალო თვისებებით. ტურის მარშრუტი უზრუნველყოფილია საკმაოდ მაღალი დონის დასასვენებელი და კვების ობიექტებით, კარგად შერჩეული და მოსახერხებელი საპიკნიკე და კარვის გასაშლელი ადგილებით.

შთამბეჭდავია აქაურთა ფოლკლორი. აქ შესაძლებელია ნახოთ სახელგანთქმული ანსამბლი „ბერმუხა”, მისი ინდივიდუალური მანერით შესრულებული „ხორუმი, „ოჰოი და ნანა”, „განდაგანა” და სხვა.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური განვითარების სტრატეგია, 2011.

2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1965.

3. გოგიტიძე სიმონ, აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათუმი, 2002.

4. გოგიტიძე სიმონ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათუმი, 2002.

5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1997.

6. თანდილავა ზ., ლაზარობა და „ქვაკაცები“ აჭარაში, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, თბილისი, 1974.

7. ინაიშვილი ა., დიდაჭარის განძი და კოლხური ნივტიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბილისი, 1975.

8. კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლისხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.

9. კახიძე ა., მამულაძე შ., ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები აჭარის მთიანეთში, გაზ. „აჭარა“, 2 ივლისი, 1994.

10. კახიძე ა., მამულაძე შ., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000.

11. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეტა, „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1955.

12. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977.

13. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, I, თბილისი, 2007; II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008; IV, ბათუმი, 2012.

14. ფუტკარაძე მ., აჭარა, ბათუმი, 2003.

15. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.

16. ცინცაძე ზ., ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბილისი, 1980.

კითხვები განხილვისა და დისკუსიისათვის

1. რით განსხვავდება ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებისაგან?

2. მისი ძველი ისტორიის რომელ ძეგლებს გამოყოფდით და რატომ?

3. საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდს განეკუთვნება ხიხანის ციხე და რა ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია მას?

4. რა იცით აბუსერისძე ტბელის შესახებ?

5. რომელი სტრატეგიული და სავაჭრო დანიშნულების გზები გადადიოდა ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიის ადრეულ პერიოდში?

6. რა ვიცით სხალთის სამონასტრო კომლექსის შესახებ?

7. რომელი ცნობილი პიროვნებები ცხოვრობდნენ ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და რა შეგიძლიათ გვითხრათ მათ შესახებ?

8. დასვენებისა და გართობის რომელი ადგილებია ცნობილი თქვენთვის ხულოს მუნიციპალიტეტში და რითაა ისინი საინტერესო?

9. რა იცით ხულოს მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ქცეულ სახალხო დღესასწაულებზე და რას გვეტყვით სახალხო დღესასწაულ „ტბელობის” შესახებ?

10. ტურიზმის რომელი სახეობების განვითარების პერსპექტივებია ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?

პეტრა-ციხისძირი

აჭარის ტერიტორიაზე მრავალი ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლია შემორჩენილი, რაც ამ რეგიონის დიდ წარსულზე მეტყველებს. მათ შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ღირსებებით გამოირჩევა ციხისძირის ისტორიული კომპლექსი, რომელსაც ბიზანტიელები პეტრასაც უწოდებდნენ, რაც ნიშნავს კლდეს, მტკიცეს.

ციხისძირი, სადაც აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ციხე-ქალაქებისა და ციხესიმაგრეების წარმოქმნა, მეტწილად, განპირობებული იყო აღნიშნულ რეგიონში რომისა და ბიზანტიის სტრატეგიული ინტერესებით. ამდენად, ციხისძირის არქეოლოგიური ძეგლების კვლევა მდიდარ ინფორმაციას შეიცავს, ერთი მხრივ, ლაზიკასა და, მეორე მხრივ, რომსა და ბიზანტიას შორის რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესასწავლად.

პეტრას, როგორც ლაზიკის ცნობილი ციხე-ქალაქისა და საეპისკოპოსო კათედრის, შესახებ ძირითადი წერილობითი მონაცემები შემორჩენილია VI-IX სს.-ის ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში (იუსტინიანეს ნოველები, პროკოპი კესარიელის თხზულებები, კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხები). წერილობითი წყაროების მიხედვით, ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, ზღვასთან, უმნიშვნელო დაბის ადგილას, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წწ.) ბრძანებით, გაშენდა ქალაქი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბიზანტია-ირანს შორის ლაზიკისათვის წარმოებული ომის დროს. ციხე-ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობა ხაზგასმულია პროკოპი კესარიელის აღწერილობაში: „ქალაქი პეტრა მიუვალია, ჯერ ერთი, ზღვის მხრით, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველის მხრით არის აღმართული: აქედან არის, რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად.“

ციტადელის კედლები მრავალი საომარი შეტაკების მოწმეა. სწორედ აქ გაიმართა მნიშვნელოვანი ბრძოლები ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის VI ს.-ის პირველ ნახევარში. პროკოპი კესარიელის მონაცემებით, 550 წელს ბიზანტიელებმა მიწასთან გაასწორეს ციხის კედლები, რათა მტერს მომავალში მათთვის საქმე არ გაერთულებინა. უფრო მოგვიანო ბიზანტიურ წყაროებში (VI-IX სს.) ეს სიმაგრე უკვე იხსენიება არა როგორც ლაზიკის ციხე-ქალაქი, არამედ როგორც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შემავალი ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთი ეპარქიის ცენტრი.

ქართული წყაროებისათვის ამ სახელწოდების ქალაქი უცნობია. მხოლოდ მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების (553 წ.) კანონთა ძველ ქართულ თარგმანში იხსენიება ქალაქი „პეტრონი”.

ციხისძირი კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა სტრატეგიულ მნიშვნელობას. ბოლო ომი ციხის კედლებთან 1878 წელს გაიმართა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. აქ გამართულ ცხარე ბრძოლებში მრავლად მონაწილეობდნენ ქართველი მოლაშქრეები. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ოსმალთაგან აჭარის გათავისუფლებასა და მხარის დედასამშობლოსთან დაბრუნებაში.

ამ მიდამოებში შემორჩენილი ციხესიმაგრის ნანგრევებისა და სხვა სიძველეებისადმი დიდი ხანია ცხოველ ინტერესს იჩენდნენ როგორც უცხოელი მკვლევრები და მოგზაურები, ასევე, ქართული საზოგადოებაც. XIX ს.-ის საგაზეთო პუბლიკაციებში გაჩნდა ცნობები ციხისძირში შემთხვევით აღმოჩენილი ძვირფასი ნივთებისა და ნუმიზმატიკური მასალის შესახებ. XX ს.-ის პირველ ათწლეულში ციხისძირის სანაპირო ზოლში აგარაკების მშენებლობისას შემთხვევით აღმოჩნდა მრავალი ძველი საინტერესო ნივთი. კერძოდ, ბრინჯაოს მელითონეთა განძები, რომელთა ნაწილი ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ნაწილი – აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. XX ს.-ის 20-იან წლებში ციხისძირში, ნაციხარის მიდამოებში, მოაგარაკეების მიერ ნაპოვნი რომაული დამღიანი აგური 1920 წლიდან დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1907 წლიდან სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟში, ინახება ციხისძირში ნაპოვნი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთების კოლექცია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ აღნიშნული ნივთები ნაპოვნია ციხისძირის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ გორაკზე აგარაკის მშენებლობის დროს. ციხისძირის მიდამოებთან დაკავშირებულია მრავალი შემთხვევითი ნუმიზმატიკური აღმოჩენაც. მათ შორისაა ბერძნული, რომაული, პართული, სასანური, ბიზანტიური, არაბული და ოსმალური მონეტები. ამ ნივთებიდან ზოგმა დაიდო ბინა სხვადასხვა მუზეუმსა თუ კოლექციებში, ზოგიც უკვალოდ დაიკარგა. ამის გამო აუცილებელი ჩანდა გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, მაგრამ ამ საქმეს საფუძველი მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა.

1962-1965 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიცია აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს ციხისძირის ციხის ტერიტორიაზე. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ციხესიმაგრის ნაშთები განლაგებული იყო ორ ბორცვზე. მძლავრი კედლითა და კოშკებით შემოსაზღვრული შიდაციხე კარგად გააზრებულ საფორტიფიკაციო სისტემას შეადგენდა. შიდაციხის ტერიტორიაზე შესწავლილია სხვადასხვა პერიოდის და ხასიათის ნაგებობა, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახითაა მოღწეული.

ციხის კედლების მშენებლობაში ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა: ადრე შუა საუკუნეებისა და ოსმალების დროინდელი. შიდა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა ადრე შუა საუკუნეების კარიბჭე, რომლის თაღი აგურებით იყო ამოყვანილი, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან აღჭურვილი იყო კონტრფორსებით. აღმოსავლეთის მხრიდან კარიბჭის ჩრდილოეთი კედლის წყობაში აღმოჩნდა ღარიანი კრამიტებით შესრულებული ბოლოებგაფართოებული ჯვრის გამოსახულება, რომელიც ოსმალებს კირით გადაულესავთ და დაუფარავთ. ჩრდილოეთ ბორცვზე განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობები ორმაგი კედლითაა დაკავშირებული სამხრეთ-დასავლეთ ბორცვზე არსებულ კოშკთან. ორმაგი კედლიდან დასავლეთით მდებარე კედელი შედარებით მაღალია და იგი ძირითად კედელს წარმოადგენს, რომლის წინ აღმართულია დამცავი კედელი ანუ პროტეიხიზმა. იგი ძირითადი კედლისკენ მიმართული მხრიდან აღჭურვილია სწორკუთხა კონტრფორსებით, რომლებიც თაღებითაა გადახურული. ძირითადი კედლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა კარიბჭე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან დამცავი სწორკუთხა კოშკი აქვს. ორმაგი კედელი რომ პროკოპის დროინდელია, ამაზე მეტყველებს

მათ წყობაში დადასტურებული აგურის სარტყლები და ამ უბანზე აღმოჩენილი მხოლოდ ადრეული ხანის არქეოლოგიური მასალები.

მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღებას ადრიდანვე იქცევდა შიდაციხის ცენტრში შემორჩენილი ნაგებობის ნაშთები. გათხრების შედეგად წარმოჩნდა მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული აბსიდით. იგი ოსმალთა მფლობელობის პერიოდში გადაკეთდა სამეურნეო სათავსოდ. ეკლესია გადახურული იყო კამარით, აბსიდი კი – კონქით. ნაგებობას შესასვლელი ჰქონდა დასავლეთიდანაც და სამხრეთიდანაც. ეს ადგილი გვიან ამოუქოლავთ. ეკლესია ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით და კირხსნარითაა განმტკიცებული. საყდრის გაწმენდისას გამოვლენილი ფრესკების ფრაგმენტები მიგვანიშნებს მისი შემსრულებელი ხელოვანის მაღალ ოსტატობაზე. ეკლესია, არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, თარიღდება X-XIV სს.-ით. იგი აუგიათ სამნავიანი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ.

სამნავიან ბაზილიკას აქვს წაგრძელებული პროპორციები, ხუთწახნაგა აბსიდი, სამნაწილიანი ნართექსი. შიდა საყრდენებიდან გადარჩენილია რამდენიმე ბოძის საძირკველი. ჩანს, თითო რიგში ხუთ-ხუთი ბოძი იყო განლაგებული. ბაზილიკა ნაგებია დაუმუშავებელი ქვებითა და დუღაბით. აბსიდი გარედან მოპირკეთებულია თანაბარი ზომის თლილი ქვებით. სავარაუდოა, რომ ბაზილიკა გადახურული იყო ხის კოჭებისა და ნივნივებისაგან შედგენილი კონსტრუქციით. ციხისძირის სამნავიან ბაზილიკას ყველა მკვლევარი VI ს.-ით ათარიღებს და თვლის, რომ ეს იყო პეტრას საკათედრო ტაძარი. მათი აზრით, ამით აიხსნება მისი სიდიდე, რითაც იგი გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს თანადროული ბაზილიკებისგან.

სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაითხარა აბანო, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართული წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობის ნაგებობაა და შედგება ანფილადურად განლაგებული ხუთი განყოფილებისგან: ესენია – გასახდელ-მოსაცდელი, ცივი, თბილი, ცხელი წყლის განყოფილებები და საქვაბე.

ბაზილიკა და აბანო ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნის. აბანოს გაუქმების შემდეგ, მის ტერიტორიაზე მარანი იყო გამართული.

ბაზილიკისა და აბანოს თანადროულია შიდაციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული 25 მ სიგრძისა და 5 მ სიგანის ნაგებობა, რომელიც ორი განივი ტიხარით გამიჯნულია სამ ნაწილად. კედლები, რომელთა სისქე 1 მ-ია, შიგნიდან კირხსნარითაა შელესილი. აღნიშნული ნაგებობა სურსათის შესანახი სამეურნეო ხარო იყო.

შიდაციხეზე 1962-63 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე გვიანდელი ფენა XVIII-XIX სს.-ს განეკუთვნება და დაკავშირებულია აქ ოსმალური გარნიზონის დგომასთან. ოსმალთა დროინდელია ჩრდილოეთ ბორცვზე შემორჩენილი ციხის კედლების უმეტესი ნაწილი. დარბაზული ეკლესია, გადაკეთებული სახით, ოსმალთა მიერ გამოყენებული იყო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად. გვიანდელ ფენაში აღმოჩნდა თოფისა და ზარბაზნის ჭურვები, აგურისა და კრამიტის ფრაგმენტები, ფაიფურისა და მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, ჩიბუხები.

მეორე ფენა შუაფეოდალურ ხანას (X-XIV სს.) განეკუთვნება და დანარჩენ ფენებთან შედარებით, სუსტად არის წარმოდგენილი. ამ პერიოდისაა დარბაზული ეკლესია და მის

ჩრდილოეთით გამოვლენილი სამეურნეო სათავსის კედლის ნაშთები, აგრეთვე აბანოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია დუღაბში ჩასმული ქვევრების, დერგების და მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, მინის სამაჯურის ნატეხი, ვერცხლის თასის ნაწილები, ქვის ემბაზი. საყურადღებო მონაპოვარს წარმოადგენს წმინდა გიორგის გამოსახულებიანი ტყვიის შეკიდული ბეჭედი, რომელიც ეკუთვნოდა ვინმე გიორგი მაკტეოსს. იკონოგრაფიული და პალეოგრაფიული ნიშნებით ბეჭედი X-XI სს.-ით თარიღდება.

ნაგებობების კედლების ყველაზე ძველი ფენა VI საუკუნისაა. ამ ხანას განეკუთვნება ციხის კედლების ადრეული ფენა, სამნავიანი ბაზილიკა, სამეურნეო სათავსო და არქეოლოგიური მასალები: წელშეზნექილი და ტანდაღარული ამფორების, წითლად გაპრიალებული დოქების, წითელლაკიანი თეფშების, დოქების, ქოთნების და სამშენებლო კერამიკის (აგური, კრამიტი) ფრაგმენტები. ამ პერიოდის მინა წარმოდგენილია ქუსლიანი სასმისებით, ჭრაქებით და სარკმლის მინის ნატეხებით.

1964 წელს ციხისძირში, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბორცვზე გაითხარა ძველკოლხური ნამოსახლარი, რომელიც შეიცავდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ადრეანტიკური, ელინისტური, გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ხანის კულტურულ ფენებს.

1966 წელს ციხის ჩრდილოეთით, ზღვისპირა დაბლობში, სუბტროპიკულ მცენარეთა სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა და ნაწილობრივ გაითხარა ეკლესიის ნაშთები. ნაეკლესიარის გათხრების დროს აღმოჩნდა ქვის კაპიტელის, ქვის კენჭებით აწყობილი იატაკის მოზაიკის, მარმარილოს დეტალების ფრაგმენტები, ჯვრისგამოსახულებიანი ქვა. არქეოლოგიური მასალებიდან აღსანიშნავია სასარკმლე მინის, მინის ქუსლიანი სასმისების და ჭრაქების ნატეხები, ამფორების, წითელლაკიანი თეფშების და სამშენებლო კერამიკის ფრაგმენტები. ამ აღმოჩენების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ პეტრას ნაქალაქარი მდებარეობდა ციხის ჩრდილოეთით, ზღვის სანაპირო ზოლში და ვრცელდებოდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე.

1983-88 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ბობოყვათის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე განახორციელა არქეოლოგიური სამუშაოები, სადაც გამოვლინდა ხუროთმოძღვრული ძეგლები: ახ. წ. IV საუკუნით დათარიღებული ორი აბანო, ადრებიზანტიური ხანის ვილა და ვრცელი სამაროვანი. ციხისძირის აკროპოლისის აბანოს მსგავსად, ახლადგამოვლენილი აბანოებიც ანფილადურია და შედგება გასახდელ-მოსაცდელის, ცივი, თბილი და ცხელი წყლის განყოფილებებისაგან. მათგან ერთი საზოგადოებრივი დანიშნულებისაა, მეორე, შედარებით პატარა – კერძო. ადრებიზანტიური ხანის ვილა შედგება საცხოვრებელი ნაგებობების, შიდა ეზოს, აბანოსა და მარნისაგან.

ანტიკური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე ჯერჯერობით შესწავლილია 313 სამარხი. სამარხების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია (ძვ. წ.აღ.-ის V ს. – ახ. წ. VI ს.) და მოიცავს პერიოდს ადრეანტიკური ხანიდან ადრე შუა საუკუნეების ჩათვლით. გათხრების პროცესში აღმოჩენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალა – კერამიკული და მინის ნაწარმი. მოპოვებულია აგრეთვე, საინტერესო ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც შეიცავს პართულ, რომაულ, ბიზანტიურ, არაბულ და ოსმალურ მონეტებს.

2001 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა გათხრები 1966 წელს გამოვლენილი ნაეკლესიარის ტერიტორიაზე და ბოლომდე შეისწავლა იგი. გათხრების შედე-

გად დადგინდა, რომ ძეგლი მრავლფენიანია. აქ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, სამი სხვადასხვა ეკლესია იდგა. თავდაპირველად აუგიათ პატარა დარბაზული ეკლესია: მეორე სამშენებლო პერიოდს განეკუთვნება შედარებით მოზრდილი დარბაზული ეკლესია, რომელსაც აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენები, ხოლო დასავლეთით აღჭურვილია კარიბჭით. შემდგომ ეტაპზე დარბაზული ეკლესია კიდევ უფრო გაფართოვეს ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მინაშენების ხარჯზე. ამ მინაშენების საზღვრებში მოექცა ის სამარხები, რომლებიც დარბაზული ეკლესიის ფუნქციონირების პერიოდში იყო გამართული. ეკლესიის ტერიტორიაზე 11 ორმოსამარხი გაითხარა. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია და ამდენად, უინვენტარო. მხოლოდ ორ სამარხში აღმოჩნდა მშვილდსაკინძი, რომელიც სამოსის ატრიბუტს შეადგენს. გაითხარა ერთი ამფორა-სამარხიც, რომელიც ჩვილი ბავშვი იყო დაკრძალული. ხსენებული ნაეკლესიარი და სამარხები ახ. წ. VI-VII სს.-ით თარიღდება. იგი ციხისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რიგით მეოთხე ეკლესიაა. ასეთი ადრეული ხანის საეკლესიო ნაგებობები აჭარის ტერიტორიაზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ციხისძირშია გამოვლენილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს წერილობითი წყაროებით კარგად ცნობილ ფაქტს, რომ პეტრა-ციხისძირი ისტორიული ლაზიკის ერთ-ერთ საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა. წერილობით წყაროებში მეექვსე საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იხსენიება პეტრელი ეპისკოპოსი იოანე.

წერილობითი წყაროების მონაცემებთან ერთად, არქეოლოგიური აღმოჩენებიც ადასტურებს, რომ ციხისძირი, დროის გარკვეულ მონაკვეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტსა და ციხე-ქალაქს წარმოადგენდა.

ციხისძირის მიწა ჯერ კიდევ ბევრ საინტერესო აღმოჩენას გვპირდება.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. თავამაიშვილი გ., ციხისძირის სამსხვერპლო, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVII, თბილისი, 1988.
2. თავამაიშვილი გ., რიტუალური ჭურჭელი ციხისძირიდან, – კრ.: ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, 2002.
3. იაშვილი ი., ტყვიის ბულა ციხისძირიდან, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIII, თბილისი, 1985.
4. იაშვილი ი., პართული მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVII, თბილისი, 1988.
5. ინაიშვილი ა., ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბილისი, 1971.
6. ინაიშვილი ა., პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხისათვის ციხისძირის გათხრების შედეგების მიხედვით, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბილისი, 1971.
7. ინაიშვილი ა., პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, თბილისი, 1974.
8. ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993.
9. ინაიშვილი ნ., ბობოყვათის ეკლესია, – ქრისტიანული არქეოლოგიის VI კონფერენციის მოხსენებათა შინაარსები, თბილისი, 2002.
10. ინაიშვილი ნ., პეტრას საეპისკოპოსო კათედრა, – კრ.: ბიზანტინოლოგია საქართველოში (რედ. ნელი მახარაძე, მარინა გიორგაძე), II, თბილისი, 2009.
11. ხოშტარია ნ., ციხისძირი (ახ. წ. პირველ საუკუნეებში), თბილისი, 1962.

გონიოს ციხე

გონიოს ციხე საქართველოს უძველესი ისტორიისა და მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც საყოველთაო აღიარებით წარმოადგენს რომაული საფორტიფიკაციო არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშს.

გონიოს ციხე დიდი ხანია იდენტიფიცირებულია ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში არაეთგზის მოხსენიებულ აფსაროს//აფსარუნტთან.

წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ აქ დასახლება საფორტიფიკაციო ნაგებობის აგებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. თუ ურარტულ წყაროებს დავეყრდნობით, ჭოროხის აუზი მიმდებარე ტერიტორიაზე, გვიანბრინჯაოს ხანაში საფუძველი ჩაეყარა უძველესი სახელმწიფოებრივი ერთეულების დიაოხისა (ძვ. წ.აღ.-ის XIII ს.) და კულხას (ძვ. წ.აღ.-ის XII ს.) ფორმირებას. ანტიკური ტრადიცია კი აფსაროსის, როგორც დასახლებულ პუნქტის წარმოქმნას, არგონავტების ლაშქრობას (ძვ. წ.აღ.-ის. XIII ს.) უკავშირებს. აღნიშნული წყაროებით, აფსაროსის დასახლება გაჩნდა იმ ადგილის გარშემო, სადაც იაზონს დადევნებული და ვერაგულად მოკლული კოლხეთის მეფის აეტის ვაჟი აფსირტე იყო დასაფლავებული.

თავის დროზე, კოლხეთის ზღვისპირა ზოლის არქეოლოგიური შესწავლის სურვილი ბევრ ცნობილ პიროვნებას გაუჩნდა, მათ შორის, ბერძნული სამყაროს ცნობილ მკვლევარს – ჰაინრიხ შლიმანს, აკადემიკოს ნიკო მარს, ცნობილ ბიზანტიოლოგს თევდორე უსპენსკის, მაგრამ მათ მცდელობას პრაქტიკული გაგრძელება არ მოჰყოლია.

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი არქეოლოგიური მასალა ადრე რკინის ხანით თარიღდება. აფსაროსის შემოგარენში ფუნქციონირებდა მსხვილი სამთო-მეტალურგიული კერა (გონიო, ავგია, ჭარნალი, ავგია, ხოფჩო, ახალისოფელი), რომელიც ძვ. წ.აღ.-ის VIII-VII სს.-ით თარიღდება.

უძველეს რკინის მეტალურგიის წარმოებას უკავშირდება შიდაციხისა და მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე.წ. დიუნური სადგომების ნაშთები, დამახასიათებელი ქსოვილისანაბეჭდიანი და სადაზედაპირიანი აბაზანისმაგვარი ჭურჭლებითა და თიხის რქისებრშვერილიანი სადგრებით შედგენილი საკულტო კომპლექსებით.

მომდევნო პერიოდის, კერძოდ, დიდი ბერძნული კოლონიზაციისა და ახალი კოლხური სახელმწიფოს ფორმირების პირველი ეტაპის მასალა გონიოს ტერიტორიაზე ადრე არ იყო მიკვლეული. 2000 წელს კი, ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ.აღ.-ის V ს.-ის ადგილობრივი კოლხი მოსახლეობის სამარხები. ამ აღმოჩენების შედეგად შეივსო ის წყვეტილი, რომელიც არსებობდა წინაანტიკური და ელინისტური ხანის მასალებს შორის.

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებით დადასტურდა, რომ აფსაროსში კოლხური დასახლება ძვ. წ.აღ.-ის V ს.-ში ჩნდება. ციხის ტერიტორიაზე დაფიქსირდა ძვ. წ.აღ.-ის V ს-ის კოლხური კერამიკის ნიმუშები, ციხის სამხრეთი კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ.აღ.-ის V ს.-ის ადგილობრივი კოლხი მოსახლეობის სამარხები. ელინისტური ხანიდან აფსაროსში სამეურნეო-კულტურული ცხოვრება აღმავლობის გზით მიდის, რისი მოწმობაცა აღნიშნული პერიოდის სამაროვნის მრავალფეროვანი ინვენტარი, ასევე ციხისა და მიმდებარე ტერიტორიაზე (სოფ. ჭარნალი, სოფ. შარაბიძეები, მახვილაური) მიკვლეული თანადროული კერამიკული და ნუმიზმატიკური მასალა, თუმცა აფსაროსი ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან დასახლებას.

ძვ. წ.აღ.-ის I ს.-ის მეორე ნახევარში კოლხეთი მცირეაზიელი მეკავშირეებისა და მითრიდატე პონტოელის მემკვიდრეების ბრძოლის ასპარეზად იქცა (ამას დაემატა მთიელთა შემოსევები). შედეგად, დაშლილი ქვეყანა რომაელებმა ახალი და ძველი წელთაღრიცხვის მიჯნაზე პოლემონის პონტოს გადასცეს. ახ. წ. 63 წელს, იმპერატორ ნერონის ბრძანებით, გაუქმდა პოლემონების პონტოს სამეფო და პონტო კოლხეთთან ერთად გალატიის პროვინციაში შევიდა. რომაელების ხელში გადავიდა დაპრობილი ქვეყნების სამხედრო ფლოტი, რასაც ხომალდებისათვის აუცილებელი ნავსადგურების მშენებლობა მოყვა. რომაელები დაპყრობილ ტერიტორიაზე ქალაქური ცხოვრების განვითარების მიზნით ახალ პუნქტებსაც აარსებენ და ძველ ბერძნულ დასახლებებთან ციხესიმაგრეებს (კასტელუმებს) აგებდნენ. სამწუხაროდ, რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში ვერ ვხვდებით ცნობას იმის თაობაზე, თუ ვისი აშენებულია აფსაროსის ციხე. ეს გარემოება აფიქრებინებს მკვლევრებს, რომ შესაძლოა, რომაელებმა გამოიყენეს აქ არსებული ძველი ციხესიმაგრე, რის საფუძველზეც ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობა გამართეს. ის ფაქტი, რომ გონიო-აფსაროსში მიკვლეული ყველაზე ადრეული მონეტები ნერონის (ახ. წ. 37-68 წწ.) სახელზეა მოჭრილი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უნდა მიანიშნებდეს, რომ კოლხეთის ზოგიერთ პუნქტში რომაული გარნიზონი სწორედ ნერონის დროიდან უნდა მდგარიყო.

რატომ ააგეს რომაელებმა ციხე აფსაროსში, სხვა სიტყვებით, კონკრეტულ ეპოქაში რა სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას? უპირველეს ყოვლისა, აფსაროსი ითვლებოდა რომის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილად, სადაც შეიძლებოდა ზღვით მისვლა. ციხე იცავდა ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობის შემოსასვლელებსაც. მთის ზოლით შემოსაზღვრულობა სტრატეგიული თვალსაზრისით ასევე ფრიად საგულისხმო ფაქტორი იყო, ხოლო ერთადერთი გზა ადვილად კონტროლდებოდა მეციხოვნეების მიერ.

აფსაროსი მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს მიწაწყალზე, რისი აუცილებლობაც განპირობებული იყო მეზობელ ძიდრიტთა ოლქში იბერიის დამკვიდრებით და მაკრონ-ჰენიოხთა სამხრეთით ჭანეთის მთებში მოსახლე ჭანთა თუ სანთა ტომების გააქტიურებით ე.ი. აფსაროსის ციხის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა რომის ვასალური ტერიტორიის დაცვა გაძლიერებული იბერიის ტერიტორიიდან შემოტევისაგან და ნაწილობრივ ჭანთა ურჩი ტომების დამორჩილებაც.

გონიო-აფსაროსის ციხე გეგმაში სწორკუთხედია (სიგრძე – 222 მ, სიგანე – 195 მ, ფართობი 4,75 ჰა, სიგრძე პერიმეტრზე – 900 მ, კედლების სიმაღლე – 5 მ, ხოლო იქ, სადაც კოშკებია აღმართული – 7 მ). ციხის კედლები კარგადაა შემონახული და ნათლად ეტყობათ პერიოდული შეკეთებისა თუ მშენებლობის კვალი. კედლების ქვედა ნაწილი დიდი ზომის დამუშავებული კვადრებითაა შედგენილი. კედლის ზედა ნაწილი (დაახლოებით 1,5 მ სიმაღლის) შედარებით პატარა ქვებისგანაა ნაშენი და აშკარად გამოირჩევა ქვედა I-II იარუსისაგან. ციხე გამაგრებული იყო 22 კოშკით, რომელთაგან დღეს 18 შემორჩენილი. ციხე სიმაგრეს 4 შემოსასვლელი ჰქონდა, დღეს 3 მათგანი ამოქოლილია. ციხის შიდა სივრცე რომაული კასტელუმებისათვის დამახასიათებელი ორი ურთიერთგადამკვეთი ქუჩით (კარდო, დეკულანუმი) იყო მოწყობილი.

აფსაროსი, როგორც ციხესიმაგრე, პირველად პლინიუს სეკუნდუსის ახ. წ. 77 წლით დათარიღებულ ნაშრომშია (ბუნების ისტორია, რომელიც ახ. წ. 77 წელს დაასრულა) მოხსენიებული. რომაელები მუდმივმოქმედი, ხანგრძლივი დროისათვის გამიზნული ციხესიმაგრეების მშენებლობამდე აგებდნენ ხის დროებით საფორტიფიკაციო ნაგებობებს.

არ არის გამორიცხული, რომ რომაელებს აფსაროსშიც თავდაპირველად ხის დროებითი სასიმაგრო ნაგებობა აეგოთ, როგორსაც ფლავიუს არიანე (95-175 წწ.) იხსენიებს ფასისში.

არიანეს ცნობით, „აფსარში დგას 5 კოჰორტა (σπειρα)“. ხუთ კოჰორტაში 30 ცენტურია (ასეული) ერთიანდებოდა, ე.ი. ამ ციხეში 1800-3000 ჯარისკაცი იდგა. სხვადასხვა მონაცემებსა და ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფსაროსში განლაგებული სამხედრო კონტიგენტი დამხმარე რაზმებს წარმოადგენდნენ და მაქსიმუმ 1000-1400 ჯარისკაცს მიითვლიდნენ. გონიოს ციხეში აღმოჩენილ აგურებსა და კრამიტებზე დატანილი წარწერებით დასტურდება, რომ აფსაროსში იდგა მოისართა (შაგიტტარიუს) და იმპერატორ მარკუს ავრელიუსის სახელობის კოჰორტა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა აფსაროსი ახ. წ. პირველ საუკუნეებში გარკვეული რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილიყო, რის შესახებ უნდა მიანიშნებდეს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეული პირველი საუკუნეების სავარაუდოდ, ორი სამარხეული კომპლექსის ინვენტარი.

გონიოს ციხის ქვის გალავნის მშენებლობა I-II საუკუნეების მიჯნაზე უნდა დაწყებულიყო. ახ. წ. II-III სს.-ით თარიღდება რომაული აბანოს ნაშთები, წყალსადენი სისტემა და კოლექტორი, სამხრეთ კარიბჭესთან მიკვლეული ყაზარმის ნანგრევები, ციხის კედლებს დღესაც ატყვია პერიოდული შეკეთების კვალი. ციხე ახ. წ. III საუკუნეში დაზიანდა, მაგრამ ახ. წ. III საუკუნის ბოლოსა თუ IV საუკუნის დასაწყისისათვის კვლავ აღდგენილი ჩანს.

ნაქალაქარის სტრატიგრაფია მეტყველებს, რომ გონიო-აფსაროსის ციხეს ახ. წ. IV საუკუნისათვის დროებით შეუწყვეტია ფუნქციონირება. ციხის ცენტრალურ ნაწილში და ციხის გარეთაც, ზოგადად ახ. წ. I-III საუკუნეების ფენის დასასრულს, ნგრევის კვალი დასტურდება. როგორც ჩანს, ვითარება რეგიონში ამ პერიოდში რადიკალურად შეიცვალა. ისტორიული წყაროები ცხადყოფენ, რომ ამ პერიოდში გაძლიერდა ლაზიკის სამეფო. ახ. წ. IV საუკუნიდან ლაზიკის ტერიტორიაზე, თვით ზღვისპირა სიმაგრეებში აღარ დგანან რომაული გარნიზონები. თუმცა, თვლიან, რომ ბიზანტია კვლავ ინარჩუნებდა ლაზიკაზე პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტებს და უშუალოდ აკონტროლებდა მის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთს – მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროსა და ჭოროხის შესართავს. მკვლევართა აზრით, აფსაროსის დაცლა ბიზანტიელთა სტარტეგიული ინტერესების ციხისძირისაკენ გადანაცვლებით უნდა აიხსნას. არქეოლოგიურ მასალას თუ მოვიშველიებთ, იგივე დასკვნის გაკეთების საშუალება გვეძლევა.

ლაზიკის სამეფოს გაძლიერებამ გამოაცოცხლა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დასავლეთ საქართველოსა და რომის აღმოსავლურ პრვინციებს შორის, რის შესახებაც სხვა ძეგლებთან ერთად, ნათლად მეტყველებს გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური მასალაც.

რადგან ლაზიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიასთან, ამდენად, ქრისტიანობამ ადრე იწყო აქ ფეხის მოკიდება. ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით საგულისხმოა ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციაში დამკვიდრებული გადმოცემა ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელისა და მატათას მიერ ქრისტიანობის სწორედ დასავლეთ საქართველოში ქადაგების შესახებ. წმინდა ეპიფანე კვიპრელის ცნობით კი, მატათა მოციქული, რომელმაც სახარება იქადაგა მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), აფსაროსში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. მატათას დაკრძალვის ადგილად აფსაროსი მითითებულია „ქართლის ცხოვრებაშიც“.

აფსაროსის ციხესიმაგრე ახ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან VI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, ფაქტობრივად, მიტოვებული იყო. აგათია სქოლასტიკოსის (ახ. წ. 536-582 წწ.) ცნობა გუბაზ მეფის მკვლელების იოანესა და რუსტიკეს აფსაროსის ციხეში დატუსაღების შესახებ, გარკვეულწილად უნდა მიანიშნებდეს აქ არა ქალაქის, არამედ ციხესიმაგრის ფუნქციონირებაზე.

აფსაროსის ციხე შესაძლოა სრულად აღდგენილიყო და ჩამოყალიბებულიყო ბიზანტიელთა სასაზღვრო ბანაკად (Παρεμολε) ახ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მშენებლობებს აუცილებლად აღნიშნავდა პროკოპი კესარიელი თავის ნაშრომში ამ მშენებლობებს აუცილებლად აღნიშნავდა პროკოპი კესარიელი თავის ნაშრომში ***შენობათა შესახებ***, რომელიც ახ. წ. 560 წელსაა შესრულებული.

ახ. წ. VIII საუკუნის შემდეგ წერილობით წყაროებში „აფსარი“ აღარ იხსენიება. ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანაში მის ადგილს იკავებს სახელწოდება „გონია“. პირველად ამ სახელით მას იხსენიებს მწერალი ხაჯი კალფა, რომლის მიხედვით გონია ზღვისპირას, საქართველოს საზღვარზე ციხესიმაგრეცაა, მცირე ქალაქიც და ოლქიც.

განვითარებულ შუასაუკუნეებში გონიოს ციხემ დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა და ამ პერიოდში ციხის ტერიტორია ნაკლებად ჩანს გამოყენებული.

თამარის ეპოქაში, ტრაპიზონის იმპერიის შექმნის შემდეგ, გონია ამ იმპერიის შემადგენლობაშია. XIII ს-ის 90-ან წლებში ტრაპიზონის იმპერიას გამოეყო რიზე-გონიის პროვინცია და შეუერთდა ფეოდალურ საქართველოს. ათწლეულების მანძილზე, აჭარა და ჭანეთი ხან გურიელის გამგებლობაში შედიოდა, ხან მესხეთის ათაბაგის. ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ კი დაიწყო ოსმალთა აქტიური თავდასხმები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით 1547 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ჭანეთი და მასთან ერთად „მცირე ქალაქი გონია“. ოსმალებმა ციხე შეაკეთეს და მის კედლებს ქონგურები დააშენეს. ოსმალებმა გონიოს ციხე გადააქციეს ავანპოსტად დაპყრობილ მიწებზე ბატონობის გასამტკიცებლად და ახალი ტერიტორიების, მათ შორის დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად.

1647 წელს გონიოს ციხე კაზაკებმა აიღეს. გონიო მაშინ ტრაპეზუნდის ვილაეთში შედიოდა. თორთუმის სანჯაყის გამგებელმა სეიდ ახმედ-ფაშამ სასტიკად დაამარცხა ზაპოროჟიელი კაზაკები და ციხეში ჯარის გაზრდილი შენაერთი ჩააყენა. აქ მათ წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა განაახლეს, ციხის შუაგულში კი სამლოცველო ააგეს.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში გონიოს შესახებ ცნობას გვაწვდის ბრიტანეთის კონსული ტრაპეზუნდში ჯილფორდ პალგრევი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში გონიო კაზის ცენტრი იყო, პალგრევის სიტყვებით, გონიო მხოლოდ „მცირე სოფელია“. გიორგი ყაზბეგი, რომელმაც ამავე პერიოდში აღწერა ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, გონიოს შესახებ წერდა: „სოფელი გონიე, რომელიც მოთავსებულია ჭაობიან ადგილზე ჭოროხის შესართავთან, ამჟამად თითქმის სავსებით მიტოვებულია“.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1878 წლის ბერლინის კონგრესის მიერ შემუშავებული დოკუმენტის VIII მუხლის თანახმად, სხვა ტერიტორიებთან ერთად, გონიოს ციხე საქართველოს დაუბრუნდა.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., რკინის უძველესი მეტალურგიის კერები და არქეოლოგიური გათხრები გონიო-აფსაროსში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 1964.
2. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიური შესწავლისათვის, – კრ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXI, №6, თბილისი, 1960.
3. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი. თბილისი, 1980.
4. შპაიდელი მ., კავკასიის საზღვარი. II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში, კრ.: "მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, I, თბილისი, 1985.
5. გონიო-აფსაროსი, – კრ.: გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტომები II-VII, 2002-2009.
6. Успенский Ф.И., Древняя крепость у устья р. Чорохи. Известия Российской Академии Наук. №2, 1917.
7. Леквинадзе В.А., Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости. Византийский Временник. т. 20, Москва, 1961.

სხალთა

სხალთის ეპარქიის ისტორიიდან. ბერძნულ-რომაული და ქართული წერილობითი წაყროებით, რომლის მონაცემებსაც მხარს უჭერს არქეოლოგიური, ზეპირსიტყვიერი და ტოპონიმიკური მასალებიც, ქრისტიანობა აჭარის ტერიტორიაზე ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში გავრცელდა. აქ აიგო პირველი ეკლესიაც. მოგვიანებით, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, IV საუკუნის შუახანებში, როცა საეპისკოპოსოები ჩამოყალიბდა, აჭარა ტერიტორიულად ***თუხარისის*** სამწყსოში შედიოდა. V-VI საუკუნეებში საეპისკოპოსოთა რაოდენობა გაიზარდა, **თუხარისის** სამწყსოს ადგილი ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულმა **ახიზის** საეპისკოპოსომ დაიკავა და აჭარაც ამ საეპისკოპოსოში შევიდა, თუმცა, პ.ინგოროყვას მტკიცებით, აჭარა VI საუკუნიდან პეტრას საეპისკოპოსოში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროის აჭარის ბარის ტერიტორია (ქობულეთ-ბათუმის მხარე გონიო-აფსაროსამდე) ეგრისის ქართულ სახელმწიფოში შედიოდა, ხოლო აჭარისწყლის ხეობა (მთიანი აჭარა) – ქართლში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბარის აჭარა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოში იქნებოდა გაერთიანებული, ხოლო მთიანი აჭარა – ახიზის საეპისკოპოსოში. მალე ეს ტერიტორიები ***ანჩის*** ეპარქიის საზღვრებში მოექცა. X-XI საუკუნეებში განხორციელებული საეკლესიო რეფორმით, „ძველი" საეპისკოპოსოების „ახლით" შეცვლის ხანაში, რაც საქართველოს გაერთიანების პროცესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ბარის აჭარა ხინოს საეპისკოპოსოს ფარგლებში ჩანს, მთიანი აჭარა კი ტბეთის საეპისკოპოსოს საზღვრებში.

XI საუკუნის დასაწყისიდან მთიანი აჭარის საერისთავოს აბუსერისძეთა საგვარეულო განაგებდა. მაშინ აქ ფართოდ გაიშალა საეკლესიო მშენებლობა. თითქმის არც ერთი სოფელი არ დარჩენილა სეკლესიო ნაგებობის გარეშე. ზოგან ორი ეკლესიაც კი ყოფილა **(ორთახოხნა, საღორეთი, დარჩიძეები)**. ამ პერიოდში, XIII საუკუნეშია აგებული სხალთის ეკლესიაც, რომელიც ერთი წერილობითი წყაროს მიხედვით XVI საუკუნის ბოლოდან მაინც, საეპარქიო ცენტრადაც ქცეულა; სხალთის ეკლესიის არსებობის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებამ მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ გაიგო, როცა ცნობილმა მკვლევარმა დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში". მკვლევარი ძეგლის შესახებ წერს: **„ეკლესიის სტილი მოგვაგონებს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეპოქას, სახელდობრ, X-XIII საუკუნეებს. მთელი მხატვრობა და განსაკუთრებით უკანასკნელი ფრესკები ოსტატურად არის შესრულებული, მათში ნატამალიც არ არის საღებავების იმ სიჭრელისა და ბრჭყვიალისა, რაც ასე მაოცებდა შემდეგ გურიის ძველ ეკლესიებში"**.

XIV საუკუნიდან, ჯერ თემურ ლენგის, შემდეგ ირან-ოსმალეთის შემოსევებმა შეცვალა სრულიად საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათი როგორც ადმინისტრაციული, ისე საეკლესიო ეპარქიათა საზღვრები. მაგალითად, თუ XVI საუკუნის წყაროში – **„კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში"** – სამცხეში 13 ეპარქიაა დასახელებული, ცნობილი მკვლევრის, მ. თამარაშვილის წიგნში – **„ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე"** –შეტანილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სიის მიხედვით, სამცხის ეპარქიათა რაოდენობა გაზრდილია 19-მდე. ახალ ეპარქიათა შორის ორი აჭარიდანაა: **სხალთის** იოანე მახარებლის საკათედრო ტაძარი ეპისკოპოსის ზედწო-

დებით **„სხალტელი**" და **ევფრატის** წმიდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი ეპისკოპოსის ზედწოდებით **„ევფრატელი"**.

მ.თამარაშვილის თქმით, საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების ეს სია შედგენილია თეატინელი კათოლიკე მისიონერის ***არქანჯელო ლამბერტის*** მიერ, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა 1630-1649 წლებში.

ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ქართლსა და სამეგრელოში ყოფნისას, იგი საფუძვლიანად გაეცნო ქართველთა ყოფასა და სარწმუნოებას, დაუახლოვდა როგორც საერო ხელისუფალთ, ისე მაღალ საეკლესიო პირებს. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას და ნდობას იმსახურებს მის მიერ შედგენილი ქართლის, კახეთის, სამცხის და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ეპარქიათა სიები. **მ.თამარაშვილი წერს: „ვინაიდან ეპისკოპოსებს რეზიდენცია, ჩვეულებისამებრ, მონასტერში ჰქონდათ, ამის გამო ძველ საეპისკოპოსოთა უმრავლესობა სოფლებსა და მთებში იყო მოთავსებული. ეპისკოპოსებსა და ეპარქიებს სახელწოდება ერქმეოდათ ეპისკოპოსთა რეზიდენციის, ან იმ წმინდანთა სახელის მიხედვით, რომელთაც საკათედრო ტაძარი განეკუთვნებოდა"**. მ.თამარაშვილს მოცემული აქვს ა. ლამბერტისეული სიები საკათედო ტაძრებისა და შესაბამისი ეპარქიებისა. ქართლში 21 ეპარქიაა დასახელებული, კახეთში – 20, დასავლეთ საქართველოში – 17 (სამეგრელოში – 10, აფხაზეთში – 4, გურიაში – 3); სამცხეში – 19.

წყაროში სამცხის საკათედრო ტაძრები და ეპისკოპოსთა ზედწოდებები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

1. წმ. იოანე მახარებლის ---------- სხალტელი
2. წმ. ღვთისმშობლის ---------- ევფრატელი
3. წმ. მთავარანგელოზის ---------- აზილაკელი
4. წმ. სუდარის ---------- ანჟელი
5. წმ. იოანე ნათლიმცემლის --------- სხალტბელი
6. წმ. ღვთისმშობლის ---------- ტბელი
7. წმ. მოციქულთა ---------- სურწყალელი
8. წმ. ღვთისმშობლის ---------- მაწყვერელი
9. წმ. ღვთისმშობლის ---------- მაწყვერელი
10. წმ. ღვთისმშობლის ---------- ქარელი
11. წმ. ღვთისმშობლის ---------- ანელი
12. წმ. ღვთისმშობლის ---------- იშხნელი
13. წმ. ანდრიას ---------- ისპირელი
14. წმ. ბართლომეს ---------- ართვინელი (ტექსტში ართონელი)
15. წმ.ბართლომეს ---------- ისკმელი
16. წმ.პეტრეს ---------- ოლთელი (ტექსტში ორთელი)
17. წმ.თომას ---------- არზრუმელი
18. წმ.ღვთისმშობლის ---------- კუმურდოელი
19. წმ.ღვთისმშობლის ---------- ერუშნელი (ტექსტში ურუშმელი)

როგორც ვხედავთ, სამცხის საკათედრო ტაძრებისა და ეპისკოპოსთა ზედწოდებების სიაში პირველ ნომრად **სხალთელია** დასახელებული, მეორედ კი **ევფრატელი**.

ვფიქრობთ, აქ საუბარია სხალთის ეკლესიაზე და მისი ეპისკოპოსის ზედწოდებაზე, მაგრამ ასეა კი? სხალტა და სხალთა ერთი და იგივეა? ან დღეს სხალთის ტაძარი ხომ

ღვთისმშობლის სახელობისაა, ხოლო წყაროში – წმ. იოვანე მახარებლის. როგორ ავხსნათ ყოველივე ეს?

დავიწყოთ იმით, რომ სხალტის სახელწოდებით სხვა ეკლესია არაა ცნობილი. რაც შეეხება სახელწოდებაში თ-ს ნაცვლად ტ-ს ხმარებას, ვფიქრობთ, ლათინურში თ-ს არარსებობის გამოა ასე. ამასთან, სიაში მეორე ნომრად მეზობელი მხარის – მაჭახლის დედა ეკლესიაა (ევფრატის) მოხსენიებული და საეჭვოა, რომ არარსებული საკათედრო ტაძრები ავტორს სიის თავში მოეთავსებინა.

სარწმუნო ახსნა ეძებნება საკათედრო ტაძრის სახელწოდებასაც. ღვთისმშობლის სახელი ტაძარს, როგორც ჩანს, XIX საუკუნიდან მიენიჭა, როცა დ.ბაქრაძემ რუსულ ენაზე, 1878 წელს, სანკტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში", სადაც მოუთხრო მკითხველს ამ ეკლესიის შესახებ. რადგან ეკლესიის ძველი სახელწოდება მაშინ არ იყო ცნობილი, მკვლევარმა შესასვლელის მარჯვენა მხარეს მკაფიოდ გამოსახული ღვთისმშობლის ფრესკის (ხატის) საფუძველზე მიანიჭა, ალბათ, ტაძარს ეს სახელი. რაც შეეხება წყაროში მოცემულ სახელწოდებას (იოვანე მახარებელი): ცნობილია, რომ ტბელების ფეოდალურ სახლში დიდი პატივისცემით სარგებლობდა იოვანე მახარებელი. მის სახელზე აგებდნენ ეკლესიებს (თხილვანის იოვანე მახარებლის ეკლესია), იოვანეთა სახელზე შექმნა წმ. ტბელმა საგალობლები. სრულიად მისაღებად ჩანს აბუსერისძეთა ძლიერების ხანაში – XIII საუკუნეში – სხალთაში აგებულიყო იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესია.

მართალია, ჯერჯერობით ეპისკოპოსს ან სხვა სასულიერო პირს სხალთელის ზედწოდებით არ ვიცნობთ, მაგრამ ყურადღებას იმსახურებს დ.ბაქრაძის წიგნში მოტანილი ერთი ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც სხალთის ეკლესიას ეხება. ავტორი წერს: „ზოგი ადგილობრივი მოხუცი მარწმუნებდა, თითქოს სხალთის ეკლესია საეპისკოპოსო ყოფილიყოს". 1874 წელს გ.ყაზბეგი წერდა: „ერთნი ამბობენ, აქაური მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად იმერეთში გადასახლდნენ და ეკლესიიდან თან წაიღეს წმინდანთა ხატები: მეორენი კი ამტკიცებენ, მოსახლეობა ადგილობრივ ციებიან ჰავას გაექცაო". ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ხალხის მეხსიერებამ შემოინახა ინფორმაცია სხალთაში ოდესღაც საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ? ამ ეჭვს ამყარებს სხალთის ეკლესიის გრანდიოზულობა, მოხატულობის მაღალი დონე, მათი გააზრების სიღრმე და მისი დაცვის მიზნით გავრცელებული და დღემდე შემონახული ხალხური გადმოცემები.

იქნებ ყველაფერმა ამან დაიცვა დღემდე, მეტნაკლებად პირვანდელი სახით, სხალთის ტაძარი; იქნებ ამანაც განსაზღვრა ის, რომ ეპარქიას ჩვენს დროში სხალთის სახელი დარქმეოდა („მდინარე თავის კალაპოტს უბრუნდება").

ვფიქრობთ, კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ XVII საუკუნის 30-40 იან წლებში შედგენილი საკათედრო ცენტრებისა და ეპარქიების სია იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, მოქმედებდა **სხალთის ეპარქია** და მისი ეპისკოპოსის სახელწოდება იყო **„სხალთელი"**. მაგრამ როდის? ერთი კი ვიცით, რომ მეფე ალექსანდრე I-ის (XVს.) გუჯრით სოფელი **სხალთა** მცხეთის საპატრიარქო კათედრის კუთვნილებად იყო აღიარებული (1.57), მაგრამ არც XV და არც XVI საუკუნის დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში სხალთის ეპარქია არ ჩანს. ამასთან, XVI საუკუნის დასაწყისის წყაროში ცამეტი ეპარქიაა მოხსენიებული, ა.ლამბერტის სიით

კი (XVII ს.-ის 40-იანი წლები) 19 ეპარქია ჩანს, რამდენიმე სრულიად ახალი სახელებით (სხალტელი, ევფრატელი, არზრუმელი და ა.შ.). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ XVI საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ოსმალებმა დაიკავეს სამცხე, ძველ ეპარქიათა საზღვრები დავიწროვდა, ზოგიც შეიცვალა. ასევე მათი მართვის გაადვილების და მრევლის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა ახალი ეპარქიებიც. სწორედ ამ პერიოდს ხომ არ ასახავს ა. ლამბერტისეული სია? ა.ლამბერტი ხომ სწორედ ამ უმძიმეს ხანაში (XVII ს.-ის 30-40-იანი წლები) იყო საქართველოში. სხვაგვარი ახსნა არ ეძებნება ა.ლამბერტისეულ სიას. იგი ხომ უსაფუძვლოდ არ შეიქმნებოდა, ანდა, მ.თამარაშვილი, ეკლესიის ისტორიის ეს ცნობილი მკვლევარი, შეიტანდა კი მას თავის წიგნში, რომ ეს ინფორმაცია უმნიშვნელოდ და უსაფუძვლოდ ჩაეთვალა?

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არქანჯელო ლამბერტისეული საკათედრო ტაძრებისა და ეპარქიების სიის სახით, ჩვენ საინტერესო ცნობა გვაქვს სხალთის ეკლესიის ძველი სახელისა და აქ ეპარქიის ცენტრის არსებობის შესახებ. იგი საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ვთქვათ, სხალთის ეპარქიის ისტორია იწყება არა 1995 წლიდან, როცა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გაყოფის საფუძველზე წარმოიშვა ბათუმ-სხალთის ეპარქია, ან 2006 წლიდან, როცა ბათუმ-სხალთის ეპარქიის გაყოფით შეიქმნა სხალთის ეპარქია, არამედ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მაინც, როცა ამ ეპარქიათა სიებს ქმნიდა არქანჯელო ლამბერტი.

სხალთის საეკლესიო კომპლექსი. სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი თავდაპირველი და შედარებით სრულყოფილი სახით დაცული შუა საუკუნეების ერთადერთი საკულტო ძეგლია აჭარაში. იგი ხულოს მუნიციპალიტეტში, მდინარე სხალთისწყლის ხეობაში, ქ. ბათუმიდან 100 კმ დაშორებით მდებარეობს. ნაგებობები მდინარის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობის მოვაკებულ ტერასაზეა განლაგებული.

კომპლექსის შემადგენლობაში შედის XIII საუკუნის დარბაზული ტაძარი, მცირე ეკლესია, მარანი-სატრაპეზო და ეზოს გალავანი, რომელიც საფუძვლიანად განახლებულია ამ ბოლო წლებში.

სხალთის მცირე ეკლესია კომპლექსის ყველაზე ადრეულ – X-XI სს.-ის მიჯნაზე აგებულ სალოცავს წარმოადგენდა, მისგან მხოლოდ საძირკველი, ერთსაფეხურიანი ბაზისი და კედლების წყობის რამდენიმე რიგი იყო შემორჩენილი. ნანგრევების საფუძველზე აღმართული ახალი ეკლესია იმეორებს თავდაპირველი ნაგებობის გეგმას.

ქვითკირით ნაშენი მარანი სხალთის კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი სწორკუთხა ფორმის მოზრდილი ნაგებობაა შესასვლელით სამხრეთიდან. მისი შიდა გადახურვა კამაროვანია. აქ დღესაც ინახება ძველი საწნახელი და მიწაში ჩამარხული ქვევრები.

სხალთის კომპლექსის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მცირე ეკლესიის მახლობლად, შუასაუკუნეებშივე გაჩნდა სასაფლაო, რომელიც რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში მოქმედებდა. სამაროვნის სიდიდე და მრავალფენიანობა მოწმობს, რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში სხალთის მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1981 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხთა ოთხი ძირითადი ტიპი გამოვლინდა: ორმოსამარხები, ამოშენებულკედლიანი სამარხები, ქვის სამარხები და აკლდამა. მოსახლეობის სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენლები ტაძარში,

ხოლო გარეთ, აღმოსავლეთის კედელთან იყვნენ დაკრძალულნი. საინტერესოა, რომ წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი სამარხეული ინვენტარის ჩაყოლების წესი აქ ქრისტიანულ საფლავებშიცაა შემორჩენილი. მოპოვებული ინვენტარი – მოჭიქული თუ სადა თიხის ჯამები, სასმისები, რკინისა და ბრინჯაოს ჯვრები, ზანზალაკები, მონეტები – XI-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული.

სხალთის კომპლექსის მთავარი ტაძარი ახლა ღვთისმშობლის სახელს ატარებს. მას შვერილი შვიდწახნაგოვანი საკურთხევლის აფსიდი, სამხრეთის სამნაწილიანი კარიბჭე და ჩრდილოეთის მინაშენი გააჩნია. ტაძარი სასწაულებრივად გადაურჩა ჟამთასიავეს და ჩვენამდე მეტ-ნაკლებად პირვანდელი სახით მოაღწია. 1957, 1989 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად (რესტავრატორები ლ.ხიმშიაშვილი, ლ.ოთარაშვილი) ტაძარი კვლავ განახლდა, ხოლო 1990 წლიდან მოქმედ ეკლესიათა რიგში ჩადგა. ამ ბოლო წლებში (2013-2014 წწ.) სხალთის ეპისკოპოსის – მეუფე სპირიდონის ძალისხმევით განახლდა სამხრეთი კარიბჭის გვერდითი ნაწილები და ჩრდილოეთის მინაშენი. სხალთის აგებას ხალხში დარჩენილი ზეპირთქმულებები თამარ მეფის სახელს უკავშირებს, თუმცა ძეგლის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა მოწმობს, რომ იგი XIII საუკუნის შუა ხანებშია უნდა იყოს აგებული.

მონაცრისფრო-თეთრი ქვისაგან ნაგები შენობა ფერწერულად აღიქმება სივრცეში. გარემოს ცხოველხატული პეიზაჟისა და ტაძრის ჰარმონიული შეხამება გამომსახველობას ანიჭებს ძეგლს. სხალთის ტაძარი დარბაზული ტიპის ნაგებობაა. დარბაზული ეკლესიები ქართულ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება და გუმბათოვან ტაძრებთან ერთად არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპზე გვხდება. მისი მშენებლობა თითქმის ყველა სოციალური ფენისათვის იყო მისაწვდომი. სვანეთში მხოლოდ ასეთი ტიპის ეკლესიებია გავრცელებული. აჭარისწყლის ხეობაში გამოვლენილი სალოცავებიც ძირითადად დარბაზულია.

ტაძარს ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთისა და დასავლეთის. ეკლესიის შიდა სივრცე საზეიმო და დიდებულია. ფართო და განიერ ნავს აღმოსავლეთით ერთვის ნახევარწრიული აფსიდი. არქიტექტურული მასების განაწილება სიხალვათეს ანიჭებს ინტერიერს. შიდა სივრცე განათებულია თანაბრად ცხრა თაღოვანი და ორი წრიული სარკმლით. კედლები მოპირკეთებულია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. ხუროთმოძღვრული კონსტრუქციები გამოყვანილია ოსტატურად, დახვეწილი ფორმებით.

გარედან ეკლესია შედარებით დამჯდარი პროპორციებით ხასიათდება, გარეგნული ფორმებიც უფრო მასიური და მძიმეა. ტაძარი ორსაფეხურიან ბაზისზეა აღმართული. დარბაზული ნაწილს ორფერდა გადახურვა აქვს, ხოლო აფსიდს კონუსური ფორმის სახურავი. ფასადების მორთულობას კარ-სარკმელთა ორნამენტული დეკორი შეადგენს. ჩუქურთმა შედარებით მშრალია და დაქუცმაცებული, ნახატი კი მჭიდრო.

სხალთის არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტაძარს შუალედური ადგილი უჭირავს XIII ს.-ის პირველი მესამედისა და XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ძეგლებს შორის. XIII საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ არქიტექტურაში თავს იჩენს ზოგი ახალი თავისებურება: ეკლექტიზმი, მხატვრული მთლიანობის რღვევა, პროფესიული დონის დაქვეითება; აზიდულ პროპორციებს ადგილს უთმობს ზომიერება, ფორმათა მასიურობა და სიმძიმე, დეკორატიული შემკულობის სისადავე; ორნამენტი კარგავს პლასტიკურობასა და სიცხადეს. სხალთის ეკლესიის ხუროთმოძღვრებაში ეპოქისათვის დამახა-

სიათებელი ახალი ნიშნები, უმთავრესად, ძეგლის პროპორციების ხასიათსა და ორნამენტული დეკორის შესრულებაში ვლინდება. სხალთის არქიტექტურა თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ნიჭისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების გამოხატულებაა.

ტაძარი კარიბჭითურთ მთლიანად იყო მოხატული. დღეისათვის ფრესკები საკურთხეველში, კამარასა და დასავლეთ კედელზე ფრაგმენტულად შემორჩა. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები სხალთის მოხატულობას XIV-XV საუკუნეების პალეოლოგოსთა სტილის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებთან აკავშირებს (ლიხნე, მარტვილი, საფარის წმ. საბა, ზარზმა, სორი, უბისი, საფარის წმ. მარინე, წალენჯიხა, ხობის ვამეყ დადიანის ეკვდერი, ნაბახტევი და სხვა). ბიზანტიიდან მომდინარე პალეოლოგოსთა ხელოვნების ნიშნები ქართულ მხატვრობაში XIII საუკუნის დასასრულისა და XIV-XV საუკუნეების პირველი ნახევრის ძეგლებში იჩენს თავს. ახალი სტილის ნიშნებთან ერთად, ამ ეტაპის ქართული ფერწერის თავისებურებებს მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიციებიც განსაზღვრავს. 1997, 1999-2000 წწ. ჩატარებული ფართო მასშტაბის სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ (რესტავრატორი გ.ჭეიშვილი) აღმოჩნდა, რომ სხალთის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. იგი გამოირჩევა ვრცელი, განვითარებული იკონოგრაფიული პროგრამითა და გააზრებული კომპოზიციური გადაწყვეტით.

საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია „ვედრების" კომპოზიცია – საყდარზე მჯდომარე მაცხოვრის, ცეცხლოვან ბორბლებზე გამოსახული სერაფიმისა და ტეტრამორფის, ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მავედრებელი ფიგურებით. „ვედრება" უფლის დიდების, მეორედ მოსვლის, ქომაგობის იდეას გამოხატავს. სხალთის საკურთხევლის კონქში ამ სცენის გამოსახვა ქართული ტრადიციებისადმი ერთგულების დამადასტურებელია. საკურთხევლის აფსიდში რეგისტრებად, ასევე, გამოსახული არიან უფლის მადიდებელი ანგელოზები, წმინდანები მედალიონებში, „ზიარების" სცენა და მღვდელმთავრები. დარბაზის კამარაზე მოხატულობა სამ რეგისტრად ნაწილდებოდა. „ზეციურ ზონაში" გამოიყოფოდა საუფლო დღესასწაულის ოთხი სცენა: „ხარება", „ფერისცვალება", „ამაღლება", „სულიწმინდის მოფენა". კამარის ჩრდილოეთსა და სამხრეთ კალთებზე კი ისტორიული თანმიმდევრობით წარმოდგენილია ქრისტეს ცხოვრების სცენები: „შობა", „მირქმა", „ნათლისღება", „ლაზარეს აღდგინება", „იერუსალიმს შესვლა", „საიდუმლო სერობა", „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში", „ოცდაათი ვერცხლი იუდასათვის", „იუდას ამბორი", „ქრისტე კაიაფას წინაშე", „ჯვრის ზიდვა", „ჯვრის აღმართვა", „ჯვარცმა", „გარდამოხსნა", „დატირება", „ჯოჯოხეთად შთასვლა", „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა". კამარის საბჯენ თაღებზე იკითხება მამამთავართა და წინასწარმეტყველთა რამდენიმე ფიგურა. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია „ჩვილთა მოწყვეტისა" და „ღვთისმშობლის მიძინების" კომპოზიციათა ფრაგმენტები. სამხრეთის კედლის ნიშში გამოსახულია სცენები იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან („ანგელოზის გამოცხადება ზაქარიასადმი", „ანგელოზის მიერ ყრმა იოანეს უდაბნოში წაყვანა"). დასავლეთის კედელი მთლიანად „დღე განკითხვის" გრანდიოზულ კომპოზიციას ეთმობა, რომელსაც ორგანულად ერთვის კარის თავზე გამოსახული „ვედრების" სცენა.

ამდენად, ნათელია, რომ სხალთის მოხატულობის პროგრამა მდიდარი რეპერტუარით ხასიათდებოდა. კომპოზიციების იკონოგრაფია XIV-XV სს.-ის ხელოვნების სიახლეებს

წარმოაჩენს და მოწმობს, რომ სხალთის მომხატველი ოსტატები იცნობდნენ იმდროინდელი ქართული და ბიზანტიური ფერწერული სკოლების ნიმუშებს, მონუმენტური კედლის მხატვრობის ძეგლებს, ხელნაწერთა მინიატურებს, იკონოგრაფიული სცენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ დედნებს.

სცენები, ცალკეული ფიგურები და ორნამენტები კედლის ზედაპირზე განთავსებულია „ხალიჩისებურად", დინამიკურად და თავისუფლად, რაც ამ პერიოდის პალეოლოგოსური სტილის თავისებურებებით არის განპირობებული. ფიგურებს ახასიათებს მცირე ზომები, დაგრძელებული პროპორციები, პატარა თავები, ნაზი კიდურები, თავისუფალი, მსუბუქი მოძრაობები. ფიგურათა სახეები, სამოსი დაწერილია „ფერწერულად", ფერთა დამატებითი ტონებითა და გამოთეთრების ეფექტებით, რაც სადაფისებურ ელვარებას ანიჭებს ფრესკებს. ემოციები გადმოცემულია თავშეკავებულად, თუმცა მხატვრული სახეები არ არის მოკლებული ლირიკულობასა და შინაგან სიღრმეს. მხატვრობის კოლორიტი ნათელია, ნახატი და ხაზი რამდენადმე ხისტი. მხატვრული თავისებურებები სხალთის ფრესკების თარიღს XIV-XV სს.-ის მიჯნით განსაზღვრავს და სიახლოვეს ამ პერიოდის ძეგლებთან იჩენს (წალენჯიხისა, ხობის ვამეყ დადიანის ეკვდერი – 1384-1396 წწ., ნაბახტევი – 1412-1431 წწ. და სხვა). მოხატულობის ხასიათი, ფრესკებზე გამოსახული ქართული ასომთავრული წარწერები, თავის მხრივ, მიუთითებენ, რომ ტაძრის მომხატველი ოსტატები ნიჭიერი ქართველი მხატვრები იყვნენ.

სხალთისწყლის ხეობა საკმაოდ დაწინაურებული რეგიონია განვითარებულ შუა საუკუნეებში. აქ გადიოდა აჭარიდან არტაანისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა. კუთხის კულტურის აღმავლობა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერებისა და აჭარაში აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდს უკავშირდება. აბუსერისძეები განსაკუთრებული სიქველითა და ღვთისმსახურებით გამოირჩეოდნენ. ცნობილია, რომ მათ მიერ არის აგებული აჭარაში ვერნების, ხიხანის და თხილვანის ეკლესიები. XIII საუკუნის მოღვაწისა და მწერლის აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობა კი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნიმუშია. სხალთის საეკლესიო კომპლექსის მშენებლობაც და ღვთისმშობლის ეკლესიის ფრესკებით შემკობაც აბუსერისძეთა სახელს უნდა უკავშირდებოდეს.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. *ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა ა. ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987.*
2. *დიასამიძე ბ., ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X სს.), ბათუმი, 2001.*
3. *დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ბათუმი, 2009.*
4. *დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1974.*
5. *თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995.*
6. *პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბილისი, 1995.*
7. *სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.*
8. *ღვთივკურთხეული ბათუმისა და სხალთის ეპარქია, ბათუმი, 2004.*
9. *ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, კომენტარები და საძიებლები დაურთეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, 1995.*
10. *ჭიჭილეიშვილი მ., სხალთის ეკლესიის მოხატულობა, ბათუმი, 2010;*
11. *ხალვაში რ., გალობანი წმინდათა იოვანეთა, ბათუმი, 1992.*

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**
ფოტოები და დიზაინი – **გივი ნახუცრიშვილისა**

ქაღალდის ზომა 60X84 1/8
ფიზიკური თაბახი 25,3
ტირაჟი 200

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35